780
1991/2

სპორტი

1991/2 მარტი-აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღვთისმშობლის მიერ წმ. შიო სასწაულმოქმედის მონახულება

მ. საბინინის წიგნიდან — „საქართველოს სამოთხე" 1882 წ.

127
(2)

სპეცი

1991/2

მარტი
აპრილი
(101)

შინაარსი

პროზა და პოეზია

იოზეფ ტომანი, მიროსლავა ტომანოვა. სოკრატე. ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი. გაგრძელება. თარგმნა გურამ გოგიაშვილმა 3

ედგარ პო. ჟურანი. თარგმნა ხილოვან ნარიმანიძემ 109

ჯონ კეთსი, ჯონ მილტონი. ლექსები. თარგმნა დარეჯან კაპანაძემ 118

ფრანგულ-ამერიკული პოეზია. ლექსები. თარგმნა დოდონა ქიზირიამ 115

ანდრეი კლატონოვი. ჩევენგური. რომანი. თარგმნა გივი კიკილაშვილმა 122

წერილები

ივან გარანდოვსკი. სიტყვის ალქიმია. გაგრძელება. თარგმნა ელდარ ჭიჭიაშვილმა 205

ლუციუს ანეუს სენეკა. სიცოცხლის მსწრაფლწარმავლობისთვის. ლათინურიდან თარგმნა ნათელა სოხაძემ 258

ა. ფუენსი. ძენ-ბუდიზმი. გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა 282

ავთანდილ ვართაგავა. ხატად ქცეული წიგნი 318

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1991 № 2

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა დარჩია (პგ. მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია გაძრაძე
გაჩანა გრიგოლაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ გურეშიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი შანჯიკიძე
ნიკო ყიასაშვილი
დავით წერეთელიანი

გარეკანზე: გალაკტიონ ტაბიძე. ავტოპორტრეტი

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. გეროიგავა, ტექრედაქტორი ნანა გიორგაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, კარლ მარქსის ქ. № 1. **ტელეფონები:** მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22, კონფიდენციალური გამგეები — 32-96-30.

გად. წარმ. 5.04.91 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 6.08.91 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16. სააღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. სიღებაეის გატ. 28.7. ტირ. 7.000. შეკ. № 759

ფასი 1 მან. 60 კაპ.

საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა ლოს" სტამბა,
380009, თბილისი, ს. ერისთავის, 14.

იოზეფ ტომანი, მიროსლავა ტომანოვა

სოკრატე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა

19.847

კვირიდან კვირამდე დადის სოკრატე აკადემოსის გიმნასიაში, დიპილონის ჭიშკარს იქით რომ არის; გიმნასიაში ის ფიზიკურად ვარჯიშობს და ახალგაზრდობას ესაუბრება. დღესაც იქ მიდის — დღე ოლიმპიური ჩირაღდნის ალივით თეთრად ანთია, ჰაერი კი ნესტიანია, ზღვის სუნთქვით და ფუტკრების საყვარელი ყვავილების სურნელით გაჟღენთილი.

აუჩქარებლად, ტანის ოდნავი რხევით მიდიოდა სოკრატე, და შიშველ ფეხებს ისე მიატყაპუნებდა მოკირწყლული ქუჩის ქვაფენილზედ, ბადეში მოყოლილი თევზების ფართქალი მოგაგონდებოდათ.

იმ ადგილას, სადაც მდინარე ერიდანოსი გზას უჭრის, კერამეიკონის დემოსში, ის ყოველთვის ერთსა და იმავეს ადევნებდა თვალს. მთავარი ქუჩის გვერდზედ, ერთი ხელის დადება მოედანზედ, მეთუნე ნაქტერი ძირს ხალიჩას ჰფენდა და გასაყიდად გამოჰქონდა თავისი ნახელავი. გაყიდვით ყმაწვილი ქალი ჰყიდდა.

ამ პატარა, მზით გაჩახჩახებულ მოედანზედ სოკრატეს ასეთი სურათი ეშლებოდა: საყოველდღეო თუნის ჭურჭელთან — დოქებთან, ლანგრებთან, ჯამებთან ერთად — ხალიჩაზედ თავს იწონებდნენ უცილოდ მხატვრული ლირეზულების სახელურიანი ამფორები, ლიპიანი ოინოქოები, ღვინისა და წყლის შესაზავებელი კრატერები, კალაფოსები და წელში გამოყვანილი საზეთე ლეკიფოსები, მთელ ამ ნარინჯისფერ-მიხაკისფერ კერამიკულ მაღნარს, რომელიც მოხატული იყო შავი ან ლია წითელი, გეომეტრიული ან მცენარეული ორნამენტით, ან ადამიანებისა და ცხოველების ფიგურებით, თავს ადგა დიდებული ცოცხალი ამფორა. უზადო აღნაგობის ტანკენარი ქალიშვილი იყო; ბრწყინვალე შავი მდიდრული თმა ჰქონდა, შავგვრემანობა ძალიან შვენოდა. კალმით დახატულსა ჰგავდა. დოინჯს თუ შემოიყრიდა, რაღა ისა და რაღა ყურებიანი ამფორა! იდგა და თვალს ავლებდა თავის ჩვეულებრივი და კეთილსახიერი ჭურჭლის ნაირფერად სამეფოს, თან ჭეშმარიტად აღმოსავლური მოთმინებით ელოდა მყიდველს.

დიდხანს აღტაცებით შეჰხაროდა სოკრატე ამ ყმაწვილი ქალის სილუეტს, იმას კი თავი ისე ეჭირა, ვითომ ვერც ამჩნევდა სოკრატეს. სინამდვილეში კარ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაც შეათვალიერა და კარგადაც შეაფასა. ის პატარაობიდანვე ხედავდა თავის გარშემო ჭურჭელზედ გამოსახულ მამაკაცთ. ქმრადაც რომელიმე ამ გამოსახული გმირის მსგავსს ნატრობდა, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რად უნდოდა საერთოდ ქმარი.

ბუნდოვანი ოცნება თანდათან მკაფიო წარმოდგენად ჩამოუყალიბდა. და აი აქ, ქუჩის მზიან მხარეს, კვირიდან კვირამდე ჩერდება ერთი მამაკაცი — ხოლო ის რომ იმისი გულისთვის ჩერდება, ყმაწვილი ქალი უმალ მიხვდა ამას. მამაკაცს ყოველთვის უბრალო, უსახელოებო თეთრი ქიტონი და მხარზედ კალთაგადაგდებული გრძელი ყავისფერი ჰიმატიონი მოსავს. მამაკაცი მზით გარუჯულია, ათლეტური აღნაგობისაა და თუ ყმაწვილი ქალი უწყვერულვაშოდ წარმოიდგენს, ოცდათხუთმეტ წლისაზედ მეტი არ იქნება. ყმაწვილი ქალი მიხვდა, რომ ეს მამაკაცი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა იაზონს, აქილევსს, ოდისევსსა, და მით უფრო არც ღვთაებრივ სალენეს. მაგრამ რაც ყოვლის უკეთესი ჰქონდა, მომნუსხველი გამოხედვა იყო. ოღონდ ისეთი კი არა, გველის გამოხედვა რომ არის, მსხვერპლს რომ აშენებს. არა, ამ ახალგაზრდა კაცის გამოხედვა ადამიანს სიკეთით ხიბლავდა, მხიარულ გუნებაზედ აყენებდა.

უყურებს სოკრატე, უყურებს... მაგრამ რა ხდება? ყმაწვილმა ქალმა დინჯი შემოიყარა, ნელ-ნელა დაიწყო რწევა იმ მელოდიას აყოლილმა, რომელსაც კითარაზედ უკრავს მავანი და მავანი იქაური ორფეესი... თუმცა ყმაწვილი ქალი კითარედს არავითარ ყურადღებას არ აქცევს, მხოლოდ მელოდიას აჰყოლია და სოკრატეს ულიმის.

აბა, გეყოფა თვალების ჭყეტა! — გადაწყვიტა სოკრატემ, მაგრამ ნაბიჯი გადადგა თუ არა — ეჰ! გამოფენილ საქონელთან ვიღაც უცხოელი მოდის. ხოლო რაკი უცხოელი მოვიდა, როგორც ხდება ხოლმე, უკან ხელად რამდენიმე სხვა მყიდველი მოჰყვა — ზოგნი ცნობისმოყვარენი, ზოგნიც ბავშვნი, იქავ მოედანზედ მოტრიალენი — და წამსვე მთელი ბრბო მოგროვდა, ახმაურდა, აყაყანდა ხალხი ქოთნების, დოქების, ლარნაკების გარშემო... თუმცა ყმაწვილი ქალის წკრიალა, მბრძანებლურმა ხმამ მალე ყველანი დააცხრო, ყაყანის იშტა დაუკარგა.

ყმაწვილი ქალი ისე იქცევა, რომ სოკრატე მოჯადოებულივით შესცქერის. თვალს ვეღარ აშორებს, ტყვექმნილია.

ენას ხომ ნული იტყვით! სამართებელივით უჭრის. დაუცაცხანა, მაგრამ რა დაუცაცხანა ვიღაც ბიჭს, რომელიც თეთრ ყარყარა მოჭიქულ ლეკიფოსს წასწვდა — მხოლოდ იმიტომ წასწვდა, რომ ყმაწვილ გამყიდველ ქალთან ახლოს მისულიყო და თვალისთვის წყალი დაელევინებინა.

— ახლავ თავის ადგილზედ დადგი! უტიფარო! ტურტლიან ხელს ნუ ჰკიდებ! რა ამბავია, ხალხო, გაჩუმდით! გადმომხედეთ, ღმერთნო!

სოკრატე ჩუმად იცინის ულვაშებში: სამაგიეროდ შენ არა ჩუმდები, ენამჭევრო მზეთუნახავო!

— ვიცი, რაც გინდა! — ყლერს ქალის მკაცრი ხმა, — ვითომ ჭურჭელსა სინჯავ, თვალები კი ჩემკენ გამოგირბის... აბ გამოგივა! კმარა! მოუსვი მალე, სანამ თავში რამე მოგხვედრია!

რა უზადო ატიკური კილოა! — ტკბებოდა სოკრატე. — გორგიას მასწავლებლად გამოადგებოდა... მერე, რამდენი გამომსახველობაა! სამწუხაროა, რომ თეატრში მხოლოდ მამაკაცნი თამაშობენ...

კერამეიკონელი ყმაწვილნი დაცაცხანებულ ბიჭს ხარხარს აყრიან, მაგრამ

იმან სულაც არ „მოუსვა." მხოლოდ ცოტა უკან დაიხია, რადგან წინ ვიღაც ფარჩით შემოსილი უცხოელი წადგა, რომელსაც მონა ახლდა.

— კეთილი იყოს, ბატონო, თქვენი ფეხი ნაქტერთან, რომლის ბადალი ჭურჭელი არავის არა აქვს! შენთა და ჩვენთა ღმერთთ დალოცონ ჩვენკენ გადმოდგმული შენი ყოველი ნაბიჯი. აარჩიე, გულდასმით აარჩიე, ამისთანა ჭურჭელს ვერსად ვერა ნახავ.

სოკრატემ კინაღამ ტაში შემოჰკრა. პირდაპირ ნეტარებაა ამ ქალიშვილის სმენა!

— ზეთისთვის მოხატული ამფორა გინდა? კი, ბატონო! სხვაგან ტყუილად დაუწყებ ძებნას, ოღონდ მითხარი, რომელი სტილი გნებავს? შავფიგურიანი? თუ წითელფიგურიანი? ან იქნებ თავისუფალი სტილი მოგწონთ, პოლიგნოტეს მანერით შესრულებული? სიუჟეტი როგორი იყოს? მითოლოგია, პალესტრა თუ ყოფა? აჰა, მესმის. შენ გინდა ატიკური კერამიკა, რომლის წითელნარინჯისფერ ფონზედ ლია-შავი ლაქით გამოსახულია მითის ეპიზოდი... არა? აჰა, მაშ წითელფიგურიანი გნდომებია. რა თქმა უნდა. გემოვნება შენ დაიტრაბახე! აი, რასაც ეძებ, ბატონო! ეს ამფორა, ცხადია, შავფიგურიანზედ ძვირია, მაგრამ ამის სილამაზეს თუ გავითვალისწინებთ, ნახევარ ფასად მოდის. გესმის, თუ მიაკაკუნე, რა საოცრად წკარუნებს? რასაკვირველია, მამაჩემის ღუმელშია გამომწვარი. რა ღირს? ორასი დრაქმა. ბევრია? სხვაგან ამისთანაში სამასსაც მისცემდი და მეტსაც, თუკი სადმე შეხვდებოდი, მაგრამ სად არის! რა თქვი? ას ოთხმოცი?

აქ ყმაწვილმა ქალმა თვალი მოჰკრა, რომ იმისკენ მდიდრული ტახტრევანდით მოდიოდნენ, და მაშინვე დაასრულა ვაჭრობა:

— თანახმა ვარ, როგორც გამონაკლისი. შენი სამშობლოს სირიის საჩუქარი იყოს. დიახ, უმალ გეტყობა. უკვე თავდაჭერაზედვე გეტყობა. შევახვიო? ღმერთებმა დაგვიფარონ! ამფორა ქსოვილიდან გამოცურდება და ხელოვნების ნაწარმოები ნამუსრევის გროვად იქცევა. შენმა მონამ ფრთხილად წაიღოს ხელით...

ას ოთხმოცი დრაქმა მიითვალა, თავაზიანად, მაგრამ მეფური ღირსებით დაემშვიდობა უცხოელს და მზერა ტახტრევანდზედ გადაიტანა.

იქიდან შაოსანი ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა. უკან ორი მონა ქალი მოჰყვებოდა.

მოვაჭრე ყმაწვილმა ქალმა მორიდებით დახარა თავი, დაელოდა, ვიდრე რამეს ეტყოდნენ.

— დედა გარდამეცვალა. კარგი სამსხვერპლო ჭურჭელი მჭირდება სამარისთვის.

— რამოდენიმე მშვენიერ ლეკიფოსს შემოგთავაზებ, ქალბატონო... — ყმაწვილი ქალი მკვირცხლად ტრიალებდა და ხან ერთ ჭურჭელს უჩვენებდა, ხან მეორეს.

მოსულმა ქალბატონმა ჭურჭლის თვალიერებაში სოკრატე შეამჩნია — ახლოს იდგა. მიუბრუნდა, თავაზიანად დაუკრა თავი. სოკრატემაც იცნო, იმანაც თავის დაკვრით უპასუხა.

— ნამდვილად ლამაზი ყოფილხარ, — უთხრა გამყიდველს მყიდველმა, — მამას ტყუილი არ უთქვამს. — გაიღიმა — მამაჩემი პოეტი სოფოკლეა. ტრაგედიებსა წერს.

— მერედა. მე მიცნობს? — გაოცა ყმაწვილმა ქალმა.

— შენ ხომ ქსანთიპე ხარ, სახელგანთქმული მეთუნის ნაქტერის ასული?

— დიახ, მე ვარ. მაგრამ არ მაგონდება...

— შენი სილამაზის ამბავი მამამ იქნებ თავისი რომელიმე მეგობრებისგანაც შეიტყო. — ქალმა სწრაფი მზერა შეავლო სოკრატეს. — რა ლირს ეგ ლეკიფოსი, თეთრ ფონზედ მკრთალი ცისფრით გამოსახული ქარონი რომ ამშვენებს?

— ეს თვითონ ოსტატმა ბრიგმა მოხატა, ქალბატონო, ორმოცდაათი დრაქმა ლირს.

მყიდველმა ქალმა იშვიათი ჭურჭელი ხელში აიღო, საგულდაგულოდ დაათვალიერა.

— მართლაც კარგია. ლოგეირა, გაუსწორდი, შენ კი, აგრანა, ფრთხილად გადაიტანე ტახტრევანდში. ბედნიერად ბრძანდებოდეთ, ქსანთიპე! — ქალმა გაულიმა და ტახტრევანდში ჩაჯდა, თან ხელის აწევით დაემშვიდობა სოკრატეს. მოედანზედ მოყიალე ბიჭბუჭობა ტახტრევანდს დაედევნა.

სოკრატემ ყველაფერი გაიგონა. ახლახან მან სოფოკლეს მართლაც შეუქო ქსანთიპეს სილამაზე. რაც უფრო ასაკოვანია მამაკაცი, მით მეტი გამოცდილება აქვს, სამაგიეროდ გამბედაობა არა ყოფნის. მაგრამ მეტი ყოყმანი აღარ შეიძლება. კმარა აქ გლახაკსავით ტორლიალი...

მივიდა გამყიდველ ყმაწვილ ქალთან და უთხრა:

— ამ წარმტაც სასწაულთა მომაჯადოებელო დედოფალო, ნება მიბოძე, რომ შენს მშვენიერებას მუხლი მოვუყარო!

— მეც მადლობელი ვარ შემთხვევისა — ან იქნებ სულაც შენი ნებისა? რამაც ჩემთან მოგიყვანა!

— მეშინია, ჩემო მშვენიერო, რომ შენს მოლოდინს გავაწბილებ და ვერაფერს ვიყიდი...

სოკრატეს სიტყვა წკრიალა სიცილმა გააწყვეტინა, ისეთივე სპეტაკმა და უზადომ, როგორიც ყმაწვილი ქალის კბილები იყო.

— არა, სოკრატე, საყიდლად მოსული არა ჩანხარ!

არც გაჰკვირვებია, რომ ყმაწვილი ქალი იცნობდა. იმას ხომ მთელი ათენი იცნობს! მაგრამ ქსანთიპე ისე კი არა, ძალიან კარგად იცნობდა!

— მაშ, მოხვედი, რომ...

— აკი გითხარი, შენს სილამაზეს უნდა ვემთხვიო-მეთქი...

ქსანთიპემ თავი გააქნია, შავი ფაფარი აიყარა.

— მე კი ვიფიქრე, რომ სასაუბროდ მოხვედი ჩემთან!

ახლა ორივენი იცინოდნენ. რაკი სოკრატემ ხუმრობა გაუგო, ქსანთიპემ იმავ ხუმრობის კილოთი განაგრძო:

— ალბათ გინდა, რომ დამაცდენინო, აი რა ბრძენი ვარ-მეთქი, მერმე კი შენი დიალექტიკის წყალობით გამაშიშვლო და დამიმტკიცო, რაოდენ სულელი ვარ...

სოკრატე აღტაცებული იყო ქსანთიპეს მსჯელობით, მაგრამ იმისი მხიარული კილო უფრო ხიბლავდა, სიამოვნებდა.

— ფენარეტეს სახელი ალბათ გაგონილი გექნება, არა?

— დედაშენის სახელი ვინ არ იცის!

— ეგებ შეგეწია კიდეც ამქვეყნად გამობობლებაში...

— ეგებ კი არა, ნამდვილად ეგრე იყო. დედაჩემისგან ვიცი.

— ჰოდა, მეც იმისგან შემკვიდრეობით მერგო ამეანთ ხელოვნება. ტექ-

ნე მაევტიკე, და ახლა მრავალს ეშინია ჩემი, რომ უცაბედად ხელი არა ვტაცო — მართალია, არა დედის წიაღიდან დასაბადებლად, არამედ, რაც უარესია, იმათი თავებიდან აზრის გამოსატანად... თუ, რა თქმა უნდა, შოგან უყრიათ რამე... თორემ ხდება ხოლმე, როცა, — სოკრატემ ნაღვლიანი სახე მიიღო, — ადამიანს თავში სიცარიელისა და სისულელის გარდა არაფერი აქვს, და — წარმოიდგინე! — ასეთ ადამიანს ამ ალმოჩენის გულისთვის შევეძულებულვარ კიდეც.

— მერედა, გიკვირს? — ჰკითხა ქსანთიპემ. — საწყალი კაცი მალავს, რაც გოგრაში აქვს, შენ მიდიხარ და ხუფსა ხდი, იქიდან კი ჰარმონიაზედ თქმული უკვდავი სიტყვებისა და სოკრატესეული კალოკაგათიის მაგივრად სულ რაღაც მცირეოდენი ორთქლი ამოდის, მეტი არაფერი... მეც შიშით მისკდება გული, როცა მზერას მაპყრობ...

— შენ ნურაფრისა გეშინია! შენ საკმაოდ ჭკვიანი ხარ, მშვენიერო ქსანთიპე! — დარწმუნებით უთხრა სოკრატემ. — ჩინებული სკოლა გაქვს გავლილი. იგივე, რაც მე.

ქსანთიპეს ხმა უფრო მკვეთრი გაუხდა:

— ნუ დამცინი! არავითარი სკოლაში არა მაქვს გავლილი.

— გაქვს, ძვირფასო. ჩემი სავაჭრო უფრო დიდია, შენი უფრო მცირე, მაგრამ ხალხი იქაც არის და აქაც. — ქსანთიპე გაოცებული და დაეჭვებული შესცქეროდა, ნახევრად განხმულ ბაგეთაგან ერთი სიტყვაც არა სწყდებოდა. — აი, მე რაღაცას გეტყვი ჩემზედ და დამიჯერებ, რომ არ დაგცინი, რომ ორივენი ნამდვილად ერთი ოსტატის მოწაფენი ვართ.

ქსანთიპემ უკან დაიხია და შეჰკივლა კიდეც, შიშველი ფეხი მალალ ლეკიფოსს რომ წამოსდო — ჭურჭელმა ქანაობა დაიწყო.

— არაფერია, არ წაქცეულა, — დაამშვიდა სოკრატემ.

— კინალამ მე თვითონ წავიქეცი! ისეთ სოცარ ამბებს ლაპარაკობ... ისე, მართალი თუ გინდა, არც უნდა ჭისმენდე... — ქსანთიპემ თავი გადააქნია, თავისი თავისაც უკვირდა და სოკრატესაც, მაგრამ იმის საპასუხო რეპლიკას ალარ დაელოდა, ბრძანების კილოთი დაასრულა: — აბა, რა უნდა გეთქვა შენს თავზედ? თქვი!

სოკრატემ გაიცინა:

— ბევრი რამ წიგნებიდან ვისწავლე, ბევრიც ეწავლულ ადამიანთაგან, მაგრამ ყველაზედ მეტი მაინც ბაზრის ხალხმა მასწავლა. არც ახლა შემიწყვეტია იქ სწავლა. დღეს კი შენგანაც მივიღე გაკვეთილი.

— იმის თქმა გინდა, რომ შენი მასწავლებელი ვარ?! — გადაიკისკისა ქსანთიპემ. — ეგ მოსწრებულად გამოგივიდა!

— რას იზამ, ხანდახან ზოგი რამ მეც კარგად გამომდის. მაგალითად, შენ გვერდით რომ გავჩერდი. რამდენი წელიწადია, ფეხითა ვზომავ ათენის ქუჩებს, ყოველ კუთხეში ცხვირსა ვყოფ, და ჭეშმარიტად დღეს გავიგონე შენგან: საით, საით ისწრაფი, სოკრატე, მაგ შენი სიბრძნიანად! იქნებ გაჩერდე ბოლოს და ბოლოს? მეც ვარ ამ ქვეყანაზედო!

— ვინა? — ვერ გაიგო ქსანთიპემ. — მე ვარ ამ ქვეყანაზედ?

— აჰ არა, გოგონი, სიყვარული. ცისქვეშ ყველაზედ უფრო ლამაზი სიგიჟე. შენ კი გაკვეთილი მომეცი: კარგია ერთი ადგილიდან შეორე ადგილზედ ხეტიალი, მაგრამ ზოგჯერ სადმე უნდა გაჩერდე. — თუ ეს გაჩერება შეყვარე-

ბას ნიშნავს. მოხიბლული ვარ შენით, ქსანთიპე, ჩემო ფაშატო! — უბრალოდ უთხრა სოკრატემ.

— კვირიდან კვირამდე გიცდი, რომ ის გამოჩნდები, რომ ის დადგები და დამიწყებ ცქერაა, თითქოს რალაცას ხედავდე... რალაცას...

— ...რომელზედ უმშვენიერესიც ჩემს თვალს არ უხილავს — დასრულა სოკრატემ თავისი ალსარება.

— რა ნეტარებაა, რომ მაგას შენ მეუბნები! რა ნეტარებაა!

— შეიძლება, რომ შეგეკითხო, რატომ იხმარე ჩემი საყვარელი სიტყვა — ნეტარება — ჩემთან დაკავშირებით?

ქალიშვილი გაჩუმდა. ხელს უსვამდა ლეკიფოსის ყელს, მოციმციმე თვალებში თითქოს ცვლის ნისლი ჩაუდგა.

— რატომ? რატომ და, შენგან ჩემკენ რალაც ისეთი საოცარი რამ ვოლიხება, — არ ვიცი, რა — ბედნიერსა მხდის...

საკმაოდ გაუჭირდა სოკრატეს თავისი გრძელი ჰიმატიონით ჭურჭელ-ჭურჭელ ისე გასვლა, რომ ერთიც არ წაექცია. მაგრამ მაინც მოახერხა, მივიდა. ქსანთიპე გულში ჩაიხუტა და მხურვალედ აკოცა.

6

— დღესაც ისევ უსასრულოდ უნდა ელოდოს კაცი, — თქვა მოღუშულმა ანტისთენემ.

— ეჰ, სადღაც დაეხეტება ჩვენი სახლის პატრონი, — გაეცინა კრიტონს.

— ოდესღაც ერთი გოგოს გულისთვის ხარაზის სადგისი იზიდავდა, ახლა კი — მეთუნის ჩარხი ხიბლავს, — იმავე კილოთი დაასრულა სიმონმა.

შორიახლო, მარმარილოს კუბზედ კრიტია იჯდა. ახალგაზრდა ლამაზ ევთიდემეს იკრავდა გულში ნაზად, თან ყურში ჩასჩურჩულებდა სატრფიალო ლექსებს, რომელთაც მისთვის თხზავდა.

— შენ იმ გოგოს იცნობ, კრიტონ? — ჰკითხა ანტისთენემ. — ეტყობა, რალაც ვარსკვლავია ციური, რაკი სიხელგანთქმული სოფროსინეს მქადაგებელი იმდენად ღალატობს თავის თავს, რომ თავის საყვარელ მუსაიფსაც ივიწყებს და ჩვენც აგრეთვე...

— ამბობენ, ქსანთიპე უაღრესად ენამზიანიაო, — მიუგო კრიტონმა. — რაც, სხვათა შორის, არც საკვირველია მოვაჭრე ქალისგან, სოკრატეს ამბავიც არ უნდა გვიკვირდეს — უენო ქალი ძნელად თუ მიიზიდავდა. თანაც, როგორც ამბობენ, განსაცვიფრებლად ლამაზი ყოფილა, და აქ უკვე საეჭვო არაფერია — სოკრატეს სილამაზის შეუცდომელი გემოვნება აქვს.

— ჰო, რა თქმა უნდა! — გაისმა ჭიშკარში მქუხარე ხმა და ეზოში სახლის პატრონი შეშოვიდა. — ჰაი, თქვე მოუთმენელნო, ნუთუ ისიც არ იცით, რა ფანძილია აქედან დიპილონის ჭიშკრამდე და უკან, ერიდანოსის პირას გასეირნების ჩათვლით?

— ოჰ! — საზეიმოდ შესძახა კრიტონმა. — როგორც იქნა, ალიარა! ერიდანოსის პირას კი გისეირნია, მაგრამ გეკითხები: ვისთან ერთად?

ბედნიერმა სოკრატემ ოცნებიანად გაილიმა:

— ქსანთიპესთან — ჩემს იპასთან, ჩემს ფაშატთან ერთად!

— მაშ ძალიან შეყვარებული ყოფილხარ? — გაიკვირვა ანტისთენემ.

— წესიერმა ადამიანმა სანახევროდ არაფერი არ უნდა აკეთოს — გარდა ამისა, ეროტმა, მგონი, ღვთაებრივი სიგიჟით დამასნეულა...

მეგობრები აღარ იცინოდნენ. მხოლოდ ანტისთენემ შენიშნა:

— შენ რომ სოფროსინე იქადაგე, იმისი საქმე როგორ იქნება?

— როგორც ასტროლოგნი ამბობენ, არის ვარსკვლავთა ისეთი შეწყვილება, როცა სოფროსინეს უნდა მივდიოთ, — ჩაიცინა სოკრატემ, მაგრამ არის ისეთი შეწყვილებაც, ოდეს აუცილებლად წინააღმდეგობაა — უნდა ვუფუვდეთ სოფროსინეს და უარვყოფდეთ კიდეც.

—რაზედ არის ეგ დამოკიდებული? — ჰკითხა კრიტიამ, რომელიც ევთიდემეს კისერზედ ხელს უსვამდა.

„ნეტავი შენ რას მეკითხები მაგას?" — გაიფიქრა სოკრატემ, მაგრამ უპასუხა:

— ეს დამოკიდებულია იმაზედ, ძვირფასო კრიტია, თუ როგორია სიყვარული. სიყვარული მისწრაფებაა ტკბობისა და სიკეთისკენ. თუ სიკეთე აკლია, სიყვარული აღარ არის. დიდი, თუმცა პატარა ღმერთი ეროტი, ბავშვი და იმავ დროს ასი წლის ბერიკაცი, ერთსახოვანია და იმის მოსურნეა, რომ ღვთაებრივი სიგიჟე, რასაც ის ადამიანთ გულთა შიგან ულვიძებს, ვლინდებოდეს სიყვარულის მშვენიერებაში, რომლის შედეგიც სულთა ჰარმონიაა.

— ეგ ასაკოვან შეყვარებულთაც ეხება? — გესლიანად იკითხა კრიტიამ.

— აუცილებლად, — მიუგო სოკრატეს ნაცვლად სიმონმა. — რადგან ისინი უფრო დაბრძენებულნი არიან და რა გრძნობითაც თვითონ უყვართ, მეორე ადამიანში იმ გრძნობას აღძრავენ. აი შეხედე სოკრატეს! ზედვე ეტყობა, რომ სილამაზისა და სიცოცხლისკენ ძალუმი სწრაფვა, ეროტს რომ გაუჩენია ამის გულში, — მარტოოდენ ახალგაზრდობის ღირსება არ არის!

სოკრატემ კი კრიტიას ბოსტანში ერთი კენჭიც გადაისროლა:

— მით უმეტეს, რომ სოკრატეს არასოდეს ბიჭები არ ხიბლავდნენ, მხოლოდ დიაცნი იზიდავდნენ, თანაც ისეთივე მშვენიერნი, როგორიც ქსანთიპეა. მამაკაცს ქალი უნდა და არა მამაკაცი!

კრიტიამ ავად გადახედა:

— ყველა თავისას აქებს — და აქვს კიდეც ქების უფლება.

— რა გაეწყობა, დროა შეკრებისა, — ისე თქვა სოკრატემ, რომ კრიტია უპასუხოდ დატოვა. — ჰიპია მალე გამოჩნდება აგორაზედ, არ უნდა ვალოდინოთ.

ამ დროს ჭიშკარი გაიღო, ეზოში გლეხურად ჩაცმულმა თავსაფრიანმა ქალიშვილმა შემოირბინა. სუნთქვაშეკრული იქავ უახლოეს ქვაზედ ჩამოჯდა.

ყველანი გულში ჩასაკვრელად მისცვივდნენ. სოკრატე სირბილისგან წამოჭარხლებულ სახეზედ მოეფერა:

— სალამი, ძვირფასო ევკლიდე! მშვიდობით მოაღწიე?

ევკლიდე, სოკრატეს მოწაფე, მეგარის მოქალაქე იყო; და რაკი მეგარელთ ატიკის მიწაზედ და ათენის ქვაფენილზედ სიკვდილის შიშით ფეხის დადგმა ეკრძალებოდათ, სოკრატესკენ მომავალ ევკლიდეს ქალის კაბა გადაეცვა და მთელი გზა ლამ-ლამ ეარა.

— ყველაფერი რიგზეა, სოკრატე! მეგარიდან ღამით გამოვედი. ელევსინამდე ვირბინე, ხოლო ატიკის ფარგლებში, როცა უკვე ინათა, ყოჩაღი გოგოსავით ერთ მუხლად მოვდიოდი მკლავზედ ქალათგადაკიდებული...

— შეგხვდა ვინმე გზაში? — ჰკითხა კრიტონმა.

— არც ერთი სულიერი. უცნობი ბილიკებით ვიარე, სადაც ცოტა ვინმე დადის, დილით კი ვაჭარ ქალთ შევუერთდი.

— შენ ჩვენ შორის ყველაზე უფრო თავგანწირული ხარ! როგორია თვეში ამდენჯერ ამ ას სამოცი სტადიის გამორბენა! ვერასოდეს ვერ გადაგიხდი სამაგიეროს, ევკლიდე!

— ჩემთვის შენი ყოველი სიტყვა ჯილდოა, სოკრატე, — უბრალოდ მიუგო ევკლიდემ და ქალის კაბა გაიძარცვა, რომლის ქვეშ ქიტონი ემოსა.

სოკრატეს ევთიდემე მიუბრუნდა:

— ამბობენ, ჰიპია ჩინებული ორატორიაო!

— მერე რა?

— არაფერი... ისე ვთქვი...

სოკრატეს მთელ სახეზედ ღიმილი მოეფინა:

— შენ ნათელი თვალები გაქვს, ევთიდემე, იოლია აზრების წაკითხვა.

— მერე, რა ამოიკითხე?

— ის ამოვიკითხე, რომ გეხათრება ბოლომდე ამოთქმა: „არ გეშინია, სოკრატე?“ ხედავ, სწორად ამოვიკითხე. ვარდივით გაწითლდი.

— რა გიფიქრია, ევთიდემე? — შესძახა კრიტონმა. — სოკრატე და შიში?!

სოკრატემ ხელის აქნევით შეაწყვეტინა:

— რაც ჰიპიაზედ ვიცით, გვაფიქრებინებს, რომ იმისი ძლევა არც ისე ადვილი იქნება. ნამდვილად არ ეგების ასეთი მოწინააღმდეგის, მრავალ მეცნიერებაში გაწაფული და თანაც პირველხარისხოვანი ორატორის შეუფასებლობა! ან იქნებ ეს ცოტა რამედ გეჩვენებათ?

— მაგრამ განა სიტყვა, თუნდაც მარჯვედ ნათქვამი — საკმარისი საბუთია პოლემიკაში? — იკითხა ანტისთენემ.

— მაშ შენ ჰიპიასგან საქმე გინდა? — შეეკამათა ევკლიდე.

— რა თქმა უნდა, არა. აზრები მინდა, — თავისაზედ იდგა ანტისთენე.

— ადამიანს უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას, — ჩაურთო სოკრატემ.

— სწორედ მაგას შვრებიან სოფისტნიც, — სიტყვა შეუბრუნა კრიტიამ, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა პროტაგორას ფორმულა. — მაშ რას იტყვი, მოძღვარო?

სოკრატემ ყურადღებით ჩახედა თვალებში კრიტიას და მიუგო:

— ძალიან უბრალო საქმეა. იმას ვიტყვი, რომ მთავარია, ვინ როგორ უყურებს ადამიანს და რა ზრახვები აქვს იმის მიმართ.

ეზოდან გავიდნენ. ყოველი მხრიდან ესმის სოკრატეს, როგორ მხიარულად, გულიანად მიესალმებიან. ისინიც კი, ოდესღაც რომ მოსდგა, საჯაროდ ამხილა და ქვეყანას დაანახვა, რა იყო ამ კაცთა შიგან ჭეშმარიტი და რა თვალთმაქცური, — მალავენ შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას და ხალისით აძლევენ სალამს.

სოკრატე მოვაჭრეთა კარვებს შორის მიიკვლევს გზას, უკან მოწაფენი მიჰყვებიან. ბაზარი ყაყანებს. „იყიდეთ! იყიდეთ! საუკეთესო ქაშაყია, ყველაზედ იაფი! აქეთ! აქეთ! მუქთად ვიძლევი!“

— ჰაირე, სოკრატე!

— სულ გახარებული იყავ, დიონე! შენც, ფარნაკა! როგორი ვაჭრობაა?

— ჰეი, სოკრატე, ახალი ლეღვი მაქვს! კეთილი სიტყვისთვის მიირთვი!

მოხუც ქალთან მივიდნენ, მუხუდოს თესლის გამყიდველთან, თითქმის

ყოველდღე ყიდულობს ამ ქალისგან. ყიდულობსო? მუქთად მიაქვს პატივისცემის ნიშნად.

— აბა, ფულს როგორ გამოგართმევ, კეთილო კაცო? — აიღე, რამდენიც გინდა! შენ წინაშე ვალში ვარ... წაიკითხე!

დაფაზე გაუწაფავი ხელით, მაგრამ დიდის გულმოდგინებით ვრცელ იამოკვეთილი:

„ჩემგან სოკრატე ყიდულობს!"

გარშემო ყველანი იცინიან, სოკრატე ამბობს:

— შენა, თითონა, „ყიდულობს" შემდეგ უნდა მიგეწერა: „მუქთად!"

— ისე ლაპარაკობ, ვინმემ რომ გაიგონოს, მართლა ქურდი ეგონები

— ქურდია აბა რა! — უწყინარი სიცილით ეუბნება მეზობელი. ზეთისხილით მოვაჭრე კაცი. — ამან სულის საიდუმლო მომპარა! — სოკრატე ამ კაცს მიუბრუნდა, და ისიც შეეცადა, რომ აეხსნა: — მაიძულა და ვალიარე, რომ ცოლსა ვცემდი... ახლა აღარა ვცემ, სოკრატე!

თავიანთი ნაცნობის პისტიას ფარდულთან ჩერდებიან. პისტია უკვე დამოუკიდებელი ოსტატია, თავის ნაწარმსა ყიდის — ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროს სამკაულთ. იმისი ფარდული ბაზრის ბოლოშია, რათა ადვილად მიუდგეს ტახტრევანდი, რომლითაც მონებს კეთილშობილი მანდილოსნები ან ჰეტერები მოჰყავთ ხოლმე.

პისტია სახეგაბადრული უღიმის სოკრატეს და თავის სიხარულს უზიარებს:

— მდიდარმა მენტინმა ეგვიპტური ნიმუშით ოქროს ყელსაკიდი შემიკვეთა. მძიმე, ბრწყინვალე სამკაულია. და იცი, ვისთვის? კარგად იცნობ. — ჩურჩულზედ გადადის. — ჰეტერა თეოდატასთვის. თვითონ მოვიდა თეოდატა ჩემთან ზომის ასაღებად. მგონი, რვაას დრაქმაში ჩავსვამ! რას იტყვი?

— რას ვიტყვი და, მენტინი შენს ადგილას ათას რვაასში ჩასვამდა. შენც ისე მოიქეცი. ნუ გეშინია, გადახდა არ გაუჭირდება! — იცინის სოკრატე.

— კარგი, — ხელებს იფშვნეტს პისტია. — ახლა კი ავალაგებ საქონელს და ფარდულს დავკეტავ! უნდა მოგისმინო, როგორ ადენ ოფლს იმ კოსმოპოლიტს, ჰე-ჰე!

— რა ვიცი, სულაც იმან არ მადინოს ოფლი, კეთილო პისტია! როგორმე სალამოთი შემომბიარე, თუ მოახერხებ...

— სიამოვნებით, მაგრამ ცოლი...

— აჰა! — გაიცინა სოკრატემ. — მოკლე სადავით გიჭერს, არა? შენც თავს ნუ წაუხრი!

— შენზეც ამბობენ, ცოლი მოჰყავსო, მართალია?

— უკვე შენც გაიგე?

— ბაზარში ყველაფერი იციან... — სოკრატესკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა: — კერამეიკონელი მშვენიერი ქსანთიპე...

7

სოკრატე მეგობრებთან ერთად პორტიკის ჩრდილში შევიდა. პოლიგნოტეს უზარმაზარი ფრესკის ქვეშ, მარათონის ბრძოლას რომ გამოსახავდა, სო-

ფისტთა ჯგუფი იდგა, ისინი თავიანთ მიმდევრებთან ერთად ელოდნენ ახალგაზრდა, მაგრამ საბერძნეთის ყველა ქალაქში უკვე სახელგანთქმულ სოფისტს ჰიპია ელიდელს.

სოკრატეს და ჰიპიას დისპუტის მოსასმენად რიტორნიც მოსულიყვნენ. აქ იყო სახელგანთქმული ლისია სირაკუსელი — ერთ-ერთი [illegible] ლოგოგრაფი და ერთგული დემოკრატი. და ანტიფონტი — [illegible] სიტყვების მთხზველი, ოლიგარქთა მომხრე — სოკრატეს ძველი მოჭიმპე.

ის თავისიანთა თანხლებით სოფისტთაგან მოშორებით გაჩერებულიყო. როგორც იმათ, ისე ამათ გარშემო ხალხს მოეყარა თავი.

— პირდაპირ ორი ლაშქარია ბრძოლის წინ! — გაეცინა სოკრატეს. — მაგრამ ჩვენს მოწინააღმდეგეთ მაგარი ისტორიული ზურგი აქვთ — მაგათ უკან მარათონია...

— მარათონი წარსულია, — შეედავა კრიტონი. — ჩვენთვის კი მომავალია მნიშვნელოვანი.

ამასობაში მოქალაქეთ ერთიანად შეავსეს პორტიკის კიბეები, წინა მოედანიც. ყველამ იცოდა, რაც იყო აქ მოსალოდნელი.

პორტიკის შორეულ ბოლოში ტანადი მამაკაცი გამოჩნდა. დარბაისელი კაცის ნაბიჯით აუჩქარებლად ახლოვდებოდა, ხშირი გრძელი წვერი წარმოსადეგ იერს აძლევდა. გრძელი, ფაფუკნაკეცებიანი ჭიტონი ემოსა, რომელზეც ოქრომკედით იყო ამოქარგული უსასრულოდ გამეორებული მოტივი: ეგვიპტის პირამიდა, პალმა და სფინქსი. ეს მდიდრული ქიტონი ზედ ქუსლებამდე სწვდებოდა, ზემოდან კი ტოპაზისფერი ქლამინდი მოესხა. გულმოდგინედ დახუჭუჭებულ თმაში ვერცხლისგან გამოკვერილი დაფნის რტო ერჭო. თავისივე ნახელოვნები ოქროს სამკაულებით დამშვენებულ ამ კაცს ხელში აბანოზის ოქროსბუნიკიანი ხის კვერთხი ეჭირა. მთელი იმისი გარეგნობა ნატიფი დახვეწილობისა და ამპარტავნობის ნიმუში იყო.

იმის წინააღმდეგ კი გამოდიოდა ფეხუცმელი სოკრატე, უბრალო, მზით გარუჯული, ლონიერი, როგორც ატიკელი გლეხკაცი.

ბრბო ორივ ფილოსოფოსს ტაშისცემით შეხვდა. ანტიფონტი უმალ სახელგანთქმული სტუმრისკენ გაქანდა. სტუმარი პირველი მიემშვიდობა სოკრატეს თავაზიანად.

— მე ჰიპია ვარ, ელიდელი, სიბრძნის მოძღვარი.

— გეტყობა, — მიუგო სოკრატემ. — მე კი სოკრატე ვარ, სიბრძნის მოყვარე.

ჰიპიამ თავით შიშველ ფეხთამდე გულმოდგინედ შეათვალიერა.

სოფისტებმა ჩაიცინეს: ერთი დარტყმა უკვე დაარტყეთ!

სოკრატემ მშვიდად და თავაზიანად უთხრა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჰიპია, სამყაროს შემცნობელო, ათენი ბევრ ვინმეს უღებს კარს, გულს კი — მხოლოდ რჩეულთ. ელიდიდან ჩაჭ მოხვედ?

— უკანასკნელ ხანს ჩემს სამშობლოს, ელიდას, ოითქმის ვეღარა ვხედავ. უფრო ხშირად სპარტაში დავდივარ, აღტაცებული ვარ ამ ქალაქით. ვიყავი აგრეთვე სირაკუსეშიც, აკრაგანტშიც და ეგვიპტეშიც. ვინახულე სარდისი, როდოსი, ჰალიკარნასი, მილეტი, სამოსი, ეფესო და ბოლოს თესალიის ლარსია, საიდანაც აქ ჩამოვედი.

ყველა ეს მხარე და ქალაქი ჰიპიამ ცუდად შეფარული ტრაბახის კილოთი დაასახელა.

— მეც ვიმოგზაურე. — გამოეხმაურა სოკრატე. — ჰუდიში ვიყავი.

მსმენელთა ლიანგში ხარხარი გაისმა.

ერთმა სოფისტმა ჩასჩურჩულა ჰიპიას:

— ეგ პატარა სოფელია ათენის მახლობლად...

ჰიპია:

— იქ მამული გაქვს?

— პატარა კარ-მიდამო. ხუთასი სული. — ვენახის ყოველი ძირი ვაზი სოკრატემ სულად აქცია.

— ო, ეგ მნიშვნელოვანი ქონებაა. რა ვიცი. ღარიბია, რომ მითხრეს?

— მოუტყუებიხარ. ძალიან მდიდარი ვარ.

ყველანი გაოცებით მიაშტერდნენ სოკრატეს. ის კი განაგრძობდა:

— ხუთასამდე ძირი ვაზი მაქვს. თავზედ ჭერი მაფარია და მრავალი ერთგული მეგობარი მყავს, აქაც და იქაც. — ხელი გაიშვირა ბაზრის მხარეს, სადაც ტაშმა იქუხა.

— ამრიგად, ჩვენ უკვე გავიცანით ერთმანეთი, სოკრატე. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. მე ვოცნებობდი, რომ გაგსაუბრებოდი, რადგან დიდება შენ ყველა ქვეყანაა მოჰფენია, რომლებიც კი ჩვენს ზღვას აკრავს გარშემო. ბევრი საოცარი ამბავი მსმენია შენზედ, განსაკუთრებით შენი სიბრძნის ქება.

— ძალიან აჭარბებ, ძვირფასო ჰიპია. ვის შეუძლია სიბრძნის დაჩემება! თუ შენს მოძღვრებას მივყვებით, რომელიც ყველაფერს ეჭვის ქვეშ აყენებს, მაშინ თვით სიბრძნის არსებობაშიც ეჭვი უნდა შევიტანოთ.

— მაგაში არასოდეს არ შემპარვია ეჭვი, რამეთუ თავად სიბრძნის მასწავლებელი ვარ.

— მაგრამ ერთს გკითხავ: რა არის სიბრძნე საერთოდ?

ჰიპია ცოტა აღელდა:

— ჰო, დიახ, მსმენია შენი მეთოდის ამბავი — ადამიანს თურმე ძალით ამოათქმევინებ თავის თვალსაზრისსა და ცოდნას, რათა დედუქციის გზით ახსნა ცნებები...

სოკრატეს გაეცინა:

— ტექნე მაევტიკე! რა თქმა უნდა. შენ არ გითხრეს, რომ დედაჩემი ბებიაქალი იყო? სამეანო ხელოვნება იმისგან გადმოვიღე. ადამიანი უფრო იმ მსჯელობას აფასებს, რომლის შობაშიც მე ვეხმარები, ვიდრე იმას, რასაც მე თვითონ გამოვთქვამდი.

ჰიპიამ მკერდი წამოსწია:

— მე კი მეორე მეთოდს ვალიარებ: ლექციას და რიტორიკის ხელოვნებაში შეჯიბრებას.

სოკრატემ თავი გააქნია:

— ჩემთან ეგ არ გამოგივა. მე გასაუბრებას ვარ მიჩვეული. თანახმა ხარ?

— მე ყველაფრის შეწყობა შემიძლია.

— ჩვენი საუბრის თემას, ცხადია, თავად აირჩევ.

— ბალხის სწავლა-განათლებას ავირჩევ — ჩემსავით შენც ხომ ამ აქმეს ემსახურები, სოკრატე. მე, მაგალითად, ვასწავლი მათემატიკას, ასტრონომიას, გრამატიკას, მუსიკას, ლიტერატურას, ლმერთებისა და გმირების ჩამომავლობას, ფიზიკას და რიტორიკას.

— ვაიმე! — შესძახა სოკრატემ. — აბა როგორ უნდა გავეჯიბრო იმ სწავლულს, რომელიც ყველაფერს ჩასწვდომია, რაც ჩვენ გარშემოა! რა შემიძლია საბრალო უვიცს, რომლის ყურადღების საგანი მხოლოდ ადამიანის სულია?!

სოკრატეს სოფისტის წინაშე უპირატესობა მისცა ამ შესანიშნავმა წამოძახილმა. ჰიპია ამას წამსვე მიხვდა. უკან დაიწია, რომ მანძილი გაეზარდა თავის თავსა და მსმენელთა შორის, კვერთხი ანტიფონტეს გადასცა — რა არი ორივ ხელი ჟესტიკულაციისთვის თავისუფალი ჰქონოდა, და მაღალფარდოვნად დაიწყო:

— ვინ განაგებს ზეცასა შინა ვარსკვლავთ და მზეს? ამბობენ, ოლიმპიური ღმერთებიო, მაგრამ მე ვერა ვხედავ, ვინც ამას იზამდა, არცვინ არ ეხილება თვალსა ჩვენსა, და ბევრი რამ ქვეყნად ვიღაცის იდუმალი რამ ნებით ხდება, რომელ ნებაზედაც არცრა ვიცით. განა ძალუძს ვისმე იმა კაცის დასახელება, ამ გამოცანას რომ ამოხსნიდა? დუმხართ... ვინ უნდა განაგებდეს ადამიანს? მან ხომ თავად იცის, რა გზასაც უნდა დაადგეს, რათა კი არ ივნოს რამე, არამედ სარგო ნახოს...

ვიღაცამ ტაში დაჰკრა. ჰიჭიამ იმ მხარეს გაიხედა და ოდნავ თავი დაუკრა. შემდეგ განაგრძო:

— შეუკარი ფრთები ფრინველს — ვეღარ აფრინდება და გზაზედ მტვერში დაიწყებს ფართხალს. უმწეო და უბედური. მაგრამ რა უკრავს ფრთებს ადამიანს, რა აკრავს დედამიწაზედ, თუმცა შენი სიტყვების მიხედვით, სოკრატე, ადამიანის სული ფრთაშესხმული უნდა დაფრინავდეს?

— ალტაცებული ვარ, რა ბევრი რამ გცოდნია ჩემზედ, ჰიპია, — მოკრძალებით ჩაურთო სოკრატემ.

— მაინც რა უხუთავს სულს მოქალაქეს? კანონი — აი ადამიანის ტირანი, აი დამნაშავე, რომელიც ხელყოფს თავისუფლებას; ამასთანავე ის უცვლელი არ არის და ოდენ წარმავალი მნიშვნელობა აქვს. კანონი მიჯნავს ადამიანის სურვილსა და მოქმედებას. კანონი უზღუდავს ადამიანს თავისუფლებას. თავისუფლება კი, ვითარ ჯერ კიდევ ესქილე ბრძანებდა, ადამიანის უზენაესი მონაპოვარია.

მეუხარე ტაშმა დაფარა ეს სიტყვები. ჰიპიას სიტყვა თამამი იყო და ძლიერად ზემოქმედებდა. ეყრდნობოდა რა პროტაგორას დებულებას — „ადამიანი საზომია ყოველთა საგანთა", ავითარებდა ამ წანამძღვარს, ამახინჯებდა და საბოლოოდ იმის აღიარებამდის მივიდა, რომ ყოველ ადამიანს განუსაზღვრელი თავისუფლება უნდა ჰქონდეს.

ვითომ შემთხვევით აირჩია ჰიპიამ ეს თემა? არა, რასაკვირველია, მან კარგად იცოდა, ათენში რა განწყობილებაც სუფევდა. იცოდა ათენში სიტყვის ფართო თავისუფლების ფასი. იცოდა, რით მოიგებდა მსმენელთა გულს.

ადამიანის თავისუფლების უფლება! და ამას მოითხოვს მაშინ, როცა სპარტასთან გაჭიანურებული ომია, რომელიც ხან ხანძარივით ანთია, ხანაც უილოდ ყრჩის, მაგრამ არა ქრება.

იმხანად ათენელნი მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, სულ უფრო და უფრო თავისუფლად მოეკლათ თავიანთი ცხოველური და კერძომესაკუთრული ენი! განუსაზღვრელი თავისუფლება! რა ლამაზი სიტყვებია, რა ადვილად სწყდე-

ბა ენაპირს, რა დიდებულად ისმის ყურებში, რომლებიც კაცს იმისთვის გამოსხმია, რომ არცრა კადნიერი მოწოდება და ქადაგება არ დარჩეს გაუგონარი. ეს კადნიერი მოწოდება-ქადაგებანი კი ყველაფრისგან ათავისუფლებენ ადამიანს, რაც ბოჭავს, და თანაც იმის უფლებას განუმტკიცებენ, რომ ელეუთერი-ვით ლაღი და თავისუფალია! სწორედ ახლაა საჯურველი, რომ ადამიანებში გამოიღვიძოს ძველი თავისუფლების სევდამ, რომელი სევდაც ... [illegible] გადმოეცემა მამა-პაპათაგან შვილთაშვილთ...

მაგრამ ვისთვია არის საჯურველი ამჟამად ეს სევდა? — გაიფიქრა სოკრატემ, რადგან ის არა მარტო იმაზედ ფიქრობდა, რასაც ჰიპია ამბობდა, არამედ იმაზეც, თუ ვისთვის რას ამბობდა სოფისტი იგი, რა დროში და რა მოსაზრებით.

ხალხი კი ზეიმობს, ჰიპიას ადიდებს. სოკრატეს მოწაფენი თვალს არ აშორებენ თავიანთ მოძღვარს, რომელიც არხეინად აკნატუნებს მზესუმზირას.

ტაში რომ მიწყდა, სოკრატე ჰიპიას მიეახლოვა.

— აღტაცებული ვარ შენით და ქედს ვიხრი შენის გონების წინაშე. ბრწყინვალე დეკლამაცია იყო. ეფექტები გამართული, ნარნარი და თანაც ძლიერი, ენერგიული, ყოველთვის ეფექტური, ფრაზის რიტმთან ბრწყინვალედ შეთანხმებული...

ჰიპია გამარჯვებული კაცის იერით გადაჰყურებს თავის მომხრე ოლიგარქებ. მაგრამ ისინი იცნობენ სოკრატეს და ... შებიან: ჯერჯერობით კი აქებს, ჰაგრამ მერე რა იქნება?

სოკრატე ზრდილობიანი კილოს გამოუცვლელად თანდათან გამოცოცხლდა, გამხიარულდა.

— შენის მაღალია ხმით სწავლებიდან, ანუ ქადაგებიდან, რომელიც პოეტური სახეებითა და ფრიად მარჯვედ შერჩეული სიტყვებით ბრწყინავს, ყველაზედ მეტად იმან მომტაცა ყური, პროტაგორას ბრძნული დებულება — ადამიანი საზომია ყოველთა საგანთა — ადამიანისთვის განუსაზღვრელი თავისუფლების მოთხოვნას ოსტატურად რომ შეუფარდე. ჭეშმარიტად, პირდაპირ ელისიებს შეგვასწრებ! ნებას დამრთავ, პატივცემულო ჰიპია, რომ ეს შენი თეზისი გამოვიკვლიო?

— რატომაც არა! გამოიკვლიე, ძვირფასო სოკრატე!

— მადლობელი ვარ ნებართვისათვის. ოღონდ, ცხადია, გესმის, რომ შენა თეზისს შენივე მაგალითის მიხედვით გამოვიკვლევ. — სოკრატეს თვალები ულიმოდა, მაგრამ სახეზედ ძარღვიც არ შესტოკებია.

— აბა რის მიხედვით? — დაეკითხა თვითკმაყოფილი ჰიპია. — ჩემი ქადაგება უკვე სუყველამ შეაფასა, ვინც აქ გვესწრება: დიდად გამახარა ტაშის კვრამ, — მაშ, რატომ უნდა გითხრა უარი? დიდ სიამოვნებას მომანიჭებ.

— ამრიგად, ერთად გავარჩიოთ შენი ქადაგება. შენა თქვი, რომ კანონი ადამიანის ტირანია, ხომ?

— ვთქვი.

— ხელოვნი თუ კარგად გაგიგე? შენის ფიქრით, არ არსებობენ რაღაც ბუნებრივი, უჩინარი ძალები, რომელნიც ამ კანონთ დაადგენენ?

— ძალიან კარგად გაგიგია.

— მაგრამ ასეთ შემთხვევაში კანონები თვითონ ადამიანებს უნდა დაედგინათ. თანახმა ხარ, საყვარელო ჰიპია?

— ცხადია, მაგას ამტკიცებს ჩემი თეზისი, — მტკიცედ მიუგო სოფისტმა.

— მაგრამ რისთვის დააწესეს ადამიანთ კანონები? რომ ამით ცხოვრება უარესი გაეხადათ თუ უკეთესი?

— ერთ შემთხვევაში უკეთესი, მეორე შემთხვევაში — უარესი — ჰიპიამ მსუბუქად გაიქნია ხელი მსმენელთაკენ.

ხალხი მოწონების ნიშნად ახმაურდა.

— მაგაზედ დავას არ დავიწყებ, — ჰიპიასთვის მოულოდნელად წარმოთქვა სოკრატემ. — მაგრამ წინ წავიდეთ. ის კანონები გავარჩიოთ, რომელთა წყალობითაც ადამიანი უკეთ ცხოვრობს, ვიდრე უიმათოდ იცხოვრებდა.

— მოგყვები! — ხალისით დაუმოწმა ჰიპიამ, დარწმუნებულმა, რომ რაც უფრო ახლოს მივიდოდა სოკრატე რომელიმე კანონთან, მით უფრო იოლი იქნებოდა ამ კანონის გაკრიტიკება.

სოკრატემ ფეხი მოინაცვლა, თითქოს შეამოწმა, მოხერხებულად ვდგავარ თუ არაო. შემდეგ იმ კანონებზედ და რეფორმებზედ ალაპარაკდა, რომელთა ძალითაც სოლონმა შეზღუდა ზედმეტი ფუფუნება საზოგადოების ერთ ნაწილში და დაიცვა მეორე, გაღარიბებული ნაწილი.

— სოლონმა, — წართქვა სოკრატემ, — ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურების ერთადერთ მიზეზად მიიჩნია ხარბი მდიდრები, ევპატრიდები, რომელნიც ჯიბეს მიწითა და მონების შრომით ისქელებენ. განუსაზღვრელი თავისუფლება სწორედ იმათთვის არის ხელსაყრელი, შენი ქადაგება, საყვარელო სტუმარო, ისე ქღერს, თითქოს მდიდართ ეუბნებოდეს: ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მეგობრებო, უშრომლად, თავის შეუწუხებლად გაგექელებინოთ ჯიბეებიო!

მსმენელთა ლიანგს დუღილი დაეტყო. სოფისტნი დრტვინავდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ანტიფონტმა ხელები გააქნია:

— ეგ ჰიპიას არ უთქვამს!

მაგრამ იქავ ვილაცამ შესძახა:

— არ უთქვამს, მაგრამ ეგრე გაგებაც შეიძლებოდა!

— ჰაირე, სოკრატე! ჰაირე, სოკრატე! — გაისმა ცალკეული ხმები და მალე ერთიან ქოროდ იქცა.

სოკრატემ სათნო ღიმილით ჩააცხრო აღტკინება. აი მან ჰიპიასკენ შიშველი, უბეჭდებო და უსამაჯურო ხელი გაიწვდინა.

— ჩვენ დღეს პირველად შევხვდით, საყვარელო ჰიპია ელიდელო, მაგრამ შენმა ბრძნულმა მაღლის ხმით სწავლებამ, რომელიც საბერძნეთის სუყოველ ქალაქში მოუსმენიათ, თვითონ შენზედ ადრე მოაღწია ჩემამდე. ალბათ უსამართლოდ არ მოგექცევი, თუ ვიტყვი აი აქ, ყველას გასაგონად, რომ სიბრძნის არც ერთი მასწავლებელი არ სცნობს შენსავით ასე აშკარად ადამიანის ბუნებრივ უფლებას იმ უფლების წინააღმდეგ, რომელიც მრავალთაგან არის დადგენილი და მოწონებული?

— მე მაგით ვამაყობ, სოკრატე, — მიუგო ჰიპიამ. — ყოველ ადამიანს სწყურია ბუნებრივი უფლება, რაც მისთვის ბუნებას მიუნიჭებია.

სოკრატემ, თითქოს არ იცის, შემდეგ რა იღონოსო, ჰკითხა:

— ისტორიას თუ სწავლობ?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ჰიპიამ. — სხვათათვის რარიგ უნდა მესწავლებინა, უკეთუ თავად არ ვიქნებოდი ისტორიის მოწაფე?

— ძალიან მოხარული ვარ, ეგ რომ მესმის. რახან თვითონ ისტორია გაიწავლის, მე აღარ დაგიწყებ იმის სწავლებას, რომ ყველა უფლება და უპირატესობა მდიდართ და ძლიერთ მიიტაცეს, ყოველთ დანარჩენთ კი უარი უთხრეს.

ჰიპიამ ჭლამინდი გაიღეღა და ძალდატანებით წარმოთქვა:

— მე ყოველი ადამიანის ბუნებრივ უფლებამოსილებას ვაღიარებ.

სოფისტის პათოსს სოკრატემ უბრალო კილოთი უპასუხა:

— სიტყვით კი, მაგრამ შენს სიტყვასა და საქმეს დიდი მანძილი აშორებს. და, ვგონებ, არც მოჰყვეს საქმე შენს სიტყვას. აი სოლონმა კი, როგორც ისტორიიდან იცი, მდიდართ კანონით შეუზღუდა განუსაზღვრელი თავისუფლება, რომ თავიანთ ნებისად აღარ მოეხვეჭათ სიმდიდრე. რას იტყვი, საყვარელო ჰიპია, ეს კანონები ხალხის სასარგებლოა თუ საზიანო?

— რატომ მეკითხები იმას, რაც თვითონვე იცი? — გაღიზიანებულმა შეუბრუნა კითხვა ჰიპიამ.

— ძალიან უბრალო მიზეზით, — აუხსნა სოკრატემ. — ყოველ მტკიცებაში იფარება მისი ნაწილობრივი უარყოფა და ყოველ უარყოფაში — მისი ნაწილობრივი მტკიცება. შენ, ვისაც ამ ტრიალ ქვეყანაზედ მეტი გივლია და მეტი გინახავს, უკეთ შეგეძლო ჩემთვის ამის ახსნა.

ცუდმედიდი ჰიპია სულ იმას ცდილობდა, რომ სოკრატეზედ ბრძენი გამოჩენილიყო.

— ნაწილობრივ უარყოფა ჯერ კიდევ არ უარყოფს მთელ მტკიცებას, ისევე როგორც ნაწილობრივი მტკიცება ვერ უარყოფს მთლიანად უარყოფას.

— ჩინებულია, ჰიპია! — შესძახა სოკრატემ. — მაგრამ მაშინ შენ ეეჭველად დამეთანხმები, რომ კანონი ზოგს აზიანებს, ზოგს ასარგებლებს. აქ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩვენი დემოკრატიული კანონები მრავალთა სასარგებლოა, ხოლო არახელსაყრელია ზოგიერთისთვის. მაგრამ... — სოკრატემ წვერზედ ჩამოისვა ხელი. — შენ, ჰიპია, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბრძანე, რომ ყველას ბუნებრივ უფლებას აღიარებ.

— არ შემიძლია მაგის უარყოფა. აქ ბევრი მოწმეა იმისა, რომ შენი მეხსიერება უტყუარია, მაგრამ არც მე ვაპირებ ამის უარყოფას, — ჰიპიამ თვითკმაყოფილებით გაიცინა და დაიმოწმა ციტატა სოლონის ელეგიიდან: — „ვინაც აქ, სამშობლოში, მონობის ბორკილს დაათრევდა და ცახცახებდა ბატონის წინაშე, ვათავისუფლე. კანონთა ძალით ვქმენ ეს მძიმე საქმე, ძალადობა და სამართალი ერთად შევკარი, და ყველაფერი აღვასრულე, ხალხს რაც შევპირდი“. — ჰიპიამ უკვე ხმამაღლა გაიცინა. — ხომ კარგად გაიგონე, სოკრატე, სიტყვა „ძალადობა“? ვინმე თქვენგანს ხომ არ გამოჰპარვია სიტყვა „ძალადობა“? — მიმართა მან ბრბოს.

— არცვის! გავიგონეთ! — შესძახეს მსმენელთ. — განაგრძე, ჰიპია!

ჰიპიამ ხალხს ისე დაუკრა თავი, თითქოს უკვე ემშვიდობებაო.

— მეტი სათქმელი არაფერი მაქვს. სოლონმა უნარიანად შეაზავა ძალადობა და სამართალი, და თქვენ ახლა ამ ძალადობაში ცხოვრობთ, ემორჩილებით და პატივსაც მიაგებთ, თუმცა უხალისოდ, როგორაც ჩვენი კავშირის ყველა ქალაქში მარწმუნებდნენ.

ბრბო ორატორთ უფრო მჭიდროდ შემოერტყა.

— მადლობელი ვარ საუბრისთვის, — წართქვა სოკრატემ. — მაგრამ ვიდრე დავასრულებდეთ, ერთი რამ უნდა გკითხო. რატომ არის, საყვარელო ჰი-

პია, რომ ამ ბუნებრივ უფლებას, ამ განუსაზღვრელ თავისუფლებას, ასე თავგამოდებით ქადაგებ ათენის საზღვაო კავშირის სუყოველ ქალაქში, სუყოველ ჩვენს კუნძულზედ, ხოლო შენს მშობლიურ ელიდაში, პელოპონესზედ — როგორც თავად ბრძანე — მხოლოდ სტუმარი ხარ და მეტი არაფერი? იქნებ სულაც გულზედ არ გაბატია თქვენთა კანონთა და წეს-ჩვეულებათა სიმკაცრე, და ამიტომ ჩვენს ქვეყანას ამჯობინებ, სადაც სიტყვის იმოქმედად დროდ თავისუფლებაა. რომ თავბრუ გესხმით ისეთებს, როგორიც შენა ხარ? ან იქნებ შენთვის ესეც ცოტაა და გინდა, რომ ჩვენში კანონთა მიმართ ურჩობა აღძრა და ამით ღრმა ბარბაროსობისა და ტირანიის დროებაში დაგვაბრუნო? ვინმე ამისთვის ფულს ხომ არ გიხდის? სიბრძნის მასწავლებლობაა შენი ხელობა თუ სხვა რამით გადიხარ იოლას?

ჰიპიამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და გადაჭრით განაცხადა:

— დიახ, სიბრძნის მასწავლებლობაა ჩემი ხელობა!

— მე რასაც ვაქებებ, —მიუგო სოკრატემ, — ჩემს მოვალეობად და მოწოდებად მიმაჩნია.

— ეგ გარეგნობაზედვე გეტყობა — ფეხშიშველი დადიხარ... დაკონკილი ქიტონი გმოსავს, გაქონილი ჰიმატიონი... ზიზღით უთხრა ჰიპიამ.

— ყური მათხოვე, მეგობარო! გამომიყვანე ამ დაბნეულობიდან. იქნებ თქვენში საერთოდ არავითარი კანონი არ მოქმედებს და ვისაც როგორ გინდათ, ისე იქცევით? და შენ, უბედური დევნილი, იმ თავისუფლებიდან ჩვენთან იმიტომ ხომ არა ხარ გამოქცეული, რომ იქ, რა იცი, კაცნი ვართ, ემანდ ვინმეს ავი ვნებების მსხვერპლი არ გამხდარიყავი?

ბრბომ ხარხარი ატეხა. ბევრმა ნებ ნებს შემოჰკრა. ჰიპიამ მკერდი წამოსწია. თავი შემართა. სოკრატე კი განაგრძობდა:

— მაშ ჩვენ იმას რატომ გვიქადაგებ, რასაც თავად გაურბიხარ?

— კანონები ჩვენცა გვაქვს, — იძულებული გახდა ჰიპია და ახლალა აღიარა, რისი მიჩქმალვაც წელან თავის სიტყვაში სცადა. — მაგრამ ისინი რომ არცა გვქონოდა, მე ჩემი თავი ისე სუსტად არ მიმაჩნია, რომ ვინმესი, თუნდაც ჩემზედ ძლიერთა, შემშინებოდა! ჩემი მომრევი ბევრი არავინ მეგულება, სულაც არა ვგრძნობ თავს უძლურად. სადაც მინდა, იქ წავალ და რაც მინდა, იმას ვიზამ, სრულიადაც არა ვარ დამოკიდებული ჩემს ცოდნაზედ, ნიჭსა და უნარზედ. ესეგვარ დამოუკიდებლობას სუყოველი კაცისთვის ვისურვებდი. რამეთუ ვუწყი, რათდენ ტკბილი გემოსია.

სოკრატემ ხელები აღაპყრო.

— თქვენის ნებართვით მადლობა უნდა გადაგიხადო ამ მცირე კრების წინაშე — მცირე-მეთქი, რადგან აქ მხოლოდ რამოდენიმე ას კაცსა ვხედავ, ჩვენ კი მიჩვეული ვართ საქმეების გადაწყვეტას ექვსი ათასამდე კაცის მონაწილეობით; მაგრამ არაფერია — ნურც ამ მადლობაზედ გვიკრავ ხელს.

ჰიპია გაჩუმდა.

სოკრატე მიუახლოვდა, რაღაცა ბალთა, სამაჯური, ბეჭედი და საკინძი ესხა, თითით შეეხო და ჰკითხა:

— ოქროა?

ოქროთ? — ამ სიტყვამ უცებ შეაკრთო ერთი იქაც ბრბოში მოყიალე კაცი.

— ბაჯადლო ოქროა! — კვეხნით მიუგო ჰიპიამ. — ჩემი გამოჭედილია

და ქვებიც ნამდვილია. ეს ყველაფერი იქიდან არის, რასაც გაკვეთილებისთვის მიხდიან.

— ჰააუ, რა ფუფუნებასა ვხედავ? — გაისმა დუმილში ბოხი ხმა და, ბრბო გამოარღვია უცნობმა, რომელსაც მკერდზედ ბრინჯაოს ბალთა ეკეთა. ის საჩქაროდ მივიდა ჰიპიასთან და მოურიდებლად დაუწყო თვალიერება ძვირფას აბრეშუმეულსა და ძვირფას სამკაულთ. ჰიპია ზიზღით მიბრუნდა: [illegible] აჯუჯღუნდა:

— მე ასტინომე ვარ, ხალხის მიერ დაყენებული ზედამხედველი, თვალი უნდა ვადევნო, რომ ზედმეტი ფუფუნება არ იყოს. ეს ოქროა, არა? ესეც ხომ? ჯარიმა დიდი იქნება, მოქალაქევ! შენი სახელი?

მაგრამ სოკრატეს ასტინომესთვის უკვე მხრებში ჩაევლო ხელი:

— ნუ ჩქარობ, ძმობილო!

— ჰაირე, სოკრატე. შენ რა, იცავ ამ გამოპრანჭულ კოხტაპრუწას?

— ეს სოფისტი ჰიპია ელიდელია. ათენში ჩემთან სასაუბროდ ჩამოვიდა. უცხოელია და არ იცის ჩვენი კანონ-წესები. შეგიძლია, რომ გვერდი წყნარად აუარო.

ასტინომემ ერთხელ კიდევ შეათვალიერა უცხოელი და თქვა:

— რაკი შენ უდგები, სოკრატე, თავდებად, ჯარიმაზედ უარს ვამბობ. ჰაირე!

ზედამხედველი განშორდა, მაგრამ ცნობისმოყვარეთა ბრბოში დარჩა.

— ძვირფასი ნაცნობობა გქონია, — უთხრა ჰიპიამ სოკრატეს. — მადლობელი ვარ გამოსარჩლებისთვის.

— მე ისა ვქენი, რაც სტუმარს ეკადრება. მაგრამ მეტის ქმნა მინდა, საყვარელო ჰიპია. სამახსოვრო რამ უნდა შეგძლენა. — სოკრატემ მაცდურად გაუღიმა. — რას იტყვი, თუ გაგანდე, რაოდენ უსაზღვროდ თავისუფალი კაცი ვარ? ეგების გზა-გზა სუყოველ კაცს ჩაუწიგნო ჩვენი შეხვედრის ამბავი და დამცინო კიდეც: იცით, კეთილო ხალხო, გამომშვიდობებისას სოკრატემ რა მითხრაო?

— გთხოვ, ილაპარაკე. ველი შენს ძღვენს. — უთხრა ჰიპიამ იმ იმედით, რომ თავს მოაწონებდა იმათ, ვის თვალშიც თავის მოწონება სურდა.

— „უყურეთ ერთი! — დაიწყო სოკრატემ ვითომ ჰიპიას პირით. — ამ უცნაურ, აჯაჯულ, ფეხშიშველა კაცს თავისი თავი ყველაზედ უფრო თავისუფალ ადამიანად წარმოუდგენია, რამეთუ, — ჰოი, ალარ შემიძლია ამდენი სიცილი! — რამეთუ თავის ვნებათა მონა არ არის და კიდევ იმიტომ, რომ ათენის კანონით, სახელგანთქმულ წინაპართაგან ბოძებულ კანონთ ემორჩილება! ხოლო ვინაიდან ათენის კანონები, ამ ახირებული კაცის აზრით, კარგი კანონებია, ამიტომ თვითონ, როგორც ათენელი, თურმე ორმაგად თავისუფალი ყოფილა. ჰა-ჰა-ჰა!“

— ეგ სასაცილო არ არის, — ფიქრიანად თქვა მოლუშულმა ჰიპიამ.

— „გარდა ამისა, ძვირფასო მეგობრებო, — განაგრძობდა სოკრატე ჰიპიას სავარაუდო სიტყვას, — ეს ახირებული კაცი ამტკიცებს, რომ კაცთა შორის ყველაზედ უფრო თავისუფალ ადამიანად ისა ხდის, რომ არა აქვს თითქმის არავითარი მოთხოვნილებანი — გარდა აუცილებელი ტახსაცმლისა და სასმელ-საჭმელისა. ჰა-ჰა!“

— აწლა ნება მიბოძე, ძვირფასო სოკრატე, რომ მადლობა შეგძლენა საჩუქრისთვის. შენ, მგონი, იმაზედ მეტი გაიღე, ვიდრე ფიქრობდი. ახლა ჩემთვის ნათელია, რატომ დადიხარ ფეხშიშველა და რატომ ხარ ეგრე აჯაჯული. აუცილებლობას შენ სათნოებამდე ამაღლებ...

ორად გაყოფილ ლიანგს შუა ფილოსოფოსთ მაღალი ახალგაზრდა კაცი უაბლოვდებოდა. შავ ქოჩორზედ ცეცხლივით წითელი ვარდების გვირგვინი უელავდა. ალისფერი აბრეშუმის მოსასხამი მხრებს უკან უფრიალებდა და მიწაზედ დასთრევდა. სახე ულაჟვარდებდა, თვალებში ოდნავ ბინდი ჩასდგომოდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ნადიმიდან ბრუნდებოდა.

— შენ სუყველას უფასოდ ასწავლი, საბრალო სოკრატე, — ამბობდა ამ დროს ჰიპია, ხმამაღლა, რათა მთელს ბრბოს გაეგონა. როგორ ზეიმობდა, თუმცა დამცირება ვერ მოენელებინა, — არად აგდებ შენს სიბრძნეს — აბა, როგორღა გინდა ამის შემდეგ, რომ შენთა მოწაფეთ და მსმენელთ დაგაფასონ? ლატაკთაგან, რომელთა გარეგნული დამსგავსებაც გინდა, ობოლოსებსა და დრაჭმებს ნუ ელოდები. ლატაკი ლატაკს ვერ მოგეშველება. შეძლებულნი კი ჯერ არ გასულელებულან და არცრას გადაგიხდიან, რამდენიც გინდა ამტკიცო: „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“!

მაღალი ჭაბუკი კი ლაღად მოაბიჯებდა, მოქნილი და ძლიერი, ზედგამოჭრილი მტაცებელი. ფეხზედ რბილი სანდლები ეცვა, წვივებზედ ჯვარედინად შეკრული თასმები მუხლებამდე სწვდებოდა. მჭრეალი აბრეშუმის ქათქათა და ფაფუკნაქეცებიანი მოკლე ქიტონი ეცვა, სამაგიეროდ გრძელი ალისფერი მოსასხამის კალთა ძირს მისთრევდა. ჭაბუკის გვერდით უზარმაზარი ქოფაკი რბოდა, იშვიათი, ძვირფასი პირუტყვი. ჭაბუკმა ყველას ყურადღება მიიქცია. ევთიდემემ ალტაცებით ამოიოხრა.

ახალგაზრდა კაცი სწორედ მაშინ მიეახლოვათ, ჰიპია სოკრატეს რომ არცხვენდა, და ყველაფერი გაიგონა. სოფისტებთან უკვე ახლოს მისულმა ძაღლს უბრძანა:

— დარიონ, გეში!

დიდებული სანახაობა იყო: ვეებერთელა ძაღლი წამიერად შედგა პირაშკმული...

პატრონი სოკრატეს მიუბრუნდა:

— მივუშვა?

— ღმერთებმა დაგიფაროს, ალკიბიადე! უბრალოდ ცოტა წავიკინკლავეთ — ნუ დავაგლეჯინებთ ამისთვის ჩვენთა ორთა შორის ყველაზედ ნაზ არსებას!

და უცებ ბრბოც და სოკრატეც ერთად ახარხარდნენ:

— გაპარულა, რაღას მიუშვებ!

მართლაც, ჰიპია ისე გაუჩინარდა ბრბოში, როგორც წყლის წვეთი მდინარეში.

8

ალკიბიადე სოკრატესთან მივიდა. თავი მდაბლად დაუკრა მოძღვარს და ენა გამოაგო, რაც საამოდ მოსასმენი იყო, მით უმეტეს, რომ თანხმოვან „ს“ ცოტა უკიდებდა. სიტყვები კი ალსავსე იყო სიყვარულითა და ალტაცებით:

— ჩემო ძვირფასო სოკრატე! ოდეს ათენის ცაზედ ოქროს ეტლით თვითონ ჰელიოსი გამოდის, იმისი ელვარება თვალს ისე არ მჭრის, როგორც შენი სახე.

გარშემო ყველაფერი მშვენიერ ახალგაზრდას ულიმის, ყველას იქითა აქვს ყური. მხოლოდ ბიძაშვილი მისი, კრიტია, ადევნებს თვალს ევთიდემეს, რომელიც ალკიბიადეს მოსასხამს ეპოტინება. ბოლოს წასწვდა კიდეც, და ევთიდემემ

თვალები ნეტარებით მილულა. ყველას, ვისაც არ ეზარება, ერთნაირად უყვარს ეს ქედმაღალი მეტიჩარა: სოკრატეს, ხალხს, ჩემს ევთიდემესაც კი, ფიქრობს კრიტია. მე კი არავის ვუყვარვარ...

ალკიბიადე უზომოდ გახარებულია:

— ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, შეგხვდი, ძვირფასო სოკრატე!

სოკრატე ირონიით გამოეხმაურა:

— მართლაც! მერედა, როგორ შევხვდით ამჯერად ერთმანეთა... თავზედ ისევ ვარდის გვირგვინი გადგას? ნადიმიდან მოდიხარ. მთელი თვეა თავს მარიდებ, ქეიფობ. მაგრამ ამას რას ვხედავ? ვინ დაგისახიჩრა დარიონი? ვინ მოაჭრა კუდი?

— მეც მენანება. კუდი საოცრად უხდებოდა.

— ქლესავ! — დაისიცინა კრიტიამ. — ხალხი შენზედ ამბობს, შენ თვითონ მოგიჭრია!

— შეუძლებელია. — წარმოთქვა სოკრატემ.

ალკიბიადემ მორჩილად ალიარა:

— მართალია. სისუსტის წუთებში... ბევრი დავლიე... ჩემი ცოლი ჰიპარეტე მიშლიდა, ტიროდა... მართლაც სამარცხვინო რამ ჩავიდინე. ვნანობ...

— ასეთი იშვიათი ცხოველია! — ჩაურთო კრიტიამ. — შენ თვითონ ამბობდი, სამოცდაათი მნა მივეცით!

— ო, ჰერა! — შეძრწუნდა სოკრატე. — იმაზედ ათჯერ მეტი, რაც ათენსა და ჰუდიში მაქვს!

— ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ შენ ჩემთან ერთად არ იყავი, ძვირფასო სოკრატე!

— მაგისთვის მთელი ათენი ბრალსა გდებს, — ჩაილაპარაკა კრიტიამ.

— იმისთვის, რომ სოკრატე ჩემთან ერთად არ იყო?

— იმისთვის, რომ მშვენიერი ძაღლი დაამახინჯე.

— მეც ეგ მინდა, — შეეკამათა ალკიბიადე. — დაე ჩემს ოინებზედ ილაპარაკონ და არა რაღაც უარესზედ.

— განა აქვთ შენზედ ამის უარესი რამ სალაპარაკო? — ჰკითხა სოკრატემ.

— აქვთ, ზევსსა ვფიცავ!

სოკრატე მოიღუშა:

— აი თურმე რატომ მემალებოდი ამდენ ხანს!

ალკიბიადემ აინანულით ალიარა: დიახ, მართლა მერცხვინებოდა შენთან პირდაპირ შეხვედრაო. ჰეტერების ცთუნებას ავყეო, ლოთობასა და ქეიფს გადავყეო... მაშინ სოკრატემ ჰკითხა: მართლა გრცხვენოდა და იმიტომ არ მეჩვენებოდი თუ არ გინდოდა, რომ ქეიფში ვინმეს ხელი შეეშალაო? ალკიბიადემ გზნებით შესძახა:

— უკეთუ, უბრძნესო და უმამაცესო, პოტიდეის ბრძოლიდან დაჭრილი არ გამოგეყვანე და არ გეხსენი, აწ საიქიოში პერიკლეა ჩრდილს ვიქნებოდი შერთული! ამჯერად კი, სოკრატე, მეორედ უნდა მიხსნა, თორემ ვიღუპები! თავს ვერ ვერევი, ვნებები მძლევენ...

— გულსა მტკენ, მეგობარო!

— ო, სოკრატე, მოძღვარო ჩემო, რაოდენი კაცური ღირსებაა შენში! — გატაცებით განაგრძობდა ალკიბიადე. — არ უკუაგდო ჩემი თხოვნა! შენში ისეთი დიადი ძალაა, ყველაფერი შეგიძლია, გიჟური ჟინის შემოტევისგან ჩემი დაცვაც კი. ო. მე ისევ მწყურია, როგორც ომში, შენთან ერთად ერთ კარავში

ყოფნა, ერთი ლუკმის გაყოფა, მტერთან შებმა, შენ გვერდით დგომა და შენგან ყოველი სიკეთის სწავლა! შენ არ იცი, რარიგ გაფასებ, ყველაზედ უფრო ფასდაუდებელო მეგობარო! ჩემო მხსნელო!

— ჰო, გეყოფა, — შეაწყვეტინა შუბლშეკრულმა სოკრატემ. — სულ აზვიადებ, თუმცა იცი, რომ გაზვიადება არ მიყვარს.

— ახლა აღარ მოგშორდები, სოკრატე! — აღმოხდა ალკიბიადეს. — შენთან უკეთესი ვხდები. უშენოდ ბოროტების დემონები მეუფლებიან. მე კი, ჩემო უძვირფასესო, არც ისეთი ბილწი ვინმე ვარ, რომ ავი მახარებდეს! ავი მსურდეს! ზევსია მოწმე — უბედური კაცი ვარ, როცა ცუდად ვიქცევი. მისაყვედურე, სოკრატე, შენი სიტყვის ძალით შემკარი, გამშოლტე, შემდექი!

— გაჩუმდი, ალკიბიადე! არაფერში ზომიერება არ იცი. არც ცოდვებში, არც სინანულში. რამდენჯერ გითხარი, ადამიანის უზენაესი სათნოება სოფროსინეა-მეთქი! ზომიერება, ზომის გრძნობა... ის არის ყველა სხვა სათნოების წინამძღვარი, უიმისოდ ადამიანი ჩალის ღეროა, რომელიც ქარს მიაქვს!

მაგრამ ალკიბიადეს დაშოშმინება არც ისე ადვილი იყო.

— სოკრატე სათნოებათა გამო რომ ლაპარაკობს — იგივ ღვთისმსახურებაა. მთელი ათენის ახალგაზრდობა უნდა უსმენდეს...

—რადგან ახალგაზრდობაში იმას ვაშიშვლებ, რაც არაჯანსაღია, არა? ასევე შენში, ხომ?

— შენ უკეთურ ზნე-საქციელს აშიშვლებ. მაგრამ ამასთან უკეთურ აზრებსაც. რაღა შენ და რაღა წინასწარმეტყველი, ნათელმჭვრეტელი... — ალკიბიადე ვეღარ ცხრებოდა. — ყველაზედ მეტად გვიყვარხარ, სოკრატე! ჩვენი მამა ხარ, უკვდავი ღმერთების ხმა ხარ! — და ისევ თავის დამცირება, — უშენოდ არცრა ვიქნებოდი! მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი მოთვინიერება, ვეფხვის მოთვინიერება, და აი მორჩილად ვწევარ შენს ფერხთით. მორჩა, ამის შემდეგ უშენოდ ნაბიჯსაც აღარ გადავადგამ. შენსაკით უბრალოდ და ლამაზად ვიცხოვრებ...

ალკიბიადემ მხრებიდან ალისფერი მოსასხამი ჩამოიგლიჯა და პორტიკის კიბიდან გადაისროლა. მოსასხამი აფრიალდა, ნამდვილი ცეცხლის ალივით დაიწყო ბურბური, — და მისცვივდა ხალხს გლეჯა დაუწყო: ყველას სურდა, რომ ამ აღმოსავლური ფუფუნების თუნდაც მცირე რამ ნაგლეჯი მაინც წაეღო სამახსოვროდ.

კრიტიამ ბიძაშვილს გესლიანად მიმართა:

— ამ შენს ძაღლსაც ხომ არ ესვრი ბრბოს?

— ძაღლს არა, ამას ვერ შეველევი... — კრიტიას თვალებში ჩახედა, — ეს უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე ის კაცნი, რომელთაც ბალღამი გადმოსდით...

სოკრატე გახარებული იყო ალკიბიადეს მონანიებით, რაც გარეგნულად იმით გამოიხატა, რომ მხრებიდან ძვირფასი მოსასხამი მოიგლიჯა. მაგრამ აქ გაახსენდა მხატვარი აგათარქე, რომელიც ალკიბიადეს თავისთან სახლში ჰყავდა იმ პირობით ჩაკეტილი, რომ სანამ სუყველა კედელს არ მოუხატავდა, არ გამოუშვებდა. აგათარქეს საქმე როგორ არისო, ჰკითხა სოკრატემ. ალკიბიადე გამოუტყდა, მხატვარი ჯერ კიდევ ჩემს ტყვეობაშიაო.

— რა სამარცხვინოა! რა ძალადობაა! და ამის შემდეგ მპირდები, რომ გამოიცვლები?!

— მალე გამოვუშვებ, სოკრატე. მალე დაასრულებს. მთელი სახლი დამიმშვენა. ჰიპარეტე აღტაცებულია იმისი ხელოვნებით. დამეთანხმე! თავის ნებაზედ რომ ევლო, ამდენს ვერ მოასწრებდა, ოთხ შიშველ კედელს შუა გა-

მომწყვდეულს კი თავისუფლება ენატრება და უფრო გულიანად მუშაობს, სულ პეიზაჟებით და ადამიანებით მოხატა იქაურობა.

ირგვლივ გაეცინათ.

გაიცინა კრიტიამაც: რამდენი თავხედობაა, რამდენი ახირება... რამდენ უმსგავსობას სჩადის ალკიბიადე — და ეს უნდა გახდეს ათენში პირველი კაცი?!

— რატომ სამხედრო საქმესა და პოლიტიკას არ მისდევ, სოკრატე, საამისოდ ყოველგვარ საჭირო ცოდნას აგრე რიგად დაუფლებული? — მიუბრუნდა კრიტია ფილოსოფოსს.

— მაგ საქმეს რომ გავყოლოდი, საყვარელო კრიტია, მგონი, რაღაცას მივაღწევდი, მაგრამ მაშინ მარტო ვიქნებოდი. მე კი იმისთვის ვირჯები, რომ მართვა-გამგებლობის ხელოვნებას — ათენის სასარგებლოდ — მეტი და მეტი ხალხი დაეუფლოს. ამიტომ პოლიტიკას კი არ გავყე, თქვენდა სამსახურად დავდე თავი. ამ გზით ერთგვარად გავმრავალკაცდი, და სხვებთან იმად გაახლოვებთ, რათა კეთილი მეგობრები გახდეთ... — ნუთუ ვერა ხედავს სოკრატე, რაგვარი სიძულვილით უყურებს კრიტია ალკიბიადეს, რომელსაც სიყვარულით შესცქერის ევთიდემე? — რათა სათნოდ აღუპყრობდეთ ერთმანეთს ხელსა და ცხოვრების ყოველგვარი სიამით სარგებლობდეთ...

იქავ შორიახლო კი, პორტიკის ქვეშ, ორი ეპიგონი სოფისტი ხალხს ჩასჩიჩინებს, რარიგ უნდა მიაღწიონ იოლად და სწრაფად წარმატებას, ძალაუფლებასა და კეთილდღეობას.

— სარფა საყოველთაო კანონია! სარფა ჩვენი დროების მოქალაქის მიზანია! — ერთიმეორეს არ აცლიან სოფისტები.

— სარფა ვერცხლით სავსე მუჭაა! — ჩაერია სოკრატე. — მაგრამ თვითონ შიგნიშიგან სხვა რა აქვს იმას, ვისაც ხელთ ოქრო-ვერცხლი უჭირავს? უბადრუკობა და სიცარიელე, რამეთუ ნამდვილი სიმდიდრე განსწავლულობა, სიბრძნე და არეტე, ანუ სიქველეა...

უსიამო სიცილი გაისმა. ეს ანოფელესი, მარმარილოს სვეტს მიყრდნობილი ათენელი კონკიაჟღარუნა ბიჭი იცინოდა ასე უსიამოდ. და დამცინავად უცქეროდა სოკრატეს:

— ნამეტანი ღრუბლებში დაფრინავ, სოკრატე! ვერა ხედავ, ხალხი რითა სუნთქავს. ეს ორნი მართალნი არიან. კაცს წიწაკასავით ერთი მწიკვი სიბრძნე ეჭირვება, სამაგიეროდ — ბევრი ეშმაკობა, რათა იოლად წარემატოს. რა თავში ვიხლით სათნოებას, მოქალაქენო? რად გვინდა, ერთი მითხარით? გაგვაძღობს თუ რა? პირიქით, სათნოებისთვის შიმშილსა და სიღარიბეს იძლევიან, ხან იქნებ საკუთარი თავიც წააგოს კაცმა. ჰა-ჰა! რაო, უბრძნესო სოკრატე, მართალი არა ვარ?

— მართალი ხარ, ანოფელეს, — გაიცინა სოკრატემ — ამ სოფისტებისა არ იყოს, მართალი ხარ.

და ანოფელესმა შეჰყვირა:

— დიდება ბრძენ სოკრატეს!

9

მეთუნე პერთინი მეხუთე შვილის დაბადებას ზეიმობდა. ბიჭი ეყოლა, და რაკი საკმაოდ შეძლებული იყო, სახლიც დიდი ჰქონდა, ლხინი

გამართა და მეგობარ ხალხს დაუძახა. მიწვეული ჰყავდა ქსანთიპეს მამა ნაქტერიც.

ნადიმი მხიარული და ხმაურიანი გამოდგა, რადგან პერთინის უფროსი შვილი ურიგოდ არ უკრავდა ავლოსზედ, რომლის ყღერასაც დროულად თუ უადგილოდ სტუმრებიც ეხმიანებოდნენ.

ნაქტერს ყოველი მხრიდან ხუმარსიტყვა დააყარეს.

— აიღე წკეპლა, მეგობარო, და ზურგი მოფხანე იმ შენს უფროს გოგოს!

— ვითომ რატომაო? — გაუკვირდა ნაქტერს. — უკეთეს ასულს, ვიდრე ჩემი ქსანთეა, ვერც ვინატრებდი!

პერთინს ცალი თვალი მოჭუტული აქვს, მეორე უცინის, და ეუბნება:

— რაც მართალია, მართალია, კერამეიკონში შენს გოგოზედ უკეთ ქოთნებს ვერცვინ ვერა ყიდის!

ნაქტერის მეზობელმა კი გაჯავრებით წაიბურტყუნა:

— ასულის ქება კარგია, ნაქტერ! მაგრამ მე რა ვქნა? სუყველა მუშტარს თავისკენ იბირებს!

— მარტო შენს მუშტარს კი არა, ძმობილო, — პერთინმა თანამესუფრეთ თითით წრე შემოავლო, — სუყველასას იბირებს, ეშმაკის ფეხია! მაგრამ წკეპლას დროზედ თუ არ აიღებ, ნაქტერ, იცოდე, გაგექცევა. ჩვენ რა გვენაღვლება, შვებით ამოვისუნთქავთ!

მეთუნეთ გულიანად გაიცინეს და სიცილ-სიცილში აქილიკებდნენ ნაქტერს.

— კარგი გოგო კი გყავს, თვითონ ჰერმესი უპაჭუნებს თვალს თავისი ჰერმიდან!

— საქმე, მგონი, უკვე გაჩარხულია! მორჩა, ჩვენს ჭურჭელს ეშველა, შენ იდარდე, ნაქტერ!

ნაქტერი აზრზედ ვერ მოდიოდა, ლხინია, მეხუმრებიანო, ფიქრობდა.

— რა იყოთ, რამ აგაყაყანათ? დაძეხით, დატყვერით და ახლა ჩემს ხარჯზედ ხუმრობაც მოგინდათ!

—რაკი ეგრეა, შენც ადექი და ჩვენთან ერთად იცინე!

— კარგად გიცნობთ, ვინცა ბრძანდებით. ჩემი მასხრად აგდება გადაგიწყვეტიათ. უნდა გამაბრაზოთ. — ამას რომ ამბობდა, ნაქტერი უკვე მართლა ბრაზდებოდა. — ოღონდ მეტისმეტი არ მოგივიდეთ! ქსანთე ჩემი მარჯვენა ხელია! ტყუილად მაშინებთ! — ნაქტერმა რისხვით გადაატრიალა თვალები. — რომელს მოგივიდათ ეგ სულელური აზრი, რომ ქსანთე გამექცევა? შენა, პერთინ?

— საერთოდ მამებს როგორ გაურბიან თავიანთი ასულნი? შენ რა, თავის დროზედ სხვა მამას არ წაჰგვარე ქალიშვილი? — და პერთინმა ფერდში წაჰკრა ნაქტერს ხელი.

ნაქტერს წარმოდგენაც არა ჰქონდა, რა ხდებოდა ქსანთიპეს გულში. მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ყველაფერი იცოდა:

— აბა, აბა, ეგრე რატომ ჩქარობ, საყვარელო პერთინ? შენს ბიჭს, ეტყობა, ერთი სული აქვს, სანამ ჩემს ქსანთეს მოიყვანდეს, არა? ცოტა დაარიგე კიდევ ორიოდ წელიწადი მოთმინება ურჩიე პირტიტველ ძუძუმწოვარას. მერეც მოესწრება ცოლის ალერსს...

— პირტიტველაო! ძუძუმწოვარაო! — გადაბჟირდა პერთინი.

— მაშ ვინ არის? რა თქმა უნდა, ძუძუმწოვარა! — აენთო ნაქტერი. და ხარხარი გაისმა:

— გაიგონეთ? ამისთვის სოკრატე ძუძუმწოვარაა!

ნაქტერმა ყელში ფხაგაჩხერილი ძალლივით გადმოკარკლა თვალები.

— რაო? ვინაო? რასა ლაშავთ? ვინ სოკრატე?

— ათენში, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ერთია სოკრატე! — სიცილით იგუდებოდა პერთინი. — ლმერთმანი გავსკდები! სოკრატე ქსანთიპეს საქმროა. მამიკომ კი არაფერი იცის!

სიტყვა „საქმრომ" ნაქტერი წამერთ აღერღა, მაგიდას მუშტი დაჰკრა და მეთუნეთა საერთო ხორხოცში შინისკენ მოკურცხლა.

ჯერ კიდევ ზღურბლზედ იდგა. რომ აღრიალდა:

— ადექით! აიშალენით! გამოეთრიეთ საწოლებიდან! თქვენ არა, აჭალბუჭულებო, თქვენ ისევ მიდით, დაიძილქუშეთ! ცოლო. შენ გეუბნები! ქსანთე, აქ მო!

ცოლი საწოლზედ ჩამოჯდა. ნამძინარევი, თმააჩეჩილი, ფეხშიშველა ქსანთიპე დაჭმუჭნული პეპლოსის ამარა წარუდგა მამას.

ნაქტერი ჯერ დიდხანს ილანძღებოდა, აგინებდა ყველა ღმერთსა და საძაგ წუთისოფელს — საიერიშოდ ენას ილესავდა. მერმე მეხივით იქუხა და ქსანთიპეს შეუღრინა:

— უკეთურო, სოკრატეს იცნობ?

— მაშ როგორ, ათენში იმას სუყველა იცნობს.

— შენც იცნობ, ცოლო? — და დინჯი შემოიყარა ნაქტერმა, რომ მტკიცე პოზიცია დაეჭირა.

— რა თქმა უნდა, ვიცნობ. ხშირად ვხედავ ბაზარში.

— აი საქმეც ეგ არი. მაწანწალასავით დაეთრევა ბაზრებში, ქუჩა-ქუჩა, არაფრის მაქნისია, მარტო ენას ატარტარებს და ჩვენს გოგოს გონებას ურევს.

ქსანთიპეს თითქმის არცროდის შეებრუნებინა მამისთვის სიტყვა, ახლა კი შეუბრუნა და საკმაოდ მკვახედაც:

— მე მეგონა, რომ ნასწავლი კაცი იყავი, მამაჩემო. და ულირს სიტყვას არც შენს თავს აკადრებდი, არც სოკრატეს.

— რა სიტყვას?

— რასა და, არაფრის მაქნისია, მხოლოდ ენას ატარტარებსო.

— რა, ტყუილი ვთქვი?

— არა, ეგრე არ არის, მამაჩემო. ვისაც ლაპარაკს უბამს, თან ასწავლის კიდეც.

ნაქტერმა თვალები დაუბრიალა:

— რას ასწავლის?

— ფიქრს, — მოკლედ მოუჭრა ქსანთიპემ.

ფიქრს! ნაქტერისთვის ეს მეტისმეტად რთული ამბავი იყო.

— ფიქრს რა სწავლა უნდა! აი სულელი!

ნაქტერის ცოლს არც რა ესმოდა, რა ხდებოდა. საქმეში გარკვევა სცადა:

— რა გესაქმება, ქსანთე, იმ სოკრატესთან?

ქსანთიპემ თითქმის დაიმღერა:

— ქმრად უნდა შევირთო.

— რა-ო?! სოკრატეს შენი ცოლად შერთვა უნდა?! — დედა ლამის ჭკუაზედ შეიშალა.

— მე კი იმისი ქმრობა მინდა. უკვე შევთანხმდით.

— უჩემოდ?! — შეჰყვირა ნაქტერმა.

— უშენოდაც მოვახერხეთ, მამაჩემო!
მშობლების საძინებელ ოთახში ლრუბელი ჩამოწვა, და მეხმაც იქუხა.
მამა:
— თითზედ გადასახვევი არაფერი აქვს!
ქსანთიპე:
— სამაგიეროდ მე ვეყოლები.
მამა:
— ჰეტერებთან დადის!
ქსანთიპე:
— ალარ ივლის.
მამა:
— არ მუშაობს!
ქსანთიპე:
—ვასწავლი მუშაობას.
მამა:
— მარტო ლაპარაკად არის ქცეული!
ქსანთიპე:
— ლაპარაკი მეც მიყვარს. დიალოგს გავაბამთ.
დედა:
— მგონი, საჭმლის გემოც არ იცის... დგას და მზესუმზირას აკნატუნებს...
ქსანთიპე:
— ცხელ კერძს არ მოვაკლებ.
დედა:
— დილით საღამომდის აგორაზედ და გიმნასიებში დაყიალებს.
ქსანთიპე:
— ალარ ივლის, სულ შინ იჯდება ჩემ გვერდით.
დედა:
— მთელი ღამეები ქეიფობს, ნადიმებს უნდება, ლაპარაკის გიჟია.
ქსანთიპე:
— ნადიმს შინ მოვუწყობ ხოლმე, და რამდენიც უნდა, ილაპარაკოს.
მამა:
— ის კი არა, ადამიანების გამოცვლა უნდაო, ამბობენ.
ქსანთიპე:
— თვითონ იმას გამოვცვლი.
დედა საჩოთირო კითხვას აძლევს:
— რით იცხოვრებთ?

სხვა ყოველი ელადელი ქალიშვილი, სოკრატეს ცხოვრებაში ჩახედული, უცილოდ დაიბნეოდა. მაგრამ ქსანთიპე... ქსანთიპეა!

თავისი მჭერმეტყველების რაბები უმალ დახსნა და ამეტყველდა:

— როგორ ფიქრობთ, თქვენი ქალიშვილი რა, მთავარზედ არ ვიფიქრებდი? ყველა მოჭიქულ ქოთანსა ვფიცავ, მაშინ ცუდი დიასახლისი ვიქნებოდი! ჯერ ერთი: მზითევს გამატანთ, და არც ისე მცირეს, როგორც არაერთხელ დამპირდა მამაჩემი. დაიცა, მამი! ჩუმად იყავი! ახლა მე ვილაპარაკებ. მზითევს, რა თქმა უნდა, არ გავფლანგავთ. იმ ფულით იმას ვიყიდით, რაც სარჩოს გაგვიჩენს: ვირს, თხას, კარგ იარაღსა მამულში სამუშაოდ — (საქმიანმა ქსანთიპემ აქ პატარა ჰიპერბოლის ხმარების ნება დართო თავისთავს, რათა მშობლები განე-

ცვიფრებინა). — რომელ მამულშიო, მეკითხებით? რომელში და, სოკრატეს მამულში, ჰუდიში, ჰიმეტოსის ძირას. მე ნამყოფი ვარ იქ, იმასთან ერთად ვიყავი — ვენახიცა აქვს და ზეთისხილის ჭალაც, რამდენიმე ლელვის ხეც უდგას... მოკლედ, მამულია. თუ კარგ ხელში ჩავარდა, დემეტრას წყალობით, იმდენი მოსავალი მოვა, პირს დააღებთ!

სულის მოსათქმელად შეჩერდა, და ნაქტერმაც ამით ისარგებლა:

— მაგრამ იმ ვენახში და ბაღში ვინმემ ხომ უნდა იმუშაოს?

— სოკრატემ და მე.

— თხას მოწველა უნდა, ნაკელს გატანა...

— მე და სოკრატე მოვწველით კიდეც და ნაკელსაც გავიტანთ.

მშობლების ყოველი თავდასხმა ქსანთიპეს ნებისყოფაზედ იმსხვრეოდა, როგორც ტალღები ათასწლოვან კლდეზედ, — მაგრამ ზვირთცემა არ ცხრებოდა.

— ოცი წლით უფროსია შენზედ!

— უკვე მელოტდება!

— სანდლებიც კი არა აქვს.

— თავისი მფარველი კრიტონის ხარჯზედ იკვებება. როგორც გლახაკი!

— ძერწვა მიატოვა, რაც გვარიან შემოსავალს აძლევდა!

— რამდენიმე მოწაფე ჰყოლია, მაგრამ, გეყურება ქსანთიპე, ამბობენ, იმათგან არც ერთ ობოლოსს არ იღებსო.

— გაჩუმდით! — შესძახა ქალიშვილმა, როგორც კი იგრძნო, რომ დავამ აპოგეას მიაღწია. — ის მდიდართა შვილებსაც ასწავლის...

დედ-მამამ ყურები ცქვიტა.

— ჰოდა, მოველაპარაკები, და კარგა ლამაზად გამოართმევს სწავლის ფულს! — წარმოთქვა ქსანთიპემ.

მშობლები დაწყნარდნენ. წარმოდგენაში თვალწინ დაუდგნენ სოკრატეს უმდიდრესი „მოწაფენი", რომელთაც მთელი ათენი იცნობდა: ალკიბიადე, კრიტია, ქარმიდე....

იმლამინდელი საუბარი ქსანთიპემ ასე დააბრუნა:

— მე და სოკრატეს იმდენი ფული გაგვიჩნდება, არც კი გვეცოდინება. სად უნდა დავხარჯოთ, ღამე ნებისა.

მიბრუნდა და დასაძინებლად წავიდა.

ნაქტერმაც დასაწოლად დაიწყო ტანთ გახდა. ცოლმა უთხრა:

— სულაც არ მიკვირს, მამავ, ჩვენი ასულის ამბავი. გულწრფელად უნდა ვალიარო. ამას წინებზედ ბაზარში შევიარე, თევზი მინდოდა. ვხედავ — სოკრატე დგას. თუმცა ფეხშიშველა იყო, მაგრამ ისეთი სიტყვა-პასუხი ჰქონდა, მეფე გეგონებოდა. უკან კი ბრბო ასდევნებოდა. მერე ხალხს მიუბრუნდა — ის ვერ დავიმახსოვრე, რას ეუბნებოდა, ოღონდ ისე გულში ჩამწვდომად და მხიარულად ლაპარაკობდა, ხალხი თან იცინოდა, თან ტიროდა. იმას, მამავ, ხალხი ხელში უჭირავს. დამიჯერე.

ქალმა სანათური ჩააქრო და ქმარს მიუწვა, რომელიც უკვე იძინებდა მთელი დღის დაღლილი.

უცებ ქსანთიპე შემოვარდა და ზეიმოვნად შესძახა:

— დედა! მამა! მთავარი მაინც არ მითქვამს! სახელგანთქმული ქალი გაგიხდებით.

10

მდიდარ კალიას მიერ გამართული სიმპოსიონი ბოწყინვალე გამოვიდა. სოკრატეს ჩინებული წინასაქორწინო განწყობილების წყალობით სოკრატე თანამეინახეთ სიყვარულზედ ესაუბრა. ქალის სიყვარულზე [illegible] და დაუპირისპირა „ერთსქესა სიძაგლობას", როგორაც ბიჭებს [illegible] სიყვარულს უწოდა.

— შენ, სოკრატე, ქალის სიყვარულს ეგზომ მხურვალედ იმიტომ აღამაღლებ, რაკი თავად შეგყვარებია მშვენიერი და ძალიან ახალგაზრდა ასული. ამბობენ, თხუთმეტი წლით უმცროსი ყოფილა შენზედ?

— ოცით — შეუსწორა სოკრატემ.

— სამაგიეროდ ენა თურმე ბევრად უფროსი ჰქონია, — გესლიანად შენიშნა სოკრატეს ძველმა მეტოქემ, სოფისტმა ანტიფონტმა, გორგიას მოწაფემ.

— ზოგი იმასაც ლაპარაკობს, ქსანთიპე ათენში ერთადერთია, ვისაც თავისი ბასრი ენით მრავლის შემძლე სოკრატეს მორევა შეუძლიაო, — გააღიზიანა ფილოსოფოსი მასპინძელმა კალიამაც, — უკვე ისე ჰყავს სოკრატე დამორჩილებული, მალე თავს ცოლად შეართვევინებსო.

კალიას უმალ აუბა მხარი მომავალმა პოეტმა, ახალგაზრდა აგათონმა, რომელიც იმხანად ჯერეთ მხოლოდ ელოდა თავისი პირველი ტრაგედიის დადგმას, რასაც კიდევ რამდენიმე წელიწადს არ ეწერა ხორცშესხმა:

— თავის პატარძალს სოკრატე მოწაფედ ვერ გაიხდის — ის ქალი ხმას არ ამოაღებინებს!

ყოველი მხრიდან ხუმარსიტყვა ისმოდა:

— რა სეირი გველოდება: დიდი ფილოსოფოსი პატარა ქუსლქვეშ!

— აქ სოკრატე უკვე ვერაფერს გახდება თვით დედისგან ნაანდერძევი საშეანო ხელოვნებითაც კი! ქსანთიპეს სულიდან არამც და არამც ფენიქსი, ენაჭარტალა კაჭკაჭი თუ ამოუფრინდება!

— ამბობენ, ქსანთიპეს სოკრატეს სახელგანთქმული დიალექტიკაც კი ვერ გაუძლებსო!

კრიტონმა და კრიტიამ მასწავლებლის დაცვა სცადეს; ალკიბიადემ უკვე მუჭარით ასწია ვერცხლის მძიმე ფიალა, რომ ეგრევე ეთხლიშა იმისთვის, ვინც სოკრატეს კიდევ აწყენინებდა, მაგრამ სოკრატემ ხელის აწევით შეაჩერა ისინი: დაე, სუყოველთ ამოთქვან თავიანთი სათქმელი, ანტიფონტივით გესლიანმა მაგინებელთაც და იმათაც, ვინაც კეთილად ხუმრობს. თვითონ მხოლოდ ულვაშებში იცინოდა და ქიოსურს წრუპავდა. მაგრამ აი ხუმარსიტყვა ამოიწურა — თანამეინახენი ელოდნენ, ვნაოთ, აბა სოკრატე რას იტყვისო.

და მან პატარძლის არჩევანი ასეთი სიტყვებით გაამართლა:

— დღეს აქამომდე, სიმპოსიონიდან ან ქეიფიდან რომ ვბრუნდებოდი, შინ მარტოობა და სიმუნჯე მხვდებოდა. ღვინო ლაპარაკის საღერღელს კი ამიშლიდა ხოლმე, მაგრამ აბა ვის უნდა დავლაპარაკებოდი! ვდუმდი, როგორც თვითონ წყვდიადი დუმს! არა, ალარ შეიძლება. მტერს მუდამ მარტოდყოფნა! ვიდექი და მონოლოგს მონოლოგზედ წარმოვთქვამდი, რომ მარტოობა ნაკლებად მეგრძნო. ახლა სახლს არ იკითხავთ? საშინელებაა! არავითარი სიმყუდროვე, ოდენ სიცარიელე, დუმილი, სევდა.. აი ცოლს რომ შევირთავ, ო, ქვესკნელის ძალს ცერბერსა ვფიცავ, მაშინ სულ სხვა იქნება! გვიან ღამით ვბრუნდები. გესმით—გვიან! სხვა, რომელი ქალიც გინდა, გამეჭცეოდა. მაგრამ ქსან-

თიპე, ჩემი იპა, ჩემი კეთილი ფაშატი, ყოველთა ცოლთა ნიმუში, წინასწარვე თვალცხადლივ ვხედავ: მელოდება თუნდაც მთელი ღამე! შორიდანვე სცნობს ჩემს ნაბიჯს, შორიდანვე მაგონებს თავის წკრიალა, მხიარულ ხმას. მერე, როგორ არაკრაკებს ამ ხმაა, ალერსიანი სიტყვებით რომ მაძინებს... ეი დამუნჯებული სახლი მხიარულ დარბაზად იქცა, სადაც ცოცხალ გამოძახილად გაისმის სიტყვები... ო, რა ხმა აქვს! პირდაპირ წკრიალი გააქვს.

— ქოთნებსა და ჯამებს! — ჩაურთო ანტიფონტმა.

— ვით ყელარაკრაკებულ ბულბულს, — სოკრატემ ვითომ ვერც გაიგონა ანტიფონტის ნათქვამი. — ქსანთიპეს ხმა წმიდა ჭრიჭინობელას ხმაა. და ანტიფონტი შურისგან გაფითრდებოდა, ოდენ რომ გაეგონა, რამოდენ მხნეობასა და სიცოცხლის ხალისს იფარავს ამ მშვენიერი ასულის ყელი. იშვიათად ექნება ადამიანს ღვთაებრივი აღტყინების ისეთი უნარი, როგორიც ქსანთიპესა აქვს. სიხარულის ღმერთი დიონისე რომ იცნობდეს, თავის მომღერალ მენადებს შორის პირველ ადგილზედ დააყენებდა ჩემს ქსანთიპეს წკრიალა ხმისა გამო! ზოგი რიტორი ძლივს ამოღერღავს ხოლმე ორიოდ სიტყვას, ბორძიკობს, ნათქვამს იმეორებს, ხან ხელთ იშველიებს, ხან ფეხთ, პირდაპირ ცეკვავს ტრიბუნაზედ. ქსანთიპე კი? ძაღლსა ვფიცავ! სუყოველ რიტორს შეუძლია იმისგან სწავლა! დადგება, არტემიდას ალი-კვალ, ლამაზ ფეხს ოდნავ წინ წამოსწევს, მარცხენა ხელით დოინჯს შემოიყრის, მარჯვენას მოხდენილი ჟესტით ასწევს, გააღებს პატარა პირს და სულ სტვენა-სტვენით დაგვაყრის სიტყვებს იქით მუშტრებს, აქეთ მშობლებს, მე — სიტყვები კი არა, ისართა ღრუბელია, სპარსთა მხედრობა მოჰქრის თითქოს! ო, დამიჯერეთ, ძვირფასო მეგობარნო, ბევრს არ აწყენდა, რომ იმისგან ეაწავლა ლაპარაკი. ესწავლა გამოთქმათა სიმდიდრე, მიებაძა თავისებური გაბედული მანერისთვის, გადმოელო ინტონაცია და ესრეთ შემდეგ... მერე სინონიმთა რანაირი მცოდნეა! ერთი მოგასმენინათ, ბუნებისა და სულის სამეფოდან აღებული რამდენი მახვილი შედარებით შეუძლია თქმა თუნდაც უბრალოდ იმისა, რომ მე პაემანზედ დამაგვიანდა! მერე, როგორ აღმწერია! როგორა მცნობს! მე თვითონ არ ვიცნობ ისე ჩემს თავს...

— თუმცაღა შენი დევიზი ემთხვევა დელფოს სამისნოს დევიზს: შეიცან თავი შენი! — შესძახა კრიტიამ საერთო მხიარულ ხმაურში და უფრო გულიანად გაიცინა სუყველამ.

— აი, თქვე სულმდაბალნო! — შეჰყვირა სოკრატემ. — ვიცი, რატომაც ილესავთ იმაზედ კბილებს: გშურთ, რომ ქსანთიპე ჩემი იქნება! გშურთ, რომ აწ შინ ენაგავარჯიშებული გავმართავ სიტყვიერ ბრძოლებს, მერმე ნახავთ რა დღესაც დავაყრი ისეთებს, როგორიც ანტიფონტია, და საერთოდ ახალი ყაიდის სოფისტნი არიან. გშურთ, რომ მყავს ჩემი იპა, გიჟმაჟი და მიუთვინიერებელი ფაშატი! მაგრამ, თუ ამ ფაშატის თოხარიკს, ოთხზედ ნავარდსა და ყოველგვარ რბევა-ჭენებას გავუძელი, თუ გავუძელი მისთა კბილთა და ფლოქვთა შეხებას — მაშინ ალბათ ოჩანი ცხენივით ურჩ და მწიხლავ ათენელთაც გავუსწორდები!

ისეთი გამაყრუებელი ხარხარი ატყდა, სოკრატე წამერთ გაჩუმდა, რაც იმისთვის გამოიყენა, რომ ფიალა დაცალა და მონაა ანიშნა, ისევ შემივსეო. შემდგომად ამისა მოიხადა ვარდის გვირგვინი, ზე ასწია და თქვა:

— ყოვლის უფრო მდიდრული ვარდის გვირგვინი შენ შეგეფერება, ჩემო თვთრხელებიანო და ენამწარე პატარძალო! დაფიქრდით, ძვირფასნო: ქსანთიპე ახლაც უკვე სახელგანთქმულია მთელს ათენში და ატიკის საზღვართა მიღ-

მაც კი. თქვენთა სატრფოთა და ცოლთა გამო რაა იტყვით? მე არც კი ვიცი, გყვანან ისინი თუ არა! უკეთუ რომელიმენი ვარიკების პატრონები ბრძანდებით, მე იმათი სახელებიც არ ვიცი. ჩემი გემოვნებისა რომ არ იყოს ქსანთიპე, აბა რისთვის შევირთავდი ეს სიბრძნის ასაკში შესული კაცი? მიხვალ, ანტიფონტ, ჩემო შავო აჩრდილო, სხვა მხრივ კი გონებაგზიანე, აბა, რისთვის შევირთავდი? დიახ, უკვე წინასწარ მიხარია, როგორ დავბრუნდებიო შენ გვიან, — არა, მე თქვენსავით ფეხისწვერებზედ არ მივეპარები თანამეცხედრეს, ჩუმჩუმელა ლაჩარნო, — მე ჩემს სასახლეში დაფდაფთა და ბუკთა ქუხილით შევალ, და ქუხილი ესე უფრო ზარზეიმური იქნება, ვიდრე ისა, ბარბაროსთ ბრძოლებში რომ ახლავს...

იქუხა ტაშმა, გულიანმა ხარხარმა...

ფიდიას ათენას ტოპაზისფერი ბუკიოტის თვალები აკროპოლისის სიმაღლიდან ხედავდნენ ციცინათელების გუნდს. ჩვენ კი, დაბლა, ქალაქის ქუჩებში მყოფნი, ვხედავთ ჟინჟღილებს, რომლებიც თავზევით უპირავთ მონებს, იმათ გარშემო კი რამდენიმე კაცი ჩანს.

ეს პატივდებულნი კაცნი ბრუნდებიან მდიდარი კალიას ნადიმიდან.

ცოტა ხანში კი ათენას ტოპაზის თვალებმა აკროპოლისის სიმაღლიდან ციცინათელების სხვა გუნდი მოიხილა, კერამეიკონის დემოსიდან ალოპეკოსის დემოსისკენ მძიმედ რომ მიიწევდა.

ეს იყო მაყრიონი, რომელიც სოკრატეა ჰერქვეშ ჟინჟღილებით მიაცილებდა ცოლს მისას — ქსანთიპეს.

14

დიონისეს თეატრი თანდათან ივსება ხალხით. დღეს არისტოფანეს დიდი დღეა: მიაი კომედია — „ღრუბლები" ეჯიბრება კრატინეს კომედიას — „დერგს".

თითქმის არავის არ ეპარება ეჭვი: ახალგზარდა მახვილგონიერი არისტოფანე დაამარცხებს ბებერ ლოთ კრატენს. ტყუილად კი არ გამოიწვია არისტოფანემ შარშან საყოველთაო აღტაცება ათენში თავისი „მხედრებით" კლეონზედ თავდასხმის გამო.

კლეონი და არქონტნი, ქალაქის მმართველნი, თავიანთ ადგილებზედ ახდებიან. ყველაზედ უფრო საპატიო ადგილას დიონისეს ქურუმი დააბრძანეს. წარმოდგენაზედ ევრიპიდეც მოვიდა. მომწყობნი გაფაციცებით დარბოდნენ, სოკრატეს ეძებდნენ, მაგრამ ვერსად იპოვეს. ის კი, წელში მოხრილი, ყველაზედ უფრო ზედა რიგში იჯდა. მისთა მოწაფეთ სცენის სიახლოვეს ეშოვათ ადგილები. ქსანთიპემ რომ შეიტყო, კომედიაში ჩემი ქმარია გაკენწლილიო, ყველაფერი მიატოვა და თეატრში მიირბინა უკანასკნელ წუთს, როცა შესასვლელი უკვე იკეტებოდა.

გაისმა სარეკლის ხმა, და მოქმედება დაიწყო.

მოხუც სტრეფსიადეს ჰყავს შვილი ფიდიპიდე, რომლის ფლანგველობამაც მამა ვალებში ჩააგდო. სტრეფსიადემ აგორაზედ გაიგო, არიან ისეთი ბრძენნი, სოფისტებად წოდებულნი, რომელთაც ძალუძთ სუსტთა ძლიერად, ხოლო უსამართლობისა სამართლიანობად ქცევაო. მოხუცი იმა ბრძენთა „საოზროვნოში" მიემართება, რათა ეს ხელოვნება ისწავლოს და სიტყვიერი მან-

ჰვაგრეხით თავი დააღწიოს შევალეთ. „სააზროვნოში“ მხოლოდ განდობილთ უღებენ კარს. იქ ლუტი, გაძვალტყავებული მოწაფეებით გარემოცული სოფისტიკის მასწავლებელი, რომელიც ჰაერში კალათით ჰკიდია, რწყავ-რწევაში მზეს აკვირდება.

კომედია მხიარულად იწყება, მახვილგონივრულად. მაყურებელნი კმაყოფილნი არიან, იცინიან, არისტოფანე უკვე ხედავს თავის თავს ცაცხაზედ დაფნის გვირგვინით დამშვენებულს — როგორც „მხედრების“ პრემიერაზედ მოხდა.

მაგრამ აი ბრძენი თავისი კალათიდან დედამიწაზედ ეშვება, რათა იმ თავის „სააზროვნოში“ სტრეფსიადე მიიღოს. განდობის წესს აზიაროს. მსახიობი, რომელიც სოფისტის როლს ასრულებს, სახით მაყურებელს ეჩვენება, და იმ სახეზედ სოკრატეა ნიღაბია!

მაყურებელი წამით სიხტად დარჩა. განა სოკრატე სოფისტია? მაგრამ თეატრს მაშინვე სიცილმა გადაუარა, თითქოს ქარი ამოვარდათ. აჰა, მაშ კომედია სოკრატეზედ ყოფილა, აქაურთა დია საყვარელ ობროდ კაცზედ, და ნიღაბი, რომელიც უფრო სილენეს ემსგავსება, ვიდრე თვითონ სოკრატეს, კიდევ უფრო ამხიარულებს სახილველში მოსულთ. კომედია შემდგომ ვითარდება: სოფისტთა უშინაარსო, ბუნდოვან სიბრძნეს სიმბოლურად — და პაროდიულად — განასახიერებს ღრუბელთა ქორო; ღრუბელთ ისერიგად ეთაყვანებიან, როგორც ღვთაებათ, თითქოს არსებული რელიგია უკუუგდიათო. სოფისტიკა — ახალი სიბრძნეა, ახალი მოდა, იმისთვის მოწოდებული, რომ უარყოს ყველაფერი, რაც მანამდე იყო.

სიცილი უცებ შეწყდა: რელიგიის დაცინვა ერთნაირად საშიშია როგორც ავტორისთვის, ისე სოკრატესთვის, და ზოგი ვინმე მაყურებელთა შორისაც ეგების დაზარალდეს სიცილისა გამო. მაგრამ კომედია კომედიაა. ეს ხომ ცხოვრება არ არის და რატომაც არ უნდა გაიცინონ, აკი ჯერეთ კიდევ პერიკლემ ბრძანა: სახილველია თუ ასპარეზობა, იმისთვის ეწყობა, რომ დაღლილი სული ნაირგვარად დაასვენოს, დაცემულს ფრთა შეასხას და მელანქოლიისგან იხსნასო!

შემდეგ კომედიიდან ირკვევა, რომ სტრეფსიადე სწავლაში ჩლუნგია. მაშინ ის „სააზროვნოში“ თავის მაგიერ გზავნის თავის უხეირო შვილს ფიდიპიდეს — და უზარმაზარ ამფითეატრში მხიარულება ბრუნდება, მაყურებელი ისევ ხარხარებს, და ეს ხარხარი მხოლოდ აქა-იქ ისმის იქედნურად.

ჩაფიქრებულ კლეონს შუბლი შეჭმუხნია, ადარებს: შარშან არისტოფანემ უხეშად დამცინა, სოკრატეს კი თითქოს კეთილად უჩუჩხუნებს. ვითომ რატომ? ვინაიდან სოკრატე ხალხს მეტისმეტად უყვარს, იქნებ იმიტომ არ უტევს, ეშინია? არა, არისტოფანე მხდალი არ არის. თუ ჩემი არ შეეშინდა, მაშ, ვისი და რისი უნდა შეშინებოდა? მაგისი აზრით, გამოდის, რომ მე თავხედი და დოლრიალა ვარ. მაგრამ თვითონ ჩემზედ უფრო თავხედია, ოავად ღრიალებს მსახიობთა და ქოროს პირით...

კლეონი ხან წინ წამოიჭიმება, ხან უკან გადაეშვება — ხედვის არეს იცვლის, თვალთ ასვენებს. დაძაბული ელოდება: ბოლოს და ბოლოს ჩასცემს თუ არა არისტოფანე სიტყვის ბასრ მახვილს სოკრატეს? საქმე კი იქით მიდის...

ფიდიპიდე, მამის სრული ანტიპოდია, არაფრით არა ჰგავს: ხარბად უსმენს სოფისტთა ქადაგებას განუსაზღვრელ თავისუფლებაზედ, წამსვე ეუფლება ყველა ორატორულ ილეთს, და მოხუცი სტრეფსიადეც, აღტაცებული შვილის

განსწავლულობით, სულ კინწისკვრით ჰყრის მევალეთ; მაგრამ მამასა და შვილს შორის ჩამოვარდება დავა — ისინი ხელოვნების დარგში გემოვნებაზედ დაობენ. მამას ესქილე უყვარს, შვილი ევრიპიდეს თაყვანისმცემელია. იწყება ცემა-ტყეპა, ფიდიპიდე მამას სისხლს ადენს და უმტკიცებს, რომ, ახალი სოფისტური კანონის თანახმად, შვილს მამის ცემის უფლებაც აქვს და დედისაც.

ბიბლიოთეკა

სტვენა, ბრაგუნი, ყვირილი! მსახიობთ სხვა გზა არა აქვთ, თამაში უნდა შეწყვიტონ — ხალხის მომეტებულ ღმუილში იმათი სიტყვა ალარავის ესმის. ათენელნი მტკიცედ გამოექომაგნენ თავიანთ ფეხშიშველა ობოროდ ბრძენკაცს. ისინი ვერ შეურიგდებიან სოკრატეს მიმართ ესეგვარ უსამართლობას. ყოველი მხრიდან იფრქვევა ლანძღვის სიტყვა არისტოფანეს მისამართით.

— ტაკიმასხარავ! ეგ ჩვენი სოკრატე არ არის!

— ძირს საძაგელი კომედიანტი!

— ძირს! არაფრის მოსმენა არა გვსურს!

და სტვენა! სტვენა!

სოკრატეს ალშფოთებული მოწაფენი გიჟთ ჰგვანან. ისინიც უსტვენენ. როგორ შეიძლება სოკრატეს ეგრე გაბიაბრუება?! იმას ხომ ჩვენი გაუკეთესება სურს, ის ამგვარ საძაგლობას არ გვიქადაგებს!

ათასობით მკერდიდან ამოღვრილი ყვირილი, სტვენა, ფეხების ბრაგუნი ძრავს ამფითეატრს. არსიტოფანე ფერწასულია, მოკუნტულა, გულით უნდა, ღმერთთ ევედრება, რომ ეს ქარიშხალი არ ჩადგეს — არ დააცალოს მსახიობთ ბოლომდე გათამაშება სპექტაკლისა, რომელიც შეურაცხყოფს სოკრატეს.

მაგრამ პრველ რიგში წამოდგნენ კლეონი და არქონტი ბასილევსი, ხელის მოძრაობით მოითხოვენ გაჩუმებას.

ჩვიდმეტი ათასი მაყურებელი, თუმცა ბუზღუნით, მაგრამ მაინც თანდათან დაწყნარდა; კომედია გაგრძელდა.

მსახიობნი, თითქოს უკვე თვითონაც უმძიმთო, ჩქარობენ, რომ მალე დასრულონ წარმოდგენა. ღვიძლი შვილისგან მიბეგვილი მოხუცი სტრეფსიადე იმდენად გაშმაგდა, რომ გაბოროტებულმა ცეცხლს მისცა სოკრატეს „სააზროვნო", რადგან ის უღმერთო შვილთ მამათა წინააღმდეგ ამხედრებს.

მაგრამ ახლა მაყურებელნიც გამძვინვარდნენ. სოკრატეს მოწაფეთ — ალკიბიადემ, სიმონმა, კრიტონმა, ანტისთენემ ლამის ფილტვები ამოანთხიეს, იმდენი იყვირეს, შმაგობდნენ სოფისტნიც, სოკრატეს სახით ხომ არისტოფანე იმათ დასცინოდა!

ავტორს ლაყე კვერცხები, დამპალი ვაშლები დაუშინეს.

და მაშინ, ამ გაშმაგებულ სახილველში, უცნაური რამ მოხდა: ვიღაცამ სკამებს შორის შუა ჩამოსასვლელისკენ ხელი გაიშვირა — სულ ზემოდან, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოდიოდა თვითონ სოკრატე.

ხალხმა თვალი ჰკიდა და გაისმა გამაყრუებელი ტაში, რაც მალე ჭეშმარიტ ტრიუმფად იქცა.

ანტიფონტი, რომელიც სოკრატეს ვერ ხედავდა, გუნებაწამხდარ არისტოფანესკენ გადაიხარა:

— გესმის, რა ზეიმია? გაიმარჯვე და ეგ არის!

მაგრამ იმავ წამს ორივე მიხვდა, ვისაც უკრავდა ტაშს თეატრი. სოკრა-

ტე კი თავისი თავაზიანი, ნათელი ღიმილით იღიმებოდა, საფეხურთა ჩამოსდევდა და თვითონაც ტაშს უკრავდა.

ის ტაშს უკრავდა არა არისტოფანეს, რომელმაც აგრე რიგად დაამახინჯა იმისი სახე, — ის ტაშს უკრავდა ხალხს, რომელმაც სწორად ვიგრძნო ბოროტი ბასკვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არისტოფანე სასტიკად დამარცხდა.

სოკრატე პირველ რიგებში ჩავიდა, აქ ელოდნენ მოწაფეები — ევრიპიდე, მაგრამ აქ იყო არისტოფანეც.

სოკრატე ჯერ იმასთან მივიდა და დაცინვით მიუღლოცა სასაცილო არასაცინელი კომედიის დადგმა... მაგრამ ის ერთადერთი იყო, ვინც ასე ოლად მიუდგა წარმოდგენას.

ალკიბიადემ მესამე რიგიდან პირველში გადმოინაცვლა, პირდაპირ არისტოფანეს ეძგერა და დაუოკებელი სიშმაგით შეუტია:

— რა ღორობაა! ნუთუ სხვა ვერავინ ნახე დასაცინი? — ის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სოკრატეს, რომელიც მის დაშოშმინებას ლამობდა, ისევ ისე მკვახედ განაგრძობდა: — შენზედ ამბობენ, არისტოფანე, კარგი მზარეულიაო, და მართლაც კარგად შეგიზავებია ამჯერად მწარე ძირ-ძურები და სანელებელი. საწებელი კარგი გამოგსვლია, მაგრამ მობრიკული სადღაა? თვალსა და ხელშუა დაგწვია! გმირი არა გყავს, გმირი! ან იქნებ ბოროტი ზრახვა გამოქმედებდა, — გინდოდა, რომ სოკრატე, სოფისტთა მოწინააღმდეგე, სოფისტთა მეთაურად გექცია? ნუ მაჩუმებ, ძვირფასო სოკრატე! რასაც ვამბობ, აგრეა!

არისტოფანემ გულგრილობა შეინარჩუნა:

— მე მხოლოდ კომედიოგრაფი ვარ, ხალხს ვართობ, და ოდენ გიჟი მიიღებს კომედიას სერიოზულად. ახლა ცოტაოდენ ტრაგიკულადაც კი, როგორც ამას შენ სჩადიხარ, ალკიბიადე!

— კომედიაო, ამბობ, მაგრამ ხალხი ხომ სცნობს...

— იმ კაცთ, ვისითაც ათენი ამაყობს, — მარჯვედ მოუჭრა არისტოფანემ, — კლეონს, სოკრატეს, ევრიპიდეს... მე ამათ სახელ-დიდებას ვმატებ.

— სახელს კი არა მატებ, მასხარად იგდებ! თავლაფს ასხამ! — შესძახა ალკიბიადემ.

სოკრატე აუჩქარებლად, ბაჯბაჯით მიუახლოვდა:

— დღეს მაგან თვითონ გაიმასხრა თავი. დაფნის ელოდა და რა მიიღო? ხალხის გული, ძვირფასო არისტოფანე, როგორც ჩანს, ვერ მოიგე! ჭლიმინდი აყროლებული კვერცხით მოგსვრია.. თუ ნებას დამრთავ, ჩემი ჰიმატიონის კალთით ჩამოგწმენდ. ძველი სამოსელია, არაფერი უჭირს.

სოკრატეს ყოველ შეხებას, იმის ყოველ სიტყვაზე არისტოფანე ისე გრძნობდა, როგორც სილის გაწვნას. ხელიდან გასხლტომას ლამობდა, მაგრამ თავს ვერ აღწევდა, გაქცევს ვერ ახერხებდა. ისევ მოთმენა ამჯობინა.

მაშინ ევრიპიდე აძრახდა:

— ჩემის აზრით, აკენიდან უნდა ლაპარაკობდეს მოქალაქეთა აღმზრდელი, შენ კი, არისტოფანე, ახალგაზრდობის ნამდვილი მოძღვარი, სოკრატე, იმისავ გამრყვნელად გამოიყვანე! რატომ? რატომ არის, რომ შენი კომედია ყველაფერს ეგზომ ამაბინჯებს, ურევს, ბურდავს, თუმცა მასში თვალდათვალ ჩანს სიძულვილის ჰახვილი გარკვეულ კაცთა მიმართ...

— ვისზედ მელაპარაკები? — შეშფოთდა არისტოფანე.

— ყოველ შემთხვევაში, შენს გარემოცვას რომ არ შეადგენენ, იმათზედ. თქვენ, რეტროგრადთ, არა გსურთ, რომ ახალგაზრდობა უკეთესი, მამებზედ უფრო განათლებული იყოს. თქვენ ვერ ურიგდებით იმას, რომ, ვთქვათ, თვითონ მე ან სოკრატე ადამიანს სხვარიგად ვუყურებთ, რომ გვწამს მისი სრულყოფილების შესაძლებლობა, რომ მეტი განათლების წყალობით ის გახდება უფრო კეთილისმყოფელი და საზოგადოებისთვის ბევრად სასარგებლო. შენ კი ყველაფერი უკუღმა დააყენე! განზრახ! მსახიობთა პირით განგებ ყვიროდი, სოკრატე შვილთ აქეზებს, რომ მამათ პატივი არა სცენო და ახალგაზრდობას რყვნისო. ახლა სუყველა მამა აღუშფოთდება სოკრატეს.

— სუყველა არა! — უეცრად წამოიძახა დემოკრატთა ერთ-ერთმა ბელადმა, მეტყავე ანიტემ, რომელიც სოკრატეს გარშემო თავმოყრილ ბრბოსთან მივიდა. — სწორედ ახლა, შენი კომედიის ნახვის შემდეგ, გადავწყვიტე, არისტოფანე, რომ შვილი სასწავლებლად სოკრატეს მივაბარო. შენ, ჩემო კარგო, იმ ადამიანთ შეურაცხყოფ, ვისაც მეც ვეკუთვნი!

არისტოფანე მიხვდა, რომ თავისი თავდასხმებით მხოლოდ დარაზმა დემოკრატნი და იმათი მომხრენი, ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ სოკრატესთვის უფრო ძლიერად შეეტია, ვიდრე კომედიაში უტევდა:

— მაგრამ სოკრატე საჯაროდ, მთელს ათენში ქადაგებს, შვილნი მამათ უნდა აღემატონო!

სოკრატემ შემდგომ სხვათ აღარ მისცა თავისი დაცვის საშუალება — არც ევრიპიდეს, არც ანიტეს და ალკიბიადეს. თავადვე შეუტია მხიარულად:

— და განა სწორი არა ვარ? ან იქნებ, შენის ჭკუით, ადამიანი წინსვლის ნაცვლად უკან უნდა ვიდოდეს? თუ ათენელთ მართლაც არა სურთ, რომ თავიანთი შვილნი სწავლა-განათლებით, ცოდნით, უნარით დაიმჯობინონ, მაშინ მე უკეთესი მამა ვყოფილვარ იმათი შვილებისთვის, ვიდრე თვითონ საკუთარი მამები არიან!

ვინაც ჯერ კიდევ შორიახლო იდგა, სუყველამ ტაში დაჰკრა. მაგრამ ევრიპიდემ შუბლი შეიკრა და რალაცაზედ დაფიქრდა.

არისტოფანემ გაიცინა:

— და შენა გგონია, სოკრატე, ათენელი მამები მადლობას გეტყვიან, რაკი, — აქ მან სოფისტურად შეატრიალა სოკრატეს აზრი, — შვილთ იმათ თავს შეაძულებ და დაამჯობინებ კიდეც?

სოკრატე მზესუმზირას კნატუნ-კნატუნში ქვის სკამზედ ჩამოჯდა პირველ რიგში, სხვები კი ისევ ფეხზედ იდგნენ და ზევიდან დაჰყურებდნენ. მაგრამ საოცარი რამ არის სიტყვის ძალა! სოკრატემ წყნარად დაიწყო. იმისი სიტყვა უბრალოდ და დიდებულად ისმოდა:

— მამათ რომ მხოლოდ ის ელიარებინათ, რაც იყო და არის, და მხოლოდ ამას იცავდნენ, ჩემთვის პატივად ჩავთვლიდი, უკეთუ ამიჯანყდებოდნენ. ასეთივე, და კიდევ უფრო დიდი პატივია ჩემთვის, რომ იმათ შვილთ ვუყვარვარ.

ახალგაზრდებმა, რომლებიც გარს ეხვივნენ, აღტაცებით ააკანტურეს თავები.

— მერწმუნეთ, მირჩევნია, მამათ ვძულდე, ვიდრე შვილთ. ათენის მომავალს რომ ვჭვრეტ, დაბეჯითებით მჯერა — და მთელი ჩემი შეძლებით შევუწყობ ამას ხელს, — რომ ადამიანნი სულ უფრო უკეთესნი და უკეთესნი შეიქმნებიან.

მოწაფენი წამერთ მისცვივდნენ სოკრატეს, გადაეხვივნენ, და იმათ მხია-

რულებას ერთვოდა ევრიპიდეს, ანიტეს, ამფითეატრში შეყოვნებული რამდენიმე მაყურებლის და სცენის ქვემოთ საპირფარეშოებიდან უკვე უნიღბებოდ გამოსულ მსახიობთა ტაშისცემა. ტაშს ისიც კი უკრავდა, ვინც სოკრატეს როლს ასრულებდა.

არისტოფანე იკრუნჩხებოდა, თითქოს ზედ ბორბლით გადაუარესო, თვალები სისხლით ავსებოდა. რამდენადაც სხვათა კბილის გაკვრა უყვარდა, იმდენადვე მძიმედ განიცდიდა, თუ თვითონ კენწლავდნენ, და ვაი იმის, ვინც სიტყვიერ პაექრობაში მოერეოდა.

სოკრატე წამოდგა, კმაყოფილი ღიმილით გაშალა ხელები:

— დღეს ათენელთ დაგვანახვეს, რარიგ ვუყვარვარ! ხედავ, არისტოფანე, ბედის ტრიალს: შენი ვარაუდით, ეს დღე შენი დიადი დღე უნდა გამხდარიყო...

12

ახლად დაქორწინებულთა ცხოვრება ისე არ აეწყო, როგორც ქსანთიპეს ჰქონდა წარმოდგენილი. სოკრატეს კი არა, თვითონ იმას მოუნდა მეუღლეობის გაძღოლა.

იმ ფულით, რაც მზითევში მისცეს, მან ვირი იყიდა — სოკრატემ პერკონი შეარჭვა. ქალმა ახლა თხა იყიდა — სოკრატეს თბილ-თბილი რძე გაუჩნდა. ეზოში ქსანთიპემ ბატარა ბოსტანი გააშენა — სოკრატე ყველს ნიორსა და ხახვს ატანდა.

თუ ქსანთიპე რაიმეს თვითონ ვერ მოერეოდა, მეზობელთ მიმართავდა. სიმონი უკვე დიდი ხნის დაოჯახებული იყო, შვილები წამოეზარდნენ და, როცა ქსანთიპეს დახმარება უნდოდა, ბავშვთ უგზავნიდა.

სიმონი ღრმა მოწიწებით სცემდა პატივს სოკრატეს, რომელმაც ამდენი რამე ასწავლა: ახლა თვითონვე შეეძლო წერა, მსჯელობა სიკეთეზედ და სილამაზეზედ. ქსანთიპეს რომ შველოდა, ეს მიაჩნდა სამართლიან საზღაურად თავისი მასწავლებლის მიმართ.

მაგრამ სიმონის ბავშვების დახმარება საკმარისი მაინც არ გამოდგა, და ქსანთიპე დილიდან დალამებამდის ტრიალებდა რომ როგორმე თავი ერჩინათ და ნაკლებად ყოფილიყვნენ კრიტონზედ დამოკიდებული. ქსანთიპე ამუშავებდა და უვლიდა სოკრატეს თავმინებებულ ვენახს ჰუდიში — სოკრატეს ხომ მეგობართა თანა ბაასი და ღვინის წრუპვა უყვარდა; ქალი არხევდა და აგროვებდა კალთით ზეთისხილს — სოკრატეს შინ დამარილებული ზეთისხილი უყვარდა.

ქსანთიპე ამაყობდა იმით, რომ მარჯვედ უვლიდა სახლ-კარს, სოკრატეც ალტაცებული იყო იმისი დიასახლისობით, და ასე გადიოდა დღეები. ქსანთიპემ ალარ იცოდა, რისთვის მოეკიდა პირველად ხელი და ამიტომ შრომის შესასრულებლად თავისებურ წესს იგონებდა. იმ დღეს სარეცხს აპირებდა. ფეხის წვერებზე დადგა და სიმონს გადმოსძახა. იმანაც მაშინვე შვილი გამოუგზავნა, არც კი უკითხავს, რა სჭირდებოდა. ყმაწვილი ქსანთიპეს დაეხმარა, რომ ჭასთან მიეგორებინათ კირჭვის კუბი, რომელზედაც მერე დიასახლისმა ვარცლი დადგა.

თმა ორ ნაწნავად დაიწნა, რეცხვა დაიწყო, სულერთიანად გაიწუწა, თხე-

იოსებ ტო

— ზიზღით აქცევდა ზურგს იმ პარაზიტს.

— რატომ მაშინვე არ მიამბე ეგ ყველაფერი? შენ ხომ ყოველთვის ყველაფერს მეუბნები, — გაუკვირდა სოკრატეს.

— იმიტომ რომ იმ საღამოს, როცა თეატრიდან დაბრუნდი, ისეთი ნაღვლიანი იყავი... არ მინდოდა...

— იქნებ შენც ფიქრობ, რომ ახალგაზრდობას ვრყვნი, ანუ მაქვს მინიშნება დალვრემილობისა?

— არა, არა! როგორ შემიძლია ეგრე ფიქრი, მე ხომ გისმენ, როცა მეგობართან ესაუბრები! ისეთი ხაფი ხმა გაქვს, რომ ყველგან ისმის: საკუჭნაოში, მარანში, ბოსტანში, ქუჩაშიც კი... — უფრო ხმადაბლა განაგრძო — აი ღმერთების რწმენა გაქვს თუ არა, მაგას ვერ დავიფიცებ. ახლახან ამბობდი, თითქოს ევრიპიდე ამტკიცებდეს: უკეთუ ღმერთნი სამარცხვინოდ იქცევიან, მაგალითად, შურისძიება იციან, უკეთუ ისინი ასეთი ბოროტნი და უწყალონი არიან, — მაშ ღმერთნი არ ყოფილანო! ეს კი მკრეხელობაა!

— მე კი ვთქვი, ვეთანხმები-მეთქი, არა? — შეაწყვეტინა სოკრატემ. — და პირდაპირ გავნაცხადე: ღმერთნი არ არსებობენ-მეთქი!

შეძრწუნებულმა ქსანთიპემ პირზედ ხელისგული მიიფარა.

— რას ლაპარაკობ! როგორ თუ ღმერთნი არ არსებობენ! მერე ჰერა, ჩვენი საერთო დედა? ნუ ბითხითებ, გესმის? ციცილი ღვთის წყალობაა, როგორც შენ ამბობ, მაგრამ აქ უადგილოა! ახლავ მომეშველე, რომ ღმერთი თავის ღირსეულ ადგილზედ მივაგოროთ! აი იქით, სადაც იალღუნია.

ქალი ქვას უნდა დასწვდენოდა. მაგრამ სოკრატემ ალერსით გვერდზედ მიაყენა, ქვას ერთმა ჩაავლო ხელები, ასწია და იალღუნის ბუჩქთან მიიტანა. ქსანთიპემ ყაყაჩოები დაკრიფა, კონად შეკრა, მაშრაფა გამოიტანა, წყლით გაავსო — მომეს თაყვანი უნდა ვცეო.

ამასობაში სოკრატემ კვერს წირვა გამოუყვანა, ლელეს შეატანა, ერთი ჭიქა ღვინოც დააყოლა. მერე ხელისგულნი დაიბერტყა, ქსანტიპესთან მივიდა და მხურვალე კოცნით დაემშვიდობა.

— საით? კიდევ მიდიხარ? — გაბრაზდა ქალი. — კიდევ ქალაქში უნდა იყიალო?

— ისევ, ჩემო იპავ!

— არც დაისვენებ?

— დღეს არა. ხალხთან უნდა წავიდე.

— როდის არ მიდიხარ ხალხთან! — ამოიოხრა ქსანთიპემ.

სოკრატე წავიდა, ქსანთიპემ კი მსხვილი სისხლისფერი ყაყაჩოებით სავსე მაშრაფა პირდაპირ მომეს მრუდე ცხვირის წინ დადგა.

ღვთის წინ ჩაცუცქდა — ეს ხომ თითქმის იგივეა, რაც მუხლის მოყრა — და წყნარად, მაგრამ მხურვალედ ამეტყველდა:

— მაპატიე, ღმერთო მომე! არ ვიცოდი, თუ ამ ქვაში იყავ დატყვევებული. მაგრამ არაფერია, ამას გამოვასწორებ. სულ მეხსომები, ნურც ჩემს მაწანწალაზედ იჯავრებ. იმას მხოლოდ ერთი აზრი აქვს აქვიატებული, სუყოველ ათენელს უნდა ესაუბროს. თუ არ გამოელაპარაკა ვინმე მონას, ვაჭარს, ხარაზს, მოახლე გოგოს, ვიდრე თვით პრიტანთ, არქონტთ და დემაგოგთ არ შეხვდება, — მე შემომჩივის, დღევანდელი დღე უქმად დავკარგე და უბედური ვარო. უნდა, რომ დღე სამმაგად გაიწელოს, რომ ყველასთან მოასწროს ბაასი... ქსანთიპემ მიმოიხედა. — მაგრამ ლაპარაკი ძალიან კარგი იცის, ხალხი სიამოვნებით

უსმენს. მეც ხშირად ისე გავერთობი ხოლმე იმის ლაპარაკში, რომ ცეცხლზედ შემოდგმული რძეც მავიწყდება, ვინ იცის, რამდენჯერ გადმომსვლია... სულ მუდამ რაღაც ახალი უნდა, გაიგე?

სულ რაღაცას ეძებს. ოღლი არ არის იმასთან ცხოვრება, თანაც გეჭვიანობ! ის კი მხოლოდ იცინის: „ჰერაც ეჭვიანობს ზევსზედ — რომ იცოდე, რა კაპასი, რა ჯიუტია ჩვენი მთავარი ქალღმერთიო!“. „რადგანაც შენც ისეთი, გარყვნილი ხარ, როგორც ზევსი-მეთქი!“ — ვეუბნები. „ეჰ, ჩემო ძვირფასო, — მეუბნება, — სწორედ ამაშია ადამიანის სილამაზე: ხინჯი რომ არა ჰქონოდა, მოსაწყენი იქნებოდა. მაგრამ ჩვენი დიდი დიოსი სულ კაბებს დასდევს. მე კი ჩვენი ქორწილის შემდეგ მხოლოდ შენ გიცნობო!“ „აბა რას ბუტბუტებდი წუხელ სიზმარში-მეთქი?“ — ჩავაცივდები ხოლმე. წარმოდგენა არა მაქვსო, მომიგებს, მაგრამ, თუ მეტყვი, გამეხარდებაო“. მეც იმისი ხმით წარმოვთქვამ: „მშვენიერო! მიუწვდომელო... მახვილი სიტყვა საიდუმლო ჭრილობებს გვიხსნის! ახლა რაღას იტყვი, მუხანათო? ვინ არის ის მშვენიერი და მიუწვდომელი-მეთქი?“ და იცი, მომე, რა მოხდა? გადაიხარხარა და მითხრა: „გაგიმხელ, რაც არის მშვენიერი და მიუწვდომელი: ადამიანის სრულყოფილი მშვენიერებაა!“ — თქვა და ისევ გაიცინა. „ყველაფერზედ იცინი, ლაზღანდარავ, — ვეუბნები. შენ ძილშიც კი იცინი-მეთქი!“ და იცი, კეთილო ღმერთო, რა თქვა?“ ის იცინის, ვისაც სინდისი წმინდა აქვსო“.

ქსანთიპემ უხეშად თლილ ქვას ხელი ალერსით გადაუსვა, დაიხარა, რათა უკეთ დაენახა მომეს სახე, ნახევრად ქვაში ჩამალული, და თხოვნით დაასრულა:

— უნდა მაპატიო, რომ ჭუჭყიანი წყალი გადაგასხი. ჩემს ქმარსაც ყველაფერი აპატიე! მიყვარს...

ადგა, ფეხის წვერებზედ შედგა და ქვაყორეზედ გადაიძახა:

— სიმონ! სიმონ!

როცა ის გამოეხმაურა, ქალმა უთხრა:

— სოკრატემ შემოიხედა და ისევ გაბრუნდა. ხომ არ იცი, რატომ?

სიმონი ზღურბლზედ გამოვიდა. ხელში სანდლის საპირე ეჭირა:

— სულ იმ ბრასიდას ბრალია. ამბობენ, ისევ მოდის ჩვენზედ თავისი სპარტელებითო.

— ათენა ქალწულო! — ამოიოხრა ქსანთიპემ.

— ნუ გეშინია. ათენზედ სალაშქროდ კი არ მოდის, შორს ჩრდილოეთში მიეშურება, ჩვენთა მოკავშირე ქალაქთა წინააღმდეგ.

— მაგრამ ეგ ხომ თითქმის იგივეა. გინდა ჩვენზედ წამოსულა, გინდა იმათზედ, არა?

— მართალი ხარ, — თავი დაუქნია სიმონმა და შებრუნდა

13

სიმონი არ შემცდარა.

ბრასიდა სწრაფი სვლით დაიძრა ჩრდილოეთისაკენ, გაიარა თესალია და ქალკიდიკე და მიადგა ქალაქ ამფიპოლისს ათენის კოლონიას, და ალყა შემოარტყა.

კლეონმა ათენელი ჰოპლიტებით სავსე გემები დაძრა, ამფიპოლისის დასახმარებლად გაეშურა და ლაკედემონელთა სიახლოვეს დაბანაკდა.

— როგორც ოდესღაც პოტიდეაში, — ალერსით ჩასჩურჩულა ალკიბიადემ სოკრატეს, — ისევ ერთ კარავში ვართ, ერთ ლუკმას ორად ვინაწილებთ, სულ გვერდიგვერდ ვართ დასვენებისა თუ ბრძოლის ჟამს, ჩემო ძვირფასო სოკრატე!

გაჩაღდა ბრძოლა, ფარი ფარს მოხვდა, აწკრიალდა ხმლები, წყაროებად დაიძრა სპარტელთა და ათენელთა სისხლი. ათენელთა სისხლი მეტად დაღვარა, რადგან ათენი ბრძოლაში დამარცხდა. ორივე მხარის ბელადთ, კლეონმა და ბრასიდამ, ამ ბრძოლაში სიკვდილი ჰპოვეს.

სოკრატე და ალკიბიადე უვნებლად დაბრუნდნენ დაუძლურებულ ათენში, რომელსაც მშვიდობა სწყუროდა. ატიკელნი გლეხნი ზავს ითხოვდნენ, ზავი უნდოდა სპარტასაც, და მაშინ ასპარეზზედ გამოვიდა დაზავების ძველი მქადაგებელი, სარდალი ნიკია: მშვიდობა უნდოდა იმის სქელ ქისას.

ნიკიამ მოახერხა და სახალხო კრება დაითანხმა, რომ სპარტასთან ორმოცდაათწლიანი საზავო ხელშეგრულება დაედოთ. რარიგ მყარია დაზავება ესდენ გრძელი ვადით! ნიკიამ სპარტასთან კი შეკრა ზავი, მაგრამ ეკლესიაში მშვიდობა ვერ იპოვა.

კლეონის დაღუპვის შემდგომ რადიკალურ დემოკრატიას სათავეში ჩაუდგა ალკიბიადე და დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ნიკიასთან ხალხის კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად.

ალკიბიადე საქმეთა ვითარებას სოკრატესთან ერთად სჯიდა. როგორც ყოველთვის, ის მარმარილოს ლოდზედ იჯდა, სოკრატე კი იმის წინ ვიდოდა, მზესუმზირას აკნატუნებდა.

— ამ მშვენიერ ნაბევარსაუკუნოვან ზავს მიზნად ისა აქვს, რომ თვალები დაგვიბრმავოს თავისი ბრწყინვალეებით! ახალშობილიც კი არ დაიჯერებს ამისთანა ზავს, — ალკიბიადე გატაცებით ლაპარაკობდა. — ზავი ნავარაუდევია გლეხთა გულის მოსაგებად. ეს ხაფანგია მიწათმოქმედთათვის: დაიძინეთ ათენელნო, მშვიდად იყავით, ატიკის მკვიდრნო! მშვიდობა თქვენთვის უზრუნველყოფილია ორმოცდაათი წლით, ამასობაში კი, — მზად ვარ, რომ სანაძლეოს ჩამოვიდე ათ მნაზედ! — სპარტელნი უკვე ახლავ ემზადებიან ათენში ხელახლა შემოსაჭრელად! ნიკიას ეს ხელს აძლევს. ზავიაო, მოქალაქენო, მშვიდობაა, ხელშეკრულება ხელშეკრულებაა, ხელები მუხლებზედ დაიწყეთო, — და ერთ მშვენიერ დილით მთელი ატიკა სპარტელთა ჰოპლიტებით დაიფარება!

სოკრატემ თავი დააქნია:

— იმათ კი ჩინებულად იციან თავიანთი ხელობა. მე ყოველთვის აღტაცებული ვიყავი სპარტელ მეომართა დისციპლინითა და საიმედო სიმტკიცით.

ნიკია და მრავალნი არისტოკრატნი სახალხო კრებაზედ მთელი თვეობით უნანავებდნენ ათენელ ხალხს სპარტასა და ათენს შორის ძმური სასიყვარულო კავშირის ზმანება-ხილვებით.

— რა სასიყვარულო კავშირი შეიძლება ჩვენს შორის, ათენელ დემოკრატთა შორის? — აენთო ალკიბიადე. — ალბათ უნდათ, რომ თქვენ — სპარტელ არისტოკრატთა და ათენელ არისტოკრატთა შორისო!

ხალხი ნელა, მაგრამ სულ უფრო და უფრო აშკარად იხრებოდა ალკიბიადეს მხარეს. ნამდვილი პერიკლეაო, ამბობდნენ. პერიკლეც მუდამ შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო სპარტისა.

— მარტო ათენი კი არა, ყველა ჩვენი მოკავშირეც საფრთხეშია! სახელ-

მწიფის ეკონომიკური და საზღვაო ძლიერება, სამშობლოს გადარჩენის გულისთვის ამზადეთ მხედრობა და ფლოტი, ათენელნო კაცნო!

ალკიბიადეს მგზნებარე სიტყვამ შედეგი გამოიღო. სახალხო კრების ასობით მონაწილე მოეძრო.

მაგრამ არც ნიკიას ეძინა, ისიც ბეჯითად მუშაობდა.

— ნუთუ ვერ აფასებ ასეთ ძვირფას, ესდენი ჯაფით მოპოვებულ ზავს და ახალ ომს ამზადებთ? განა ყელზედ არ გვადგას ამდენი ომი?

ვიღაცამ გაცეცხლებით შესძახა:

— არისტოკრატთ სპარტისთვის ათენის მიყიდვა უნდათ! მერე იცით, რა მოხდება? რა და სპარტელნი ერთიანად ამოგვეუჟავენ სუყველას, რაერთიც დემოკრატი ვართ, ახლა მონებად გვაქცევენ!

ეკლესიას შეხის ქუხილივით მოედო რისხვის ხმა, რამაც ალკიბიადეს უმაღლესი მიჯნისკენ გზა გაუკაფა.

დაადგინეს დღე, როცა ეკლესია ათენისთვის ახალ ათ სტრატეგს აირჩევდა.

14

რომელიმე ლამაზ ათენელთან ხომ არ შეგვეხედა? — წამოიძახა ანტისთენემ, როცა ნავახშმევს კრიტონის ვილიდან გამოვიდნენ, და დაუმატა:

— ამბობენ, თეოდატა უმშვენიერესი და უგანათლებულესი ჰეტერაა, როგორიც ოდესმე ღამეულ ცხოვრებას ჰყოლიათ.

ალკიბიადემ სოკრატეს კითხულად გადახედა.

— „ამბობენ" — მაცდური სიტყვაა. შენიშნა ფილოსოფოსმა. — სილამაზე ყურმოკვრით ცოტაა. მე ყოველთვის მწყურია სილამაზის ახლოს ხილვა. წაგვიყვანე, ალკიბიადე, შენ ხომ ყველაფერი იცი!

ალკიბიადემ მეკარეს უთხრა, სოკრატესა და მისთა მეგობართ სურთ, რომ მშვენიერ თეოდატას თავი დაუკრანო. სოკრატეს სახელმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მაშინვე სამივე სტუმარი ფართო დარბაზში შეიყვანეს, იქიდან ლია კარი ბაღში გადიოდა. ბაღიდან აქეთ იცქირებოდნენ ღამე და ვარსკვლავები, სურნელოვანი სიგრილე მოცურავდა.

სამყოფელი მდიდრულად იყო მორთული ხალიჩებით, სალაფარდებით, პატარა ტაბლას ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცი უჯდა, რომლის ზურგს უკან მონა ქალი მისთვის ფიალას ავსებდა ღვინით.

ახალგაზრდა კაცი მომსვლელთ წარუდგა: პირეოსელი ტრაპეზიტი ვარ, მეკერძე, ანუ გადამხურდავებელი.

კითარის მსუბუქი ჟღერა შეწყდა — თეოდატა სავარძლიდან წამოდგა, რომ სტუმარს შეხვედროდა.

— მადლობელი ვართ ალერსიანი მიღებისთვის, — თავი დაუკრა ალკიბიადემ. — შენი ქალიშვილი არ გამოვა ჩვენთვის სალმის სათქმელად?

— ტიმანდრა ჯერ ეფოსშია, — მიუგო თეოდატამ, — მაგრამ მალე ჩამოვა, რათა დედასთან ერთად მეთოთხმეტედ იზეიმოს თავისი დაბადების დღე.

სოკრატე თვალს ვერ აცილებდა თეოდატას. ნორჩი დედა — მშვენიერი დედა! თვალისმომჭრელად თეთრ სახეს მუქ ფერად შელებილი თმის აბუებული ვარცხნილობა შვენოდა. თვალები გიშერივით შავი, პირი ფართო, გრძნობიერი, მაგრამ ამასთანავე ნაზი.

— ჩამოჯდები ჩვენთან?

— რა თქმა უნდა. მხოლოდ ჩემს გოგოებს ვეტყვი სათქმელს.

— აჰა! — ხალისით შესძახა სოკრატემ. — ჯერ არ შემოვსულვარ. და უკვე გამახარე.

თეოდატას კითხვაზედ, რით გაგახარეო, სოკრატემ მიუგო:

— იმით, რომ მონა ქალთ პატივსა სცემ და „ჩემს გოგოებს" ეძახ.

თეოდატამ გაუღიმა:

— მე მიყვარან ისინი. მაპატიე, ცოტა ხნით გაგეცლებით. ქალი გავიდა. სოკრატეს მოქანდაკის თვალმა კი, რომელშიც ყოველთვის სხივოსნობდა მხატვრის აღტაცება, უმალ შენიშნა თეოდატას აღნაგობისა და მიხრა-მოხრის სრულყოფილი სილამაზე.

ჰეტერამ მონა ქალთ უბრძანა, რომ სტუმარნი ვარდებით შეემკოთ, ხორცისა და ტკბილი საუზმეული და ცივი ღვინო მიერთმიათ. თეოდატა რომ შემობრუნდა, ნაზად მოქარგული გრძელი პეპლოსი ემოსა და ლია-იასამნისფერი მოსასხამი ესხა. ერთიცა და მეორეც გამჭირვალე იყო, და ქალს ცხადლივ უჩანდა მომრგვალო მხრები და იშვიათი ძუძუ-მკერდი. მკერდს ქვემოთ ქსოვილი ბაბთით იყო ოდნავ მოჭერილი, რომ სხეულის მოხატულობა მკვეთრად გამორჩეულიყო.

თეოდატას მზერა სოკრატეს მიეჯაჭვა. კაცს გაუკვირდა:

— მე რომ მარტო შენ ერთს გიყურებდე, თეოდატა, გასაგები იქნებოდა. მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ შენ მარტო მე მიყურებ!

— ბევრი მსმენია შენზედ და ოცნებად მექცა შენი გაცნობა. როცა აქ შემოხვედი, თითქოს აქაურობა განათდა.

— ჩემი ვალია, და ყველასიც, რომ შენს ჭერქვეშ შემოსულმა საკადრისად შეაფასოს შენი თვალისმომჭრელი მშვენიერება.

დაიწყო შეჯიბრი ქერათმიანი მზეთუნახავის ქებისა და აღტაცების გამოხატვაში; ანტისთენე ჯობნიდა ახალგაზრდა ტრაპეზიტს, რომელსაც მხოლოდ ის შეეძლო, რომ ქალს ხან ერთ აფროდიტეს ადარებდა, ხან მეორეს: ხან კვიპროსისას, ხან კნიდოსისას...

— ძალლსა ვფიცავ, მაინც რამდენი აფროდიტე გვყავს! — წყნარად შენიშნა სოკრატემ, მაგრამ აქ ტრაპეზიტმა გაიხსენა კიდევ აფროდიტე ანადიომენე, რომელიც ვითომ ზღვის ქაფიდან ისე გამოდიოდა, როგორც თეოდატა თავისი გამჭირვალე პეპლოსის ტალღებიდან.

შედარება ურიგო არ არისო, გაიფიქრა ანტისთენემ და მთელი თავისი მონდომებით დაიწყო ლამაზ ჰეტერას შედარება ვარდისფერ შროშანთან, ყაყაჩოს კოკორთან, სიმღერასთან, სიქორფესთან და სინორჩესთან, რაც პარნასის მწვერვალზედ სუფევს...

სოკრატე დუმდა.

თეოდატა უსმენდა, იღიმებოდა მოვალეობის მოხდის მიზნით და ელოდა, რას იტყოდა ფილოსოფოსი. ელოდა ალკიბიადეც, აბა, რას იტყვისო. სოკრატე ჭამას მორჩა, ვერცხლის ტაშტში ხელები ჩაიბანა, ვისონის ქსოვილით შეიწმინდა. შემდეგ წვერი ჩამოიწმინდა და ჩაილაპარაკა:

— აწ მეც მეკუთვნოდა, ღვთაებრივო თეოდატა, ჩემი წილის შეტანა შენს სილამაზის ხოტბაში. თუმცა შენი სილამაზე მეც გონებას მაკარგვინებს, ტყვე შეუქმნივარ თავისი და ისეთსავე სიხარულსა მგვრის, როგორიც მზის ამოსვლისას მეუფლება ხოლმე, მაგრამ ნუ დამრთავ ქების ნებას.

— რატომ, სოკრატე?

— ძნელია ლაპარაკი დიდ სიხარულზედ, რასაც სილამაზე განიჭებს, თუ სული ანაზდად გეკუმშება და გტკივა...

— გტკივა?... და ანაზდად? მაშ ეგ ტკივილი თავს დაგტყდომია აქ, ჩემსას?

— სწორედ აგრეა, მშვენიერო.

— ო, ღმერთნო, ეს რა ბოროტება მოუტანია ამ ჩემს ხელოვნებას!

— სახლმა კი არა, შენ თვითონ

თეოდატა წამოვარდა, შეშინებულმა გაუწოდა ხელი:

— რითი, მე უბედურმა?

სოკრატემ სწრაფად მიუგო:

— გთხოვ, აგრე შეყოვნდე მაგ მოძრაობაში, სახეზედ აღბეჭდილი შიშით! — და დანარჩენთ მიუბრუნდა: — ხედავთ? ბრინჯაოს თმა მკვეთრი მოძრაობით უკან გადაწეულა, წარბები გახსნილან, ვითარცა ციური ჭიშკარნი, წამწამნი ჯადოსნური ისრებია, რომელნიც გვკოდავენ, ოლონდ ტკბილად, კოჭი ნატიფი მრუდით გადადის წვივის თეთრ სვეტში, ფართო გვერდებს წვრილი წელი შვენის, მკერდი ორ ვაშლად ამობურცულა, კისერს ლამაზი თავი დასდგმია, ამ ბაგეთა გულისთვის კი სიკვდილიც არ არის ძნელი... და ყოველივე ამას ვამბობ ადამიანის ხუთი გრძნობიდან მხოლოდ ერთი გრძნობის სათქმელს!

— აი ქება! — ამოიოხრა ჰეტერამ, რომელიც სიყვარულით შესცქეროდა სოკრატეს. — მაგრამ, აკი ტკივილი მომაყენეო.

— რა თქმა უნდა. — სოკრატემ ორივ ხელი შეუხებლად ჩააყოლა იმისი მხრების, ხელების, გვერდებისა და ფეხების მოხატულობას, და მწარედ დაასრულა: — მე კი, სულელმა, ძერწვას თავი დავანებე!

— სხვა ვერავინ შეგაქებს ამაზედ უკეთ, თეოდატა! — წარმოთქვა ანტისთენემ.

ალკიბიადემ დაუმატა:

— მე დავასრულებ. თითქმის ყოველდღე სოკრატესთან ვარ. მაგრამ ერთხელაც არ გამოუთქვამს სინანული იმის გამო, რომ ძერწვაზედ ხელი აიღო, მხოლოდ დღეს ინანა, თეოდატა, შენ რომ გნახა.

ქალი სოკრატეს ფერხთა წინ დაეშვა და თავი მუხლებზე დაადო:

— შენ არ იცი, რა ბედნიერი ვარ, ჩემთან რომ მოხვედი, და რა უბედური ვარ, რომ შენი ქანდაკების პირველსახე ვერ გავხდები...

სოკრატემ ნელა დაუსვა ხელისგული თმაზედ:

— შენ ჩვენი საუკეთესო მხატვარნი გხატავენ, და ეს მიმსუბუქებს სინანულს.

ანტისთენემ სოკრატეს ახედა:

— არ გინდა, რომ თეოდატას გულისთვის ისევ აიღო ხელში ჩაქუჩი და საჭრეთელი?

სოკრატემ თავი გააქნია:

— ჰო, დიდებული რამ იქნებოდა. მგონი, ჯერაც არ დამვიწყნია, — არა არა, მგონი კი არა, ნამდვილად! ესეგვარი სახე მაშინვე დამიბრუნებდა ოდინდელ ოსტატობას.

— მაშ, რა გიშლის? — ჰკითხა თეოდატამ.

— რა მიშლის და, წყალსა ვხაპავ ცხრილით, — გაიცინა სოკრატემ, — ვჯახირობ ადამიანით, მინდა, რომ უკეთესი გავხადო. მაგრამ სოფისტიკის მომხრენი და მიმდევარნი მაბრკოლებენ...

— ვიცი, ვიცი, მეც ვამჩნევ, — ამოიოხრა თეოდატამ. — უმცროსი სოფისტნი ავად ზემოქმედებენ სულზედ. შეუსვენებლივ ქაქანებენ, პირდაპირ სიტყვების კორიანტელში ახშობენ ადამიანს, საკუთარი თავის ყოველგვარ რწმენას უკარგავენ...

— ჰო, ყველაფას გარეულ ტახებსავით თხრიან, — მოიღუშა ანტისთენე, — ცდილობენ, რომ ჭვეყნიერება პირველქმნილ ქაოსს დაუბრუნონ, რა თქმა უნდა, უკეთესი ცხოვრება ექნებოდათ, ძირს ხალხის [illegible], ძირს კანონები, ძირს ყოველგვარი წესრიგი, რომელიც ადამიანთა ერთობლივ ცხოვრებას ხელს აძლევს! ისინი თაყვანსა სცემენ თვითნებობას, რომელიც ყოველ ცალკე ადამიანს ნებასა რთავს, რომ სხვათ ანგარიში არ გაუწიოს და საკუთრად წარემატოს... — ანტისთენემ დამნაშავესავით გადახედა დიასახლისს. — მაგრამ ეს რა ულრანში ამოყო თავი შენს სილამაზეზედ დაწყებულმა ჩვენმა საუბარმა?

თეოდატამ თავი გადააქნია:

— ჩვენ უფრო მნიშვნელოვან საგანთა გამო ვლაპარაკობთ, ვიდრე ჩემი გარეგნობაა... — მზერა სოკრატეზედ გადაიტანა. — მე განცვიფრებული ვარ იმ თავხედობით, რა თავხედობითაც სოფისტანი ხალხს საჯაროდ ასწავლიან, თუ როგორ უნდა გახდეს კაცი გაქნილი პატივმოყვარე და თავკერძა...

სოკრატემ მწარედ გაიცინა:

— განა ეგების განცვიფრება იმ ადამიანური სისუსტის გამო ხალხს იძულებულად რომ ასმენინებს სოფისტთა ნაკარნახევს, თუ რარიგ უნდა ვიდოდეს კაცი მაღლა-მაღლა და რარიგ უნდა ნახულობდეს მეტ და მეტ სარგებელს?

თეოდატას ხიზლით შეაჟრჟოლა:

— საშიხელებაა, რომ იმათ სიტყვებს ასეთი ზეგავლენა აქვთ.

— დიახ, — სიტყვა ჩამოართვა სოკრატემ. — სიტყვა დიდი ძალაა, მაგრამ არა მარტო იმათი სიტყვა. აი, რატომ არის, რომ მეცა და ჩემს მეგობართაც ახლა ასე ბევრი საქმე გვაქვს.

თეოდატამ ალკიბიადეს მხარეს გაიწვდინა ხელი:

— შენ, სოკრატე, ადამიანს ისე დასტრიალებ, როგორც სირიელი მებალენი ტყიურას, ანუ ველურ საძირეს ამყნობენ, ყველაფერს ღონობენ, რომ მშვენიერი რამ ნაყოფი გამოაღებინონ...

ახალგაზრდა მდიდარი ტრაპეზიტი მთელს ამ საუბარს უკმაყოფილოდ ესმენდა. ის თავისი კუთვნილის მისაღებად იყო მოსული, თეოდატას წინასწარ აცნობა, მოვდივარო, დაუპატიჟებელი სტუმარნი კი აყოვნებდნენ... შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო. და ახალგაზრდამ ველარ მოითმინა:

— უკვე გვიანი არის, დროა — თეოდატამ გადაწყვიტოს, რომელ ჩვენგანს დაიტოვებს სასიყვარულოდ!

მან ხელი ქისაზედ დაიდო და გამომწვევად შეხედა ჰეტერას, დარწმუნებულმა, რომ ქალი ოქროს წკრიალს ვერ გაუძლებდა.

თეოდატამ მამაკაცთ მიმოავლო თვალი, თითქოს არჩევანში შედისო.

— ძალიან ხარბი ვარ. პირდაპირ მტაცებელი ხადირი ვარ და არც ვმალავ ამას. — ახალგაზრდა გადამხურდავებელს გადახედა, რომელიც უკვე ამაყად გასწორდა, თავის გამარჯვებაში დარწმუნებული. — დღეს კი არაჩვეულებრივი

სიხარბე დამეუფლა, ამიტომ, მეგობრებო, ნუ გეწყინებათ, უკეთუ ისეთი მამაკაცი მოშინდა, რომელშიაც ორი მამრია!

— ეგ როგორ გავიგოთ? უფრო გარკვევით გვითხარ.. თეოდატა ადგა.

— რომელშიც ერთდროულად ფილოსოფოსიც არის და მხატვარიც! — და მან მდაბლად დაუკრა თავი სოკრატეს.

ყველა გაოცებული იყო. გადამხურდავებელმა ქისა შეინახა და იქაურობას გაშორდა.

ალკიბიადემ განაცხადა, მე და ანტისთენემ მონა ქალნი ავირჩიეთ გასართობადო. ორივენი ბაღში გავიდნენ, დარბაზს რომ ეკრა, თან ჩუმად მოილაპარაკეს, რომ ფარულად თვალს ადევნებდნენ, როგორ მოეალერსებოდა სოკრატე თეოდატას: ნეტავი შეძლებს თუ ვერა თავის დაჭერას, რასაც ასე ხშირად ურჩევდა სხვათ.

ჰეტერამ კაშკაშა სანათურნი ჩააქრო და ნარინჯისფერი ლამპარი აანთო. ცეცხლში არაბული მუშკამბრის რამდენიმე ჩხირი ჩააგდო და მთელი იღლია ბალიშები მოიტანა. ყოველივე ამან გრძნობათა და გამაბრუებელი ინტიმურობის ატმოსფერო შექმნა.

— შენ გარყვნილი ქალის ბადეში მოხვდი, — წყნარად წარმოთქვა ჰეტერამ — წასვლას ხომ არ ამჯობინებ? ყური მოვკარი, ახლახან დაქორწინებულხარ.

— დიახ, — გაიღიმა სოკრატემ, — მაგრამ ეგ ის მიზეზი არ არის, რომ წავიდე, თუმცა ცოლი ძალიან მიყვარს.

— ამბობენ, ქსანთიპე საოცრად ლამაზიაო.

— მართალია. იმისი სილამაზე სხვანაირია, ვიდრე შენი.

— ალბათ ეჭვიანობს კიდეც.

— გამოცანა გეკუთვნის.

— შენისთანა ქმრის პატრონს რა გამოცნობა უნდა!

სოკრატემ გაიცინა.

— მე კი მაოცებს იმისი ეჭვიანობა, განა ბუნებრივი არ არის, რომ ქსანთიპე მიყვარს და აღტაცებული ვარ თეოდატათი?

— მგონი, კი, მაგრამ ცუდად გართობ. აი სინანული გაგიღვიძე, რომ ადამიანის სიყვარულმა ადამიანის ქვაში ძერწვაზედ ხელი აგაღებინა. მაგრამ ისიც ხელოვნებაა რასაც ახლა შვრები.

სოკრატე ხელს უსვამდა, თითებს აჩერებდა იმის ნაზ შიშველ კისერზედ და ასეთი შეხებით ნეტარებას განიცდიდა.

— ვიდრე ჩემთან ხარ, ყველაფერი მოიშორე, რაც გტანჯავს... გევედრები, სოკრატე! დღეს ჩემ ჭერქვეშ ზეიმია. დაივიწყე მტანჯველი აზრები, გამხიარულდი, ვითარ სხვათ ურჩევ...

სოკრატემ აკოცა:

— როცა ჩვენ შემოვდიოდით, მუსიკის ხმა შემომესმა: შენ კითარაზედ უკრავდი.

თეოდატა იმის ფერხთით ბალიშზედ დაჯდა. ნარინჯისფერი შუქი უნათებდა ბრინჯაოს თმას. მზერა სოკრატეს მიაპყრო და ნახევარხმაზედ დაამღერა არქილოქეს ლექსი:

ტრფობის უზომო ნაღველი
სულის სიღრმეში ჩამეჭრა,
მზერა დანისლა წყვდიადმა,
გონი გულიდან განდევნა...

სოკრატეს უყვარდა მუსიკა და სიმღერა. უსმენდა, იღიმებოდა.

— შენთან ერთად დავცურავ შენი სიმღერის ტალღებში, ... — ქალი მიიზიდა. — ადამიანის ყველა გრძნობას როგორ ამსუყებ, ძვირფასო! — ჩაილაპარაკა გაკვირვებულმა.

მისი მშვენიერების ცდუნებას შებმოდა. ის კი არა, თვითონვე აძლიერებდა საფრთხეს...

ალკიბიადე და ანტისთენე ოლეანდრების ტოტებიდან უთვალთვალებდნენ. განცვიფრებულნი იყვნენ.

— არა, ძმაო, ეს უფრო მეტია, ვიდრე კაცმა შიშშილი, წყურვილი, პაპანაქება და სიცივე აიტანო! — ჩურჩულებს ალკიბიადე.

ანტისთენე აღელვებული ოხრავს:

— სოკრატე ჭეშმარიტად ძლიერი ადამიანია; რაც სურს, ის ძალუძს კიდეც...

მთების თავზედ ცას ფერი გაუკრთა, ბაზმაში ზეთი ილევა, ძლივსღა ბჟუტავს, და ნახევრად ბინდში სახეები კიდევ უფრო იდუმალი, სურვილით ანთებული ჩანან. თეოდატა სოკრატეს მხურვალე კოცნით ემშვიდობება:

— დღეს გავიგე, ჩემო ძვირფასო, ახალი ღრმა კაშირი მამაკაცსა და დედაკაცს შორის, რასაც აქამდე არ ვიცნობდი. ეს ამტკიცებს შენს სიმართლეს, რომ ტკბობა ერთი კი არა, ასნაირია, იქნებ ათასნაირიც, და შენ შეგიძლია ყველა ამ ტკბობის აღმოჩენა და ჩუქება...

— შენ კი, თეოდატა, იშვიათი ნიჭი გაქვს: სუყოველ ამ ტკბობას ათმაგად უბრუნებ კაცს.

— შეიძლება, ერთი რამ რომ გთხოვო?

— რა თქმა უნდა!

— მალე მოდი ისევ!

სოკრატემ აკოცა:

— წინასწარ მიხარის გული.

სოკრატე გამოვიდა. ოლეანდრის ბუჩქიდან ალკიბიადე შემოეგება გულში ჩასაკვრელად ხელებგაშლილი.

იცის, იცის, თეოდატა ენუკვა. დღეს ჩემგან ნურაფერს მოითხოვო.

15

თეოდატასთან ნამყოფი სოკრატე შინ ბრუნდება. მალე გათენდება — ჰიმეტოსის მწვერვალს ცისკრის სხივი დასცემია, ცას ალიონის ფერი აქვს.

სოკრატე ჩინებულ გუნებაზეა. ღვინომ ნაბიჯი შეუმსუბუქა. პირდაპირ ეცექვება... მკერდიდან მოსჩქეფს თეოდატას სიმღერის სიტყვები:

ტრფობის უზომო ნაღველი
სულის სიღრმეში ჩაეჭრა,
მზერა დანისლა წყვდიადმა,
გონი გულიდან განდევნა...

შიშველ ფეხთ ქვაფენილზედ გააქვთ ტყაპუნი. სოკრატე ქსანთიპეზედ ფიქრობს, უხარია, რომ მალე გადაეხვევა. სად იქნება, ნეტავი? გუშინწინ გრანიტის ლოდზედ იჯდა მოკუნტული, საკუთარ მუხლთ მოჰხვეოდა, თმა ჩამოეშალა და ერთიანად დაფარულიყო. ოლად ვერ გაშალა ეს მწუხარე მოკუნტული გუნდა, რომ გულში ჩაეკრა. დღეს როგორღა დახვდება? — შიშნეული ფიქრობს სოკრატე, და ისე აღებს კუტიკარს.

სახლის კარი უკვე ჩანს, ქსანთიპე კი არსად არის. აღარ ელოდება, როგორც ჩვეულებრივ. მსუბუქი ნაბიჯებით გაიარა ეზო, სახლთან მივიდა — ანაზდად კარი გაიღო და ქსანთიპე გამოვიდა, ხელთ საწველელი ეჭირა.

სოკრატე მეხსა და ქუხილს ელოდა. ცოლის კბილებმა გაიელვეს, ოღონდ ალერსიანი ღიმილით:

— ჰაი, ჰაი, უკვე აქა ხარ? მე კი მხოლოდ ახლა მივდივარ თხის მოსაწველად... ან იქნებ დღეს ვერ გამხიარულდი, შინ დაბრუნება აგრე რომ გიჩქარია?

ცოლის ალერსიანობამ სოკრატე დააბნია. მზად იყო მეხის დასახვედრად, ამინდი კი მოწმენდილი დახვდა...

— კარგად თუ გეძინა, ძვირფასო? — თავი აარიდა პასუხს.

— გმადლობთ, ჩინებულად! შინ სიწყნარე იყო, არავინ არ ხვრინავდა, არც ვინმე ხითხითებდა ძილში, არც ხალხს ებაასებოდა...

დიალოგის უდიდესი ოსტატი გაშრა. ორმოდან ამობობღება დაიწყო, როგორც ძალედვა.

— ძალიან კარგსა შვრები, რომ დაწვები და დაიძინებ ხოლმე, როცა სადმე მაგვიანდება. ისეთი ვარდისფერი ხარ, თითქოს ეს-ეს არის გებანაოს...

— ოჰ, როგორ მაქებ! — ქსანთიპემ სარძევე დადგა, დოინჯი შემოიყარა. — სამაგიეროდ შენ მთელი ღამე თვალი არ მოგიხუჭავს, ახლა ამოუშვებ ხვრინვას, მე კი მთელი დღე წელი უნდა ვიწყვიტო... ბუსთვალება ათენას ვფიცავ! სულ კი შენი უბედური საუბრების ბრალია. შინიდან გადიხარ თუ არა, ვინც ხელში მოგხვდება, დაიჭერ და სულსა ხდი... ეჰ, შე ენად გაკრეფილო, შენა! ოღონდ გალაპარაკონ და სხვა არაფერი გინდა, შე, ჩემო ყბედო და მოლაყბევ, შე ჩემო ძირგახვრეტილო დოქო, ჩემო მდუღარე კოჭობო!

სოკრატე კვლავ ექლესებოდა:

— აი, ხედავ, ძვირფასო, მე მთვრალი ვარ! ყველა რიტორისა და სინონიმისტს მოუხდებოდა შენი ენის სიმდიდრის შესწავლა... ო, ამღერებულო ატიკურო ენავ, მეჭურჭლისგან გამდიდრებულო! პირდაპირ მუსიკა ქღერს შენი ყოხტა ენა-პირიდან.

მაგრამ ქსანთიპემ საშუალება არ მისცა, რომ სიტყვა ბანზედ აეგდო:

— ეს რა მოსვლია ამ შენს ქიტონს? ჰერასა ვფიცავ! სულ ღვინოშია ამოვლებული!

— სიმპოსიონი იყო კრიტონთან...

ქსანთიპე უკვე ბრაზობდა:

— უყურეთ ერთი! მე აქ, ამ ქვებში ვგდივარ, როგორც საპატიმროში, გარშემო კაცის ხმა არ ისმის, შენ კი ნადიმობ! შემწვარ-მოხრაკულს მიირთმევ, ქაშაყიან თითებს იწუწნი, ღვინოსა წრუპავ! მე ხომ ვიცი, რამდენის მირთმევა შეგიძლია, გამხიარულდებოდი, აბა, რა იქნებოდა... გაჩუმდი! გამანებე თავი! შორიდან მესმოდა შენი ლიღინის ხმა, ოღონდ ის კი არ გაღიღინებდა, ჩემთან რომ მოდიოდი, არამედ იქ ნახულ-განცდილის გამოყოლილი სიხარული.

სოკრატემ ცოლი ნაზად ჩაიკრა გულში:

— ვიცი. არამზადა ვარ, ყოველთვის მარტოსა გტოვებ, მაგრამ მე ხომ არა ვარ დამნაშავე, რომ ქალთ აკრძალული გაქვთ მამაკაცთა გვერდით ნადიმზედ ყოფნა! სწორედ დღეს კრიტონთან მაგაზედ იყო ლაპარაკი, თუ რა უსამართლობაა ეს ჩვენთა ქალთა მიმართ, რომ შინ, როგორც ქათმები საქათმეში, ისე გვყავხართ გამომწყვდეულნი, და მეც სწორედ დღეს ვიფიქრე — კანონის პროექტი უნდა შევიტანოთ, რომ ქალიშვილთაც ჰაბუკთა თანაბრად მიეცეს განათლება და უსმინონ ფილოსოფოსთ, მხოლოდ განათლება გაუმჯობესებს ქალთა მდგომარეობას. ისინი თავიანთი ქმრების მეგობარნი გახდებიან, და მაშინ მარტო ჰეტერები არ იქნებიან ასე თუ ისე განათლებულნი, მაშინ ჩვენი დიაცნიც დაეუფლებიან დეკლამაციის ხელოვნებას, ცეკვებს, სიმღერას და მუსიკას! ეს გადატრიალება იქნება საზოგადოებაში, ძვირფასო!

ქსანთიპე ხელიდან გაუსხლტა და თავისი გახაგრძო:

— რაებსა ლოშავ? გინდა, რომ კიდევ უფრო გამაბრაზო? მაშ, მიეატოვო ჰუდის მამული, არა? ჯანდაბას, ამოვარდეს ვენახი, სახლი ყირამალა დადგეს, თხას შიმშილით ჯიქანში რძე გაუშრეს, არა? მე წავიდე და ვისწავლო, შენ კი ქალაქში იყიალო ხომ?!

უცებ ხმა ჩაუწყდა, ქმრის ქიტონს დასუნა.

— ნელსურნელება მცემს! ჰეტერასთან ყოფილხარ! — ქალს ხმა აუკანკალდა. — აი, შე უსინდისოვ! ეს არის შენი სიბრძნე! მატყუებ, მეგობართან ვმუსაიფობდიო, ნამდვილად კი მთელი ღამე ჰეტერასთან კოტრიალობდი!

ქალის სიტყვები ზლუქუნში ძლივს ისმოდა, თითებით კი მხრებში ჩაეფრინდა მოღალატე ქმარს.

— ვიყავი, იმა ჰეტერასთან, თეოდატასთან ვიყავით, მაგრამ არ გადავყოლილვარ. ვსვამდით, ვჭამდით, ვლაპარაკობდით. თეოდატა დიდად განათლებული ქალია. შენ კი ათენელ ქალთა შორის ულამაზესი ხარ. სუყველაფერი ვუამბე თეოდატას, როგორ მიყვარხარ.

ქსანთიპეს პირი კოცნით დაუფარა, ალარ აცალა ახალი კორიანტელის აყენება და ნაზად შეიყვანა შინ.

წავიდნენ...

მომე, არტემიდაზედ იმად გაჯავრებული, რომ ქალწული ხშირად მიატოვებს ხოლმე მარტოდ მარტოს და თვითონ სადღაც არკადიაში დანავარდობს, ხალისით უსმენდა ცოლ-ქმრის დიალოგს.

ბუზღუნა მოხუცმა სოკრატე დაბადების დღიდანვე შეიყვარა, მაგრამ ეჩნეოდა, რომ კიდევ უფრო მეტად შეეთვისა იმის ცოლს. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ მარდი სირბილი იცის ეზოში — შავი თმა ქარში გაეშლება ხოლმე, თვალები ნამდვილი ცეცხლის ალი გეგონება... თანაც ქსანთიპე არ ივიწყებს, ჭუდამ ყვავილთა თაიგულს უძღვნის. მერე, ენა რომ ძალზედ ბასრი აქვს?.. არცრა უშავს რა, მუნჯ კრავად ყოფნას აგრე სჯობს...

16

ჭადრის ქვეშ სამნი სხედან: სოკრატე, კრიტია, ალკიბიადე. მეოთხე არა ჩანს.

— გეძინოთ, თვლემდეთ, ხვრინავდეთ, მკვდრებსავით ეყარეხით — აი, რას გვირჩევს ნიკია! მაგრამ ვინ აამაღლებს ათენს ოდინდელსავით? ძმინარენი? — ამბობდა ალკიბიადე.

— ნიკია ვერცა ხედავს ათენის ამაღლების საჭიროებას. საშვიელოდ ამას ხედავს ათენის ხალხი, მეზღვაურნი, ხელოსანნი, ვაჭარნი, — გამოეხმაურა სოკრატე. — მე გისმენ ხოლმე ეკლესიაში და მოწმე ვარ, როგორ შემოგციცინებს ხალხი. ადამიანთ სწამთ შენი გულმოდგინება და სარდლის ბრძენ. ამიტომაც უყვარხარ, ალკიბიადე.

— მაგ სიყვარულიდან რა მოგებაც გაქვს — ძნელი მისაგებელია ეროს. — ჩაურთო კრიტიამ.

ალკიბიადემ ხელი აიქნია, თითქოს კრიტიას იგერიებდა:

— არა, არა! ვიდრე კრებიდან ათენის პირველ კაცად არ გამომაცილებენ, მაგის გაგონებაც არ მინდა!

კრიტიას განუწყვეტლივ ღრღნის შური: მეც ხომ პერიკლეს ძმისწული ვარ, მეც სოკრატეს მოწაფე ვარ, არც ნიჭითა ვარ სხვაზედ ნაკლები — პოეტიცა ვარ, და მაინც მიწაზედ დავხოხავ, ალკიბიადე კი ირწივად აფრენის ეპირება!

და ხმამაღლა გესლიანად გამოსცრა:

— მე მგონია, ალკიბიადე, შენ ყველაზე უფრო სილამაზისთვის უყვარხარ, რომელ სილამაზესაც კიდევ უფრო განსაკუთრებულსა ხდი უცხოური მოდის უცნაური სამოსლით.

— ეჰ, ძვირფასო კრიტია, — მიუგო ალკიბიადემ, — ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავ, მიხვდებოდი: ოდეს ქალთა თუ მამაკაცთ მხოლოდ გარეგნობისა გამო უყვარხარ, — მძიმე მბავია, ხშირად კი საძაგლობაც არის.

— მაგრამ შენ იმათაც ტკბილად ელაპარაკები, ვისი სიყვარულიც არ გეჭირვება...

— მართალია, — კვერი დაუკრა ალკიბიადემ, — არ შემიძლია, ადამიანთ სამტროდ ვერ განვიწყობ, ვერა ვკბენ და ვერ ვგესლავ, მაგრამ თუ ვინმე გამაცოფებს, ისე გავაბრტყელებ, რომ ფეხზედ ველარ დადგეს. სამაგიეროდ მეორე დღეს მივალ, უკანასკნელ პერანგს გავიხდი, იმას ჩავაცმევ და თან ვთხოვ, წკეპლა ალიე და ტანი ამიჭრელე, ჯავრი ამოიყარე-მეთქი.

სოკრატე დუმდა. თითი ღვინოში ჩააწო და მაგიდაზე დაიწყო მშვილდოსანი ეროსის ხატვა. ალკიბიადეს საფეთქლებზედ წამობერილი ძარღვები შენიშნა. რა კაცია ჩემი კეთილი ალკიბიადე! მტაცებელი ნადირია და თანაც უწყინარი კრავი.

— მე საკუთარი ცოლისთვისაც კი ვერ გავხდები უსიამოვნო კაცი. ვიცი, ვუყვარვარ, სიგიჟემდე მიყვარხარო, მეუბნება.

— ჰოდა, მაგიტომაც გაგექცა თავის ძმასთან, — ბოროტად შენიშნა კრიტიამ.

— ეეჰ, — ამოიოხრა ალკიბიადემ. — იმას უნდა, რომ სხვა ქალთ ალარ შეეხედო და მეც ისევე მარტო იმის სიყვარულით ვგიჟდებოდე, როგორც თვითონ ის გიჟდება მარტო ჩემთვის... — აქ სოკრატეს მიუბრუნდა, — თავადბრძანე, ძვირფასო, ვანი გოსიერულია ჰიპარეტეს სურვილი, რომ შემაწყვეტინოს თეოდატასთან და სხვა ჰეტერებთან სიარული? რისთვის დავდივართ ჩვენ, მამაკაცნო, ჰეტერებთან? რისთვის და, იმათთან იმას ვნახულობთ, რასაც საკუთარ ჭერქვეშ ვერ ვპოულობთ...

და მან დაიწყო ასეთი აზრის განვითარება: ცოლი უნდა იყოს არა მარტო ძუ, არამედ ქმრის მეგობარიც, რომელსაც კაცი ისევე გაანდობს ყველაფერს, როგორც მამაკაცთ.

— ჰეტერებთან ათას რამეზედ შეიძლება მსჯელობა და უფრო უკეთაც კი,

ვიდრე ნადიმზედ, სადაც მასპინძელი უხვად გვიმასპინძლდება შემწვარ-მოხრაკულით, პაშტეტით, ღვინითა და ზოგჯერ ცოცხალი ჩიჩიათიც კი... იწყება ხმაურიანი დროსტარება, ხუმრობა, მოდიან ოინბაზნი — და მაშინ ყოველგვარი გონივრული სიტყვა ისე ესმით, როგორც მორიგი ოინი. სულ სხვაა ჩვეულებრივ...

— შეჩერდი, ალკიბიადე, — უთხრა სოკრატემ. — რის დაფარვა გინდა მაგ ქადაგებით?

— მე ჩემს უფლებას ვიცავ. არჩევნის უფლებას. ჩემს ეჭვიან ჰიპარეტეს კი ისე წარმოუდგენია, თითქოსდა ჩემ მიმართ გიჟური სიყვარულისა გამო უფლება ჰქონდეს, რომ მედილეგე გამიხდეს...

— ალკიბიადე სიგიჟეზედ ლაპარაკობს! — ჩაიცინა კრიტიამ, — მაგრამ მხოლოდ სხვათა მიმართ...

სოკრატემ ჰკითხა:

— რაში ხედავ, ალკიბიადე, ჰიპარეტეს გიჟურ სიყვარულს?

ალკიბიადე დაცხრა, სახეზედ წამებულის გამომეტყველება აღებეჭდა:

— ის მართლა გაგიჟდა. არქონტს განქორწინების მოთხოვნა შეატყობინა. დღეს სასამართლოს წინაშე უნდა წარვდგე.

— შენ კი გულდამშვიდებით ზიხარ აქ ჩვენთან, იმის მაგივრად, რომ სასამართლოში წახვიდე და თავი დაიცვა?! — გაოცდა სოკრატე.

— მე თავს აქ შენ წინაშე ვიცავ, სოკრატე. ძალიან მინდა, რომ იცოდე, როგორი დატანჯული ვარ იმის ხელში.

— დატანჯული?

— დიახ, სოკრატე. განა სიგიჟე არ არის, რომ სასამართლოთი მაიძულებდა ფიანასავით ფერხთით მიწექი და ყოველდღე მგზნებარე სიყვარული შემომფიცეო? მაგრამ სასამართლოზედ ამას არ განაცხადებს. ესასრულოდ მოჰყვება იმის მტკიცებას, რარიგ ცუდი ვინმე ვარ და ამიტ თავისი მუქარისა და ზემოქმედების დაფარვას შეეცდება. ძალადობაა. ბრძანე, სოკრატე, რამდენჯერ გაგიფრთხილებივართ, სიყვარულში ძალადობა არ იყოსო!

სოკრატე დაეკითხა:

— შენ რა, ცოლი არ გიყვარს?

კუტიკარში აქოშინებული გზირი გამოჩნდა. სასამართლოს მსახური, და ალკიბიადეს მოსამართლის ბრძანება გადასცა: დაუყოვნებლივ გამოცხადდიო.

— შენმა მეუღლემ, როგორც კანონით არის გათვალისწინებული, პირადად გადასცა მოსამართლეს განქორწინების მოთხოვნა... ახლა ისა და მოსამართლე მოუთმენლად გელოდებიან. როდის გამოცხადდები საქმის გასარჩევად...

აქ ამ ავის მაუწყებელმა ალკიბიადეს სახეში შეხედა და შეშინებულმა უკან-უკან დაიხია.

— დაიცა, მეგობარო! — შეაჩერა ალკიბიადემ. — გადაეცი მოსამართლეს, რომ არ მივალ. რაღას ელოდები? გაგიმეორო თუ რა?!

— ჯერეთ შინ გეძებე, და, ვიდრე აქ გიპოვიდი, ბევრი დრო გავიდა... თუ ბოლოს და ბოლოს მაინც წახვალ, — საქმე სერიოზულია, — მაშ, იჩქარე! — წაიბურდღუნა მსახურმა.

— შენ თვითონ იჩქარე, რომ მოსამართლეს ჩემი ნათქვამი მიუტანო, თორემ აი ამ დოქს რომ უყურებ, ზედ თავზედ გადაგემსხვრევა. — შეუყვირა ალკიბიადემ.

სოკრატემ მკაცრად გადახედა თავის მოწაფეს:

— ვისაც სახელმწიფოს მართვა სურს, განა პირველი მემაგალითე არ უნდა იყოს კანონის მორჩილებისა?!

ალკიბიადემ არ უპასუხა, აზრით გზირს მიჰყვებოდა. აი, ახლა ალბათ უკვე გაიარა ალოპეკოსი, ახლა ქალაქში შედის, მელიტეს გაივლის...

ამასობაში ჰიპარეტე, რომელიც სასამართლო დარბაზში სულწასული ელოდა ქმარს, უეცრად ცუდად გახდა. წყალი მოარბენინეს, საფეთქლები დაუსველეს, მოსამართლემ გამამხნევებელი სიტყვების ყველა მარაგი ამოწურა, ის ალარ იმედოვნებდა, რომ ალკიბიადე მაინც გამოცხადდებოდა, და დაიღალა ახალ-ახალი სანუგეშო სიტყვების ძებნაში. ისე, ნუგეში თავადაც ეჭირვებოდა. იცოდა — ალკიბიადე მალე სახელმწიფოს მბრძანებელი გახდებოდა, იმან კი, უბედურმა არქონტმა, ცოლთან ვერ შეარიგა, როგორც წესი და კანონი ითხოვდა...

ალკიბიადემ უპასუხოდ დატოვა სოკრატეს სერიოზული და კრიტიას ცბიერი რჩევა, რომ დამორჩილებოდა კანონს და წასულიყო სასამართლოში. ამის მაგივრად მხრებზედ ქლამინდი მოისხა, ბალთით შეიკრა და აცეკვდა... ასე ცეკვა-ცეკვით მივიდა კუტკარამდე და მეგობართ მხიარულად დაუქნია ხელი, მშვიდობით იყავითო.

თვალს რომ მიეფარა, კრიტიამ წართქვა:

— საშინელი კაცია. განქორწინებასაც არ დაელოდა, ისე წავიდა ჰეტერებთან, რომ ეს ამბავი ზეიმით აღნიშნოს...

X X X

გზირი დამწუხრებული შევიდა დარბაზში და მოახსენა, ალკიბიადე ვერ მოვიყვანეო.

— რა ბევრი გავაგრძელო, გამომაგდო...

— როგორ თუ გამოგაგდო? — შეუღრინა არქონტმა.

— როგორ და, დამემუქრა, დოქს დაგამსხვრევ თავზედაო... მეც ავდექი და გამოვიქეცი.

ჰიპარეტეს სასოწარკვეთილ შეძახილს მისივ მოთქმა-გოდება მოჰყვა:

— ვაი, რა უბედური ვარ! ვიცი, არ მოვა! არ ვუყვარვარ! — ლამის სათუთი ხელები დაიმტვრია, თან სამაჯურნი უელარუნებდა. — ნეტავი რისთვის მოვითხოვე განქორწინება! რომელმა ბოროტმა დემონმა ჩამაგონა ეს აზრი!

ჰიპარეტე მუხლებზედ დაეცა, ვედრებით გაიშვირა ხელები არქონტისკენ. — ბედკრულს მხოლოდ დაშინება მინდოდა, განქორწინებით შევაშინებ-მეთქი, ვფიქრობდი, იმედი მქონდა, რომ გულსხმაში ჩავარდებოდა, გამიგებდა თავის ერთგულ ცოლს, დედას, რომელმაც ორი ვაჟკაცი გავუჩინე. იმედი მქონდა, გამოსწორდება, თავს გაანებებს ქეიფსა და აქეთ-იქით სიარულს-მეთქი.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სასამართლო უკვე გაეცნო შენს მოთხოვნას, საბუთებიც საკმარისია, ამიტომაც, ძვირფასო ჰიპარეტე, ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ დავაკმაყოფილოთ შენი მოთხოვნა განქორწინებაზედ... დაბეჭილი ხმით წარმოთქვა მოსამართლემ.

ჰიპარეტე მოცელილივით დავარდა, ქვითინებდა, სასოწარკვეთილი ყვიროდა:

— მომკალით! აღარ მინდა სიცოცხლე! აღარ მინდა სიცოცხლე!

დარბაზში ალკიბიადე შემოვარდა.

— აქ რას აკეთებ, ძვირფასო? — მოესმა ცოლს ქმრის ხმა. — ჰადესის სამეფოში ხომ არ აპირებ წასვლას? საიდან მოგივიდა ეგეთი გიჟური ტრაბალი, ოდეს ჩემს ჭერქვეშ შენთვის ნამდვილი ელისიებია?

და უმალ, ვიდრე ქალი გონზედ მოვიდოდა, ვიდრე [illegible] ტყოდა, ალკიბიადემ ცოლი ხელთ აიტაცა და გარეთ, [illegible] გავარდა.

— ჰეი! მოქალაქენო! ალკიბიადეა! — გაისმა ხალხში, რომელი ხალხიც მუდამ უსაქმოდ დაეხეტებოდა აგორაზედ.

— რას მიარბენინებს? — დაედევნა უსაქმურთა გუნდი.

— ზევსსა ვფიცავ! საკუთარი ცოლი უჭირავს!

ჰიპარეტე ხელიდან დასხლტომას ლამობდა, იგრიხებოდა, ფეხთ იქნევდა, კიოდა, მაგრამ ვერაფერი შველოდა. ალკიბიადე გიჟივით დარბოდა ქალაქში, ხელთ ცოლი ეჭირა და ზურგს უკან ქლამიდა და ცოლის გრძელი გაშლილი თმა უფრიალებდა. მაგრამ ჰიპარეტეს პეპლოსიც აუფრიალდა და ხალხმა თვალი ჰკიდა იმის ქათქათა ფეხთ. ყველანი სიცილით მიაცილებდნენ. არც მხიარული შეძახილები აკლდათ:

— საკუთარი ცოლი მოუტაცია!

ალკიბიადეს ადევნებული ცნობისმოყვარეთა და მასხარათა გუნდი სწრაფად მატულობდა.

— ყოჩაღ, ალკიბიადე!

— კარგია, ალკიბიადე!

— აი, ნამდვილი ვაჟკაცის საქციელი!

ჰიპარეტე დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობა უაზრებელი იყო, და ქმარს კისერზედ მოეხვია. იმან კიდევ კოცნა დაუწყო და ასე კოცნა-კოცნით მიიყვანა შინ.

ათენი ზეიმობდა! ათენი იცინოდა! ათენმა იშვიათი სპექტაკლი მოიხილა!

ჰიპარეტეს მოტაცების ამბავი მთელს ქალაქში ზღაპრად დადიოდა. ეს ამბავი სოკრატესთანაც მიფრინდა. როცა ის ჯერ კიდევ კრიტიასთან ერთად ჭადარქვეშ იჯდა. სოკრატე ისე ხარხარებდა, გზიანად ლაპარაკი უჭირდა:

— აი ოინი! ოინიც ამას ჰქვია! აი, შე ცულლუტო, შენა! რისი სასამართლო, რა სამსჯავრო! ჭაობშიმც ჩაძირულხარ, არქონტო! შენცა, ჰიპარეტე! შენც გიყვარვარ, მეც მიყვარხარო — საცოლესავით მოგიპარავ და ისევ ისე ახლად დაქორწინებულნი ვიქნებითო!

— ჰო, ურიგო ხუმრობა როდია. მოგეცა ლხენა, სასაცილო ეს იყოს! — თქვა კრიტიამ. — ძვირფასო სოკრატე, აქ სიცილია კიდევ ერთი მიზეზი ხომ არ არის?

— უყურეთ ერთი! — ვერა ცხრებოდა სოკრატე. — გინდა, რომ მე, ბებიაქალს, დამეხმარო მშობიაობაში? შენ რა, ჩემი ხელოვნება ხომ არ გადაიღე?

— გადმოვიღე და კიდეც მეტი, ოღონდ შენს ბებიაქალობას ვერ გავბედავ. მაგრამ როგორც ალკიბიადეს სიხლით ნათესავი, გახარებული ვარ იმისი მოხერხებით და, ვფიქრობ, ეს ამბავი შენც გიხარის, იმის მეგობარს. თორემ ცოტაც კიდევ და, ოჯახური დავიდარაბისა გამო ალკიბიადე ათენის წესიერ ხალხში პოპულარობას დაკარგავდა. დღეს კი ცოლი რომ სასამართ-

ლო დარბაზიდან გაიტაცა, პირიქით, მრავალთა გული მოიგო, ძაან გაანგარიშებულად გამოუვიდა არჩევნების წინ.

სოკრატე დაფიქრებული უსმენდა და ფიქრიანად წარმოთქვა:

— მიხარის, როგორ არ მიხარის.

— მით უფრო, რომ ყველაა თვალწინ ქმნა საქმნელი. — კრიტიამ ცოტა გაატკბილა თავისი სიმქავე. — ჩვენ ხომ ვიცით, რა როგორ ხდება. ალკიბიადეს ყოველი მარჯვე ნაბიჯისთვის ხალხში შენ გაქებენ, იმის მოძღვარს.

— მაგრამ მაგით იმის თქმაც გინდა, რომ ყოველი იმისი მარცხის გამო შევე მაგინებენ, — უთხრა სოკრატემ.

— რატომ უნდა გაგინონ? ალკიბიადე მოწიწებით გისმენს: შენი სიტყვა და იმისი საქმე ერთია. ეს ახლახან დაამტკიცა კიდეც. შენ არისტოკრატთ ბრალსა სდებ, ღარიბნი სძულთო. ალკიბიადემ კი, ჩვენმა მომავალმა სტრატეგმა, იმის დასამტკიცებლად, რომ არისტოკრატთა საწინააღმდეგო შენი სჯა სავსებით შეითვისა, რომ იმისთვის უცხოა არისტოკრატთა მავნე ლათია — „სიღარიბე ყარსო", დიდი პურობა მოაწყო და თავის ჭერქვეშ ერთად შეყარა ყოველნი მშიერ-მწყურვალნი, გლახაკნი, დალუპულ მეომართა ქვრივ-ობოლნი და ისინიც, ვისაც ჭირისა რამ გამო ჯაფა ველარ გაუწევია, უხელონი და ცალფეხნი... და თავადაც ილხენდა, იმათთან ერთად მღეროდა და სულაც არად აგდებდა, რომ არცვის იმის გვერდით არცრა ფერ-უმარილი და არც კიდევ ნელსაცხებელი ესვა. ერთის სიტყვით, ალკიბიადეს დიახ ეხერხება ხალხის კეთილგანწყობილების მოღვაწება.

სოკრატემ თავისი დიდი თვალების მზერა მიაპყრო კრიტიას:

— მე მიუხვედრელი კაცი ვარ, საყვარელო კრიტია. მითხარ, აქებ ალკიბიადეს თუ აძაგებ?

ქვაყორის იქით ვიღაცამ ყრუდ გაიცინა. კრიტია შეკრთა. მაგრამ დუმილი მეტად არცრას დაურღვევია, და ისიც დამშვიდდა. ქვაყორს მიღმა კი სიმონი იჯდა და სოკრატეს ნათქვამს იწერდა. ამას ხშირად იქმოდა.

კრიტიამ ძალად აღტაცებულმა მიუგო:

— განა ალკიბიადეს ძაგება იქნება? ამ არაჩვეულებრივ ადამიანს რომელიც გინდა კაცის მომხრობა ძალუძს, პირდაპირ აჯადოებს ხალხს... — და მაამებლურად დაუმატა: — შენი არ იყოს, სოკრატე. მავანი და მავანი ბოროტი კაცი იტყოდა, ალკიბიადე თავისი თავაშვებული საქციელისთვის ჭელიეას სასამართლოშია მისაცემიო, — ვითომ არა? მაგრამ ჩვენ ხომ არც ერთი ბოროტი არა ვართ. იმის თავნებობაზედ რომ ლაპარაკობ, ყოველთვის რბილ-რბილ გამოთქმებს მიმართავ, იმისი ეს თავნებობა უბრალოდ იმისვე უშუალობის გამოხატულებად მიგაჩნია, ხოლო ვინც ხშირად გისმენს, სუ-ყოველი მიეჩვია შენი თვალსაზრისის გადმოღებას. მაგრამ, ვგონებ, რაც ახალგაზრდას ჰფერობს, მამაკაცსა და სტრატეგს არ ეკადრება.

სოკრატემ ხელები გაშალა:

— ჭერასა ვფიცავ ვიზიარებ მაგ შენს ფრთხილ აზრს, ჩემო კარგო! ვაი თუ, მართლაც ნაადრევად აირჩიონ ალკიბიადე სტრატეგოსად? შენ ამბობ, მამაკაციაო. კი, უკვე ოცდათერთმეტი წლისაა, მაგრამ ჯერეთ კიდევ იმოდენად გულუბრყვილო და გიჟმაჟია, რომ გაგიკვირდება... ამა დააკვირდი — სახე ბედნიერებითა და სიყვარულით აქვს გაცისკროვნებული.

კრიტიამ ტუჩზედ იკბინა, ლამის სისხლი დაიდინა.

— ეგრე რატომ მოშაშტერდი, სოკრატე?

სოკრატემ ისევ ასწია ხელები და ნელ-ნელა დაუშვა მაგიდაზედ.

— ალკიბიადეზედ ვფიქრობ და შენ გიყურებ, ვინც ალკიბიადეზედ ლაპარაკობ.

— და ხედავ, რომ სახე ბედნიერებითა და სიყვარულით არ მიბრწყინავს, — გამომწვევად წართქვა კრიტიამ. — დამაბრალე, ყველაფერი მე დამაბრალე! ნუ გეშინია ჩემი. სიმართლე მითხარ, მე არცვის თვალში არ მოვდივარ... თვით იმ ლაწირაკ ევთიდემესაც კი არ ვუყვარვარ, არცა წესიერების, არც თავაზიანობის გულისთვისაც კი არ ამჟღავნებს ჩემდამი კეთილგანწყობილებას — არანაირად! კაცი არ არის ათენში, რომ ვუყვარდე, ანდა რად ვეყვარები, როცა გვერდით თვალისმომჭრელი ალკიბიადეა...

და სოკრატე მიხვდა, რა უცხო იყო, რა შორს იდგა მისგან ეს აბზინდასავით მწარე კაცი.

— მაგ ამბავს ჩვენ ვერ შევცვლით, საყვარელო კრიტია. ეგ ბუნების საქმეა. ადამიანთ უფრორე სიყვარულითა და გულითადობით სხივმოსილნი უყვართ...

— ვიდრე ისინი, ვისაც სახეზედ მძულვარება და პირქუშობა აწერია...

— ეგრე მკვახედ რატომ ლაპარაკობ?

— ჩემი ნათქვამი შენგან თქმულის ტყუპის ცალია.

სოკრატემ გაიფიქრა: სიძულვილი ახლა ჩვენკენაც მომართა... არა, არა მარტო ახლა. უკვე დიდი ხანია. და სოკრატეს აღარ სიამოვნებდა იმ კაცის გვერდით ყოფნა, რომელსაც სიძულვილი უკვე არა მარტო გულში ჰქონდა, არამედ ბაგეზეც დასტყობოდა.

— დალევა სულ დაგვავიწყდა, — და სოკრატემ ორივ სასმისი შეავსო, მერე მშვიდად მიმართა თანამოსაუბრეს: — იცი რა, კრიტია... ორივეს აკი ერთნაირად გასწავლიდით...

— არა! — აღმოხდა კრიტიას. — იმას მეტს ასწავლიდი!

— იმან თვითონ ისწავლა ჩემგან მეტი. ეგებ ისიც, რარიგ უნდა ადამიანის მიზიდვა. — სოკრატემ ღვინო მოსვა, პირი ოდნავ გააწკლაპუნა. — კაცმა რომ თქვას, დღეს ერთთავად ეროსზედ ვლაპარაკობთ: ადამიანის მიმართ ადამიანის სიყვარულზედ, ქალის თუ კაცის მიმართ სიყვარულზედ. სხვათა შორის, მთელს ათენს სულაც არ უყვარს ალკიბიადე, აზვიადებ, — სოკრატეს სიბრაზე იპყრობდა, — საკმაოდ ბევრნი არიან, ვისაც ალკიბიადე მთელი არსებით სძაგს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, არავის არც რას აგრძნობინებს; შენ კი, კრიტია, ხედავ, რომ ევთიდემეს არ უნდიხარ, და მაინც ყოველგვარი შემთხვევით სარგებლობ და ზედ ეხახუნები, ვითარცა ღორი ლობეს...

კრიტია სახტად დარჩა. ხელები მაგიდის ფიცარს მოუჭირა, თვალები სისხლით აევსო. ტუჩები მოკუმა და გესლიანად, ბოროტად ჩაილაპარაკა:

— ძლივს გულწრფელად მითხარი, სოკრატე! არადა, რა ხანია ისე არ მექცევი, როგორაც დანარჩენ მოწაფეთ, მეტადრე კი როგორაც ალკიბიადეს...

სოკრატეს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ კრიტიამ მკვახედ გააწყვეტინა:

— მე ჯერეთ არ დამიმთავრებია. განსაკუთრებით კი როგორაც ალკიბიადეს, რომელიც შენც აგრე რიგად გიყვარს. გაჩუმდი! ვიცი, რასაც ვამბობ. აი, რატომ მოხდა, რომ — თუმცა ჩემზედ ახალგაზრდაა — გამოძერწე თუ არა. იმ ადგილზედ დააყენე, სადაც მე უნდა ვმდგარიყავი!

— გამოვძერწე, ჩემო კრიტია, არ ვუარყოფ, მაგრამ რა ადგილზედ დავაყენე? ეგრე თქმა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინაც სულსა შიგან თვითონ მოძალადეა. ახლა შენ გაჩუმდი! ვინ იცის, ეგებ ოდესმე შენც გახდე სტრატეგი — მაშინ შენც გისურვებდი ძალადობის გამოჩენას მხოლოდ და მხოლოდ სიტყვით და მხოლოდ და მხოლოდ კეთილი საქმის გულისთვის. — სოკრატემ ამოიოხრა. — ეჰ, ნეტავი შემეძლოს მყოფადის განჭვრეტა — თქვენთა ორთაგან რომელი რას მოუტანდით ჩვენს საშობლოს?!

— რა ვიცი, ნათელმხილველივით ხშირად ლაპარაკობ, ჩემსა და ალკიბიადეს მომავალს კი საკმაოდ ცხადლივ ვერა ხედავ?

სოკრატე ადგა.

— მომავალი თავის თავში მალავს სილამაზის და სიკეთის სასწაულთ, მაგრამ რა დაუდგება წინ შემოქმედის წარმოსახვას, ფანტაზიას, თამამ ჩანაფიქრს, პოეტურ ხატოვნებას!..

კრიტიაც წამოდგა.

— მაგრამ ჩვენთა ორთაგან განა მე არა ვარ პოეტი? — ის ამაყი იერით წავიდა კუტიკარხსკენ, იქ ისევ მობრუნდა. — მეტი მე შენთან ალარცრა მაქვს საძიებელი, სოკრატე, უკეთუ შენ ჩემში ლორსა ხედავ. ჩვენი დიალოგი ჯერხნობით დამთავრებულია.

კრიტია რომ წამოდგა, ქვაყორეზედ სიმონის გაბურძგნილი თავი გამოჩნდა.

— ისევ გვიყურადებდი? — უსაყვედურა სოკრატემ. — ჰო? მერედა, რას იტყვი?

— ორივ ერთნაირია — ერთნაირად ვნებიანი, ჯიუტი, მოუთვინიერებელი...

— მადლსა გწირავ გამხნევებისთვის, — ირონიულად წართქვა სოკრატემ.

17

საბერძნეთს ერთი ცა ადგას, ღიღილოსავით ლურჯი, ერთი შუქი დაჰნათის — უმამჭვირვალესი ნათება; ერთი აქვს საბერძნეთს ოლიმპი, დასახლებული ღმერთებითა და ქალღმერთებით, რომელნიც ერთიანად გაჟღენთილან ადამიანის სულით, როგორც ზღვის მისადგომია გაჟღენთილი თევზის სუნით. საბერძნეთში ერთი დელფოა, რომელსაც თვალწინ გადაშლია მომავალი. ერთია ენა საბერძნეთში — რომელ მხარეშიც უნდა ჩახვიდე, თითქმის ყველგან ერთნაირად ლაპარაკობენ, განსხვავებას ვერც შეამჩნევ, მაგრამ საბერძნეთს არა აქვს ერთი იდეა, ერთი საერთო მიზანი.

ომები ამწვავებენ კლასობრივ უთანხმოებასა და ძალაუფლებისათვის ბრძოლას; ეს გამწვავებული დავა-ჩხუბი თავის მხრივ შუბთა და მახვილთა წვერებით წყდება. ომით გალატაკებული და გაპარტახებული ქვეყანა გამდიდრებისა და ამაღლების გზას ახალ ომში ეძებს. მაგრამ მტრის მოსაგერიებელი ომებიც კი ხშირად მძარცველურ ომებად იქცევა ხოლმე.

ელადას ყველაზედ უფრო მტანჯველად ჯიჯგნიან წინააღმდეგობანი, სისხლიანი შინაგანი ომები. როგორ ერწმუნოს კაცი ამ ვითარებაში ნიკიას ზავს? რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მშვიდობა უნდათ მიწათმფლობელთ, ატიკელ გლეხთ ან მონათმფლობელთ, რომელნიც მონათა შრომით დიდძალ მოგებას ნახულობენ? ახლა დანარჩენი მოჭალაქენი?

შეგვიძლია თუ არა ჩვენ, ათენელთა, რომ მეთაურად დავიყენოთ მშვიდობისმოყვარე ნიკია, სუსტი, უკვე ბოროტული კაცი, რომელიც ორასაიმედო ზავით ომს უწვდიდა ხელს, ვინაც ოდითგან საგანგებოდ წვრთნის თავის ჭაბუკთა და ქალიშვილთ მკაცრი სამხედრო სულისკვეთებით? ვინაც სპარტელთ ამასთანავე ათენელთა დახმარებას ჰპირდება, უკეთეს იმათ ელოტნი აუჯანყებიან?

არა, ჩვენი ქვეყნის მეთაურად გვინდა არა თავისი ცბიერებით სულელი ბერიკაცი, არამედ ქველი, მამაცი ვაჟკაცი, რომელიც თავს არავის მოალორებინებს და თვითონაც შეიარაღდება, ოდეს მეზობელი იარაღს იხამს.

ვინ არს ესეგვარი ვაჟკაცი? პასუხი ერთია:

კლინიას ვაჟი,
პერიკლეს ძმისწული,
სოკრატეს მოწაფე —
ალკიბიადე.

ათენელთ წინ წარუძღვება ახალგაზრდა ესე. ჯერაც დაუხელისებელი მტაცებელი, სუთქვის შემკვრელად მწყაზარი, მოქნილი, მკვირცხლი, მამაცი, ბედისწერის რჩეული, მხურვალედ საყვარელი, მხურვალედ შეყვარებული, ათენის სიამაყე, ხალხის იმედი.

„ესდენ უხვად ბუნებას არცვინ დაუჯილდოებია მშვენიერი გარეგნობით, არცვინ გაუბედნიერებია სიცოცხლის ნიჭითა და სიკეთით, როგორაც ალკიბიადე", — უბნობდნენ უფრო გვიან დროებაში, მაგრამ ეს მისთა თანამედროვეთაც კარგად უწყოდნენ. ხალხმა დიდის ზარ-ზეიმით უწყალობა ალკიბიადეს სახელი და მისცა სტრატეგობა.

მაგრამ ალკიბიადე არ იქნებოდა ალკიბიადე, სოკრატეს აღზრდილი, და არავითარ სიხარულს იმ დღეს არ იგრძნობდა, იმასთან ერთად რომ არ ეხარეთ ყოველთა ათენელთ.

X X X

„სუყოველი, ვინც დღეს მეგობრულად შემომივლის მზის ჩასვლის წინ, სასურველ სტუმრად მეყოლება!" — აგრე იწვევდა ალკიბიადე ნადიმზედ ყოველთა მოქალაქეთ შულტის პირით.

მისთა ბალთა გარშემო ხალხი აულ უფრო და უფრო მჭიდროვდება და მოუთმენლად ელის ჭიშკრის გაღებას. ანოფელესი ხან ერთს შეადგა ზურგზედ, ხან მეორეს და გალიგნის შიგნით იჭყიტება, თვალს ადევნებს ნადიმის სამზადისს.

— ოლიმპის ღმერთნო! — ყვირის გაოცებული ანოფელესი. — ნამდვილად თვალი დამიდგება ამისთანა რამ სანახაობისგან.

მშიერი ბრბა გალიგანთან ალანძღება.

— ბარემ თქვენ ოხერნო! რას ხედავ?

ვილაც გალეული აყლაყუდა ანოფელეს ფეხზედ ეჭიდება:

— ესაქმური! — ან, ეჭვებ იმის თქმაშიც ფულს ითხოვ. რა-ზედ ეზოში ბედავ?

— ... ნოდ ... — ... — ... —

ცებული გაიძახის: — ო, ცხოველმყოფელო ჰელიოს! მშვენიერო აფროდიტე, სიყვარულის სულისჩამდგმელო! დიდო პანო, ჯოგთა მფარველო!..

— საკურთხეველთან კი არა დგახარ, რეგვენო! თქვი, რასა ხედავ!

— ო, დიონისე, ღვინისა და ნაყოფიერების ღმერთო! — ყვალად ღმერთთ უხმობს ანოფელესი.

ვილაცა ქვას დასწვდა, მაგრამ ანოფელესი უკვე გალავნის იქითა მხარეს მოექცა.

— არამზადა! ოხერი პარაზიტი! ჩვენ კი აქ ბუზებსავით ვირევით!

— სუყველას მაინც არ გვეყოფა!

— ჩვენ ისიც არ ვიცით, იქ რას ამზადებენ!

— ვიცით! — შესძახა მავანმა ყმაწვილმა, მამას გალავანზედ რომ შეესვა. — ბაღი მონებით არის სავსე! კოცონებთან შეშას ეზიდებიან. შამფურებზედ აგებენ საქონლის ბარკლებს, მთელ-მთელ ღორებს, ხბორებს, ბატებს, ცხვრებს! მონა ქალთ მოაქვთ ქაშაყით თავმოდგმული ტაბაკნი, ტკბილეულით, ვაშლით, მსხლით, ლეღვით, კაკლით სავსე კალათნი, ზოგთაც ღვინის ამფორები უჭირავთ, ძალიან ბევრნი არიან, სულ დაწალიკებულნი მოდიან... — ყმაწვილმა გულშემზარავად შეჰყვირა: — ხანძარია! ცეცხლი გაჩნდა მთელი ბაღი იწვის!

ბოლი გალავანზედ გადმოვიდა — მონათ კოცონები დაანთეს და, ატყდა შამფურების ტრიალი. ბოლს ხის სუნი სდის, ჰაერი ქონით გაჟღენთილა. შემწვარ-მოხრაკულის სუნი აღიზიანებს მოუთმენელთა ყნოსვას — და გაისმის საშინელი დრტვინვა:

— ჭიშკარი გააღეს! ჩვენ ვერ მოვხვდებით!

— მოვხვდებით!

ზოგი ვინმე უკვე შეძვრა, უფრორე თამამნი გალავანზედ გადაბობღდნენ, ჭიშკარში ორომტრიალია, ერთიმეორეს აწყდებიან, ჭყლეტენ, ყვირიან, შველას ითხოვენ... მონანი წესრიგს ამყარებენ. იმდენი მშიერი შეუშვეს, რამდენსაც ბაღები დაიტევდა, რის შემდეგაც რის ვაივაგლახით დახურეს ჭიშკარნი. ბაღთა შიგან ნამდვილი ელისიებია, რამეთუ ალკიბიადე უხვი, დაუზოგავი მფანტველია. ჭიშკარს გარეთ კი — სასოწარკვეთილება სუფევს, მჯიღთ ურტყამენ სპილენძის საგდულთ: ალკიბიადეს მთელი ათენის გაძღომა ძალუძს, ალკიბიადეს ყველაყა ძალუძს, რასაც ისურვებს! ალკიბიადემ თითქოს ამოიკითხა ეს აზრები: გალავანზედ გადმოდგნენ მებუკენი და მაცნენი:

ათენის მოქალაქენო! სუყველას შეგხვდებათ. ყველაფერი გათვალისწინებულია, რომ არც ერთი კაცი უჭმელ-უსმელი არ გაბრუნდეს. მოთმინება იქონიეთ!

ბაღებში კი მონადიმენი უკვე ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულან, რათა როგორმე შეიხვედრონ შამფურზედ შემწვარი ღვიძლი, თევზიანი სალათი... ჭურჭლიდან პირდაპირ ხელებით ხაპავან სქელ შეჭამანდს, ბოსტნეულს, ბარდის ფაფას...

X X X

ალკიბიადეს სახლის ყველა სამყოფელში ფარდებია გაწეული, ყველგან მონანი და მონა ქალნი ირევიან, დაარბენინებენ ტაშტებს თითების ჩასაბანად, დააქვთ ღვინით სავსე ამფორები და კრატერი, წყალი. დადგა პუ-

რის გატეხის ეამიც, მაგრამ ალკიბიადე ნიშანს აყოვნებს. მეგობართა ჭრელი გუნდი აბვევია: აქ არის მდიდარი მეტყავე ანიტე, ერთ-ერთი მთავარი დემოკრატი, ევრიპიდე, კრიტონი, ბიძაშვილი კრიტია, სოკრატეს სხვა მოწაფენი — არისტიპე, ანტისთენე, ევთიდემე, სიმონი, სხვანი და სხვანი... მაგრამ სოკრატე არა ჩანს.

ალკიბიადე გაჭირვებით ფარავს მოუსვენრობას, ის კი არა, წყენას. რატომ არ მოდის? მოვა კი საერთოდ? ალკიბიადე ისმენს მეგობართა სახალხო სიტყვებს, ძლივს აძლევს პასუხს, აულ შემოსასვლელს გაჰყურებს.

დაბოლოს, როგორც იყო, მოვიდა! ფეხშიშველა. თეთრი ქიტონი ეცვა, ყავისფერი ჰიმატიონი მოესხა.

სოკრატემ გაიღიმა და ერთბაშად განათდა მთელი სადღესასწაულო დარბაზი. უფრო მკაფიოდ გამოჩნდა კედელზედ აგათარქეს მოხატულობა, უფრო გამონათდა ქორფა ყვავილები, სტუმართა სამოსელი, სახეები...

ალკიბიადე წამოხტა, ბრახუნით გადააბრუნა გაწყობილი პატარა ტაბლა, იატაკზედ აწკრიალდა ოქრო და ვერცხლი. სოკრატეს მივარდა, მდაბლად დაუკრა თავი, ალტკინებულმა შესძახა:

— აი, ძვირფასო მეგობარნო, აი ათენის ჭეშმარიტი სტრატეგი! ეკლესიაში მიწყივ შენ მეტყველებდი ჩემი ენა-პირით, შეუმართებელო სოკრატე, მე მხოლოდ შენი მაცნე ვიყავ! მე კი არა, შენ გაიმარჯვე!

სტუმართ ტაში დაჰკრეს! დიდებულმის შემოქმედ სოკრატეს!

ის კი დგას ალკიბიადეს სიყვარულით გულაჩუყებული, თან გაოგნებულიც.

— შენ გიმადლი ყველაფერს! — აგზნებით არწმუნებს ალკიბიადე.

— იკმარე! გეყოფა, ბიჭო! — აჩერებს სოკრატე, — ხომ არ გინდა, რომ წავიდე? უნდა გამაქციო?

ალკიბიადე ეხვევა, კოცნის სოკრატეს.

— ნუთუ ფარულად უნდა გიმადლოდე? არა! დაე სუყველამ იცოდეს, ვინ უბოძა ათენს ალკიბიადე? აბა რაღა შენი მოწაფე ვიქნებოდი, ცუდმედიდად რომ ვავბღენძილიყავ და დღეს ჩემი მოძღვარი დამევიწყებინე?

ერთხელ კიდევ გადაეხვია სოკრატეს. მერე სტუმრებთან გაიყვანა და გვერდით მოიყვანა.

—მართალია, — წართქვა ფილოსოფოსმა, — ვცდილობ, რომ ყოველი კაცი ჩემგან უფრო უკეთესი წავიდეს, ვიდრე ჩემთან მოსვლამდე იყო. მაგრამ ყველაფერი არც მე შემიძლია. ბევრი რამ დამოკიდებულია თვითონ მოწაფეზედ. ზოგჯერ ჩაერევა იდუმალი ქალღმერთი ტიქე. უხვების კოკიდან ადამიანს ბედნიერებას დააფრქვევს, მაგრამ ისედაც ხდება, როგორაც ჩემი ძვირფასი მეგობარი ევრიპიდე ბრძანებს, ენება და აღვირახსნილი აღტკინება ჩაერევა ხოლმე...

— ეგრეა, — სიტყვა ჩამოართვა ევრიპიდემ. — ენება დიდ როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მიზეზი, რომ უარვყოფდე როგორაც შემთხვევითობის, ისე იმის როლს, რაიც ადამიანს დაბადებითვე დაჰყოლია.

ალკიბიადემ ეზოსმოძღვარს ანიშნა, და მაშინვე ამოძრავდნენ ფეხშიშველი მონანი, რომელთაც ცივი და ცხელი კერძები დაჰქონდათ. პერისტილიდან კითარის ხმა გაისმა.

შორ მაგიდასთან მჯდომი, მაღალ მაშრაფაში ჩადგმულ ყვავილთ მოფა-

რებული კრიტია თვალს ადევნებდა, როგორ დასტრიალებდა სოკრატე! თვითონ ალკიბიადე. კერძებიდან მარტო ყარგ ნაჭერთ კი არ ურჩევდა. საერთოდ, რაც რამ უკეთესი იყო — ტკბილეული თუ ყველი, ნამცხვარი თუ ნანადირევისა და ხორცის პაშტეტით გამოტენილი ღვეზელი, ხელით შეკაზმული ქათმის ღვიძლი — ყველაფერს თავისი ხელით მიართმევდა... ღვარძლმა და ბოლმამ, რაც ამ ორი ადამიანის ურთიერთსიყვარულს ეჭვიანი კრიტიას უცნაური აზრი ჩააგონა...

სპარტელნი დროდადრო ილოტთ, თავიანთ მონა-მორჩილთ, „წმინდა ომს" უცხადებენ — როგორაც გარეულ ნადირთ, ისე დასდევენ და ანადგურებენ უძლიერეს წარმომადგენელთ. მაგრამ რანი არიან ეს მონა-მორჩილნი ილოტნი, სადღაც ევროტასის შამბნარსა და ლელიანში რომ დაუდევიათ ბინა? რანი და, ცხოველნი! კრიტიამ თვალები დახუჭა. აი ამ საპატიო სუფრისთვის რომ შეიძლებოდეს წმინდა ომის გამოცხადება! ნადირობა აბა ის იქნებოდა — რაერთიც საუკეთესო ვინმეა, სუყველას ეგრევ გამოხშირავდა.

ესეგვარი აზრებით დამტკბარმა კრიტიამ თვალი მოამორა სოკრატეს, რომელსაც ალკიბიადე დასტრიალებდა, და კბილი იხვის ბარკალს გაჰკრა. ეგვიდემ, ალკიბიადეს სიყვარულით რომ შესცქეროდა, დალონებული ჩანდა. კრიტია რომელიც ჩვეულებრივ ყოველთვის ამ საყვარელ ჭაბუკთან ახლოს ყოფნას ცდილობდა, დღეს დარბაზის ბოლო კუთხეში დამჯდარა და ზედაც აღარ უყურებს. რატომ? ვითომ რა, აწყენინა რამე? ჭაბუკს უეცრად განკიცხულობის გრძნობა დაეუფლა. აღარ ესმოდა ქათინაური, ხოგჯერ კრიტია ჩურჩულით რომ ეუბნებოდა ხოლმე, ისაკლისებდა კრიტიას ავხორცულ ალერსსაც... დარდობდა, რომ კრიტია უკვე აღარც თავის ლექსთ უკითხავდა!

ამასობაში სტუმარნი ისერიგად გამოძღნენ, რომ პირს ვეღარ ადებდნენ კვერცხის გულითა და მწვანილით გამოტენილ შაშვთ, და მხოლოდღა ნიგვზისა და ძელგი ღვინით გაყლენთილ ნუშის ნამცხვარს ციცქნიდნენ.

ალკიბიადემ ფართოდ გაშალა ხელები და სოკრატეს უთხრა:

— მითხარ, ჩემო ძვირფასო, ვით გადაგიხადო, რომ ამდენი წელიწადი მასწავლიდი?

— გასწავლიდი? — საკმაოდ მოურიდებლად ჩაეკითხა სოკრატე.

ალკიბიადემ ხელი გულზედ იტაცა.

— არა და არა! ვერ ავიტან, რომ მხოლოდ გართმევდე და სანაცვლოდ არცრას გძღვნიდე! ოღონდ მითხარ, რა გინდა, — ყველაფერს გაძლევ. ამას საჯაროდ ვაცხადებ...

— გახსოვს, რა გიპასუხე მაშინ, მრავალი წლის წინათ რომ მკითხე, სწავ- საჯაროდ ვაცხადებ...

— მახსოვს. შენგან დიდ ჯილდოს ველოდებოდი.

— შენ კი დაუდევრად ჩაიქნიე ხელი და ამაყად წარმოქვიე: „ვგონიდა მაქვს, რომ უფასოდ ასწავლი, მაგრამ ფული ჩემთვის არაფერია. დიდი ქონების მეპატრონე ვარ, და რამდენსაც მოითხოვ, იმდენს მოგცემო".

— შენ კი, სოკრატე, მაშინ გულიანად გაიცინე! „რას ამბობ, ბიჭო, მე ყველას უფასოდ ვასწავლი და შენ ფულს როგორ გამოგართმევო!"

— ჩემი ნათქვამი გეწყინა, გაიბუტე! — სოკრატემ ახლაც გაიცინა. — რადგან ფულს თუ გადამიხდიდი, თავს ვერ ავიტანდი. წინაშე მოუალერ აღ იგრძნობდი.

ალკიბიადე აენთო.

— შენ გინდა, რომ ამ მწარე გრძნობას თავი ვერ დავაღწიო, და არც დღეს მომცე გადახდის საშუალება?!

— ჩემო ძვირფასო, შენა გგონია, დღეს ნაკლებს მოგთხოვ, ვიდრე იმ შორეულ წლებში ვითხოვდი?

სტუმარნი დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ. ვერ გაეგოთ, [illegible] ეთხოვა ეგზომ მდიდარი ალკიბიადესთვის იმ კაცს, ვისაც ესდენ [illegible] მოთხოვნილება ჰქონდა.

ევრიპიდე დაეკითხა სოკრატეს:

— რა ისურვე მაშინ?

— დარწმუნებული ვარ, სიყვარული, — გესლიანად თქვა კრიტიამ.

— რა თქმა უნდა, სიყვარული, კარგო კრიტია — დაეთანხმა სოკრატე. მე მოწაფისგან უფრო მეტს ვითხოვ, ვიდრე ფული: მე მინდა, რომ მან ისე იცხოვროს, როგორც ვასწავლი. — სოკრატემ დაბნეულ ალკიბიადეს გადახედა. — აკი შენც მითხარ მაშინ: თანახმა ვარო.

— დიახ, ეგრე გითხარი, მაგრამ შენის მხრით მხოლოდ თავმდაბლობა იყო, ნამდვილად კი დიდი ჯილდო გეკუთვნის, ძვირფასი ძღვენი...

— სწორედ მაგას ვითხოვ შენგან ალკიბიადე. შენცა და ყოველ ჩემს მოწაფეს ათენის კეთილდღეობისთვის გესაუბრებოდით. ათენის სიყვარულისა გამო არცროდის დამითვლია ის დღეები, შენ რომ მოგანდომე, ალკიბიადე, და უცილოდ სირცხვილი დამწვავდა, ამისთვის ფული რომ გამომერთმია. თავმდაბლობაო, ამბობ? პირიქით, სულაც არა ვარ თავმდაბალი: მინდა, რომ ათენი ისეთივე დიდი სიყვარულით გიყვარდეს, როგორიც ჩემი სიყვარულია, და ერთგულად ემსახურო.

ალკიბიადეს თვალებში რალაც შუქმა გაუელვა, ხმა აუკანკალდა:

— კეთილშობილი კაცი ხარ, სოკრატე! ათენის საუკეთესო შვილი ხარ! მე უსასრულოდ მადლიერი ვარ შენი ათენის მიმართ იმა სიყვარულისა გამო, მეც რომ ჩამინერგე... — გულის აჩუყებას ებრძოდა და, თითქოს საზეიმო ფიცსა სდებსო, ისე წარმოთქვა: — ვიდრე ცოცხალ ვარ, ერთგულად ვემსახურები ათენს!

ღრმა გრძნობიერებამ მოიცვა ერთად პურის მჭამელნი. სტუმარნი ფეხზედ დგებოდნენ, სადღეგრძელოს სადღეგრძელო ცვლიდა.

სარტყელშემორტყმულპეპლოსიან მონა ქალთ ვარდის გვირგვინნი ჩამოატარეს. ალკიბიადემ ერთ-ერთ ქალიშვილს გამოართვა გვირგვინი, ზედ ემთხვია და სოკრატეს დაადგა თავზედ. იმან წინააღმდეგობის გაწევა სცადა, პირველი გვირგვინი დღეს ალკიბიადეს ეკუთვნისო, მაგრამ ახლად გამომცხვარმა სტრატეგმა მხოლოდ გაიღიმა:

— არა, არა! შენ გვერდით ხუშტურიანი ყმაწვილი მგონია თავი, რომელსაც მოუსვენარი ზნე მაქანებს. მე ვერასოდეს ვერ მივაღწევ ზომიერების შენს საკადრის გრძნობას, შენთა სათნოებათა ჰარმონიას — სიკეთიაა და მშვენიერების განუყოფლობას...

— მაიძულებ, რომ ახლა მე მოვყვე შენთა სათნოებათა მოთქვრას? — ჰკითხა სოკრატემ.

— არა, არა, რა საკადრისია! მე მოვალე ვარ, რომ ჩემი სათნოებანი აწ საქმით დავამტკიცო, — მიუგო ალკიბიადემ.

ახალმა საზეიმო ტალღამ ჩამოუარა დარბაზს, გაისმა ერთმანეთს მიჯახუნებულ ოქროს სასმისთა წკრიალი.

ვერვის შენიშნა, როგორ ჭურდულად გავიდა კრიტია, როდესაც ალკიბიადე სოკრატეს ვარდის გვირგვინს ადგამდა.

* * *

ალკიბიადეს ბალნი ცეცხლის ალშია გახვეული. მალლა ცეცხლი ერთიან ვარდისფერ დაფიონად შერწყმულა. ხეთა შორის გაბმული ხაგთ ბაწართა ზედან დაკიდებული ზეთის ბაზმაკნი და ლამპარნი აცისკროვნებენ და ამკობენ ბალთ. კოცონნი გიზგიზებენ, იწვის ახალ-ახალი მწვადი, აქეთ ცხვრის ორფეშხო წამოუგიათ, იქით ბუოვაკს ამიშხინებენ. უამრავი ქინქლილი ფანტავს წყვდიადს, ცეცხლის ალი ალსა ლოკავ — და მაინც ვერ გაუფანტავთ დაფნებში, ოლეანდრებში, შქერსა და თურინჯ-ნარინჯში ჩაწოლილი სქელი ჩრდილნი.

— მიირთვით! ინებეთ! შეგარგოთ! — ყვირის მონა და შამფურიდან ჩამოცლილ ცხვრის მწვადს ანაწილებს. — ოღონდ პირი არ დაიწვათ!

— პირდაპირ ცხონებაა, ამბროზიაა! — ისმის კოცონის გარშემო. —ნექტარილა გვაკლია! მოიტეთ ამფორები!

ვინაც უფრო გაქნილია, ბნელ ბუჩქებში მიათრევს ცხვრია მთელ ბარკალთ და ბეჭთ, რომ იქ თავის ხალხთან ერთად გულდამშვიდებით გაძიძგნოს. ამგვარი ნადავლით ხალხში თუ გამოჩნდა, ეგრევე გამოჰგლეჯენ...

თანდათან შუალამევდება, სულ უფრო იყორება კუჭი, ღვინო სისხლს ახელებს და, მხიარულნი კიდევ უფრო მხიარულდებიან. ენამეტყველნი უფრო ბევრს ყბედობენ.

— მე აგრე ვიტყოდი, — ამბობს ერთი თავისუფალი მოქალაქე, რომელსაც პირი სავსე აქვს, ჯიბე კი ცარიელი. — ვისაც უნდა, სანაძლეოს დავუდებ, რომ ამისთანა სტრატეგი ათენს დასაბამიდან არა ჰყოლია. ალკიბიადე! ეს იგივეა, რომ მთელი თვე ოლიმპზედ იქეიფო, პირდაპირ გაგვანებივრებს...

— სწორედ ეგრეა, — კვერს უკრავს მაგანი პურისმტე, რომელიც მსუქან ნაჭერს შეექცევა, თანაც გონებაში ფურცლავს ბერძნულ კალენდარს, რომელშიაც თვე არ არის, ჭამა-სმასთან დაკავშირებული რაიმე დღეობა რომ არ იყოს. —უკვე ახლავ ჩანს, რა მსუყე იქნება ჩვენი ბანათენეები, ელევსინიები, დიდი და სოფლური დიონისიები, სალამინთან გამარჯვების წლისთავი... ჯანმრთელობა იყოს, თორემ ჩვენთა სტომაქთათვის ეს აპოლონის ორადი იზრუნებს...

— აი ის კრიეანგი, დამწვარი ნიკია მხოლოდ თავის მონათა მონაგარზედ ფიქრობს, სამაგიეროდ ეს თვალხმიერი და გამჭრიახი ჭაბუკი მთელს ატიკას ხედავს, მთელს ჩვენს კავშირს, მთელ დედამიწას და ზღვასაც. უკვე ჩავთვლიმეთ კიდეც, ამან კი გაგვაღვიძა და — აი ნახავთ — კარგა მაგრად შეანჯღრევს ამ დამყაყებულ, აყროლებულ ქვეყნიერებას!

— არ გედავები, — ზურგზედ გადაწვა იმედებით სავსე მოქალაქე, ამფორა მოიყუდა და ღვინო პირდაპირ წყაროსავით ჩაირაკრაკა ყელში.

ალკიბიადეს ისინიც აქებდნენ, ვინაც ალაყაფის კარება გარეთ იყო დარჩენილი: მონანი გალავნიდან პირდაპირ გამოშვერილ ხელებში აწვდიდნენ გემრიელი საჭმლით პირთამდე სავსე კალათთ. სიუხვე ბალთაგან გარეთაც გადმოიღვარა.

* * *

უახლოეს შეგობართა თახა ახალი სტრატეგი განსასვენებელში ღვინოს შეექცევა, თან ნარნარით მროკავ ნაზ ბერძენ ქალთ შეჰხარის, რომელ ქალთაც ხელშიც მირტის რტონი უჭირავთ, თმაშიც ისინი აქვთ გაჩრილი და დარბაზს ცეკვით უვლიან. ამ დროს მონას ვილაც ჭაბუკი შემოჰყავს: ეს მესაქე ანტიოქეა, რომელსაც ალკიბიადესთან საუბარი სურს.

ალკიბიადეს ჭაბუკი სახით ეცნობა, მაგრამ ვინ მოთვლის, რამდენი ვინმე ეცნაურება სარდალსა და მრავალი ომის მონაწილეს!

ანტიოქე თვითონვე წარუდგება:

— მე ისა ვარ, ვინაც მრავალი წლის წინათ აგორაზედ მწყერი დაგიჭირა, ოდეს შეშინებული მოსასხამის უბიდან გამოგიფრინდა.

ეს იმჟამინდელი ამბავი იყო, როცა ქალაქის სასარგებლოდ ნებაყოფლობით შესატანს აგროვებდნენ. მაშინ ალკიბიადემ უზარმაზარი თანხა დაასახელა, აგორაზედ ნამდვილი ზეიმი გაიმართა, და სიხარულით აღელვებულმა ყმაწვილმა კაცმა ხელი შეუშვა საყვარელ ფრინველს, გულში რომ იკრავდა.

ალკიბიადე მეგობართ მიუბრუნდა:

— მართლა დიდი ბაქია ვინმე ვიყავი! მაშინ დავპირდი ამ კაცს, რომ საკადრისად დავასაჩუქრებდი იმ მწყრის გულისთვის: თუ ოდესმე სტრატეგი გავხდი, ჩემი ტრიერის მესაჭედ დაგნიშნავ-მეთქი!

კითარები და დაფნი კი ქლერენ, ქლერენ და მოცეკვავე ქალნი კვალად ტალლისებრ ირწევიან. დარბაზში სიცილი ვაისმა.

ანტიოქე შეცბა.

— არა, მე დანაპირების მისაღებად არ მოვსულვარ, სახელოვანო ალკიბიადე. ვიხუმრე, რომ ამ შენს დიად დღეს გამერთე. მაშინ შენც ხომ უბრალოდ იხუმრე.

ალკიბიადემ სიცილი შეწყვიტა და დინჯად მიუთხრო:

— მაშინ კი ვიხუმრე, მაგრამ დანაპირების მისაღებად არ მოვსულვარო, ნუ ტყუი! იმისთვის, რომ მენდე და მოხვედი, ჩემი გემის მესაჭედ გნიშნავ.

— გამაბედნიერე და ეგ არი! — შესძახა აღტაცებულმა ანტიოქემ.

— მე კი არა, შენ გამაბედნიერე, — შეედავა ალკიბიადე. — სუყველა მიყვარს, ვინაც მენდობა, ზღვაზედ ორმაგად მიყვარს, ბრძოლაში — სამმაგად! — წელში გასწორდა. —გარდა ამისა, ვერა და ვერ ვიგუებ იმ აზრს, რომ ელადაში არის თუნდაც ერთი კაცი, რომელსაც შეეძლება თქმა: „ალკიბიადემ სიტყვა გატეხა, თუმცა ხუმრობით ჰქონდა ნათქვამი!“.

* * *

ბაზმაკთა შიგან ზეთი ილევა, ცეცხლი იფერფლება. ღადარა მხურვალების ალმური ასდის, როგორც შინაურ კერიებთან, ისე გორაობენ ჩაფერფლილ კოცონთა გარშემო ნახევრად შიშველი მამაკაცნი, ყმაწვილნი, მონა ქალნი — და მეძავნი, რამეთუ ყოველი ლხინის შემდგომ იმათი რიგი დგება. ვინაც ვის ჩაავლო ხელი, იმასთანვე წევს. ღვინო, თუნდაც წყალნარევი, გონებას ნისლავს და ბუნებრივ მიდრეკილებას აღვიძებს. შავ ქარიშხალსავით გადაუქროლა ხეთა და ბუჩქთ შეწყვილების ცხოველურმა, პირველყოფილმა ყინმა. ოფლის სუნი ყვავილთა და ნელსაცხებლის სურნელში ირევა.

გაისმის კვნესა, ოხვრა, ბოდვანარევი ვნებიანი სიტყვები — უჩინარისა უჩინარისადმი, უცნობისა უცნობისადმი...

მუსიკა დაცხრა. ბალთა თავზედ ერთადერთი კილო გუგუნებს, მიწის წიალთა ძველი ყივილი, მუქი ლურჯი ღამის მყუდროებას ირღვევს და, როგორც სისხლი ძარღვებში, ისე დის.

კრიტია ანტიფონტთან ერთად პერისტილის სვეტებქვეშ ზის. სოფისტ ანტიფონტს ვერანაირად ვერ დაუჯერებია ახალი ამბავი, რომ კრიტია სოკრატეს ჩამოსცილდა!

— აწლა ვის მიაკითხავ? — ლულლულებდა მთვრალი.

— რა თქმა უნდა, ძვირფასო ანტიფონტ, შენს სიახლოვეს ვიტრიალებ. შენს მასწავლებელ გორგიასთან წავალ...

კრიტია მარმარილოს სკამიდან ადგა.

მან კარგად უწყოდა, რომ ჩამოსცილდა არა მარტო სოკრატესა და ალკიბიადეს, არამედ ჩამოსცილდა საერთოდ დემოკრატთ... ჩამოსცილდა... მეტი არაფერი? არა, რა სათქმელია... რამდენჯერ უხმეს მეგობართ თავიანთ ჰეტერიაში. რაც იყო, იყო. მაგრამ ეს უკვე უბრალო წვრილმანი არ არის — ოლიგარქიას ფიცი მისცე დემოკრატიის დასამხობად... ან რაზედ უნდა იყოყმანოს? ხანიერ ალარ მოსწონს ამათი წესი და რიგი, რომელთა მიხედვითაც უბრალო ხალხმა ყეთილშობილ ხალხზედ უკეთ უნდა იცხოვროს. კრიტიამ ცივად გაიცინა: ჰაი, უძვირფასესო ძმაო ალკიბიადე! შენცა, ბებრუცუნა სოკრატე! ვიცი ქარცეცხლში გამატარებდით, რომ გაგაგებინათ, რასაც ეეპირები... კარგია, რომ ამის გაგება არ ძალგიძთ...

როცა კრიტია ბალში გავიდა, იქ ვერცხლისფერი ალიონით გაახივოსნებული ევთიდემე შეხვდა, რომელიც სიყვარულით ელიმოდა.

„აი ის ლობე, რომელსაც ლორი ეხახუნება", — გაიფიქრა კრიტიამ.

ევთიდემემ საყვედურით მიმართა:

— რატომ გამირბიხარ დღეს, საყვარელო კრიტია? მომენატრე...

— ცოტა გვიან არის. ჩემი და შენი დიალოგიც გასრულებულია.

— არა! არა! — მივარდა ევთიდემე — ეგრე ნუ ლაპარაკობ, ძვირფასო! მე შენ მიყვარხარ...

— გასწი, დაიკარგე! — კბილებში გამოსცრა კრიტიამ, და როცა ევთიდემემ ხელები გაუწოდა, ისე უკუაგდო, რომ ჭაბუკი შადრევნის გვიმს მიენარცხა და სახე გაუსისხლიანდა.

კრიტიამ მოტირალს ზედაც არ შეხედა. ჭიშკარს მიაშურა.

* * *

ბალთაგან სიგრილე მოვარდა, და გრილ ჰაერს ვილაში ჩრდილი შემოჰყვა. ერთ-ერთ მაგიდაზედ ბაჯალლო ოქროს ლანგარი იდგა, რამდენიმე ცალი ბუსტულიღა დარჩენილიყო. ჩრდილმა ერთი მოსმით ბუსტული პირში ჩაიყარა, ლანგარს კი დიდ აბგაში ჩაუძახა, როგორი აბგაც გლახაკთ მოწყალებია — ნახორხლისა და ნასუფრალის მოსაგროვებლად დააქვთ... როცა დარწმუნდა, არავინ არ მითვალთვალებსო, ჩრდილი ბალში გაძვრა, თავი ისე ეჭირა, ვითომ ხის ჩრდილი ვარო, მიმოიხედა... სუყველა, ვისაც სალამოთი ალაყაფის კარი გადმოელახა, ღვინოს მოეცელა. გზა თავისუფალი იყო. ჩრდილი ნელნელა, ხიდან ხემდე რბენით მივიდა ლია ჭიშკრამდის. ამ დროს მეორე მხრიდან ჭიშკრისკენვე ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჭიჭნაუხტის ქლამინდი ესხა.

— რას იტყვი, მოკრძალებულად თუ მოგიკითხავ? — წაიჩურჩულა ჩრდილმა.

— გამეხარდება. შენ რა, უკვე მიდიხარ?

— ვაპირებ, — სიტყვა „უკვე“-მ ჩრდილი მიახვედრა, რომ უცნობი ახალგაზრდა, აშკარად დიდებული გვარისა, რაღაც უგუნებოდ იყო. — გლახა ვარ, — გაიცინა ჩრდილმა, და ჩაყვითლებულ კბილებში ორი ხვრელი გამოუჩნდა, რაც იმის ხმელ, მოგრძო სახეს მგლურსა ხდიდა. — გლახა ვარ, მაგრამ არ მიყვარს გლახაკთა შორის ყიალი, იმათში თავს ობლად ვგრძნობ.

კრიტიამ ცნობისმოყვარეობით გადახედა თავის ღამეულ თანამგზავრს.

— უცნაურია, აქ თავს მეც განმარტოებულად ვგრძნობდი...

— იმათ შორის? — გლახამ სახლისკენ გაიშვირა ხელი, ხოლო „იმათ შორის“ საკმაოდ მოწიწებით წარმოთქვა. —მაგრამ შენც ხომ იმათგანი ხარ, კეთილშობილო კრიტია!

კრიტიამ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ აბეზარმა იმისი სახელი იცოდა, და თავის მხრივ ჰკითხა:

— შენ ვისი ხარ?

— ვისი ვარ და, ვისაც ჩემი სამსახური ეჭირვება, ჩემო სახელოვანო ბატონო.

ჭიშკარში ერთად გავიდნენ.

— რით შეგიძლია ვინმეს სამსახური?

— მე ანოფელესი ვარ, ბატონო.

— აჰა! მაშ, მეც მცნობიხარ.

— იქნებ შენც ოდესმე დაგეჭირვოს ჩემი სამსახური, კეთილშობილო კრიტია.

კრიტიამ ყურადღებით შეათვალიერა.

— მაშინ, — განაგრძობდა ანოფელესი, — მიხმე, კეთილშობილო ბატონო, და გაიგებ, ვისიცა ვარ.

კრიტიამ ოქროს დარიკი გადაუგდო. ანოფელესმა ჰაერშივე დაიჭირა და თავის აბგაში ჩაუშვა. ოქრო ოქროს მოხვდა და გაიწკრიალა. კრიტიას ამ ხმის გაგონებაზედ ჩაეცინა.

18

მონათაგან, თავიანთ ბატონთ რომ უცდიდნენ, ორთ ჭიშკრის გარეთ დანთებული კოცონის ალზედ ეინეღილნი ააბრიალეს და კრიტიასთან მივიდნენ.

— შინ წადით. მარტო წამოვალ, — უთხრა მან.

— უშუქოდ? — გაისმა ჭიშკრიდან ანოფელესის ხმა.

კრიტიას გაეცინა:

—რისი უნდა მეშინოდეს?

და წყვდიადს შეერია. გზაჯვარედინზედ რომ გავიდა, კიდატენეოსის დემოსისკენ შეუხვია. მთვარეც კრიტიას გუნებასავით იცვლებოდა: ხან ჩაბნელდებოდა, ღრუბლით შებურვილი, ხან კვალად ქათქათებდა. მაგრამ კრიტია უკვე ალარ ყოყმანობდა: გადასაწყვეტი გადაეწყვიტა.

კუტიკართან მივიდა — ერთ-ერთი ვილის უკანა შესასვლელთან. წყნარად დააკაკუნა. კუტიკარი სწრაფად გაიღო. ზღურბლზედ მოხუცი მონა იდგა.

— იქ ისევ სხედან? — სახლზედ მიუთითა.

— ვინა ხარ ბატონო?

კრიტიამ მონას კანდელი გამოართვა, სახე გაინათა.

— ო, დიახ, ბატონო! — შესძახა მონამ. — გიცნობ. ყოველთვის სხვა კარიდან დადიხარ ხოლმე. მოვახსენებ.

მოხუცი სახლისკენ გაიქცა, შიშველი ფეხებით ააშრიალა ბალახი.

მხოლოდ ორი ბაზმაკით განათებულ პატარა სენაკში ნახევრად ბინდი იწვა, კედელთ გაყოლებით სარეცელნი დაედგათ, ყოველ სარეცელთან — პატარა მაგიდა, ნაირნაირი საუზმეულითა და ტკბილეულით, ღვინის ამფორებითა და ფიალებით გაწყობილი. აქ სტუმართ მონანი და მონა ქალნი არ ემსახურებოდნენ. უცნაური რამ ნადიმი იყო... სტუმარნი თვითონვე ისხამდნენ სასმელს. სტუმართ მარტოდ ყოფნა სურდათ. არც კაშკაშა შუქი სჭირდებოდათ. აქ არცრას იწერდნენ: ყველაფერი უნდა დაეხსომებინათ, კარს სახლის უფლის, ანუ მასპინძლის საყვარელი მონაყოფილი დარაჯობდა. საიმედო კაცი. ყრუ.

მოხუცმა მონამ შემოირბინა, წინა სარეცელთან მივიდა, სადაც სახლის უფალი იწვა, პისანდრე, ათენის დემაგოგი. ჭიშკართან კრიტია გელოდებათ, მოახსენა.

— ძლივს! — გაიცინა პისანდრემ.

სტუმართ სასიხარულო წამოძახილი აიტაცეს.

— რაღა მაინცდამაინც დღეს? — შენიშნა ანტიფონტმა.

— ეს ალბათ სწორედ ალკიბიადეს ჭერქვეშ გამართული ლხინის შემდეგ უნდა მომხდარიყო. — წართქვა თერამენემ.

— შემოიყვანე სტუმარი, — უბრძანა მონას პისანდრემ.

კრიტია'ს მეგობრული შეძახილით შეეგებნენ. ოლიგარქოსნი ერთიმეორის მიყოლებით ეხვეოდნენ და კოცნიდნენ

მასპინძელმა ახალმოსული თავის პირდაპირ წამოაწვინა. გაუღიმა:

— რა ძვირფასი კაცი გვესტუმრა! შენ — ჩემს ჭერქვეშ... ჩვენთან, — შეასწორა მაშინვე. — ისიც ამ ხანთანა დღეს! რა მოგვიტანე, საყვარელო კრიტია?

მან აღელვებულმა უპასუხა:

— არცრა, თვითიერ ჩემის თავისა!

მოზეიმე ხმანი:

— განა ეგ ცოტაა?!

— პირდაპირ საჩუქარია ჩვენი საქმისთვის!

— ნუ თავმდაბლობ, კრიტია!

კრიტიამ სახითა და ხმით მართლაც თავმდაბლობა გამოხატა — ამ ხელოვნებას სოფისტთაგან დაუფლებოდა:

— მე იმიტომ მოვედი, რომ თქვენთან ყოფნა მინდა.

როცა აღტაცების აფეთქებამ ჩაიარა, ანტიფონტმა ჰკითხა:

— ყველაფერი ხომ კარგად მოიფიქრე? არ დაგავიწყდეს, რომ შენ ჩვენთან მაშინ გადმოდიხარ, როცა შენი სისხლით ნათესავი, სტრატეგად არჩეული, ათენში დემოკრატიის გაძლიერებას დაიწყებს!

— დიახ, — დაუმოწმა პისანდრემ. — სოკრატეს ლეკვი თავგამოდებით შეუდგება საქმეს... ახლა ხანიერ მოგვიხდება ხელსაყრელი შემთხვევის ლოდინი...

კრიტიამ ბაგენი დამცინავად მოღრიცა:

— მეც სოკრატეს ლეკვი ვარ და სწორედ იმიტომ მოვედი თქვენთან, რომ დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირდეს.

— არ შესმის, რა გაქვს მხედველობაში? — გაიკვირვა თერამენემ.

კრიტიამ მრისხანედ განაცხადა:

— ფიცის დადება მსურს!

— ზევსმა დაგვიფაროს, ჩვენ გვჯერა შენი, როგორც ძმისა, — ალფრთოვანებით შესძახა პისანდრემ. — მაგრამ ჩვენი ჰეტერიის სუფეველმა წევრმა ნამდვილად უნდა დავდოთ ფიცი, რომ ყოველივეს მოვიღონიერებთ დემოკრატიის დასამხობად. შენი ფიცი, კრიტია, უცილობლად საზეიმო ვითარებაში უნდა დადო. ერთი კვირის შემდეგ. აწლა თავისუფლად ილაპარაკე.

და კრიტია ალაპარაკდა:

— როგორაც უკვე მოგახსენეთ, მეც სოკრატეს მოწაფე ვარ. მაგრამ ალკიბიადემ იმისგან ყველაზედ უფრო ძვირფასი რამ ვერ გადმოიღო, მე სოკრატესგან მეტი გადმოვიღე: სოფროსინე, აუჩქარებლობის ხელოვნება.

— ალკიბიადე სახელოვანი ვაჟკაცია, და საშიშია ჩვენი საქმისთვის, როგორი საშიშიც დღესაქმამდე არცვინ ყოფილა. — პისანდრემ საგანგებოდ გამოკვეთა სიტყვა — „არცვინ".

კრიტიამ გაიცინა:

— ალკიბიადე ყველაზედ უფრო საშიში საკუთარი თავისთვის არის. ვიცი, ვინცა ბრძანდება ჩემი სახელოვანი ბიძაშვილი. იმას ყველაფერი აქვს, რაც ბედნიერებისთვის საჭიროა, რასაც ნანინანატრ დიდებამდე კაცის მიყვანა ძალუძს. მაგრამ, — აქ მან ხმამაღლა გაიცინა. —მაგრამ, ძვირფასო მეგობარნო, იმისი სახით ღმერთთ ზეგარდმონიჭებულყვეს არა ძეხორციელი, არამედ მტაცებელი! ადამიანთ კი, — ვითარცა დაწყივ დაწესებულა, — მტაცებლისა მოსპობის ბუნებრივი სურვილი უჩნდებათ.

თერამენემ თავი დააკანტურა:

— ალკიბიადე კი არ ცხოვრობს, ცხოვრების გზაზედ მიჰქრის. ოღონდ საით — საკითხავია.

კრიტიამ პისანდრეს სახეში შეხედა, სუსტად რომ ანათებდა ლამპრის მკრთალი შუქი.

— „ღმერთთა სჩვევიათ — გესმით, მუზებო? — რომ დაანახვონ გზა ადამიანს"...

პისანდრემ ტაში შემოკრა:

— მე ტაშს ვუკრავ არა მარტო პოეტს, არამედ თვით აზრსაც! იმ დიდ ზრახვათა შიგან ჩარევის აზრს, იმ საგრობის შეჩერების აზრს, რომელი ზრახვანიცა და რომელი საგრობაც მეგალომანის წარმოდგენაში ჩნდება ხოლმე...

—შენც პოეტი ხარ, პისანდრე, — მაამებლურად შეეხმიანა სოფისტი ანტიფონტი. — მე მხოლოდ ჩვეულებრივი სასამართლო რიტორი ვარ, რომელიც მკვლელობის საქმეებზედ გამოვდივარ, მაგრამ შენს ნაკვალევზედ უფრო წინწადგომას გავბედავ, კეთილშობილო პისანდრე. ლაშქარს მანამ უნდა შეჩერება, სანამ სისხლის პირველი წვეთი დაილვრება.

პისანდრემ მზერა ანტიფონტიდან კრიტიაზედ გადაიტანა:

— მაშ, საკადრისად შევხვდეთ კრიტიას, რომელმაც არა მარტო თავისი თავი მოგვართვა, არამედ სოკრატეს განთქმული სოფროსინეც. ცოდნა დროის ფასისა და ცოდნა იმისა, თუ რანაირად ვითარდება საქმის მდგომარეობა, — ეი ყოველი ჩვენგანისთვის მთავარი დასკვნა: მერმე კი — საქმე უნდა წარვ-

მართალთ ზომიერების გრძნობით, მოთმინებით, მაგრამ დაუღალავად უნდა ვამზადოთ ის დრო და საათი, ოდეს მოწმენდილი ცით მეხი იქუხებს...

— ჩინებულია, სახელოვანო პისანდრე! —შეჰყვირა ანტიფონტმა. — ამისთვის კი ღირს, რომ ჰერმესს, ცბიერთა ღმერთს, სადღეგრძელო ვუთხრათ.

სამწდეურნი ასწიეს. ოქროს ჭურჭლის მოხატულობა თითქოს შიფრია, ისევე რთული, ვითარცა ოლიგარქოსთა შეთქმულება.

— რას ლაპარაკობდა ნადიმზედ ალკიბიადე? — ჰკითხა პისანდრემ კრიტიას.

— განსაკუთრებულს არცრას. ათენის აიყვარულს ქადაგებდა.

ახლა ალკიბიადეს ამ სიყვარულის პრაქტიკულ ხორცშესხმაზედ ალაპარაკდნენ.

— აბა, რიღას რადიკალური დემოკრატია, თუ ათენს ოდინდელ ძლიერებასა და დიდებას არ დაუბრუნებს! — თქვა თერამენემ.

— პერიკლეს ეტოლებაო? — ჩაურთო ანტიფონტმა.

— არა, პერიკლეს ალმატება სურს! — შესძახა კრიტიამ. —და კიდევ ის უნდა, რომ დემოკრატია მთელს ელადაში გაავრცელოს, ათენი კი იმის მოთავედ აქციოს.

— უყურეთ ერთი! ეგ მეგალომანის ფუჭი ოცნებებია...

თერამენემ უარყო ამდაგვარი ვარაუდი — იმიტომ კი არა, რომ მისი განხორციელება არა სწამდა, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ სწამდა.

— პერიკლეც მეგალომანი იყო, და რამდენი რამის ქმნა შეიძლო! — ნელა გამოცრა პისანდრემ.

— რაც პერიკლეს გამოუვიდა, ალკიბიადეს არ გამოუვა, — წინასწარმეტყველური დაჯერებულობით წართქვა ანტიფონტმა.

— ვითომ რატომ? —პისანდრემ განზრახ იკითხა, რომ მეგობარნი არ დამშვიდებულიყვნენ, — უკეთუ ეს ოცნებანი ელადისა და კუნძულთა სუყოველ დემოკრატს მოეწონება? მაშინ ალკიბიადეს ჭიშკართ გაუღებენ! ომს ოლად მოიგებს...

— გამოდის, რომ ჩვენ ვეღარ ვერასოდეს მოვილოდინებთ ჩვენს დროსა და საათს! — ერთდროულად შესძახეს ანტიფონტმა და თერამენემ.

კრიტიამ ჯერ მაღლა ასწია და მერე ნელ-ნელა დაუშვა ხელები.

— ლრუბლებიდან დედამიწაზედ დავეშვათ, ოცნების სიმაღლეებიდან სინამდვილეს დავუბრუნდეთ, მეგობარნო. რამეთუ, რაც უფრო გაბედულია ოცნება, მით უფრო ოლად ინგრევა.

დუმილი. მერე — პისანდრე:

— თავისთავად?

დუმილი. და — კრიტია:

— ხელს წაგვაშველებენ.

ბაზმაკთა ალმა თითქოს სუყველამ ერთად ამოიწია და უფრო გაასინათა ოთახი. პისანდრე სიტყვის დაწყებას აპირებდა, მაგრამ ნუშის ნამცხვრის ლუკმა ყელზედ დაადგა, პირით ამოისუნთქა, და ნამცეცი სასულეში გადაუვარდა. ვეღარ ამოისუნთქა, სუნთქვა შეეკრა, სისხლი სახეში მოაწვა, გალურჯდა, შუბლზედ ძარღვნი დაებერა.

შეშინებული სტუმარნი წამოცვივდნენ, მისაშველებლად მისცვივდნენ, რა მოგვიდაო, ეკითხებოდნენ.

ის კი ახველებდა, ხელებით იშორებდა ყველას. ბოლოს, როგორც იყო,

ნამცეცი ნახველს ამოაყოლა, შუბლი ხელისგულით მოიწმინდა და კიდევ უფ-
რორე მეტი დაჟინებით წარმოთქვა, ვიდრე ადრე ეპირებოდა თქმას:

— ათენის მიმართ ალკიბიადეს სიყვარულის ამბავი მთელ ელადაში უნ-
და ვაუწყოთ ჩვენს მიმდევართ, როგორც მატერიკზედ, ისე კუნძულებზედ,
რადგან ეს სიყვარული იმას ნიშნავს, რომ, სადაც ალკიბიადე ჯერის შეყვ-ბმას-
თან ერთად შევა იქ ათენის დემოკრატიაც. და მერე რომელი ჯაუთმყოფელი
მოიაურვებს ხალხის ხელისუფლებით ცხოვრების გამწარებას? უკეთუ დემოკ-
რატიის თაყვანისმცემელნი ალკიბიადეს ქალაქთა კართ გაუღებენ, ოლი-
გარქთ ის კარნი ცხვირწინ უნდა ჩაუკეტონ!

— კარგი თვალი გაქვს, გამჭრიახო პისანდრე, — შეაქო ანტიფონტმა.

— ყველანი აქ თავმოყრილნი, შენცა, ძვირფასო ანტიფონტ, გზას გავუდ-
გებით, — განაცხადა ჯერ კიდევ მხველარე პისანდრემ. — შეთანხმებით ხვალ შე-
ვთანხმდეთ, რომელი საით და როდის წავალთ.

სტუმართ ნიშნად თანხმობისა ორივ ხელი აღმართეა, ხელისგულებით
პისანდრესკენ.

— ამრიგად, ნურც ძალიან ვშიშობთ, — დაასკვნა თერამენემ. — ომი
ორც ისე ოღლი იქნება.

— კარგი წინამძღოლი ზეგინდელ საფრთხეზედ ჯერეთ კიდევ გუშინ ფი-
ქრობს, — შენიშნა კრიტიამ.

მწიფე ატამი მიირთვეს, პირი ჩაისველეს. თერამენემ უცაბედად წამოის-
როლა:

— ალკიბიადე საშინელი ძალის პატრონია...

— აი შე საცოდავო, — მლიქვნელურად შეიბრალა ძმა კრიტიამ. — სა-
შინელი ძალის პატრონი კი არა, სუსტია, თუ გავიხსენებთ, რომ ათენის წამო-
წევა უნდა. აბა, როგორ წამოსწევს, როცა ზედ ასობით მძიმე საწონი ჰკიდია
— მშიერნი, უსახლკარონი, გაუმაძღარნი. — და თვითონაც აგდებულად გაი-
ცინა სხვებთან ერთად. — კლეონმა თითი გაუწოდა მდაბიოთ — და ჰელიეაში
ნაფიცთათვის, როგორც უსაქმურს, მაშინვე სამ-სამი ობოლოსის გადახდა მო-
უხდა ორ-ორის ნაცვლად. ერთიც ვნახოთ, მშიერთ დრტვინვა ატეხეს და მე-
ოთხე ობოლოსიც მოითხოვეს, აბა საიდან უნდა მოუტანოს ჩემმა საწყალმა
ბიძაშვილმა ალკიბიადემ ის მეოთხე ობოლოსი, უკეთუ ახალ ხომალდთა აგე-
ბა, ლაშქართა რიცხვის ზრდა და შეიარაღება გადაუწყვეტია. ჩემი ხუთი თი-
თივით ვიცი, ამა ამბავთაგან თავი გახეთქვაზედ აქვს!

პისანდრეს სიცილისგან მუცელი აუთამაშდა.

— ძალაუფლებას ხელთ რომ ავიღებთ, თავები ალარ დაგვისკდება! უწი-
ნარეს ყოვლისა ზარმაცნი და გუდამშიერნი ჩვენგან ფულს ველარ იხილავენ.
ჩვენი ანტიფონტი კი აუხსნის, რომ იმ სამი ობოლოსის მიუღებლობა სჯობს,
ვიდრე მიღება.

ხარხარის ახალმა ტალღამ ბაზმაკთა შიგან ალი შეაცახცახა და კინალამ
არ ჩააქრო.

თერამენემ წართქვა:

— ბუნებრივია! ყოვლისმცოდნე ალფისტზედ უკეთესად იმათ სხვა ვინ
აუხსნის მაგას.

ქუჩიდან მხიარული ჟრიამული მოისმა. ჟინჟღილების შუქმა გააცისკროვ-
ნა კედლებში შეჭრილი მაღალი ღიობები და ალკიბიადეს სახელი შიგ ისე
ხშირ-ხშირად იჭრებოდა, თითქოს ბრბო ქვებს უშენსო.

— მდაბიონი ნადიმიდან შინ მიეთრევიან. უკვე ყველა ძვალი გამოხრეულია, — ზიზღით ჩაილაპარაკა ასპეტმა. — იცით, რა გითხრათ, პატივცემულო მეგობარნო, ყველაზედ უფრო ვონიერული ის არის, უკეთუ არავითარ ოქს ალარ მოვისურვილებთ. ვინ იცის, კიდევ რამდენი მონა გადავა მოწინააღმდეგის მხარეზედ!

პისანდრემ დაცინვით მოჭუტა თვალები:

— სულ მაგის მოლოდინში ვიყავ, ძვირფასო ასპეტ, რომ შენ ხმას ამოიღებდი! ქვეყნის ფულსა ხვეტავ, შენს მონათ ქირით საბადოებში ამუშავებინებ და, რასაკვირველია, გეშინია: არ გამექცნენო.

— აბა, როგორ ფიქრობ, მუქთად ვამუშავებინო? შენ რა, აგრე არ იქცევი? — საკმაოდ მშვიდობიანად შეედავა ასპეტი, გულში კი აგინებდა პისანდრეს: „წყეულო, ჩუმპიანო ლორო! შენ უფრო მეტს შოულობ, ვიდრე ჩვენ ყველანი ერთად! ჩვენ ჯერეთ კიდევ ქვეითად დავიარებით, შენ კი ფარაონსავით იბერები და ყველამ თავი უნდა დაგიკრათ".

პისანდრეს არ სჭირდებოდა ამ სიტყვების მოსმენა — ისედაც მიხვდა.

— ნუ გამიჯავრდები, ძვირფასო მეგობარო. ვიხუმრე. რახან სერიოზულად ლაპარაკი გინდა, აბულსაც ვარ. თუნდაც ძალიან დიდხანს არ მოხდეს ომი, ესე იგი, თუ ათენი დამდგარ ჭაობსავით დამყაყდება, მთელი ნახევარი საუკუნე — როგორც ეს ნიკიას წარმოუდგენია, — სულ ერთია, მონანი თანდათან შემოგვეცლებიან, რაც დრო გავა, მით უფრო. მონა, ანუ ჩვენი მეტყველი მანქანა-იარაღი ძალიან სუსტი რამ არის, გამძლეობა არ უვარგა, ხელად იშლება. ძლევამოსილი ომი ახალ მონათ შოგვანაგრებს. რამდენიც გვინდა, ისინი იმდენი გვეყოლებიან, მაგრამ მაშინ ჩვენი საქმე უკუღმა წავა. მართლა აგრე ერთგული ხარ, ასპეტ, ნიკიასი?

— მაპატიე, ძვირფასო პისანდრე, — ჩაერია ანტიფონტი, — რომ თქვენს საუბარში ვერევი და ვბედავ თქვენი აზრის გასრულებას. ჩვენთვის ყველაზედ ცუდი საქმე — ძლევამოსილი ომია, და, პირიქით, წაგებული ომი ყველაზედ კარგია: ის საშუალებას მოგვცემს...

— გაჩუმდი, ძვირფასო. — მკაცრად გააწყვეტინა პისანდრემ. — შენი ხმა ალარ გავიგონო!

ანტიფონტი მისკენ გადაიხარა:

— მითხარ, მეგობარო: სიკვდილს ხომ არ ვეთამაშებით?

პისანდრემ ტკბილად გაუღიმა:

— სპარტამ იცის ჩვენი ამბავი — აქვეა, შორს არ არის.

ინტერმედია მეოთხე

ლომის ყოლა სოფლად არ ვარგა,
მაგრამ რაკილა გაიჩინე, ნუ ედავები.

არისტოფანე

სწორედ ალკიბიადეს ბაღებში გამართული ნადიმის ალწერას ვამთავრებდი, როცა ჩემთან პირმცინარი სოკრატე შემოვიდა.

— ვხედავ, კარგ გუნებაზედ ხართ, — ვეუბნები.

— შენ კვლავ ისე მელაპარაკები, თითქოს ორი ან სამი კაცი ვიყვე, —

მომდგა სოკრატე. — უცნაური მანერა გაქვს! ცოტა მხიარული ამბების სათქმელად მოვედი.

სავარძელში მოიკალათა, შიშველი ფეხები მოხერხებულად გაბეჭიმა და დაიწყო:

— შვიდი წყვილი ცხენი ჰყავდა. მაგის შეძლება სხვა ევპატრიადებსაც აქვთო, — მეტყვი, რა თქმა უნდა. მაგრამ — რა ცხენები! ... ოთხცხენა ეტლების შეჯიბრებაში სამივე ჯილდო იმან მიიღო...

— მაპატიე, ვინ? — ვკითხე გაოცებით.

სოკრატემ თვალები მომანათა:

— როგორ თუ ვინ? რა კითხვაა! ალკიბიადემ, ცხადია. განა იმ ხანებში სხვა ვინმეზედ ვლაპარაკობდით? განა შეიძლებოდა ათენში სხვა ვინმეზედ ლაპარაკი?

— შენზედ, სოკრატე.

— კი, ეგეც მართალია, — დამეთანხმა სოკრატე. — რადგანაც ალკიბიადე ჩემი საყვარელი მოწაფე იყო, და კიდევ იმიტომ, რომ იმ ხანებში ვაჟი შემეძინა.

— ლამპროკლე, — ვიჩქარე, რომ საქმის ვითარების ცოდნა გამომემეღავნებინა.

— ეგრეა. მერე, იცი ამ სიტყვის — ლამპროკლეს — მნიშვნელობა? არ იცი. ორი სიტყვისგან შედგება: lampas ჟინჟღილია, ხოლო lampros ბრწყინვალეს ნიშნავს. — სოკრატემ გაიცინა. — მე „ჟინჟღილი“ მომწონდა, ქსანთიპეს — „ბრწყინვალე“, ჰოდა, აგრე შევთანხმდით. ლამპროკლე ჩინებული ყმაწვილი იყო. დედისა სილამაზე და ენამჭევრობა გამოჰყვა, ჩემგან... ჩემგან რა უნდა გამოჰყოლოდა? ღმერთმანი, არაფერი. ეგების მხოლოდ ქუჩა-ქუჩა ყიალი, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ჩემი ბებიაჭალობის ხელოვნება და არც კიდევ ისა, რომ ადამიანის სულის შემოქმედად და გამაკეთილშობილებლად მომქონდა თავი.

— ნუ, ნუ დასცინი, მეგობარო, იმას, რასაც ადამიანები საუკუნეთა განმავლობაში პატივსა სცემდნენ შენში და პატივსა სცემენ დღემდე. — არ მოვერიდე, პირდაპირ ვუთხარი.

— არა, მე ამის უფლება მაქვს! — გამომწვევად გაიცინა და სიტყვა ისევ შვილზედ გადაიტანა. — ადამიანის ნაშიერი თავისთავად მშვენიერი რამ არის, მაგრამ ჩვენს სახლში იმისმა მოვლინებამ ბევრი ხმაური მოიყოლა. ქსანთიპე ნამდვილ კრუხად გადაიქცა, და ჩვენს ჭერქვეშ აზრთა გაცვლა-გამოცვლის კოჭობი ადუღდა. ქსანთიპე ვარაუდობდა, რომ ახლა მაინც მეტ დროს შინ გავატარებდი. მაგრამ, თავადაც მოგეხსენება, ჩემს საქმეს სულ უფრო სრულყოფილი მასალა ეჭირვებოდა. ის ჩემი საქმე კი მართლაც ფრიად საჭირო იყო: ზნეობა ათენში სულ უფრო და უფრო ეცემოდა, სამუშაო იმდენივე ათასი ალმზრდელისათვის გამოინახებოდა, რამდენი ათასი მსახლობელიც ათენში იყო. მოკლედ — ყოველ ათენელზედ თითო სოკრატე. თანაც ხელწკეპლიანი. თუმცა კეთილი ნების საწინაალმდეგო ეთიკა, დასჯის შიშით თავს მოხვეული ეთიკა, არაფრად არ ვარგა, მაგრამ ვინ დაგიდევს, ჩემო კეთილო... არა, ვხუმრობ, ჩემი მეგობარნი, ჩემი ეგრეთ წოდებული მოწაფენი, — გარდა კრიტიასი, რომელმაც მიგვატოვა, — სიხარულს მანიჭებდნენ. ისწავლეს თავიანთი თავის შეცნობა და ამასვე ასწავლიდნენ სხვათ, ხოლო სხვათათვის სწავლება, მოციქულობა და, მაშასადამე, საკაცობო თვითშეგნების რაც შეიძლება შორს და

ფართოდ გავრცელება ჩემი ოცნება იყო. ჩემს სიამაყეს, ალკიბიადეს კი, უკვე პერიკლეს ადგილი ეჭირა. ხშირად მეკითხებოდა რჩევას, და მხოლოდ ზოგ რამეში არ ვეთანხმებოდით ერთმანეთს.

სოკრატე გაბრაზდა. გულმოსულმა მუშტი დაჰკრა მაგიდას.

— როგორც სტრატეგი, ძალზედ თავზედ ხელაღებული იყო, — ამბობდა. რაღა ის და რაღა გაჭირი ვირი!

მაგრამ სოკრატემ მაშინვე გულიანად გადაიხარხარა, — [illegible] რაღაც მორეულის, რაღაც საოცარი რამის გამო იცინოდა.

— შეიძლება, რომ გკითხო, რაშ მოგიყვანია სახადელზეც?

— რამ და, ერთი ამბავი წამომაგონდა... ლამპროკლე სამი თუ ოთხი წლისა იქნებოდა, ჩამაცივდა, გინდა თუ არა, ხისგან რამე ჩადური გამომიკეთო. მეც ავდექი, ავიღე აკაციის ჩამონაჭერი, თეთრი. როგორც გინახავს ქალის მკერდი, და დავიწყე თლა. საქმე კარგად მიდიოდა, მე შენ გეტყვი ხელსაწყონი არა მქონდა. „რა იქნება, მამი?" „ძაღლი!" ლამპროკლემ ტაში შემოჰკრა: რა კარგია, ძაღლი გვეყოლებაო. ძაღლები მეც მიყვარან. ფიგურა რომ დავამთავრე, ზეიმით წაიღო შინ. დედაჩემს ვუჩვენებო, უცებ მესმის: ლამპროკლე ძაღლს ეძახიან: „ჰამ-ჰამო". ქსანთიპე კი ვირის ყროყინს ბაძავს და ისე ხარხარებს, როგორაც იშვიათად თუ ეხარხარია. შენ ძაღლს დაჰპირებიხარ, ვირი კი გამოგსულიათ. მაშინ მეც, ბებერმა ვირმა, გადავიხარხარე: იმ კერპ ალკიბიადეზედ რომ ვფიქრობდი, თურმე ძაღლის მაგივრად ვირი გამომექცეოა.

მეც გამეცინა.

— ხომ გაგამხიარულე, ახლა წადი, დაიძინე, შვილო.

გაშელიმა:

— მართალი თუ გინდა, არც ისე ახალგაზრდა ვარ, სოკრატე, რომ შვილად გეკეთებოდე...

— ასეა თუ ისე, ჩემზედ ორი ათას ხუთასი წლით ახალგაზრდა მაინც იქნები!

ნაწილი მესამე

1

სოკრატეს შეეცალა და მოწყენილ ქერეფონტი ისე წავიდა დელფოში, რომ ერთმანეთისთვის ერთფერი გაეგებინა. იქ ბიჭებს ჭიკჭიკა. საბერძნეთში სოკრატეზედ ბრძენი თუ ვინმეა, ქერეფონტმა ქალაქ ათენელთა სახელით მიუგო: არ არის ჭეშმარიტად კაცი სოკრატეზედ უფრო თავისუფალი, სამართლიანი და ბრძენი.

ქერეფონტი გახარებული მიეკრა სოკრატესთან. ფილოსოფოსი ქვის გრძელ სკამზედ იწვა სახლის წინ, ფიქრებში გართული. ქერეფონტმა ახალი ამბავი შეატყობინა. სოკრატემ კი უთხრა:

— ძვირფასო ქერეფონტ, ხომ იცი: მიყვარხარ, მაგრამ ეგრეთი ხმაური ბრიყვთა საქმეა! ჭეობრიმც ჩაძირულხარ!

და მარჯვენა გვერდზედ გადაბრუნდა.

ქერეფონტმა ხელი ჩაიქნია და გაიფიქრა: აგრეც ვიცოდი! ისევ ის არეტე! ახლა — თავმდაბლობა! მაგრამ დამაცა! ახლა ამას სუყველა გაიგებს!

და მართლაც მალე ნახევარი ქალაქი ფეხზე იდგა. დელფოს ორაკულის პასუხი სუყოველმა ათენელმა გაიგო. მტრები გაანაწყენა. მეგობრები გაახარა

ამბავმა ალკიბიადემდეც მიაღწია, და ის მაშინვე მიხვდა, რომ ეს ამბავი იმასაც სარგებლობას მოუტანდა. რაკი სოკრატე უბრძნესი ელინთაგანია, მაშინ არ შეიძლება ბრძნული რომ არ იყოს იმისი პირველი მოწაფის სურვილი — ფრთა შეასხას სიცილიის დაპყრობის თაობაზედ ათენელთა უძველეს ოცნებას.

სილარიბეს ათენში საკმარისზედ მეტიც უჩივის. პერიკლეს სიკვდილის შემდგომ სახელმწიფო ხაზინა დაცარიელდა. მაგრამ საჩივრებით ხაზინას ვერ ავსებ. უკეთესად ცხოვრება სუყოველს უნდა, მაგრამ უკეთესი ცხოვრებისთვის ბრძოლა?.. რამდენი კაცია თანახმა, რომ ხელი ხმალს იკრას? დაილოცოს აპალონის ქურუმი ქალის პასუხი! ის შეგვეწევა, რომ ჩვენს მხარეზედ გადმოვიბიროთ ყოველნი ორჭოფნი, მჩურჩნელნი, ლაჩარნი და შუმი ზარმაცნი...

ალკიბიადე ამხედრებული მივარდა ალოპეკოსში. ცხენი ზედ მიაგდო და ქვაყორიდან გადასძახა მხართეძოზედ წამოწოლილ სოკრატეს:

— უკვე იცი? იყო შენთან ქერეფონტი?

— იყო, — მიუგო სოკრატემ და მარცხენა გვერდზედ გადმობრუნდა.

— ათენას სუყველა ბუსა ვფიცავ! — შესძახა ალკიბიადემ. — რა დროს კოტრიალია? ადექი! უნდა აღვნიშნოთ!

— არც ვიფიქრებ! — წაიბუზღუნა სოკრატემ.

ქსანთიპემ ყველაფერი გაიგონა. ეზოში გამოვიდა.

— როცა საჭირო არ არის, მირბიხარ და როცა საჭიროა, კაცი ზეზედ ვერ აგაყენებს! შემოდი, ძვირფასო ალკიბიადე, — გადასძახა სტუმარს. — ნუ გეშინია, წამოვა! — და ქმარს მხარში ჩაავლო ხელი, შეანჯღრია. — ადე, კაცო! სუფთა ქიტონი ჩაიცვი და ნუ ალოდინებ სასურველ სტუმარს.

ამასობაში ალკიბიადე ჩამოქვეითდა და ეზოში შემოვიდა.

— დალოცვილი იყავ, კეთილო ქსანთიპე, მაგ შენი სიტყვებისთვის, მე და შენი ბრძენი დღეს ვიქეიფებთ, შენ კი ხვალ იზეიმებ ლამპროკლესთან ერთად, და არა მარტო ხვალ... ლამპროკლე! ბიჭო! რა გიყვარს ყველაზედ მეტად?

ბიჭს დიდხანს არ უფიქრია:

— ნიგვზიანი კვერები, თაფლიანი ნამცხვარი, ყურძენიც, ლეღვიც... — დედას კალთაზედ დასწია: — კიდევ რა მიყვარს, დე?

— მომეშვი!

ალკიბიადე იცინის:

— საწყალი ბავშვი, ვერ აურჩევია, ჩვენი არჩევანი უფრო ოოლია, სოკრატე: დიონისეს წყალობა!

სოკრატე არ დანებდა დიდების მოწოდებას, მაგრამ ვაზის ძახილს ველარ გაუძლო. წავიდნენ.

— საით მიგყავარ? თეოდატასთან?

— გამოცანა გეკუთვნის. ძვირფასო. შენ რა, არ გინდა?

— ჩინებული აზრია.

შორს არ იყო, და მალე მიადგნენ ჰეტერას ვილას; ბანზედ დიდი შანდლები ენთო და იქიდან ქალთა ხმები ისმოდა.

ალკიბიადე პირით ვილისკენ გაჩერდა და ანაკრეონტული ლექსი დაამღერა:

სინესტეს ხარბად მიწა სვამს შავი,
მწყურვალი ხე კი თვითონ მიწას სვამს,
მთის ნაკადულები ზღვასა კვებავენ,
ზღვა კვებავს მზესა
და ფერმკრთალ მთვარეს,
მაშ, მეგობარნო, რად მსაყვედურობთ,
რა ვქნა, თუკი მეც წყურვილი მტანჯავს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბანზედ მხიარულად შესძახეს:

— ალკიბიადე!

შინ ალიაქოთი ატყდა, ატყაპუნდა მონა ქალთა შიშველი ფეხები — აი გაიღო შესასვლელი კარი.

ალკიბიადე და სოკრატე ბანზედ ამავალ კიბეს აჰყვნენ. წინ თეოდატა შემოეგებათ, მდიდრული, თეთრი, ნაოჭებიანი პეპლოსი ემოსა, წელზედ სარტყელი ერტყა. მხრებზედ ნარინჯისფერი მოსასხამი მოესხა, რაც ღამის სიგრილისგან იცავდა. თუმცა ვიწრო კიბეზედ პირველი ალკიბიადე ავიდა, თეოდატა უწინ სოკრატეს გადაეხვია: შემდეგ ორივეს დაუკოცნა ტუჩები.

თეოდატამ მამაკაცნი რბილ ნოხთან მიიყვანა; მიმოფანტული ბალიშებიდან წამოდგა მთვარის ვერცხლით სხივმოსილი ასული და მოსულთ მიეგებება. ასული საკუთარ თვალთ არ უჯერებდა, იმდენი სმენოდა ალკიბიადეზედ, იმის ვაჟკაცურ სილამაზეზედ, რომ არ მოელოდა, თუ სინამდვილე წარმოსახვას გადააჭარბებდა. ტიმანდრას კანკალი დააწყებინა.

თეოდატა სტუმართ მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რა ამბავია ქალაქში? ქუჩებში, თითქოს ცეცხლის გველებიაო, ჟინჟღილთ დააქროლებენ, აღგზნებული ხალხი სიჩუმეს სიმღერით, საზეიმო ქრიამულით არღვევს...

— ღამის მყუდროების ის დამარღვეველნი — ჩემი მეგობარნი არიან, — გაიცინა ალკიბიადემ. — ჩემთან ერთად ილხენდნენ, ახლა კი ქალაქში დააქვთ სასიამოვნო ახალი ამბავი, რომელიც ქერეფონტმა დელფოდან მოიტანა თვით ღმერთ აპოლონისგან...

— გაჩუმდი, — მკაცრად გააწყვეტინა სოკრატემ.

— არ გავჩუმდები, აპოლონსა ვფიცავ, და კვლავად გავიმეორებ ამ ახალ ამბავს! დელფოს ორაკულმა აღმოთქვა: მთელს ელადაში კაცი არ არის სოკრატეზედ უფრო ბრძენი!

სიხარულისგან ცრემლმორეულმა თეოდატამ გულში ჩაიკრა ფილოსოფოსი. ასულიც მიეახლოვა, მოწიწებითა და მოკრძალებით ჰკითხა:

— მეც მეძლევა თუ არა ნება, სოკრატე, სულ უცნობმა რომ მოგილოცო?

სოკრატე გადაეხვია ასულს, ორივე ლოყა დაუკოცნა. შემდეგ საგულდაგულოდ შეათვალიერა.

— რა თქვი, უცნობიო? — ფილოსოფოსმა მზერა თეოდატაზედ გადაიტანა, რომელსაც ხელები მთვარისკენ აღეპყრო:

— ო, სელენე, ვერცხლის ელვარებით რომ გვამკობ, უთუოდ შენც იცი, რომ ეს კაცი არა მარტო ბრძენია, არამედ ყოვლისმცოდნეც არის.

სოკრატემ გაიღიმა:

— სულაც არ არის აუცილებელი ყოვლისმცოდნეობა იმის გამოსაცნობად, რომ ეს მშვენიერი ქალიშვილი შენი ასულია!

— დიახ, ტიმანდრა ჩემი ასულია, — უბრალოდ თქვა თეოდატამ. — დღეს თოთხმეტი წლისა გახდა.

სტუმართ ღმერთნი საკადრისი ზედაშით ახსენეს. შემდეგ მეფეს ასულის სადღეგრძელო შესვეს.

— დაე ქარიტებს ნუმც შეშურებიათ შენი სიმშვენიერე. სულ იხარე და უფრო გამშვენიერდი! — უსურვა სოკრატემ.

ალკიბიადემ ხანგრძლივი მზერა ჩაძირა ტიმანდრას გიშრის თვალებში და იქ, ფსკერზედ, ოქროს ნაპერწკალნი შენიშნა.

— ღმერთთამც მოუბოძებიათ ყველაფერი, რასაც მოისურვებ!

ველარც ტიმანდრა აცილებს მზერას ალკიბიადეს.

დუმილი ჩამოვარდა — ხმაურიანმა ბრბოებმა ჩაიარეს, იმათი ხმა უკვე მიწყდა; აივნებზედაც ჩაქრა ცეცხლი, რომელშიც სურნელოვანი ფისი იწვოდა. ფისის სუნმა დაახშო ახლად აყვავებული სალბის სუნი, ბაღიდან ჭრიჭინობელების ჭრიჭინთან ერთად რომ ამოდიოდა.

თეოდატამ ნაჭედი კოლოფიდან პაპირუსის ფურცელი ამოიღო და ალკიბიადეს მიაწოდა:

— ეს წერილი ერთი მეგობრისგან მივიღე — სიკეთე გვიქმენ, წაგვიკითხე.

ალკიბიადე ბაზმაკთან მივიდა და ხმამაღლა დაიწყო:

„გსვამთ, ვითარცა წყალსა მდინარისასა, ხელში ვარდსავით გიღებთ. ნუ გწბენია, უკეთუ ოლად მისაწვდომი ხარ, პირიქით, იამაყე, რომ ესდენ სასურველი ხარ ყოველთათვის. მდინარის წყალიც ხომ სუყველასია, არცა ცეცხლი ეკუთვნის ერთს, და მზეც საერთო ღვთაებაა ყოველთა კაცთათვის. შენი სახლი სიყვარულის ტაძარია: ვინაც მანდ შემოდის — ქურუმია; ვინაც მანდ გვირგვინს იდგამს — ღვთის სალოცავად მავალია, და ძღვენი იმისი მსხვერპლად შემოწირული ხარკია. დიახამც მბრძანებლობდე ქვეშევრდომთა ზედან, მათდა სასიხარულოდ, და დღეის ამასა იქით თანამგზავრად გექცეს იმათი პატივისცემა“...

— რა ხმა გაქვს, ალკიბიადე! — ამოიოხრა ტიმანდრამ. — პირდაპირ თავისკენ გიზიდავს.

— შენ კი, ტიმანდრა, სუყველას შენკენ იზიდავ, — მიუგო ალკიბიადემ.

თეოდატამ ასულს მხრებიდან მოსასხამი მოხადა — სამოსის ქვემოდან გამოსხლტა პატარა ძუძუ-მკერდი.

— შეეხეთ, — სთხოვა მოსულთ თეოდატამ.

სოკრატე ხელისგულით დააწვა ალწულის მკერდს და ალტაცებით შესძახა:

— თვით ქილიკი მომეც ვერაფერ ხინჯს და კილს ვერ უპოვნის ამას...

თეოდატამ ალკიბიადეს გადახედა, მაგრამ ის არც შერხეულა.

— ვერ გავბედავ...

---

1. აქ გამოყენებულია ფილოსტრატეს ერთ-ერთი „სატრფიალო წერილი“. — ავტორის შენიშვნა.

— მადლობელი ვარ, — წყნარად წართქვა ასულმა.

სოკრატე ჩაფიქრებული შესცქეროდა ამ სურათს. ნუთუ ეს — ალკიბიადეა?

ნოხის კუთხეებში მოციმციმე ბაზმაკნი ყვითელ დაფრონს ლგოიდნენ ლამეში, და ის დაფიონი, მთვარის ნაზ ვერცხლისფერ შუქთან შეზავებული, რალაც მომაჯადობელ ღია მწვანე ნათებას ქმნიდა, რომელშიაც თეოდატას ოქროს სამკაულნი ყინულისგან გამოკვერილსა ჰგავდა. ტიმანდრას ყელზედ და მაჯებზედ შებმული ნიქარები ოპალისფერ ათინათს აფრქვევდნენ.

ალკიბიადე ისე წამოწვა, რომ მარტო ტიმანდრა დაენახა. სოკრატემ წართქვა:

— მშვენიერო ქალწულო, შენ უკვე დიდი სიამოვნება მოჰგვარე ჩვენს მზერას. მაგრამ ჩვენთა თვალთა სიამოვნება უფრორე სრული იქნებოდა, უკეთუ შენი სხეულის სინარნარესაც ვგიჩვენებდი.

ტიმანდრამ დედას გადახედა. იმან ნება დართო. ქალიშვილმა აბრეშუმის სახდლები გაიხადა:

— ფეხშიშველი ვიცეკვებ.

ტიმანდრა ბაზმაკთა შუქით გაცისკროვნებულ წრეში შეგოგმანდა, იელვეს თეთრმა ტერფებმა, ფეხსაბოსისგან განძარცულმა ნაზმა კოჭებმა და მომხიბლავმა თითებმა.

თეოდატამ კითარის სიმთ ჩამოჰკრა, დემეტრას ქურუმ ქალთა სატაძრო ცეკვის აკორდით დაიწყო.

ცეკვა, რომელიც კითარის უბრალო, მკაცრ ჟღერაში შეასრულა ტიმანდრამ, აგებული იყო მონარნარე ნაბიჯებზედ, ხელების მოძრაობაზედ და ქალღმერთის წინაშე მუხლმოყრილ ვედრებაზედ. აუღელვებლად ვერ ადევნებდი თვალს, ისეთი ღრმა სიდინჯით მოძრაობდა თეოდატას ასული დემეტრას უხილავი საკურთხევლის წინაშე.

ცეკვა რომ დაასრულა, ტიმანდრამ ისევ დედას გადახედა. ცოტა ხანს გავიდა და დედიშობილა შემობრუნდა, ოდენ მოფრიალე შარფი ეჭირა ხელთ. ახლა ალკიბიადესთვის დაიწყო ცეკვა. მსუბუქი ქსოვილი ხან უფარავდა, ხან უშიშვლებდა სრულყოფილი სხეულის ნასხამს, დამფრთხალ ფრინველსავით დაჰფარფატებდა თავზემოთ, ქალწულის მოციმციმე სხეულს ეხვეოდა და ებლარდნებოდა შავი თმის ჩანჩქერშიც. ტიმანდრას გულის ჩქროლა უკვე კარგა მოწიფული, დავაჟკაცებული ალკიბიადეს გულის ჩქროლას ზედ ეხლებოდა. ძველმა დემონმა ეროტმა ორივე დაკოდა, ისინი მხოლოდღა ერთმანეთს ამჩნევდნენ. ორივენი ღვთაებრივ სიგიჟეს, ღვთაებრივ სიმთვრალეს შეეპყრო. ტიმანდრა დემეტრას ქურუმი ქალიშვილი კი არა, უკვე დიონისეს ამალის ბაკქანტი იყო, გამომწვევად რომ აქანავებდა თეძოთ ოდიხდელი ღამის ჰაჰახებაში, რომელი ღამის საფარველქვეშაც ძველთუძველეს ინსტინქტს ქინმორეულ ქალად ეჭცია.

— კეთილ იყოს ის ღმერთი, შენს შიშველ ფეხთ მამაკაცისკენ რომ მიაქანებს და შენს მხურვალე მკერდს იმის მკერდს რომ შეაწებებს, — წართქვა თეოდატამ.

ვერცლისფეხება ასული სულ ახლოს დაცურავს ალკიბიადესთან... /თითქოს ბაზმაკთაც ჩაიწიეს თეთრი სხეულის ულვარებით შერცხვენილ-ფერმიკრთალთ.

ალკიბიადე თვალებით ჭამს ტიმანდრას, ნესტოები უთრთის, ოდნავ ღია

პირით ჰაერს ხარბად ნთქავს, უფრო მოუხშირა სუნთქვას, თითქოს სული ეხუთებაო. ცეკვის რიტმი კი სულ უფრო სწრაფია, თეოდატას კითარა მღერის და ყღერს, არ ცხრება აკორდთა ქარბორბალა, ამ აკორდთ კი თავს მოჰყვეია ერთი შეუწყვეტელი, მაღალი ბგერა, ჭკუიდან შემშლელი, ულმობელი, მბრძანებლური, სისხლს თითქოს ცეცხლს რომ უკიდებს...

მოცეკვავე ასულის მოძრაობა სულ უფრო ხასდება, ვიღაცა გულში უნდა ჩაიკრას, ვიღაცას იწვევს და კვლავ მიფრინავს, მერე ისევ უკან მოფრინდება, და მთვრალივით ბრუნავს, ტრიალებს, და მართლაც დათვრა...

— რაღაც ფერი არ გივარგა, თეოდატა.

— ჰო, რა ვიცი, გამივლის, სოკრატე.

— თავი გულზედ მომადე, გინდა?

— როგორ არა, სიამოვნებით. შენი გულიც მძლავრად ძგერს, სოკრატე.

— ტყუილს ხომ არ გეტყვი? ღვინისა და ამღამინდელი სურნელების ბრალია.

— მაგას ვინ ურჩევნია? რა ქნას ამ ჩემმა პატარამ, თიკანმა ჩემმა, ნაზმა მტრედმა...

— მოდი, მაგ წამწამებიდან და სახიდან ცრემლს ჩამოგწმენდ, თეოდოტა. გული ამოგიჯდა.

— როგორც ყველას, ვინც საყვარელ არსებას კარგავს...

— ნუ ტირი, ნულარ კანკალებ. შენ და ალკიბიადეს ბევრი მშვენიერი დღე გაქვთ ერთად გატარებული.

— კი, მაგრამ ცოცხალი არსება, ადამიანი, მხეცი... გაუმაძღარია! — და უეცრად ნაზად: — ჩემი ხორცის ნაწილია. ჩემი ერთადერთი შვილია. ნეტამც ქალღმერთმა ტიქემ წყალობის თვალით გადმოხედოს...

ტიმანდრა ცეკვით მიუახლოვდა ალკიბიადეს, მიეკრა, წამით გამოწვდილ ხელებში ~~ჩაუფრინდა~~ — და ისევ გაფრინდა. მერე, თითქოს შებორძიკდაო, წამერთ შედგა თეთრთა სხივთაგან ნაქსოვი მშვენება.

ამ სილამაზის წინაშე ალკიბიადე მუხლებზედ დაემხო.

სოკრატემ თეოდატას ხელი მოჰკიდა:

— გეუბნებით და დამიჯერეთ, ჩემო ძვირფასნო: სიყვარული კი არა, უსიყვარულობაა სენიცა და სატკივარიც.

ისევ იძალა ქალაქში ხმაურმა. აურზაურიანი ბრბო ახლოვდებოდა, ისევ მოაგონებდა ყოველთ დელფოს ორაკულის ნათქვამს.

თეოდატა შეკრთა, ხმაში სინანული შეეპარა:

— ათენი ადიდებს შენს სიბრძნეს, ჩემო სოკრატე, მე კი აქ ჩემი ასულის დაბადების დღითა ვარ გართული... აწ ვწუხვარ ამას.

— ჩემო კეთილო თეოდატა, — შეეკამათა მოღიმარი სოკრატე. — განა ჩემი სიბრძნის დღესასწაულს იმაზედ უკეთ გადავიხდიდი, ვინემ ამ მშვენიერი და უსიბრძნო ღამის დღესასწაულია.

2

კუხძული სალამინი თავის აღმოსავლეთ ნაწილში გაფარჩხულთითებიან გაშვერილ ხელსა ჰგავს. ერთ-ერთ ამ თითზედ ევრიპიდეს მამული იყო. ზღვისკენ დაქანებულ ფერდობზედ, ადამიანის თვალს მიფარებულ ერთ ფართო, ნათელ გამოქვაბულში მუშაობდა ჩვეულებრივ ევრიპიდე. ოდეს აქ სოკრატე გა-

მოცხადდებოდა ხოლმე, რათა დარამატურგის თხოვნით თავისი აზრი გამოეთქვა იმის ამა თუ იმ ალნაქვსზედ. ევრიპიდეს მონანი პატარა მაგიდას და საკარძელთ დგამდნენ მლვიმის თავზედ, რამოდენიმე მშვენიერი ფიქვის ჩრდილში. აქედან ზღვის, მატერიკისა და კუნძულთა თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა.

მზიანი დღე იდგა, მაგრამ ვიდრე საკარძელში ჩაჯდებოდა ევრიპიდე ცხვრის საწმისის სამგზავრო ღართში გაეხვია.

— ისევ ამ ხრამის თავზედ დამსვი? — სოკრატეს თვალებში ცბიერმა ნაპერწკალებმა გაიელვა.

— აკი თავად ისურვე, — მიუგო ევრიპიდემ, თან გაიხედ-გამოიხედა, ქარი რა მხრიდან უბერავსო.

— ვიცი, თრიასავით შენ შენს სორბოში გერჩივნა ჯდომა. — გააღიზიანა მეგობარი სოკრატემ. — აქ უთუოდ ადგილს ვერ პოულობ.

— როგორცა ხედავ, ყოველგვარი ფსიამოვნებისგან დავიზღვიე თავი.

— ძალლსა ვფიცავ, რა ფსიამოვნებებზედ მელაპარაკები? მე აქ არცრა მაღელვებს — თუ არ ჩავთვლით დიდებულ ზღვის ხედს, თავის გემებიანად და იმ ცხვართ, რომელთა საწმისიც რძესავით თეთრია.

— არ გაღელვებს?! აქ ხომ ზღვიდან ქარი ქრის! არ გიბერავს?! ამ ფიჭვთა ჩრდილიც ნოტიოა. მზემ კი ხელად თავში ჩავარდნა იცის... არ გესმის მწყემსის სალამურის ხმა, ცხვრის ბღავილი, ძალლის ყეფა, ჩემთა კაცთა ღრიანცელი და შეძახილ-გადაძახილი ზეთისხილის ჭალაში, ფუტკრის ზუზუნი?..

სოკრატემ არ დაამთავრებინა,. გაიცინა:

— საშინელებაა! პეპელათა ფრთანი ისე ხმიანობენ, როგორაც ჭადრის ტოტნი ქარიშხალში... გესმის? ბალახში ხოჭოს ბაკბუკი და ყვავილზედ შემომჯდარი კელას ღმუილი — გესმის? კელა ველური ყაყაჩოს ყვავილზეა შემომჯდარი. ხედავ? რომელი ყვავილის ფერიც კაცს თვალსა სჭრის. თუ არა ეს ჩვენი საქმიანი ლაპარაკი, წავიდოდი. შენთა მწყემსთა და ზეთისხილის მკრეფავთა თანა ვიქნებოდი...

ორივემ გაიცინა. პოეტმა შესძახა:

— შენ ვერაფერი შეგცვლის! მოხეტიალე ფილოსოფოსო, როგორაც სწორედ გიწოდებენ... შენთვის პირდაპირ უცილობელია, რომ რამე გაღელვებდეს. მე კი იძულებული ვარ, რომ ჩემი ტრაგედიებიანად ამ გამოქვაბულს შემოვაფარო თავი, სადაც არცარაფერი შემეხება... — კვალად ცოტა გაიწია, მზის აბეზარ სხივთ მოერიდა, ფიჭვების ტოტებში რომ აღწევდნენ. — მხოლოდ იქ, სიწყნარეში, სადაც ვერ აღწევს წვიმა, ქარი, მზე, ხმაური, — იქ მეცხადებიან შედეა, ჰერაკლე, იპოლიტე, ფედრა... მხოლოდ იქ მესმის იმათი სასოწარკვეთილი ქვითინი, ჩივილი, წყევლა, და შურისმგებლური შეძახილი, შეყვარებულ გულთა ჩქროლა...

— მაპატიე. ძვირფასო ევრიპიდე, — სოკრატემ ხელი მოუჭირა იდაყვზედ, — უბრალოდ გამოგცადე. რა ხანია ეჭვი მაქვს, რომ აქ, ზემოთ, ჩემ გვერდით, განზრახ იტანჯავ თავს, ოღონდ გამოქვაბულში, შენს გმირებთან ჩასვლა არა გთხოვო. ვიცი, გეშინია, ემახდ საუბარი არ გავუბა, თორემ აბა მერე რაღა ტრაგედია იქნება!

— შენ, ჩემს მეგობარს, ყველაფრის უფლება გაქვს, მიუგო ევრიპიდემ, — ჩავიდეთ.

— არა! — შესძახა სოკრატემ. — აქ დავრჩეთ. კარგად მიცნობ, ხუმრო-

ბა მიყვარს და, რა ვიცი, კაცნი ვართ, შენი ტრაგიკული გმირნი იქნებ გავანაწყენო კიდეც, და სულაც დაფრთხნენ... მერე დაწევა არ გინდა?

ევრიპიდეს გულზედ მოეშვა, გაიცინა:

— რაკიღა ჩემთა გმირთ ეგრეთი ფაქიზი ყურადღებით ეპყრობი, მადლობით გეთანხმები.

— ფრთხილად! — შესძახა სოკრატემ. — არ გაინძრე! ჩუმად იყავი! — ევრიპიდე მაინც გაინძრა, ადგომა უნდოდა. მაგრამ ღართი ფეხებში გაებლანდა და უნებლიედ დაემორჩილა სოკრატეს, თან გადმოკარკლულ თვალებში შეშინებული შესცქეროდა.

— ჯერ კიდევ მანდ არის, არ გაინძრე! — სოკრატემ ნელა წაიღო ხელი ევრიპიდეს წვერისკენ, რომელშიაც ფუტკარი გახლართულიყო.

ევრიპიდე ცივმა კანკალმა აიტანა, სახეზედ ფერი აღარ შერჩენოდა.

— აი, შე კოკროჭინავ, შენა, შე ოქროს ნამცეცო, მოდი, მოდი აქა... — სოკრატემ ამ ალერს-ალერსში ფრთხილად აიყვანა ფრთებით და გაუშვა, წადი, ინავარდეო.

— შენ იქნებ სიკვდილსაც გადამარჩინე, — ძლივს წართქვა ჯერ კიდევ შიშით მოცულმა ევრიპიდემ.

— შენი რა მოგახსენო. და ფუტკარი კი მართლა გადავარჩინე. მაგრამ აღარც შენ დაგიღუდუდდება ნიკაპი! — გაიცინა სოკრატემ.

— აი ხომ ხედავ, — ევრიპიდემ გადააფურთხა. — შენ კი გინდა, რომ ამ ველური ბუნების მომღერლად ვიქცე.

ამაობაში ფუტკარმა საჭირო ყვავილს მიაგნო, და ევრიპიდეც დაწყნარდა განცდილი შიშის შემდეგ.

— მე ყველაზედ უფრო ტრაგიკულ პოეტს მიწოდებენ, მომისმინე, მეგობარო, ნაირფეროვნებისთვის რამე კომედია ხომ არ დამეწერა?

— რათა სამაგიერო გადაუხადო არისტოფანეს ჩვენი დაცინვისთვის, არა? ძალიანაც კარგი. რაც შემიძლია, რჩევას არ მოგაკლებ.

— რომელ ღვინოს დალევ? — ჰკითხა ევრიპიდემ.

— თეთრს. შენ ყოველთვის თეთრი ღვინო გაქვს, ტოპაზიონი. — სოკრატემ გაიცინა. — მაგრამ კაცი რომ დაუფიქრდეს — ყოველ ჩვენებურ კომედიაში ხომ მუდამ ვიღაც გაიძვერა და უსირცხვილოა გამოყვანილი, რომელსაც კარგა ზორბა ტყავის ფალოსი ჰკიდია, სამოსელქვეშ არასაკადრისად რომ ამოძრავებს, თანაც უწმაწურად ლათაიობს. არ ვიცი, შენთა დახვეწილ გრძნობათა პატრონი ამას ვითარ აიტან, ო, ტრაგიკულ პოეტთა შორის უწარჩინებულესო!

— რა მოხდა მერე, — გაიცინა ევრიპიდემ ჰასუხად. — ყველას თავისი ჰყოფნის: ნაყოფიერების ღმერთსაც, ჩვენც, გრძნობიერ ადამიანთ, აღსაგზნებად. მაგრამ დამეთანხმე, ძვირფასო სოკრატე: ესეგვარი ურცხვი ვინმე ერთ წამში მთელ თეატრს აიხარხარებს. აი რა მშურს.

— მეც მიყვარს გაცინება, — მიუგო სოკრატემ, — მაგრამ ტრაგედიას მაინც უფრო ვაფასებ. ტრაგედია, მართალია, ვერ აიძულებს მთელ თეატრს, რომ მუცელნი ხელით ეჭიროთ, სამაგიეროდ საფიქრალს აღუძრავს.

ღმერთს წაუქცეს, მიწაზედ ოქროსფერი ღვინო დაიღვარა, და მერე გემოც გაუსინჯეს. სოკრატემ ტუჩები სიამოვნებით გააწკლაპუნა.

— ძვირფასო ევრიპიდე, შენ ვითომ უტრაგიკულესი პოეტი ხარ? სულე-

ლური შეცდომაა! მაშინ მეც უტრაგიკულესი ფილოსოფოსი ვყოფილვარ. და განა ჩემზედ ამის თქმა იქნება?

— შენზედ? ჩმახია! შენ ქირქილებ, ქილიკობ, ჩხუბობ, ყველას თავზედ ხელს უსვამ, ეფერები და სულ იმისთვის, რომ გამოაღვიძო, უკეთესნი გახადო კაცნი.

— შენც ამასვე იქმ, ჩემო ევრიპიდე, თუმცა შენი [illegible] ულსაკლავი მონოლოგთა წყალობით. ყველაზედ უფრო ტრაგიკული [illegible] სოკრატემ ხელი გაიშვირა მოცისფრო-მომწვანოდ აციმციმებული ზღვისკენ. — ვინაც ახალ კეთილ ზნეობასა და კანონთ ნერგავს, ის ყოვლის უფროორე მხიარული კაცია. მხიარულება სიცილით კი არ იზომება, არამედ სასიხარულო გრძნობითა და მოქმედებით. შენ მხიარული ქაჯი ხარ — სოკრატე თვითონაც გამხიარულდა. — ხალხში უთვალავ ფასიან გვირგვინს ისვრი. ზოგჯერ ამ ცეცხლწაკიდებულ გვირგვინთათვის მადლობის ნიშნად დაფნით გამკობენ, ზოგჯერ კი ხდება, რომ მეტისმეტად აფრთხობ მაყურებელს, და ისიც გისტვენს ხოლმე. სოკრატემ ვერცხლის სასმისიდან ღვინო მოსვა. — ღვინო შენ უკეთესი გაქვს, ვიდრე კალიას, ხელისგული ჩამოისვა მან წვერ-ულვაშზედ. — მაგრამ ძალლსა ვფიცავ, ბევრი ცოდვა კი გაქვს ჩადენილი ათენელთა წინაშე! — თვალთა მხიარული ბრიალით დაიწყო ჩამოთვლა: — წინააღმდეგი ხარ მბრძანებელთა ძალმომრეობისა. წინააღმდეგი ხარ უსამართლო კანონთა. წინააღმდეგი ხარ ოლიგარქიისა, ტირანთა, მონარქთა. სუყოველს არ სიამოვნებს, რომ აგრე აშკარად გამოდიხარ სპარტის წინააღმდეგ. მგოსანთაც ნაღველს უშლი შენი სიახლეებით, ცვლი მითოლოგიას, შენი ტრაგედიებით უარყოფ იმათ ტრაგედიებს; მართალია, სცენაზედ ღმერთნიც გამოგყავს, მაგრამ ოდენ იმ მიზნით, რომ იმათი ცუდი მაგალითით საკაცობო მანკიერებანი ამხილო. არსებითად კი შენი ღმერთკაცნი ჩვეულებრივი კაცნი არიან მთელი თავიანთი შიგანით. ერთი სიტყვით, ღმერთთაც იმდურებ და კაცთაც.

— ჰერაკლეს კომბალსა ვფიცავ, მეტისმეტია! — შეიცხადა ევრიპიდემ.

— მე კი მხოლოდ ვიწყებ, მიუგო სოკრატემ. — შენ ქალთა მოსარჩლედ გამოდიხარ, მამაკაცთაგან იცავ და სამართალს უჩენ. ამით შენ აიმხედრე ყოველნი, ვინაც ნამდვილი მამაკაცნი არ არიან, და ასეთნიც ხომ არიან?

— ბარემ დედაკაცნიც მიაყოლე! — სიცილით შეეპასუხა ევრიპიდე — რადგან ჩემზედ ამბობენ, რომ ორი მარცხიანი ქორწინების შემდეგ ქალთა მოძულე გავხდი.

— ახლა იმას არ იტყვი, ბედისწერის როლს რომ ამცირებ? — განაგრძობდა სოკრატე. — შენ რა, ძვირფასო, ხომ არ გგონია, ადამიანთ ძალიან მოსწონთ, რაკილა ყოველი თავიანთი საქციელისთვის პასუხისმგებლობას აკისრებ და ამასთანავე შესაძლებლობას უსპობ, რომ ყველაფერი ცუდი მოირასა და ანანკეს გადააბრალონ?

— ეგ, მართლაც არა სიამოვნებთ, თანახმა ვარ. მაგრამ ნუთუ ვერ მიმხვდარან ოდეს ურიგოს რასმე ჩაიდენენ, ხალხი კიცხავს არა ბედისწერას, არამედ თვითონ ადამიანთ? — გაიცინა ევრიპიდემ — მაგრამ მეყოფა, ნუღა მაშინებ. დალევა სჯობს.

— ო, პატივცემულო პოეტო, ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. ყოვლის უარესი ის არის რაც შენ მოახდინე და რასაც ახლა ახდენ შენთა „ტროელ-დიათა" შიგან. ეს ბოლოსთვის შემოვიტოვე.

— კეთილი ბარემ ბოლოც მომიღე, — მოიღუშა ევრიპიდე.

— მაშ, ისმინე ყველაზედ უფრო სამარცხვინო ამბავი: მონათ ისე უყურებ, როგორაც ნამდვილ კაცთ. შენის აზრით, მონას თავისუფალ ადამიანზედ მაღლა დგომა შეუძლია თავისი ზნეობით. საშინელებაა! შენ ფილოსოფოსი ხარ სცენაზედ, სამარცხვინოა! შენ ანაქსაგორას მოწაფე ხარ! სოკრატეს მეგობარი! სამგზის სირცხვილია!

— გეყოფა! გეყოფა! გეყოფა! — შესძახა ევრიპიდემ ხელებზე ტუჩებით. — გასრესილი ვარ, დავიღუპე. მაგრამ ხომ არ გავიწყდება, სოკრატე, რომ ყველა ჩემს დანაშაულში შენც გიდევს წილი!

სოკრატემ მჭმუნვარების გამოხატვა სცადა, მაგრამ ისეთი მანჭიაობა გამოუვიდა, რომ ევრიპიდემ გადაიხარხარა.

— ყოველთა ძაღლთ ვფიცავ! ბოლოს და ბოლოს ტრაგიკოსმაც გადაიხარხარა სულითა და გულით! დიდება შენდა, ძმაო! — გაუხარდა სოკრატეს და სასმისი ასწია — ჰადესს უნდა წავუქციო, რომ მეტისმეტად არ დაგვტანჯოს მე და შენ ტარტაროსში ჩვენი ცოდვებისთვის, და კიდევ იმად ვსვამ, რათა ჩვენი საერთო ცოდვები ისე ამოხუჩხუჩდეს, როგორაც სოკომ იცის ნაწვიმარზედ ამოხუჩხუჩება!

ფიალა ასწია ევრიპიდემაც.

— მაგისთვის, ძვირფასო სოკრატე, არა მარტო დალევა, არამედ დათრობაცა ღირს! აი, შე ვერაგო შენა! ცოტა ზარ იყოს, შევშინდი კიდეც და უკვე ავკანკალდი, ემანდ წერისთვის თავის დანებება არ მირჩიოს-მეთქი.

— აბა მაგის უნარი ვინ მომცა? — ვითომ აღშფოთებულმა შესძახა სოკრატემ. — მაშინ ისიც შესაძლებელი იქნებოდა, რომ აქეთობისას ჭრელ ძროხას ერქინა ჩემთვის! ისე სხვათა შორის, — დაასრულა უფრო მხიარულად, — მე ხომ დაწყევ ცოტა შერეკილი ვარ...

„ტროელ დიაცთ“ დაუბრუნდნენ. ევრიპიდეს რის დაწერაც მოესწრო, წაუკითხა.

სოკრატე ჩაფიქრდა და უთხრა:

— გითხრა ჩემი მთაბეჭდილება? ყველაზედ უფრო ძლიერი სახე, ჩემის აზრით, შენი ანდრომაქეა. ის ადგილი, ოდეს საყვარელი შვილი ასტიანაქტი დაპყრობილი ტროის კედლიდან უნდა გადმოუგდონ, და კიდევ — დედოფალი ჰეკუბა, ოდეს საყვარელ ასულ კასანდრას სხვათა ძალდატანებით ხასად უთმობს აგამემნონს. აი მენელაესა და იმისი მრუში ცოლის ელენეს გამოცხადების ამბავს კიდევ ერთხელ მოვისმენდი.

— კარგი.

— ბოლო სცენა? უკვე ნაფიქრი გაქვს?

აგამემნონს. აი მენელაესა და იმისი მრუში ცოლის ელენეს გამოცხადების ამმიმართულებით, სადაც ოდესღაც ძლევამოსილი ფრიგიული ქალაქი ტროა იდგა.

— დაახლოებით ასე წარმომიდგენია: ტროა იწვის. ბერძენი მეომარნი ტყვე ტროელ დიაცთ და ასულთ გემებისკენ მიათრევენ. ისმის გლოვა, მოჩანს იმათი ცად აპყრობილი ხელები, ხოლო ცა ხანძრის მეწამული ანარეკლით სისხლისფერი გამხდარა... ქვეყანას ცეცხლი უკიდია, ყველაფერი მრისხანე სტიქიას მოუცავს, ომს მხოლოდ საშინელებანი მოაქვს უმწეოთა და უდანაშაულოთათვის...

— ჩინებულია, ევრიპიდე! ძალიან მომწონს. დიდებული გაქანება გაქვს.

— მეორედ რომ მოხვალ, ყველაფერი პაპიროსზედ იქნება გადატანილი.

წამოდგნენ, სახლისკენ წავიდნენ. ევრიპიდე მოიღუშა.

— ოღონდ ათენის ხალხი ალბათ სტვენით შეხვდება ამ ტრაგედიას.. მე აქ ბერძენნი ბარბაროსებად ავსახე ტროელებთან შედარებით, და მთელი პიესა მიმართულია ომის წინააღმდეგ, ათენი კი, ვგონებ, ომისთვის ემზადება.

— არა, არ გეშლება. ომი დღესა თუ ხვალ მართლაც გაჩაღდება.

ზეთისხილის ჭალაზედ მიდიოდნენ, და სოკრატემ, [illegible] დროს ამით ზომავსო, შენიშნა:

—ზეთისხილს თვალი შეჰპარვია...

— ალკიბიადეს დარდი გაქვს, არა? — ჰკითხა ევრიპიდემ.

— ალკიბიადე მადარდებს, — მიუგო სოკრატემ და დიდი ხნით გაჩუმდა.

მზე ვერცხლის ზღვაში ეშვებოდა. მალე ნამს გააგდებდა. ფერდობზედ ხარის რქის ბუკი ახმიანდა — ნიშანი მწყემსთათვის, რომ საქონელი ბაკებში შეერეკათ.

— დღეს საღამოსვე შესწირე მსხვერპლი პანს, მასპინძელო, ესეგვარი კარგი დღისთვის, — წართქვა სოკრატემ და ღიმილით დასძინა: — ოღონდ ლელვის ჩირის შენახვა არ დაგავიწყდეს შენი მეგობარ სოკრატესთვის. პანისთვის, ცხადია, რამე სხვას გამონახავ.

ევრიპიდემაც გაიცინა.

— სიამოვნებით გავქურდავ ღმერთს შენი გულისთვის.

სახლთან მივიდნენ, სოკრატემ მეგობარი გადაკოცნა და წყვილჯორშებმულ ოთხთვალაში ჩაჯდა. ოთხთვალა დაიძრა, რომ სოკრატე ნავსადგურში მიეყვანა.

სტრატეგი რომ გახდა, არც მაშინ მოიშალა ალკიბიადემ თავისი გიჟური ოინბაზობა და ყველას თვალწინ თავის ქეიფზედ იქცეოდა. ქარაფშუტა მონადიმისა და დროს ტარების მოყვარულის სახელი ეხელსაყრელებოდა. ამით მტერთ ატყუებდა. იმათ აგრე რიგად ალარ ეშინოდათ იმისი.

მაგრამ იმისი ეშინოდა ნიკიას. ერთხელ ალკიბიადე უკვე მოერია და ახლაც სულ ჩრდილავდა ეკლესიაში. ნიკია თავის მომხრეთ აფრთხილებდა:

—მაგას კარგად ვიცნობ. ბავშვობიდანვე სარდლად ზრდიდნენ. და იმისთანა პატივმოყვარე გაიზარდა, როგორიც ათენს არ ახსოვს. ცხენია, ხომალდია, სამხედრო ვარჯიშია თუ პაექრობაა, ყოველგან, ყველაფერში გამარჯვების მოწადინეა. მეორე კაცობას სიკვდილი ურჩევნია! გეუბნებით — მხიარული ჭაბუკის ნიღაბში მტაცებელი იმალება!

ნიკიას მიმდევარნი დიდის ამბით აქნევდნენ თავს:

— რამ შეგაშფოთა, ძვირფასო ნიკია? განა იმას ჩვენს წინააღმდეგ ავი რამა აქვს განზრახული?

— ჩემო ტკბილო მეგობარნო, — საყვედურის კილოთი ეუბნებოდა ნიკია, — ჩემი გაცინება გინდათ? ხომ იცით, რაც უნდა განიზრახოს, ის მიწყივ ჩვენი წინააღმდეგი — მშვდობის მომხრეთა წინააღმდეგი იქნება. — და მუშტით დაემუქრა ალკიბიადეს, რომელიც იქ არ იყო. — იმ გველმა საკუთარ სანდლებსავით იცის ყოველი ქალაქი, ყოველი ნავსადგური ხმელეთსა თუ კუნძულთა ზედან, ბოლო ხანს კი ზღვაზედ ცურვას დაეჩვია, ხან ალმოსავლეთშია, ხან დასავლეთში... რისი გულისთვის? ათენი ევიწროება? მოგზაურობით ერთობა? სასიყვარულო თავგადასავალთ ეძიებს? უკვე მობეზრდა ათენელნი ხარ-

ჭანი? — ნიკიამ გესლიანი კილო შემგონებლურით შეიცვალა. — მომისმინეთ, მეგობარნო! ეს იმისი მორთულ-მოკაზმული მცურავი სასახლე სულაც არ არის გასართობი გემი, სამხედრო მზვერავია!

ამაობაში, ვისიც ნიკიას აგრე რიგად ეშინოდა, ის მართლაც ქალაქთ და ნავსადგურთ სერავდა. აქ მცირე ხანს გაჩერდება, იქ ცოტა ხანს იცხოვრებს... და არსად არ მოაქვს თავი ათენის პირველ კაცად — ყველგან ხახადიმო ტაბლის კეთილი პურისმტეა, ღვინოზედ უარს არ ამბობს, სადაც ლხინია, ისიც იქ არის.

მიზეზი? უნდა იცოდეს, სად რა ვითარებაა. ვინ როგორ არის განწყობილი — ათენის დემოკრატიისა თუ ოლიგარქთა სასარგებლოდ, ვინ რა გრძნობითაა განმსჭვალული ათენისა თუ სხვა პოლისთა მიმართ. მეორე მიზეზია მეგობართა შეძენა. ალკიბიადემ სოკრატესთან კარგი წვრთნა გაიარა. სწავლა-ცოდნა ცოტაა! მან ჩინებულად ისწავლა, როგორ უნდა შეეძინა მეგობარნი, როგორ მოენადირებინა იმათი გული: ხელს რომ გაუწვდი — შეაშინებ. ისე უნდა მოიქცე, რომ იმან, ვისი მიმხრობაც გინდა, თვითონ გამოგიწოდოს ხელი. ძალით ვერავის დაიმეგობრებ, ვერავის შეაყვარებ თავს, არც რამე შელოცვაა საამისოდ. უკეთუ არაგულწრფელად ემლიქვნელები ვისმე, მალე გაიმეღავნებ თავს. მსხვერპლს სიკეთე უქმენ! მოუთმინე და მოეფერე! ურჩიე! შეეწიე!

სრულიად განსხვავებული მდგომარეობისა და ხასიათის კაცთა შორის, მეზღვაურთა და ქვეითი ჯარის მეომართა საზოგადოებაში ალკიბიადეს სავსებით ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ეჭირა თავი, და იმ დროისთვის უკვე მრავალი მეგობარი, თაყვანისმცემელი და მადლიერი პატივისმცემელი შეეძინა.

ოდესმე ალკიბიადეს უმტკიცებდნენ: თვითონ პერიკლეზედ ძეტად გაითქვამ სახელსაო. მაგრამ როგორ უნდა გაითქვას? ალკიბიადეს ახსოვდა — ჯერ კიდევ პერიკლეს სიცოცხლეში ბევრი ათენელი ოცნებობდა სიცილიის დაპყრობაზედ. დიდებული ოცნება იყო. ალკიბიადე ხანიერ აკვირდებოდა, ერთმანეთს ადარებდა ათენისა და სიცილიის ძალა-უნარს. ყველაფერი აწონ-დაწონა. და ბოლოს წართქვა: ღმერთმა, მე აღვადგენ ამ ოცნებას, წავალ, წავიხან ჩემთა მეომართ, დავიპყრობ სირაკუსეს, ზედ მთელ სიცილიას მივაყოლებ, და მაშინ ჩემ წინაშე თვით სპარტაც შედრეკება!

ჰეტერებში კი აგრე მსჯელობდნენ: ალკიბიდაე გაიმარჯვებს, იმას უკვე ველარავინ შეაჩერებს, სულ უფრო წინ და წინ ივლის, სრულიად ელადის მბრძანებელი გახდება და ყველგან თავის უგუნურ რადიკალურ დემოკრატიას შემოიღებს.

მაშინ რა მოგვივა? ფიცს კი ვდებთ, დემოკრატთ აღვგვითო, მაგრამ აღგვით ისინი აღგვგვიან...

სახალხო კრებაზედ ალკიბიადეს წინააღმდეგ დაუმორჩილებლობის ტალღები დაიძრა. ამთაგორებული ტალღები, ალკიბიადემ კი იმათ შესახვედრად ხორბლის, ხორცის, ხილის, ოქროს, სპილენძის, გოგირდის მთები და მონათა ზღვები დასძრა. და კიდევ — სირცხვილი: იმისთვის, რომ ათენელთ ვერცხა შემატეს პერიკლეს საქმეს, პირიქით, ყველაფრით დააკნინეს და დაამცირეს.

განა მარტო ეკლესია — ბაზარიც დულს და ბუყბუყებს, როგორაც გრიგალმორეული ზღვა. მშვიდობის მომხრენი თავიანთ ქადაგთ აქაც აგზავნიან.

მაგრამ დაპყრობილი სიცილიის მოლანდება სულ უფრო მკაფიო, ცხადი,

მოუშორებელი ხდება.. არ ასვენებს არც მეომართ, არცა მშვიდობიან მსახლობელთ. ეს აზრი იზიდავს და აცდუნებს ყოველთ.

კუნძული სიცილია ათჯერ დიდია ატიკაზედ! და ჩვენ იმისი მბრძანებელნი ვიქნებით! რა ნადავლია! სიმდიდრის რა უშრეტი წყაროა!

ათენელთ ისე მოაოქროეს ალკიბიადე, რომ იმისი ელვარება კედით კედამდე მოჩანს. ერთი მზე ცაშია — აპოლონ ფებოსი, ერთი მზე დედამიწაზედ — ალკიბიადე.

„სიცილია ჩვენია!" ფეხმძიმე ქალის მუცელსავით გაბერილი ათენი ლამის გასკდეს ამ შეძახილისგან. კედლებზედ წარწერებია. აწერენ კირით, ნახშირით, სალებავებით: „ხელიმც მოგვმართია სიცილიის ლაშქრობაში!" „სიკეთე შენდა, ალკიბიადე!"

სიცილიის რუკას ხატავენ პალესტრათა ქვიშაზედ, გზებზედ, სახლების კედლებზედ. აგორას ბაზარი აღელვებულ ბრბოთა ენა-პირით ზრიალებს. მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ხმები ბორბოტად ირევა ერთმანეთში.

— ლამლამობით თეოდოტას ასულთან ტიმანდრასთან დაეთრევა, და იმდენი სუნამო ასხია, საცა გაივლის, აყროლებს იქაურობას.

— მერე რა! რაკი თვითონ ბლომად ასხია, არცა ჩვენთვის ენანება კეთილსურნელება. გაჭირვებიდანაც ეგ გამოგვიყვანს, თუ გამოგვიყვანს... ან იქნებ, შე დოლრიალავ, შენა, ზედმეტი ობოლოსები გაგიჩნდა?

დოლრიალა, რომელსაც ლრიალისთვის კაიძალი თეთრი აქვს გადახდილი, კბილთ აღჭრიალებს:

— ნუ ქოშინებ, ძმობილო! გველთევზა ჯერ მხოლოდ ბოლოთი გვიჭირავს, შენ კი უკვე ტაბლას მისჯდომიხარ...

— ის ბებერი ქოფაკი ნიკია ყველაფერს ამუხრუჭებს!

— ალბათ იცის, რატომაც!

ახლო მდგომთა შორის ხმაური ატყდა:

— აი შე ბინძურო! შენა, შენ აავსებ ცარიელ ხაზინას, შე ტურტლიანო? მერედა, რითი აავსებ? ალბათ შენი სიმყრალის იმედი გაქვს — ნუ გეშინია, ჩვენი ხაზინა უშენოდაც კარგა გვარიანად ყარს...

ხალხი აფორიაქებულია.

— სიცილიაზედ გალაშქრება — სამშობლოს ხეირია, ჩვენი ხეირია!

დოლრიალა, ფრთხილად იხევს უკან, ხალხში იმალება, მაგრამ შორიდან ისევ თავისას იყეფება:

— თუ ჩვენი უბედურებაა!

ორთოდე სილა რომ იგემა, დოლრიალა გაუჩინარდა, მაგრამ ერთგვარი ეჭვი და შიში მაინც დატოვა. ხალხი მიხვედრილია, რომ ყველა ერთ აზრზედ არა დგას. ერთნი „აცეს" გაჰყვირიან, სხვანი — „თოქშს". ეს კი ომისთვის საზიანოა. ვილაცა ამბობს:

— ალკიბიადეს თურმე ნიკიას უნიშნავენ დამხმარედ. სად არის ლოგიკა?

— ლოგიკა, ჩანს, არის. ნიკია არც ალგოსზედ ლაშქრობაში დაჰხმარებია და არც ახლა დაეხმარება. ეტყობა, ვილაცას აგრე უნდა.

— ლორთბაა და მეტი არაფერი!

მაგრამ აქ ვილაცის მხნე ხმა გაისმის:

—ჩვენ დავიძრათ და ყველაფერი თავისთავად დამში მოვა! სიცილიაში ბევრი ვინმე გველოდება, რომ დემოკრატია მივუტანოთ. იქ უკვე ყელში ამოუყიდნეს ტირანნი. შემოგვეგებებიან, — ჭიშკარს ღიას დაგვახვედრებენ.

ქალები, როგორც კრაზანები, დუქნებს დასევიან, ზუზუნებენ, დაღდალანი გააქვთ, ჩინჩობენ. საქონელი კი სწრაფად ქრება, რათა ხვალ და ზევ ვაჭართ სამმაგი ტყავი გააძრონ ხალხს. ობოლოსი — ჩვეულებრივი საბაზრო ბონეტა, უკვე თითქმის ფულად აღარ ითვლება. ზედამხედველთ, იმისთვის დანიშნულთ, რომ დადგენილ ფასსა და წონას არავინ არ გადაამეტოს, ასეთ არეულ დროს ვინმეს წყენინება არა სურთ. ზედამხედველთაც ჭამა უნდათ, ყიდვა უნდათ და ზურგს აქცევენ ხოლმე მავან და მავან გამყიდველ დედაკაცს, ერთ ტომსიკა ცერცვში ვერცხლს რომ ითხოვს, და ვინმე მყიდველ ქალს ეუბნება:

— ნუ გიკვირს, მოქალაქევ! ჯერ ისედაც არაფერი არ არის. მალე სულ არ იქნება. — მაგრამ მანუგეშებლად ამთავრებს: — აი სიცილია რომ ჩვენი გახდება, ბაზარიც ყველაფრით აივსება — მაშინ გაუსინჯე ჭაშნიკი საქონლის სიახლეს. ჩვენ კი სულ ერთიანად გავკოტრდებით... ,

მუშტარი ქალი მხსნელს ეძებს, იქნებ ამ მყვლეფავისგან მიხსნასო, მაგრამ ზედამხედველისა დიდი ხანია ჩამიჩუმი არ ისმის. მერმე კი მიბრუნდება და თვითონ იყიდის. როგორიც დროა, ისეც იქცევიან.

პორტიკის კედელზედ ხმელთაშუა ზღვის დიდი რუკაა გამოყვანილი. სახელმწიფონი სხვადასხვა ფერითაა აღნიშნული. რუკის წინ ბრბო ირევა.

— სად არის ის რაღაც სიცილიაა?

— არ იცი, ჭკუის კოლოფო? სად არი და აგე!

— რატომ არის ეგეთი ყვითელი?

— გოგირდი, პური, ოქრო — სულ ყვითელი არ არის?

— ო, ათენავ! რა სიმდიდრეა! სწორედ ეგ გვინდა! — და ცნობისმოყვარე თვალს აჩერებს სირაკუსეზედ, წითელი ფერის წრე რომა აქვს შემოვლებული, თითქოს უკვე ცეცხლი მოსდებიაო.

— მაგიტომაც მივდივართ იქით, შე ცხვრისთავავ, შენა!

— ჯერ არ მივდივართ. ეკლესიას თანხმობა არ უთქვამს. ჯერ...

— ჯერ შენ გიცდიან. რეგვენო. შენს მოწყალე ნებართვას ელიან, დაიწყონ თუ არა ომი.

— მე ომის ნებას არ დავრთავდი, ჩემზედ რომ იყოს დამოკიდებული, ომს სულაც ავკრძალავდი.

— უყურეთ ერთი! ვითომ რატომაო?

— რათა და, ისევ დაიღვრება ათენელთა სისხლი! თანაც სულ რჩეულთა სისხლი!

— შენი არა მგონია, რომ დაიღვაროს. ნუ გეშინია.

ღრიანცელი, სიცილი. ღრიანცელი, აღშფოთება.

— შენისთანა წუპაკთ სხვაგან ქვითა ჰქოლავენ. გაიგე?!

— წიხლი, წიხლი მაგ ქეციან მოღალატეს!

ის კი ისე აორთქლდა, როგორც სული — აგორას მეორე მხარეს წავიდა, რომ ახლა იქ ისევ დაეთესა განხეთქილების თესლი. ადამიანები ყველგან არიან, ყურები ყველას ასხია, მიამიტი ხალხის მოტყუებას კი რა უნდა!

ქალები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან:

— რა შორს ყოფილა ის ოხერი სიცილია! კარგა ხანს ქმრების იმედი არ უნდა გვქონდეს...

— შემცვლელნი გამოჩნდებიან!

— საერთოდ რა არის, რა სიცილიაა? ამბობენ, იქ ერთი დიდი მთა ყოფილა და იმ მთიდან ცეცხლი...

4

სოკრატე შინ მოვიდა. კუტიკარიდანვე გასძახა ქსანთიპეს:

— იპა, სულიკო! აი მოველ ვახშმად...

ლამპროკლეს წაეთამაშა. ბავშვს წკეპლა ეჭირა. ვითომ ჰოპლიტი ვარო, ხმალსავით იქნევდა, ფეხშიშველა დარბოდა ეზოში. შემდეგ სოკრატემ ხელები დაიბანა, მოხერხებულად მიუჯდა მაგიდას ჭადარქვეშ, საღაც უოგელთვის ვახშმობდა ხოლმე ოჯახი, და ლოდინი დაუწყო.

გამოვიდა ქსანთიპე, და სოკრატე სახტად დარჩა: არც უკოცნია, როგორც ყოველთვის იცოდა, არც საყვედური უთქვამს, მთელი დღე შინ არ ყოფილხარო. არც რამ საჭმელი გამოუტანია. მოპირდაპირე მხარეს დაჯდა, ხელები დაიკრიფა. ერიპაა, გაიფიქრა სოკრატემ, რალაცა ამბავია...

— ბრძანე, ძვირფასო, რა სათქმელიც გაწუხებს, და გვაჭამე ვახშამი. გვშია, არა, ლამპროკლე?

— რალაც სალაპარაკო მაქვს, ცოტა წავისაუბროთ.

— რაო? ძალლსა ვფიცავ, საუბარი ყოველთვის მომწონს. საკუთარ ჭერქვეშაც კი. მაგრამ ნავახშმევს არ შეიძლება?

— არა.

სოკრატემ ამოიოხრა და მზესუმზირას მისწვდა ტომსიკაში.

— მაშ, დაიწყე, ძვირფასო, გისმენ.

ქსანთიპემ შავი თვალები მიაპყრო ქმარს და დაიწყო:

— სოკრატე გვასწავლის: ყოველგვარ მოთხოვნილებათა უქონლობა ღმერთთა თვისებაა. რაც უფრო ნაკლები მოთხოვნილება გვექნება, მით უფრო მივეახლებით ღვთაებრივ სრულყოფილებასაო. მაშ, აბა დღეს ღმერთებად ვქცეულვართ და ეგ არის.

სოკრატემ ვერ გაუგო, საით უმიზნებდა ქსანთიპე, და ქალის სიტყვები ხუმრობად მიიღო:

— უყურე ერთი! ეს ამბავი მომწონს. რომელ ქალღმერთად გინდა გადაქცევა? მთელი ჯარიდან - რომელს აირჩევ?

— ჯერეთ მოვიფიქრებ. პირველმა შენ ამოირჩიე.

— მე? რალაც არ დავკვირვებივარ, არ მიფიქრია, რომელია უკეთესი-მეთქი? არა, უკეთესი კი არა, რომელი უფრო უკეთესად ცხოვრობს-მეთქი? რად უნდა თქმა. ყოვლის უფრორე უკეთ ზევსი ცხოვრობს! საკუთარი მწდე ჰყავს, განიმედე, და ლამაზთეძოებიანი ჰებე ემსახურება, ტაბლას ნაირ-ნაირი საზრდოთი უვსებს, თანაც არცა კიდევ ამქვეყნიურ ტურფა ასულთ იკლებს

— ჩვენი დიოსი დიდი ლოთი-ფოთი ვინმეა! მე, იპა, დიოსს ვირჩევ!

ქსანთიპემ გაილიმა — იმის პატარა ბაგეთ კიდეებზედ ცბიერების მცირე ხაზი დაემჩნა.

— კარგია, კარგი! ჩვენმა მამიკომ ოლიმპის უდიდესი ღორმუცელა აირჩია, მაშ, აბა ღმერთებსამც ნუ დავუსჯივარ! ვინ იფიქრებდა ამას ესდენ ბრძენი განდეგილისგან. ესე იგი მე უფრო მივდევ სოკრატეს მოძღვრებას, ვიდრე თვითონ სოკრატე.

— ეგ როგორ გაგიგოთ, ძვირფასო?

— ნაკლების მოთხოვნა ხომ ღვთაებრივი წესია? აი მე ექოს ვირჩევ.

სოკრატემ გაიოცა.

— ექოს? გამოძახილის ქალღმერთს? რატომ?

— ჯერ ერთი, ჩემი არ იყოს, დიდი ყბედი ვინმეა. გარდა ამისა, გაგიგონია ოდესმე, რომ ეჭოს ეჭამოს რამე?

— მე მიყვარს კარგი ხუმრობა. — საყვედურით უთხრა სოკრატემ. — მაგრამ მაგისთანა ლაპარაკი საჭმლის მაგივრად...

—მეც მანდა ვარ, ძვირფასო. აიღე შენი სამგზავრო ჰიმატიონი და მიბრძანდი ოლიმპზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქ რა ვქნა?

— რა უნდა ქნა და, მოითხოვე, მავახშმეთ-თქო, როგორაც აქა ხარ მიჩვეული. მე კი ლამპროკლეს აგორაზედ ავიყვან, — პორტიკთან დავდგებით და იქნებ ვინმეს ხვეწნა-მუდარით გამოვტყუოთ ერთი-ორი ლუკმა სავახშმოდ.

— ძალლსა ვფიცავ, ეგ რასა ნიშ**ნავს**? — უკვე მართლა გაბრაზდა სოკრატე.

ქსანთიპემ პასუხად ულმობელი ანგარიში წარუდგინა:

— რამდენი ავიღეთ, ზეთისხილი რომ გავყიდეთ? ორიოდ დრაქმა, იმ ფულით ფქვილი ვიყიდეთ და უკვე შევჭამეთ კიდეც. ზეთისხილიდან ზეთი გამოვხადეთ და ისიც უკვე შევჭამეთ. ჰუდის ღვინო შენა და შენთა მეგობართ დალიეთ. ხოლო რამოდენიმე ფიალა რძე, ჩვენს თხას რომ ვწველი, ლამპროკლეს უნდება.

— რატომ აქამდე... — უნდა დაეწყო სოკრატეს, მაგრამ მაშინვე შეაწყვეტინეს:

— ომი მზადდება. ბაზარში პანიკაა. არაფერი არ იშოვება. ხვალ უარესობა იქნება. ჩუმ-ჩუმად, რა თქმა უნდა. ყველაფერს იშოვის კაცი ვერცხლიანი ფასად. ჩვენ კი ერთი რა არის, ერთი ობოლოსიც არ გვიგდია. სოფისტნი... გაჩუმდი! გავიკითხე! სოფისტნი ყოველი მოწაფისგან თვეში ორმოცდაათ დრაქმას იღებენ. რამდენი მოწაფე გყავს? მერე, რა მდიდარი ოჯახებიდან! და ერთი გახვრეტილი ხურდა ფული არ შემოგაქვს ოჯახში! ადამიანთ კარგ მეთევზესავით სულ ანკესზედ აგებ, დაიჭერ და, შენ რა? ქერცლიც არა გრჩება. გაჩუმდი! სულ ერთი რამ მესმის შენგან: „მე, იპა, ადამიანზედ ვფიქრობ და არა დრაქმაზედ, ადამიანზედ არის დამოკიდებული იმისი ბედნიერებაც და სუყველასიცო..." ნეტაი რა სარგებლობას ხედავ, რომ სხვათა ბედნიერებისთვის თავს იტკივებ? ჰა? ვიცი, იტყვი უდიდესი ჯილდო სიკეთეაო, კეთილი. გვაჭამე მე და შენს შვილს ის სიკეთე! არ გამოდის, არა? საქმეც ეგ არის, ჩვენო ბრძენკაცო! ახლა იმას მეტყვი: რა გვაკლია, ჩემო იპაო? მე შენა მყევხარ, შენ მე გყევარ, ორივეს კი შვილი გვყავსო, რომელიც დედასავით ლამაზი და მამასავით სულელი გაიზრდებაო...

სოკრატემ გადაიხარხარა:

— ზუსტად ლაპარაკობ, ძვირფასო!

— განა ანტიფონტმა პირში არ გითხრა, რა შეშლილიცა ხარ? ჩემისთანა ცხოვრებას ვერც ერთი მონა ვერ აიტანდა. ისე ვსაზრდოობთ — უარესი რომ არ შეიძლება... მონა ვერ გაუძლებს, და მე გავუძლო? მე და ლამპროკლემ რა, პურის მაგივრად მზესუმზირა ვაკნატუნოთ? შენ, ბატონო, ნადიმებზედ დაბრძანდები. აგრე არ არი? ერთი თუ ნადიმზედ მიგიწვევს, რა დაშავდება, მეორეს რომ რამოდენიმე საცოდავი ობოლოსი გამოართვა? აბა, ამას როგორ იკადრებ? ან იქნებ სულაც არავის არა სურს შენი სიბრძნისთვის ფულის გადახდა?

— სულელნი იქნებოდნენ, რომ გადაეხადათ. — სოკრატე ჯერ კიდევ

ცდილობდა ხუმრობას. — მე ხომ სუყოველს იმას ვურჩევ, უფრო ჭკვიანნი იყავით-მეთქი...

ქსანთიპეს გული ყელში მოებჯინა, აქვითინდა ჯავრისა და ვინანულისგან; ლამპროკლემ, თუმცა ვერ გაიგო, რა ხდებოდა, დედას ბანი მისცა და თანაც ხმამაღალი ღრიალით.

სოკრატემ მაგიდას შემოუარა, ცოლს ხელი ჩაავლო და მუხლებზედ წინააღმდეგობისა. მუხლებზედ დაისვა. ცრემლები მოსწმინდა და შავგვრემანი სახე დაუკოცნა.

— აი, შე ჩემო ფაშატო, შენა! აბა, აბა, შენებურად ნუ აჭენებ. მონოლოგი მართლა დიდებულად წარმოთქვი. ნუ შეყარე ქვეყანა... ცუდი რამ არცროდის მიფიქრია... მაგრამ აქამდე რატომ არაფერი მითხარი, შე სულელო?

ქსანთიპემ ზლუქუნით მიუგო:

— შენ თვითონ ვერა ხედავ, რა დღეშიცა ვარ? გეუბნები, არ მისმენ... სხვაგან ჰქრის შენი გონება... — უკვე გაჯავრებულმა ხმას აუწია. — სულ სადღაც დაფრინავს შენი სული, მე კი აქ წელში გავწყდი.

— გეყოფა, ცუგრუმელავ. გუშინ კრიტონმა მითხრა, ბაზარს სულ უფრო და უფრო ცეცხლი ეკიდებაო, თუ რამე დაგჭირდეს, შემომიარეო. ხომ იცი, ორი მამული აქვს ჰიმეტოსის ძირას.

ქალმა სოკრატეს ცრემლმორეულმა შეხედა — ნაწილობრივ ცნობისმოყვარეობით, ნაწილობრივ ეჭვით:

— ერთი მითხარი... კრიტონი ისედაც ხშირად გვეხმარება. სხვათ რომ დრაქმასაც არ ართმევ, იმისგან რატომ...

— არც იმისთვის გამომირთმევია არც ერთი დრაქმა! საჭმელი ხომ ფული არ არის. საჭმელი არც მოწყალებაა. ძღვენია. ჰეი, ლამპროკლე — ამხედრდი, აბა!

ლამპროკლე მარდად ააცოცდა ზურგზედ და მხრებზედ მოიკალათა.

— აბა,აჩუ! — შესძახა სოკრატემ და ეზოდან მოუსვა.

ქსანთიპეს თვალებზედ ჯერ ცრემლი არ შეშრობოდა, ქმარ-შვილს სიყვარულით გააყოლა მზერა და ჩურჩულით წარმოთქვა:

— გიჟი!

კრიტონმა, როგორც ყოველთვის, სოკრატე სიხარულით მიიღო. ლამპროკლეს ქოჩორა თავზედ ხელი გადაუსვა, მონა ქალს ჩააბარა და უბრძანა, გაუმასპინძლდი ყოველგვარი ტკბილეულით, რაც კი მოგეპოვებაო.

მარტონი რომ დარჩნენ, სოკრატემ კრიტონს შესჩივლა, ქსანთიპეს ერთი მუჭა ქერის ფქვილიც აღარ უყრიაო. კრიტონმა მაშინვე ბოდიში მოუხადა, გავიდა, განკარგულება მოახდინა, ახლავ მოუტანეთ სანოვაგე, ღვინო და ზეთიო.

— ყველაყა მოგვარებულია, — უთხრა სოკრატეს.

ამგვარ შემთხვევაში სოკრატეს მუდამ ხასიათი უფუჭდებოდა და კრიტონს მუდამ იმის გამეორება უხდებოდა, რომ სიამოვნებას ჰგვრიდა მეგობრისთვის მცირე დახმარების გაწევა. მაგრამ დღეს სოკრატემ ვერც ამ სიტყვების შემდეგ გაიხსნა შუბლი. მაშინ კრიტონმა თავის საწიგნობელში გაიყვანა.

— ვხედავ, ვერა და ვერ დაგიმტკიცე, რომ შენ კი არა ხარ ჩემი მოვალე. მე ვარ შენ წინაშე ვალში. წამო, ძვირფასო, რაღაცას ნახავ...

საწიგნობელში კრიტონმა სოკრატე პირით კიდლისკენ მიაბრუნა, სადაც

თაროებზედ ცომციმი გაჭონდა ოქროსხუფიან ბუდეთ, რომელშიაც პაპირუსთა გრაგნილნი ინახებოდა. ხუფნი რომ დაანახვა, კრიტონმა სთხოვა:

— წაიკითხე ერთი, თუ კაცი ხარ, ზედ რა აწერია.

— „კრიტონი: ქველობისთვის", — დაიწყო კითხვა სოკრატემ. — „კრიტონი: მშვენიერებისა და სიკეთისთვის", „კრიტონი: ხორციელი და სულიერი სიყვარულისთვის", „კრიტონი: სამართლიანობისთვის"...

სოკრატემ კედელს თვალი მოაცილა და გაოცებით შეხედა კრიტონს:

— ვიცი, რომ ბევრსა წერდი, მაგრამ ამდენი! წარმოდგენაც არა მქონდა...

კრიტონმა მრგვალ ოქროს ხუფთ ხელი შეახო და სოკრატეს აუხსნა:

— ზედ წარწერები ზუსტი არ არის, ამ გრაგნილთა შიგან ჩაქსოვილია არა მარტო ჩემი, არამედ უწინარეს ყოვლისა შენი აზრნი, სოკრატე! და ნუთუ ისეთი ხარბი ვინმე გგონივარ, მარტო შენ უნდა გწოვო, შენთვის კი თითიც არ უნდა გავანძრიო? შენ ფასდაუდებელ ძღვენსა მძღვნი, და ნუთუ უფლება არა მაქვს, რომ მადლობის ნიშნად რაღაც ნაბორმალი რამ მაინც გიწილადო? შენ რა, როგორ ფიქრობ, სხვანი ვაქციფო, ტაბლა ვუშალო და ყოვლის უფრორე ძვირფასი მეგობარი კი თავის ცოლ-შვილიანად ვაშიმშილო? შენ მე ვინა გგონივარ?

სოკრატე ჯავრობდა ,ხელების ქნევით უწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ კრიტონი ულმობელი იყო:

— შენ, სოკრატე, მდიდარი ხარ, მე კი — ღარიბი, აი სიმართლე თუ გინდა! რა არის ზეთი, ფქვილი, ლელვის ჩირი და კიდევ რაღაც ამგვარი რამერუმე? მამულნი მემკვიდრეობით მერგო — მერედა, რა დამსახურებაა ამაში? განა ათენელთათვის საპატიო და საამაყო ის არ არის, რომ სარგებლობა მოუტანონ მშობლიურ ქალაქს? განა ამაზედ არა ვმსჯელობდით მე და შენ სიყრმიდანვე? გაჩერდი! თუ შენ გერცხვინება, მე კიდევ უფრო მეტად უნდა მერცხვინებოდეს, რომ ყველაფერს შენ გართმევ, თითქმის გპარავ. ერთადერთ სახსრად ისღა დამრჩენია, ცოტათი მაინც დავიმშვიდო სინდისი, მაგრამ ამის გაგებაც არ გინდა, ჩემს სიხარულს ორივ ჩვენგანისთვის მიწყივ რაღაც საძძიმოდ გადააქცევ ხოლმე.

— მერედა, განა საძძიმო არ არის?! — აენთო სოკრატე. — მე ყოველ შემთხვევაში აგრე ვგრძნობ.

— არასწორად გრძნობ! — გაბრაზდა კრიტონიც. — სულ კი იმიტომ, რომ შენს თავს არ აფასებ. მაშინ შენი დაფასება სხვათ მაინც მოგვანდე!

— ძაღლსა ვფიცავ, ძვირფასო კრიტონ, მგონი, მიყვირი კიდეც. — გაჯავრებულმა წაუბუზღუნა სოკრატემ.

— ბოლოს და ბოლოს დროა, რომ პირში გითხრა ყველაფერი. რასაც ვფიქრობ. შენ პირველი გამოჩნდი ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ამასთანავე კაცთათვის იმოდენად მნიშვნელოვანი აზრებით, რომ მსგავსი რამ დღეს — აქომამდის არცვის არა უთქვამს რა. აბა მითხარი ერთი, ვის გაუხდია შენამდე ადამიანი თავისი მეცადინეობის საგნად? უკვე მრავალი წელიწადია, რაც ადამიანის სულს დასტრიალებ! ადამიანის შემოქმედი მრავალია — და შენც ერთი იმათგანი ხარ!

— რა მაღალფარდოვანი სიტყვებია! — შესძახა სოკრატემ. — ძაღლსა ვფიცავ, სატანჯველში მაგდებ!

კრიტონმა გაიცინა:

— რას ამბობ რას ამბობ! არისტოფანეს დაცინვის გაძლება შეგიძლია, მე კი, ვინც უფრო ლმობიერად გექცევი, ვერ მიძლებ, არა?

— ვაი ამ გაძლებას, ჩემო მეგობარო...

კრიტონმა უკვე მხიარულად დაასრულა:

— აი, რა უნდა გითხრა, ძვირფასო: მე რომ ხელს [illegible] ვდე, შენ საარსებო წყაროს დაუწყებდი ძებნას და აღარც ჩვენ[illegible] ძვი გექნებოდა და აღარც ის პატარა მზენი იკაშკაშებდნენ, მე რომ გაჩვენე. რამდენიც გენებოს, იმდენი მბურღე თვალებით! კარგი, ნუღა იქოჩრები — ან იქნებ არ გინდა, რომ შენს არსებობაში მეც მედოს მცირე რამ წვლილი და ამით სიხარულსა და დიდებას ვეზიარო.

სოკრატეს შუბლი გაეხსნა.

— აღარ გიჯავრდები, კეთილო კრიტონ.

— როგორც იქნა! — შესძახა კრიტონმა. და საქმიანი კილოთი დაუმატა: — ვიდრე მე მაქვს, შენცა და შენს ოჯახსაც გექნებათ, მაგრამ მოსახდენი უნდა მოხდეს. შენ გინდა თუ არა, ვიცი, ოდესმე შთამომავალნი იტყვიან, ათენში არა მარტო ზარმაცნი, უსაქმურნი და სულელნი ყოფილან, არამედ თავიანთი კრიტონნიც ჰყოლიათო...

სოკრატე დაიხარა, ისევ შეავლო თვალი ოქროს ხუფთ, კითხულობდა და იღიმებოდა:

— „სოკრატე ურჩევს კრიტონს, როგორ დაალწიოს თავი ცრუ ბრალდებათ..."

კრიტონმა გაიცინა:

— აი, ხედავ, მე რომ არა, შენი ძვირფასი სარჩიელი შთამომავალთათვის უცნობი დარჩებოდა...

სოკრატე მოუბრუნდა და ფიცხლად შესძახა:

— ძაღლსა ვფიცავ! პატიოსან მოქალაქეთა ცილისწამება ყველაზედ უფრო საძაგელი, ოღონდ ვაი რომ ყველაზედ უფრო სარფიანი საქმეც არის, მაგრამ საიდან მოგიყვანო ისეთი არქედემე, რომელსაც ცილისმწამებელთ და გამომძალველთ დააფრთხობინებდი, ვითარცა ძაღლი აფრთხობს ხოლმე ფარაში შეცვივნულ მგელთ?

საწიგნობლიდან რომ გადიოდნენ, კრიტონმა კრეტსაბმელი გასწია და მეგობარს ჰკითხა:

— სოკრატე, ერთი ეს მითხარი, შენ თვითონ რატომ არა წერ?

— მაგას რაღაც ხშირად მეკითხები.

— შენ კი ყოველთვის გაურბიხარ პასუხს.

სოკრატემ კრეტსაბმელი მთელ სიგანეზედ გაასწორა. ნაოჭები გაიშალა, გამოჩნდა ფარდაზედ ამოქარგული ოდისევსის მოგზაურობის სცენები.

— შეხე: ფეიქარს ოქრომკედით ძველნი ამბავნი ამოუქარგავს. მე კი ასოთა ქარგვა არ მეხერხება. ჩემი საქმე ლაპარაკია. ჩემთვის აუცილებელია ცოცხალი დიალოგი, აზრთა შეჯახება, რათა ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან შევხედო ყველაფერს, რაც კი რამ დახლართულია და ერთიმეორის საწინააღმდეგოა. აბა, როდისღა უნდა მოვასწრო წამიერად გაელვებული აზრებისა და სიტყვების ჩაწერა? ეს ვინმე სხვამ უნდა ქნას. მიხარია, რომ ამას ჩემ მაგივრად თქვენ, ჩემი მეგობარნი იქმთ.

ამასობაში უკანა კარიდან უკვე გამოსულიყვნენ მონანი: ქსანთიპესთვის

ღვინით სავსე ორი დიდი ამფორა, უფრო მცირე ჭურჭლით ზეთი და კიდევ სანოვაგით გატენილი კალათი წაეღოთ.

ქსანთიპე კალათს მიეარდა. ო! ფქვილი, ცერცვი, ლობიო, დამაშხული ვირთევზა, ჩინებულად შემწვარი ცხვრის ბარკალი, ვირის ტყავშემოხვეული ქვაბქოთნები, რომლებშიაც დამარილებული ზეთისხილი და თაფლი იყო, ტილოს ტოპრაკებში კი — ლელვის ჩირი, ჩამიჩი, ნიგოზი... ახლა ძირში არ იკითხავთ! ო, ჰერა, დიდება შენთა ვაჟიშვილთაც და ქალიშვილთაც, ძირში ქონდა, დრაქმებითა და ობოლოსებით სავსე! სოკრატემ, რა თქმა უნდა, ფულის საქმეები არ იცის, — და ვერც გაიგებს, თორემ დასტაცებს ხელს ის სულელი, ისა და უკან წაუღებს... საიმედოდ შენახვა აჯობებს. დანარჩენი — მარანში, საკუჭნაოში და ერთ კაი ტაბლასაც გაშლის! ნუთუ მარტო კალია და იმისთანანი უნდა ნადიმობდნენ? რატომ საუკუნეში ერთხელ სოკრატემაც არ უნდა გაშალოს სანადიმო ტაბლა? ქსანთიპე მღეროდა, თან ვახშმის თადარიგს იჭერდა.

ლამპროკლე და სოკრატე შინ რომ დაბრუნდნენ, ქსანთიპემ ქმარს ისე მაგრად აკოცა, როგორც კი შეეძლო. მერე, კერძთ რომ აწყობდა ჭადრის ქვეშ გაწყობილ ტაბლაზედ, მადლიერებით უთხრა:

— მართლაც დიდი ბრძენი ხარ, ჩემო სოკრატე!

X X X

აგორაზედ გადის ლითონში ჩამჯდარ ჰოპლიტთა რაზმი. ასთვალა და ასფეხა რკინის გველი ბრბოს ორად ყოფს, ელარუნებს რკინის ჯავშანი, ქვაფენილზედ ისეთი რიტმული ნაბიჯის ხმა ისმის — თითქოს საბრძოლო დაფთა ხმა იყოს.

ჰოპლიტთ ყიჟინით მიესალმებიან: სამახარობლო ეკუთვნით, ეკლესიამ სიცილის დალაშქვრა მოიწონა.

გამოვიდა ალკიბიადე. ხელაწეულია. თეთრი კბილები უციმციმებს. სახე უბრწყინავს, ისმის შეძახილები:

— ჰაირე, ალკიბიადე!

ჰასუხი:

— ჰაირეტე, მეგობარნო, ჰაირეტე, ჩემო ამხანაგნო!

ოლიგარქნი ცხვირჩამოშვებულნი როდი დგანან. აბა, რა გული მოუთმენთ, რომ დიდებას იხვეჭდეს დემოკრატთა ბელადი და კიდევ უფრო ძლიერდებოდეს! არა, არ იზამენ, რომ მან ოლიგარქნი დაამხოს სირაკუსეში. დაუმარცხოს თანამზრახველნი, ფარული მოკავშირენი და ამით დაასუსტოს ესენი! რახან აშკარა ბრძოლაში ვერა სძლიეს ალკიბიადე, მეორე იარაღის იმედი რჩებათ, ხოლო ის მეორე იარაღი, კარგად მოპირულ-ალესილი, უფრო მეტია, ვიდრე ალკიბიადეს ათასობით ჰოპლიტი და მეზღვაური.

5

დაისის მზე დასავლეთისკენ ეშვება. მეწამულ სხივთ ირეკლავს ტიმანდრას ალმასის ფარღული. მართლა მშვენიერი ასულია. კიდევ უფრო ამშვენებს სიყვარული. სავსე ბაგენი დროდადრო ოდნავ უცახცახებს, დიდ თვალებში ნაღველი ჩასდგომია, ნატიფი ცხვირის ნესტოები უთრთის, მდიდრული თმა ჩანჩქერად ადგას და სურნელებას აფრქვევს ირგვლივ.

თეოდატამ შეყვარებულნი მარტო დატოვა. ისინი ხალიჩაზედ მიმოფან-

ტულ ბალიშებზედ სხედან. განშორება ორივეს უმძიმს, მძიმე წუთია.

ალკიბიადე უკვე დაბრუნებაზედ ფიქრობს:

— ათენში დარჩები არა, ტიმანდრა? მშობლიური ეფესო ხომ არ გენატრებ?

— არა, ჩემი სამშობლო იქ არ არის. ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც შენ ხარ, საყვარელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველთვის აგრე იქნება?

— ასე იქნება, ვიდრე ცოცხალ ვარ.

ვაჟი ხელისგულთ, მაჯებს უკოცნის.

— როცა აქ პირველად დაგინახე, სუსტი, პატარა... ვფიქრობდი, ჯერეთ კიდეე გოგოა-მეთქი, მაგრამ ისეთი მომხიბვლელი იყავი, ვნანობდი, ნეტავი აგრე პატარა რად არის-მეთქი...

— მე კი ვფიქრობდი, რომ დედაჩემთან მოხვედი, და გულის კოვზთან მეტკინა...

— როცა ცეკვა დაიწყე, მივხვდი, უკვე ქალია-მეთქი, და გატყობდი, შენც გიხაროდა... — მან თითები დაუკოცნა ტიმანდრას.

— მაგრამ შენ დედაჩემს კი არა, მე მიყურებდი...

— ჩემთა თვალთა წინ გარდაქმნილი მიზიდავდი, მეუფლებოდი... ალბათ თვითონ პეითო, ცდუნების ქალღმერთი დგას ყოველი ქალის აკვანთან... — და ახლა მკერდს უკოცნიდა.

ქალიც მოეხვია, თითები მისი შავი თმის ტალღებში ჩამალა.

— გახსოვს, რა თქვა მაშინ სოკრატემ? — ჰკითხა ალკიბიადემ.

— „სიყვარული სენი არ არის, სენი უსიყვარულობაა“.

— და არაფერია იმაზედ დიდი ნეტარება, რომ ვინმე გიყვარს და ვინმეს უყვარხარ.

— შენ რომ გეთხოვა, ადექიო, ალბათ გული წამივიდოდა... ეს სიყვარულია, ძვირფასო?

— ჰო, ეგ სიყვარულია, ბედი უხვად მასაჩუქრებს — მეტისმეტად უხვად. ზოგჯერ ვფიქრობ კიდეც — ჩემს ადავს რამე ცუდი ხომ არ არის-მეთქი?

— გამიგონია, რომ მოოქროვილი ფარი გაქვს და ზედ ელვიანი ეროტია გამოხატული. ისიც გამიგონია — ვინც შენს ოქროს აბჯარში ჩამჯდარს გნახავს, ალისფერმოსასხამიანს, გულში სუყველას ცეცხლი შეენთებაო. მამაკაცსაც და დედაკაცსაც. მაგრამ შენ თვალთა ელვით, ბაგეთა და ხმის ელვით მომაჯადოვე...

ალკიბიადემ თავქვეშ ყურთბალიში ამოუდო, და კოცნიდა... თეოდატამ წყნარად გაიარა რბილ ნოხზედ, ბაზმაკნი ჩააქრო.

შეწამული მთვარე ნელ-ნელა ამოდიოდა. ტიმანდრამ დაინახა და შეცახცახდა.

— ნეტავი, უკვე დაბრუნებული იყვე! თანაც ჩემთან!

— საერთოდ რომ ვერ დავბრუნდე?

— სირაკუსეში გამარჯვებული რომ შეხვალ, ნიმფა არეთუსას წყაროსთან მიდი, პაპირუსისა და გვიმრის შამბნარიდან რომ ამოჩქეფს. უკეთუ არ დაბრუნდები, დიდ დედას შევევედრები, რომ არეთუსასებრ მეც წყაროდ მაქციოს. მაგრამ, ვიცი, დაბრუნდები.

ტიმანდრა ადგა, ჯოჯგინა მოიტანა; ზედ დაკიდებულ თანგირა ქვაბში ნა-

ღვერდალი ენთო. ტიმანდრამ ნაღვერდალთ შეუბერა, სურნელოვანი ფისი დააყარა.

ჩურჩულით, ალკიბიადეს არც ესმოდა, ასული დიდ დედას კიბელეს უხმობდა. სიყვარულს შესთხოვდა. შესთხოვდა სიცოცხლეს ალკიბიადესთვის. შესთხოვდა, მშვიდობით დამიბრუნე გამარჯვებულიო. უეცრად კვიალი გულში ჩაიხშო და ბაგეზედ სისხლი დაიდინა. ალკიბიადემ შეამჩნია, რომ ასულს ელდის ქარმა დაუარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოდგა:

— რაო, რას ამბობს ცეცხლი?

;ტიმანდრა ნახშირს განწმენდილ წყალს ასხურებდა, ცდილობდა, რომ ხმისა და ხელების კანკალი როგორმე დაეძლია.

— საშიშს არაფერს, საყვარელო. ჩემი სიყვარულის სიგიჟე ჩემთან ერთად დაილუპება. გმადლობ, დიდო დედაო!

პატარა ხელში მაგიურად შეათამაშა ვერცხლის ავგაროზი, რომელზედაც ზოდიაქოს ნიშნები იყო ამოკვეთილი. მერმე ავგაროზი ალკიბიადეს კისერზედ დაჰკიდა. ალკიბიადემ კი ზღვისფერქვიანი ბეჭედი მოარგო თითზედ.

* * *

სავსე მთვარე გაიბადრა, უფრო გამშანათა. მთვარის თეთრ შუქზედ ალკიბიადემ შეამჩნია, რომ თავისი სახლის წინ ქვის გრძელ სკამზედ იწვა სოკრატე.

— სოკრატე, გძინავს?

— არა, რა გინდა ჩემგან?

ალკიბიადემ თავისი აბრეშუმის მოსასხამი დაგრაგნა, — უნდოდა, რომ სოკრატესთვის თავქვეშ ამოედო. იმან წყენით ჰკრა ხელი და წყენითვე გაუმეორა:

— რა გინდა ჩემგან?

— გამომშვიდობება მინდა.

— გამოუმშვიდობებლად წადი!

— სოკრატე! თუ არ დამლოცე, ჩვენი დამაკავშირებელი სიყვარულის სიტყვა თუ არ მითხარი, ისე როგორ წავიდე?

— ჩვენ სიყვარული ალარ გვაკავშირებს.

— თუ გულში არ ჩამიკარი და არ გადამკოცნე...

— უსამართლო საქმისთვის?! — შეაწყვეტინა სოკრატემ. — რისთვის გასწავლე, რომ სარდალი მხოლოდ სამართლიანი საქმისთვის უნდა საგრობდეს-მეთქი?!

ალკიბიადე რისხვით აენთო:

— ამ საქმეს მე სამართლიანად ვთვლი. ქალაქი სელინუნტი, რომელსაც მხარს უჭერს სირაკუსე, სეგესტას ჩაგრავს. სეგესტამ დახმარება მთხოვა. დახმარება, გესმის?

სოკრატე წამოდგა. იმასაც ბრაზი მოერია:

— ვიცი, როგორც გიზის გულში სეგესტა! ცრუპენტელა ხარ! ვიცი, რა დახმარებაც გაქვს მხედველობაში: სირაკუსე მოგინდა!

ალკიბიადემ ცივად მიუგო:

— სახალხო კრებამ ომი რომ აუცილებლად მიიჩნია, ესეც სიცრუეა?

— იმიტომ მიიჩნია, რომ კრება ლაპარაკით გააბრუე. თანაც ეკლესია გა-

ავსე დამთბვეული ახალგაზრდებით, რომელთაც ომი სწყურიათ, და აგრეთვე მეზღვაურებით, თვალი ძარცვა-რბევაზედ რომ უჭირავთ! მაგრამ, იცოდე, სუყოველ ათენელს როდი მოსწონხარ!

— არც მე მომწონს სუყველა ათენელი. ნუთუ ამის გამო ტარი უნდა ვთქვა ესეგვარ ბრწყინვალე ლაშქრობაზედ? — ალკიბიადეს ხმაში დაცინვა ისმოდა. — ვინმემ მნახა, რომ ის ვაქკაცობა აღარა მაქვს? — შენ მაინც ვერ იტყვი ამას, სოკრატე!

სოკრატე მოიღუშა.

— უკეთუ კეთილი სტრატეგი ხარ, ათენზედ იფიქრე! შენ გინდა, რომ პერიკლესავით გაითქვა სახელი. მაგრამ პერიკლე იმით არის სახელოვანი, რასაც მშვიდობიან ქამს იქმოდა და არა იმით, თუ ვითარ სიგრობდა. შენ კი ომი დიდების მოსახვეჭად გინდა. აბა, შენ რა ჩემი მოწაფე ხარ?!

ალკიბიადემ განზრახ ყური წაუგდო სოკრატეს უკანასკნელ სიტყვებს და გაზვიადებით განაგრძო:

— სირაკუსე წინ გვისწრებს. ნელ-ნელა, მაგრამ დაჟინებით იპერს ათენის ადგილს მთელს მსოფლიოში ინდოეთიდან იბერიამდე. უკეთუ ნამდვილი სტრატეგი ვარ, ჩემი ვალია სირაკუსეს ტირანიის ალაგმვა.

— ისევ სიცრუე! — იქუხა სოკრატემ. — სირაკუსეში შენთვის აფრიკისკენ გასასვლელი გზაა, მერე უკვე კართაგენს დაიპყრობ, შემდეგ — პელოპონესს. დიდი პატივმოყვარე კაცი ხარ, მთელი ელადის მბრძანებლობა მოგისურვებია! — და მწარედ დაასრულა: — ვაი... რა ტყუილად გასწავლიდი თურმე!

სოკრატეს აღშფოთებას ისე არ გაუკვირვებია ალკიბიადე, როგორც ამ მწარე სინანულმა გააკოფა. თავი შეურაცხყოფილად და დამცირებულად იგრძნო.

— მე ათენის სტრატეგი ვარ და იმას ვიქმ, რაიც ათენს სჭირდება. ტყუილია, ვერ დაგემორჩილები. ბავშვი ალარა ვარ! რა იყო, ორი-სამი სისხლის გუბე ვაშინებს?..

სოკრატემ უფრო მტკიცე ხმით მიუგო:

— სისხლისა არცროდის მშინებია. სამ ბრძოლაში მომიხილავს, რაგვარ იღვრებოდა ადამიანის სისხლი. მაგრამ ახლა ამის ხილვა აღარა მსურს! ძალადობა, მკვლელობა? გრცხვენოდეს!

ალკიბიადემ ზიზღით ჩაილაპარაკა:

— იწექი მაგ შენს საკარცხულზედ, გინისვენე! უკვე ბერიკაცი ხარ!

ამასობაში სოკრატე ისევ მიწვა თავის ქვის საწოლზედ და ამჯერად აღარც რა უპასუხნია. სახლიდან პატარა ლამპროკლე გამოიქცა, ხმამაღალმა ლაპარაკმა გამოაღვიძა. ალკიბიადესთან მიირბინა, რომელიც უყვარდა:

— აი რამხელა კაკალი მაქვს! გამიტეხე!

ალკიბიადემ ბავშვი ხელში აიყვანა, აკოცა.

სოკრატე არ განძრეულა, ისე დაუყვირა შვილს:

— ლამპროკლე! ჩამოდი დაბლა! ახლავ შინ მოუსვი!

ამაყი ალკიბიადე გაშეშდა, თითქოს სილა გააწნესო. მერე უსიტყვოდ გაბრუნდა, ეზოდან გავიდა და ცხენს მოახტა.

სოკრატე წამოიჭრა, ჭიშკარს ეცა და გასძახა:

— ალკიბიადე! დაიცა! მე არ...

მხოლოდ ცხენის ფლოქვების ხმა მოისმა შორიდან.

6

ათენი რომ გიგანტური ბროლი ყოფილიყო, ცისარტყელას შვიდივ ფერით იციმციმებდა. რამდენიც კაცია, იმდენი თავისებური აზრია სიცილის, ლაშქრობაზედ, და თუ სრულიად თავისებური არა, ცოტა რამეთი მაინც განსხვავებული სხვა აზრთაგან.

ეკლესიამ სამი სარდალი აირჩია: ალკიბიადე, ნიკია და ლამაქე. უკვე თვითონ ეს არჩევანი ჭკუაში არ დაუჯდა ალკიბიადეს, რომელსაც უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილება ჰქონდა მიღებული. ლამაქე, მართალია, ექსპედიციის ალკიბიადესეულ გეგმას იცავდა და არჩევნებში ალკიბიადეს მიემხრო ნიკიას წინააღმდეგ — კარგი, მამაცი მეომარიც იყო, მაგრამ მგზნებარე ალკიბიადეს არასაკმარისად სხარტ და შეუპოვარ კაცად მიაჩნდა.

მაინც, რისთვის ჩააბეს ამ საქმეში ნიკია? რატომ მოახვიეს თავს ალკიბიადეს? დამხმარედ თუ ხელის შემშლელად? ნიკიას გულზედ არ ახატია ეს ომი, — და საომრად აბა რა თავს გამოიდებს? ყოველმა ჰოპლიტმა იცის, კაცს თავგამოდება თუ არა აქვს, ის ვერც იბრძოლებს, და განა ეს ეკლესიამ არ იცის?

ვითომ ნიკია, რომელსაც სულითა და გულით სურს მშვიდობა, თითს გაანძრევს ამ ომში, მით უმეტეს თავისი ყველაზედ უფრო მრისხანე მტრის — ალკიბიადეს გასამარჯვებლად? რა მიზანს ისახავდნენ ისინი, რომელთაც ალკიბიადეს ნიკია შეაჩეჩეს? რა მიზანს ისახავს ის თვითონ? ლაშქრობის ჩაშლას ხომ არ ფიქრობს? ალკიბიადე გრძნობდა: მის გარშემო საფრთხე ჩამოწოლილიყო. ამიტომ — რაც შეიძლება მალე უნდა გასდგომოდა გზას!

ალკიბიადე პირადად აკვირდებოდა პირეოსში, რარიგ ავსებდნენ გემთ ადამიანებითა და სანოვაგით, თვლიდა, ხელახლა ამოწმებდა, ზომავდა, სიტყვით მიმართავდა ლაშქარს, ხალხს, არ ეძინა, მეორე დღეს კი ყველაფერს თავიდან იწყებდა... დასატვირთი იყო ას ორმოცდაათამდე ტრიერი. ადამიანთა რიცხვი რამოდენიმე ათასს შეადგენდა. არგოსმა და მანტინეამ ლაშქრობაში მონაწილეობაზედ თანხმობა განაცხადეს. ეს ამბავი მხნეობას უნერგავდა.

ორაკულის წინასწარმეტყველება ლაშქრობისთვის სასიკეთო არ იყო. ალკიბიადეს გამჭრიახმა თვალმა ამაში მტრის ხელი განჭვრიტა. რამდენი აიღეს აპოლონის ქურუმთ და დელფოელმა პითიამ ასეთი მისნობისთვის? მერე ვისგან?

— მეომარნო! სიმტკიცე, სიმამაცე, შეუპოვრობა და შეუდრეკელობა — აი ჩვენი ორაკული! თანაც კარგი ორაკული!

ყოველგვარი იარაღით აღჭურვილი უთვალავი მეომარი ტაშს უკრავდა ალკიბიადეს. და მან მიაღწია ეკლესიის დასტურს, რომ დაუყოვნებლივ ზღვაში გასულიყვნენ, მიუხედავად ორაკულის არახელსაყრელი რჩევისა.

უკანასკნელი სამზადისი, დამშვიდობება! მაგრამ იმავ ღამეს ათენის ქუჩების გზაჯვარედინებზედ და სახლების წინ შებილწეს და დააქციეს ჰერმები — ღმერთ ჰერმესის თავიანი სვეტები. ვინ უნდა იყვეს ამისთანა მკრეხელი? დილიდანვე ამას ეკითხებოდნენ ათენელნი ერთიმეორეს.

კორინთელნი — რომელთაც სურთ რომ ხელი შეუშალონ ლაშქრობას თავიანთ სირაკუსელ მეგობართა წინააღმდეგომ?

დემოკრატთა მოწინააღმდეგენი?

ვილაც ოხერნი ლოთნი?

არა და არა! თვითონ ალკიბიადეს ხელი ურევია!

არავის შეეძლო იმის თქმა, თუ საიდან დაირხა ეს ხმა, ის თითქოს ყველა ხვრელიდან გამოცოცებულიყო. ოლიგარქთა რომელიღაც სორტიდან? მაგრამ რომლიდან? ყველა ჰეტერია მეხთამტყორცნელ ზევსს ფიცულობდა, რომ დემოკრატიას დაამხობდნენ. ვისმა პირმა წარმოთქვა პირველად, რომ ჰერმები ალკიბიადემ დააქცია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში სჭირდებოდა? — უკვირდა ხალხს.

თითქოს ყველა ხვრელიდან მოცოცავდა ერთი პასუხი: ალკიბიადეს თავაშვებულობა სამშობლოზედ ზრუნვას აღემატება! გამოუსწორებელი ლოთი და არშიყია. ასეთი საძაგლობა ზღვაში გასვლის წინ ჩაიდინა! მაგრამ მოწმენი სად არიან? — კითხულობდა ხალხი.

X X X

როგორც ყოველდღე, სოკრატე მზეს მიემშვიდობა.

— მშვიდობა შენდა, ოქროს მეგობარო! კეთილი იყვეს შენი ამობრძანება! ადექი, ცისკარს გადმოსცილდი, კეთილო ძმაო! დაგვაფრქვიე შენი ცხოველმყოფელი სხივნი! შენა ხარ ჩვენი კერა, სახმილი და ქინქღილი...

სოკრატეს მიმშვიდობება ჯერეთ არ გაესრულებინა, ქვაყორის მილმა აღელვებული ხმები რომ გაისმა. ხალხი ერთმანეთს გასძახოდა, რაც ღამით მომხდარიყო, აგინებდნენ ჰერმების დამამხობელ მკრეხელს, სწყევლიდნენ... იმავე წუთს კუტიკარში შემოვიდნენ სიმონი და კრიტონი, სოკრატეს ამბავი მოუტანეს, ამ მკრეხელობაში ბრალს ალკიბიადეს სდებენო.

სოკრატე, ჯმუხი, კუნთმაგარი, ნამძინარევზედ ჯერეთ წვერულვაშდაუვარცხნელი, ქვის კუბზედ ფეხშიშველი რომ იდგა, რისხვით ანთებულ ტიტანთაგანსა ჰგავდა. ხმაგამყივარებდა ბრაზით, ტკივილით, ელდით, რა უსამართლობაო!

— განა ეგების, რასაც თქვენ ამბობთ? მაგას როგორ იზამდა უმაღლესი მთავარსარდალი, უწინარესად სამშობლოს დიდებაზედ და ძლიერებაზედ მეოცნებე?! — ქუხდა სოკრატე. — კაცი, რომელსაც თვალწინ უდგას უდიდესი რამ გეგმა, რომელსაც თავი უსკდება იმაზედ ფიქრით, რომ ფლოტი სრული წესრიგით გავიდეს ზღვაში, გასვლის წინ იღებს კომბალს ან ეროს და, როგორაც ქუჩის ბიჭი ვინმე, მთელს ქალაქში დარბის და ამსხვრევს ჰერმებს, ბერძენთა უსაყვარლეს ღმერთს ამტვრევს ცხვირს, ნიკაპს, ყურთ?! აბა ვინ დაიჯერებს ამისთანა სიცრუეს, ვინ?

კრიტონმა სოკრატეს ქვეშ-ქვეშ ახედა:

— აკი შენც არ წადინობდი ამ ლაშქრობას და ალკიბიადესაც უშლიდი.

სოკრატე ქვიდან გადმოხტა, ეზოში გაიარ-გამოიარა, თან მზესუმზირას აკნატუნებდა, მაგრამ მღელვარებისგან ერეოდა — ხან გულსა ჰყრიდა, ჩენჩოს კი ყლაპავდა.

— დიახ! მე წინააღმდგომი ვარ ამ ლაშქრობისა. და ვაფრთხილებდი კიდეც ალკიბიადეს, რომ თავი დაენებებინა ამ ველური ავანტიურისთვის, რომელიც უნდა დასრულდეს არა სიცილიაში, არამედ კართაგენში და ბოლოს სპარტაში. მე მეშინოდა, რომ ალკიბიადე საშინელ სისხლის ღვრას გამართავდა. მაგრამ არიან სხვანიც, ვისაც უფრო იმისი ეშინია, რომ ალკიბიადე დაამარცხებს სიცილიას, იქაც სახალხო ძალაუფლებას დაამყარებს აწინდელი ტირანიის ნაცვლად და ამით ათენის დემოკრატიას გააძლიერებს! არ დაუჯეროთ ორაკულთა წინასწარმეტყველებას, ნუ დაფრთხებით, ჩემო ძვირფასნო! საკუ-

თარ გონებას ენდეთ. საკუთარ თავს დაეკითხეთ — ვინა და რატომ არის მოწადინებული, რომ სიცილიის ლაშქრობა ჩაიშალოს? აი, დამნაშავე ის იქნება!

X X X

ლაშქრობა საფრთხეში აღმოჩნდა. ალკიბიადე უნდა წამდგარიყო საბჭოსა სამსჯავროს — ჰელიეას წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგოსისა და მატინეას ათასობით ჩასილაღებულმა მეომარმა განაცხადა, რომ თანახმა იყო სირაკუსეზედ გასალაშქრებლად მხოლოდ და მხოლოდ ალკიბიადეს ერთგულებისა გამო და დაუყოვნებლივ უარს იტყოდა მონაწილეობაზედ, უკეთუ ალკიბიადეს უსამართლოდ მოექცეოდნენ.

აღშფოთებისგან ლამის გონდაკარგული ალკიბიადე დაუყოვნებლივ გამოძიებას ითხოვდა.

მაგრამ ოინი ნახეთ! სწორედ ეს არა სურდათ არქონტთ!

ხალხს კი სიმართლის გაგება სურდა. და... აღმოჩნდნენ ორატორნი, ალელვებულ ხალხს ასე რომ ამშვიდებდნენ: რად უნდა გადაიდოს ზღვაში გასვლა, და მით უმეტეს, რად უნდა ჩამოვაცილოთ ექსპედიციას ისეთი სახელოვანი სარდალი, როგორიც ალკიბიადეაო!

გონივრული, შორსმჭვრეტელური ჩანდა იმათი სიტყვები: „დაე წავიდეს, წარემატოს კიდეც! დასრულდება ომი, და წარდგება სასამართლოს წინაშე, მაშინ გასცეს პასუხი“.

ალკიბიადე მიხვდა, რომ უპატიოსნოდ ეთამაშებოდნენ; მან მხოლოდ ის არ იცოდა, როგორ განვითარდებოდა შემდგომში ეს თამაში. და მით უფრო მეტი მგზნებარებით უდგა კრიჭაში: „საშინელებაა ზეურგს უკან ბრალდებისა და ეჭვის დატოვება; კიდევ უფრო საშინელია ესეგვარი მხედრობის წინამძღოლად რომ მაყენებთ, ოდეს ამბის უცოდნელობა მტანჯავს. უკეთუ ამგვარი ბრალდებისაგან თავს ვერ განვიწმენდ, დიახაც სიკვდილს ვიმსახურებ! სამაგიეროდ ჩემი უდანაშაულობა თუ დამტკიცდა — ვიცი, უსათუოდ დამტკიცდება! — ისე წავალ მტერთან შესაბმელად, ცრუ ბეზღობა ველარ შემაშინებს!“

ალკიბიადე დაყრუებულ ყურთ და მზაკვარ თვალთ მიმართავდა ხხვა ორ სტრატეგოსთან — ნიკიასთან და ლამაქესთან ერთად ზღვაში დაუყოვნებლივ გასვლა უბრძანეს. და მიხვდა ალკიბიადე, რომ ამჯერად ვერ აჯობებდა იმ ძალას, შორეული ომის უფსკრულისკენ რომ ეწეოდა. მაგრამ ოდეს უმაღლესი თანამდებობის პირთა თანდასწრებით თავის ხომალდზედ ადიოდა, თვალებში ელვად გაუკრთა: ცოტა დამაცალეთ! მარტო დავბრუნდე!

X X X

გაიგო თუ არა, ალკიბიადე ბრძანებას დაემორჩილაო, სოკრატე სირბილით გავარდა პირეოსის სამხედრო ნავსაყუდელში. მირბოდა და თან ხმამაღლა ბუტბუტებდა:

— არ ეგების იმისი განუწმენდავად გასვლა! არ ეგების! არ ეგების!

ზღვის სანაპირო კედელთან რომ მიირბინა და ცნობისმოყვარეთა ბრბო გაარღვია,მან დაინახა: ზღვა აჯაგრულიყო ხომალდებით, ასობით ნიჩბით, ასობით ანძითა და ქანდარით.

ძალის სიდიადე.

ადამიანის გონების სიდიადე.

სილამაზის სიდიადე.

მრისხანე სიდიადე.

მეომრებით გატენილი ტრიერნი ერთმანეთის მიყოლებით ადიოდნენ ღია ზღვაში.

სოკრატემ იკითხა, სად არის უმაღლესი ჯართუფროსის გემი. პასუხი: პირველი გავიდაო. და იდგა სოკრატე, სასოწარკვეთილი, მაგრამ მაინც აღტაცებული ადევნებდა თვალს ტრიერთა მოძრაობას. ჩემი ალკიბიადე! ესეგვარ ძალმოსილებას წინამძღოლობს! და ამასთან საშინელ ბრალდებას იტოვებს ზურგს უკან!

ახლაც კი, იქნებ თავისდა შეუმჩნევლადაც, სოკრატე ისევ იმის ამაო მტკიცებაში იყო ზღვისკენ და იმისკენ პირმოქცეული, ვისაც ის ზღვა თავის ზედაპირზედ მიაქანებდა:

— არ ეგების განუწმენდავად გასვლა! არ ეგების! არ ეგების.

ბრბოდან ვიღაცა მიუბრუნდა, გაიცინა.

— რას მიედმოედები, ბებერო? ძლევაშემოსილი დაბრუნდება და არც არავითარი სასამართლო მაგას არ მოელის, სულ ტრიუმფით შეხვდებიან...

სოკრატე ფეხს არ იცვლიდა, ვიდრე სუყველა ტრიერმა არ აუშვა იალქანი და არ ასწია ღუზა, ვიდრე ტალღებში არ ჩაეშვა გრძელი ნიჩბები. ნაპირს არ მოშორებია, ვიდრე სუყველა გემი არ გავიდა ზღვაში, ვიდრე უკანასკნელი თვალს არ მიეფარა.

— იმის აგრე წასვლა არ მინდოდა! არ მინდოდა, მაგრამ ახლა ერთიღა დამრჩენია: სულითა და გულით ძლევა ვუსურვო, მართალი მითხრა ამ კაცმა: უქეთუ ალკიბიადე გაიმარჯვებს, ველარც ვინ გაუბედავს ყალბი ბრალდების წაყენებას...

და სოკრატემ ზღვისკენ ხელი გაიშვირა.

— მაშ, გზა დამილოცნია, სახელოვნად დაბრუნებულიყავ, ჩემო ბიჭო!

7

განუწმენდლად გაცურა.

ვინ იცის, როდის დაბრუნდება ძლევაშემოსილი?

ყოველდღე ფარულად იკრიბებოდნენ ოლიგარქთა ჰეტერიები. რა მოახვიონ თავს კიდევ ალკიბიადეს, რაკი ჰერმების ამბავი მარცხით დამთავრდა? დიდხანს ვერაფერს მნიშვნელოვანს ვერ პოულობდნენ, საკმაოდ დამაჯერებელს. და აი ერთხელ კრიტიამ ფიქრიანად წარმოთქვა:

— ელევსინის მისტერია?

შეკრებილთ ელდა ეცათ;

— მისტერია?.. მაგრამ ეგ ნიშნავს...

ვერავინ წარმოთქვა ხმამაღლა სიტყვა ესე: სიკვდილი. კრიტიამ კი შორს დაიჭირა:

— არა, მე არცრას ვამტკიცებ. უბრალოდ სხვადასხვაგვარ საშუალებებზედ ვფიქრობდი. ღმერთმა დაგვიფაროს! ჩემი ნათესავი კაცია! გამიგეთ! დაივიწყეთ, რაც გაიგონეთ...

— ამისთანა საქმეებში ნათესაური კავშირი ანგარიშგასაწევი არ არის. — დაისისინეს ოლიგარქთ. შენ პატივსა გდებს ის ამბავი, რომ არ გინდა

ალკიბიადესთვის ზიანის მიყენება, მაგრამ ეს ერთადერთი შანსია. შენ კი ფიცი გაქვს დადებული. ფიცის დარღვევა გინდა?

— არა, არა, — გამოეხმაურა კრიტია. — მე დავემორჩილები, რასაც გადაწყვეტთ.

და გახარებულთ იქვე გადაწყვიტეს:

— ამრიგად, მისტერია. სუყველასთვის ნათელი იქნება, რომ ამისთანა მკრეხელი კი არ გაამარჯვებინებს ექსპედიციას, არამედ დასჯიან ხანგრძლივ საქმე!

და ასისინდნენ ენები: ჰპირდებოდნენ, იყოლიებდნენ, ემუქრებოდნენ. წკარუნებდა ვერცხლის დრაქმები. მომრავლდნენ სიკოფანტნი. გამოჩნდნენ მოწმენი. ცხადდებოდნენ მონაჟორით, მაგრამ უდავო ჰეშმარიტებითაც.

X X X

თავდაპირველად სამხედრო მოქმედებებს წარმატება არ მოჰყოლია. ათენის მიერ სრულიად სიცილიის დაპყრობის თაობაზედ წინასწარ დაყრილმა ხმამ უფრო ადრე მიაღწია კუნძულს, ვიდრე თვითონ ათენის ლაშქარმა. სიცილიის ქალაქნი ჰიშკართ უკეტავდნენ ათენის ჯართ, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ.

ძალუმი დარტყმები გახდა საჭირო, რათა აეღოთ ქალაქნი ზანკლე და კატანე.

არქონტთ ალკიბიადეს მალიადი სახელმწიფო გემი „სალამინია" დაადევნეს.

ალკიბიადე თავის კარავში რუკასთან დახრილი იდგა, ოდეს თავს ათენის დესპანნი დაადგნენ. გაოცებულმა შეხედა.

— ვინა ხართ? რა გინდათ? რარიგ შემოხვედით მოუხსენებლად? გუშაგნო!

— ნუ უხმობთ გუშაგთ, ალკიბიადე. ყოველნი დაპატიმრებული არიან, ისევე როგორც შენ დაგაპატიმრებთ არქონტ ეპონიმისა და ათენელი ხალხის სახელით. ბრძანება ღალადებს: „ალკიბიადე დაუყოვნებლივ უნდა ავიდეს სახელმწიფო გემზედ, დაბრუნდეს ათენში და წარდგეს სასამართლოს წინაშე!"

ალკიბიადე თითქოს გაქვავდა, მერმე იფეთქა:

— ნამდვილად შეშლილხართ! ეს-ეს არის დავიწყე... ყველაფერი მოფიქრებული მაქვს! ასეთი ჯარი მყავს! მივატოვო? რა იქნება აქ უჩემოდ. არ იტყვით?

„სალამინიას" კაპიტანმა მკაცრად ჰკითხა:

— შენ რა, არქონტისა და ხალხის ბრძანება ვერ გაიგონე?

ალკიბიადემ უნებურად იტაცა ხელი თავის მოკლე მახვილზედ.

— იარაღი ჩაგვაბარე!

მან კბილთა ღრჭიალით, ყოყმანით გაუწოდა კაპიტანს მახვილი და, დესპანებით გარშემორტყმული, გემისკენ გაეშურა.

გზად მეომარნი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, გაისმოდა შეძახილები:

— რა ხდება, წინამძღოლო?

— სად მიგყავს ეგ ხალხი, ალკიბიადე?

ალკიბიადემ მწარედ გაიცინა, პასუხი ისე გასცა, რომ ცდილობდა, როგორმე დაეფარა თავისი სიმწარე:

— მე კი არ მიმყავს, ამათ მიეყევარ. ცოტა გასეირნება მომიხდება ათენში. რამდენიმე დღეში ისევ თქვენთან ვიქნები! სულით არ დაეკვეთ, ბიჭებო!

იოსებ ტო

ხალხმა გულად იღო იმისი ბედი — თავშესაფარი მისცეს და ზრუნვით დასტრიალებდნენ.

ჯერაც ვერ მოკეთებულიყო. გუშინდელი სტრატეგოსი, უზარმაზარი დიდებული ჯარის წინამძღოლი, სიცილიის ლაშქრობის მეთაური, ეღეს თავს უბედურებადატეხილი, გემის დალუპვის შემდგომ ნაპირზედ გამორიყული ხელცარიელი კაცი იყო... ლტოლვილი. მოაჯე. მზის ქვეშე ყველაზედ უფრო შესაბრალისი გლახაკი.

დიდებისკენ ეგზომ მაღლა შენავარდების მერმე ამგვარი დიდი უბედურებისა და დამცირების უფსკრულში გადაშვება — მეტისმეტად მძიმე დარტყმა იყო ესდენ გამძლე კაცისთვისაც კი. და მაინც კიდევ უარესი გამოცდა ელოდა. როცა „სალამინია" ათენში უიმისოდ დაბრუნდა, ათენელთ დაუსწრებლად მიუსაჯეს მკრეხელობისა და ულმერთობისთვის მოწამვლით სიკვდილი. წინაპართაგან ნაანდერძევი ქონება მთლიანად ჩამოერთვა და სახელმწიფოს ხელში გადავიდა. დამატებით დაადგინეს, რომ ალკიბიადე ყოველთა ქურუმთ და ქურუმიხეთ დაეწყევლათ. ამ ბრძანებას არ დაემორჩილა მხოლოდ თეანო, რომელმაც განაცხადა: მე ქურუმი ვარ და მევალება არა წყევლა, არამედ დალოცვა-ვედრებაო.

ამ ცნობამ ალკიბიადეს ყურამდე რომ მიაღწია, ის ეგრევ სარეცელზედ დაეცა. ჰაერზედ უარს აცხადებდა. ბოდავდა. მზერას წარსულს აპყრობდა.

შრავალი წლის წინათ, ყმაწვილკაცობაში, ათასთავიან პროცესიაში აღმოჩნდა, რომელი პროცესიაც მოსალოცავად წმინდა გზაზედ — ათენიდან ელევსინში მიეშართებოდა. ალკიბიადე დარწმუნებული იყო, რომ პერიკლეს ძმისწულს უფლება ჰქონდა ელევსინის ახალი სამლოცველოს ნახვისა — ის სამლოცველო პერიკლემ ძველ ნანგრევებზედ ააშენა. ცნობისწადილმა აიძულა, და ყმაწვილმა სამლოცველოში საიდუმლო წესების აღსრულების ჟამს შეიხედა.

პროცესიის თავში ღმერთ დიონისეს ქანდაკებას მიჰყვებოდნენ მირტის გვირგვინებით თავშემკული ქურუმნი და განდობილნი. ზოგთ ჟინჟღილნი მიჰქონდათ, ზოგთ — თავთავების შეკვრა. ეღერდა წმინდა ჰიმნი და პროცესიის მონაწილენი ზეიმით წარმოთქვამდნენ ნაყოფიერების, დაუოკებელი მხიარულებისა და ღვინის ღმრთის სახელს: დიონისე! იაკქე! დიონისე! იაკქე! ელევსინს, დემეტრას წმინდა სამფლობელოს, პროცესიამ უკვე შეღამებისას მიაღწია. ყოველნი განდობილნი — ურიცხვი მისტე — ზღვის ყურეში გაინიბანენ და გიჟურ რიკვას მოჰყვნენ ხელთ ანთებულჟინჟღლიანნი.

ასობით ჟინჟღილი ციმციმებდა სანაპირო მდელოზედ, და ვერავის შეემჩნია, რომ იმათ შორის ცეკვავდა დაუპატიჟებელი, გაუნდობელი ალკიბიადე.

ბუკის ნიშანზედ მლოცველთ ჟინჟღილნი ჩააქრეს და ღამის სიბნელიდან ექვსი ჭიშკრით უზარმაზარი კვადრატული ტელესტერიის წყვდიადში შეეიდნენ.

იქაც შეძვრა ალკიბიადეც. ტაძრის შიგნით, ორნურ სვეტებს შორის — სამარისებური დუმილი სუფევდა. წყვდიადი აძლიერებდა დაძაბულობას. აღვიძებდა წმინდა საშინელებას.

ფარდები გასწიეს — უეცარი კაშკაშა შუქი შემოიჭრა სიბნელეში და სამლოცველოს შუაგულში გაიხსნა სცენა.

მისტერიას მეთაურობდა უზენაესი ქურუმი, ჰიეროფანტე, მდიდრული ძოწისფერი მანტია მოესხა, გრძელკულულებიან თავზედ სამეფო გვირგვინი ეხურა. იმის ნიშანზედ დაიწყო ძველი მითის სანახაობა: ქორო მოუთხრობდა

ხალხს, როგორ ეძებდა ქალღმერთი დემეტრა თავის მშვენიერ ასულს კორეს, დაეხეტება დედა ქვეყნად, ამაოდ ოხრავს ასულისა გამო. უბედურმა დამეტრამ დედამიწას მოუსაელიანობა დაატეხა, თვითონაც უარი თქვა ქამაზედ და ბოლოს შვილის ძებნით დაქანცული შინ ესტუმრა კელეოსს ელევსინში. აი, — ქალღმერთი, რომელიც ქვეყანას კვებავს მარცვლეულით და ანიჭებს სიმშვიდეს, თავისთავისთვის კი ვერ უპოვია მყუდროება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემეტრა სცენაზედ მობარბაცე აჩრდილივით დადის. გულსაკლავად ქვითინებს, და ის ქვითინი არც კაცობრიულსა ჰგავს და არც ღვთაებრივს. ეს თვით დაობლებული დედამიწის ძახილია, გოდებაა, დედამიწისავ წიაღიდან რომ მოისმის, ძრავს სმენასა და გულს.

ალკიბიადე მთელი სხეულით კანკალებდა.

ქორო საცოდავი ხმით მოუთხრობდა ღმერთთ, რა ტანჯვაც ენახა დემეტრას, თავშესაფრებულს კელეოსის ჭერქვეშ, რომლის სიახლოვესაც, გადმოცემით, მიწისქვეშა სამეფოსკენ ჩამავალი ერთ-ერთი ხვრელია დაფარული.

ჰელიოსი ყველაფერს ხედავს, მან დაინახა, როგორ წაიყვანა ჰადესმა თავის სამეფოში კორე, როცა ქალწული ნიმფებთან ცეკვავდა; ჰელიოსს შეეცოდა დემეტრა და საიდუმლო გაანდო. უთხრა, რაც შეემთხვა კორეს. დემეტრა სასოწარკვეთილია. ტანჯვით, დარდითა და შიმშილით გაწამებული დემეტრა ლანდს დამსგავსებია, ძლივსა დგას ფეხზედ, და სიცოცხლის ერთადერთი ნიშან-წყალი თუ ეტყობა, კვნესა და ქვითინია.

მაგრამ იამბამ, კელეოსის სასახლის მსახურმა დედაბერმა, სახადელს მოიყვანა დემეტრა — ყოველი ცოცხალი არსების შეწყვილებისა და განაყოფიერების სიამოვნებანი მოაგონა და სიცილ-სიცილში ქალღმერთს კვლავ უძღვნა სიცოცხლის გემო.

განიხვნა მიწისქვეშა სამეფოს კარი, გამოჩნდა მოხეტიალე მიცვალებულთა სულების გუნდი, და ზევსის ბრძანებით, კორე, დემეტრას ასული, დედამიწაზედ ბრუნდება.

სულეთიდან ამომავალი კორე უცხოდ მშვენიერია, ხელთ თაიგულნი უჭირავს, თან მუსიკა და ქოროს სიმღერა ახლავს. ეამგრძელი ზამთრის შემდეგ დედამიწაზედ ისევ გაზაფხული მოვიდა. განახლდა ცხოვრება. სიკვდილი არ არის — არის მარადისობა. სცენას სურნელოვანი საკმევლის თხელი ღრუბელი ადგას. ურიცხვი მისტე ყურადღებით მისჩერებია, რა წმინდა ალტკინებით ეხვევა ზევსი დემეტრას — სამგზის გადახნულ მიწაზედ ქალის განაყოფიერებამ ნიადაგი უნდა გაანოყიეროს და ადამიანთ უხვი მოსავალი მოაყვანინოს. ის სცენა რომ აგონდება, ალკიბიადეს ახლაც აკანკალებს. მაგრამ თავის მიმოგონებას შორს მიჰყვება.

...ავლოსთა და კითართა ქღერა ავსებდა ტელესტერიას. ზემო ლიობიდან სამლოცველოში თანდათან იღვრებოდა მკრთალი ალიონი. სიკვდილი არ არის — არის მარადისობა...

ალკიბიადეს არა და არ ანებებდა თავს მისტერიით მოხდენილი ღრმა შთაბეჭდილება. რამდენიმე წლის შემდგომ ის შთაბეჭდილება კადნიერ განზრახვად გადაექცა — საკუთარ ჭერქვეშ გადაწყვიტა მაშინდელი სცენის ალდგენა: ალკიბიადეს სურდა, რომ ერთხელ კიდევ განეცადა ძალუმი გრძნობა მიწის ძლიერებისა, მისი მარადიული კვდომისა და მარადიული განახლებისა. რამოდენიმე მეგობარს დაუძახა — სოკრატე არ მოუწვევია იმის შიშით, რომ დაუშლიდა, — დუმილის ფიცი ჩამოართვა, და წმინდა წესი დაიწყო.

თვითონ ალკიბიადე უზენაეს ქურუმს განასახიერებდა — მეფური გვირგვინით დამშვენებულ ჰიეროფანტეს, მისი ერთ-ერთი მეგობარი — მეორე ქურუმს, დადუქოსს, მეჟინჟღილეს.

ალკიბიადეს სახლის ფუფუნებამ, „დემეტრას" მშვენიერებამ და შეუზავებელმა ღვინომ, მისტეთა სასმელის, ანუ კიკეონის ნაცვლად რომ მიირთმევდნენ, ისა ქნა, რომ წმინდა წესის მიბაძვა იმისავ შეგინებად იქცა. [illegible] ალკიბიადე, „დემეტრას" სილამაზით გონდაკარგული, როლში [illegible] ტანთ განიძარცვა ჰიეროფანტეს ძოწისფერი მანტია, თავი ზევსად გამოაცხადა და მეგობართა თვალწინ მიეცა მიწიერ ნეტარებას „ნაყოფიერების ქალღმერთთან", რომელსაც ერთ-ერთი ათენელი ლამაზი ქალი განასახიერებდა.

ის მაშინდელი ორიოდ ვითომდა მისტე დიდხანს დუმდა — და აი ახლა ვიღაცამ გასცა... ალკიბიადე სარეცლიდან წამოიჭრა — თითქოს უნდა სცემოდა ფიცის გამტეხს, ოთახში დაბორიალდა და ფარდის წინ გაჩერდა. უცებ მიხვდა, რატომაც გასცა იმ ვიღაცამ, რისთვის ალაპარაკდა... არა იმიტომ, რომ მოესპო იგი, ალკიბიადე: არა, ალკიბიადე იმიტომ უნდა მოესპოთ, რომ ჩაშლილიყო სიციილის ექსპედიცია! ბეზღება საჭირო გახდა, რათა გაეძლიერებინათ არა დემოკრატნი, არამედ ოლიგარქოსნი!

ვინა ვარ ახლა მე? ჯერ კიდევ არ მინდა დავიჯერო, მაგრამ აგრეა: ბოგანო ვარ, განკიცხული! ყველაფერი წამართვეს, რაც გამაჩნდა. წამართვეს სამშობლო, მომპარეს სიმდიდრე, გამყარეს ყველასთან, ვინც მიყვარდა! როგორ არის ახლა ჩემი ჰიპარეტე? როგორ არიან ჩემი პატარა ბიჭები? დედამ თავის ძმასთან ხომ არ წაიყვანა თავის შესაფარებლად? იქნებ იმან კარი მოუხურა სიკვდილმისჯილის ცოლ-შვილს? — ალკიბიადე ხელებს იქერს საფეთქლებზედ, ზედ ძარღვნი რომ დაჰბერვია. ნეტავი ჩემი პატარა ტიმანდრა რაღასა იქმს? ვითომ კიდევ ვახსოვარ?

ნუ იგონებ! არ მინდა! მე მხეცი ვარ! შეჩვენებული! ბრაზი სისხლით უვსებს ალკიბიადეს გონებას. თავს ველარ იოკებს, ხმამაღლა უბნობს, ყვირის:

— მაგრამ რის გულისთვის შემაჩვენეს? რატომ განმიკითხეს? დაე, ნუ ცრუობენ, თითქოს დემეტრას და კორეს დარდი ჰქონდეთ! ვიცი, იმად შემაჩვენეს, რაკი იგივე მსურს, რაიც პერიკლეს უნდოდა!

თუმცა, სავსებით არა იგივე. პერიკლემ ვერ განახორციელა თავისი ჩანაფიქრი. იმის მოწოდებისდა პასუხად ყოველთა ელინთ ვერ გამოგზავნეს ათენში თავიანთი წარმომადგენელნი და ვერც მოილაპარაკეს, რომ ერთობლივად ემოქმედათ მტრის წინააღმდეგ. ოღონდ პერიკლეს ამგვარი კავშირის მიღწევა ბრძენთა შორის ნებაყოფლობაზედ აგებული შეთანხმებით უნდოდა — ალკიბიადემ კი ამ შეთანხმების ძალით თავს მოხვევა განიზრახა. მაგრამ დღეს თავისი ოცნების განხორციელების ამ ხერხს არ იხსენებდა. თავს ამ ოცნებით იმართლებდა:

— ყოველთა ბერძენთა ბედნიერებას გაერთიანებაში ვხედავდი, დიდ უძლეველ ელადად გაერთიანებაში, რომლის მეთაურიც ათენი იქნებოდა — ყოვლის უფრო უმშვენიერესი მეთაური, როგორის ნატვრაც კი ძალედვა ელადას! ვაი, მე სულელს! უგუნურს! ვიცი, ვიცი, ვისაც ეჭირვებოდა ჩემი ლაშქრობის ჩაშლა!

მტანჯველი სახეები და ეჭვები თანგავენ ალკიბიადეს, სიკვდილმისჯილია და თავის ფიქრში მაინც ათენისკენ მიიკვლევს გზას.

ოლიგარქოსნი — აი დაუძინებელი მტრები, ეს იმათი შეთქმულებაა. შე-

დულაბებული დემოკრატიის სიძულვილით. ალკიბიადემ ყრმობიდანვე უწყოდა იმათი ჰეტერიები, სადაც სათათბიროდ იყრიდნენ თავს, რა არი როგორმე დაემხოთ ხალხის ძალაუფლება. იქ, თავიანთ ჰეტერიებში დებდნენ ისინი ფიცს, რომ ყველა ღონისძიებით გამოეთხარათ ძირი ხალხის ძალაუფლებისთვის, თვითონ გაბატონებულიყვნენ და ყოველივე შეეცვალათ, რისთვისაც ხალხის ნებას მიელწია.

ალკიბიადესავით ვინ იცის ეს ყველაფერი! მრავალ ოლიგარქოსთან, მეტადრე წარჩინებულთა წარმომადგენლებთან, ის სისხლით იყო დაკავშირებული. როგორც სტრატეგოსს, მრავალ იმდროინდელ პლუტოკრატთან ჰქონდა ურთიერთობა. საკმარისი გამოცდილება მიიღო — თუნდაც პაექრობაში — სოფისტებთანაც, ჰეტერიებში რომ მოკალათებულიყვნენ.

ეს გვიანდელი სოფისტნი ის ფილოსოფოსნი იყვნენ, ახლოსაც რომ ვერ მივიდოდნენ პროტაგორასთან, გორგიასთან, პარმენიდესთან ან ჰიპიასთან. ახალი სოფისტნი ხალხზედ მაღლა აყენებდნენ თავიანთ თავს, პოლიტიკურ ავანტიურისტებად იქცნენ, წინა თაობის სოფისტთაგან მხოლოდ ის გადმოიღეს, რაც ხალხის ძალაუფლების დასამხობად გამოადგებოდათ. ისინი ლაფს ასხამდნენ ხალხს, ხალხში მხოლოდ უტიფრობას, სისულელესა და სიმდაბლეს ხედავდნენ. სამაგიეროდ მცირერიცხოვან ოლიგარქოსთ, რომელნიც თავიანთ თავს ყველა თავისუფალ მოქალაქეს უპირისპირებდნენ, ყოველნაირად აქებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ იმათ შესწევდათ სახელმწიფოს გაძღოლის უნარი. ახლა ალკიბიადემ უცაბედად ყველაფერი უფრო მკაფიოდ დაინახა, ვიდრე ათენში ცხოვრებისას ხედავდა. თავს დატეხილმა უბედურებამ კაშკაშა შუქით გაუნათა წარსული. და წარსულმა მთლად შეაძრწუნა.

ახალგაზრდობიდანვე იცოდა მან, რანიც იყვნენ ოლიგარქოსნი, იცოდა, რისი ჩადენაც შეეძლოთ ჰეტერიებს. არ ავიწყდებოდა, როგორ ლეშიჭამია მტაცებლებივით დაესხნენ თითქმის სამოცდაათი წლის პერიკლეს, როცა იმას უკვე აღარაფრის თავი არა ჰქონდა, როცა სპარტელთა შემოჭრითა და ათენის ალყებით დაიწყო პელოპონესის ომი...

მარცხიანი ომი ყველაზედ უფრო ხელსაყრელი პირობაა იმათი მიზნების განსახორციელებლად! სწორედ ამას ესწრაფვიან ისინი ამჟამად. აი რატომ დადგა ჩემი რიგი. არ უნდათ, რომ ათენმა გაიმარჯვოს სირაკუსეზედ! არ უნდათ დემოკრატიის გამარჯვება! აი მიზეზი სიცილიის ლაშქრობის საქმეში არახელსაყრელი წინასწარმეტყველებისა! ხელი მიაწვდინეს თვით სპარტას — რატომაც არ უნდა მისწვდნენ დელფოს?!

ხოლო ოდეს ამან ვერ შემაშინა, ოდეს ხალხმა მხარი დამიჭირა, ჩემთა მეზღვაურთ — ჩემი თავიდან მოცილება მოინდომეს! ალკიბიადემ შებილწა ჰერმები! ეჰ, რაღა მხოლოდ სიცილიის ნაპირებთან შითხრა ლამაქემ, რას ჩურჩულებდნენ ათენში? ჰერმების საქმეში კრიტია იყო გარეული. რატომ ეგონა ლამაქეს, რომ კრიტიას წავეკიდებოდი და ლაშქრობა ჩაიშლებოდა? ჯერეთ ხელიდან იარაღი უნდა დამეგდებინებინა სუყველასთვის, ვისაც იქ, შინ, ძალაუფლება სწყუროდა, და მხოლოდ მერმე უნდა დავძრულიყავი სალაშქროდ! აგრე უნდა მექნა! უცილოდ კრიტიაა გარეული იმ ბეზღებაშიც, თითქოს ელევსინის მისტერია გამემასხარავებინოს!.. დიდი ხანი უდარაჯებდა ამ ამბავს! მაგრამ წყნარად იჯდა, ხელსაყრელ წუთს ელოდა. და, როგორც ყოველთვის, წინ ახლაც სხვანი გამოიყვანა, თვითონ უკან დარჩა, უხილავად...

ალკიბიადე ძაგძაგებდა ტკივილისაგან, ბრაზისაგან, შურისძიების წყურ-

ვილისგან. თითქოს დასნებოვანდა. კვნესოდა. ტიროდა. ბღაოდა:

მაგრამ დამაცათ! ჯერეთ კიდევ არ შემისვამს თქვენგნით მოწვდილი შხამით სავსე ფიალა. სუყველას გადაგიხდით, ვინაც შხამით ჩემი გამასპინძლება განიზრახეთ, სუყველას, ვისგანაც სიკვდილმისჯილი ვარ! სუყველას, ვინაც ამ ამბავს დაეთანხმეთ, ვინაც ამას ხელი არ შეუშალეთ! შურისძიება — მთელს ათენს! მდაბალი სალამი მითქვამს ესეგვარი მადლისთვის! [illegible] ილსა ვფიცავ, მეც შემიძლია მადლიერება. ჯერეთ სადა ხ

[illegible] სულელნო! შემცირდა და კვლავაც მცირდება იმ პოლისთა რიცხვი, ათენზედ რომ იყვნენ დამოკიდებული, მეც კი თქვენთვის მთელი ელადის ბოძება მინდოდა და, კიდევ მეტისაც! ეჰ, ისევ ოცნება! შორს, ოცნებავ!

X X X

სიცილიაში უსაყვარელჯართუფროსად დარჩენილ ჰოპლიტთა და მეზღვაურთ, საბრძოლო ცეცხლი გაუნელდათ. ნიკია ისე გაუბედავად ათენდა, რომ ალარავის ჰქონდა მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმის სურვილი.

მარტო ვარ! მარტო! — ბღაოდა ალკიბიადე. ეს რა მიყავით? აჩრდილად მაქციეთ, რომელსაც ხელში მათოთის შხამით სავსე ფიალა მიჭირავს? არა, არ მინდა აჩრდილობა! ანდა აგრე არა: მინდა აჩრდილად ყოფნა, ოღონდ ზარდამცემ აჩრდილად? გულშხამიან აჩრდილად... ფიალა უკვე გამოვცალე.

ადამიანები, რომელთაც ის თეორიაში შეიფარეს, ხედავდნენ, რომ მკერდი დაკაწრულ-დასისხლიანებული ჰქონდა, თვალებშიც სისხლი ჩასდგომოდა, ტუჩები დასთეთრებოდა. ალკიბიადე ავად არისო, ეჩურჩულებოდნენ ისინი ერთმანეთს, მკურნალს ეძებდნენ... ამასობაში ალკიბიადემ საიდუმლოდ დაგდო თეორია, და ეს ამბავი მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა იგი უკვე სპარტის მეფემ აგიდემ მიიღო: ალკიბიადემ აგიდეს თავისი სამსახური შესთავაზა.

შურისგების წყურვილით სნეული ალკიბიადე მეტად სასურველი სტუმარი გახდა სპარტელთათვის. აბა ვინ შეუტევს ათენს იმაზედ უფრო სასტიკად, ვინაც იმისგან გულდაკოდილია! რა ბევნი არიან ეს ათენელნი, რა ბრწყინვალე სარდალი დაკარგეს! ისიც მაშინ, როცა სულ მალე სირაკუსე მწიფე მსხალივით უნდა ჩავარდნოდა ხელში! გაშმაგებული ალკიბიადე მოეწოხა მეფეს, მოეწონა დედოფალს, მოეწონათ სპარტელთ.

სიცილიის ლაშქრობა კი მარცხს მარცხზედ განიცდიდა, ვიდრე ყველაფერი კატასტროფით არ დასრულდა. ნიკია უნდომანდოდ იბრძოდა. ს

შარი მოქმედებები ჭიანურდებოდა, ხოლო ყოველი გაჭიანურება ათენელთ გამარჯვების იმედს უკარგავდა. აქ უეცრად სირაკუსეს მოალყეთა წინააღმდეგ ის დამლუპველი ძალა გამოჩნდა, რისიც ნიკიას მთელი სიცოცხლე ეშინოდა: მოხები! ერთ ღამეს ათენელთა ტრიერების მენიჩბე მოხანი გაიქცნენ და მთელი ფლოტი გემების უმწეო, ბრძოლის უნარმოკლებულ გროვად აქციეს. ნიკია მიხვდა, რომ უბედურ დღეში ჩავარდა, მარტო სახმელეთო ჯარით სირაკუსეს ვერ აიღებდა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. სპარტამ სირაკუსეს დასახმარებლად თავისი ჯარი გაგზავნა. სპარტელთ ჰიმერიდან მოკიდებული მთელი სიცილია აჩქარებული მარშით გაიარეს, და ზურგიდან დასცხეს ათენელთ.

სირაკუსე გამოცოცხლდა, ფრთა შეესხა, და ათენელნი, ყოველი მხრიდან მარწუხებში მოქცეულნი, ალყიდან თავის დაღწევის ამაო ცდის შემდეგ მტერს დანებდნენ, მოწინააღმდეგის რისხვასა და მოწყალებას მიანდეს თავი.

ნიკია ტყვედ ჩაიგდეს და სიკვდილით დასაჯეს, შვიდი ათასი ათენელი მეომრიდან ცოცხალი ვინც გადარჩა, მონებად აქციეს და მალაროებში უმძიმეს სამუშაოზედ გარეკეს.

სპარტელნი აქეზებდნენ, აგულიანებდნენ ალკიბიადეს, ყოველგვარ სიკეთეს ჰპირდებოდნენ, ოლონდაც ათენი მოესრა. სპარტელთა ჯარი ალკიბიადემ იმ ადგილას მიიყვანა, სადაც ათენის თავდაცვა ყველაზედ უფრო სუსტი იყო, სოფელ დეკელიასთან; სპარტელნი იქ გამაგრდნენ და იქიდან შეუტიეს ატიკას.

X X X

წელში მოხრილი სოკრატე სიმონის პირისპირ იჯდა: პატარა სახელოსნოს კედლებში ყრუდ ისმოდა იმისი სასოწარკვეთილი ხმა. სიმონი თან უსმენდა, თან სახლის კერას გახაგრძობდა.

— სიმონ, შენც ჩემი მოწაფე ხარ. რა თქმა უნდა, ხედავ არა, უფსკრულს სიკვდილისგან გაქცევასა და შურისძიების გულისთვის გაქცევას შორის? თანაც — მშობლიურ ქალაქზედ, ყველა ჩვენგანზედ შურისძიების გულისთვის!

— ჰო-ო, — გონივრულად განსაჯა სიმონმა. — ფერდობიდან კენჭები რომ გორდება, გზა-გზა თან სხვა ქვები მოაქვს, და ბოლოს და ბოლოს უზარმაზარ რამ ლოდსაც... დაძრავს.

სოკრატე გაფისული ძაფის გაწყვეტას ლამობდა, ის კი თითებში ეჭრებოდა.

— კაცი, რომელთანაც ვინაწილებდი ლუკმას, სალაშქრო კარავს... ჩემი უნიჭიერესი მოწაფე! —დარდობდა სოკრატე.

სიმონმა ხელში მოუმუშნა ტყავის ნაჭერი, გაჭიმა, სასურველი სახე მიიღებინა.

სოკრატე შესცქეროდა მოკლედშეკრეჭილ თავს თავისი ერთგული და მზრუნველი მოწაფისას, რომელიც სიჭაბუკიდანვე იწერდა იმის ნააზრევს. რა საცოდავია ეს მესანდლე ალკიბიადეს გმირულ სახესთან შედარებით! მაგრამ რაოდენ დიდია თავისი სათნოებითა და გულკეთილობით! რა მშვენიერ ცხოვრებას ეწევა ეს მაშვრალი კაცი!

სოკრატემ ალერსიანად გაუღიმა:

— იცი, ზოგჯერ შემოგნატრი კიდეც. ზიხარ მშვიდობიანად, ფეხთ აცმევ კაცთ, კეთილი სამუშაო გაქვს — არავითარ ტანჯვას არ გაყენებს შენი ხელობა, ჩემსავით კი არა ხარ!

— სცდები, ძვირფასო სოკრატე. ჩემს მუშაობაში მრავალთუმრავლესი რაშია დამოკიდებული მასალაზედ. ტყავი ხან კარგია, ხან ცუდი, ხოლო ცუდი ტყავისას კარგ ფეხსაცმელს ვერ შეკერავ. ახალი, რბილი და მაგარი ტყავი თუა, იმის სანდალთ მთელი სიცოცხლე იხმარ, არ გაცვდება. შენი საქმეც ეგრეა. შენთან სასწავლებლად მოსული ყმაწვილიც ხომ ნედლი მასალაა? ცუდი მასალიდან რა, შენ ვითომ რამე გზიანს გამოიყვან? ასე რომ: ყველაფერი ოსტატზედ როდია დამოკიდებული. მთავარია, როგორ მასალას იღებ დასამუშავებლად.

— მაგრამ შენ, ჩემო საყვარელო, მაშინვე გამოიცნობ, როგორი მასალაა და, თუ ტყავი უვარგისია, არც დაიწყებ ფეხსაცმლის შეკერვას. მე რა ვქნა? ადამიანი სახარაზო ტყავი როდია. აქ მთავარია, რა აქვს იმას ტყავქვეშ. იქ კი ვერ შეიხედავ!

— მაგაში მართალი ხარ. ეგეთი საფრთხე არის, მაგრამ შენ მაინც უფრო მე-

ტად კარგი მასალა ჩაგვარდნია, ვიდრე ცუდი. შენთა აღზრდილთა გამო საამაყოდ გაქვს საქმე.

— კი, — მიუგო სოკრატემ, მაგრამ სახე არ გაუნათდა. — კი. კარგი მოწაფენი მყვანან. სიხარულსა მგვრიან. მაგრამ მთელ სიხარულს მიშხამავს ერთი უხეირო! ხომ იცი, რაც იყო ჩემთვის ალკიბიადე. ყველაფერში ყველაზედ უფრო უნარიანი, ნიჭმომადლებული... მწამდა — დაბრძენდებოდა [illegible] ბოდა... მიყვარდა... როგორც ღვიძლი... — ხმა ჩაუწყდა. [illegible]

სიმონმა თვალი მიაპყრო. გაუბედავად ჰკითხა:

— ატირდი? რაც მშობლები დაგეხოცნენ, შენი ტირილი არ მინახავს...

სოკრატეს თავი არ აუწევია.

— ამბობენ, რომ ელადაში ყველაზედ ბრძენი კაცი ვარ. მკრეხელობა არ მინდა, მაგრამ მტკნარი სიცრუეა. როგორც ყველა სხვამ, მეც ვიცი, სიმონ, სულელური წაოცნებება...

— თავს ნუ იტანჯავ, ძვირფასო! უბედურებაც ეგ არის... — სიმონმა ისე მიმოიხედა, თითქოს სახელოსნოში დაგროვილ სანდალთ იმისი ნალაპარაკების ქალაქში გატანა შესძლებოდათ, და ხმას დაუწია: — ალკიბიადეს გაბოროტებაში, სიცილიის კატასტროფაში ათენელთა ბრალიც დიდია. ვინ მოთვლის, ხალხის რამდენი ორგულია ამ საქმეში ჩარეული, რამდენი მოღალატე, არც ლამაზ სიტყვებს ამოფარებულნი არიან ცოტანი და არც სხვა ათასი ჯურის არამზადანი...

სოკრატემ ამოიოხრა:

— კეთილო სიმონ, შენ ყოველთვის რამე სანუგეშოს თქმა იცი, მაგრამ ის ჭაშმარიტება, რაც ახლა იუბნე, ისეთსავე ტკივილს მაყენებს, ალკიბიადეს ღალატმა რომ მომაყენა...

ინტერმედია მესამე

„განსაცვიფრებელი რამ შემგუებლობა მოსდგამდა ალკიბიადეს; ყველას და ყველაფერს შეეწყობოდა, შეეხმატკბილებოდა, ამა თუ იმ ხალხის ჩვეულებათ და ცხოვრების წესს შეეთვისებოდა, ქამელეონზედ უსწრაფესად იცვლიდა შეფერილობას! სპარტაში წმინდა სპარტულ ცხოვრებას ეწეოდა: თმა და წვერი მოუშვა, ცივ წყალში ბანაობდა, ქერის პურსა და შავ შეჭამანდსა ჭამდა, ტანსაცმელი ჯვალოსი ემოსა — ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ოდესღაც ამ კაცს შინ საკუთარი მზარეული ჰყავდა, ოდესმე იგი ნელსურნელოვან საცხებელთ და საზელ მალამოს ხმარობდა, აბრეშუმთა და ხას-ჭიჭნაურთ იცვამდა..."

სოკრატე დუმდა, და მე კითხვას განვგარძობდი:

„სპარტაში ტანვარჯიშს მისდევდა, უბრალოდ ცხოვრობდა, დარბაისლურად გამოიყურებოდა. იონიაში ნებივრობდა, ქარაფშუტულად ირთობდა თავს. თრაკიაში ლოთობასა და ცხენოსნობას უნდებოდა, ხოლო სპარსელთა სატრაპ ტისაფერნეს ჭერქვეშ რომ ცხოვრობდა, სამოსის ბრწყინვალებითა და მდიდრულობით სპარსულ დიდმშვენიერებასა ჩრდილავდა..."

აქ გაოცებულმა შევხედე სოკრატეს. იჯდა, მზერა სადღაც შორს გაეტყორცნა. ჩვეულებრივ მუდამ სასიამოვნო, ნათელი და მხიარული სახე ავადმყოფურად დამანჭვოდა. ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა:

— ვიცი, რასაც მეკითხები. როგორ ვიტანდი ყოველივე ამას, არა? გარეგნულად არცრას ვიმჩნევდი, ვიდექი და ვანახლებდი ადამიანთა სულთ, როგორც ხარაზი ანახლებს განრღვეულ წულათ. მაგრამ თავად ვიყავ განრღვეუ-

ლი, ძახილი ჩემი — სიკეთეს ესწრაფვეთ-მეთქი — ომის ქუხილში იკარგებოდა. რა არის სიკეთე? ანდა სად მეპოვა ესდენ საშინელი დარტყმის შემდეგ? ამ ტკივილისა და დარდის შემდეგ, რაც ალკიბიადემ მეც დამატეხა და თვითონაც დაიტეხა?

მოელვარე თვალებით შემომხედა:

— ძალსა ვფლავ, აღარ ვიცოდი, რა მექნა! დამეწყველა ალკიბიადე თუ მიმეტევებინა? — სოკრატე ჩემკენ გადმოიხარა, მძაფრი სუნთქვა მომკარა და განაგრძო: — მთელი წლების განმავლობაში, რაც კიდევ ვიცხოვრე, თავს ვიმტვრევდი ამ კითხვით, და დღესაც არ ვიცი, როგორ გადავწყვიტო. ალკიბიადე... კეთილიც იყო... და ბოროტიც. სამშობლოს სარგებლობაც მოუტანა და ზიანიც... ერთგულიც იყო და ორგულიც. ერთიანად შფოთვა და ბორგვა, აღრეულობა იყო. წარმოთქვამ „ალკიბიადეს" და ამ სიტყვით ოდენ უკიდურესობას აღნიშნავ და არა რამე ზომიერებას. ჩემი ამბის გაგება გინდა? განა სულ ჩემზედ არა ვლაპარაკობ? ალკიბიადე, სოკრატეს მოწაფე, სპარტელებთან გაიქცა, ალკიბიადე სასტიკად უტევს თავის სამშობლოს!

ალკიბიადე შორს იყო, მე ახლოს ვიყავი და იმის მაგივრად პასუხსაც მე ვაგებდი, მეგობარნიც კი ცოტა გამიგულგრილდნენ. ახლა მტერთ არ იკითხავ? აი იმათ, ვანუწყვეტლივ რომ ებრძოდნენ დემოკრატიას? როგორც უნდოდათ, საქმეც ისე მოუვიდათ: პირდაპირ თავდასხმას ვერ ბედავდნენ, აწლა ალკიბიადეს გამო მესხმოდნენ! ჩემთვის მაშინ ნასროლი ყოველი იმათი სიტყვა ქვა ან კომბალი რომ ყოფილიყო, მერწმუნე, გასრესილი ვიქნებოდი!

მაგრამ მერმე ყველაფერი კვალად შემოტრიალდა, ალკიბიადე გულმოდგინედ ამოქმედდა ათენის სასარგებლოდ. მან ხელი აღუპყრო ჩვენს ფლოტს იონიის კუნძულებთან სპარტელთა დასამარცხებლად, და ათენში დიდებით მოსილი დაბრუნდა. ო, ღმერთნო! ნეტავი გენახათ ჩემი დათვური როკვა!

ახლა რა ამბავი ატყდა, ოდეს ქალაქში ხმა გავარდა: როგორც კი ეკლესიაში სიტყვა გაასრულა, ალკიბიადე სოკრატესთან გაიქცა და მუხლებში ჩაუვარდა, შემირიგეო.

აქამდე ლიკონი და პისანდრე მიწყივ სისინებდნენ: ალკიბიადეს მოძღვარი უფროორე დამნაშავეა, ვინემ თვითონ ალკიბიადეო. სოკრატემ გააფუჭაო! ათენის ბრბედი გზიდან გადააცდინაო. ახლა კი თავად ის ლიკონი და მუდამ ქამ მხდალი, გამცემი პისანდრე ხმაჩაწყვეტილნი იყვნენ. იმქამად ალკიბიადე ბედნიერი არ იყო, როგორაც ბედნიერნი არ არის არც ერთი დაობლებული კაცი, იმისი ცოლი ჰიპარეტე რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო. აღარც მე ვიქცეოდი ძველებურად მხურვალედ. სხვა ვინმეს კი ათენში ის არავის ენდობოდა. თავს მარტო ტიმანდრასთან გრძნობდა კარგად.

სოკრატემ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა — მხოლოდ თვალებით.

— მაგრამ მოგვიანებით, ოდეს მტერთ კვლავ მოახერხეს ალკიბიადეს გაპირშავება — ვერ დავიწყებ მტკიცებას, საბაბი თვითონ იმას არ მიუციამეთქი — და ხელახლა განდევნეს ათენიდან, მაშინ ისევ დამესხნენ თავს, ვითარცა ონავარნი...

— მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, სოკრატე, რომ ვერასოდეს სწორედ ვერ აფასებდი შენს მოწინააღმდეგეთ, — ვუთხარი მე. — ნუთუ არ გიფიქრია, რომ გაგნებდნენ რასმე და თანაც ძალიან სასტიკად?

— არა, არც არასდროს არ მიფიქრია, რომ ჩიტი ბღლვნად ღირდა.

როგორც ვხედავ, შენს სიდიადეშიც ბევრი ნაკლულოვანებაა, — ვუთხარი მე. — ასეთი მიამიტობა, საკუთარი თავის ასეთი შეუფასებლობა სად გაგონილა! ყოველი უსამართლო კაცისთვის, ყოველი თავმოთნისთვის, ცრუსთვის და გამომძალველისთვის შენ ხომ უდიდესი საფრთხე და დაუძინებელი მტერი იყავი!

— დაწყევ მოსაგრე, — გაიცინა სოკრატემ.

— კარგად არის ნათქვამი.... — მეც გამეცინა, მაგრამ გავიფიქრე, რომ აქ სულის ძლიერება უპირისპირდებოდა ეშმაკობის ძალას, სიმართლის ძალა — ვერცხლის ძლიერებას, სათნოების ძალა — ვნების ძალას.და სიცილი შევწყვიტე.

— რაც უფრო ძლიერია ადამიანი, მით უფრო მეტი მტერი ჰყავს.

— და მეგობარნიც, ჩემო ძვირფასო, — მომახალა სოკრატემ, — სრული ჰარმონიისთვის ერთიც საჭიროა და მეორეც. მეგობარნი, ზუსტად ისევე როგორც მტერნი, ადამიანს სულს განუმტკიცებენ.

გონებაში დავიწყე სოკრატეს მეგობართა ჩამოთვლა. იმისი ერთგულნი დარჩნენ სიმონი და კრიტონი, ევკლიდე მეგარელი, ანტისთენე. ახალ მეგობართა წრეში შემოვიდნენ აპოლოდორე, ქსენოფონტი. სოკრატემ, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდა, უცებ ჩაილაპარაკა:

— შენ კარგად იცი ჩემი მეგობარნიც და მტერნიც. მაგრამ არ დაგავიწყდეს, ბევრი შეურაცხმყოფელი, გესლიანი მაგინებელიც მყავდა. არისტოფანე? ცხადია, შენ იცი — პლატონთან ამოგიკითხავს — როგორ გამოხატა არისტოფანემ „ღრუბლებში" პირველმა ბოროტებად სუყოველი ჩემი სიკეთე, უცნაური კაცია ეს არისტოფანე. კვიდათენში გაიზარდა, არისტოკრატთა ოჯახში, თუმცა თვითონ იმათ არ ეკუთვნოდა, და მგონი, რომ დემოკრატებზედ ბევრად უფრო გესლიანად წერს... რამდენადაც გონებამახვილი, იმოდენადვე თავხედი იყო. მაგარი კბენა იცოდა და არცვის არ ინდობდა. დაცინვის უპირველესი ოსტატი გახლდათ... ოდენ ყრუს ვერ გააცინებდა.

— აკი მრავალი წლის შემდგომ ერთხელ კიდევ გადმოგკრა თავის „ბაყაყებში."

— ჰო, გადმომკრა! — გაიღიმა სოკრატემ, —მე კი მაინც მესიამოვნა, რომ ასეთნაირად მაინც დაუკავშირა ჩემი სახელი ევრიპიდეს სახელს. — ღრმად ამოისუნთქა. — წყენით მხოლოდ ის მეწყინა, რომ ევრიპიდეს სულ ახლადგარდაცვლილს დასცინა.

წამომაგონდა — ბერძენი სწამდათ, რომ მიცვალებულნი მუდამ რაღაც იდუმალ ურთიერთობაში იყვნენ ცოცხლებთან, და მკვდრის აუგად ხსენებას ათენში განსაკუთრებული კანონი კრძალავდა; მით უფრო კარგად გავიგე სოკრატეს წუხილი. მან კი ხელი ჩაიქნია:

— რას იზამ, ასეთი იყო არისტოფანე: ძველის ქომაგი, ის შეუბრალებლად ესხმოდა თავს ყოველგვარ სიახლეს, ვისაც არ უნდა წამოეყენებინა. — სოკრატემ მკაცრად შემომხედა. — მაგრამ არ იფიქრო, რომ მე თავად სრულყოფილება ვარ. არისტოფანეზედ ალბათ მე უფრო ვბრაზობ, ვინემ დღეს თქვენ ბრაზობთ. მართალია, „ღრუბლების" წარმოდგენაში ერთ-ერთ გმირს განვასახიერებედი, თავი კი ისე მეჭირა, ვითომც მე არცრა მეხებოდა. მაგრამ — ძალლსა ვფიცავ! —მაშინ ბლომად ნაღველი ჩამექცა! თავად წარმოიდგინე — თავდაუზოგავად ვებრძვი სოფისტთ, მოგეხსენება: იმათი მუდმივი ეჭვები, მუდმივი პესიმიზმი და ჩემი ოპტიმიზმი — როგორც ცეცხლი და წყალი ისეა!

იმას კი ამ ცუდმყეფართა თავკაცად გამოვყევარ! აბა რა უნდა მეფიქრა? რა ვიცი, რად მოინდომა ჩემი გაჭილიკება? იმად ხომ არა, რომ სეირის მოყვარული ხალხი გაერთო, აი ნახეთ, ფეხშიშველი და მელოტი ლრუბელთ როგორ ეპოტინებაო, ან იმად ხომ არ უნდოდა ჩემი მოცხება, რაკი ათენისთვის ახალ პერიკლეთა და ანაქსაგორათა აღზრდასა ვცდილობდი? არ ვიცი, რა უნდა ითქვას, რომ იმას თავისი ღირსებები ჰქონდა. ვითარცა თოკზედ მავალი მეშაური, ზემოდან დასცქეროდა ათენს და ჩინებულად შეეძლო მთელი ჩვენი ფუსფუსის ასახვა...

— ხალხს როგორღა უყურებდა? არ თანაუღმობდა?

— არ ვიცი, — გაიცინა სოკრატემ. — ზოგჯერ კი, ზოგჯერ არა. ის უპირველეს ყოვლისა თავის კომედიებს თანაუღმობდა...

აქ სოკრატემ ჩამღერებით დაიწყო კითხვა, — ვერ ვიტყვი, რამდენად ბაძავდა იმის ხმას, — მაგრამ მეცნო ათენელთა მიმართ „მხედრების“ ავტორის მიმართვა:

— „ო, ხალხო, მშვენიერი რამ არის შენი ძლიერება! შენ წინაშე ყველა თავს იხრის, ყველაფერი ცახცახებს, როგორაც ტირანის წინაშე. გარნა იოლად გერევა ცთუნება, უსაგნო თნევა, და სულ იოლია შენი მოტყუება. დგახარ და პირდაღებული, აღტაცებული შესცქერი იმათ, ვინაც ცარიელი სიტყვით გაძინებს, და გონება შენი სალადაც შორს დაჰქრის...“

სოკრატემ შემომხედა:

— მიდი, აირჩიე! თავად განსაჯე, რა მოგვცა ჩვენ, მაშინდელთ, და რას გაძლევთ თქვენ, ამჟამინდელთ.

გაჩუმდა, მერე ნელა წარმოთქვა:

— ჩემთვის ის მეტად მძიმე დრო იყო, მაგრამ კიდევ შემოგივლი იმ დროებაზედ სალაპარაკოდ.

მოვედი, რომ ამდაგვარი მიმოგონებით სულ მოიქუფრებოდა, იმას კი, პირიქით, სახე გაებადრა:

— წარმოიდგინე, ძვირფასო, მე უკვე საკმაოდ მოხუცი ვიყავი და თანისთან ჩამოვშორდი ცხოვრებისეულ ქარიშხალთ. მაგრამ სწორედ მაშინ ისევ მიხმო სიცოცხლისკენ მირტომ — ბეას, ანუ დედამიწის ყვითელთმიანმა, მწიფე წყალობამ.

ვხედავდი — კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, იქნებ იმისთვის, რომ არ შემეწყვეტინებინა მოგონება მირტოზედ, ამიტომ გავჩუმდი და სმენად ვიქეცი. მაშინ ისევ განაგრძო:

— არა მარტო ის ასული, მთელი სამება მერგო მაშინ ძღვნად: მირტო, ქსენოფონტი, ჩემი ღრმად ერთგული, და პლატონი. პლატონი ჩემი ახალი დიდი იმედი იყო! ახალგაზრდა კაცმა იმის გულისთვის, რომ ჩემთან ესაუბრა და ემსჯელა, თუ რარიგ გაგვეუკეთესებინა ცხოვრება, მიატოვა პოეზია და ტრაგედიების თხზვა, თუმცა საამისოდ არაჩვეულებრივი ნიჭით იყო მომადლებული...

თავს ნება მივეცი და ჩავურთე:

— როგორც ოდესღაც შენ ქანდაკება მიატოვე, სოკრატე.

— დიახ, ნამდვილად, ზუსტად ეგრე, — დამიქნია თავი. — ოღონდ პლატონი სიჭაბუკეშივე ჩემზედ უფრო თავდაჭერილი, სერიოზული იყო და წარმოიდგინე — ძველი მოდგმის, ალკმეონიდთა ნათესავი მოდგმისა გახლდათ, კრიტიას ძმისწულადაც კი მოხვდებოდა! როგორ არა ჰგვანან ერთმანეთს ამ უძველესთა გვართა ყლორტნი: პერიკლე! ალკიბიადე! კრიტია! პლატონი! ჩემი დემონიონიც კი უძლური გამოდგა, რომ ამა ამბისა გამო წინასწარ გავეფრთხილებინე...

□

ედგარ პო

ყორანი

თარგმნა სილოვან ნარიმანიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამე იყო და რა ღამე, ჰკიოდა ქარი ეული,
ფოლიანტების კითხვისას ჩამძინებოდა მკვდარივით,
გარედან ხმა შემოისმა უცხო, კაკუნის მაგვარი,
თითქოს ვილაცა კარს უკან შველას ითხოვდა ქარის ხმით,
გამომელვიძა, ვიფიქრე, მტერია გადარეული,
ან მოჩვენება რამეა, მოლანდება და ზღაპარი,
ან იქნებ ვინმე მოყვარე, მესტუმრა ღამის ნაფერი,
ვინ უნდა იყოს ნეტავი, ქარია? —სხვა არაფერი?!

ო, მახსენდება ის ღამე, დეკემბრის ღამე გვიანი,
ავდარი, ქარის პირქუშის მომაკვდავივით ხრიალი.
სადღაც სინათლე კრთებოდა, დროდადრო ილანდებოდა,
კარისად, ღირსად, ხალისად, ხალიჩად დაეგებოდა.
ვინ იყო ნეტა, ვინ ხმობდა შვება მოჰქონდა შორიდან?...
თუ ტანჯვა, მკვნესარ სულისა, უცნობ უსასრულობიდან...

ლენორე, ჩემო ლენორე, შენი კურთხევა მომინდა,
ეგებ შენ იყავ, შენ ალსდექ შვების მომგვრელი ხსოვნიდან,
ამაღლდი ცად წმინდანივით, იქნებ შენ მიხმობ შორიდან,
ანგელოზივით ედემში, ჩარგულო მახსოვრობიდან.
ანგელოზივით თუ მღერდი, სიმღერა სულის სუროა,
ტკივილი, შენზე ტკივილი, ღრმაა და უსასრულოა!..

უცებ გაისმა შრიალი ფარდების პორტერიების,
უხილავ ხელით მოძრავი სანიშნოდ საშინელების,
ვიფიქრე იქნებ მოვიდა დრო მკაცრი შურისძიების,
შიშმა დამთრგუნა, — დამიწყო გულმა ძგერა ატკიებით.
ავდექი, ღამეს გავხედე, სიბნელეს შეუცნობარეს,
ვერ მივხვდი მტერი იყო თუ, ვინმე მგზავრი, ან მოყვარე,
ვინ მოდგა ზღურბლზე კარიად, უშიშრად, ღამის ნაფერი?
ალბათ სტუმარი იქნება ან ქარი, სხვა არაფერი!

ათასგვარ იქვით ბყრობილმა კარისკენ გავდგი ნაბიჯი,
როგორც მეგობარს მივმართე, გადავხსენ კარის საკეტი,

„ო, მაპატიეთ სერ, თუ ხართ, იქნებ სერ არ ხართ, ხართ ლედი,
მეძინა, თავი მიბრუის, ძილში მომესმა ალუკუნი,
კარი უცებ ვერ გაგიღეთ, ო, არ გეგონოთ უგნური“...
გავხედე, არავინ იყო, — მხოლოდ ღამე დგა უკუნი,
დაბურულიყო ცის თაღი, შავი ღრუბლებით ნაფერი,
არავინ იყო, მხოლოდღა წყვდიადი, სხვა არაფერი...

კართან ვიდექი კარგახანს ქარებით გარშემორტყმული,
ჩემს ზმანებაში ჩაფლულმა, ვერარა ვიგრძენ აქამდე,
გულში ვამბობდი: რა ხდება, ლმერთო ბნელს რიდე ახადე,
რას ჰყვება ნეტა ეს ქარი, შორი გზებიდან მოსული,
უეცრად თითქოს ზეციდან მომესმა სიტყვა: — „ლენორე“!
„ლენორე, ნუთუ შენა ხარ, შენ გელი შენ დაგემონე“
მომეჩვენა თუ წყვდიადში ეს შენი ხმა გავიგონე,
ვარსკვლავეთიდან მოხვედი?.. შეგხედო, რამე იღონე!..

არავინ შემეპასუხა, კარი ხელახლა ჩავრაზე.
ქარი ჰკვეთავდა ტრამალებს მალი და გადამკივარი;
კვლავ შემომესმა ხმაური, უფრო მკვეთრი და მტკივანი,
„ეს ხომ იგივე ხმა იყო, ადრე რომ მესმა იგი ხმა,
ქარიც ამაოდ არ სტვენდა კარის და დარაბებს მილმა,
იქნება ქარმა დარაბა, შემოაჯახა დარაბებს,
ფანჯრიდან ვხედავ ქარია, ქარს ვხვდები და სხვა არაფერს“...

უეცრად სახლის დირეზე ყორანი მოდგა ფრთაშავი,
მგლოვიარე და გულხარბი, ყრანტალით, თვალთა სარხალით,
არც მომესალმა, მოიჭრა მედიდური და დიდგული,
ვით ლედი, ლორდი — მკვიდრთაგან დევნილი და შერისხული...
პალადის თავზე, ბიუსტზე, ომახიანად შემოჯდა,
უფრო დაბნელდა გარემო ყორნის ფრთასავით შავბნელი,
შევკრთი და თავი დავხარე, ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
მედიდურობა იმისი იყო ცრემლებით ნაფერი.

ვუთხარ, „ეგ მზერა თამამი, მაგ ქოჩრის ავად პრიალი,
რის ნიშანია მითხარი, თვალთა ელვა და ბრიალი.
როგორც პლუტონმა სიბნელე, გაჰყინა, გაამარადა,
ო, ავბედითო ყორანო, მომკალ და დამასამარე, —
ეგ სიამაყე ბნელეთის, იმასთან როგორ ფასობდეს,
რად შეგიცვლია იერი, რატომ ხარ დღეს პირშავადა“,
პასუხად შავმა ყორანმა დამჩხავლა: — „აღარასოდეს“!..

ხაშინელებით მოვრცვა დევნილის შემოძახილმა,
რას იყო, რას მაუწყებდა, გამყინა უცხომ ხმამ მისმა,
სად იყო,სად არ იარა, რა გზა არ გამოიარა,
ქარს ზევით იჯდა ბიუსტზე, უცხო რამ გაუგონარი,

ფრინველი გასოცარი შავეთის შავი ყორანი,
მან გამიახლა ტკივილი, მარად რომ უნდა მახსოვდეს,
გლოვის ზარივით გაისმა ეს სიტყვა: „ალარასოდეს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, გულის გლოვა თუ იყო, გავლილ ტანჯვაზე გოდება,
რა მოხდა კარგად ვერ მივხვდი, რა იყო არ მაგონდება,
იჯდა მდუმარი, მჭუმარი, ფრთენიც არ შეურხევია,
ალარც ჩხაოდა დევნილი, გლოვაც არ წამოსცდენია,
შემბრალდა, შვებით შევხედე მეგობარს ახლად გაცნობილს,
ვიფიქრე, გულში არა აქვს ზრახვა რამ მას ავკაცობის...
„ხვალ ის წავა და დამტოვებს,
იქნება ალარ ვახსოვდე“,
პასუხად შავმა ყორანმა დამჩხავლა: „ალარასოდეს!“...

იდუმალებით მოცული შემაკრთო მისმა ძახილმა,
გულში გავივლე, ალბათ მან, ეს სიტყვა იცის მხოლოდღა,
იქნებ პატრონმა ასწავლა, ყორანს რომ უნდა ჰყოლოდა,
მხოლოდ ეს სიტყვა ესმოდა, ალბათ მოსმენილ ხმებიდან,
ვით ზარის რეკვა უჩინარ შორეულ ზესკნელებიდან.
რაკი ყველაფერს ფასი სდევს, სიკვდილიც უნდა ფასობდეს,
ვით განაჩენი გაისმა — ყორნის ხმა: „ალარასოდეს“!..

წუთით შემნანდა შავბნელი, ლიშილმა გადამიარა,
მოვიპატიჟე, სავარძელს მივწვდი, დავუდგი, ჩამოვსვი,
მეც ჩამოვჯექი ხავერდზე, წუთი დამიდგა გამოცდის,
რას გულისხმობდა ნეტავი, ამ ერთ სიტყვაში ყორანი,
შავი ამბების მოამბე, ღამესთან ნაამბორალი...
იქნებ წინასწარმეტყველი ძესტუმრა და თავს მაცოდებს,
ყორანმა კვლავ თავზარივით დამჩხავლა: „ალარასოდეს!“..

თვალახელილი წამიერ ვგლოვდი ამ გამოცანაზე,
ყოფის ავ ბედისწერაზე, — ვით გულში დარტყმულ დანაზე.
ჭალის სინათლით გადაღლილ, სხეულში შეჭრილ გრძნობაზე,
თავი დამედო ბალიშის მსუბუქ მოხატულობაზე:
ო, ის არასდროს, ვერასდროს ვერ დადებს თავს ამ ბალიშზე,
ისე დამბუგე ლენორე, სიხარული არ მაღირსე.
შენ რას მთხოვ, შავო ყორანო, თავი რომ ვერ შეგაცოდე,
რომ მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ჩამძახე — „ალარასოდეს!..“

მომეჩვენა, რომ ბნელეთში, ცად აჭრილ კვამლის სვეტებად,
გუნდრუკით მოაბიჯებდნენ სერაფიმები რიგებად,
შევძახე, „ო, უბედურო, ღმერთი გიგზავნის ნეპერტესს,
გიგზავნის რათა განკურნოს, ტკივილით თავდავიწყება,
ძვირფასის სიყვარულისთვის მხოლოდ ცრემლები შეგბედეა,
ყველა სიყვარულს მოელის გლოვა და გადავიწყება.

ნუ ფიქრობ კვლავ მოგეახლოს, ვისი კურთხეეაც მოგინდა,
სიყვარულისგან ვერასდროს განიკურნები, გახსოვდეს,
ალარ მოგივა ლენორე, შორი უსაარულობიდან“,
დასტურად შავმა ყორანმა, დამჩხავლა: — „ალარასოდეს!..

ავ-ბედის მაცნე ყორანო, ფრინველი ხარ თუ ავსული,
გამოგზავნილი ქარიშხლის უჩინარ ბუნაგებიდან,
როგორ მომნახე ტკივილად, ცრემლად, დაცლილი ვნებიდან,
მყუდრო სენაკში მომიხველ რომელ საშინელებიდან.
სიკვდილის ბალზამს რად მასმევ მდინარს გადადის მთებიდან,
ერთად შემასვი, თუ მასმევ, იქნებ გადეურჩე წამებას,
ცრემლსა და ურვა-გოდებას, სულის წიოკს და წვალებას,
დარი თუ დარობს ჟამისა, სიცოცხლეც უნდა ფასობდეს,
კვლავ შემომჩხავლა ყორანმა ცივი ხმით: „ალარასოდეს!“

შევძახე: „წადი გამშორდი, ფრინველი ხარ თუ ეშმა ხარ“,
თვალნი მივაბყარ მეუფეს, ლოცვა რომ გამომესახა,
„დამტოვე, გაჰყევ ქარიშხალს, წყვდიადში გაუჩინარდი,
როგორც მომიხველ, ისევე წადი და თვალებს მიჰფარდი,
არ დამიტოვო ნიშანი, — ნაჭდევი შენი კრტენისა,
წყვდიადის გამოგზავნილო, შიში მდევს შენი ფრთებისა,
ნუ შემიშფოთებ სულს ღელვით, ბნელით ნუ მომელანდები,
ისედაც გულზე მაწვება სამგლოვიარო დარდები,
ქარს გაჰყე, გაუჩინარდი, წადი, რომ ალარც მახსოვდე!“...
ფრთა ფრთას შემოჰკრა ყორანმა, ავმა და ჩასაქოლარმა,
ისევ დამჩხავლა ავსულმა მრისხანედ: „ალარასოდეს“!..

იქნებ ედემში მიაგნეს, წმინდა სულებმა ლენორეს,
რა ძალი იყო, ვინ იყო, რად იყო, რომ დავემონე!
იქნებ მისი ხმა უკვდავი, საცნობელს უნდა მაცნობდეს,
ყორანმა კვლავ ძველებურად დამჩხავლა: „ალარასოდეს!“...

ზის ქარის ზემოთ ყორანი, ნისკარტს ისწორებს ზმორებით,
პალადის მიმჭრალ ბიუსტის მხრებიდან ალარ ჩამოდის,
ისე დამჩხავის, სულს ლადრავს, როგორც დემონი ტორებით.
მივარაყებულ ჭაღებქვეშ ჩრდილი წევს უზარმაზარი,
ის ჩრდილი სულის ტანჯვაა, ვით სასიკვდილო თავზარი.
ბედით დევნილის მომავალს ყორანი აწონასწორებს,
სული თრთის, არ აფრინდება, ო, ალარ —
ალარასოდეს!..

□

ჯონ კიტსი, ჯონ მილტონი

ლექსები

თარგმნა **დარეჯან პაკანაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯონ კიტსი

შუქურ ვარსკვლავო!

შენი ხიბლივით მარადიული მეც ვიყო ნეტავ...

შუქურ ვარსკვლავო! შენი ხიბლივით
  მარადიული მეც ვიყო ნეტავ —
ზეცის ბილიკით სადღაც მიილტვი,
  მუდამ ეული ფხიზლობ და ხედავ,
არარაობის ამაო ვნება
  როგორ აცდუნებს ადამიანებს,
ზაფხული ვითარ მყისიერ ქრება
  და ქარი თოვლის ფანტელს
                მიაფრენს...

მე არ ვისურვებ შენებრ სიცოცხლეს:
  მე მხოლოდ მისთვის მწამს
                უკვდავება,
რომ სატრფოს მკერდი ვპოვო
                სასთუმლად,
  რომ სიყვარულის ტკბილი ზმანება,
ვითარ უებრო ზეგარდმო მადლი,
  მიალერსებდეს სიზმრად თუ
                ცხადლივ.

სონეტი

როდესაც ვშიშობ: აღვესრულები,
  ვიდრე ლამაზი რითმები მაესებს
და პოეზიის ლურჯი სულები
  კელავ მკარნახობენ საოცარ
                ფრაზებს,
როცა ღრუბლები ალისფერია
  და მწუხრზე ისევ ბნელში გადავა,
ვხვდები, აწ უკვე არ მიწერია
  დიდხან, ვუმზირო მათ მშვიდ
                ქარავანს,
და როცა ვშიშობ, მალე დადგება
  ჟამი მწუხრის და ფერისცვალების,
რომ საყვარელთან გამყრის განგება
  და არ მომიხმობს სატრფოს
                თვალები, —
სასოწარკვეთილს მთელი ცხოვრება
წარმომიდგება ამაოებად.

ჯონ მილტონი

მაისის დილა

(სიმღერა)

ცისკრის ვარსკვლავის მშვიდი ნათება
გვამცნობს, რომ დილა დაიბადება;
გაფრინდებიან ღამის სულები
და ფერწასული ფურისულები
გაიხარებენ ცისკრის ღიმილზე,
მთებში გააღელს თვალებს პირიმზე,
მაისის სითბო გაშლის ყვავილებს,
მიწა თავის მადლს უხვად გაიღებს. —
  ამ მხიარული, ლაღი ჰანგებით
  ტურფა გაზაფხულს მივესალმებით.

ლორდ გენერალ კრომველს

ძლევამოსილი გმირი კრომველი
გზას წინ მიგვიკვლევს შუბით და
რწმენით,
ჩვენ მისი დროშით სიბნელეს
ვდევნით
და გამარჯვების ზეიმს მოველით.
დიდებას გვმატებს ბრძოლა ყოველი:
ვამხობთ უძველეს აამეფო
გვირგვინს,
მტრის უკუქცევა არაფრად გვიღირს,
ჟინის ცეცხლი გვწვავს
დაუცხრომელი.
სისხლით შევღებეთ დარვენის წყლები,
ვუსტერის ომი ჩაბნა თქმულებად;
ისევ აბრძოლო რიგებში
ვდგებით, —
მტერი იოლად არ ითრგუნება.
ჩვენ მოვიპოვეთ და ჩვენვე მხრებით
აწ უნდა ვზიდოთ თავისუფლება!

(24-ე დაბადების დღეს დაწერილი)

ოცდამესამე გავიდა წელი!
დღე დღეს მიჰყვება და წარსულს
ერთვის,
მაგრამ ზაფხული არ დგება ჩემთვის,
ფერად მრავალი, უხვი და ქველი.
იქნებ მის მოსვლას ტყუილად ველი,
თუ ასაფრენად მზადაა სული
და არ ასვენებს უსიტყვოდ თქმული
განავარდების წადილი წრფელი?
არ მინდა, მაგრამ აშკარად ვხედავ,
სოფელო, რარიგ წამერთ თავდები,
რარიგ სწრაფად ჰფრენ, თვეების
წყებავ —
შენს ნაკვალევზე ჭკნება ვარდები...
ერთადერთ ბილიკს მივაგნო, ნეტავ,
სანამ სულეთის ბნელს მივბარდები.

გულგულს

როცა მნათობის სხივები ქრება
და გაზაფხულის საღამო ჰყვავის,
ბულბული ტკბილად უგალობს მაისს,
რომ მოუტანოს მიჯნურებს შვება.
ყოველ საღამოს სიმღერით ხვდება,
მკვდრეთით აღადგენს დაფერფლილ
იმედს
და სიყვარული ზეიმით ილხენს,
თუ შეეწია განგების ნება.
ერთხელ ჩემთვისაც გაისმას, ნეტავ,
ეს მელოდია ამო და მშვიდი,
თორემ ამავსო უსაზღვრო სევდამ:
ბულბულის ნაცვლად წყეული ჩიტი
თავს დამტრიალებს და ველარ ვხედავ
მუზას, უმაღლეს კერპად რომ
ვთვლიდი.

შექსპირს

ვკითხულობ შექსპირს და ვუფიქრდები:
მას არ სჭირდება პირამიდები.
რჩეულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი
ქვაში ჩაღვრილი შრომის ნაყოფი
ვერრას შეჰმატებს პოეტის სახელს —
მგოსნის დიდებას ლექსები ამხელს!
დავმზერთ უკვდავი წიგნების
ფურცლებს.
რომელნი ჟამთა დინებას უძლებს;
გვხიბლავს რითმების უხვი კრებული,
სიბრძნე, სტროფებად ამღერებული;
გვაოცებს ფრაზის უცხო ლირსება,
გული მღელვარე გრძნობით ივსება.
შიგ დგას შექსპირის ძეგლი ფარული —
თაყვანისცემა და სიყვარული.
მას იმსახურებს მხოლოდ გენია
და სხვა გზით ვერვის შეუძენია.

ფრანგულ-ამერიკული პოეზია

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა დოდოლინა კიზირიამ

პოლ ვალერი (Paul Valery, 1871-1945), ფრანგული სიმბოლისტური პოეზიის უკანასკნელი გვირგვინოსანი. მის მიერ შექმნილ პოეტურ ხატებში სიტყვა და მნიშვნელობა ერთმანეთს დაცილებულ მიჯნურებს გვანან. ბედნიერია ის მკითხველი, რომელიც მათ შეუღლებას შესძლებს.

ელენე

სილურჯევ! მე ვარ... გარდასულთა დავბრუნდი
გამოქვაბულიდან
რომ ვუსმინო ტალღათა დგაფუნის ღვთაებრივ ხორალს,
რომ ვუმზირო ცისკრებში ძველებურ ხომალდთა
ხომლებს,
აღმდგართ ჩრდილეთიდგან ოქროვან ნიჩბების
კვალდაკვალ.

ჩემი მარტოხელა ხელები უხმობენ მონარქებს;
ოდეს მარილიანს ბრილის თითებზე ვიხვევდი წვერს,
მე ვტირიოდი. მათ კი ამღერებდათ ტრიუმფი ბნელი
და დამრეც ბაქანზე ზვირთების ბრბოთა აქაფება.

მესმის ნიჟარების წვრილი სტვენა და საყვირები
საომარ ჰანგზე ნიჩბების ფრენას აწესრიგებენ;
ხმაურიც უკვე მოუთოკავს მენიჩბეთ მღერას.

აი, ღმერთები, ხომალდის გმირულ მკერდზე აწვდილნი,
არ მაცილებენ ზღვით გაცვეთილ ანტიურ მზერას
და ნებიერ ხელებს, ნაქანდაკევს, ჩემკენ იწვდიან.

1920

(კრებულიდან „ზღვის სასაფლაო")

უოლეს სტივენსი (Wallace Stevens, 1879-1955), ამერიკელი პოეტი.

იგი იმავე რანგის მწერალია, როგორც თომას ელიოტი და ეზრა პაუნდი. ასევე რთული და მომთხოვნია მისი პოეზიაც, დატვირთული მრავალი კულტურულ-ისტორიული თუ ლიტერატურული ალუზიებით. მისი ლექსების უმრავლესობა ურითმოა. „რეალობა არის..." შეიქმნა ერთ ზაფხულს ინგლისიდან ამერიკაში გამგზავრების შთაბეჭდილების ქვეშ და ლექსში ეს მარშრუტი რამდენჯერმეა მითითებული. სიტყვა „უავგუსტესი" სტივენსის საკუთარი ნეოლოგიზმია. იგი უკავშირდება როგორც ზაფხულის თვის დასახელებას, ასევე მის ლათინურ მნიშვნელობას („ღვთაებრივი", „დიდებული") და რომაელი კეისრების ტიტულებსაც. ამით კონტინენტიდან კონტინენტზე თვითმფრინავით გადაფრენა თითქოს ედრება რომის იმპერიის მიერ სივრცეთა დაპყრობას, ბრძოლის ველს, რომელზეც დინამიკა ამარცხებს უმოძრაობას.

რეალობა არის უავგუსტესი ფანტაზიის ქმნილება

გასულ პარასკევს, ღამის ჩახჩახა სინათლეებში გასულ
პარსკევს,
ჰარტფორდს გავემგზავრეთ კორნუოლიდან ძალიან
გვიან.

ის ღამე არ იყო თხელი მინა ვენაში ჩამოსხმული
ან ვენეციაში, უმოძრაო, დრო და მტვერი რომ ეფინება.

ის იყო სიმძლავრის ამაყი გრგვინვა სფეროთა
მსხვრევაში
დასავლეთისკენ მიმართული ვარსკვლავის მედროშედ

და დიდების ღველფი ძარღვებში ღვიოდა ხარბად,
როცა საგნები იბურცებოდნენ და ისევ დნებოდნენ

სივრცეებით ან სიცარიელით გარდაქმნილები
მეტამორფოზულ გაელვებით ზაფხულის ღამეში,

ახლოვდებოდნენ ვერცხლოვანი აბსტრაქციები
და უეცარი გაბათილების მსხვერპლნი ხდებოდნენ.

იყო სიმყარის თხეული თქეში და დინება,
ღამის ტბა მთვარიანი არც წყალი იყო და არც ჰაერი.

1954

ულრუგლო დღე და გამჭრალი მოგონებები

მებრძოლნი არსად ალარ ჩანან,
არც ფიქრები მათზე, ვინც
გარდაცვლილა,
როგორნი იყვნენ ამ ნახევარი
საუკუნის წინ,
ახალგაზრდები, ცინცხალ ჰაერში
სიცოცხლით სავსე,
ახალგაზრდები, მზის სხივებით
განათებულნი,
ცისფერ კაბებში იხრებოდნენ, ბალახს
ეხებოდნენ,
დღეს კი გონებას არა აქვს რა
ამინდთან საერთო.

დღეს სუფთადაა გამოხვეტილი
მჩატე ჰაერი,
დაცარიელდა მისი ხსოვნა. არც არა
ერთ ადამიანს,
და ჩვენს გარშემო [illegible]
მიედინება,
თითქოს არც ერთი ჩვენთაგანი აქ არ
ყოფილა,
არც ეხლა არი: მხოლოდ სპექტაკლი
უმნიშვნელო
და უჩინარი მასში აქტები, მხოლოდ ეს
შეგრძნება.

1954

სალამოს ჩაი

როდესაც ბალში სპილოსავით დიდყურა
ხეს
ყინვა ათრთოლებდა
და ფოთლები ბილიკების გასწვრივ
გარბოდნენ თაგვებივით,

შენმა აბაჟურმა გაანათა
პრიალა ბალიშები,
ზღვისფეროვანი და ციაფეროვანი
როგორც ქოლგები ინდო-ჩინეთის
კუნძულებზე.

1915

პოლ ვერლენი (Paul Verlaine, 1844-1896).

ვერლენის პოეზიის ხინატიფე და დახვეწილი ხმოვანება მხოლოდ ისეთი პოეტების ხელოვნებას შეიძლება შევადაროთ, როგორიცაა ჩვენი გალაკტიონი, ალექსანდრე ბლოკი ან ჯიაკომო ლეოპარდი. ისინი თითქოს აბათილებენ მუსიკისა და პოეზიის გამყოფ წიჯნებს. პოეტის გენიის ღირსეულად შესაფასებლად ორიგინალის წაკითხვაა საჭირო, ამ პოეტებისა კი განსაკუთრებით. ქვემოთ დაბეჭდილი ლექსი ვერლენმა დაწერა ბელგიის ერთ პატარა ქალაქში, სადაც იგი დაპატიმრებული იყო „საზოგადოებრივი წესრიგის" დარღვევის გამო.

* * *

ზეცა სახურავებს დასცქერის
ისეთი კამკამა და ცისფერი!
პალმის ხე სახურავს ამცდარი
ყელს ისე ნაზად იღერებს.
ეი, ქონგურზე საათმა
დრო ჩაითვალა ფრთხილად.
ტოტებში ჩიტები კამათი
უცოდველია და ტკბილი.

ღმერთო, სიცოცხლე ჩვენი
რა სადაა და მშვიდი.
შორიდან წვდება სმენას
დუდუნი ქალაქის მხრიდან.
საბრალო ჩემო სულო,
ასე ცრემლად რომ იღვრები,
სად გაფანტე და გაასრულე
შენი სიჭაბუკის სიზმრები.

კრებულიდან „სიბრძნე".

(Sagesse. 1880)

ჭმუნვარება

ვარ იმპერიის დაისის ჟამს მე
დეკადანსი,
გავცქერი ქერა ბარბაროსთა რიხიან
რიგებს
და აკროსტიხის დარდიმანდ რითმებს
უხვად ვარიგებ,
რომ ეფერებოდეს მზე ოქროსფრად
ნატიფ კადანსებს.

სული ეული ჭმუნვის სენმა
დამისნეულა,
იქ, შორს, ამბობენ, ამბოხება სისხლად
მდინარებს,
ო, უძლურება, ნება ულონო, ვნება
მძინარე,
ო, უძლურება, უნიათო, ზანტი სხეული.

ჟორჟ კურტელინს*

არ მენატრება, ალარ შემწევს შვება
სეკვდილით,
ჩემო ბათილუს**, დაასრულე განა
სიცილი?
ღვინო დაილია, გამოილია უკვე
სათქმელი,

მხოლოდ ეს ლექსი უმეცარი, ცეცხლში
დასანთქმელი,
მხოლოდ ეს მონა, რა უგონოდ შენგან
წასული,
მხოლოდ ეს ჭმუნვა, უმიზეზოდ
შემოგარსული.

1883

---

* ჟორჟ კურტელინი Georges Courteline, 1858-1929) ფრანგი კომედიოგრაფი.

**ბათილუსი ცხოვრობდა რომში, პირველ საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე. იყო განთავისუფლებული მონა და შემდგომ როგორც ტრაგიკული, ისე კომიკური როლების ნიჭიერი შემსრულებელი.

ჟაკ პრევერი (Jaques Prevert, 1900-1977), ფრანგი პოეტი, სცენარისტი, პოპულარული სიმღერების ავტორი. ოციანი წლების დასაწყისში დაკავშირებული იყო ფრანგი სურრეალისტი მწერლების ჯგუფთან. კინოში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა მარსელ კარნესთან. მისი მონაწილეობითაა გადაღებული ამ სახელგანთქმული რეჟისორის ისეთი ფილმები, როგორიცაა „ნისლიანი სანაპირო" (LeQuai de brume", 1938) და „სამოთხის შვილები" („Les Enfants du paradis", 1943-44). პრევერის ლექსები დაწერილია ისეთი სადა ენით, თითქოს პოეტს შემთხვევით მოსმენილი რეპლიკები ან მეგობართა საუბარი ჩაეწეროს. სიტყვის ორმაგი მნიშვნელობით თამაში მისი ხელოვნების განუყრელი ნაწილია. ასეთი პოეზიის თარგმნა ორიგინალის ძირეულად შეცვლისა და, მაშასადამე, მისი დაუშვებლად შეურაცხყოფის გარეშე თითქმის შეუძლებელია. ეგებ სჯობს მკითხველი გაეცნოს ზოგიერთი თარგმანის რამდენიმე ვარიანტს, რათა უკეთესად იგრძნოს ორიგინალის ნიუანსებიცა და მთარგმნელის დილემაც. ან ეგებ თვითონ შეჰქმნას მოცემული ვარიანტებიდან მისთვის სასურველი თარგმანი. ქვემოთ დაბეჭდილი ლექსები ამოღებულია კრებულიდან „სიტყვები" (Paroles), პარიზი, 1946 წ.

ესპანური ღვინო

(პირველი ვარიანტი)

ფორთოხალი — მაგიდაზე,
შენი კაბა — ხალიჩაზე,
შენ ჩემს გვერდით სანეტარო,
როგორც აწმყოს საჩუქარი,
უნაზესი ღამის გრილი
და სიცოცხლის ალი.

ესპანური ღვინო

(მეორე ვარიანტი)

ფორთოხალი გახლეჩილი მაგიდაზე
შენი კაბა დაგდებულა ხალიჩაზე
შენ ჩემ გვერდით უსასრულოდ
სანეტარო,
როგორც აწმყოს უნაზესი საჩუქარი,
გრილი ღამე
და სურვილის სიმხურვალე.

ჩემო სიყვარულო

(პირველი ვარიანტი)

იქ მიგალ, სადაც ყიდიან ჩიტუნებს,
რომ შენგან გალობით
ეთხოვათ წყალობა,
ჩემო სიყვარულო.
იქ მიველ, სადაც ყიდიან ყვავილებს,
რომ ვარდები თეთრი
შენთვის მომერთმია,
ჩემო სიყვარულო.
იქ მიველ, სადაც ყიდიან ბორკილებს,
რომ მძიმე რკინებით
შენ დამებორკე,
ჩემო სიყვარულო
იქ მიველ, სადაც ყიდიან მონებს,
შენს საპოვნელად,
მაგრამ ვერ გპოვე,
ჩემო სიყვარულო.

შენთვის, ჩემო სიყვარულო

ბიბლიოგრაფია

(მეორე ვარიანტი)

იქ მიველ, სადაც ყიდიან ჩიტუნებს,
და ჩიტუნები ვიყიდე
შენთვის,
ჩემო სიყვარულო.
იქ მიველ სადაც ყიდიან ყვავილებს,
და ყვავილები ვიყიდე
შენთვის,
ჩემო სიყვარულო.
იქ მიველ, სადაც ყიდიან ბორკილებს
და გიყიდე ჯაჭვები,
მძიმე ჯაჭვები,
ჩემო სიყვარულო.
იქ მიველ, სადაც ყიდიან მონებს,
შენ რომ მეპოვნე,
მაგრამ ვერ გპოვე,
ჩემო სიყვარულო.

პარიზი ღამით

სამი ავანთე
ზედიზედ ასანთი:
ერთი დამენახა
სინაზე შენი სახის,
მეორე — შენი თვალების სხივი,
და კიდევ — შენი ღიმილის მძივი.
მერე უკუნეთიც,
რომ ისევ ერთიანად
აღიქვას მზერამ
შენი იერი
ჩემი მკლავების მჭიდრო რკალში.

სიმღერა

რა დროა ეხლა?
ჩვენ დროის რბენა არ გვეხება,
ჩემო სიხარულო.

ჩვენ გვაქვს დღეები უსასრულო და
უზომო,
ჩემო სიყვარულო,
ჩვენ ერთმანეთი გვეყვარება და
სიცოცხლეს ვიზეიმებთ.
სიცოცხლეს ვიზეიმებთ და ერთმანეთი
გვეყვარება განუზომლად,
და არ გვეცოდინება,
ცხოვრება როგორ მიედინება,
და არ გვეცოდინება. დღეა თუ უკვე
ღამე მოპარულა,
და არ გვეცოდინება, რომ სწორედ ეს
არის სიყვარული.

ეარჩენელი

ყოველი კილომეტრის სვეტზე
ყოველ წელიწადს უცილოდ
შუბლდალარული მოხუცები
მკაცრად გზას უკვალავენ ბავშვებს
ცემენტის გაწვდილი მკლავით.

თვალსაზრისი თარგმანის სხვადასხვა ვარიანტების შესახებ

ლიტერატურული ნაწარმოების ყოველი ფილოლოგიური ანალიზი არის მხოლოდ და მხოლოდ ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ინტერპრეტაცია, ასევეა თარგმანიც, ის მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი შესაძლებელი „განმარტებაა" ორიგინალისა ჩვენთვის ნაცნობ ენაზე. მე, როგორც მთარგმნელი, საშუალებას ვაძლევ მკითხველს გაეცნოს ორ სხვადასხვა შესაძლებელ თარგმანს და თავისივე ვარიანტი შეადგინოს ამ ორის კომბინენტების გადაჯგუფებით.

ასეთი რამ გაკეთებულა ლიტერატურაშიც, თეატრშიც და კინოშიც. მაგალითად, დაიბეჭდა რომანი, რომელსაც ჰქონდა დაბოლოების ორი ვარიანტი, ერთში შეყვარებულები ერთად რჩებიან, მეორეში — ვერა. მკითხველს შეეძლო გაეკეთებინა თავისი არჩევანი და ამით მთელ რომანსაც თითქოს სხვანაირი ელფერი ეძლეოდა. ეს იყო ჯონ ფაულზის „ფრანგი ლეიტენანტის ქალი" (1969). ასევე გაკეთდა, და კიდევ უფრო საინტერესოდ, ამ რომანის ეკრანიზაციაშიც. რაც შეეხება თეატრს, იქ გაცილებით უფრო ადრეც იყო მიღული მიმდინარეობა, როდესაც ჰიესებს ჰქონდათ ორ-ორი ან მეტი დაბოლოებაც, და ყოველი წარმოდგენა მთავრდებოდა მაყურებლის უმრავლესობის სურვილის მიხედვით.

რაც შეეხება თარგმანებს, ხშირად დაუბეჭდავთ ერთი და იმავე ორიგინალის (მაგალითად, ედგარ პოს „ალარასოდეს") სხვადასხვა მთარგმნელის მიერ შესრულებული ვარიანტები. მაგრამ ერთი და იმავე მთარგმნელის მიერ ერთი და იგივე ლექსის თარგმანის სხვადასხვა ვარიანტი რომ ქვეყნდებოდეს, ასეთი რამ, რატომღაც, არ კეთდება. ჩემი აზრით, ასეთი დოგმატიზმი უარსაყოფია და ეს რატომ, პირველ შემთხვევაში მკითხველი პასიური რჩება, რადგან მას შეუძლია მოცემული ვარიანტებიდან სტროფონები გადააადგილოს (ორივე ხომ ერთი და იგივე მთარგმნელის გაკეთებულია) და შექმნას ის, რაც მას უფრო მეტად მოსწონს, ამით იგი ერთგვარი თანაავტორიც კი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი ორიგინალთა მაქსიმალურად ახალი დისტანცია დამეცვა, თითქმის ყველაში რაღაც ჩემეული ჩავდე, მეტი სურნელი ან ვნება მივეცი (ვერლენის გარდა, ჩემი ვერლენი ორიგინალზე მილიონჯერ უარესია). ამ თვალსაზრისით მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს უოლეს სტივენსის „რეალობა არის"... მაგალითად, იქ სიტყვასიტყვით არის სტროფონი „...იყო თხეული ტალღები მყარის", ჩემეულ თარგმანში კი სწერია, „იყო სიმყარის თხეული ოქვში და დინება". რატომ? წაკითხვისას კაცმა შეიძლება „სიმყარის" მაგივრად შეცდომით „საჰყაროს" წაიკითხოს და ამით ორივე სიტყვის მნიშვნელობა შეიტანოს ლექსში. „იმიჯიც" უფრო დაიძაბოს და გრანდიოზული გახდეს. აქ ასეთი შეცდომის შესაძლებლობაცაა გათვალისწინებული და განგებ გამოწვეულიც.

რაც შეეხება პოლ ვალერის „ელეხეს", მიხდა მკითხველს ძიებაწიდო მისი ზუსტი ჰწკარედი, რომ მან უკეთესად აგრძნოს თარგმანისა და ორიგინალის თანაფარდობა.

სილაჟვარდევ! ეს მე ვარ..., მე მოუედი მიცვალებულთა გამოქვაბულებიდან, რომ ვუსმინო, თუ რა რიგ დახტიან ტალღები მეღერ რეგისტრებში და რომ ყველავ დავინახო გალერეები ავრორებში, ჩრდილებიდან ალმდგარნი ოქროს ნიჩბების ყვალში. ჩემი მარტოხელა ხელები უხმობენ მონარქებს, რომელთა მარილიანი წვერები ანთობდნენ ჩემს წმიხდა ოთახებს. მე

ვტაროდი, ისინი უმღერდნენ თავის ტრიუმფებს ბნელს და ყურეს გადარბენილ მათი ხომალდების ბაქანზე. შე შესმის ღრმა ნიჟარები და საყვირები სამხედრო, რიტმულად ბოგორ ასწორებდნენ ნიჩბების ფრენას; ნათელი სიმღერა მენიჩბეებისა ჯაჭვების ხმაურს, ცა ღრუბლები, ხომალდების გმირულ ქიმზე აღმართულები, თავიანთი ანტიური ლიმილით, რომელიც ქაფითაა შეურაცხყოფილი, იწყევდნენ ჩემსკენ თავის განებივრებულ და ნაქანდაკევ ხელებს.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს ლექსი ბწკარედშიც კი ბრწყინვალეა.

ახლა მისი ქართულად თარგმნილი ჩემეული ვარიანტების შესახებ. პირველი სტროფის მეორე სტრიქონში, მოხმობილია სიტყვა „ხორალი", მიუხედავად ქართულის ქორალისა ფორმისა, რომ გადმომეცა ორგანის „მეღერადი რეგისტრების" ალუზია, „ღვთაებრივის" დამატება კი იმიტომ გავბედე, რომ აქ მითოლოგიურ სახეებზეა ლაპარაკი და ამ სიტყვის შემოაქვს სწორედ ამგვარი ასოციაცია. გარდა ამისა, ხორალი საერთოდ და თანაც პალესტრინის, ჰენდელის, ბახის ქორალები სხვა რა არის თუ არა „ღვთაებრივი" — როგორც დიდებული და როგორც ღვთისადმი მიძღვნილი — მუსიკა?

აქვე მესამე სტრიქონში „ავრორები" და „გალერები" მეტისმეტად იაფფასიანი ეგზოტიკის ასოციაციებს იწვევდა (რასაც თვით ფრანგულ ენაში სულაც არა აქვს ადგილი) და ამიტომ შევცვალე „ცისკრებად" და „ძველებურ ხომალდებად".

აქვე მეოთხე სტრიქონში „ჩრდილებიდან"-ს ვამჯობინე „ჩრდილეთითგან", რადგან ფრანგულად ამ გამოთქმაში საკვდილიც იგულისხმება. იმედია, ეს ნეოლოგიზმი (თუკი არის ნეოლოგიზმი) მისაღებია ქართულში.

მესამე სტროფის მეორე სტრიქონში სიტყვები „რომელთა მარილიან... წვერს" ჯერ შევცვალე სიტყვებით „რომელთა ჭირხლიან... წვერს", რადგან ეს უკეთესად ჯდებოდა რიტმში და უფრო ადვილი წარმოსათქმელიც არის, მაგრამ გაშლავიფიქრე და დავწერე „ოდეს მარილიან... წვერს", თუმცა ამით სინტაქსიც საგრძნობლად შეიცვალა. ჭირხლიანიც და მარილიანიც ჭილარა წვერის სახეს ქმნის, მაგრამ პირველს სიცივის ასოციაცია შემოაქვს, რაც დაუშვებელია ამ ლექსში და თანაც არა აქვს სიმღაშის მნიშვნელობა. იმედია, ძალიან არ დამიმახინჯებია ორიგინალი.

იმავე სტროფის მესამე სტრიქონში მინდოდა დამეწერა „მათ ალალებდათ" ნაცვლად „მათ ამღერებდათ", მაგრამ ვერ გავბედე, რადგან მთელ სონეტში თვითონ მუსიკის მოტივი, ე. ი. ძველი ბერძნული, წამღერებით თქმული ეპოსის და, მაშასადამე, თვით ხელოვნების მოტივი ერთ-ერთი უმთავრესი საბეა და მუსიკასთან დაკავშირებული სიტყვების შეცვლა შეცდომა იქნებოდა, თუმცა პოეტური საბოვანების თვალსაზრისით „ალალებდათ" უკეთესი მგონია.

აქვე, მეოთხე სტრიქონში „ყურე" ანუ ზღვის ყურე და ესე იგი წყლის უზარმაზარი ზედაპირიც და სიმძიმეც მინდოდა გადმომეცა „უყუროდ", რადგან ეს მეტისმეტად ახლოა „ყურთანაც" და გეოგრაფიული ატლასიდან ამოღებულ ტერმინთანაც. ამიტომ დავწერე „ზვირთების ბრბოთა აქაფება", ტალღა რომ ბაქანს „გადაურბენს" (როგორც ლექსშია ნათქვამი), ქაფს ტოვებს ხოლმე, „ბრბო" კი გარეგნულადაც გავს ზღვის ატალღებულ ზედაპირს და თან ყაჩაღობის მოტივიც შემოაქვს, რაც მიესადაგება ტროაზე თავდასხმას და ელენეს ყაჩაღურად მოტაცებას. სიტყვა „ღმერთები" სონეტში სხვადასხვა ღვთაებათა იმ ქანდაკებებს ალნიშნავდნენ, რომლებსაც ანტიური დროის ხომალდის ჭიმზე ამაგრებდნენ თუ აქანდაკებდნენ. ისინი დროშასავით ან ფარივით არიან აღმართული, თითქოს ტალღების შესახვედრად წინ გაწვდილი ხელიაო, და ამიტომ „აღმრათულის" მაგივრად „აწვდილის" ხმარება შესაძლებლად მივიჩნიე.

საინტერესო იქნებოდა იხეკდებოდეს ლექსების თარგმანები, მაგრამ ისე, რომ ერთ გვერდზე ბწკარედი იყოს, მეორეზე კი დასრულებული თარგმანი. ამით, ჯერ ერთი, მკითხველი უკეთესად შეამჩნევს, თუ რა ბრძოლა გაწია მთარგმნელმა, ამასთანავე იგი გაეცნობა ორიგინალის ყველაზე უფრო ზუსტ შესატყვისს, რომელსაც თვითონაც ძალუძს გადმოსცეს ამ ორიგინალის დიდებულება. აი, მაგალითად, რა შეედრება „ქაფით შეურაცხყოფილ ლიმილს". თანაც ეს მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტია, რადგანაც ხომ შეიძლება თვითონ მკითხველს მოუვიდეს თავში რაღაც სიტყვა, რაღაც სახე, რომელიც მთარგმნელმა ვერ მოიფიქრა და თავისი საკუთარი, ეგებ რაღაცაში უკეთესი ვარიანტიც შექმნას.

მთარგმნელი

□

ანდრეი პლატონოვი

ჩევენგური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

თარგმნა გივი კიკილაშვილმა

ძველ პროვინციულ ქალაქებს ნანგრევებად ქცეული გარეუბნები აქვს. იქ ხალხი პირდაპირ ბუნების წიაღიდან მოდის. მოვა კაცი, გონიერი, მოთუნთილი,ნაღვლიანი სახე რომ აქვს, ყველაფრის შეკეთება და გამართვა რომ შეუძლია, თავად კი ცხოვრება მოუწყობლად გაუტარებია. მის ხელში ყოველგვარ ნაკეთობას გაუვლია - ტაფიდან მაღვიძარა საათამდე. არც ფეხსაცმლის ლანჩის გამოკერებაზე ამბობდა უარს, არც მგლის საფანტის ჩამოსხმაზე და არც ყალბი მედლების გამოჭედვაზე, ძველებურ სასოფლო ბაზრობაზე გასაყიდად რომ გამოაქვთ. თავისთვის კი არასოდეს არაფერი შეუქმნია, არც ოჯახი და არც ბინა-სამყოფელი. ზაფხულობით პირდაპირ ბუნების წიაღში ცხოვრობდა, ხელსაწყო-იარაღები ტომარაში ეწყო, ტომარას კი ბალიშად ხმარობდა, უფრო იმიტომ, რომ იარაღები არ დაკარგოდა, თავის რბილად დებას მაინცდამაინც არ დაგიდევდა. დილის მზეს რომ არ შეეწუხებინა, თვალებზე ძირხვენის ფოთოლს საღამოთიევე დაიფარებდა. ზამთრობით თავს იმით ირჩენდა, რასაც ზაფხულში დაზოგავდა. ეკლესიის დარაჯს კი ბინის საფასურს იმით უხდიდა, რომ ღამით საათს რეკავდა. ყოველგვარი ნაკეთობის გარდა მას განსაკუთრებით არაფერი აინტერესებდა - არც ხალხი, არც ბუნება. ამიტომ მინდვრებისა და ადამიანების მიმართ გულგრილობანარევ სინაზეს იჩენდა, მათი ავ-კარგი არ ანაღვლებდა. ზამთრის საღამოებს ზოგჯერ უსარგებლო ჩხირკედელაობაში ატარებდა: მავთულის კოშკებს აშენებდა, სახურავის თუნუქისგან გემებს აგებდა, ქაღალდის დირიჟაბლებს აკოწიწებდა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის საქმიანობდა. ხშირად ვიღაცისგან შემთხვევით მიღებული შეკვეთის შესრულებასაც კი აყოვნებდა; მაგალითად, გეჯაზე ახალი სალტეების მორგებას დაავალებდნენ, ის კი ხის საათის აწყობით იყო გართული. ფიქრობდა, რომ ის საათი მოუმართავად, დედამიწის ბრუნვისგან იმუშავებდა.

ეკლესიის დარაჯს ასეთი ფუჭი საქმიანობა არ მოსწონდა.

-სიბერეში იმათხოვრებ, ზახარ პალიჩ! გეჯა, რამდენი დღეა, ხელუხლებლად დგას, შენ კი ჯოხით მიწას ხაზავ - რამეს მაინც აკეთებდე!

ზახარ პავლოვიჩი დუმდა: ადამიანის ლაპარაკი მისთვის იგივე იყო, რაც ტყის ხმაური ბინადრისათვის - მის ყურს არაფერი ესმოდა. დარაჯი თამბაქოს

აბოლებდა და მის საქმიანობას მშვიდად უცქეროდა. ხშირი ლვთისმსახურების გამო ღმერთი არ სწამდა, მაგრამ დანამდვილებით იცოდა, რომ ზახარ პავლოვიჩი ვერაფერს გახდებოდა: ადამიანები ამქვეყნად, დიდი ხანია, ცხოვრობენ და ყველაფერი უკვე გამოიგონესო. ზახარ პავლოვიჩი კი სხვაგვარად ფიქრობდა: ხალხს ყველაფერი არ გამოუგონია, რადგან მიწის წიაღში მრავალი ნივთიერება ხელუხლებლად დევსო.

ყოველ მეხუთე წელს მოუსავლიანობის გამო სოფლის ნახევარი შახტებსა და ქალაქებში მიდიოდა, ნახევარი კი ტყეში იხიზნებოდა. ძველთაგან ცნობილია, რომ ტყის მდელოებზე გვალვიან წლებშიც კი ძლებს ბალახი, ბოსტნეული და პური. სოფლად დარჩენილნი იმ მდელოების საპატრონოდ გაეშურებოდნენ ხოლმე, თორემ ნიადაგიანით წამოსული ხარბი ლტოლვილები მთელ მწვანეულობას უცებ გაანადგურებდნენ. ამჯერად გვალვა მეორე წელსაც განმეორდა. სოფლელებმა თავიანთი ქოხები გამოკეტეს და შარაგზას ორ ჯგუფად გაუყვნენ: ერთი ჯგუფი კიევისკენ გაემართა სამაცხოვროდ, მეორე ლუგანსკისაკენ - სამუშაოს საძებნელად. ზოგმაც ტყისკენ და ბუჩქნარით დაფარული ხევებისკენ გაუხვია. იქ ბალახს, თიხას და ხის ქერქს ჭამდნენ და გაველურდნენ, ან სამაცხოვროდ გაიფანტნენ. ჩვილ ბავშვებს დედები ძუძუს მაძღრისად არ აჭმევდნენ და ისინი შიმშილით ნელ-ნელა კვდებოდნენ.

სოფელში ერთი დედაბერი იყო - იგნატიევნა, მცირეწლოვანებს შიმშილისგან რომ კურნავდა. სოკოს ნახარშს მოტკბო ბალახის ნახარშში აურევდა და დაალევინებდა. ბავშვს ტუჩებზე მშრალი ქაფი მოადგებოდა და მიყუჩდებოდა. დედა შვილს დაბერებულ, დანაოჭებულ შუბლზე აკოცებდა და ჩურჩულით ეტყოდა:

-მოისვენე, საყვარელო. მადლობა უფალს!

იგნატიევნა იქვე იდგა:

-განისვენა, დაწყნარდა: ცოცხალზე უკეთესი შესახედავია, ახლა სამოთხეში გალობას ისმენს...

დედა შვილის ცქერით ტკბებოდა, სჯეროდა, რომ საბრალოს მწარე ხუედრი შეუმსუბუქდა.

-ჩემი ძველი ქვედაკაბა წაიღე, იგნატიევნა, მეტი არაფერი მაქვს. მადლობელი ვარ.

იგნატიევნა ქვედა კაბას სინათლეზე გახედავდა და იტყოდა:

-ცოტა მაინც იტირე, მიტრევნა: მოვალე ხარ. შენი კაბა კი მთლად გაწყალებულია, თავშალი მაინც დამიმატე, ან უთო მაჩუქე...

ზახარ პავლოვიჩს უკაცრიელობა მოეწონა და სოფელში მარტო დარჩა. მაგრამ უფრო მეტად ტყეში იყო, სადაც მიწურში ცხოვრობდა ერთ ბოგანოსთან ერთად. თავს ბალახის ნახარშით ირჩენდა, რომლის აკკარგიანობაც ბოგანოს მანამდე ნაცადი ჰქონდა.

ზახარ პავლოვიჩი გამუდმებით მუშაობდა, რომ შიმშილი დაეკმაყოფილებინა და ხისგან ყველაფერის გაკეთება ისწავლა, რასაც ადრე ლითონისგან აკეთებდა. ბოგანოს მთელ სიცოცხლეში არაფერი უკეთებია, და ახლა რას გააკეთებდა; ორმოცდაათ წლამდე მხოლოდ ირგვლივ იცქირებოდა - ვნახო, ქვეყნად რა ხდებაოელოდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოუსვენარ ყოფას თავს დააღწევდა,

რათა მაშინვე დაეწყო მოქმედება დამშვიდებისა და ქვეყნიერების განჭვრეტის შემდეგ; სიცოცხლეს მოწყურებული არ ყოფილა - არც იმისათვის უზრუნია, რომ ცოლი შეერთო და არც იმისთვის, რაზე რომ ეკეთებინა, რაც ხრეხისათვის სასარგებლო იქნებოდა. დაბადებისას განცვიფრებამ შეიპყრო და მთელი სიცოცხლე ასე გააჭარა ცისფერთვალამ და სახემოუტეხელმა [illegible] ზახარ პავლოვიჩი მუხის ფიცრისგან ტაფას აკეთებდა, ბოგანოს [illegible] რას ირჯება, ზედ მაინც ვერაფერს შეწვავსო. მაგრამ ზახარ პავლოვიჩი ხის ტაფაზე წყალს დაასხამდა, ხელ ცეცხლზე შედგამდა და იმდენს ეცდებოდა, რომ წყალი ისე ადულებულიყო, ტაფას ცეცხლი არ მოჰკიდებოდა. ბოგანო განცვიფრებისაგან მთლად შტერდებოდა.

-საკვირველია, ბევრიც რომ ეცადო, ძმაო, ყველაფრის გაგებას მაინც ვერ შეძლებ...

ამდენ საიდუმლოებათაგან გაოგნებული ბოგანო ხელებს ჩამოყრიდა. ბოგანოსთვის არასოდეს არავის აუხსნია მოვლენათა სიმარტივე, ანდა იქნებ თვითონ იყო მთლად მოუსაზრებელი. მართლაც, როცა ზახარ პავლოვიჩი შეეცადა განემარტა, ქარი რაზომ ქრის და ერთი ადგილას არ დგას, ბოგანო უფრო მეტად გაოცდა და კვრაფერი გაიგო, თუმცა ქარის წარმოშობას ზუსტად გრძნობდა.

-ნუთუ მართლა? რას-მეუბნები! მაშ მზის ალმურისგანაა? აი საოცრება!

ზახარ პავლოვიჩმა აუხსნა, რომ მზის ალმური საოცრება კი არ არის, უბრალოდ, სიცხეა.

-სიცხე?! გაუკვირდა ბოგანოს, - დახე იმ კუდიანს!

ბოგანოს ერთი რამის გამო გაკვირვება მეორით ეცვლებოდა, შეცნობა კი არაფრისა შეეძლო. გონების მაგივრობას მიმნდობლობა და მოწიწების გრძნობა უწევდა.

ზაფხულის გასვლამდე ზახარ პავლოვიჩმა ხისგან ყველანაირი ნაკეთობა გამოითალა, რაც კი ენახა. მიწური და მთელი ეზო-ყური ზახარ პავლოვიჩის ტექნიკური ხელოვნების ნამოქმედარით გაივსო. სასოფლოსამეურნეო ინვენტარის, მანქანების, ჩელსაწყოების და საყოფაცხოვრებო მოწყობილობათა სრული კომპლექტი მთლიანად ხისგან იყო დამზადებული. უცნაურია,რომ არც ერთი საგანი არ იყო გაკეთებული ბუნების წაბაძვით: არ ჩანდა სადმე, მაგალითად, ცხენი, თავთავი, ანდა სხვა რამ.

აგვისტოში ბოგანო ჩრდილში პირქვე დაწვა და თქვა:

-ზახარ პალიჩ, ეკვდები, გუშინ ხვლიკი შევჭამე... შენ ორი ცალი სოკო მოგიტანე, ჩემთვის კი ხვლიკი შევიწვი. ძირხვენის ფოთლით დამინიავე - ქარი მიყვარს.

ზახარ პავლოვიჩმა მომაკვდავს ძირხვენის ფოთლით დაუნიავა, წყალი მოუტანა და დაალევინა.

-არ მოკვდები. მხოლოდ გეჩვენება, რომ კვდები.

-მოვკვდები, ღმერთმანი, მოვკვდები, ზახარ პალიჩ, - ტყუილის თქმისა შეეშინდა ბოგანოს. - შიგნეულში არაფერი მიჩერდება. მუცელში უზარმაზარი ჭია მიზის, მთელი სისხლი გამომწოვა...

ბოგანო გულაღმა გადმობრუნდა:

-რა გგონია, უნდა მეშინოდეს თუ არა?

-ნუ გეშინია, - დაიმედებით უთხრა ზახარ პავლოვიჩმა. - თავად მე თუნდაც ახლავე მოვკვდებოდი, მაგრამ, ხომ იცი, სულ რაღაცას ვაკეთებ...

ბოგანო ნუგეშისცემამ გაახარა და საღამო ხანს უშიშრად მოკვდა. როცა იგი კვდებოდა, ზახარ პავლოვიჩი წყაროზე საბანაოდ იყო წასული. [illegible] დაბრუნებულს ბოგანო მკვდარი, საკუთარი მწვანე ნარწყვეთ [illegible]. ნარწყვეი ბლანტი და მშრალი იყო, ბოგანოს პირის ირგვლივ ცოცხვით შემოკვროდა და შიგ მცირეყალიბიანი თეთრი მატლები ფუთფუთებდნენ.

ღამით ზახარ პავლოვიჩმა გაიღვიძა და წვიმის ხმას ყური მიუგდო. აპრილის შემდეგ წვიმა მეორედ მოვიდა. „ბოგანო როგორ გაოცდებოდა", - გაიფიქრა ზახარ პავლოვიჩმა. ბოგანო კი სიბნელეში მარტოდმარტო სველდებოდა ციდან გაბმით ჩამონადენ ნაკადთა ქვეშ და ნელა სიკვდებოდა.

უქარო, მთვლემარე წვიმის შრიალში რაღაც ყრუდ, სევდიანად წამოიძლერა.

ეს ხმა ისე შორიდან მოისმა, რომ იქ ალბათ არც წვიმდა და გათენებულიც იყო. ზახარ პავლოვიჩს მყისვე დააკიწყდა ბოგანოც, წვიმაც, შიმშილიც, და წამოდგა. სადღაც შორს მანქანა - ცოცხალი, მომუშავე ორთქლმავალი გუგუნებდა. ზახარ პავლოვიჩი გარეთ გავიდა და ერთხანს იდგა თბილი წვიმის ქვეშ, მშვიდობიან ყოფაზე, ვრცელი მიწის უსასრულობაზე რომ დუდუნებდა. წყნარი წვიმის ალერსით რულმორეული, სიამოვნებისგან მოთენთილი. რუხი ხეები ტოტებს არხევდნენ, თუმცა ქარი ოდნავადაც არ ქროდა.

ზახარ პავლოვიჩს ყურადღება არ მიუქცევია იმისათვის, ბუნება როგორ ილხენდა; უხილავმა, უკვე დადუმებულმა ორთქლმავალმა ააღელვა. როცა კვლავ დასაძინებლად დაწვა, გაიფიქრა, წვიმა რა არის, ისიც მოქმედებს, მე კი მძინავს და ტყეში უქმად ვიმალები, ბოგანო ხომ მოკვდა და მეც მოვკვდებიო. ბოგანოს მთელ სიცოცხლეში ერთი ნივთიც არ გაუკეთებია - ყველაფერს თვალგაშტერებული შეჰყურებდა, ყველაფერი უკვირდა, უბრალო რამ საოცრებად ეჩვენებოდა, ახლოს არაფერს ეკარებოდა, ხელის ხლებას ვერ ბედავდა, ეშინოდა, რომ არ წავახდინოო. მხოლოდ სოკოს საკრეფად დადიოდა და იმასაც ვერ პოულობდა; ისე მოკვდა, ბუნებისთვის არაფერი უვნია.

დილით დიდი მზე ამოვიდა, დილის ნიავი ფოთოლთა შორის გასრიალდა და ტყე მთელი ხმით აახმაურა. ზახარ პავლოვიჩს ისერიგად გათენება არ შეუმჩნევია, როგორც ძომუშავეთა შეცვლა დაინახა, - წვიმამ ნიადაგში ჩაიძინა, მას მზე შეენაცვლა; მზემ ქარი გამოაღვიძა, აიქოჩრნენ ხეები, აჩურჩულდა ბალახი და ბუჩქნარი, თვით წვიმაც კი, ისე, რომ არ დაუსვენია, კვლავ ფეხზე წამოდგა და, მათრობელი სითბოსგან გამოღვიძებული, სხეულს ღრუბლებად იკრებდა.

ზახარ პავლოვიჩმა ტომარაში ხის ნაკეთობა ჩაუწყო, რაც კი ჩატია,და სოკოს მკრეფავი ქალების გატკეპნილ ბილიკს გაუყვა. ბოგანოსთვის არც შეუხედავს: მიცვალებულნი უსახურნი არიან; თუმცა ზახარ პავლოვიჩი ერთ კაცს, ძუტიოვის ტბასთან მცხოვრებ მეთევზეს იცნობდა, რომელიც ყველას ეკითხებოდა, სიკვდილი როგორიაო, და ცნობისმოყვარეობისაგან სევდა ერეოდა; მეთევზეს თევზი იმდენად იმის გამო კი არ უყვარდა, რომ თავს თევზაობით ირჩენდა, არამედ იმიტომ, რომ ისეთ არსებად მიაჩნდა, რომელმაც ალბათ სიკდილის საიდუმლოება იცოდა. ზახარ პავლოვიჩს მკვდარი თევზის თვალებს უჩვენებდა და ამბობდა:- შეხედე, რა

სიბრძნეა! თევზი სიცოცხლესა და სიკვდილს შუა დგას, მუნჯი იმიტომაა და მეტყველი გამოხედვა არა აქვს; ხბო რა არის, ისიც კი ფიქრობს, თევზი კი არა; თევზმა ყველაფერი უკვე იცისო. მეთევზე მთელი სიცოცხლე ტბას ჩასცქეროდა და გონებაში სულ სიკვდილის რაობაზე ფიქრი უტრიალებდა. ზახარ პავლოვიჩი ეუბნებოდა: - სიკვდილში განსაკუთრებული არაფერი იქნება, ეგ არის, ვიწროობას თუ იგრძნობო. მეთევზემ ველარ მოითმინა და ერთი წლის [illegible] ტბაში გადავარდა, თანაც ფეხები წინასწარ თოკით გაიკრა, რომ [illegible] ვაეცურა. გულში სიკვდილისა საერთოდ არ სჯეროდა, უფრო ის უნდოდა, რომ ენახა, იქ რა იყო: იქნებ ბევრად საინტერესოა, ვიღრე სოფელში, ან ტბის პირას ცხოვრებაო. სიკვდილს ისე უცქეროდა, როგორც მეზობელ გუბერნიას, რომელიც ცის ქვეშ, ციცი წყლის ფსკერზე ეგულებოდა და გული იქით მიუწევდა. გლეხებს ეუბნებოდა, სიკვდილი უნდა ვნახო და უკანვე დავბრუნდეო; ზოგი გლეხი ცდილობდა, განზრახვა გადაეთქმევინებინა, ზოგი კი ეთანხმებოდა: ცდა ბედის მონახევრეა, შენ იცი, მიტრი ივანიჩ, ცადე და მერე მოგვიყევიო. დიმიტრი ივანიჩმაც სცადა; იგი ტბიდან სამი დღის შემდეგ ამოიყვანეს და სოფლის სასაფლაოს გალავანთან დამარხეს.

ახლა ზახარ პავლოვიჩი სასაფლაოს გვერდით მიდიოდა და ჯვრების რიგთა შორის მეთევზის საფლავს ეძებდა. მეთევზის საფლაზე ჯვარი არ იყო აღმართული: მის სიკვდილს გული არავისთვის უტკენია, არავინ ახსენებდა, იმიტომ რომ იგი უძლურებამ კი არა, საკუთარი გონების ცნობისმოყვარეობამ მოკლა. მეთევზეს ცოლი არ დარჩენია - ქვრივი იყო, მცირეწლოვან ვაჟს კი მეზობლები ინახავდნენ; ზახარ პავლოვიჩმა მეთევზის დასაფლავებაზე ბიჭი ხელჩაკიდებული მიიყვანა. ალერსიანი და გონიერი ყმაწვილი იყო; დედას თუ მამას დაემსგავსა. ნეტა, ახლა სად იქნება? შიმშილობის წლებში ობოლი ბიჭი ალბათ ყველაზე ადრე მოკვდა. მამის კუბოს ბავშვი ღირსეულად მიჰყვებოდა, დარდს არ იმჩნევდა.

-ძია ზახარ, მამა ასე მოსაჩვენებლად მოიქცა?

-მოსაჩვენებლად კი არა, ბრძოლულად მოიქცა - შენ დაგაზარალა. თევზაობას დიდხანს ველარ შეძლებს.

-ღეიდები რატომ ტირიან?

-იმიტომ, რომ ფარისევლები არიან!

კუბო სამარის პირას როცა დადგეს, მიცვალებულთან გამოთხოვება არავინ ინდომა. ზახარ პავლოვიჩმა დაიჩოქა და მეთევზის შეჯაგრულ, ტბის ფსკერზე განბანილ ლოყას შეეხო, მერე კი ბიჭს უთხრა:

-მამას გამოემშვიდობე - უკუნით უკუნისამდე მკვდარი იქნება. უყურე, რომ გაგახსენდეს.

ბიჭი მამის გვამს გვერდით მიუწვა. მამამისის პერანგს მშობლიური, ჯერაც ცოცხალი ოფლის სუნი უდიოდა, იმიტომ რომ ეს პერანგი მიცვალებულს კუბოში ჩასვენების წინ ჩააცვეს - მამას სხვა პერანგი ეცვა, როცა დაიხრჩო. ბიჭი მიცვალებულის ხელს შეეხო: მამას ხელებზე თევზის სუნი უდიოდა, ერთ თითზე კალის საქორწინო ბეჭედი ეკეთა - ცოლის მოსაგონარი. ბიჭმა თავი ხალხისკენ მიაბრუნა, უცხოებისა შეეშინდა და შესაბრალისად ატირდა, თან მამის პერანგს, როგორც ქომაგს, ნაოჭებზე ჩაეჭიდა; მისი მწუხარება მდუმარე, გარეშე

ცხოვრების შეგრძნებას მოკლებული, და ამიტომ უნუგეშო იყო; იგი ისე ხალვლობდა გარდაცვლილ მამაზე, რომ მიცვალებული ბედნიერი უნდა ყოფილიყო. კუბოსთან მდგარი ხალხიც აატირა ბიჭის სიბრალულმა და საკუთარი თავის მიმართ ნაადრევად გალვიძებულმა თანადგომამ იმის გამო, რომ ოდესმე მათაც მიაბარებდნენ მიწას და ასევე დაიტირებდნენ.

ზახარ პავლოვიჩს თუმცა გულზე ნალველი აწვა, მომავალზე მაინც ფიქრობდა.

-გეყოფა ღრიალი, ნიკიფოროვნა! - უთხრა მან ერთ ქალს, მოთქმით რომ ტიროდა. -მწუხარებისგან კი არა, იმის გამო ღრიალებ რომ შენც დაგიტირონ, როცა მოკვდები. ჯობია, ბიჭი წაიყვანო. ექვსი შვილი ისედაც გყავს, ერთს იმათი ნარჩენითაც გამოზრდი როგორმე.

ნიკიფოროვნამ ქალური გონიერება მყისვე მოიკრიბა და უცრემლო თვალებში მრისხანებამ გაუელვა. იგი არც აქამდე ტიროდა, მხოლოდ სახეს მანჭავდა.

- ვითომ რაო! თქვა რაღა - ნარჩენებს იკმარებს! ეხლაა ასეთი, თორემ, აბა, მოიზარდოს! მაგის მუცლის ამოყორვას და შარვლის დაკერებას ვეღარ აუხვალ!

ბიჭი სხვა ქალმა წაიყვანა, მაგრა ფეტისოვნა დვანოვამ, შვიდი შვილი რომ ჰყავდა. ბავშვმა ხელი გაუწოდა, ქალმა სახე კაბის კალთით შეუმშრალა, ცხვირი მოწმინდა და შინ გაიყოლა.

ბიჭს გაახსენდა, მამამ ანკესი რომ გაუმართა. მან ანკესი ტბაში გადაისროლა და მიაცილა. ახლა ალბათ ზედ თევზი იქნებოდა წამოგებული და შეეძლო შეეჭამა, რომ უცხო ხალხს მისთვის ლუკმა არ დაეყვედრებინა.

-დეიდა, ტბაში თევზი მყავს დაჭერილი, - თქვა საშამ.- წავალ, ამოვიყვან და შეგჭამ, რომ შენ ჩემთვის საჭმელის ჭმევა აღარ დაგჭირდეს.

მაგრა ფეტოსოვნას სახე უნებურად მოელუშა, თავსაფრის კუთხით ცხვირი მოიწმინდა და ბიჭს ხელი არ გაუშვა.

ზახარ პავლოვიჩი ჩაფიქრდა; მაწანწალობას აპირებდა, მაგრამ სოფელში დარჩა. ბავშვის მწუხარებამ და ობლობამ გული ძალზე აუჩუყა. მოულოდნელად გალვიძებული სინდისის კარნახით მოესურვა, დაუსვენებლად ევლო მთელს ქვეყნიერებაზე, ყოველ სოფელში გაეზიარებინა მწუხარება და უცხო მიცვალებულები დაეტირებინა. მაგრამ მორიგმა საქმეებმა შეაჩერა. მამასახლისმა კედლის საათი მისცა შესაკეთებლად, მღვდელმა კი როიალის აწყობა დაავალა. ზახარ პავლოვიჩს მთელ სიცოცხლეში არავითარი მუსიკა არ გაეგონა - ერთხელ სამაზრო ქალაქში გრამაფონი ნახა, გლეხებს რომ მოეშალათ და აღარ უკრავდა; სამიკიტნოში მდგარი გრამაფონის ყუთისთვის კედლები შეემტვრიათ, რათა ენახათ სიცრუე და ის, ვინც შიგნით მღეროდა, მემბრანაში კი მახათი იყო ჩარჭობილი. ზახარ პავლოვიჩი როიალს ასაწყობად მთელ თვეს უჯდა, ხვლიან ბგერებს უსმენდა და ასეთი ნაზი ხმების წარმომქმნელ მექანიზმს ათვალიერებდა. კლავიშს თითს დაჭკრავდა - ნალვლიანი ხმა აღიმართებოდა და გაფრინდებოდა. ზახარ პავლოვიჩი ზემოთ იცქირებოდა და ხმის დაბრუნებას ელოდა - ასეთი კარგი ხმა უკვალოდ არ უნდა დაკარგულიყო. მღვდელს ლოდინი მობეზრდა და ზახარ პავლოვიჩს უთხრა: - ბიძიკო. ხმას უქმად ნუ გამოაცემინებ, ეცადე, საქმე დააბოლოვო, იმის ჩაწვდომას კი ნუ ცდილობ, რაც შენთვის უსარგებლოა. ზახარ პავლოვიჩი ოსტატობის დაწუნებამ გულის სიღრმემდე გაანაწყენა და მექანიზმში მალული რაღაც მოაწყო, რომლის მოცილება ერთ წამში

შეიძლებოდა, მაგრამ მიგნებას უცოდნელად ვერავინ შეძლებდა. ამის შემდეგ მლვდელი ყოველკვირა ეძახდა ზახარ პავლოვიჩს: - წამოდი, შეგობარო, მუსიკის წარმოქმნელი იდუმალი ძალა ისევ გაქრაო. ზახარ პავლოვიჩს ეს მლვდლის ჯიბრზე კი არ უქნია, ანდა იმისთვის რომ ხშირად ეკლო მახასს და მუსიკით დამტკბარიყო: სულ სხვა რამ აინტერესებდა. უნდოდა გაეგო, როგორ იყო მოწყობილი ის ნაკეთობა, ყოველი ადამიანის გულს რომ [illegible], ყოველი კაცი მისგან კეთილი რომ ხდებოდა. ამიტომაც მოაწყო [illegible] რაღაც რიოალში, კეთილხმოვანების აღრევა და ზუზუნით გაყრუება რომ შეეძლო. ათჯერ შეკეთების შემდეგ, როცა ბგერათა შეწყობის საიდუმლოს მიხვდა და მთავარი მთრთოლავი დაფის აღნაგობა შეისწავლა, ზახარ პავლოვიჩმა რიოალიდან თავისი საიდუმლო მოწყობილობა ამოიღო და ამის შემდეგ ბგერებით აღარასოდეს დაინტერესებულა.

ახლა ზახარ პავლოვიჩი გზადაგზა იხსენებდა განვლილ ცხოვრებას და საგნის სინანულს არ გრძნობდა-გარდასულ წლებში ბევრი მოწყობილობისა და საიდუმლოს ოაუისით ჩაწვდა და შეეძლო, თავადაც გაეკეთებინა, თუკი შესაფერისი მასალა და იარაღი ექნებოდა. სოფლიდან იმიტომ მიდიოდა, რათა ენახა უცხო მანქანები და საგნები, იმ მიჯნის მიღმა რომ გუგუნებდნენ, სადაც მძლავრი ცა სოფლის უმოძრაო ველ-მინდვრებს უერთდებოდა. იგი იქით მიდიოდა ისე, როგორც გლეხები მიდიან ხოლმე კიევში, როცა გულში რწმენა ჩაუქრებათ, როცა მათი სიცოცხლე დასასრულისაკენ მიექანება.

სოფლის ქუჩებში ტრუსის სუნი იდგა - ქათმები სულ შეეჯამათ და გზაზე გაუქექავი ნაცარი ეყარა. ქოხები მდუმარედ იდგა, იქიდან ბავშვების ხმაური არ მოისმოდა. გაველურებული, ზომაზე მეტად გაზრდილი ძირხვენები სახლის პატრონებს უცდიდნენ ჭიშკრებთან, ბილიკებზე, ადამიანთა ნაცხოვრებ ადგილებზე, სადაც ადრე ბალახის ნასახიც არ იყო, და ისე ირხეოდნენ, თითქოს, საცაა, ხეებად გადაიქცევიანო. უკაცრიელობისგან ღობეებიც გაცოცხლებულიყო, ზედ ხვია და ლიღიფარა შეჰხვეოდა. ზოგან სარსა და წკნელებსაც ეხარა და ბუჩქნარად გადაიქცეოდა, თუ ხალხი არ დაბრუნდებოდა. ეზოებში ჭები ამომშრალიყო, შიგ ხვლიკები თავის ნებაზე ძვრებოდნენ, სიცხეს ეშალებოდნენ, და მრავლდებოდნენ. ზახარ პავლოვიჩი არანაკლებ გააკვირვა იმ უაზრო ამბავმა, რომ მინდორში ყანები, დიდი ხანია, ამოხმა, ჩალით გადახურული ქოხების სახურავებს კი მწვანედ მოსდებოდა ჭვავი, შვრია, ფეტკი და ნაცარქათამა, ჩალის კონებში ჩაცვივნული თესლიდან რომ აღმოცენებულიყო. სოფელში გადმოსახლებულიყვნენ მომწვანო-მოყვითალო მინდვრის ჩიტები და პირდაპირ ქოხებში დაბუდებულიყვნენ, ბელურები გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ ფრთათა შრიალით და საქმიანად ჟიუჟიუებდნენ.

ზახარ პავლოვიჩი სოფელს გასცდა და გზის პირას ლაფნის ქალამანი დაინახა: უპატრონოდ მიგდებული ქალამანიც გაცოცხლებულიყო და ბედსა სწვეოდა, ერთი მხრიდან ტირიფის ყლორტი წამოზრდოდა; მისი დანარჩენი სხეული კი ეხრწნებოდა და მომავალი ბუჩქის ფესვს ჩრდილს ჰფენდა. ქალამნის ქვეშ მიწა ალბათ უფრო ნოტიო იყო, რადგანაც მის ქვემოდან მრავალი ფერმკრთალი ბალახის ღერი ლამობდა ამოძრომას. ზახარ პავლოვიჩს სოფლური ნივთებიდან განსაკუთრებით უყვარდა ქალამანი და ნალი, მოწყობილობებიდან კი

ჭა. სოფლის გასაპირა ქოხის საკვამურზე მერცხალი იჯდა. ზახარ პავლოვიჩის დანახვაზე მერცხალი საკვამურის შიგნით შეძვრა და ჩიბნელეში ბარტყებს ფრთები გადაფარა.

მარჯვნივ დარჩა ეკლესია, იმას იქით კი ხელისგულივით სწორი, შშვენიერი ტრიალი მინდორი. მცირე ზარმა რეკვა იწყო და შუადღის მაუწყებლად თორმეტჯერ ჩამორეკა. ლილიფარა ეკლესიის კედელს აჰყოლოდა და ჯვრამდე ასვლას ლამობდა. კედლის ძირას მღვდელთა საფლავებს შამბი მოხდებოდა და დაბალი ჯვრები შამბნარში ჩაკარგულიყო. დარაჯმა ზარი ჩამორეკა, ახლა კარიბჭესთან იდგა და ზაფხულის დღეს აკვირდებოდა. მის მალვიძარა საათს მრავალი წლის მანძილზე დროის ათვალავი აერია, სამაგიეროდ, დარაჯი სიბერისგან დროს ისე მძაფრად და ზუსტად გრძნობდა, როგორც უბედურებასა და ბედნიერებას: რაც არ უნდა ეკეთებინა, თუნდაც ხძინებოდა (თუმცა სიბერეში სიცოცხლე ძილზე ძლიერია,ნიადაგ ფხიზელია), საათი მიიწურებოდა თუ არა, დარაჯს მოუსვენრობა შეეპარებოდა, დროის მაუწყებელ ზარს დარეკავდა და კვლავ მშვიდდებოდა.

-ისევ ცოცხალი ხარ, პაპა? - უთხრა დარაჯს ზახარ პავლოვიჩმა. - დროს ვის ატყობინებ?

დარაჯს პასუხის გაცემა არ უნდოდა: სამოცდაათი წლის მანძილზე დარწმუნდა, რომ საქმეთა ნახევარი ტყუილად აკეთა და სიტყვების სამი მეოთხედი ამაოდ დახარჯა - მისმა ზრუნვამ სიკეთილისგან ვერ იხსნა ვერც შვილები და ვერც ცოლი, სიტყვები კი შორეულ ხმასავით განქარდნენ. „ამ კაცს რაიმეს ვეტყვი, - ფიქრობდა დარაჯი, - ის კი ერთ ვერსს გაივლის და სამუდამოდ მიმივიწყებს - ვინა ვარ მისი, მშობელი თუ მახლობელი!“

-ამაოდ შრომობ! - უსაყვედურა ზახარ პავლოვიჩმა.

დარაჯმა ამ სისულელეზე უპასუხა:

-როგორ თუ ამაოდ? ჩემს მახსოვრობაში ჩვენი სოფელი ათჯერ აიყარა, მაგრამ ყოველთვის უკან დაბრუნდებოდა ხოლმე. ახლაც დაბრუნდება. უკაცურობა დიდხანს შეუძლებელია.

-რატომღა რეკავ?

დარაჯი ზახარ პავლოვიჩს ისეთ კაცად იცნობდა, ვინც ხელებს არაგითარი საქმისთვის არ იშურებდა, მაგრამ დროის ფასი არ იცოდა.

-იცი, რატომ გრეკავ? ზარით დროს ვამოკლებ და სიმღერებს ვმღერი...

-მაშ იმღერე, - უთხრა ზახარ პავლოვიჩმა და სოფლიდან გავიდა.

განცალკევებით ერთი უეზოო ქოხი მიყუჟულიყო. ეტყობა, ვილაც სახელდახელოდ დაქორწინდა, მამას წაეჩხუბა და გაეყარა. ის ქოხიც ცარიელი იყო და შემზარავად გამოიყურებოდა. ზახარ პავლოვიჩი მხოლოდ ერთმა რამემ გააცარა: ქოხის საკვამურიდან დიდი მზესუმზირა ამოსულიყო და შემწიფებული თავი ამომავალი მზისკენ მიექცია.

გზა ჩამხმარი, დამტვერილი ბალახით იყო დაფარული. როცა ზახარ პავლოვიჩი თამბაქოს მოსაწევად ჩამოჯდებოდა, მიწაზე საუცხოო ტყეებს ხედავდა, ბალახს ხეებად წარმოიდგენდა. თვალწინ გადაეშლებოდა მთელი ხამყარო თავისი გზებით და მოფუსფუსე ცეროდენა არსებათა ყოველდღიური საჭიროებისთვის აუცილებელი სრული მოწყობილობით. ზახარ პავლოვიჩი ჭიანჭველებს დიდხანს

დასცქეროდა, მერე გზად მიმავალს ოთხი კვირის მანძილზე თავში კიდევ მათზე ფიქრი უტრიალებდა და ბოლოს დაასკვნა: „ჭიანჭველას ან ბოლოს გონება რომ მოგვცა, ცხოვრებას უმალვე კეთილად მოვაწყობდით. ეს პატარა ნივთები ბიგლბრულად ცხოვრების უდიდესი ოსტატები არიან, ადამიანს ჭიანჭველის ხელოვნებამდე ბევრი უკლიაო“.

ზახარ პავლოვიჩმა ქალაქის განაპირას წვრილშვილი[illegible] დურგლისგან საკუჭნაო იქირავა, ეზოში გავიდა და ჩაფიქრდა, ხელი რა საქმისთვის მიეკიდა.

დურგალი სამუშაოდან დაბრუნდა და ზახარ პავლოვიჩის გვერდით ჩამოჯდა.

-ბინაში რამდენი გადაგიხადო? - ჰკითხა ზახარ პავლოვიჩმა.

დურგალს არ გაუცინია, თუმცა უნდოდა, რომ გაეცინა. ყელში როგორღაც ჩაიხიხინა: მის ხმაში უსახოობა და იმედმოხდილი სახოწარკვეთილება გამოსჭვიოდა, ყველაფერზე სამუდამოდ გულგატეხილ ადამიანებს რომ სჩვევიათ.

-სადმე მუშაობ? არსად? მაშ ისე იცხოვრე, სანამ ჩემი ბიჭები თავს არ წაგაცლიან...

ეს კი უტყუარად თქვა: პირველსავე ღამეს დურგლის შვილებმა - ათიდან ოც წლამდე ბიჭებმა - მძინარე ზახარ პავლოვიჩი თავისი შარდით გაწუწეს, საკუჭნაოს კარი კი გარედან ქვაბის სატეცით ჩარაზეს. მაგრამ ზახარ პავლოვიჩის გაბრაზება ძნელი იყო, რადგან ადამიანები ხრულებით არ აინტერესებდა. იცოდა, რომ არსებობდა მანქანები და მძლავრი, რიუული ნაკეთობანი. ადამიანის კეთილშობილებას ამის მიხედვით აფასებდა და არა შემოსავლით ჩადენილი სიბრიყვის მიხედვით. მართლაც, ზახარ პავლოვიჩმა დილას ნახა, დურგლის უფროსი შვილი რა მარჯვედ და სერიოზულად თლიდა ცულის ტარს - მაშ მისი მთავარი თვისება მოშარდვა კი არა, ხელის სიმარჯვე იყო.

ერთი კვირის შემდეგ ზახარ პავლოვიჩმა უსაქმობისგან ისე მოიწყინა, რომ დურგლის სახლის შეკეთებას უკითხავად შეუდგა. სახურავი შეამოუღლა, წინკარის კიბე ახლად გამართა და საკვამურები ჩამოჭვარტლა, სალამოობით კი მანების თლიდა.

-რას აკეთებ? - ჰკითხა დურგალმა, თან პურის ქერქს ლოღნიდა. ის კი იყო, ისადილა, კარტოფილი და კიტრი ჭამა.

-იქნებ რამეში გამოგადგეს, - უპასუხა ზახარ პავლოვიჩმა.

დურგალი პურს ლეჭავდა და თან ფიქრობდა.

-საფლავების შემოსაღობად გამოდგება! ჩემმა ბიჭებმა მარხვას პატივი სცეს - სასაფლაოზე ყველა სფლავი განზრახ მოსკორეს.

ზახარ პავლოვიჩს სევდა უფრო მეტად აწუხებდა, ვიდრე იმაზე ფიქრი, რომ უსარგებლოდ შრომობდა, და მანების თლას მანამდე განაგრძობდა, სანამ არ დაღამდებოდა და მთლად არ დაიქანცებოდა. თუ არ მუშაობდა, სისხლი ხელებიდან თავში მიაწვებოდა ხოლმე და ერთბაშად ყველაფერზე ფიქრს ისე ჩაუღრმავდებოდა, რომ აზრები ერთმანეთში ებლანდებოდა. გულს კი სევდანარევი შიში უვსებდა. დღისით, როცა მზით განათებულ ეზოში დაბორიალობდა, თავიდან ვერ იცილებდა ერთ ფიქრს, ადამიანი მატლისგან არის წარმოშობილი, მატლი კი რა იყო - მარტივი, საშინელი ძილი, შიგნით არაფერი რომ არ ჰქონდა ცარიელი წყედიადის გარდა. ქალაქურ სახლებს როცა აკვირდებოდა, ზახარ პავლოვიჩმა აღმოაჩინა, რომ ისინი ზუსტად ჰგავდნენ დახეულ კუბოებს და

დურგლის სახლში ღამის გათენებისა ეშინოდა. დაუოკებელი ძალა შრომისუნარიანობისა ადგილს ვერ პოულობდა და ზახარ პავლოვიჩს გულს უღრღნიდა; იგი საკუთარ თავს ველარ ერეოდა და იტანჯებოდა ხვადასხვაგვარი შეგრძნებისგან, რაც მუშაობისას არასოდეს ეუფლებოდა. ახლა სიზმრებიც აკვიატა: თითქოს მამამისი, მეშახტე, კვდებოდა, დედა კი საკუთარი, ძუძუდან რძეს ასხურებდა, რომ მოესულიერებინა, მაგრამ მამა ბრაზიანად ეუბნებოდა: - შე უნამუსო, ჩემს ნებაზე ტანჯვა მაინც მაცალეო, მერე დიდხანს იწვა და სიკვდილს აჭიანურებდა. დედა თავზე ედგა და ეუბნებოდა: - მალე მოკვდებიო? გაწამებულმა მამამ გააფრთებით გადააფურთხა, პირქვე გადაბრუნდა და დედას შეახსენა: - ძველი შარვლით დამასაფლავე, ეს ზახარკას ჩააცვიო!

ერთადერთი რამ, რაც ზახარ პავლოვიჩს ახარებდა, სახურავზე ჯდომა და იქით ცქერა იყო, სადაც ქალაქიდან ორი ვერსის მანძილზე გამალებით მიჰქროდნენ რკინიგზის მატარებლები. ორთქლმავლის ბორბალთა ბრუნვისა და მისი სწრაფი სუნთქვისგან ზახარ პავლოვიჩს სხეული სიხარულით უბჟუოდა, თვალები კი ორთქლმავლის თანაგრძნობისგან ოდნავ აუცრემლდებოდა.

დურგალმა თავის მდგმურს უყურა, უყურა, მერე სუფრაზე მიიპატიჟა და ამის შემდეგ უფასოდ ასადილებდა. დურგლის შვილებმა ზახარ პავლოვიჩს პირველ ჯამში ჩაუწვინტლეს, მაგრამ მამა წამოდგა, სიტყვაც არ დაუძრავს, უფროს ვაჟს ხელი გამეტებით მოუქნია და ყვრიმალი აუბურცა.

-თავად მე ურიგო კაცი არა ვარ, - წყნარად თქვა დურგალმა, როცა თავის ადგილზე დაჯდა, - მაგრამ ხომ ხედავ, როგორი ხეპრეები გავაჩინე, ლამისაა, სული ამომხადონ. ერთი ფეიკას შეხედე! ქაჯის ღონე აქვს, ან სიფათი ასე სად დაიმრგვალა - რაც გაჩნდნენ, კუჭი არ გაუძღიათ...

დაიწყო შემოდგომის პირველი წვიმები, გაუთავებელი, უსარგებლო. გლეხები, რა ხანია, უცხო მხარეში გადაიკარგნენ, ბევრნი კი გზაზე ამოწყდნენ, შახტებამდე და პურით მდიდარ სამხრეთამდე ვერ მიაღწიეს. ზახარ პავლოვიჩი დურგალს ეაგზლამდე გაჰყვა, რომ რამე საქმეზე დამდგარიყო: დურგალს იქ ნაცნობი მემანქანე ჰყავდა.

მემანქანე სამორიგეოში იპოვეს, სადაც ორთქლმავლის ბრიგადები იძინებდნენ.მემანქანემ თქვა, ხალხი ისედაც ბევრია, საქმეო არ კმარა - ახლომახლო სოფლებში ვინც ცოცხალი გადარჩა, ყველა ეაგზალში ცხოვრობს და გროშის ფასად ყველაფერს აკეთებსო. დურგალი წავიდა, ერთი ბოთლი არაყი და ძეხვი მოიტანა. მემანქანემ არაყი დალია და ზახარ პავლოვიჩს და დურგალს ორთქლმავალზე და ვესტინჰაუზის მუხრუჭზე დაუწყო ლაპარაკი.

-იცით, დალმართზე სამოცგვერდიანი შემადგენლობა როგორ ინერციას ავითარებს? - ამბობდა მსმენელთა უმეცრებით აღშფოთებული მემანქანე და ინერციის ძალას ხელის გაქნევით უჩვენებდა. - ეჰე! სამუხრუჭე ონკანს გახსნი - ტენდერს ქვემოთ ხუნდები ლურჯ ალს ისვრის, ვაგონები ზურგიდან გაწვება, ორთქლმავალი ხვნეშის, გადაკეტილი ორთქლი მილში თუხთუხებს! ეჰ, ამისი პატრონიც არ იყოს! დამისხი! კიტრი რატომ არ იყიდე: ძეხვმა კუჭის შეკვრა იცის!

ზახარ პავლოვიჩი ჩუმად იჯდა: არ სჯეროდა, რომ ორთქლმავალზე სამუშაოდ მოეწყობოდა - ხის ტაფების მკეთებელი იქ რაში გამოადგებოდათ!

რაც მეტს ლაპარაკობდა მემანქანე, ზახარ პავლოვიჩს მექანიკურ მოწყობილობათა მიმართ ინტერესი უარყოფილი სიყვარულივით ფარული და ნაღვლიანი უხდებოდა.

მემანქანემ ზახარ პავლოვიჩს დანაღვლიანება შეამჩნია და უთხრა:

-ცხვირ-პირი რას ჩამოგტირის? ხვალ დეპოში მოდი, დამრიგებელს მოველაპარაკები, იქნებ მწშენდავად მიგიღონ! გულს ნუ გაიტეხ-მამაძღლო, რაკი ჭაბა გინდა...

მემანქანე შეჩერდა, სიტყვა გაუწყდა, რადგან ბოყინი დაიწყებინა.

-ეშმაკმა წაგიღოს, შენი ძეხვი ლამის უკანვე ამომიყიდეს! ორ შაურად, მათხოვარო, ერთი ფუთი რომ იყიდე... მერჩია, არაყისთვის ზეთიანი ჩვარი დამეყოლებინა... იცოდე, - კელავ ზახარ პავლოვიჩს მიუბრუნდა მემანქანე, - იცოდე, ორთქლმავალი სარკესავით უნდა გამიკრიალო, რომ შემეძლოს თეთრი ხელთათმანით ყველა ნაწილს შევეხო! ორთქლმავალს ნამცეცი მტვერი არ უყვარს: მანქანა, ძმობილო ქალიშვილივითაა... ქალად თუ იქცა, აღარ ივარგებს - მანქანას ზედმეტი ღრიჭო თუ ექნება, ადგილიდან ვერ დაძრავ...

მემანქანემ გრძელი ლაპარაკი გაიბა ქალებზე. ზახარ პავლოვიჩი უსმენდა და ვერაფერი გაეგო: მან არ იცოდა, რომ შეიძლებოდა, კაცს ქალი განსაკუთრებულად შორიდან ჰყვარებოდა. იცოდა, რომ ასეთ კაცს ცოლი უნდა შეერთო. ფიქრობდა, რომ ლაპარაკი საძყაროს შექმნაზე და უცნობ ნაკეთობაზე შეიძლებოდა, მაგრამ ლაპარაკი ქალებზე, ისევე როგორც მამაკაცებზე, მისთვის გაუგებარი და მოსაწყენი იყო. ოდესღაც ზახარ პავლოვიჩსაც ჰყავდა ცოლი, ცოლს იგი უყვარდა, თავად ქალის წყენინებას ერიდებოდა, მაგრამ ცოლს დიდი სიხარული არ მიუნიჭებია.

ადამიანს მრავალი თვისება აქვს ნაბოძები. ამ თვისებებზე ცხარედ რომ იფიქრო, საკუთარი ყოველწამიერი სუნთქვით ალფრთოვანებისგანაც კი შეიძლება, ალტაცებით აჭიხვინდე. თორემ რა გამოდის? საკუთარი სხეულის წიაღში გართობა-თამაში და არა სხეულს მიღმა სერიოზული არსებობა. ზახარ პავლოვიჩს ასეთი ლაპარაკი არასოდეს ჰყვარებია.

ერთი საათის შემდეგ მემანქანეს გაახსენდა, რომ მისი მორიგეობის დრო იყო. ზახარ პავლოვიჩმა და დურგალმა იგი ორთქლმავლამდე მიაცილეს. ორთქლმავალს საწვავი უკვე აეღო. მემანქანემ თავის თანაშემწეს მბრძანებლური ხმით შორიდანვე დაუძახა:

-ორთქლის საქმე როგორაა?

-შვიდი ატმოსფეროა, - გაულიმებლად უპასუხა თანაშემწემ და თავი ფანჯრიდან გამოყო.

-წყალი?

-ნორმალურ დონეზეა.

-საცეცხლური?

-წვეას ვუმატებ.

-კარგი.

მეორე დღეს ზახარ პავლოვიჩი დეპოში მივიდა. მემანქანე-ზედამხედველი, ადამიანებზე იმედგაცრუებული ბერიკაცი ზახარ პავლოვიჩს დიდხანს აკვირდებოდა. ზედამხედველს ისე მტკივნეულად და გულმხურვალედ უყვარდა

ორთქლმავლები, რომ მათ სულას შეშფოთებული უყურებდა. მისი სება რომ ყოფილიყო, ყველა ორთქლმავალს საშუდამოდ დასასვენებლად დააყენებდა, რათა უმეცართა უხეშ ხელებს არ დაესახიჩრებინათ. ფიქრობდა: ხალხი ბევრია, მანქანები კი ცოტა; ადამიანები ცოცხალნი არიან და საკუთარ თავს ეხყდავენ, მანქანა კი ნაზი, უმწეო, მსხვრევადი არსებაა: მისი სწრაფად მართვა რომ შეძლო, ჯერ ცოლი უნდა მიეტოვო, ყველანაირი საზრუნავი [illegible] უნდა გამოიბერტყო, პურის ლუკმა ოლეონაფტში ამოაწო - აი, მაშინ შეიძლება, კაცი მანქანასთან მიუშვა, ისიც ათი წლის ლოდინის შემდეგ!

ზედამხედველი ვასილ პავლოვიჩს თვალით ზომავდა და თან იტანჯებოდა:

„ბრიყვია ალბათ, სადაც მხოლოდ თითის დაჭერაა საჭირო, ეს პირუტყვი ურის ჩასცხებს, მანომეტრის მინა თუ ოდნავ არის გასაწმენდი, ეს ისე დააწვება, რომ ხელსაწყოს მთლიანად მოგლეჯს, - განა მექანიზმთან მიწის მუშის მიშვება შეიძლება?! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, - ცხარობდა გულში დამრიგებელი,- სად ხართ, უწინდელო მექანიკოსებო, მემანქანის თანაშემწეებო, ცეცხლფარეშებო, მწმენდაველებო? უწინ ორთქლმავლის წინაშე ადამიანები თრთოდნენ, ახლა კი ყველას ჰგონია, რომ მანქანაზე გონიერია! არაშზადები, მკრეხელები, ხეპრეები, ბრიყვები! მოძრაობა წესით ახლაც უნდა შეაჩერო! რა მექანიკოსები არიან ახლა? ხალხი კი არა, ნამდვილი ღვთის რისხვაა! მაწანწალები, თავზეხელაღებულები - ხელში ჭანჭიკიც კი არ უნდა დააჭერინო, ესენი კი რეგულატორს მართავენ! მახსოვს, გზად მიმავალ ორთქლმავალში ზედმეტად რაღაც რომ გააკაკუნებდა, წაიყვან მექანიზმში რაღაც ოდნავ რომ წაიმლერებდა, ადგილიდანაც რომ არ დავძრულიყავ, ფრჩხილის წვერით ვიგრძნობდი, გული მომიკვდებოდა, ერთიანად ავთრთოლდებოდი, პირველივე გაჩერებაზე დეფექტს ტუჩებით მოვძებნიდი, გამოვლოკავდი, გამოვწოვდი, ხისხლით გავპოხავდი, ბრმად კი გზას არ გავაგრძელებდი. ეს კი ჭკვის ყანიდან პირდაპირ ორთქლმავალზე მოძვრება!"

-წადი მინ, ჯერ პირი დაიბანე და ორთქლმავალთან მერე მოდი, - უთხრა ზედამხედველმა ზახარ პავლოვიჩს.

ზახარ პავლოვიჩმა პირი დაიბანა და მეორე დღეს ისევ მივიდა დეპოში.

ზედამხედველი ორთქლმავლის ქვეშ იწვა და რეზორებს ფრთხილად სინჯავდა, პატარა ჩაქუჩს ოდნავ დაუკაკუნებდა და აწკარუნებულ რკინას ყურს მიადებდა.

-მოტია! - მოუხმო ზედამხედველმა ზეინკალს. - აი, აქ ქანჩი ნახევარი ბეწვის ოდენად მოუჭირე.

მოტიამ ქანჩის გასაღები ქანჩს მოხდო და ნახევარი ბრუნით მოუჭირა. ზედამხედველი უცებ ისე განაწყენდა, რომ ზახარ პავლოვიჩს შეებრალა.

-მოტიუშკა! - წყნარად, მაგრამ კბილების კრაჭუნით უთხრა ზეინკალს გულდამძიმებულმა ზედამხედველმა. - რა ქენი, შე მუდრეგო?! მე გითხარი, ქანჩი-მეთქი! რომელი ქანჩი? მთავარი! შენ კი კონტრქანჩი მოუჭირე და ყველაფერი ამირია! კონტრქანჩს უჭერ, კონტრქანჩს! ისევ კონტრქანჩს ეჯაჯგურები! რა უნდა გიყოთ კაცმა, თქვე წყეულებო, თქვე მხეცებო? მომწყდი თავიდან, შე პირუტყვო!

-ბატონო მექანიკოსო, მე მოგეხმარები. კონტრქანჩს ნახევარი ბრუნით უკან გალავწევ, მთავარ ქანჩს კი ნახევარი ბეწვის ოდენაზე ოდნავ მოუჭერ! - სთხოვა ზახარ პავლოვიჩმა.

უცხო კაცის თანაგრძნობით გულაჩუყებულმა დამრიგებელმა წყნარი ხმით თქვა:

-ჰა! ხომ შეამჩნიე? ეგ ხომ, ეგ ხომ... ზეინკალი კი არა, შეშის მჭრელია! მაგან ხომ ქანჩის სახელიც კი არ იცის! ჰა? რა უნდა ჰქნას კაცმა! ეგ ორთქლმავალს ისე ეპყრობა, როგორც დედაკაცს, როგორც ვიღაც კახპას! ღმერთო ჩემო!... აბა, აქ მოდი, ქანჩი ისე დამიყენე როგორც მინდა.

ზახარ პავლოვიჩი ორთქლმავლის ქვეშ შეძვრა და ყველაფერი ზუსტად ისე გააკეთა, როგორც საჭირო იყო. ამის შემდეგ ზედამხედველი საღამომდე ორთქლმავალს უტრიალებდა და მემანქანეებს ეჩხუბებოდა. როცა სინათლე აანთეს, ზახარ პავლოვიჩმა ზედამხედველს თავი გაახსენა. ჩაფიქრებული ზედამხედველი კვლავ მის წინ გაჩერდა.

-მანქანის მამა ბერკეტია, დედა - დახრილი სიბრტყე, - ალერსიანად თქვა ზედამხედველმა, რალაც სასიამოვნო გაახსენდა, რაც ღამლამობით სიმშვიდეს ანიჭებდა, - ხვალ საცეცხლეების გაწმენდა სცადე. დროზე მოდი. მაგრამ ჯერ არ ვიცი, არაფერს გპირდები - ვცადოთ, ვნახოთ... ეს ძალიან სერიოზული საქმეა! ხომ გესმის: საცეცხლე! უბრალო რალაც კი არა, საცეცხლე! წადი ახლა მომცილდი!

ზახარ პავლოვიჩმა დურგლის საკუჭნაოში ერთი ღამე კიდევ გაათია და დეპოში ალიონზე, სამუშაოს დაწყებამდე სამი საათით ადრე მივიდა. მოჩანდა გალიპული რელსების რიგი, იდგა სატვირთო ვაგონები, შორეული ქვეყნების რკინიგზათა აღმნიშვნელი წარწერები რომ ჰქონდა: იმიერკასპიისა, იმიერკავკასიისა, უსურიისა. ლიანდაგებზე დააბიჯებდნენ განსაკუთრებული, უცნაური ადამიანები: ჭკვიანები და ჩაფიქრებულნი - მეისრეები, მემანქანეები, ვაგონთა მსინჯველები და სხვები. ირგვლივ ჩანდა შენობები, მანქანები, ნაკეთობანი და მოწყობილობები.

ზახარ პავლოვიჩის წინ გადაიშალა ახალი სამყარო - დიდი ხნის ნასათუთევი, თითქოს მუდამ ნაცნობი, დ[illegible]მან გადაწყვიტა, სამუშაოდ ამ სამყაროში დარჩენილიყო.

მოუსავლიანობაზე ერთი წლით ადრე მავრა ფეტისოვნა მეჩვიდმეტედ დაორსულდა. მისი ქმარი, პროხორ აბრამოვიჩ დვანოვი მაინცდამაინც არ გახარებულა.მთელ დღეს მინდვრებს, ვარსკვლავებს, უკიდეგანო ჰაერს უცქეროდა და ამბობდა: - ყველას ეყოფა! იგი წვრილფეხობით - თავის შთამომავლობით სავსე ქოხში მშვიდად ცხოვრობდა. მისმა ცოლმა თუმცა თექვსმეტი შვილი გააჩინა, მაგრამ მათგან შვიდი დარჩა, მერვე ნაშვილები იყო - თავის ნებით დამხრჩვალი მეთევზის ვაჟი. როცა ცოლმა ობოლი ბიჭი ხელჩაკიდებული მოიყვანა, პროხორ აბრამოვიჩი არ შედავებია.

-რა უშავს, ბავშვების სიმრავლე სიბერეში კაცს სიკვდილს გაუადვილებს... აჭამე რამე, მავრუშა!

ობოლმა რძეში ჩაყრილი პური შეჭამა და ფეხების ქნევას მოჰყვა.

მავრა ფეტისოვნამ ბიჭს შეხედა და ამოიოხრა:

-ღმერთმა ახალი სადარდელი გაგვიჩინა... ამას ალბათ გაზრდა არ უწერია: უსიცოცხლო თვალები აქვს. პური ტყვილად უნდა ჭამოს.

მაგრამ ორმა წელმა გაიარა და ბიჭი არ მომკვდარა, ის კი არა, ერთხელაც არ გამხდარა ავად, ცოტას ჭამდა და მავრა ფეტისოვნაც მიეჩვია.

-ჭამე, ჭამე, ჩემო კარგო, - ეუბნებოდა ობოლს, - ჩვენთან თუ რაზეს ირგებ თორემ სხვა არაფერს მოგცემს...

პროხორ აბრამოვიჩი ადრევე დააშინა გაჭირვებამ და შვილების სიმრავლემ, გულისყურით არაფერს ეკიდებოდა: შვილები ავადმყოფობდნენ - ... ბებერები იბადებოდნენ, ცუდი მოსავალი იყო თუ ხეირიანი... ამიტომ ყველას კეთილ კაცად მიაჩნდა. ეგ იყო, თითქმის ყოველწლიური ორსულობა ცოლისა ოდნავ ახარებდა: მხოლოდ ბავშვები აძლევდნენ მის ცხოვრებას სიმყარეს - ისინი ჩვილი ხელებით უბიძგებდნენ რომ ეხნა, სახლ-კარისათვის მიეხედა და ათას რაღაცაზე ეზრუნა. იგი მძინარესავით დადიოდა, ცხოვრობდა, შრომობდა, პირადი ბედნიერებისათვის ზედმეტი ენერგია არ რჩებოდა და ნათლად არაფერი იცოდა. ლოცულობდა, მაგრამ გულში ღვთის სიყვარულს ვერ გრძნობდა. სიჭაბუკის ვნებანი, ქალების სიყვარული, კარგი ჭამა-სმის სურვილი და სხვა ამის მაგვარი , დიდხანს არ გაჰყოლია, რადგან ცოლი ულამაზო ჰყავდა, საჭმელი კი წლითიწლობით სულ უფრო ერთფეროვანი და უყუათო ჰქონდათ. შვილების გამრავლება საკუთარი თავის მიმართ ინტერესს უნელებდა, ეს კი ამქვეყნად ყოფნას უთოლებდა. რაც ხანი გადიოდა, პროხორ აბრამოვიჩი სოფელში მომხდარ ამბებს სულ უფრო მოთმინებით და გულისყურით ეკიდებოდა. შვილები ერთ ღამეს რომ ამოსწყვეტოდა, მეორე დღესვე იმდენივე ბავშვს იშვილებდა. შვილობილებიც რომ დახოცოდა, ხვნა-თესვას თავს მიანებებდა, ცოლს მიატოვებდა და ფეხშიშველი უგზოუკვლოდ გასწევდა იქით, სადაც ყველა მიუსაფარი მიემართებოდა, სადაც გულს ნაღველი შეიძლება ისევ აწვეს, მაგრამ ფეხებს მაინც შვება ეძლევა.

ცოლის მეჩვიდმეტე ორსულობამ პროხორ აბრამოვიჩი სამეურნეო თვალსაზრისით შეაწუხა. იმ შემოდგომაზე სოფელში წინა წელთან შედარებით ნაკლები ბავშვი დაიბადა. მთავარი კი ის იყო, რომ შვილი არ გაუჩენია ძალუა მარიას. იგი ოცი წლის მანძილზე ყოველწლიურად ბადებდა, იმ წლების გამოკლებით, გვალვიანობას წინ რომ უძღოდა. ეს მთელ სოფელს ჰქონდა შემჩნეული და, თუ ძალუა მარია ფეხმძიმე არ იქნებოდა, გლეხები ამბობდნენ: - მარია მუცელდაფუშული დადის - ზაფხულში შიმშილობა იქნებაო!

იმ წელსაც მარია შემჭლევებული დადიოდა.

-მჩატედ ხარ, მარია მატვეევნა? - პატიოსანემით ეკითხებოდნენ გზაზე შეხვედრილი გლეხები.

-რა ვქნა, აბა! - ამბობდა მარია, ასეთ ყოფას უჩვეული იყო და რცხვენოდა.

-არა უშავს, - აშშვიდებდნენ გლეხები. - მალე კიდევ ბიჭს გააჩენ. მაგ საქმეში მარჯვე ხარ...

-მაშ ტყუილად ყოფნას რა ფასი აქვს! - გათამამდებოდა მარია. - ოღონდ პური გქონდეს და ...

-ეგ კი მართალია, - კვერს უკრავდნენ გლეხები. - დედაკაცისათვის შვილის გაჩენა ოღლი საქმეა, ოღონდ პური მოვიდეს სამყოფი!.. კარგი ეშმაკი კი ხარ. შენი დრო იცი...

პროხორ აბრამოვიჩმა ცოლს უთხრა, უდროო დროს დაორსულდიო.

-ეჰ, პროშა, - უპასუხა მავრა ფეტისოვნამ. - მე გავაჩენ და სამათხოვროდაც

მათი გულისთვის მე ვივლი, შენ ხომ არა!...

პროხორ აბრამოვიჩი დაღუმდა და დიდხანს აღარაფერი უთქვამს.

დადგა დეკემბერი, თოვლი კი არსად ჩანდა - საშემოდგომო ნათესები ზრდებოდა. მაკრა ფეტისოვნამ ტყუპი ვაჟი შობა.

-გააჩინა, - თქვა მის საწოლთან მდგარმა პროხორ აბრამოვიჩმა. - მადლობა ღმერთს! ახლა რა უნდა ვქნათ! ეტყობათ, გამძლე ბიჭებია [illegible] ჯანიანი შუბლი და დამუშტული ხელები აქვთ...

ნაშვილები იქვე იდგა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა, და დამანჭული, დაბერებული სახით იცქირებოდა. გულში უფროსების მაგიერ სირცხვილის მწველი გრძნობა ალეძრა, მათ მიმართ სიყვარული მყისვე გაუქრა და მარტოობა იგრძნო - გაქცევა და ხევში დამალვა მოუნდა. ასეთივე სიმარტოვე, მოწყენილობა და შიში დაეუფლა, როცა გადაკლირტული ძაღლები ნახა - მაშინ ორ დღეს არაფერი უჭამია და ყველა ძაღლი სამუდამოდ შეიჯავრა. მშობიარის საწოლთან ძროხის ხორცისა და სველი ძუძუთა ხბოს ხუნი იდგა, ხოლო თავად მაკრა ფეტისოვნა სისუსტისგან ვერაფერს გრძნობდა, სხვადასხვა ფერის ნაკუწებისგან შეკერილი საბნის ქვეშ სული ეხუთებოდა და შიშველი, ბებრულად დანაოჭებული, დედური ცხიმით გატენილი სქელი ფეხი გარეთ გამოეყო. განვლილი ტანჯვის ნიშნად ზედ აჩნდა ყვითელი ლაქები და გათოშილი სისხლისგან დაბერილი, ერთმანეთში გადახლართული ლურჯი ძარღვები, კანის გაგლეჯას და გარეთ გამოსვლას რომ ლამობდნენ. ხესავით განტოტვილ ერთ ძარღვს ეტყობოდა სადღაც გული როგორ ძგერდა და სხეულის ვიწრო დაშლილ-დარღვეულ ხეობათა შორის სისხლს ძალდატანებით მიღენიდა.

-საშა, თვალი რას გაგიშტერდა?- ჰკითხა მისუსტებულ შვილობილს პროხორ აბრამოვიჩმა. - ორი ძმა შეგეძინა... პური მოიჭერი და სათამაშოდ წადი, გარეთ დათბა...

საშას პური არ აუღია, ისე წავიდა. მაკრა ფეტისოვნამ გაბაცებული თვალები აახილა და ქმარს დაუძახა:

-პროშა! ობლიანად ათი გვყავს, შენ მეთორმეტე ხარ...

პროხორ აბრამოვიჩს სათვალეები თვითონაც არ ერეოდა:

-იცოცხლონ - ზედმეტი პირისთვის ზედმეტი პური იზრდება.

-ხალხი ამბობს, შიმშილობა იქნებაო. ღმერთმა დაგვიფაროს ამ სატანჯველისაგან! ძუძუთა ბავშვებისა და წვრილფეხობის პატრონებს რა გვეშველება?

-შიმშილობა არ იქნება, - დასამშვიდებლად უთხრა პროხორ აბრამოვიჩმა, - საშემოდგომო ნათესი თუ წახდა, საგაზაფხულო აგვინაზღაურებს.

საშემოდგომო ნათესები მართლა წახდა, შემოდგომაზე გაითოშა, გაზაფხულზე კი საბოლოოდ მოიყინა და განადგურდა. საგაზაფხულო ნათესები ხან იმედს იძლეოდა, ხან პირს მიიბრუნებდა, ბოლოს, როგორც იქნა, შემოვიდა და ხალხს თესლზე სამჯერ მეტი მოსავალი ძლივს მისცა. პროხორ აბრამოვიჩის უფროსი შვილი თერთმეტი წლის იყო, შვილობილიც თითქმის იმხელაგე: ერთერთი მათგანი სამათხოვროდ უნდა წასულიყო, რომ შინ ხმელი პური მოეტანა და ოჯახს ცოტა ამოშველებოდა. პროხორ აბრამოვიჩი დუმდა: საკუთარი შვილი ებრალებოდა, ობლის გაგზავნა კი ერცხვინებოდა.

-რა ხმაჩაკმენდილი ზიხარ? - გაბრაზდა მავრა ფეტისოვნა. - აგაპკამ შვიდი წლის ბიჭი გაგზავნა, მიშკა დუკაინმა გოგო გაისტუმრა, შენ კი უზრუნველი კერპივით დამჯდარხარ! ფეტვი შობამდე არ გეყოფა, პური ხომ ფერფლობის მერე თვალით არ გეინახავს!

მოელი საღამო პროხორ აბრამოვიჩი ძველი ნარმისგან მარჯვედ ნახშარ დიდ აბგას კერავდა. საშას ორჯერ მოუხმო და აბგა მხრებზე მოაზომა:

-არა უშავს? მხარზე ხომ არ ჩაგიჭირა?

-არა უშავს, - უპასუხა საშამ.

შვიდი წლის პროშკა იქვე იჯდა და, როცა მამას ძაფი ნემსიდან გამოუძვრებოდა, აუგებდა ხოლმე, რადგან მამა ცუდად ხედავდა.

-მამა, ხვალ საშას ხამაოხოვროდ გააგდებ? - ჰკითხა პროშკამ.

-რას ყბედობ?- გაბრაზდა მამა. - როცა გაიზრდები, შენ თვითონ იმათხოვრებ.

-მე არ ვიმათხოვრებ, - თქვა პროშკამ, - ვიქურდებ. გახსოვს, რომ ამბობდი, ძია გრიშკას ფაშატი მოჰპარესო. მოჰპარეს და შერჩათ, ძია გრიშკამ კი იაბო იყიდა. მე გავიზრდები და იაბოს მოვპარავ.

საღამოთი მავრა ფეტისოვნამ საშას ღვიძლ შვილებზე მაძღრად აჭამა. ყველანი ჭამას რომ მორჩნენ, ცალკე ერბოიანი ფაფა დაუსხა და იმდენი რძე დაალევინა, რამდენის დალევასაც შეძლებდა. პროხორ აბრამოვიჩმა საბძლიდან ლაჭანი მოიტანა და როცა ყველამ დაიძინა, სამგზავრო ჯოხი გამოთალა. საშას არ ეძინა და ყურს უგდებდა, პროხორ აბრამოვიჩი ჯოხს პურის საჭრელი დანით როგორ ფხეკდა. პროშკა სრუტუნებდა და იბღუნძებოდა, რადგან კისერში ჩამძვრალი ტარაკანი აწუხებდა. საშამ ტარაკანი კისრიდან მოაშორა, მაგრამ მოკვლა ვერ გაბედა და ლუმლიდან იატაკზე ჩამოაგდო.

-საშა, არ გძინავს? - ჰკითხა პროხორ აბრამოვიჩმა. - დაიძინე, რალას ფრიალებ!

ბავშვები ადრიანად, მამლის ყიყინამდე იღვიძებდნენ და სიბნელეში ერთმანეთს ეძიებდნენ, ხნიერები კი მოგვიანებით იღვიძებდნენ და დაბეჟილ გვერდებს იფხანდნენ.

სოფელში ჯერ არც ერთი ურდული არ ჭრიალებდა. მინდორში არაფერი იძერწოდა. პროხორ აბრამოვიჩმა შეღებილი სოფლიდან ამ დროს გაიყვანა. ბიჭი ნამძინარევი მიაბიჯებდა, პროხორ აბრამოვიჩისოვის ხელი მინდობილად ჩაეჭიდა. ხინესტე იყო და ცივოდა. ეკლესიის დარაჯი დროის მაუწყებლად რეკავდა და ზარის სევდიანმა ხმამ ბიჭი ააღელვა. პროხორ აბრამოვიჩი ობლისკენ დაიხარა.

-საშა, იქით გაიხედე. ხედავ, გზა სოფლიდან აღმართს მიუყვება. იმ გზაზე პირდაპირ იარე. მერე უზარმაზარ სოფელს და ბორცვზე მდგარ კოშკს დაინახავ. ქალაქი ეგ იქნება. არ შეგეშინდეს, თამამად შედი. იქ ბევრი პურია. როცა აბგას გააესებ, შინ წამოდი დასასვენებლად. აბა, ნახვამდის, ჩემო ბიჭუნა!

საშა პროხორ აბრამოვიჩს ხელს არ უშვებდა და შემოდგომის ცრიალა დილის შუქზე რუხად გაშლილ ხრეოკ მინდორს გასცქეროდა.

-იქ წვიმები იყო?- ჰკითხა საშამ პროხორ აბრამოვიჩს შორეულ ქალაქზე.

-დიდი წვიმები იყო! - დაუდასტურა პროხორ აბრამოვიჩმა.

მაშინ ბიჭმა პროხორ აბრამოვიჩს ხელი გაუშვა და გზას წყნარად გაუდგა, ისე, რომ მისთვის ერთხელაც არ შეუხედავს. მიდიოდა ზურგზე აბგაწამოკიდებული,

ჯოხს მიაბაკუნებდა და აღმართზე ამაკალ გზას გაჰყურებდა, რომ მიმართულება არ დაკარგოდა. ბიჭი ეკლესიას და სასაფლაოს მიეფარა და დიდხანს არ ჩანდა. პროხორ აბრამოვიჩი ერთ ადგილას იდგა და უცდიდა, შვილობილი ხეივანმა როდის გამოჩნდებოდა.ადრიანად გალეიძებული ითოო ოროლა ბელურა გზაზე რალაცას კენკავდა, ეტყობოდათ, რომ სცითდათ. „ესენიც ბებერები არიან, - გაიფიქრა პროხორ აბრამოვიჩმა,- მაგათთვის ვინ რას გაიმეტებს!"

საშა სასაფლაოზე ისე შევიდა, არ იცოდა, რა უნდოდა.საკუთარ თავზე პირველად ახლა დაფიქრდა და მკერდზე მოიფათურა. მე აი, აქ ვარო. ირგვლივ კი ყველაფერი უცხო იყო, მას არაფერი ჰგავდა. სახლი, სადაც ცხოვრობდა, სადაც პროხორ აბრამოვიჩი, მავრა ფეტისოვნა და პროშკა უყვარდა, მისი არ გამოდგა - იქიდან დილას გამოიყვანეს და სიცივეში გზას გაუყენეს. შეგნების დაშაშვიდებული წყლით განუზავებელ ნახევრადბაგშვურ სევდიან ხულში უსაზღვრო წყენა ბურთიეთი შეეკუმშა და ყელში მოებჯინა.

სასაფლაო მკვდარი ფოთლებით იყო მოფენილი და ამ რბილ საბურველზე ფეხის ხმა მიწყნარებულად, ძშვიდად გაისმოდა. ყველგან გლეხური ჯვრები იყო აღმართული, ბევრ მათგანს მიცვალებულის მოსაგონრად სახელიც არ ეწერა. საშა დაინტერესდა ყველაზე ძველი ჯვრებით, საცაა, თავადაც რომ წაიქცეოდნენ და მიწაში ჩაკვდებოდნენ. ეჯვრო საფლავები ხომ მათზე უმჯობესი იყო - იქ სამარადჟამოდ დაობლებულნი იწვნენ. მათაც დაეხოცათ დედები, ზოგის მამა კი მდინარეში ან ტბაში დაიხრჩო. საშას მამის საფლავის ბორცვი თითქმის მთლიანად გატეპნილი იყო - ზედ ბილიკი გადადიოდა და ამ ბილიკით სასაფლაოზე ახალ-ახალი კუბოები მოჰქონდათ.

მამა სულ ახლოს მოთმინებით იწვა, არ ჩიოდა, რომ ხამთარი ამ საშინელებაში მარტოს უნდა გეტარებინა. რა არის აქ? უნუგეშობა, სიჩუმე და სივიწროვე. იქიდან არ ჩანს ხელჯოხიანი, ზურგზე მათხოვრის აბგაწამოკიდებული ბიჭი.

მამა, საძათხოვროდ გამომაგდეს; ახლა მეც მალე მოვკვდები და შენთან მოვალ. მანდ ხომ მოწყენილი ხარ. მეც მოწყენილი ვარ.

ბიჭმა თავისი ჯოხი საფლავზე დადო და ზედ ფოთლები წააფარა, რომ არ დაკარგულიყო და მას დალოდებოდა.

საშამ გადაწყვიტა, ქალაქიდან მალე დაბრუნებულიყო, როგორც კი აბგას პურის ქერქებით გაავსებდა. მაშინ მამის საფლავის გვერდით მიწურს ამოთხრიდა და იქ იცხოვრებდა, რადგან ბინა არ ჰქონდა. პროხორ აბრამოვიჩი შვილობილის ლოდინით დაიქანცა და უკვე წასვლას აპირებდა. მაგრამ საშა ხეივში ჩამდინარე ღელეზე გადავიდა და თეხნარ აღმართს აუყვა; უკვე დაიღალა და ნელა მიდიოდა, მაგრამ უსაროდა, რომ მალე თავისი ბინა ექნებოდა და მამა ახლოს ეყოლებოდა. მერე რა, რომ მამა მკვდარი იყო და ვერაფერს ეტყოდა, სამაგიეროდ, მუდამ ახლოს იწვებოდა. მას თბილი ოფლით გაჟღენთილი ჰერანგი ეცვა. საშას ისიც ახსოვდა, ტბის პირას რიცა ისვენებდნენ, მამა ხელს როგორ გადახვევდა სიღრმე. ახლა ამ ხელთა სიახლოვესაც იგრძნობდა. „რა მოხდა. მამა მკვდარი რომაა, - ფიქრობდა საშა, - ის ხომ ისეთივეა, როგორც სიცოცხლეში იყო".

-ნეტავ ჯოხი რა უყო? - ვერ მიმხვდარიყო პროხორ აბრამოვიჩი.

ინათა და ჰაერი დანოტიოვდა. ბიჭს გალიპულ აღმართზე ასვლა უჭირდა და

ხელებით მიწას ეყრდნობოდა, აბგას ნათხოვარი ტანსაცმელივით განიგრად მიაფრიალებდა.

-დახე, როგორი აბგა შემიკერია; სამათხოვროდ არ გამოდგება, სრულიად მომსვლია, - ნაგვიანევად უსაყვედურა საკუთარ თავს პროხორ აბრამოვიჩმა. - პურით რომ გაავსოს კიდეც, ველარ დაძრავს... თუმცა ახლა, სულ ერთია, ველარაფერს ვუშველი... რაც არის, ეგ არის...

აღმართის თავში, საიდანაც მინდვრის უხილავი მხრისკენ გზის დაქანება იწყებოდა, ბიჭი შეჩერდა. ალიონის შუქში, სოფლის ჰორიზონტის ხაზზე, თითქოს ღრმა ხრამთან, ციური ტბის ნაპირას მდგარი საშა შემინებული გაჰყურებდა უკაცრიელ ველს; მაღლობი და წინ გადაშლილი უსიცოცხლო მიწა ნოტიო და ვრცელი იყო და ამიტომ ყოველივე უცხო და შემზარავად ეჩვენებოდა. მაგრამ საშას გადარჩენა და სოფლის ტაფობში სასაფლაოზე დაბრუნება სურდა, სადაც მამა ეგულებოდა. იქ ყოველივეს, უსუსურსა და სევდიანს, ქარისაგან მიწა და ხეები იფარავდა. ამიტომ მან ქალაქისაკენ გასწია პურის ქერქების საშოვნელად.

პროხორ აბრამოვიჩს ობოლი შეებრალა, ახლა თავქვე რომ მიდიოდა და საცაა, ბექობს ჩაეფარებოდა. გაიფიქრა: - ბიჭს ქარში ძალა გამოელევა, სადმე ხრიოლში ჩაწვება და მოკვდება - ქვეყნიერება ოჯახური კერა არ არისო. პროხორ აბრამოვიჩს სურდა, ობოლს დასწეოდა და უკანვე დაებრუნებინა: თუ სიკვდილი გვიწერია, ყველანი ერთად, მშვიდად დავიხოცებითო. მაგრამ შინ საკუთარი შვილები და ცოლი ელოდა, საგაზაფხულო ნათესებიდან აღებული მოსავლის ნარჩენები კი უკვე ელეოდათ.

-ყველანი ხეპრეები და არამზადები ვართ! - სამართლიანად შეაფასა საკუთარი თავი პროხორ აბრამოვიჩმა და ამ სამართლიანობის წყალობით ცოტა გულს მოუშვა; შინ მთელ დღეს ხმაამოუღებლად იჯდა და უსარგებლო საქმიანობით - ფიცარზე ჩუქურთმის ჭრის ნაღველს იქარვებდა. დიდი უბედურების ჟამს ყოველთვის ფიცარზე ნაძვნარის ანდა არარსებული ტყის ამოჩუქურთმებით იქცევდა თავს - მისი ხელოვნება მეტად აღარ უმჯობესდებოდა, იმიტომ რომ ბლაგვი დანა ჰქონდა. მავრა ფეტისოვნა შინიდან წასულ შვილობილზე ფიქრობდა და დროდადრო ტიროდა. რვა შვილი მოუკვდა და ყოველ მათგანს ღუმელთან სამ-სამ დღეს დროგამოშვებით დასტიროდა. ეს მისთვის იგივე იყო, რაც პროხორ აბრამოვიჩისთვის ამოჩუქურთმება. პროხორ აბრამოვიჩმა წინასწარვე იცოდა, მავრა ფეტისოვნა რამდენ ხანს იტირებდა, თავად კი რამდენ ხანს უნდა ეჩუქურთმებინა უსწორმასწორო ფიცარი: კიდეე დღე-ნახევარს.

პროშკამ მშობლებს უყურა, უყურა, და მერე გული მოუგიდა:

-რა გატირებთ, საშკა თავისით დაბრუნდება. მამაჩემო, გირჩევნია, საჩექმე თექა მომითელო - საშკა შენი შვილი ხომ არ არის, ობოლია. რას დამჯდარხარ, შეებერო, და მაგ დანას რას აბლაგვებ.

-ღმერთო დიდებულო! - მავრა ფეტისოვნამ გაკვირვებისაგან ტირილს თავი ანება. - დიდივით არ ლაქლაქებს! თვითონ არაფრად ვარგა და მამას საყვედურს ეუბნება!

მაგრამ პროშკა მართალი გამოდგა: ორი კვირის შემდეგ ობოლი შინ დაბრუნდა. იმდენი პურის ქერქი და გამხმარი ფუნთუშა მოეტანა, თითქოს თვითონ არაფერი ეჭამა. რაც მოიტანა, იმისთვისაც გემო არ გაუსინჯავს, რადგან

საღამოთი ღუმელზე დაწვა და სიცივე ველარ მოიკიდა - სხეულის მთელი სიცხოველე გზაზე ხეტიალისას ქარმა გამოაცალა. გონებამიხდილმა ფოთლებში დამალულ ჯოხსა და მამას ბუტბუტით ახსენებდა; მამას სთხოვდა, ჯიხი შემინახე და ტბასთან მიწურში მომიცადე, სადაც წაქცეული ჯვრები ყრიაო.

სამი კვირის შემდეგ, როცა შეილობილი გამოჯანმრთელდა, პროხორ აბრამოვიჩმა შოლტი აიღო და ქალაქისაკენ ფეხით წავიდა, რომ მოედნებზე მდგარიყო და სამუშაო ეძებნა.

პროშკა საშას სასაფლაოზე ორჯერ გაჰყვა. ნახა, რომ ობოლი საფლავს საკუთარი ხელით ითხრიდა და ღრმად ამოთხრას ვერ ახერხებდა; მაშინ ობოლს მამის ნიჩაბი მიუტანა და უთხრა, ნიჩბით თხრა იოლია, ყველა გლეხი მიწის სათხრელად ნიჩაბს ხმარობსო.

-შინიდან მაინც გაგაგდებენ, - მომავალს ამცნობდა პროშკა. - მამას შემოდგომაზე არაფერი დაუთესია, დედა კი ზაფხულში იმშობიარებს, ახლა იქნებ სამი გააჩინოს. მართალს გეუბნები!

საშამ ნიჩბით იწყო მუშაობა, მაგრამ ნიჩაბი მისთვის დიდი გამოდგა და მალე ქანცავდა.

ციდან ნაგვიანევი წვიმის წვეთები ცვიოდა და გათოშილი პროშკა საშას ურჩევდა:

-ფართოს ნუ ამოთხრი - კუბოს საყიდელი ფული არა გვაქვს, ისე ჩაწექი მიწაში. მალე მორჩი, თორემ დედა ბავშვებს გააჩენს და შენ ზედმეტი მჭამელი იქნები.

-მე მიწურს ვთხრი და აქ ვიცხოვრებ, - თქვა საშამ.

-ჩვენს ხარჯზე ხომ არ იქნები?! - ჰკითხა პროშკამ.

-არავის ხარჯზე არ ვიქნები, საჭმელად ზაფხულში მოგროვებული ყინტორაც მეყოფა.

-მაშ იცხოვრე აქ, - დამშვიდდა პროშკა. - მაგრამ ჩვენსა სამათხოვროდ არ მოხვიდე: მოსაცემი არაფერი გვაქვს.

პროხორ აბრამოვიჩმა ქალაქში მუშაობით ხუთი ფუთი ფქვილი იშოვა, სხვისი საზიდრით მოიტანა და ღუმელზე დაწვა. როცა ფქვილი გაანახევრეს, პროშკა უკვე იმაზე ფიქრობდა, მერე რას ვიზამთო.

მამა ღუმელზე იწვა და ერთ ხმაზე ატირებულ ტყუპებს ჩასცქეროდა.

-ძმართაძეზე რას წამოგორებულხარ! - უთხრა მას პროშკამ. - ფქვილს შევსანსლავთ და მერე შიმშილით ამოვწყდებით! რაკი გაგვაჩინე, უნდა შეგვინახო კიდეც!

-ამ უშმაკის ნაშიერს დამიხედე! - გაბრაზდა პროხორ აბრამოვიჩი. - მამა შენ უნდა იყო, მე კი არა, შე ლოპრიანო!

პროშკა საქმიანი სახით იჯდა და ფიქრობდა, მამად როგორ უნდა გადაქცეულიყო. მან უკვე იცოდა, რომ ბავშვები დედის მუცლიდან გამოდიოდნენ- დედას მთელი მუცელი ნაწიბურებითა და ნაოჭებით ჰქონდა დაფარული. მაგრამ ის ველარ გაეგო, ობლები საიდანლა ჩნდებოდნენ. პროშკას ღამით ორჯერ გაელვიძა და ნახა, რომ დედას თვითონ მამა უზელდა მუცელს. მერე კი დედას მუცელი ებერებოდა და ბავშვები - მუქთაჭამელები იბადებოდნენ. პროშკამ მამას ესეც უთხრა:

-შენც დედას ზემოდან ნუ დაანებებ, გვერდით მოუწექი და იძინე. აი, ბებია პარაშკას არც ერთი პატარა ბავშვი არა ჰყავს - პაპა ფედოტი მუცელს არ უზელს და იმიტომ...

პროხორ აბრამოვიჩი ლუმლიდან ჩამოვიდა, თექის ჩექმები ჩაიცვა და რაღაცის ძებნა დაიწყო. ქოხში საცემად გამოსადეგი ვერაფერი იპოვა, ამიტომ ცოცხი აიღო და პროშკას სახეში გასცხო. პროშკას არ დაუყვირია, მაშინვე ტახტზე პირქვე დაწვა. პროხორ აბრამოვიჩმა ხმის ამოუღებლად დაუწყო ცემა, თან ცდილობდა, გულში სიბრაზე ალეკრა.

-არ მტკივა, არ მტკივა, მაინც არ მტკივა! - თავაუღებლად ამბობდა პროშკა.

როცა პროხორ აბრამოვიჩმა ცემით გული იჯერა, პროშკა წამოდგა და უთხრა:

- მაშინ საშკა გააგდე, რომ ზედმეტი მჭამელი მოგვაკლდეს.

პროხორ აბრამოვიჩი პროშკაზე მეტად ეაიტანჯა და ჩაჩუმებული ტყუპების აკვანთან თავჩაქინდრული იჯდა. პროშკას იმიტომ სცემა, რომ იგი მართალი იყო: მაგრა ფეტისოვნას მუცელი ისევ წამოებერა, სათესლედ კი მარცვალიც არ მოეძებებოდათ და შემოდგომაზე ვერაფერს დათესავდა. პროხორ აბრამოვიჩი ამქვეყნად ისე ცხოვრობდა, თითქოს ხრამის ფსკერზე ამოსული ბალახი ყოფილიყო, გაზაფხულზე ნიადაგი რომ უპირებს წალეკვას, ზაფხულში - ღვარცოფი, ქარში - ქვიშა და მტვერი, ზამთარში კი ზემოდან სქლად დაწოლილი თოვლი აშთობს; გამუდმებით, ყოველწუთას რაღაც მძიმე რომ ეჯახება და მოსპობას უქადის, ამის გამო ხეში ბალახი ქედმოდრეკილი იზრდება, მუდამ მზადაა, მიწაზე განერთხოს და დაღუპვისგან თავი ამგვარად გადაირჩინოს. პროხორ აბრამოვიჩსაც შვილები კისერზე ასვეე აწვნენ. ისინი უფრო ხშირად იბადებოდნენ, ვიდრე მოსავალი მოდიოდა. მიწა მისი ცოლივით ნაყოფიერი რომ ყოფილიყო, ცოლს კი შვილები ასე მალიმალ არ გაეჩინა, პროხორ აბრამოვიჩი, რა ხანია, მაძღარი და კმაყოფილი იქნებოდა. მაგრამ შვილები ერთი-მეორეზე ჩნდებოდნენ და პროხორ აბრამოვიჩის სულს მოჭარბებული ხაზრუნაკით ისე აშთობდნენ, როგორც ნარიყი ხევს ჩაშლამავს ხოლმე. ამის გამო პროხორ აბრამოვიჩი თითქმის ვერ შეიგრძნობდა საკუთარ სიცოცხლეს და პირად ხურვილებს, უშვილონი და უოჯახონი კი მის ამგვარ გონმიხდილობას სიზარმაცედ ნათლავდნენ.

-პროშა, ჰეი, პროშა! - მოუხმო შვილს პროხორ აბრამოვიჩმა.

-რა გინდა? - პირქუშად უთხრა პროშკამ. - თან მცემ და თან, პროშაო, მეძახი...

- პროშა, გაიქეცი ძალუა მარიასთან, ნახე მუცელი გამობერილი აქვს თუ დაჩუტული; დიდი ხანია, არ შემხვედრია, ავად ხომ არ გახდა.

პროშკამ ბუტიაობა არ იცოდა და ოჯახის საქმეზე დაუზარელი იყო.

-მამა მე უნდა ვიყო, შენ კიდევ პროშკა, - გაკვირწლა მამა პროშკამ. - იმის მუცელს რას კითხულობ: არაფერი დაგითესია და, სულ ერთია, მაინც ვიშიმშილებთ.

პროშკამ დედის ჯუბა ჩაიცვა და კელავ განაგრძო მბრძანებლური ბუზღუნი:

-ბლეხები მიჰქარავენ. ზაფხულში ძალუა მარიას მუცელი გაბერილი არ ჰქონდა. წვიმები კი მოდიოდა. შეეშალა - ერთი მუქთახორა კიდევ უნდა გაეჩინა, იმას

კი არ გაუჩნდა.

-ძალუა მარია გრძნობდა, რომ საშემოდგომო ნათესები დაზრდებოდა, - ხმადაბლა თქვა მამამ.

-პატარა ბავშვები დედებსა სწოვენ, პურს სულაც არ ჭამენ, - შეედავა პროშკა. - დედებმა კი საგაზაფხულო ნათესების მოსავალი ჭამონ... მარიასთან არ წავალ... მუცელი გამობერილი თუ ექნება, ღუმლიდან ძირს აღარ ჩამოხტებაო: ბალახი კარგი მოვა და საგაზაფხულო ნათესებიც ივარგებსო. ჩვენ კი შიმშილობა არ გვეხალისება. ნეტა რას გაგვაჩინეთ შენ და დედაჩემმა...

პროხორ აბრამოვიჩი დუმდა. საშაც ხმას არასოდეს იღებდა, თუ რამეს არ შეეკითხებოდნენ. პროხორ აბრამოვიჩმა, პროშკასგან განსხვავებით, საკუთარ სახლში ობოლივით რომ ცხოვრობდა, თავადაც არ იცოდა, საშა კეთილი იყო თუ არა; სამათხოვროდ იქნებ იმიტომ წავიდა, რომ ეშინოდა. თავად რას ფიქრობდა, ამას კი არ ამბობდა. მაგრამ საშა ცოტას ფიქრობდა იმიტომ, რომ უფროსებიც და ბავშვებიც თავისზე ჭკვიანად მიაჩნდა და ამის გამო მათი ეშინოდა. პროხორ აბრამოვიჩზე მეტად პროშკასი ეშინოდა, რომელიც ყოველ ნამცეცს ითვლიდა და საკუთარი ეზო-ყურის გარეთ არავინ უყვარდა.

სოფელში კუზიანი კაცი პიოტრ ფიოდოროვიჩ კონდაევი დადიოდა. გაეა უკან ჰქონდა გაკიდული, გრძელი ხელები მიწაზე დასთრევდა და გზადაგზა ბალახს გლეჯდა. დიდი ხანია, წელი აღარ ასტკივნია - მაშ ამინდი არ შეიცვლებოდა.

იმ წელიწადს მზემ აღრე იმძლავრა: აპრილის ბოლოს ისე დააცხუნა, თითქოს შუა ივლისი ყოფილიყო. გლეხები ჩაჩუმდნენ, ფეხის გულებით გაფიტებულ მიწას გრძნობდნენ, მთელი სხეულით კი - დამღუპველი მხურვალებით გათანგულ, ჩამყუდროებულ სივრცეს. ბავშვები ერთთავად ჰორიზონტს გასცქეროდნენ, რომ საწვიმარი ღრუბელის გამოჩენა დროზე დაენახათ. მაგრამ შორს, მინდორში, მხოლოდ მტვრის კორიანტელი ადიოდა. იქ, გზებზე, მტვერს მიაპობდნენ სხვა სოფლებისკენ მიმავალი საზიდრები. კონდაევი შუა ქუჩაში მიჩაქჩაქებდა, იქით მიდიოდა, სადაც მისი გულის დარდი, ახლად შეღერებული, თხუთმეტი წლის ნასტია ცხოვრობდა. ნასტიას სიყვარულს თვისი სხეულის მტკივანი ადგილით - ტანგამართულ ადამიანთა გულივით მგრძნობიარე კუზით შეიგრძნობდა. კონდაევს გვალვა სიამოვნებას ჰგვრიდა და იმედს უნერგავდა. ხელები მუდამ გაყვითლებულ-გამწვანებული ჰქონდა, რადგან სიარულისას ბალახს გლეჯდა და თითებით სრესდა. მას ახარებდა შიმშილი, რაც ყველა ლამაზ მამაკაცს შორს, საშოვარზე გარეკავდა. ბევრი მათგანი მოკვდებოდა და ქალებს კონდაევის ანაბარა დატოვებდა. როცა გაალმასებული მზე მიწას ალმურს უნთებდა და მტვრის კორიანტელს ადენდა, კონდაევი იღიმებოდა. იგი ყოველ დილას ტბორში ბანაობდა და კუზზე ითათუნებდა ჭანგებივით დაძაგრულ ხელებს, მომავალი ცოლის დაუცხრომელ ხვევნას რომ ელტვოდნენ.

-არა უშავს, - ამბობდა საკუთარი თავით კმაყოფილი კონდაევი, - კაცები წავლენ, ქალები დარჩებიან. ვინც ერთხელ მიგემებს, აღარასოდეს დამივიწყებს - მე ხომ გაუხედნავი მოზვერი ვარ.

კონდაევი წარმოიდგენდა, რომ ნასტიას ეხვეოდა და გრძელ, ჯიშიან ხელებს ერთმანეთში ხლართავდა, თან უკვირდა, ამ სუსტი გოგოს სხეულს ასეთი

იდუმალი, ძალუმი მშვენიერება საიდან აქვსო, მასზე ფიქრიც კი სისხლს უჩქროლებდა და კუნთებს უძაბავდა. ამლილი გრძნობები რომ დაეკებინა, ტბორში ცურვას იწყებდა და იმდენ წყალს ხვრეპდა, თითქოს სხეული ეძირო ორმოდ ჰქცეოდა, მერე კი წყალს სასიყვარულო სიტკბოების ნერწყვთან ერთად ამოანთხევდა.

როცა შინ ბრუნდებოდა, გზად შეხვედრილ ყველა გლეხს ურჩევდა, სამუშაოს საძებნელად წასულიყვნენ.

-ქალაქი ძლიერია, - ამბობდა კონდაევი. - იქ ყველაფერი სამყოფად არის, ჩვენთან კი ასეთი ცხარე მზე დიდხანს იქნება. რა მოსავლის იმედი უნდა გქონდეს! გონს მოდი!

-შენ რას აპირებ, პეტრ ფიოდოროვიჩ? - შეეკითხებოდა გლეხი.

- მე ხეიბარი ვარ, - უპასუხებდა კონდაევი. - ამქვეყნად სიბრალულიც დამარჩენს. შენ კი შენს დედაკაცს შიმშილით სულს ამოხდი, შე უმაქნისო! წადი სადმე, ხელი გაძარი და შინ პური გამოგზავნე.

-მეტი რა გზა მაქვს, უნდა წავიდე, - უხალისოდ ამოიხვნეშებდა გლეხი, გულში კი ფიტრობდა, შინ ცოტა კომბოსტო გვაქვს, კენკრას, სოკოს, მხალს მოვკრეფთ და თავს როგორმე გავიტანთო.

კონდაევს დარღვეული ღობეები, დაფუტროებული ჯირკები, ყოველივე დაძველებულ-დაძაბუნებული უყვარდა; ორჩილი, სიცოცხლემილეული სითბო სიამეს ჰგვრიდა. მისი ავხორცობის მალული სიავე მიყრუებულ ადგილებში ჰოულობდა შვებას. სიხარულით ცას ეწეოდა, ოღონდაც მთელი სოფელი უილაჯობისა და ქანცის გაწყვეტისაგან დამუნჯებულიყო, რათა იგი უძლურ არსებებს დაუბრკოლებლად ჩახვეოდა; დილის ბინდბუნდსა და სიმყუდროვეში კონდაევი იწვა და თვალწინ ეხატებოდა ნახევრად დანგრეული სოფლები, შამბნარით დაფარული ქუჩები და ხმელ, მჩხვლეტავ ჩალაზე მწოლიარე ტანწვრილი, ფერმიხდილი ნასტია, შიმშილისაგან რომ აბოდებდა. საკმარისი იყო, კონდაევს თვალი მოეკრა რაიმე ცოცხალისათვის, ბალახის ღერი იქნებოდა თუ ქალიშვილი, რომ მყისვე ჩუმი მძვინვარება დაუფლებოდა. ბალახს იქამდე სრესდა უმოწყალო ხელებით, სანამ მთლად არ გააქრობდა. მისი ენებამოძალებული ხელები ყოველივე ცოცხალს სიქალწულესავით ხარბად შეიგრძნობდნენ. ქალის ან ქალიშვილის დანახვისას კი კონდაევი წინასწარვე სამუდამოდ შეიძულებდა ხოლმე მის მამას, ქმარს, ძმებს, მომავალ საქმროს, და მათ სიკვდილს ანდა სამუშაოდ შორს გადახვეწას ნატრობდა. ამიტომაც შიმშილობის მეორე წელი კონდაევს დიდ იმედს უნერგავდა-ფიქრობდა, მალე სოფელში მარტო დავრჩები და ქალებს ჩემს ნებაზე დავერეკიო.

სიცხე-პაპანაქებისაგან მარტო მცენარეებს კი არა, ქოხებსა და ღობის მარგილებსაც კი სიბერე ძლევდა. ეს საშამ გასულ ზაფხულშივე შეამჩნია. დილით, როცა მშვიდ, გამჭვირვალე ალიონს უცქეროდა, მამა და მუტიოვის ტბის სანაპიროზე გატარებული დღეები ახსენდებოდა. ადრიანი წირვის ზარს ჩამორეკავდნენ თუ არა, მზეც ამოვიდოდა და მალე მთელ მიწასა და სოფელს დაბერებდა, ხალხს კი გულში ცხარე ბოლმას შეუდებებდა.

პროშკა საბურავზე ადიოდა, ცას უდარაჯებდა და სახე წუხილისაგან ეჭმუხნებოდა. ყოველ დილით მამა ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: წელი ხომ არ

ბტკივა, იქნებ ამინდი შეიცვალოს, ანდა ახალი მთვარე როდის იქნებაო.

კონდაევს ქუჩაში სიარული შუადღისას უყვარდა, გაანჩხლებული მწერების ხუზუნით ტკბებოდა. ერთხელ დაინახა, პროშკა ქუჩაში უნიფორმით როგორ გამოეარდა, რადგან მოეჩვენა, ციდან წვეთები ჩამოცვივდაო.

მზისგან გაფიცხებულ საშინელ მდუმარებაში ქიზები ლამის ამღერებულიყვნენ, ჩაშაებული სახურავის ჩალას კი ტრუსის ელვა ეკიდა.

-პროშკა! - დაუძახა კუზიანმა. - ცას რას აჰყურებ? არც ისე ციცა, არა?

პროშკა მიხვდა, რომ მოეჩვენა; ციდან წვეთიც არ ჩამოვარდნილა.

-წადი, ხვიხ ქათმებს კვერცხები გაუსინჯე, შე მაიმახო! - გული მოუვიდა პროშკას, რაკი წვიმის იმედი გაუცრუვდა. - ხალხი ლამის ამოწყდეს, ამას კი უხარია. მოდი, მოდი, მამაჩემის მამალს კვერცხი გაუსინჯე!

პროშკას ნათქვამი კონდაევს გულში მოხვდა. გამწარებით შეჰყვირა, ქვის მოსაძებნად დაიხარა და, ქვა რომ ვერსად ნახა, პროშკას მუჭით მტვერი შეაყარა. მაგრამ პროშკამ წინასწარვე იცოდა, კონდაევი რასაც იზამდა, და თავი სახლს შეაფარა. კუზიანმა მიწაზე ხელების ფართხუნით ეზოში შეირბინა. შინ საშა შეეფეთა. კონდაევმა ბიჭს ხმელი ხელი მოწყვეტით მოუქნია და გაკეკრებული თითები თავში ისე ჩასცხო, ბიჭს თავის ძვლები აუწივლდა. საშა წაიქცა, თავზე კანი გაუხეთქა და თმა მყისვე კამკამა, გრილმა სისხლმა დაუსველა.

საშა გონს მოვიდა. მაგრამ მერე ზმანება ცხადშიც მოეულინა. ახსოვდა, რომ ეზოში ცხელოდა, შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა, დღე კი არ ილეოდა; ისიც ახსოვდა, კუზიანმა ხელი რომ ჩაარტყა, თანაც ნისლით დაბურულ ტბას და მამას ხედავდა. მამამ ნაპირზე დედამისის ნაქონი კალის ბეჭედი გადმოუგდო და თვითონ ნავით ნისლში გაუჩინარდა. საშამ ხელ ბალახზე დაცემული ბეჭედი აიღო, კუზიანმა კი ის ბეჭედი თავში რაკუნით ჩასცხო. იმავე დროს გამშრალი ცა გაიპო, ნაპრალებიდან უცაბედად შავი წვიმა თქლიშინით წამოვიდა და მყისვე ხიჩუმე ჩამოვარდა: თეთრად მოელვარე მზის ზრიალი მთის გადაღმა წვიმით დალტობილ მინდორზე მიწყდა. მინდორზე კუზიანი იდგა და დაპატარავებულ მზეს აშარდავდა, მზე კი იხედაც ქრებოდა. მაგრამ საშა სიზმართან ერთად ნათელ დღესაც ხედავდა და პროხორ აბრამოვიჩთან პროშკას ლაპარაკიც ესმოდა.

ხოფლის გაუკაცრიელებითა და თანახოფლელთა სხვა გასაჭირით გახარებული კონდაევი დროს იხელთებდა და კალოზე სხვის ქათამს დასაჭერად დასდევდა, მაგრამ ხელი მოეცარა. შეშინებული ქათამი ქუჩაში მდგარ ხეზე აფრინდა. კონდაევს ხის შერხევა უნდოდა, მაგრამ გზაზე ვილაც დაინახა და შინისკენ წყნარად წავიდა, ვითომც აქ არაფერიაო. პროშკამ სიმართლე თქვა: კონდაევს ქათმების დაჭერა და კვერცხის გასინჯვა უყვარდა. იმდენ ხანს უსინჯავდა, სანამ შეშინებული, და ტკივილისაგან გაოგნებული ქათამი ხელზე არ დაასკინტლავდა, ხანაც გაუმაგრებელ, რბილ კვერცხს დროზე ადრე გამოაგდებდა; თუ ირგვლივ ხალხმრავლობა არ იქნებოდა, კონდაევი მუჭაში ჩალვრილ კვერცხს შეხვრეპდა, ქათამს კი თავს წააგლეჯდა.

თუ წელი მოსავლიანი იყო, ხალხს ძალა შემოდგომამდე ჰკმაოდ შერჩებოდა ხოლმე და დიდ-პატარა თავს იმით იქცევდა, რომ კუზიანს ახელებდა.

-პიოტრ ფიოდოროვიჩ, თუ ღმერთი გწამს, ჩვენს მამალს კვერცხი გაუსინჯე!

კონდაევი გახელებას ვერ იტანდა და შეურაცხმყოფელებს მანამდე დასდევდა,

სანამ რომელიმე ბიჭს არ დაიჭერდა და რამეს არ ატკენდა.

საშა კვლავ მხოლოდ დაბერებულ დღეს ხედავდა. მას, დიდი ხანია, სიცხე ბერიკაცად, ღამე და სიგრილე კი პატარა გოგო-ბიჭების სახით ჰქონდა წარმოდგენილი.

ქოხის ფანჯარა ღია იყო და ღუმლის გვერდით მავრა ფეტისოვნა შეფოთავდა. თუმცა მშობიარობას ნაჩვევი იყო, სხეულში რაღაცა მაინც მომაბეზრებლად უწუხდა.

-გულს მაზიდებს! მიჭირს, პროხორ აბრამოვიჩ... ბებიაქალი მომიყვანე...

საშა ბალახიდან არ წამომდგარა, ვიდრე მწუხრის ზარი არ გაისმა და მიწაზე გრძელი, სევდიანი ჩრდილები არ გაწვა. ქოხის ფანჯრები დახურეს და ფარდები ჩამოაფარეს. ბებიაქალმა ტაშტით რაღაც გამოიტანა და ღობის ძირას გადაღვარა. ძაღლი იქით გაიქცა და სითხის გარდა ყველაფერი შესანსლა. პროშკა შინიდან გარეთ დიდხანს არ გამოდიოდა. სხვა ბავშვები სადღაც სხვის ეზოში დარბოდნენ. საშას ეშინოდა, ქოხში უდროოდ არ შესულიყო. ბალახთა ჩრდილები შემჭიდროვდა, სუსტი ქვენა ქარი, მთელი დღე რომ ქროდა, ახლა გაყუჩდა. ქოხიდან ხილაბანდით თავწაკრული ბებიაქალი გამოვიდა, ჩაბნელებული აღმოსავლეთისაკენ პირშებრუნებული ერთხანს ლოცულობდა და მერე გზას გაუყვა. წყნარი ღამე ჩამოდგა. ქოხის კედელთან მჯდარმა ჭრიჭინამ ხმა მოისინჯა და მერე გაბმით გააბა ჭრიჭინი. მისი მოძახილი მთელ ეზო-ეურეს მოეფინა და იმ სამყაროდ აქცია, სადაც გატარებულ ბავშვობას ქვეყნად არაფერი შეედრება. საშა გაჰყურებდა სიბნელისაგან შეცვლილ, მაგრამ ახლა უფრო ნაცნობ გომურებს, ღობეს, ბალახით დაფარულ მარხილის ხელნებს, და გული სიბრალულით ეკვნებოდა, რადგან ისინი მისნაირი იყვნენ, ოღონდ იგ იყო, რომ დუმდნენ, ადგილიდან არ იძვროდნენ და ოდესმე სამუდამოდ ჩაკვდებოდნენ.

საშა ფიქრობდა, თუ აქედან წავალ, მთელი ეზო ერთ ადგილას ყოფნით მეტად მოიწყენსო, და უხაროდა, რომ მისი იქ ყოფნა საჭირო იყო.

ქოხში ახალშობილი ატირდა და თავისი ხმით, ვერანაირ სიტყვას რომ ვერ მიამსგავსებდი, ჭრიჭინას გაბმული მოძახილი დაფარა. ჭრიჭინა გაჩუმდა. ისიც ალბათ დამაფრთხობელ ყვირილს უსმენდა. ქოხიდან პროშკა გამოვიდა, ხელში პროხორ აბრამოვიჩის ქუდი და ის აბგა ეჭირა, შემოდგომაზე საშას საჩათხოვროდ რომ წამოჰკიდეს.

-საშკა! - ღამის ჩახუთული ჰაერი გააპო პროშკას ხმამ. - მოდი აქ მალე, შე მუქთახორა!

საშა ახლოს მივიდა.

-რა გინდა?

-აჰა, მამამ ქუდი გაჩუქა. ესეც აბგა. გასწი და ზურგიდან აღარ მოგხსნა. რასაც ნ მოაგროვებ, თვითონ შეჭამე, ჩვენ ნუ მოგვიტან...

საშამ ქუდი და აბგა გამოართვა.

-თქვენ აქ უჩემოდ იქნებით? - ჰკითხა საშამ, არ სჯეროდა, რომ ისინი ასეთ უყვარდათ.

-მაშ არა? უშენოდ ვიქნებით! - უთხრა პროშკამ. - ერთი მუქთამჭამელი ვიღაც მოგვემატა. ის რომ არ გაჩენილიყო, შენც შეგინახავდით. ახლა კი შენი ადგილი აღარ გვაქვს, - ზედმეტი ბარგი ხარ, დედაჩემს ხომ არ გაუჩენიხარ, შენით

გაჩნდა...

საშა ჭიშკრიდან გავიდა. პროშკა ერთხანს მარტო იდგა და მერე თვითონაც ქუჩაში გავიდა - ობლისათვის უნდა გაეხსენებინა, უკან აღარ დაბრუნდეო. საშა ჯერ არსად წასულიყო, იდგა და ქარის წისქვილისაკენ იყურებოდა, საიდანაც ოდნავ შბელუტავი შუქი გამოდიოდა.

- საშკა! - უბრძანა პროშკამ. - ჩვენსა ფეხი აღარ მოადგა, აბგამე პური ხომ ჩაგიდეთ. ქუდი ხომ გაჩუქეთ... ჰოდა, ახლა გასწი. თუ გინდა, ამაღამ კალოზე დაიძინე, ღამით სად წახვალ... მაგრამ ჩვენს ფანჯარასთან აღარ გამოჩნდე, თორემ მამა გონს მოვა...

საშა სასაფლაოსკენ მიმავალ ქუჩას გაუყვა. პროშკამ ჭიშკარი შეიკეტა, ეზო მოათვალიერა და დაუდევრად დაგდებული ლატანი აიღო.

- აბა, თუ ერთი წვეთი მაინც ჩამოაგდოს! - მრავლისმნახველი კაცივით ჩაილაპარაკა პროშკამ და ნაკბილარიდან გამოაწიტა. - აბა, თუ გაბედოს! თუ გინდა, მიწას ურტყი თავი, რას უშველი! ეშმაკმა დასწყევლოს!

საშა მამის საფლავთან მიიპარა და სანახევროდ გამოთხრილ ქვაბულში დაწვა. ჯვრებს შუა როცა მიადგოდა, ეშინოდა, მაგრამ მამის სიახლოვეს ისევე მშვიდად დაიძინა, როგორც ოდესღაც ტბის ნაპირას მიწურში იძინებდა.

მოგვიანებით სასაფლაოზე ორი გლეხი მოვიდა. ისინი ჯვრებს დასაწვავად უჩუმრად ამტვრევდნენ. მაგრამ ღრმა ძილში წასულ საშას არაფერი გაუგონია.

ზახარ პავლოვიჩი ისე ცხოვრობდა, არავინ სჭირდებოდა - შეეძლო, საათობით მჯდარიყო ორთქლმავლის საცეცხლის წინ და ცეცხლისთვის ეცქირა.

ადამიანებთან მეგობრობითა და საუბრით მიღებული დიადი სიამოვნების მაგივრობას ეს უწევდა. ბრიალა ცეცხლს რომ უცქეროდა, ზახარ პავლოვიჩს თავადაც სიცოცხლის ხალისი ემატებოდა, მისი გონება ფიქრობდა, გული გრძნობდა და მთელი სხეული წყნარად ნეტარებდა. ზახარ პავლოვიჩი პატივს სცემდა ქვანახშირს, რკინის სხმულს - ყოველგვარ დაუმუშავებელ ნედლეულს და ნახევარფაბრიკატს, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ მზა ნაკეთობა უყვარდა, ის, რადაც ნედლეული იქცეოდა ადამიანის შრომის შედეგად და რაც შემდეგ დამოუკიდებელ ცხოვრებას განაგრძობდა. შუადღის შესვენებისას ზახარ პავლოვიჩი ორთქლმავალს თვალს არ აცილებდა და მისი სიყვარულით უჩუმრად ტკბებოდა. თავის ბინაზე ერთთავად ჭანჭიკებს, ძველ ვენტილებს, ონკანებს და სხვა მექანიკურ ნაკეთობებს ეზიდებოდა, მაგიდაზე რიგრიგად ალაგებდა და მათი თვალიერებით თავს იქცევდა; მარტოობისას სევდა არასოდეს ეუფლებოდა. ზახარ პავლოვიჩი მარტო არც იყო - მანქანებს იგი ადამიანებივით ეპყრობოდა, ისინი გამუდმებით ალაგზნებდნენ მის გრძნობებს, ფიქრებს და სურვილებს. ორთქლმავლის წინა წყვილთვალი, კოჭას რომ ეძახდნენ, ზახარ პავლოვიჩს სივრცის უსასრულობაზე შეაფიქრიანებდა ხოლმე იგი ღამით საგანგებოდ გადიოდა გარეთ ვარსკვლავების ჩაქერად, რომ ენახა, ვრცელი იყო თუ არა საშყარო, ბორბლებს ადგილი ეყოფოდა თუ არა სამუდამო არსებობისა და ბრუნვისათვის. ვარსკვლავები თავდაიწყებით, მაგრამ ცალ-ცალკე ანათებდნენ. ზახარ პავლოვიჩმა გაიფიქრა, ცა რას ჰგავსო, და საკვანძო სადგური გაახსენდა, სადაც იგი ორტახებისთვის გაგზავნეს. ვაგზლის ბაქნიდან მოჩანდა მთელი ზღვა

ცალკეული შუქნიშნებისა; მოჩანდა ისრები, სემაფორები, გზაჯვარედინები, ცენტრალიზაციისა და ჯიხურების შუქი, მოძრავ ორთქლმავალთა მოელვარე პროექტორები. ცაც ასეთი იყო, ოღონდ უფრო შორი და წყნარი მუშაობისათვის უკეთ მოწყობილი. მერე ზახარ პავლოვიჩმა თვალით დაიწყო ვერსების აზომვა ლურჯად მოციმციმე ვარსკვლავებამდე. ხელები მასშტაბის ... გაშალა და ეს მასშტაბი აზრით სივრცეს შეუფარდა. ვარსკვლავი ... ... იქით ენთო. ამ ამბავმა იგი შეაშფოთა, თუმცა წაკითხული ჰქონდა, სამყარო უსასრულოაო. თავადაც სურდა, სამყარო მართლაც უსასრულო ყოფილიყო, რათა ბორბლები მუდამ დასჭირვებოდათ და ყველას სასიკეთოდ განუწყვეტლივ დაემზადებინათ, მაგრამ უსასრულობა ვერა და ვერ შეიგრძნო.

-რამდენი ვერსია, არავინ იცის, იმიტომ, რომ შორია! - ამბობდა ზახარ პავლოვიჩი. - მაგრამ სადმე ჩიხი იქნება და უკანასკნელი გოჯი დასრულდება... უსასრულობა მართლა რომ იყოს, მაშინ თავისით დიდ სივრცეზე გაიშლებოდა და არავითარი სიმკვრივე აღარ იქნებოდა... უსასრულობა რანაირად იქნება? ჩიხი სადმე უნდა იყოს!

ის აზრი, რომ ბორბლებისათვის, ბოლოს და ბოლოს, სამუშაო აღარ იკმარებდა, ზახარ პავლოვიჩს ორ დღეს აღელვებდა, მერე კი სამყაროს გაწელვა მოიგონა, როცა ყველა გზა ჩიხს მიადგებოდა. სივრცის გახურება და დაგრძელება ხოლოვანი რკინის მსგავსად ხომ შესაძლებელი იქნებოდა. ჰოდა, გული ამით დაიმშვიდა.

მემანქანე-ზედამხედველი ამჩნევდა, ზახარ პავლოვიჩი გულდადებით რომ მუშაობდა - საცეცხლეებს ისე წმენდდა, ლითონს ოდნავაც არ აზიანებდა, თანაც სარკესავით აკრიალებდა. მაგრამ ზედამხედველი ზახარ პავლოვიჩს ერთ ტკბილ სიტყვასაც არ ეუბნებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ მანქანები უფრო მეტად თავისი ნება-სურვილით არსებობდნენ და მოძრაობდნენ, ვიდრე ადამიანების ჭკუით და უნარით. ადამიანები აქ არაფერ შუაში იყვნენ. პირიქით,ბუნების, ენერგიისა და ლითონის სიკეთემ ხალხი წაახდინა. საცეცხლეში ცეცხლის ანთებას ყოველი რეგვენი შეძლებს, მაგრამ ორთქლმავალი თავისით წავა, რეგვენი კი მხოლოდ ტვირთი იქნება: ტექნიკა შემდეგაც ასეთი დამყოლი თუ დარჩება, ადამიანები თავიანთ საეჭვო წარმატებათა გამო ჟანგად გადაიქცევიან; მაშინ ისინი მომუშავე ორთქლმავლებს უნდა გაასრესინო და მანქანა თავის ნებაზე მიუშვა. თუმცაღა, ზედამხედველი ზახარ პავლოვიჩს სხვებზე ნაკლებ ტუქსავდა, რადგან ზახარ პავლოვიჩი ჩაქუჩს უხეშად კი არა, შებრალებით ურტყამდა, ორთქლმავალში ყოფნისას უწესოდ არ იფურთხებოდა და მანქანებს იარაღებით უმოწყალოდ არ კაწრავდა.

-ბატონო ზედამხედველო! - მიმართა ეროხელ საქმის სიყვარულით გათამამებულმა ზახარ პავლოვიჩმა. - ნება მომეცით, გკითხოთ: რატომაა, რომ ადამიანი არც ცუდია და არც კარგი, მანქანები კი ერთიანად დიდებულნი არიან?

ზედამხედველი გულმოსული უსმენდა, რადგან ორთქლმავლების სიყვარული თავის პრივილეგიად მიაჩნდა და ამიტომ ეჭვიანობდა.

„ამ ეშმაკის კერძს დამიხედე, - გულში თქვა ზედამხედველმა, - ამანაც მოძინდომა მექანიზმები, ღმერთო ჩემო!"

მათ წინ ორთქლმავალი იდგა, ღამით ჩქარი მატარებელი რომ უნდა წაეყვანა

და ახლა აბურებდნენ. ზედამხედველი დიდხანს უყურებდა ორთქლმავალს და გული ჩვეული სიხარულითა და თანაგრძნობით ეესებოდა. დიდებულად იდგა დიდსულოვანი, უზარმაზარი, შემთბარი და სახსრებშემართული, ტანმალალი ორთქლმავალი. ზედამხედველმა უნებლიე აღფრთოვანების მოზღვავება იგრძნო და გულისყური დაბა. დეპოს ღია ჭიშკრიდან მოჩანდა ზაფხულის საღამოს ბინდით მოცული სივრცე, მშფოთვარე მომავალი, სადაც ცხოვრება გაიქროლებდა ქარში, რელსთან გრიალსა და სტიქიურ სიჩქარეში, ღამეულ თავდავიწყებაში, რისკსა და ზუსტი მანქანების ნაზ გუგუნში.

მემანქანე-ზედამხედველმა ხელები მომუშტა სხეულში მძვინვარე სასიცოცხლო ძალთა მოწოლისგან, სიფაბუკეს და მქუხარე მომავლის წინათგრძნობას რომ ჰგავდა. დაავიწყდა, ზახარ პავლოვიჩს დაბალი კვალიფიკაცია რომ ჰქონდა და, როგორც თანასწორ მეგობარს, ისე უპასუხა:

-ხედავ, მუშაობამ როგორ დაგაჭკვიანა! მაგრამ ადამიანი უვარგისია! შინ უქმად გდია და გროშკაპიკად არ ღირს... აი, ვთქვათ ფრინველები...

ორთქლმავალმა დაიქშუტუნა და ზედამხედველის ხმა ჩაახშო.

ზედამხედველი და ზახარ პავლოვიჩი გარეთ, ღამეული ხმებით აჟღერებულ ჰაერზე გავიდნენ და გაგრილებულ ორთქლმავალთა შორის გზას გაუყვნენ.

-აი, ვთქვათ ფრინველები! მშვენიერნი არიან, მაგრამ ამქვეყნად არაფერს ტოვებენ, იმიტომ რომ არ მუშაობენ! გინახავს, ფრინველი რომ მუშაობდეს? არ გინახავს! საჭმლისათვის, სამყოფლისთვის რაღაცას ჯახირობენ, მაგრამ, აბა, ინსტრუმენტული ნაკეთობანი თუ აქვთ? არა აქვთ და არც შეიძლება, რომ ჰქონდეთ.

-ადამიანს რაღა აქვს? - ვერ მიმხვდარიყო ზახარ პავლოვიჩი.

-ადამიანს მანქანები აქვს! გაიგე? ადამიანი ყოველგვარი მექანიზმის საწყისია, ფრინველი კი საკუთარი თავის დასასრულია...

ზახარ პავლოვიჩი ზედამხედველის მსგავსად ფიქრობდა, მაგრამ შესაფერისი სიტყვების შერჩევაში ჩამორჩებოდა, რაც მის აზრთა მდინარებას მომაბეზრებლად ამუსრუჭებდა. ორივეს- მემანქანე-ზედამხედველსაც და ზახარ პავლოვიჩსაც - ადამიანის ხელმიუკარებელი ბუნება, ნადირი იქნებოდა თუ ხე, ნაკლებ მშვენიერად, მკვდრად მიაჩნდა. ნადირი და ხე მათ თანაგრძნობას არ იწვევდა, იმიტომ რომ იმათ შექმნაში არც ერთი ადამიანი არ მონაწილეობდა, მათ არსებას ადამიანის ერთი ზუსტი, ოსტატური დარტყმის კვალიც კი არ აჩნდა. ისინი თავისთვის, ზახარ პავლოვიჩის დახრილ თვალთა მიღმა არსებობდნენ. ყოველგვარი ნაკეთობა კი, განსაკუთრებით ლითონისა, პირიქით, სულჩადგმული, ოავისი მოწყობილობითა და ძალით თვით ადამიანზე უფრო საინტერესო და დუძალი იყო. ზახარ პავლოვიჩს ძალიან ატკბობდა ერთი აკვიატებული ფიქრი: ადამიანის დიადი, ფარული ძალა უეცრად რა გზით გამოვლინდებოდა საოცარ მანქანებში, რომელნიც მუშებზე ყოველნაირად უმჯობესნი იქნებოდნენ.

მემანქანე-ზედამხედველი ნამდვილად მარტალი იყო., როცა ამბობდა, ყოველი კაცი შრომაში საკუთარ თავს აჭარბებს - იმაზე უკეთეს და გამძლე ნაკეთობებს ქმნის, ვიდრე თვითონ არისო. ამას გარდა, ზახარ პავლოვიჩი ორთქლმავლებში იმავე ცხოველმყოფელ, მოელვარე ძალას ხედავდა, რაც მუშაკაცის არსებაში დუმდა და გამოსავალს ვერ პოულობდა. ზეინკალი, ჩვეულებრივ, კარგად მაშინ

ლაპარაკობდა, როცა გამოთვრებოდა, ორთქლმავალი კი ადამიანს შუდამ უფრო დიდსა და შიშისმოშგერელს წარმოაჩენდა.

ერთხელ ზახარ პავლოვიჩი დიდხანს ეძებდა საჭირო ჭანჭიკს, რომ მოწყვეტილ ქანჩში კუთხვილი გაეტარებინა. დეპოში დადიოდა და ყველას ეკითხებოდა, სამ მერვედ კუთხვილიანი ჭანჭიკი ხომ არავის გაქვთ. ესეთი ჭანჭიკი ყველას ჰქონდა, მაგრამ არავინ გამოუჩინა. ეუბნებოდნენ, არა გვაქვსო. სამუშაოსგან თავმობეზრებული ზეინკლები თავს იმით იქცევდნენ, რომ ერთმანეთს საქმის კეთებას უძნელებდნენ. ზახარ პავლოვიჩს ჯერ არაფერი გაეგებოდა ამ ძალული ეშმაკობა-გართობისა, ყოველ სახელოსნოში რომ სჩვეულებრივ. ამგვარი უჩუმარი გამასხარავება დანარჩენ ხელოსნებს ხანგრძლივი სამუშაო დღის გალევას და ერთფეროვანი შრომით გამოწვეული სევდის დაძლევას უადვილებდა. შეზობელთა თავშესაცქმევად ზახარ პავლოვიჩი ბევრ რამეზე დროს ტყუილ-უბრალოდ კარგავდა. ჩვრისთვის საწყობში მიდიოდა, როცა ჩვრები კანტორაშიც მთასავით იყო დახვავებული; ფიცრის კიბეებს და ხეთის ბიდონებს აკეთებდა, დეპოში თავზე საყრელად რომ იყო; ვიღაცის ჩაგონებით ორთქლმავლის ქვაბის საკონტროლო საცობთა გამოცვლასაც კი აპირებდა და, ერთ ცვლაზე დროზე რომ არ გაეფრთხილებინა, ზახარ პავლოვიჩს სამუშაოდან უსიტყვოდ დაითხოვდნენ.

ზახარ პავლოვიჩმა იმჯერად შესაფერისი ჭანჭიკი ვერ იშოვა და ჭანჭიკის ნატეხის გამოსაგდებად რკინის ჭოკის მორგებას შეუდგა და მოარგებდა კიდეც, რადგანაც მოთმინებას არასოდეს კარგავდა, მაგრამ ვიღაცამ დაუძახა:

-ჰეი, სამ მერვედ კუთხვილიანო, მოდი, ჭანჭიკი წაიღე!

იმ დღიდან ზახარ პავლოვიჩს მეტსახელად „სამ მერვედ კუთხვილიანი“ შარქვეს, სამაგიეროდ, ნაკლებად ატყუებდნენ, როცა რაიმე ხელსაწყო სასწრაფოდ დასჭირდებოდა.

ის კი ვერავინ გაიგო, რომ ზახარ პავლოვიჩს მეტსახელი ნათლობის სახელზე მეტად მოეწონა, რადგან ყოველი მანქანის საპასუხისმგებლო ნაწილს ამგვანებდა და თითქოს ხორციელად აერთიანებდა იმ ჭეშმარიტ სამყაროსთან, სადაც რკინის დუიმები მიწის ვერსებს ჯაბნიდნენ.

ზახარ პავლოვიჩს ყმაწვილობაში ეგონა, გაიზრდები და დაეჭკვიანდებიო. მაგრამ ცხოვრება სრულიად უანგარიშოდ და შეუჩერებლად გაიდა, თითქოს რალაცით განუწყვეტელი გატაცება ყოფილიყო. ზახარ პავლოვიჩს დრო წინ შემხვედრ მკვრივ ნივთიერებასავით ერთხელაც არ შეუგრძვნია. დრო მისთვის მხოლოდ მაღვიძარა საათის გამოუცნობი მექანიზმის სახით არსებობდა. მაგრამ როცა ქანქარის საიდუმლოება გაიგო, ნახა, რომ დრო არ არსებობდა - იყო მხოლოდ შეკუმშული ზამბარის თანაბარი ძალა. მაგრამ ბუნებაში რალაც წყნარი და ნაღვლიანი ძალები უსასრულოდ მოქმედებდა. ზახარ პავლოვიჩი მდინარეებს აკვირდებოდა და ამჩნევდა, რომ მათი არც სიჩქარე იცვლებოდა, არც წყლის დონე, და ეს უცვლელობა მტანჯველ სევდას ბადებდა. რა თქმა უნდა, იყო წყალდიდობაც, თქეშიც, სულის შემხუთველი ქარიც, მაგრამ უმეტესად წყნარი, უშფოთველი ძალები მოქმედებდა: მიედინებოდა მდინარე, იზრდებოდა ბალახი, ერთმანეთს ცვლიდნენ წელიწადის დრონი. ზახარ პავლოვიჩი ფიქრობდა, ამ

თანაბარმოქმედი ძალებისაგან მოელ დედამიწას გარინდება ეუფლებაო, და მისი გონება რწმუნდებოდა, რომ არაფერი არ გაუმჯობესდებოდა. სოფელი და ხალხი როგორიც იყო, ისეთივე დარჩებოდა. ბუნებაში ტიტანალოვნების შესანარჩუნებლად ადამიანთათვის უბედურება მუდამ მეორდება. ოთხი წლის წინ სოფელში მოუსაელიანობა იყო - გლეხები საშოვარზე წავიდნენ, ბავშვები კი ნაადრევად დაიხოცნენ - მაგრამ ამ უბედურებას სამუდამოდ [illegible] ეგულებია, ისე დაბრუნდა, რათა საზოგადო ცხოვრების დინების სიზუსტე არ დარღვეულიყო.

ზახარ პავლოვიჩს ხანი სულ ემატებოდა და ემატებოდა, მაგრამ გაოცებული ამჩნევდა, რომ თავად არ იცვლებოდა და არ ჭკვიანდებოდა, ზუსტად ისეთივე რჩებოდა, როგორიც ათი-თხუთმეტი წლისა იყო; მხოლოდ ზოგიერთი უწინდელი წინათგრძნობა ახლა ჩვეულებრივ აზრად ექცა, მაგრამ ამით არაფერი გაუმჯობესებულა. მომავალი ცხოვრება ადრე შორეულ, თითქმის არარსებულ ლურჯ, ღრმა სივრცედ ესახებოდა. წინასწარვე იცოდა, რაც უფრო მეტს იცხოვრებდა, განუვლელი ცხოვრების სივრცე მით უფრო შემცირდებოდა, უკან დარჩენილი მკვდარი, გატკეპნილი გზა კი გაგრძელდებოდა. მაგრამ მოტყუვდა: ხანი მოემატა და მის წინ მომავალიც განივრცო - უფრო ღრმა და იღუმალი შეიქმნა, ვიდრე ჭაბუკობისას იყო, თითქოს ზახარ პავლოვიჩი თავისი ცხოვრების დასასრულიდან უკან იხევდა, ანდა იმედები და ცხოვრების რწმენა ემატებოდა.

როცა ორთქლმავლის ფარნების მინაში საკუთარ თავს დაინახავდა, გულში იტყოდა: - საკვირველია, მალე მოვკვდები, ისევ კი ისა ვარ, რაც ადრე ვიყავიო.

შემოდგომის დამდეგს კალენდარში უქმეები გახშირდა: ერთხელ სამი უქმე ერთმანეთს მიჰყვა. ზახარ პავლოვიჩი ასეთ დღეებში მოიწყენდა ხოლმე და რკინიგზას შორს გაუყვებოდა, რომ სწრაფად მიმავალი მატარებლები ენახა. გზაზე მახტების ახლოს დაბაში შეგლა მოუნდა, სადაც დედამისი იყო დასაფლავებული. ზუსტად ახსოვდა ის ადგილი და დედის უწარწერო, უტყვი საფლავის გვერდით სხვისი რკინის ჯვარი. იმ ჯვარზე შემონახული იყო დაჟანგული, თითქმის გამქრალი, ერთი საუკუნის წინანდელი წარწერა, რომელიც იუწყებოდა, რომ 1815-წელს ქოლერის ხენით გარდაიცვალა ქსენია ფიოდოროვნა ირეშნიკოვა, შობითგან თვრამეტი წლისა და სამი თვისა. ამას გარდა წარწერილი იყო: „საყვარელო შვილო, მშვიდად განისვენე ყრმათა და მშობელთა შეყრამდე".

ზახარ პავლოვიჩს ძალიან მოუნდა, საფლავი ამოეთხარა და ენახა დედა. მისი ძვლები, თმა და დასაფერფლად განწირული ყოველი მცირედი ნაშთი საკუთარი ბავშვობის დროინდელი ხამყოფლისა. ახლაც არ იტყოდა უარს, დედა ცოცხალი რომ ჰყოლოდა, რადგან ვერ გრძნობდა, რომ ბავშვობის მერე მაინცდამაინც ძალიან შეიცვალა. მაშინაც, ყრმობის დროინდელ ცისფერ ბურუსში, მესრის ლურსმნები, გზისპირა სამჭედლოების კვამლი და ურმის თვლები უყვარდა - იმიტომ, რომ ბრუნავდნენ.

ხახლიდან სადაც არ უნდა წასულიყო პატარა ზახარ პავლოვიჩი, იცოდა, რომ მის დედა ელოდა, და ამიტომ არაფრისა ეშინოდა.

რკინიგზას ორივე მხრიდან ბუჩქნარი მიუყვებოდა. ბუჩქების ჩრდილში ზოგჯერ მაიხოვრები ისხდნენ; ან ჭამდნენ ანდა ფეხსაცმელს ისწორებდნენ. ისინი ხედავდნენ, ორთქლმავლები მატარებლებს ზარ-ზეიმით რომ

მიაქროლებდნენ, მაგრამ არც ერთმა მათხოვარმა არ იცოდა, თავად ორთქლმავალს რა ამოძრავებდა. ის კი არა, თავში ერთხელაც არ გაუვლიათ მარტივი აზრი - ამქვეყნად რისთვის, რა ბედნიერებისათვის ცხოვრობენ. რა რწმენა, იმედი, სიყვარული აძლევდა ძალას მათ ფეხებს მტვრიან გზებზე სასიარულოდ, არც ერთმა მოწყალების მიმცემმა არ იცოდა. ბატონ პაველოვიჩი მათხოვარს გამოწვდილ ხელში ორიოდე კაპიკს რომ ჩაუდებდა, [illegible] იბდიდა იმის საფასურს, რასაც მათხოვრები მოკლებულნი იყვნენ. მას კი მინიჭებული ჰქონდა - მანქანების ცოდნა-გაგების საფასურს.

მიწაყრილზე გაბურძგნული ბიჭი იჯდა და ნაწყალობევს ახარისხებდა: დაობებულ პურს ცალკე გადადებდა, უფრო ახალ პურს კი აბგაში აწყობდა. ბიჭი გამხდარი იყო, მაგრამ მწუხარე სახეზე მხნეობა ეხატებოდა.

ადრიანი შემოდგომის სუფთა ჰაერზე სახეტიალოდ გამოსული ზახარ პაველოვიჩი შეჩერდა და პაპიროსი გააბოლა.

წუნდებულს აცალკევებ?

ბიჭმა ტექნიკური სიტყვა ვერ გაიგო.

-ძია, ერთი კაპიკი მაჩუქე, - თქვა მან, - ან პაპიროსი დამიტოვე!

ზახარ პაველოვიჩმა ხუთკაპიკიანი ამოიღო.

-შენ ნამდვილად ყალთაბანდი იქნები, - უბოროტოდ უთხრა ბიჭს; კეთილი გულით ნაწყალობევი უხეში სიტყვით გააბა[illegible]ლა, რომ თვითონ არ შერცხვენოდა.

-ყალთაბანდი კი არა, მათხოვარი ვარ, - უპასუხა ბიჭმა, თან პურის ქერქს აბგაში ტენიდა. - დედ-მამა მყავს , მაგრამ შიმშილს გაექცნენ.

-მაშ მთელი ფუთი პური ვისთვის გაამზადე?

-შინ უნდა წავიღე. იქნებ დედამ ბავშვები მოიყვანა და რა უნდა აჭამოს?

-ვისი ბიჭი ხარ?

-მამაჩემისა, უპატრონო კი არა ვარ. აი, ისინი სულ ყალთაბანდები არიან, მე კი მამაჩემი მწკეპლავდა.

-მამაშენი ვიღასია?

-მამაჩემიც დედაჩემის მუცლიდან გაჩნდა. მუცელს დაუზელენ და მუქთახორები პანტაპუნტით ჩნდებიან. შენ კი იმათი მუცელის ამოსაყორად უნდა იმათხოვრო!

მამაზე განაწყენებული ბიჭი დანაღვლიანდა. ხუთკაპიკიანი ყელზე ჩამოკიდებულ ქისაში ადრევე შეინახა. სპილენძის ფული შიგ საკმაოდ ეყარა.

-ალბათ დაიღალე, არა. - ჰკითხა ზახარ პაველოვიჩმა.

-დაიღლები, მაშ რა იქნება, - დეთანხმა ბიჭი. - თქვენისთანა ეშმაკის კერძებს განა რაიმეს იოლად გამოსტყუებ? სანამ რამეს მოგცემენ, იმდენს გალაპარაკებენ, ლაქლაქისაგან მოგშიეა კიდეც! ხუთკაპიკიანი მაჩუქე და ახლა ალბათ ნანობ. მე კი არაფრის გულისათვის არ გავიმეტებდი.

ბიჭმა გადანარჩენი პურის გროვიდან ორიანი ნატეხი აიღო, ეტყობოდა, უგეთესი პური სოფელში მშობლებთან მიჰქონდა, უხეიროს კი თვითონ ჭამდა. ზახარ პაველოვიჩს ეს უმალვე მოეწონა.

-მამას ალბათ უყვარხარ?

-სულაც არ ეყვარვარ; მამაჩემი უქნარაა. დედა უფრო მიყვარს, შიგნეულიდან სისხლი სდის. ერთხელ პერანგი გაეურეცხე, როცა ავად იყო.

-მამაშენი ვინ არის?

-ძია პროშკა.. შე ხომ აქაური არა ვარ...

ზახარ პავლოვიჩს მეხსიერებაში უნებურად გაუცოცხლდა [illegible] ქოხის საკვამურიდან თავამოყოფილი მზესუმზირა და შამბმოდებული [illegible] ქუჩა.

-მაშ პროშკა დეანოვი ხარ, შე მამაძაღლო?

ბიჭმა პირიდან დაულეჭავი მწვანე პურის ლუგმა [illegible] არ გადაუგდია, აბგაზე დადო, რომ მერე შეეჭამა.

-შენ ძია ზახარკა ხარ?

-ისა ვარ!

ზახარ პავლოვიჩი დაჯდა. მან ახლა დრო ისე შეიგრძნო, როგორც დედის კალთას მოწყვეტილი პროშკას ხეტიალი უცხო ქალაქებში. ნახა, რომ დრო მწუხარების მდინარება იყო და ისეთივე საგრძნობი რამ, როგორც ყოველგვარი ნიეთიერება, თუნდაც დასამუშავებლად გამოუსადეგარი.

ვილაც ყმაწვილი, მონასტრიდან გამოგდებულ მორჩილს რომ ჰგავდა, ოავისი გზით კი არ წავიდა, მიწაყრილთან ჩამოჯდა და მოსაუბრეებს დააშტერდა. ტუჩები წითელი ჰქონდა, ძუძუმწოვრებს რომ აქვთ ხოლმე. ისეთი წითელი და ამობურცული, თვალები კი თვინიერი, მაგრამ გამჭრიახობას მოკლებული. ასეთი სახე მდაბიო ხალხს არა აქვს, ვინც გახუნყვეტელი გაჯაჭვრისგან თავის დაღწევას არის ნაჩვევი.

მორჩილმა, განსაკუთრებით მისმა ტუჩებმა, პროშკა გაალიზიანა.

-ტუჩები რას გამოგიბერია? ხელზე გინდა მაკოცო?

მორჩილი წამოდგა და წავიდა, თუმცა თვითონაც კარგად არ იცოდა, სად მიდიოდა.

პროშკამ ეს უმალ იგრძნო და მორჩილს მიაძახა:

-წავიდა, მაგრამ საით წავიდა, თვითონ არ იცის. რომ შემოაბრუნო, უკან წამოვა. უჰ, ეს მუქთახორები!

ზახარ პავლოვიჩი, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა პროშკას ნაადრევმა გონიერებამ. თავად ადამიანებს გვიან შეეჩვია და ისინი დიდხანს თავისზე ჭკვიანებად მიაჩნდა.

-პროშკა, რა იქნა ობოლი ბიჭი, მეთევზის შვილი? - ჰკითხა პროშკას. - დედაშენმა რომ წაიყვანა გასაზრდელად.

-საშკაზე მეკითხები? - მიხვდა პროშკა. - სოფლიდან ჯველაზე ადრე ის გაიქცა! ისეთი წყეული ვინმეა, მისგან სიცოცხლე გვქონდა გამწარებული! უკანასკნელი პური აგვწაპნა და ლამით გაიპარა! მე დიდხანს ვდეგ, მაგრამ ვიფიქრე, - ჯანდაბას იმისი თავი-მეთქი, - და შინ დავბრუნდი.

ზახარ პავლოვიჩმა დაუჯერა და ჩაფიქრდა.

- მამაშენი რა იქნა?

-საშოვარზე წავიდა. მთელი ოჯახი სარჩენად მე დამიტოვა. პური ჩამოვითხოვე, სოფელში დავბრუნდი, იქ კი ადარც დედა დამხვდა და ადარც ძმები. ქოხებში ხალხის სანაცვლოდ ჭინჭარია ამოსული...

ზახარ პავლოვიჩმა პროშკას ათშაურიანი მიხცა და სთხოვა, ქალაქში როცა ჩამოხვალ მინახულეო.

-ქუდი რომ მომცე, რა იქნება! - უთხრა პროშკამ. - მაინც არაფერი გენანება.

ორივემ წყიმაში თავი მიხველდება და გავცივდები.

ზახარ პავლოვიჩმა ქუდს რკინიგზელის ნიშანი ახსნა, რადგან მისთვის ის უფრო ძვირფასი იყო, და ქუდი პროშკას მისცა.

ჩქარმა მატარებელმა ზაირა. პროშკა სასწრაფოდ წამოდგა წასასვლელად. შეეშინდა, ზახარ პავლოვიჩმა ფული და ქუდი უკანვე არ წამართვას. ქუდი აბურძგნულ თავზე კარგად მოურგო, მაგრამ პროშკამ მხოლოდ შოხასინჯად დაიხურა, მერე მოიხადა და პურის აბგაში ჩაიდო.

-კარგად იყავი, ძმვიდობით, - უთხრა ზახარ პავლოვიჩმა.

-შენ რა გიჭირს, პური არ გაკლია, - დაამშვიდა პროშკამ. - ჩვენ კი პურიც გვესაჭრება.

ზახარ პავლოვიჩმა ალარ იცოდა, რა ეთქვა, ალარც ფული ჰქონდა, რომ მიეცა.

- ამას წინათ ქალაქში საშკა ვნახე, - თქვა პროშკამ. - იმ საწყალს ალბათ ბალე სული ამოძვრება: არავინ არაფერს არ აძლევს, მათხოვრობაც არ შეუძლია. ჩემი მოთხოვნილი პური მიეცი, თვითონ არ მიჭამია. დედაჩემს ობოლი ხომ შენ შეაჩეჩ - ახლა მისი წილი ფული მომეცი! - ხმა დაისერიოზულა და ისე დაასრულა პროშკამ.

-იქნებ საშკა როგორმე მომიყვანო, - უთხრა ზახარ პავლოვიჩმა.

- რას მოიტყუებ? - წინასწარ ჰკითხა პროშკამ.

ხელფასს რომ ავიღებ, მანეთს მოგცემ.

- კარგი, - უთხრა პროშკამ. - მე კი მოგიყვან, მაგრამ იცოდე, არ მიიჩვიო, ორივემ თავზე წამოგადგება.

პროშკა იქითკენ არ წასულა, საითაც იმათი სოფლისკენ მიმავალი გზა მიდიოდა. ალბათ თავისი მოსაზრება და პურის შოვნის შორსმჭვრეტელური გეგმები ჰქონდა.

ზახარ პავლოვიჩმა თვალი გაყოლა და, ცოტა არ იყოს, შეეჭვდა, რომ მანქანებსა და ნაგვთობებს ყოველ ადამიანზე მეტი ფასი ჰქონდა.

რაც უფრო შორს მიდიოდა პროშკა, მით უფრო შესაბრალისი ჩანდა მისი ერთი ცალქნა სხეული ვრცლად გადაჭიმულ გარემოში. იგი რკინიგზაზე ფეხით მიდიოდა. სხვები რომ ზედ მატარებლით მგზავრობდნენ, ეს მისთვის ვერაფერი ბუგეში იყო. პროშკა ხიდებს, რელსებსა და ორთქლმავლებს ისევე გულგრილად უყურებდა, როგორც გზისპირა ხეებს, ქარსა და ქვიშას. ყოველგვარი ხელოვნური ნაგებობა მისთვის სხვის მიწაზე გაშენებული ბალისგან არ განსხვავდებოდა. თავისი სხარტი, განმსჯელი გონების წყალობით პროშკა როგორღაც თავს ირჩენდა. საკუთარ ჭკუას სრულად ალბათ ვერც გრძნობდა. ეს იმაზე ეტყობოდა, რომ უცაბედად, ითიქმის შეუგნებლად იტყოდა რაღაცას და თვითონვე აკვირვებდა თავისი სიტყვები, რომელთა აზრი მისი ბავშვური ცნობიერების ზღვარს სცილდებოდა.

პროშკა რკინიგზის მოსახვევს მიეფარა. მარტოდმარტო, პატარა, უმწეო ბიჭი ზახარ პავლოვიჩს შეებრალა; უნდოდა უკანვე დაებრუნებინა და სამუდამოდ თავისთან ჰყოლოდა, მაგრამ ვეღარ დაეწეოდა.

დილით ზახარ პავლოვიჩს გულმა სამსახურისკენ ძველებურად ალარ გაუწია. ხალამითი მოიწყინა და მაშინვე დასაძინებლად დაწვა. ჭანჭიკებმა, ონკანებმა და ძველმა მანიმეტრებმა, შუდამ მაგიდაზე რომ ეწყო, ნაღვლები ვეღარ გაუქარვა -

დაჰყურებდა ამ საგნებს, მაგრამ თავს მათ გარეშოში ველარ გრძნობდა. მკერდს რალაც უბურლავდა, თითქოს გული ღრჭიალ-ღრჭიალით უკულმა დაუტრიალესო. ზახარ პავლოვიჩს ვერა და ვერ დაეეიწყებინა პატარა, გამხდარი პროშკა, რკინიგზაზე რომ მიფარფატებდა და შორეულ, თითქოს უზარმაზარი ალდეებით ჩახერგილ სივრცეში უჩინარდებოდა. ზახარ პავლოვიჩი ნათლად გამოხატული აზრების, სიტყვათა რიული რიგის გარეშე, მხოლოდ შთაბეჭდილებებს ელმძრავ გრძნობათა გაფიცხებით ფიქრობდა, მაგრამ ესეც ჰყოფნიდა იმისათვის, რომ თავი გაეტანჯა. იგი ხედავდა პროშკას საცოდაობას, რომელმაც თვითონ არ იცოდა, რა დღეშიც იყო, ხედავდა რკინიგზას, პროშკასგან, მისი არსებისაგან განცალკევებით რომ მუშაობდა და ვერ გაეგო, ეს რატომ ხდებოდა, მხოლოდ ნალველი ეუფლებოდა და თავისი ნალველისთვის სახელიც ვერ დაერქმია.

მეორე დღეს - პროშკასთან შეხვედრიდან მესამე დღეს - ზახარ პავლოვიჩი დეპოშიც არ მისულა. შესასვლელ ჯიხურში ნომერი ჩამოხსნა და მერე ისევ უკანვე ჩამოკიდა. მთელი დღე ხრამში, ადრიანი შემოდგომის მზეზე, ჰაერში მოფრიალე აბლაბუდის ცქერაში გაატარა. სწრაფად მიმავალი ორთქლმავლების ბორბალთა ხმაური და საყვირის ხმა ესმოდა, მაგრამ მათ დასანახად ხრამიდან არ ამოდიოდა, რადგან ორთქლმავლის მიმართ მოწიწებას აღარ გრძნობდა.

მეთევზე მუტიოვის ტბაში დაიხრჩო, ბოგანო ტყეში მოკვდა, უკაცრიელ ხოცელს ბალახი მოედო, ეკლესიის დარაჯის საათი კი მუშაობდა, მატარებლები განრიგის მიხედვით მიმოდიოდნენ და ახლა ზახარ პავლოვიჩს მოწყენილობა და სირცხვილი ტანჯავდა საათებისა და ორთქლმავლების სწორი მუშაობის გამო.

„ნეტა, ჩემი ხნისა და ჭკუის მქონე პროშკა რას იზამდა?- საკუთარ თავს უდარებდა და აწონ-დაწონას ისე ცდილობდა ზახარ პავლოვიჩი. - რაშეს მოშლიდა ძალლის ლეკვი!.. თუმცა საშკა იმის სამეუფოშიც იმათხოვრებდა“.

თბილი ბურუსი მანქანების სიყვარულისა, რითაც მშვიდად და მყარად ცხოვრობდა ზახარ პავლოვიჩი, ახლა სპეტაკმა ქარმა გაფანტა და მის თვალწინ გამოისახა უმწეობა და ხიმარტოვე ადამიანებისა, რომელნიც განძრეულნი არსებობდნენ და თავს არ იტყუებდნენ მანქანათა შემწეობის რწმენით.

მემანქანე-ზედამხედველმა გული ნელ-ნელა აიცრუა ზახარ პავლოვიჩზე. უთხრა, მართლა მეგონა, რომ ძველ ოსტატთა მოდგმისა იყავი, შენ კი მხოლოდ შავი მუშა, წიდა ყოფილხარ და მეტი არაფერიო.

ზახარ პავლოვიჩი სულიერი შეშფოთების გამო ნამდვილად კარგავდა სიბეჯითესა და ოსტატობას. მხოლოდ ფულადი ანაზღაურების გულისათვის ლურსმანზე ჩაქუჩის სწორად დარტყმაც კი ძნელი გამოდგა. მემანქანე-ზედამხედველმა ეს ყველაზე უკეთ იცოდა. მას სწამდა, როცა მუშა მანქანის სიყვარულს დაკარგავდა, როცა შრომა უანგარიშო, აუნაზღაურებელი ბუნებრიობიდან მხოლოდ ფულადი საჭიროებისთვის ქმედებად გადაიქცეოდა, მაშინ დადგებოდა ქვეყნიერების აღსასრული, აღსასრულზე უარესი - უკანასკნელი ოსტატის სიკვდილის შემდეგ უკანასკნელი არამზადები აღსდგებოდნენ, რათა მზის ქვეშ არსებული ყოველივე ჩაენთქათ და ოსტატთა ნაკეთობანი გაუნადგურებინათ.

ცნობისმოყვარე მეთევზის შვილი ისეთი თვინიერი იყო, რომ ეგონა, ქვეყანაზე ყველაფერი მართლა ხდებაო. როცა მოწყალებას არ აძლევდნენ, სჯეროდა რომ

ყველანი მასავით ღარიბები იყვნენ. სიკვდილისგან იმან იხსნა, რომ ერთ ახალგაზრდა ზეინკალს ცოლი ავად გაუხდა და არავინ ყავდა ისეთი, ვისაც ავადმყოფს დაუტოვებდა, როცა თვითონ სამუშაოზე მიდიოდა. მის ცოლს კი ოთახში მარტო დარჩენისა ეშინოდა და ძალიან ნაღვლობდა. ზეინკალს მოეწონა დაქანცულობისგან სახეჩაშავებული ბიჭი, სამათხოვროდ რომ დადიოდა, მაგრამ უწყალობებდნენ რამეს თუ არა, ყურადღებას არ აქცევდა. მან ეგი მომვლელად მიუყვანა ავადმყოფ ქალს, ვინც ამქვეყნად ახლაც ყველას ერჩიბ[illegible]

საშა დილიდან საღამომდე ავადმყოფს ფეხთით უჯდა. იგი ისეთივე ლამაზი ეჩვენებოდა, როგორც დედამისი იყო, მამის ნაამბობით რომ იცნობდა. ამიტომ საშა ქალს ბავშვური ერთგულებით უვლიდა, რაც მანამდე ვერავისთან გამოიჩინა. ქალმა იგი შეიყვარა და ალექსანდრს ეძახდა, რადგან ქალბატონობას ვერ შეეგუა. მაგრამ ავადმყოფი მალე გამოჯანმრთელდა და მისმა ქმარმა საშას უთხრა: - აჰა, ბიჭიკო, ოცი კაპიკი, თავისუფალი ხარ, სადაც გინდა, წადიო.

საშასთვის ფული მანამდე არავის მიუცია. ახლა ზეინკალს ნაწყალობევი გამოართვა, გარეთ გავიდა და ატირდა. საპირფარეშოს გვერდით პროშკა ნაგავზე გადალაჯულიყო და ორივე ხელით ქექავდა. იგი ახლა ძვლებს, ძონძებს, თუნუქის ნაჭრებს აგროვებდა, თამბაქოს ეწეოდა და ნაგვიდან ანადენი მყრალი მტვრისგან სახე მობერებოდა.

-ისევ იცინგლები, შე ნიღნიღა მაიმუნო? - ჰკითხა პროშკამ საშას ისე, რომ საქმიანობა არ შეუწყვეტია. - მოდი აქ, ეს ნაგავი გაქექე, მე კი წავალ, ჩაის დავლევ, მლაშე რაღაც მაქვს ნაჭამი.

მაგრამ პროშა სამიკიტნოსკენ კი არა, ზახარ პავლოვიჩისკენ წავიდა. ზახარ პავლოვიჩი მცირე განსწავლულობის გამო წიგნს ხმამაღლა კითხულობდა: „გრაფმა ვიქტორმა სპეტაკ, მამაც გულზე ხელი დაიდო და თქვა: „ძვირფასო, მიყვარხარ."

პროშკამ ჯერ ყური მიუგდო, ზღაპარი ეგონა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და ზახარ პავლოვიჩს უთხრა:

-ზახარ პავლოვიჩ, მანეთი მომეცი და ობოლ საშას ახლავე მოგიყვან.

-ჰა? - შეკრთა ზახარ პავლოვიჩი და შემობრუნდა. ნაღვლიანი, დაბერებული სახე ჰქონდა, თუმცა, ცოლი ცოცხალი რომ ჰყოლოდა, ეს ბებრული სახე ახლაც ეყვარებოდა.

პროშკამ საშას ფასი გაუმეორა და ზახარ პავლოვიჩმა მანეთიანი მისცა, რადგან ახლა საშკას დანახვაც გაახარებდა. დურგალი შპალსაყელენთ ქარხანაში გადავიდა სამუშაოდ, ბინა მიატოვა და ზახარ პავლოვიჩი ორ ცარიელ ოთახში მარტო დარჩა. ბოლო ხანებში დურგლის შვილებმა თავი მთლად აიშვეს, ზახარ პავლოვიჩს მათგან მოსვენება არ ჰქონდა, მაგრამ თან ერთობოდა. ბიჭები ვაჟკაცდებოდნენ, მოჭარბებული ღონისთვის აღარ იცოდნენ, რა ექნათ, და სახლს რამდენჯერმე ცეცხლი წაუკიდეს. თუმცა სწრაფადვე ჩააქრობდნენ ხოლმე, სანას ხანძარი გაძლიერდებოდა. მამას შვილებზე გული მოსდიოდა, მაგრამ ისინი ეუბნებოდნენ: - ბერიკაცო, ცეცხლისა რად გეშინია!.. - რაც დაიწვება, აღარ დალპება; შენც რომ დაგწვათ, ურიგო არ იქნება, საფლავში აღარ გაიხრწნები და არ აყროლდებით!

წასვლამდე ბიჭებმა ფეხისადგილი წააქციეს და ეზოში 1 ᲩᲣᲚ ქოფაკს კუდი

მოაჭრეს.

პროშკა საშასთან მაშინვე არ წასულა, ჯერ ერთი კოლოფი პაპიროსი იყიდა და ლუქანში ქალებს გამოელაპარაკა.

მერე სანაგვესთან მივიდა და საშკას უთხრა:

-საშკა, გამომყევი, თავიდან უნდა მოგიშორო, რომ სათრევი არ გამიხდე!

შემდგომ წლებში ზახარ პავლოვიჩი თანდათან უფრო მოწყლულდებოდა. მარტო რომ არ მომკვდარიყო, ცოლი შეირთო - უხასიათო ქალი დარია სტეპანოვნა. ახლა არსებობას უმსუბუქებდა ის, რომ საკუთარ თავს ვერ ულრმავდებოდა: დეპოში საამისოდ არ სცალოდა, შინ კი ცოლი ერთთავად ბუზღუნებდა. კაცმა რომ თქვას, ამგვარი ორცხლიანი გაწამაწია ზახარ პავლოვიჩისთვის უბედურება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს სატანჯველი რომ მოსცილებოდა, მაშინ უსათუოდ მაწანწალობას დაიწყებდა. მანქანები და ნაკეთობანი ახლა ისერიგად აღარ აინტერესებდა. ჯერ ერთი, რამდენიც არ უნდა ემუშავა, ხალხი მაინც გაჭირვებით, საცოდავად ცხოვრობდა; მეორეც ის იყო, რომ სამყარო უნიათო ოცნების საბურველში იძირებოდა - ალბათ ზახარ პავლოვიჩი ძალიან დაიქანცა და ნამდვილად გრძნობდა უჩინარი სიკვდილის მოახლოებას. სიბერეში ასეთი რამ ბევრ შუშას ემართება: მკვრივი ნივთიერებანი, რასაც ათეული წლების მანძილზე ეხებიან, იდუმალად უნერგავენ ყოველივე არსებულის აღსასრულის გარდუვალობას. მათ თვალწინ მწყობრიდან გამოდიან ორთქლმავლები, წლობით დგანან ძხის ქვეშ და ეანგდებიან, მერე კი ჯართად იქცევიან. კვირაობით ზახარ პავლოვიჩი მდინარეზე სათევზაოდ დადიოდა და მთელ დღეს იმ აზრთა ჭვრეტას ანდომებდა, ბოლო ხანს თავში რომ მოსდიოდა.

შინ მისი ნუგეში საშა იყო, მაგრამ ამ ნუგეშის მთლიანად შეგრძნებასაც გამუდმებით მობუზღუნე ცოლი არ აცლიდა. იქნებ ეს უკეთესიც იყო: ზახარ პავლოვიჩს რომ შეძლებოდა, იმ საგნებს ბოლომდე ჩაღრმავებოდა, რაც იტაცებდა, ალბათ ატირდებოდა.

ასე მისდევდა ერთმანეთს უნიათო ცხოვრების წლები. ზახარ პავლოვიჩი ზოგჯერ, როცა ტახტზე იწვა, წიგნებში თავჩარგულ საშას შეეკითხებოდა:

-საშა, შენ არაფერი დაგაბნევს ხოლმე?

-არა, - უპასუხებდა მამობილის შეკითხვებს მიჩვეული საშა.

-რა გგონია, აუცილებელია, რომ ყველამ იცოცხლოს? - ეჭვი არ ასვენებდა ზახარ პავლოვიჩს.

-აუცილებელია, - ცოტათი მიუხვდებოდა გულისტკივილს საშა.

-არსად წაგიკითხავს, კაცმა რისთვის უნდა იცოცხლოს?

საშა წიგნს მიატოვებდა.

-მე წამიკითხავს, რაც დრო გავა, ცხოვრება უკეთესი იქნებაო.

-ჰო-ო! - ამბობდა გულდაჯერებული ზახარ პავლოვიჩი. - მაშ ასეა დაბეჭდილი?

-ასეა დაბეჭდილი.

ზახარ პავლოვიჩი ამოიოხრებდა:

-შესაძლებელია, კაცს ყველაფერი ხომ არ ეცოდინება.

უკვე ერთი წელი იყო, რაც საშა დეპოში შეგირდად მუშაობდა, ზეინკლობას

სწავლობდა. მანქანებისკენ გული მიუწევდა და დაოსტატებასაც ესწრაფოდა, მაგრამ ისე არა, როგორც ზახარ პავლოვიჩი. მისი სწრაფვა ცნობისმოყვარეობა არ ყოფილა, რაც მანქანის საიდუმლოების გაგებასთან ერთად დამთავრდებოდა. საშას მანქანა ,სხვა ყოველი მოქმედი და ცოცხალი არსის თანაბრად აინტერესებდა. მათი შეგრძნება, მათი ცხოვრების განცდა უფრო [illegible] შეცნობა. ამიტომ, როცა სამუშაოდან დაბრუნდებოდა, თავს ორთქლმავლად წარმოიდგენდა და იმავე ხმების წაბაძვას ცდილობდა, რასაც ორთქლმავალი მოძრაობისას გამოსცემდა. როცა ძილი მოერეოდა, გაიფიქრებდა, სოფელში ქათმებს უკვე დიდი ხანია, რაც სძინავთო, და ორთქლმავალთან ანდა ქათმებთან თავის მიდარება კმაყოფილებას ანიჭებდა. საშას არ შეეძლო, მარტოს ემოქმედა. ჯერ თავისი ქმედების მსგავს რაიმეს მოძებნიდა და მერე მოქმედებდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მისთვის ეს აუცილებელი იყო, არამედ იმიტომ, რომ რაიმესთვის ან ვინმესთვის თანაეგრძნო.

„მეც ისეთივე ვარ", - ხშირად იტყოდა გულში საშა. როცა ძველ მესერს უცქეროდა, მგრძნობიარედ გაიფიქრებდა, -თავისთვის დგასო! - და სადმე თვითონაც დადგებოდა, თუმცა იქ არაფერი ესაქმებოდა. შემოდგომობით, როცა დარაბები ნაღვლიანად აჭრიალდებოდა და საშას საღამოობით შინ ჯდომა მოსწყინდებოდა, დარაბებს ყურს მიუგდებდა და იგრძნობდა, ისინიც მოწყენილნი არიანო; ჰოდა, მოწყენილობაც გაუქრიდა.

როცა საშას სამუშაოზე სიარული მობეზრდებოდა, თავს იმითი იმშვიდებდა, ქარს არც დღე აქვს მოსვენება და არც ღამე, განუწყვეტლივ ქრისო.

-მეც იმასავით ვარ, - ქარს ადარებდა თავს საშა, - ოღონდ მე მარტო დღისით ვმუშაობ, ის კი ღამითაც არ ისვენებს, ჩემზე უარეს დღეშია."

მატარებლებმა სვლას მოუხშირეს - ომი დაიწყო, დეპოს მუშები ომის დაწყებას გულგრილად შეხვდნენ - ჯარში არ მიჰყავდათ და ამიტომ მათთვის ომიც ისევე უცხო იყო, როგორც ის ორთქლმავლები, რომლებსაც შეაკეთებდნენ და წასასვლელად გაამზადებდნენ; მათი შეკეთებული ორთქლმავლებით კი უქმი, უცხო ადამიანები მგზავრობდნენ.

საშა ერთფეროვნულად გრძნობდა, ცაზე როგორ მოძრაობდა მზე, გადიოდა წელიწადის დროები და დღისით და ღამით დაქროდნენ მატარებლები. იგი უკვე იცნობდა მეთევზე მამას, სოფელსა და პროშკას, და ასაკის მატებასთან ერთად მიემართებოდა იმ მოვლენებისა და საგნებისაკენ, რომელნიც მომავალში უნდა შეეგრძნო, თავის გულ-გონებაში გაეტარებინა. საკუთარ თავს საშა ისე ვერ ალიქვამდა, როგორც დამოუკიდებელ მყარ საგანს - იგი ყველაფერს გრძნობებით წარმოიდგენდა, რაც მისი არსებიდან საკუთარ სახებას დევნიდა. მისი ცხოვრება გამუდმებით სადღაც სიღრმეში, თითქოს დედის თბილ სიზმარში მიედინებოდა. იგი ირგვლივ ყველაფერს ისე განიცდიდა, როგორც მოგზაური განიცდის უცხო მხარეს. თავისი მიზნები საშას არ ჰქონდა, თუმცა თექვსმეტ წელს უკვე გადასცდა, სამაგიეროდ, ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე თანაუგრძნობდა ყველანაირ არსებას - ეზოში ამოსულ მჭკნარ ბალახსაც და ქუჩაში ღამით ჩავლილ მგზავრსაც, თავშესაფრის უქონლობის გამო რომ ახველებდა, რათა ვინმეს გაეგონა და შებრალებოდა. საშას ხველა ესმოდა და მგზავრი ებრალებოდა. მის გულს ეუფლებოდა მღელვარება შთაგონებისა, ერთადერთხელ

შეყვარებულ კაცს რომ აქვს ხოლმე. იგი მგზავრს ფანჯრიდან გაჰყურებდა და მასზე ფიქრობდა. მგზავრი სიბნელეში გაუჩინარდებოდა. მხოლოდ მისი ფეხის ხრაშუნილა გაისმოდა ტროტუარის ქვებზე, მასზე უფრო უჩინრად რომ იყვნენ. სადღაც შორს ძალლები შემზარავად ყმუოდნენ და ციდან დროდადრო ცვიოდნენ დაღლილი ვარსკვლავები. იქნებ ღამის წყვდიადსა და სიგრილეში, სადმე ველზე, ახლა მოგზაურები მიდიოდნენ და საშას მსგავსად მათ გულზეც ატორიალებდა მყუდროება და დაღუპული ვარსკვლავები.

ზახარ პავლოვიჩი საშას ხელს არაფერში უშლიდა. მას იგი ბებრული ერთგულებით უყვარდა და ბუნდოვნად იმედებს შეუცნობლად მასზე ამყარებდა. შვილობილს ხშირად სთხოვდა, ომის ამბავი წამიკითხეო, რადგან ლამპის შუქზე ასოებს ვერ არჩევდა.

საშა კითხულობდა ბრძოლების , გადამწყვარი ქალაქების, დაუზოგავად განადგურებული ლითონის, ადამიანებისა და ქონების ამბებს. ზახარ პავლოვიჩი მდუმარედ უსმენდა და ბოლოს იტყოდა:

-რაც ამქვეყნად ვარ, სულ ვფიქრობ: განა ადამიანი ადამიანისათვის ისე საშიშია, რომ მათ შორის აუცილებლად ხელისუფლება უნდა მძლავრობდეს? ომიც ხელისუფლების გამოისობით იწყება... მე სულ ამას ვფიქრობ, რომ ომი ხელისუფლებამ განგებ მოიგონა: ჩვეულებრივი კაცი ამას არ იზამს.

საშა ეკითხებოდა, მაშ როგორ უნდა მოიქცნენო.

-როგორ და, როგორმე სხვანაირად, - უპასუხებდა ზახარ პავლოვიჩი და გაცხარდებოდა, - მე რომ გავეგზავნე გერმანელებთან, როცა დავა იწყებოდა, უშალ მოვურიგდებოდი და ომზე იაფად გამოვიდოდით. იქ კი ყველაზე ჭკვიანი ხალხი გაგზავნეს!

ზახარ პაელოვიჩს ვერ წარმოუდგინა ისეთი კაცი, ვისთანაც გულწრფელად ლაპარაკს ვერ შეძლებდა. მაგრამ იქ, ზემოთ, მეფე და მისი მოხელეები, თითქმის ბრიყვები იყვნენ. მაშ ომი არასერიოზული, განგებ მოგონილი რაღაც იყო. აქ კი ზახარ პაელოვიჩი ჩიხში ემწყვდეოდა: ალარ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა გულწრფელად ლაპარაკი იმათთან, ვინც ხალხს განგებ ხოცავდა, თუ ჯობდა, რომ მათთვის ჯერ მავნე იარაღი სიმდიდრე და პატივი წაერთმიათ.

მოკლული კაცი საშამ პირველად თავისსავე დეპოში ნახა. სამუშაოს ბოლო საათი იწურებოდა, საყვირის დრო ახლოვდებოდა. საშა ცილინდრებში ჩობლებს აწყობდა, როცა ორმა მემანქანემ გაფითრებული ზედამხედველი ხელებზე გადაწვენილი შემოიყვანა. იგი კანტორაში შეიყვანეს და იქიდან საავადმყოფოს მისალებში ტელეფონით დარეკეს. საშას გაუკვირდა: ჭალარა, მოხუც მემანქანე-ზედამხედველს სისხლი ისეთი წითელი და ახალგაზრდული ჰქონდა, თითქოს შიგნით ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

-ბრიყვებო! - ხმამაღლა თქვა ზედამხედველმა. - თავზე ნავთი წამისვით, რომ სისხლის დენა მაინც შემიწყდეს!

ერთმა ცეცხლფარეშმა სწრაფად მოიტანა ნავთით სავსე ვედრო, ჩვარი დაასველა და ზედამხედველს გასისხლიანებულ თავზე მოუსვა. დაჭრილს თავი გაუშავდა და ყველამ დაინახა, ორთქლი როგორ აუვიდა.

-ეგრე, ეგრე! - წაახალისა ზედამხედველმა ცეცხლფარეში. - ახლა მომეშვა. რა გგონიათ, მოვკვდებოდი? ჯერ ადრეა ზეიმი, თქვე არამზადებო...

ზედამხედველი ნელ-ნელა მისუსტდა და ცნობა წაერთვა. საშა მის ჩამტვრეულ თავს და შიგ ღრმად ჩატენილ, უკვე მკვდარ , ჩახორსლილ თმას დააცქერდა. იქ მეოფ არც ერთ მუშას ზედამხედველისაგან წყენა გულში არ ჰქონდა, თუმცა მისთვის ჭანჭიკი ახლაც ადამიანზე ძვირფასი და გამოსადეგი იყო.

ზახარ პავლოვიჩი იქვე იდგა და თავს ძალას ატანდა, რომ თვალები არ დაეხუჭა და ყველას დახანახად ცრემლები არ ჩამოსცვენოდა. ეგ ადამიანი როგორი გულფიცხი, ჭკვიანი და მამაციც არ უნდა იყოს, მაინც საბრალო, საცოდავი არსებაა და უძლურებისგან კვდებაო.

ზედამხედველმა უცებ თვალები გაახილა და ხელქვეითებსა და ამხანაგებს გამჭრიახი მზერა მიაპყრო. მის მზერაში კიდევ გამოსჭვიოდა სიცოცხლის ნათელი ნაპერწკალი, მაგრამ უკვე ბურანში იძირებოდა და სატანჯველისგან იძაბებოდა, გათეთრებული ქუთუთოები კი წარბებს ქვემოთ თვალის ბუდეებში ჩასცვივნოდა.

-რა გატირებთ? - იკითხა ზედამხედველმა ჩვეული სიფიცხით, რაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა. არავინ ტიროდა, მხოლოდ ზახარ პავლოვიჩს დაჭყეტილი თვალებიდან ლოყებზე უნებურად ჩამოსდიოდა ჭუჭყიანი ცრემლები. - რას დამდგარხართ და ტირიხართ, როცა ჯერ საქმირი არ ყოფილა!

მემანქანე-ზედამხედველმა თვალები დახუჭა და ერთხანს საამო სიბნელეში გაირინდა. სიკვდილს ოდნავადაც არ გრძნობდა - სხეულში სითბო ძველებურად უვლიდა, ოღონდ ადრე ეს სითბო არასდეს უგრძვნია, ახლა კი თითქოს საკუთარი შიგნეულიდან გამონაქერ მხურვალე წვენში ცურავდა. ეს ადრეც განუცდია, მაგრამ დიდი ხნის წინ, ოღონდ სად ვერ გაეხსენებინა. როცა თვალი ისევ გაახილა, ხალხი, როგორც აღელვებულ წყალში, ისევ დაინახა. ერთი ისევ დაბლა დახრილიყო, თითქოს ფეხები არ ჰქონდა. მწუხარე სახეზე ჭუჭყიანი, მუშაობისაგან დაძახინჯებული ხელი აეფარებინა.

ზედამხედველი ამან გააბრაზა და, რადგან წყალი მის ირგვლივ შიკვე იბინდებოდა, სასწრაფოდ თქვა:

-ეს აქ ტირის გარასკამ კი, იმ მუდრეგმა, ქვაბი ალბათ ისევ დაწვა...ნეტა, რა გატირებს? ადექი და სანაცვლო ადამიანი შეთითხნე...

ზედამხედველს გაახსენდა, სად ენახა ის მშვიდი, მხურვალე წვეთადი. უბრალოდ ეს იყო სივიწროვე დედის სხეულისა და იგი კვლავ მის ძვალთა შუა მიძვრებოდა, მაგრამ ტან-ფეხი ძალიან გაზრდოდა და ვერ ეტეოდა.

-სანაცვლო ადამიანი შეთითხნე... ქანჩს ვერ გააკეთებ, შე ბრიყვო, თორემ ადამიანს უცებ შეთითხნი...

ზედამხედველმა ჰაერი შეისუნთქა და ტუჩებით რაღაცის წოვა დაიწყო. ეტყობოდა, რომ სადღაც, ვიწრო ადგილას ხელი ეხუთებოდა და მზრეს არხევდა, ცდილობდა, შიგ სამუდამოდ მოთავსებულიყო.

-მილში ღრმად შემტენეთ, - ჩაიჩურჩულა მან ბავშვურად წამობუშტული ტუჩებით, - ივან სერგეიჩ, ჩემო კარგო, სამ მერვეულს კუთხვილიანს დაუძახე, უთხარი, კონტრქანჩი მოიჭიროს...

საკაცე გვიან მოიტანეს. საავადმყოფოში წაყვანა ვერაფერს უშველიდა.

-შინ წაასვენეთ, - უთხრეს მუშებმა ექიმს.

-არ შეიძლება, - თქვა ექიმმა. - ოქმისთვის გვჭირდება.

ოქმში ჩაწერეს, რომ უფროსმა მემანქანე-ზედამხედველმა სასიკვდილო ჭრილობა მიიღო, როცა ცხელ ორთქლმავალზე ხუთსაქენიანი ბაგირით გამობმულ ცივ ორთქლმავალს მიაგორებდნენ. ისარზე გადასვლისას ბაგირი სალიანდაგო ფარნის ბოძს გამოედო, ბოძი წაიქცა და კრონშტეინით თავი დაუზიანა ზედამხედველს, რომელიც გაშწვეი ორთქლმავლის ტენდერზე იდგა და გამობმულ მანქანას თვალს ადევნებდა. მარცხი თვით მემანქანე-ზედამხედველის გაუფრთხილებლობის შედეგად, აგრეთვე მოძრაობისა და ექსპლუატაციის სათანადო წესების დაუცველობის გამო მოხდა.

ზახარ პავლოვიჩმა საშას ხელი ჩაჰკიდა. ისინი დეპოდან გავიდნენ და შინისკენ გასწიეს. ზახარ პავლოვიჩის ცოლმა ეახშმობისას თქვა, პურს ცოტას ყიდიან, ძროხის ხორცი კი არ იშოვებაო.

-დავიხოცებით და ეგ იქნება, დიდი ამბავი! - გულგრილად თქვა ზახარ პავლოვიჩმა; ცხოვრების ყოველდღიურ საზრუნავს დიდ ფასს აღარ სდებდა.

საშასთვის ჭაბუკობის იმ ადრიან წლებში ყოველ დღეს საკუთარი, სახელდაურქმეველი, მომავალში განუმეორებელი მშვენიერება ამკობდა. მემანქანე-ზედამხედველის სახე სადღაც, მის მოგონებათა მიუწვდომელ სიღრმეში ჩაიძირა. ზახარ პავლოვიჩს კი სიცოცხლის ასეთი ამაღორძინებელი ძალა აღარ ჰქონდა - მოხუცი იყო, მოხუცებულობა კი ბავშვობის დარად სათუთი და უსუსურია.

შემდგომ წლებში ზახარ პავლოვიჩი აღარაფერს შეუშფოთებია. მხოლოდ საღამოობით, როცა წიგნში თავჩარგულ საშას უცქეროდა, გული სიბრალულით ევსებოდა. უნდოდა, შვილობილისთვის ეთქვა, კითხვით თავს ნუ იტანჯავ, წიგნებში რამე გონივრული რომ იყოს, ადამიანები ერთმანეთის დიდი ხნის წინვე გულში ჩაეკვრებოდნენო. მაგრამ არაფერს ამბობდა, თუმცა მის არსებაში გამუდმებით აღიძვროდა სიხარულის მსგავსი უბრალო რაღაც, რის გამოთქმასაც გონება აბრკოლებდა. ეზმანებოდა სადღაც, წყნარი ტბის პირას მშვიდი ცხოვრება, სადაც მეგობრობა შეენაცვლებოდა ყოველგვარ სიტყვას და ცხოვრების მთელ სიბრძნეს.

ზახარ პავლოვიჩს თავისივე დასკვნები აბნევდა, მთელი სიცოცხლე მხოლოდ მანქანები და ნაკეთობანი იტაცებდა და გონს ახლაღა მოეგო: როცა დედამისი ძუძუს აწოვებდა, მისთვის ყურში რაღაც უნდა ჩაეჩურჩულებინა, ისეთივე აუცილებელი, როგორიც იყო მისი რძე, რომლის გემო სამუდამოდ დავიწყებული ჰქონდა. მაგრამ დედას არაფერი ჩაუჩურჩულებია, თვითონ კი მთელი ქვეყნიერების საიდუმლოებათა განჭვრეტას ვერ შეძლებდა. ამიტომ თვინიერად იწყო ცხოვრება, ქვეყნიერების ძირფესვიანი გაუმჯობესებისა აღარ სჯეროდა. რამდენი მანქანაც არ უნდა შექმნილიყო, იმ მანქანებით ვერ ივლიდა ვერც პროშკა, ვერც საშკა და ვერც თვითონ ზახარ პავლოვიჩი. ორთქლმავლები მუშაობდნენ ან უცხო ადამიანებისთვის ან ჯარისკაცებისთვის. მაგრამ ჯარისკაცები ძალით მიჰყავდათ. თავად მანქანაც თავის ნებაზე ვერ ივლიდა, რადგან უტყვი ქმნილება იყო. მანქანები ზახარ პავლოვიჩს ახლა უფრო ებრალებოდა, ვიდრე უყვარდა; დეპოში ორთქლმავალს პირდაპირ უთხრა კაღეეაც:

-წახვალ? მაშ წადი! შეხე, რვილები როგორ გაგცვეთია! ალბათ ის ოხერი მგზავრები ძალიან გამძიმებენ.

ორთქლმავალი თუმცა დუმდა, მაგრამ ზახარ პავლოვიჩს მისი ნათქვამი ესმოდა.

-გიხოსები წამხდარია, ქვანახშირი არ ვარგა, - ნაღვლიანად ამბობდა ორთქლმავალი. - ალმართზე ასვლა ჭირს. ფრონტზე ქმრებთან ქალებიც ბევრნი მიდიან, თითოს კი თან სამ-სამი ფუთი ღვეზელი მიაქვს. ახლა ორ საფოსტო ეტაპის მიბამენ, ადრე ერთს მიბამდნენ. ადამიანები ერთმანეთისაგან შორიშორს არიან და წერილებს წერენ.

- ჰო, - იტყოდა ჩაფიქრებული ზახარ პავლოვიჩი. ორთქლმავალს რითი უნდა დახმარებოდა, როცა ხალხი ასე გაუსაძლისად ამძიმებდა განშორების ტვირთით. - შენც თავს ძალიან ნუ გაიტანჯავ, ნელა იარე.

-არ შეიძლება, - მშვიდად უპასუხებდა გონიერი ორთქლმავალი. - მიწაყრილის ზემოდან ბევრ სოფელს ვხედავ: იქ ხალხი ტირის, წერილებს და ომში დაჭრილ ნათესავებს ელის. ერთი ჩობალი გამისინჯე, ზედმეტად მომიჭირეს, გზაზე დგუშის ლილვი გამიხურდება".

ზახარ პავლოვიჩი ჩობლის ხრახნებს მოუშვებდა.

-მართლა მაგრად მოუჭერიათ იმ არამზადებს, განა ეს შეიძლება?

-მანდ რას ჯახირობ? - შეეკითხებოდა კანტორიდან გამოსული მორიგე მექანიკოსი. - გთხოვა ვინმემ მანდ შეძრომა? მითხარი, გთხოვა თუ არა?

-არა, - მორჩილად ეტყოდა ზახარ პავლოვიჩი. - მომეჩვენა, რომ მაგრად იყო მოჭერილი...

-მაშ ხელს ნუ ახლებ, რადგან მოგეჩვენა. როგორც არ უნდა მოუჭირო, გზაზე ორთქლი მაინც იპარება.

მერე ორთქლმავალი ხმადაბალი ჯუჯღუნით ეუბნებოდა ზახარ პავლოვიჩს:

-მოჭერის ბრალი არ არის - იქ შუაში, ღერძია მოცვეთილი, ჩობალს ორთქლი იმიტომ ეპარება. განა მე კი მინდა , რომ ორთქლი იპარებოდეს?

-ჰო, ვნახე, - ამოიოხრებდა ზახარ პავლოვიჩი. - მაგრამ მე მწმენდავი ვარ, ჰოდა, ხომ იცი, არ მიჯერებენ.

-მეტი რა ჩარა გვაქვს! -ბოხი ხმით თანაუგრძნობდა ორთქლმავალი და თავის გაცივებულ ძალთა წყვდიადში ჩაიძირებოდა.

-მეც მაგას ვამბობ! -კვერს უკრავდა ზახარ პავლოვიჩი.

როცა საშამ სალამოს კურსებზე დაიწყო სიარული, ზახარ პავლოვიჩს გულში გაუხარდა. თვითონ მთელი ცხოვრება მხოლოდ თვისი ძალ-ღონის იმედით, სხვათა დაუხმარებლად გაატარა, საკუთარ შეგრძნებათა გარდა არავინ არაფერს უკარნახებდა, საშკას კი წიგნები სხვების ნაფიქრალს ეუბნებოდნენ.

-მე ვეწამებოდი, ეს კი კითხულობს და მეტი არაფერი! - შურდა ზახარ პავლოვიჩს.

საშა კითხვას მორჩებოდა და ახლა წერას იწყებდა. ზახარ პავლოვიჩის ცოლი ლამპის შუქზე ჯერ იძინებდა.

-ხულ წერს და წერს, - ამბობდა იგი. -ნეტა რას წერს?

-დაიძინე, - ურჩევდა ზახარ პავლოვიჩი. -დახუჭე თვალები და დაიძინე.

ცოლი თვალებს ხუჭავდა, მაგრამ ქუთუთოების იქიდანაც ხედავდა, რა ამაოდ იწვოდა ნავთი. არც შემცდარა - მართლაც ამაოდ ენთო ლამპა ალექსანდრ დვანოვის სიჭაბუკეში, ამაოდ ანათებდა სულის ამაფორიაქებელ ფურცლებს წიგნებისას, რომელთა მიმდევარი შემდგომში მაინც არ გამხდარა. რამდენსაც არ კითხულობდა და ფიქრობდა, შიგნით მუდამ მაინც რჩებოდა თავისუფალი

ადგილი, ის სიცარიელე, სადაც შფოთიანი ქარიგით იჭრებოდა აუწერელი და მოუთხრობელი სამყარო. ჩვიდმეტი წლის დვანოვის გულს ჯერ ადამიანი არ ჰქონდა - არც ღმერთის რწმენა, არც სხვა რაიმე გონების დამამშვიდებელი; იგი უცხო სახელს არ არქმევდა მის წინაშე გადაშლილ უსახელო ცხოვრებას, მაგრამ არც ის სურდა, რომ ქვეყნიერებას არაფერი რქმეოდა. იგი [illegible] ულოდა, რომ გაიგონებდა მის საკუთარ სახელს გამოგონილ სახელთა ნაცვლად.

ერთხელ ღამით საშა, ჩვეულებისამებრ, დანაღვლიანებული იჯდა. რწმენით შემოუზღუდავი გული ეტანჯებოდა და ნუგეშს ითხოვდა. დვანოვმა თავი ჩალუნა და წარმოიდგინა, მისი სხეულის სიცარიელეში განუწყვეტლივ ყოველდღიურად როგორ შეღიოდა, შემდეგ კი შეუჩერებლად, გაუძლეურებლად გამოდიოდა სიცოცხლე, თანაბარი, როგორც შორეული გუგუნი, რომელშიც სიმღერის სიტყვათა გარჩევა შეუძლებელია.

საშამ სხეულის შიგნით სიცივე იგრძნო, თითქოს მის ზურგს უკან განფენილი ვრცელი წყვდიადისკენ ნამდვილი ქარი უბერავდა, წის კი საიდანაც ქარი ალიძვროდა, მოჩანდა რაღაც გამჭვირვალე, მსუბუქი და უზარმაზარი: მთებად დამდგარი ცხოველმყოფელი ჰაერი, საკუთარ სუნთქვად და გულისცემად რომ უნდა გარდაექმნა. ეს წინათგრძნობა გულს უნებურად უჩქროლებდა. სიცარიელე მისი არსებისა თითქოს უფრო განიერცო და მომავალი ცხოვრების წარსატაცებლად განემზადა.

-აი, ეს მე ვარ! - ხმამაღლა თქვა საშამ.

-ვინ შენ ხარ? - ჰკითხა მღვიძარე ზახარ პავლოვიჩმა.

საშა მაშინვე გაჩუმდა, სირცხვილმა თავით ფეხებამდე დაურბინა და აღმოჩენით აღძრული სიხარული წარსტაცა. მას ეგონა, რომ მარტო იყო, ზახარ პავლოვიჩი კი თურმე უსმენდა.

ზახარ პავლოვიჩმა ეს შეამჩნია და შეკითხვა გულგრილად ნათქვამი სიტყვებით თავადვე გააბათილა:

-წიგნის ჩრჩილი ხარ და მეტი არაფერი... გირჩევნია დაიძინო, უკვე გვიანია...

ზახარ პავლოვიჩმა დაამთქნარა და შეილოცილის დაყვავებით უთხრა:

-საშა, თავს ნუ იწამებ, ისედაც სუსტი ხარ...

„ესეც ალბათ ცნობისმოყვარეობით თავს დაიხრჩობს, - ჩაილაპარაკა საბანქვეშ თავისთვის ზახარ პავლოვიჩმა. - მე კი ბალიშზე დავლევ სულს. სულ ერთი არაა?“

ღამე წყნარად მიდიოდა. წინკარიდან სადგურზე მიმავალ გადამბმელების ხვლეპა მოისმოდა. თებერვალი იწურებოდა, ოხრილების კიდეებზე თოვლი ჩამოდნა და შარშანდელი ბალახი გაშიშვლდა. ამას საშა გულებით უცქეროდა, თითქოს დედამიწის შექმნას ხედავდა. მჭკნარ ბალახს თანაუგრძნობდა და ისეთი ყურადღებით აკვირდებოდა, თავისი თავის მიმართ რომ არ იჩენდა.

სხვა არსებების სიცოცხლე სისხლხორცეულად შეეძლო შეეგრძნო, საკუთარ თავს კი ძლივსძლიობით წარმოიდგენდა. თავის თავზე მხოლოდ ფიქრობდა. ყოველივე გარეშეს კი საკუთარ არსებასავით შეიგრძნობდა, გულში მძაფრად ჩაებეჭდებოდა და არც ეგონა, რომ სხვებს სხვაგვარი განცდა ჰქონდათ.

ზახარ პავლოვიჩი ერთხელ, როგორც თანასწორს, ისე გამოელაპარაკა.

-გუშინ „შჩე“ სერიის ორთქლმავალს ქვაბი გაუსკდა, - თქვა მან.

საშამ ეს უკვე იცოდა.

- ესეც შენი მეცნიერება, - გული მოუვიდა ამიტომ თუ კიდევ სხვა რაღაცის გამო ზახარ პავლოვიჩს. - ორთქლმავალი ის იყო ქარხნიდან მოვიდა, მოქლონები კი ჩამაგრებული არ ჰქონდა, სერიოზულად არავინ არაფერი იცის - ხელ-ფეხი გონებას არ უჯერებს.

საშა გონებასა და სხეულს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევდა. ზახარ პავლოვიჩი ამბობდა, ჭკუა აზრსუსტი ძალაა, ხოლო მანქანები კი ადამიანის გულიდან აღძრული მიხვედრილობით არის გამონაგონი.

სადგურიდან ზოგჯერ ეშელონების გუგუნი მოისმოდა. ჩხარუნებდა ჩაიდნები და უცნაური ხმით ლაპარაკობდნენ ადამიანები, თითქოს უცხო ტომისანი იყვნენ.

-რას დაძრწიან! - მიაყურადებდა ხოლმე ზახარ პავლოვიჩი. - ვნახავთ. რა ხეირიც დაეყრებათ!

სიბერისგან და მთელი სიცოცხლის მანძილზე იმედების გაცრუებისგან გულგატეხილს რევოლუცია ოდნავადაც არ გაჰკვირვებია.

-რევოლუცია ომზე იოლია, - უხსნიდა იგი საშას. - ხალხი ძნელ საქმეს ხელს არ ჰკიდებს: აქ რაღაც სხვა ამბავია...

ახლა ზახარ პავლოვიჩი აღარ მოტყუვდებოდა და რომ არ შემცდარიყო. რევოლუცია უარყო.

იგი ყველა მუშას ეუბნებოდა, ძალაუფლება ისევ ჭკვიანი ხალხის ხელშია და სიკეთეს ნუ ელითო.

თავის სიჭკვიანით მთელ სიცოცხლეში პირველად ნასიამოვნები ზახარ პავლოვიჩი ოქტომბრის დამდეგამდე დამცინავად იღიმებოდა. მაგრამ ოქტომბრის ერთ ღამეს ქალაქში სროლა გაიგონა და მთელი ღამე ეზოში გაატარა, შინ მხოლოდ პაპიროსის მოსაკიდებლად შედიოდა. გათენებამდე კარს აჯახუნებდა და ცოლი არ დააძინა.

-რა ველარ მოგისვენია, შე წყეულო! - წრიალებდა დედაბერი ლოგინში. - რას დაწანწალებ!.. ახლა რაღა გვეშველება - აღარც პური გვექნება, აღარც ჩასაცმელი. ტყვიას რომ ისვრიან, ხელი რატომ არ გაუხმებათ, დედის გაზრდილები არ არიან?

ზახარ პავლოვიჩი შუა ეზოში იდგა, პაპიროსს აბოლებდა და შორეულ სროლას თავის ქნევას აყოლებდა.

-ნუთუ ასეთი ამბავია? - ეკითხებოდა საკუთარ თავს და ახალი პაპიროსის მოსაკიდებლად შინ შედიოდა.

-დაწექი, მოისვენე, შე გადარეულო! - ურჩევდა ცოლი;

-საშა, არ გძინავს? - ამბობდა აღელვებული ზახარ პავლოვიჩი. - ძალაუფლებას ხელში ბრიყვები იღებენ, ცხოვრებას იქნებ აზრი მიეცეს.

დილით საშა და ზახარ პავლოვიჩი ქალაქში გავიდნენ. ზახარ პავლოვიჩი ყველაზე სერიოზულ პარტიას ეძებდა, რომ უმალ ჩაწერილიყო. ყველა პარტია ერთ სახაზინო სახლში იყო დაბინავებული და ყოველ მათგანს თავი ყველაზე უკეთესად შიაჩნდა, ზახარ პავლოვიჩი პარტიებს თავისი ჭკუით ამოწმებდა, ისეთ პარტიას ეძებდა, რომელსაც გაუგებარი პროგრამა კი არ ექნებოდა, ყველაფერს ორიოდე სიტყვით ნათლად და სწორად გადმოსცემდა. ზუსტად ვერსად უთხრეს, ამქვეყნიური ნეტარების დღე როდის დადგებოდა. ერთნი ამბობდნენ, ბედნიერება

რთული რამ არის და ადამიანის მიზანს ბედნიერება კი არა, ისტორიის კანონები შეადგენსო. მეორენი ამბობდნენ, ბედნიერება განუწყვეტელი ბრძოლაა და ეს ბრძოლა საუკუნოდ გასტანსო.

-კარგი რამეა, ხომ იცი! - მართებულად გაიკვირვებდა ზახარ პავლოვიჩი. - მაშ მუქთად უნდა იმუშაო. ეგ პარტია კი არა, ექსპლუატაციაა ყოფილა. მოგშორდეთ აქაურობას, საშა. რელიგიასაც კი ჰქონდა მართლმადიდებლობის ხეირი.

მომდევნო პარტიაში თქვეს, ადამიანი ისეთი დიდებული და ხარბი არსებაა, ფიქრადაც არ უნდა გაიულო მისი გაძღომა ბედნიერებით - ეს ქვეყნიერების აღსასრული იქნებაო.

-ჩვენც ეგ გვინდა! - თქვა ზახარ პავლოვიჩმა.

დერეფნის ბოლო კარს იქით უკანასკნელი პარტია იყო მოთავსებული, რომელსაც ყველაზე გრძელი სახელი ჰქონდა. იქ მხოლოდ ერთი პირქუში კაცი იჯდა, დანარჩენები ძალაუფლების განსახორციელებლად წასულიყვნენ.

-რა გინდა? -ჰკითხა მან ზახარ პავლოვიჩს.

-ორივეს გვინდა, რომ ჩაგვწეროთ. ყველაფერი მალე დამთავრდება?

-სოციალიზმი? - ვერ მიხვდა პირქუში კაცი. - ერთ წელიწადში. დღეს მხოლოდ დაწესებულებებს ვიკავებთ.

-მაშ ჩაგვწერე, - გაუხარდა ზახარ პავლოვიჩს.

პირქუშმა კაცმა მათ თითო დასტა პატარ-პატარა წიგნები და თითო ცალი სანახევროდ დაბეჭდილი ფურცელი მისცა.

-პროგრამა, წესდება, რეზოლუცია, ანკეტა, - თქვა მან. - შეავსეთ და თითომ ორი თაკდები მოიყვანეთ.

ზახარ პავლოვიჩს გულმა უგრძნო, რაღაცას გვატყუებენო, და ხალისი გაუნელდა.

-სიტყვიერად არ შეიძლება?

-არა. ზეპირად რეგისტრირება არ შემიძლია, პარტიას კი დაავიწყდებით.

-ჩვენ მოვალთ ხოლმე.

-შეუძლებელია: ბილეთები რის საფუძველზე უნდა გამოგიწეროთ?ცხადია - ანკეტების საფუძველზე, თუ კრება დაგამტკიცებთ.

ზახარ პავლოვიჩმა შეატყო: კაცი ნათლად, მკაფიოდ, სამართლიანად, ყოველგვარი ნდობის გარეშე ლაპარაკობდა; ეს ალბათ ყველაზე ჭკვიანური ხელისუფლება იქნებოდა, რომელიც ერთ წელიწადში ან საბოლოოდ ააშენებდა მთელ ქვეყნიერებას, ანდა ყველაფერს ისე აურ-დაურევდა, ბავშვსაც კი გულს დაუძაბუნებდა.

-საშა, შენ საცდელად ჩაეწერე, - უთხრა ზახარ პავლოვიჩმა, - მე კი ერთ წელიწადს მოვიცდი.

-ჩვენ საცდელად არავის ვწერთ, - თქვა პირქუშმა კაცმა. -ან სამუდამოდ და მთლიანად ჩვენ უნდა გვეკუთვნოდე, ანდა სხვას მიაკითხე.

-თუ ასეა, მაშინ მართლა ჩაეწერე, - ნება დართო საშას ზახარ პავლოვიჩმა.

-აი, ეგ კი სხვა საქმეა, - უარი აღარ უთქვამს პირქუშ კაცს.

საშა ანკეტის შესავსებად დაჯდა. ზახარ პავლოვიჩმა პარტიულ კაცს რევოლუციის თაობაზე გამოკითხვა დაუწყო. იგი მუშაობდა და თან ისე უპასუხებდა. ეტყობოდა, უფრო ხერიოზული რაღაც აწუხებდა.

- გუშინ ვაზნების ქარხნის მუშები გაიფიცნენ, ყაზარმაში კი ამბოხება დაიწყო. გაიგე? ხოლო მოსკოვში უკვე მეორე კვირაა, რაც ხელისუფლება მუშებსა და ულარიბეს გლეხობას უპყრიათ.

-მერე?

პარტიულმა კაცმა ტელეფონი აიღო.

-არა, არ შეიძლება, - ჩასძახა მან ყურმილში. - აქ მასის წარმომადგენლები მოდიან, ინფორმაცია ვინმემ ხომ უნდა მიაწოდოს! რა მერე? - გაახსენდა მას. ზახარ პავლოვიჩის შეკითხვა - პარტიამ იქ წარმომადგენლები გაგზავნა მოძრაობის გასაფორმებლად და ღამითვე ქალაქის სასიცოცხლო ცენტრები ხელში ჩავიგდეთ.

ზახარ პავლოვიჩს ვერაფერი გაეგო.

ჯარისკაცები და მუშები თუ აჯანყდნენ, თქვენ რა შუაში ხართ? თავის საქმე ბარემ თვითონვე განეგრძოთ.

ზახარ პავლოვიჩს, ცოტა არ იყოს, გულიც მოუვიდა.

-ეჰ, ამხანაგო მუშა, - მშვიდად თქვა პარტიის წევრმა, - ასე რომ გვემსჯელა, ახლა საბჭოთა ხელისუფლება კი არ იქნებოდა. ბურჟუაზია ფეხზე იდგებოდა და შაშხანა მომარჯვებული ექნებოდა.

„იქნებ სხვა რამ უკეთესი იქნებოდა!" - გაიფიქრა ზახარ პავლოვიჩმა, მაგრამ უკეთესი რა შეიძლებოდა რომ ყოფილიყო, ვერ მოესაზრებინა.

-მოსკოვში ულარიბესი გლეხობა არ არის - შეეჭვდა ზახარ პავლოვიჩი.

პირქუში პარტიული კაცი უფრო მეტად მოიქუშა. წარმოიდგინა მასების უსაზომო უვიცობა და ის გაწამაწია, რაც პარტიას მომავალში ამ უვიცობის გამო დაადგებოდა. ამის გამო წინასწარვე იგრძნო დაღლილობა და ზახარ პავლოვიჩს არაფერი უპასუხა, მაგრამ ზახარ პავლოვიჩი პირდაპირი შეკითხვებით მოსვენებას არ აძლევდა. აინტერესებდა, ვინ იყო ახლა ქალაქში ყველაზე მთავარი კაცი და მუშები მას კარგად იცნობდნენ თუ არა.

პირქუში კაცი ამგვარმა მტკიცე კონტროლმა გაშოაცოცხლა და გააქტიურა კიდევაც. მან ტელეფონით დარეკა. ზახარ პავლოვიჩი ტელეფონს ადრინდელი გატაცებით დააშტერდა. „ეს გამომრჩენია, - გაიხსენა თავისი ნაკეთობანი- ამგვარი რამ არასოდეს გამიკეთებია."

-ამხანაგი პერეკოროვი მალაპარაკე, - მაგიერს გაატანა ხმა პარტიულმა კაცმა- პერეკოროვი ხარ? იცი რა, საჩქაროდ საგაზეთო ინფორმაცია უნდა მოვაგვაროთ. კარგი იქნება, თუ პოპულარულ ლიტერატურას მეტს გამოუშვებთ... გისმენ. ვინა ხარ? წითელგვარდიელი? მაშ ყურმილი დადე. შენ არაფერი გაგეგება.

ზახარ პავლოვიჩი ისევ გაბრაზდა.

მე იმიტომ გეკითხები, რომ გული მტკივა . შენ კი გაზეთით გინდა მანუგეშო... არა ძმობილო, ყოველგვარი ხელისუფლება ბატონობაა, სინკლიტი და მონარქია. მე ბევრი მიფიქრია...

- მაშ როგორ მოვიქცეთ? - შეცბა პარტიული კაცი .

-ქონება არად უნდა ჩააგდო, - აღმოაჩინა ზახარ პავლოვიჩმა. - ხალხი კი თავის ნებაზე მიუშვა. ღმერთმანი, ყველაფერი უკეთ მოგვარდება.

-ეგ ხომ ანარქიაა!

- რა ანარქია? ცხოვრება თავისით წავა და ეგ იქნება!

პარტიულმა კაცმა გაბურძგნული და უძილობისგან გაბრუებული თავი გააქნია.

-მაგას წვრილი მესაკუთრის ბუნება გალაპარაკებს. ეძებეთ, თვე გაივლის და თავად ნახავ, რომ პრინციპულად ცდებოდი.

-მოვიცდით,- თქვა ზახარ პავლოვიჩმა. -თუ საქმეს ვერ მოაგვარებთ ვადას გაგიგრძელებთ.

საშამ ანკეტის შევსება დაამთავრა.

-ნუთუ ასეა? ამბობდა შინისკენ მიმავალი ზახარ პავლოვიჩი. ნუთუ უტყუარი ამბავია? გამოდის, რომ ასეა.

სიბერეში ზახარ პავლოვიჩი ბრაზიანი გახდა. უნდოდა, რომ რევოლვერი საიმედო ხელს სჭეროდა. ისეთ კრონცირკულს ნატრობდა, რითაც ბოლშევიკების შემოწმებას შეძლებდა. მხოლოდ უკანასკნელ წელს დააფასა ის, რაც თავის სიცოცხლეში გაფლანგა. ყველაფერი დაკარგა, მაგრამ მაღალი ცა, თავზე რომ ედგა, მისი მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგად ოდნავადაც არ შეცვლილა. არაფერი მოუპოვებია, რათა თავისი დაუძლურებული სხეულის არსებობა გაემართლებინა, სადაც ამაოდ ფეთქავდა რაღაც უმთავრესი სხივოსანი ძალა. საკუთარი თავი თვითონ მიიყვანა სიცოცხლესთან საუკუნო განშორებამდე, ყველაზე უფრო აუცილებელი რამ კი ვერ შეიძინა. ჰოდა, ახლა ნაღვლიანად უცქეროდა ლობეებს, ხეებს და უცხო ადამიანებს, რომელთაც ორმოცდაათი წლის მანძილზე ვერავითარი სიხარული და შვება ვერ მოუტანა, ახლა კი ყველას და ყველაფერს უნდა განშორებოდა.

-საშა, -უთხრა შვილობილს, -ობოლი ხარ, სიცოცხლე საჩუქრად მოგეცა და ნუ დაზოგავ, იმით იცხოვრე, რაც უმთავრესია.

საშა დუმდა, მამობილის განუმეორებელ ტანჯვას პატივს სცემდა.

ფედკა ბესპალოვი არ გახსოვს? - განაგრძობდა ზახარ პავლოვიჩი. - ჩვენთან ზეინკლად მუშაობდა, ახლა ცოცხალი აღარაა. რამის გაზომვას რომ დააკალებდნენ, წავიდოდა, თითებს დაადებდა და ხელგაშლილი გამობრუნდებოდა. სანამ მოვიდოდა, არშინი საქენად გადაექცეოდა. - რას სჩადი, შენ მამაძაღლო!.. - გალანძღავდნენ. ის კი იტყოდა: - ძალიან არ მენაღვლება, ამის გამო სამსახურიდან მაინც არ დამითხოვენო!

საშა მხოლოდ მეორე დღეს მიხვდა , მამობილს რისი თქმა უნდოდა.

-ბოლშევიკები თუმცა იდეისთვის თავშეწირულნი არიან, მაგრამ თვალი მაინც ფხიზლად იქონიე,-არიგებდა ზახარ პავლოვიჩი, - გახსოვდეს: მამაშენმა თავი დაიხრჩო, დედაშენი ვინ იყო, არც იცი, მილიონობით ადამიანი სულჩამკვდარია. ახლა დიდი ამბავი ხდება... ბოლშევიკს გული ცარიელი უნდა ჰქონდეს რომ შიგ ყველაფერი ჩაიტიოს...

ზახარ პავლოვიჩი საკუთარმა ნათქვამმა აღაგზნო და სულ უფრო და უფრო გაცხარდა.

-სხვაგვარად...იცი, სხვაგვარად რა იქნება? საცეცხლეში უნდა ჩაიწვა და კვამლად გაიფანტო! წიდად, წიდად იქცე და საჩხრეკით მიწაყრილზე გადაგხვეტონ! გაიგე, რასაც გეუბნები?

ზახარ პავლოვიჩს აღგზნებულობა გულის აჩუყებით შეეცვალა,

სამზარეულოში აღელვებული გავიდა პაპიროსის მოსაწევად, მერე უკანვე დაბრუნდა და შვილობილს გაუბედავად მოეხვია.

-საშა, ნუ მიწყენ! მეც ობოლი ვარ. ჩვენს დარდს ერთად ვერავის შევჩივლებთ.

საშას არაფერი სწყენია. ზახარ პაველოვიჩის გულისტკივილს გრძნობდა, მაგრამ სჯეროდა, რომ რევოლუცია ქვეყნიერების აღსასრულს მოასწავებდა. ახალ სამყაროში კი ზახარ პავლოვიჩს წუხილი უმალ გაუქრებოდა,ხოლო საშას მეოცეზე მამა იმას იპოვიდა, რის გულისთვისაც თავი დაიხრჩო. საშა უკვე ნათლად შეიგრძნობდა ახალ სამყაროს, რისაც მხოლოდ შექმნა შეიძლებოდა, აღწერა კი არა.

ექვსი თვის შემდეგ საშა ახლად გახსნილ რკინიგზის კურსებზე შეავიდა, მერე კი პოლიტექნიკუმში გადავიდა.

საღამოობით იგი ზახარ პაველოვიჩს ხმამაღლა უკითხავდა ტექნიკურ სახელმძღვანელოებს, ის კი მეცნიერების გაუგებარი ბგერების სმენით ტკბებოდა და უხაროდა, რომ საშასათვის ეს ბგერები გასაგები იყო.

მაგრამ საშამ სწავლა მალე დიდი ხნით შეწყვიტა.პარტიამ იგი სამოქალაქო ომის ფრონტზე, ველის ქალაქ ნოვოხოპერსკში მიაელინა.

ზახარ პაველოვიჩი საშასთან ერთად ვაგზალში მთელი დღეები ეშელონის ჩამოსვლას უცდიდა და სამი გირვანქა წაკო მოწია, რომ მღელვარება დაეოკებინა. მათ ყველაფერზე ლაპარაკით იჯერეს გული, გარდა სიყვარულისა. სიყვარულის თაობაზე ზახარ პაველოვიჩმა საშა მორიდებით გააფრთხილა:

-საშა, შენ ხომ უკვე დიდი ბიჭი ხარ - ყველაფერი თავადაც იცი... მოთავარია, ამ საქმეს - განზრახ არ მისდიო- ეს ყველაზე მაცდუნებელი რამეა: არაფერი არ არის, მაგრამ რაღაც თითქოს საოცენაც გიზიდავს, რაღაც გწადია... ყოველ ადამიანს ქვედა ნაწილში მთელი იმპერიალიზმი უზის...

საშას არ შეეძლო, საკუთარ სხეულში იმპერიალიზმი შეეგრძნო და წარმოიდგინა, რომ ეს განსაკუთრებული და უცნაური რამ იყო.

როცა ნაკრები ეშელონი ჩამოაყენეს და საშა ვაგონში შეძვრა, ზახარ პაველოვიჩმა ბაქნიდან სთხოვა:

-როდისმე წერილი გამოიგზავნე. მომწერე, კარგად ვარ-თქო, მეტი არაფერი...

-უფრო მეტს მოგწერ, -უპასუხა საშამ.

ვაგზლის ზარმა უკვე ხუთჯერ, თანაც ყოველ ჯერზე სამ-სამგზის ჩამორეკა, ეშელონი კი ადგილიდან არა და არ იძვროდა. საშა ვიღაცებმა ვაგონის კარს ჩამოაცილეს და მერე აღარ გამოჩენილა.

ზახარ პაველოვიჩი დაიქანცა და შინისკენ წავიდა. გზაზე დიდხანს მიდიოდა, პაპიროსის მოწევა ერთთაეად ავიწყდებოდა და ამის გამო გულგაწვრილებული მიაბიჯებდა. შინ ოთახის კუთხეში მიდგმულ მაგიდას მიუჯდა, სადაც საშა იჯდა ხოლმე, და ალგებრის კითხვას შეუდგა. ჩათვლით კითხულობდა, არაფერი გაეგებოდა, მაგრამ გული თანდათან უმშვიდდებოდა.

ნოვოხოპერსკში ალექსანდრ დვანოვის ჩასვლამდე ქალაქი კაზაკებმა იგდეს ხელთ, მაგრამ მასწავლებელ ნეხვორაიკოს რაზმმა იქიდან მათი გარეკვა შეძლო.

ნოვოხოპერსკს ყოველი მხრიდან მშრალი ალაგები ერტყა, ჭაობებით მხოლოდ ერთი, მდინარის მხრიდან მისახვლელი იყო დაფარული. კაზაკებმა იმ მხარეს ყურადღება შეახუსტეს, რადგან ეს ადგილი მოუვალად მიაჩნდათ. მაგრამ მასწავლებელმა ნეხვორაიკომ თავის ცხენებს [illegible] წნელის ლასტები ამოაკრა, რათა ისინი ჭაობში არ ჩამხრჩვალიყვნენ, და ერთ უკაცრიელ ღამეს ქალაქი აიღო, ხოლო კაზაკები დაჭაობებულ ტბორებში ჩარეკა, სადაც ისინი დიდხანს ჩარჩნენ, რადგან ლასტებამოუკრავი ცხენები ჰყავდათ.

დვანოვმა რევკომში შეიარა და იქ ხალხს გამოელაპარაკა. ისინი ნარმის უქონლობას უჩიოდნენ, წითელარმიელებისთვის თეთრეული ვერ შეგვიკერია, ხალხი ღამის ტილმა შეჭამოსო, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდათ, თუნდაც დედამიწის გაუკაცრიელებამდე ებრძოლათ.

დეპოს მეშანქანემ, რევკომის თავმჯდომარემ, დვანოვს უთხრა:

-რევოლუცია რისკია: თუ ვერაფერს გაუხდით, ნიადაგს ამოეატრიალებთ და თიხასლა დაგტოვებთ. დე, თიხა თქვენიფოს ყველა მამაძაღლმა, რაკიღა მუშას არ გაუმართლა!

დვანოვისთვის რაიმე საქმის გაკეთება არ დაუკალებიათ, მხოლოდ უთხრეს: ჩვენთან ერთად იცხოვრე, ყველანაირის უმჯობესი იქნება, მერე კი ვნახავთ, ყველაზე მეტად რა გაწუხებსო.

დვანოვის თანატოლები ბაზრის მოედანზე კლუბში ისხდნენ და რევოლუციურ თხზულებებს გულმოდგინედ კითხულობდნენ. მკითხველების ირგვლივ წითელი ლოზუნგები ეკიდა, ხოლო ფანჯრებიდან ველების ხახოფათი სივრცე მოჩანდა. მკითხველები და ლოზუნგები თავდასხმისგან დაუცველნი იყვნენ- მტერს შეეძლო, წიგნში თავჩარგული ახალგაზრდა კომუნისტისთვის ტყვია კეფაში პირდაპირ მინდვრიდან ჩაეფლეთინა.

დვანოვი ველის ქალაქში მებრძოლ რევოლუციას, ის კი იყო, მიეჩვია და იქაურ ამხანაგთა მიმართ უკვე ხიუვარულიც აღეძრა, რომ გუბერნიიდან წერილი მოვიდა, სადაც ბრძანება იდო მისი უკანვე დაბრუნების შესახებ. სამა ქალაქიდან ხმაამოუღებლად წავიდა, გზის ფესხით გაუყვა. ვაგზალი ქალაქგარეთ, ოთხი ვერსის მანძილზე მდებარეობდა, გუბერნიამდე როგორ მიეღწია, ეს კი დვანოვმა არ იცოდა: ამბობდნენ, რკინიგზა კაზაკებს უკავიათო. ვაგზლის მხრიდან ველს ორკესტრი მიუყვებოდა და სევდიან მუსიკას უკრავდა - ოურმე დალუპული ნეხვორაიკოს გაციებული ხიელი მოჰქონდათ. შეძლებულ დაბელებს უზარმაზარ სოფელ პესკიში მისი რაზმი ერთიანად ამოეყლიტათ. დვანოვს ნეხვორაიკო შეებრალა, იმიტომ რომ მას დედა და მამა კი არა, მხოლოდ მუსიკა დასტიროდა, ხოლო გამცილებლები უკან უგრძნობელი სახით მიჰყვებოდნენ, თავადაც ყოველ წამს მზად იყვნენ, რევოლუციას უსიტყვოდ შესწიროდნენ.

დვანოვი უკან როცა მიიხედავდა, ტაფობში ჩაქანებული ქალაქს ხედავდა და მარტოდ შთენილი ნოვოხოპერსკი ებრალებოდა, თითქოს უმისოდ იგი უფრო უმწეო შეიქნა.

ვაგზალში დვანოვმა გაბარდული, მივიწყებული სივრცის მშფოთვარება შეიგრძნო,ყოველი ადამიანივით მასაც შორეული მხარეები იზიდავდა, თითქოს ყველა გადაკარგული და უხილავი საგანი მის ხილვას იყო მონატრებული და თავისკენ მოუხმობდა.

დარბაზში ათი თუ მეტი უთვისტომო, უკეთეს მხარეში წასვლის მოიმედე კაცი მოჩანდა. ყველანი იატაკზე ისხდნენ და მატარებელს უცდიდნენ. ისინი უდრტვინველად იტანდნენ რევოლუციის გამო თავს დამტყდარ სატანჯველს და რუსეთის ველებში მოიმინებით დაეხეტებოდნენ ლუკმა პურის საშოვნელად და თავის გადასარჩენად. დვანოვი გარეთ გავიდა, მეხუთე ლიანდაგზე როშელილაც საშხედრო მატარებელი შეაშენია და იქით გაემართა. მატარებელი საზიდრებითა და არტილერიით დატვირთული რვა ვაგონ - ბაქნისა და ორი სამგზავრო ვაგონისგან შედგებოდა. უკანაც ქვანახშირით სავსე ორი ვაგონ-ბაქანი ჰქონდა მიბმული.

რაზმის მეთაურმა დვანოვს საბუთები გაუსინჯა და სამგზავრო ვაგონში შეუშვა.

-ამჯანაგოყოლონდ იცოდე, ჩვენ რაზგულიაის ასაქცევამდე მივდივართ, -უთხრა დვანოვს მეთაურმა. -იმას იქით მატარებელი აღარ გვჭირდება: პოზიციაზე უნდა გავიდეთ.

დვანოვი დაჯაბულდა, რაზგულიაიმდე გამოგყვებით, ეგეც არ იქნება ურიგო, იქ ჩემს სახლთან ახლოს ვიქნებით.

წითელარმიელ არტილერისტებს თითქმის ყველას ეძინათ. ისინი ორი კვირის განმავლობაში ბალაშოვის მიდამოებში იმბრძოდნენ და ძალზე დაიქანცნენ. ორი გამოძინებული წითელარმიელი ფანჯარასთან იჯდა და ოცნებობის გამო გულში დაგროვილ სევდას სიმღერით იქარვებდა. მეთაური წამოწოლილი კითხულობდა ტიკის გამოცემულ „ლაზათის მოყვარული განდეგილის თავგადასავალს", ხოლო პოლიტმეთაური სადღაც ტელეგრაფში იყო წასული. ამ ვაგონით, როგორც ჩანდა, ბევრ წითელარმიელს ემგზავრა. შორეული გზებით გულგაწყალებულებსა და მარტოობისგან სევდამორეულებს ვაგონის კედლები და ხაოლები წარწერით აეჭრელებინათ. აქაც ქიმიური ფანქრები ეხმარათ, რითაც ფრონტიდან ყოველთვის წერდნენ შინ გაგზავნილ წერილებს. დვანოვი ამ წარწერებს გულითადად, ნაღვლიანად კითხულობდა. შინაც ახალი კალენდრის ფურცლებს მთელი წლისას წინასწარ გადაიკითხავდა ხოლმე.

„ჩვენი იმედი ზღვის ფსკერში ჩაშვებულ ლუზაზე დგას",- წერდა ეიღაც საშხედრო მოგზაური და იმ ადგილმდებარეობასაც აღნიშნავდა, სადაც ამ ფიქრებს მისცემოდა: „ჯანყოი, 18 სექტემბერი, 1918".

ჩამობინდდა და მატარებელი ისე დაიძრა, წასვლის მაუწყებლად არ დაუსტვენია. დვანოვმა გახურებულ ვაგონში ჩათვლიმა და უკვე სიბნელეში გამოელვიძა. იგი გამოაღვიძა სამუხრუჭე ხუნდების ღრჭიალმა და კიდევ რაღაც განუწყვეტელმა ხმამ. ფანჯარაში შუქმა ნამიერად იფეთქა და ჭურვმა ჰაერი დაბლა გაფხრიწა. ჭურვი შორიახლოს გასკდა და მშვიდი ღამეული ველი და ნაწვერალები გააკაშკაშა. დვანოვი გამოფხიზლდა და წამოდგა.

მატარებელმა ხელა მორჩილად შეაჩერა. კომისარი გარეთ გავიდა და დვანოვიც თან გაჰყვა. ცხადია, რკინიგზას კაზაკები უშენდნენ ცეცხლს - მათი ბატარეა სადღაც შორიახლოს იელვებდა ხოლმე, მაგრამ ერთთავად მიზანს აცილებდა, ჭურვები მატარებლის ზემოთ გადადიოდა.

იმ ვრილსა და სევდიან ღამეს ორნი ორთქლმავლისკენ დიდხანს

მიდიოდნენ. მანქანის ქვაბი ოდნავ ხმაურობდა, ხოლო მანომეტრის ზემოთ მცირე შუქი ლამპარიეით ენთო.

-რატომ გაჩერდით? -იკითხა კომისარმა.

-პოლიტმეთაურო, მეშინია, ლიანდაგი დამსხვრეული არ იყოს: ქვემეხებს გეიშენენ. ჩვენ კი მაშუქების გარეშე მივდივართ - ვაიმენ, მატარებელი დავამსხვრიოთ! - წყნარად უპასუხა ზემოდან მემანქანემ.

-სისულელეა: ხომ ხედავ - ჭურვები ზემოდან გადადის! -უთხრა კომისარმა. სწრაფად გასწი წინ, ოღონდ უხმაუროდ!

-კარგი! - დაეთანხმა მემანქანე, -მაგრამ თანაშემწე ერთი მყავს-საქმეს ვერ მოერევა. ერთი ჯარისკაცი მომეცით, რომ საცეცხლესთან დავაყენო!

დვანოვი მიხვდა და ორთქლმავალზე დასახმარებლად ავიდა.შრაპნელი ორთქლმავლის წინ გასცდა და მთელი მატარებელი გაანათა. გაფითრებულმა მემანქანემ რეგულატორის სახელური გადაატრიალა და დვანოვსა და თანაშემწეს შეუყვირა:

-ორთქლი დონეზე იქონიეთ!

საშა საცეცხლეში შეშის შეყრას გულმოდგინედ შეუდგა. ორთქლმავალი ათუხთუხდა და სწრაფად დაიძრა. წინ სამარისებური წყვდიადი განფენილიყო და, შესაძლოა, იქ აყრილი ლიანდაგი ელოდათ. მოსახვევებში ორთქლმავალი განზე ისე გადაქანდებოდა ხოლმე, რომ დვანოვს გულში გაჰკრავდა, რელსებს არ მოვწყდეთო. მანქანა ორთქლს მკვეთრად და ხმირად წაკვეთავდა ხოლმე. ორთქლმავალი სწრაფად მიექანებოდა და მისი სხეულის ხახუნისგან წარმოქმნილ ჰაერის ნაკადს გუგუნი გაჰქონდა. ორთქლმავალის ქვეშ ზოგჯერ მცირე ხიდი ჩაირახრახებდა, ზემოთ კი იდუმალი შუქით იფეთქებდა ღრუბელი, რომელიც ღია საცეცხლიდან გამოჭრილ ცეცხლს ირეკლავდა. დვანოვი მალე გაიოფლა. უკვირდა, მექანიკოსი მატარებელს ასე რატომ მიაქანებს, როცა კაზაკთა ბატარეას, დიდი ხანია, გავცდითო. მაგრამ შეშინებული მემანქანე ორთქლს გაუთავებლად მოითხოვდა, საცეცხლის გამოვსებაში თანაშემწეებს ეხმარებოდა და რეგულატორი უკიდურესი წერტილიდან ერთხელაც არ გადაუწევია.

საშამ ორთქლმავლიდან გაიხედა. ველზე, რა ხანია, მყუდროებას დაესადგურებინა და ამ მყუდროებას მხოლოდ მატარებლის რახრახი არღვევდა. წინიდან დაბინდული ნათება გამორბოდა: ალბათ სადგური იყო.

-აგრე რატომ მიერეკება? -ჰკითხა დვანოვმა თანაშემწეს მემანქანეზე.

-არ ვიცი, - პირქუშად უპასუხა თანაშემწემ.

-ასე ხომ ჩვენ თვითონ უეჭველად დავამსხვრევთ მატარებელს! -თქვა დვანოვმა; რა უნდა ექნა, ეს კი თავადაც არ იცოდა.

ორთქლმავალი დაძაბულობისგან ცახცახებდაც და მთელ კორპუსს აქეთ- იქით იქნევდა, შემაშფოთებელი ძალისა და დაუხარჯავი სიჩქარისგან განრიდებას და ფერდობზე გადაჩეხვას ესწრაფოდა. დვანოვს ეჩვენებოდა, რომ ორთქლმავალი რელსებს უკვე მოსწყდა, ვაგონები კი ჯერ არ წამოსწეოდნენ, ხოლო თვითონ რბილი ნიადაგის უშფოთველ მტვერში იღუპებოდა, ამიტომ მკერდზე ხელს იტაცებდა ხოლმე, რომ გულიდან შიში განერიდებინა.

როცა მატარებელი ისრებზე და რომელიღაც სადგურის გზაჯვარედინზე

ჩაიქროლებდა, დვანოვი ხედავდა, ბორბლები ჯვარედინებზე ცეცხლს როგორ აკვესებდა.

მერე ორთქლმავალი კვლავ წინ განფენილი გზის უკაცრიელ წყვდიადში იძირებოდა და, გააფთრებულ სრბოლას მინებებული, სრული სიჩქარით მიექანებოდა. მოსახვევებში ორთქლმავლის ბრიგადა [illegible] ეულარ იმაგრებდა, ხოლო უკან ჩაბმული ვაგონები რელსების სამაგრებზე [illegible] ტაქტის თვლას ველარ ასწრებდნენ და ზედ ბორბლების წიეილით გადარბოდნენ..

თანაშემწეს მუშაობა ალბათ მობეზრდა.

-ივან პალიჩ! - უთხრა მან მემანქანეს, - მალე შკარინოში ჩავალთ, მოდი, შეეჩერდეთ - წყალი აეიღოთ!

მემანქანემ გაიგონა, მაგრამ ხმა არ ამოუღია; დვანოვი მიხვდა , რომ დაღლილობისგან მემანქანეს ფიქრი გადააეიწყდა,ამიტომ ტენდერის ქვეშა ონკანი ფრთხილად მოუშვა. უნდოდა, დარჩენილი წყალი გამოეშვა, რათა მემანქანე იძულებული გამხდარიყო, ამაო სრბოლა შეეწყვიტა. მაგრამ მან რეგულატორი თავად გადაკეტა და ფანჯარას მოსცილდა. სახე მშვიდი ჰქონდა, თამბაქოს ამოსალებად ხელი ჯიბეში ჩაიყო . დვანოვიც დამშვიდდა და ტენდერის ონკანი გადაკეტა. მემანქანემ გაიღიმა და დვანოვს უთხრა:

ეს რატომ ვქენი? მარინსკის ასაქცევიდან თეთრების ჯაშუსანი სულ კვალდაკვალ მოგვდევდა - ჰოდა, მეც გავურბოდი!

დვანოვი ვერ მიხვდა:

-ახლა აღარ მოგვდევს? ბატარეას როცა გამოვცილდით, სიჩქარეს რატომ არ მოუკელით მანამდე მაინც, სანამ მარინსკის ასაქცევთან მივიდოდით?

-ახლა ჯაშუსანი ჩამოგვრჩა - შეგვიძლია, სიჩქარე შევანელოთ, - უპასუხა მემანქანემ. - შემაზე ადი და უკან გაიხედე!

საშა შეშის გროვაზე აძვრა. სიჩქარე ჯერ კიდევ დიდი იყო და ქარმა დვანოვს სხეულში ცივად დაუარა. უკან უკუნეთ სიბნელეს დაესადგურებინა და მხოლოდ კვალდაკვალ მსრბოლ ვაგონთა ბორბლების ღრჭიალი გაისმოდა.

-მარინსკამდე რატომღა ჩქარობდით? - ისევ ჩაეძია დვანოვი.

-ჩვენ ხომ ბატარეამ შეგვამჩნია და შეეძლო, მიზანი შეეცვალა - იქაურობას უნდა გავცლოდით! - განუმარტა მემანქანემ, მაგრამ დვანოვმა გაიფიქრა, მემანქანე შეშინდაო.

შკარინოში მატარებელი შეჩერდა. კომისარი მოვიდა და, როცა მექანიკოსის ნაამბობი მოისმინა, გაოცდა. შკარინოში კიციშვილი არ ჩანდა, სვეტიდან ორთქლმავალში წყლის ჩაცლა ნელა მთავრდებოდა. ვიღაც იქაური კაცი მოვიდა და, იმის გამო, რომ ღამის პირქარი ქროდა, ყრუ ხმით თქვა, პოვორინოში კაზაკთა ცხენოსანი პატრულია- ეშელონი იქ ვერ გააღწევსო.

ჩვენ მხოლოდ რაზგულიაიმდე მიედევართ! - უპასუხა კომისარმა.

- ჰო - ო!- თქვა კაცმა და სადგურის ჩაბნელებულ შენობაში შევიდა. საშა შიგნით შეჰყვა. ხალხის მოსაცდელ დარბაზში უკაცრიელობა და მოწყენილობა სუფევდა. სამოქალაქო ომის ჟამს უპატრონოდ მიგდებულ, მიეიწყებულ სახიფათო შენობაში საშას კაეშნის სიმძიმილი დახვდა. მარტოდ შთენილი უცხო კაცი, ვინც კომისარს ელაპარაკა, ახლა დარბაზის კუთხეში მდგარ, დამტვრეულ გადარჩენილ გრძელ სკამზე წამოწვა და რაღაც ტანსაცმელი

წაიხურა. საშას გულით მოუნდა, რომ შეეტყო, ვინ იყო ეს კაცი, აქ რა უნდოდა. ამ კაცის მაგვარი, განმარტოებული, ეული, მარტოობის საკუთარი კანონებით მცხოვრები ადამიანები ადრეც და შემდეგაც რამდენჯერ შეხვედრია, მაგრამ სურვილმა ერთხელაც ვერ გადასძალა, რომ მისულიყო და ამბავი გამოეკითხა, ანდა მათ შეჰკედლებოდა და ცხოვრებისწესსა და რიგს მათთან ერთად განრიდებოდა. დვანოვს იქნებ ერჩია [illegible] შკარინოს ვაგზალში იმ კაცს გვერდით მისწოლოდა, ხოლო დილით გარეთ გასულიყო და ველზე განფენილ
ჰაერში გაუჩინარებულიყო.

-მემანქანე მხდალია, ჯავშნოსანი არსად ყოფილა! -უთხრა მერე კომისარს დვანოვმა.

-ჯანდაბას იმისი თავი, როგორმე ჩაგვიყვანს! - მშვიდად უპასუხა დაქაცულმა კომისარმა, შეტრიალდა და თავისი ვაგონისკენ გაემართა, თან გზადაგზა სევდიანად ამბობდა: - ეჰ, დუნია, ჩემო დუნია, ნეტა, ახლა ჩემს შვილებს რას აჭმევ?

საშაც ვაგონში შეეიდა. ვერ მიმხვდარიყო, ადამიანები ასე რატომ იტანჯებოდნენ: ერთი ცარიელ ვაგზალში იწვა, მეორე ცოლზე დარდობდა.

ვაგონში დვანოვი დასაძინებლად დაწვა, მაგრამ დიდხანს არ სძინებია, ხიფათი სიგრილით შეიგრძნო და გათენებამდე გამოელვიძა.

მატარებელი ნესტიან ველზე იდგა, წითელარმიელები ხვრინავდნენ და ძილში ტანს იფხანდნენ - გახეშეშებულ კანზე ფრჩხილთა სიამოვნების გამომხატველი ფხაჭუნი გაისმოდა. კომისარსაც ეძინა, შუბლი შეჭმუხნოდა- ძილის წინ, ალბათ, უპატრონოდ მიგდებული ოჯახი ახსენდებოდა, ეს ტანჯავდა და სახეზე ნალველშერჩენილს ჩახმინებოდა. ჯერაც ჩაუმცხრალი ქარი გაგრილებულ ველზე ნაგვიანევ ბალახის ღერებს დრეკდა, ყამირი გუმინდელი წვიმისგან ბლანტ ტალახად გადაქცეულიყო. მეთაური კომისრის პირდაპირ იწვა და იმასაც ეძინა. წიგნი რაფაელის აღწერილობაზე ჰქონდა გადაშლილი, სადაც რაფაელს ხეელთაშუა ზღვის თბილ სანაპიროებზე წარმოშობილი ადრეული ბედნიერი კაცობრიობის ცოცხალ ღმერთს უწოდებნენ, მაგრამ დვანოვმა იმ დროს წარმოდგენა ვერ შეძლო: იქ ქარი თუ ქროდა, გლეხები ხიცხე -პაპანაქებაში მიწას თუ ხნავდნენ, ხოლო პატარა ბავშვებს დედები თუ ეხოცებოდათ.

კომისარმა თვალები გაახილა:

-რაო, ვდგავართ, ხომ?

-ვდგავართ.

-რა ჯანდაბაა- დღეში ას ვერსს გაედივართ! - გაბრაზდა კომისარი, და დვანოვი მასთან ერთად კვლავ წავიდა ორთქლმავლისკენ.

ორთქლმავალი მიტოვებული იდგა- შიგ არც მემანქანე იყო და არც მისი თანაშემწე. ორთქლმავლის წინ - ხუთი საქენის იქით - უხეიროდ აყრილი რელსები ეყარა.

კომისარი შეფიქრიანდა: - თვითონ წავიდნენ თუ ვინმემ ამოხოცა - ეშმაკიც ვერ გაიგებს! ახლა როგორ წავალთ?

-რა თქმა უნდა, თვითონ წავიდნენ! - თქვა საშამ.

ორთქლმავალს სიცხოველე კიდევ შერჩენოდა და დვანოვმა გადაწყვიტა,შემადგენლობა თვითონ ნელ-ნელა წაეყვანა. კომისარი დაეთანხმა, დვანოვს დამხმარედ ორი წითელარმიელი მიუჩინა, ხუთებს კი რკინიგზის აღდგენა დაავალა.

სამი საათის შემდეგ ეშელონი დაიძრა. დვანოვი ყველაფერს თვითონ ადევნებდა თვალს - საცეცხლესაც, წყალსაც, გზასაც - [illegible] ტომლაც ელავდა. დიდი მანქანა მორჩილად მიდიოდა და არც [illegible] ცდილობდა მაინცდამაინც რომ აეჩქარებინა. მერე თანდათან გათამამდა და სიჩქარეს უმატა, მაგრამ დალმართებსა და მოსახვევებში უსაოუოდ ამუხრუჭებდა. დამხმარე წითელარმიელებს აუხსნა, რა უნდა ეკეთებინათ, და ისინი ორთქლს საჭირო წნევას საკმაოდ კარგად უნარჩუნებდნენ.

წინ შემოხვდათ რომელიღაც უკაცრიელი ასაქცევი, რომელსაც „ზავალიშნი" ერქვა; ფეხისადგილთან ბერიკაცი იჯდა და პურს ჭამდა, მატარებლისთვის ზედაც არ შეუხედავს. დვანოვმა ასაქცევი ნელა გაიარა, თან ისრებს აკვირდებოდა, მერე კი სიჩქარეს უმატა. მზემ ნისლს თავი დააღწია და გაცივებული, ნესტიანი მიწა ნელ-ნელა შეათბო. უშენი ადგილების ზემოთ თითო-ოროლა ჩიტი აფრინდებოდა ხოლმე; ისინიც მაშინვე ძირს ეშვებოდნენ თავიანთი საზრდოს - დაბნეული, დაკარგული მარცვლების ასაკენკად.

გრძელი, სწორი დალმართი დაიწყო. დვანოვმა ორთქლი გადაკეტა და ორთქლმავალი ინერციით გააქანა. მატარებელი სიჩქარეს სულ უმატებდა.

ცარიელი გზა დიდ მანძილზე - ველის ღრმულამდე მოჩანდა, სადაც დალმართი მთავრდებოდა და ალმართი იწყებოდა. დვანოვი დამშვიდდა და სკამიდან ჩავიდა, რომ ენახა, მისი თანაშემწეები როგორ მუშაობდნენ, და გამოლაპარაკებოდა. ხუთი წუთის შემდეგ ფანჯარასთან დაბრუნდა და წინ გაიხედა. შორს გამოჩნდა სემაფორი - ალბათ ეს იქნებოდა რაზგულიაი; სემაფორის იქით საშამ ორთქლმავლის კვამლი შეამჩნია, მაგრამ არ გაჰ -კვირვებია- რაზგულიაი საბჭოელთა ხელში იყო: ეს ნოვოხოპერსკშივე იცოდნენ. იქ რომელიღაც შტაბი იდგა, რომელსაც კაშირი ჰქონდა დიდ საკვანძო სადგურ ლისკისთან.

რაზგულიაიში ორთქლმავლის კვამლი ღრუბლად იქცა და დვანოვმა ორთქლმავლის მილი და მისი წინა ნაწილი დაინახა. „ალბათ ლისკიდან მოვიდა", გაიფიქრა საშამ. მაგრამ ორთქლმავალი სემაფორისკენ - ნოვოხოპერსკის ეშელონისკენ მოემართებოდა. „ახლა შეჩერდება, ისართან შეუხვევს" - თვალს ადევნებდა დვანოვი იმ ორთქლმავალს. მილიდან ამოსროლილი ორთქლის სწრაფი წაკვეთა კი მანქანის მუშაობას თვალსაჩინოს ხდიდა: ორთქლმავალი დვანოვისკენ დიდი სიჩქარით მოიწევდა. დვანოვი ფანჯრიდან მთელი ტანით გადაეკიდა და მზერა გაამახვილა. ორთქლმავალმა სემაფორი გაიარა - მძიმე სატვირთო თუ სამხედრო შემადგენლობა ერთლიანდაგიან რკინაგზაზე დვანოვის ორთქლმავლის საპირისპიროდ მოჰყავდა. ახლა დვანოვი თავქვეზე მიემართებოდა, ის ორთქლმავალიც თავქვეზე მოჰქროდა, და ერთმანეთს ველის ღრმულში- გზის პროფილის გადანატეხზე შეეყრებოდნენ.საშა მიხვდა, რომ ეს საზარელი რაღაც იქნებოდა, - და ორმაგი საყვირის სახელური გადმოწია; წითელარმიელებმა შემხვედრი მატარებელი

შეამჩნიეს და შიშისგან გული შეუქანდათ.

-ახლა სიჩქარეს შეგანელებ და მაშინ გადახტით!- უთხრა წითელარმიელებს დვანოვმა: სულ ერთია, ისინი მაინც უსარგებლონი იყვნენ. ვესტინჰაუზი არ მოქმედებდა - ეს ამბავი საშამ გუშინვე იცოდა, ძველი მექანიკოსის გადაკარგვამდე. რჩებოდა უკუსვლა: კონტროლთქლი. ნოეოხოპერსკის ეშელონი შემხვედრმა მატარებელმა [illegible] და განუწყვეტელი საგანგაშო საყვირის მიცემა იწყო. დვანოვმა საყვირის რგოლი ვენტილზე მიამაგრა, რომ საგანგაშო სიგნალი არ შეეწყვიტა, რევერსის ქუროს მისწვდა და უკუსვლაზე გადაყვანას შეუდგა.

ეშელონი უკან ნელ-ნელა გაჩოჩდა; ორთქლმავალი მილში წყალს ასხამდა, ეაგონებს აწვებოდა და ბუქსაობდა.

დვანოვს უნდოდა, ორთქლმავალი მიეტოვებინა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ კონტროლთქლი ძალზე მკვეთრად გახსნა და ცილინდრებიდან ორთქლი გამოდიოდა- ჩობლები გაგლეჯილიყო, მაგრამ ხუფებს არაფერი დაშავებოდა. შემხვედრი ორთქლმავალი ძალზე სწარფად ახლოვდებოდა: სამუხრუჭე ხუნდების ხახუნისგან მისი ბორბლების ქვემოთ ლურჯი კვამლი გაწოლილიყო, მაგრამ მატარებელს ძალზე დიდი წონა ჰქონდა და მისი სიჩქარის მოშთობას ერთი ორთქლმავალი ვერ შეძლებდა. მემანქანე მკვეთრად, აჩქარებით აძლევდა სამ-სამ სასტვენს, ბრიგადას ხელის მუხრუჭების გამოყენებას სთხოვდა, - დვანოვი ამას ხვდებოდა და ყველაფერს ისე უყურებდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. ფიქრთა ნელმა მდინარებამ იმჟამად შემწეობა გაუწია- შეეშინდა, ორთქლმავალი რომ მივატოვო, პოლიტმეთაური დამხვრეტს, ანდა მერე პარტიიდან გამრიცხავენო.ამას გარდა, გონებიდან ეს აზრიც არ სცილდებოდა, ზახარ პავლოვიჩი, მით უმეტეს, მამაჩემი, გახურებულ, დაუზიანებელ ორთქლმავალს არაფრის დიდებით უპატრონოდ არ დააგდებდნენ და დასალუპავად არ გაიმეტებდნენ.

დვანოვი ფანჯრის რაფას ჩაეჭიდა, რომ დარტყმისთვის გაეძლო, და მოწინააღმდეგეს უკანასკნელად შეხედა. იმ მატარებლიდან ადამიანები უთავბოლოდ ხტებოდნენ, რომ თავი გადაერჩინათ ვინდაც დასახიჩრებულიყვნენ; ორთქლმავლიდან ჩაებერტყა ვიღაც კაცი - მემანქანე თუ მისი თანაშემწე. დვანოვმა თავის მატარებელს უკან გახედა - იქიდან არავინ გამოჩენილა; ალბათ ყველას ეძინა.

საშამ თვალები მოჭუტა, შეჯახების ჭექა-გრიალისა შეეშინდა. მერე ფეხები გამოუცოცხლდა, ჯიხურიდან მეფსეულად გავარდა, რათა გადამხტარიყო და ჩასასვლელი კიბის სახელურს ჩაებღაუჭა. დვანოვს ახლალა ჩაესმა თავისივე მზრუნველი გონების ძახილი: ქვაბი შეჯახებისგან უსათუოდ აფეთქდება და, როგორც მანქანის მტერს, გაგჭიჭყავსო. მის ქვემოთ, სულ ახლოს, სწრაფად გარბოდა მკვიდრი, მკვრივი მიწა, დვანოვის ამქვეყნად გაჩენას რომ ელოდა, ხოლო ერთი წამის შემდეგ უიმისოდ დაობლდებოდა. მიუწვდომელი მიწა საშას სულიერივით გაურბოდა. მას გაახსენდა ბავშობის დროინდელი ზმანება და განცდა: დედა ბაზარში მიდიოდა, ხოლო თვითონ უკან მისდევდა სირბილს უჩვეი ფეხებით: ფიქრობდა, დედა საუკუნოდ გამშორდაო, და თვალთაგან ცრემლი სდიოდა.

წყვდიადის თბილმა მდუმარებამ დვანოვს მზერა დაუბინდა.

-რაღაც კიდევ მაითქმევინე!...- ჩაილაპარაკა დვანოვმა და გარს შემოჭდობილ სივიწროვეში ჩაიკარგა.

როცა გონს მოვიდა, შორს და მარტოდმარტო იყო; დაძველებული ხმელი ბალახი კისერში ულიტინებდა, გარემო ძალზე ხმაურიანი ეჩვენა. ორივე ორთქლმავლის საყვირებსა და დამცველ სარქველებს ზრიალი გაეჭონდა: შერყევისგან მათი ზამბარები ამოცვენილიყო. დვანოვს ორთქლმავალი რელსებზე სწორად იდგა, მხოლოდ ჩარჩო გაღუნოდა, მეყსეული დაძაბულობისა და გახურებისგან ლურჯი ფერი დასდებოდა. რაზგულიაის ორთქლმავალი გვერდზე გადაბრილიყო და ბორბლები ბალასტში ჩაფლოდა. ნოვოხოპერსკის მატარებლის წინა ვაგონის შიგნით ორი მომდევნო ვაგონი შეჭრილიყო და მისი კედლები გაეხლიჩა. რაზგულიაის შემადგენლობას ორი ვაგონის კორპუსი მოსწყდომოდა და ბალახზე გადავარდნილიყო, ხოლო მათი წყვილთვალები ორთქლმაველის ტენდერზე ეყარა.

დვანოვთან კომისარი მივიდა:

-ცოცხალი ხარ?

-არა მიშავს. ეს რატომ მოხდა?

-ეშმაკმა უწყის! იმათი მექანიკანე ამბობს, მუხრუჭებმა მიმტყუნა და რაზგულიაიში მაგარებელი იმიტომ ვერ შევაჩერეთ! ის მაწანწალა დავაპატიმრეთ! შენ რაღას აკეთებდი?

დვანოვი შეშინდა:

-მე უკუსვლა დავიწყე- კომისია გამოიძახე, ნახონ, სამართი როგორ დგას.

-კომისია რაღას გვიშველის! ჩვენთანაც და იმათთანაც ხალხი დაიხოცა. ორმოცი კაცი ამოგვიწყვიტეთ- ასეთი დანაკარგით თეთრების მთელი ქალაქის ალება შეიძლებოდა! აქ კი რა ამბავია! ამბობენ, ამ არემარეში კაზაკები დაძრწიანო -ცუდი დღე მოგველის!

მალე რაზგულიადან დამხმარე მატარებელი მოვიდა, მუშები მოიყვანა და ხელსაწყო-იარაღები მოიტანა. დვანოვი ყველას გადაავიწყდა და იგი გზას ლისკისკენ ფეხით გაუყვა.

იქითკენ მიმავალს წინ პირქვე დამხობილი კაცი გადაეღობა. იგი ისე სწრაფად სივდებოდა,რომ მხარდი სხეულის მოძრაობა მოჩანდა, ხოლო სახე ნელ-ნელა უმუქდებოდა, თითქოს წყვდიადში ეძირებაო,- დვანოვი ამის გამო დღის სინათლესაც კი დააკვირდა: ძალა აქვს თუ არა, რაკილა კაცი ასე შავდებაო.

მალე კაცი იმოდენა შეიქნა, დვანოვს შეეშინდა, არ გასკდეს და სასიცოცხლო სითხე ზედ არ შემომასხასო. ამიტომ გვერდზე გადგა. მაგრამ კაცმა დაფუფქა იწყო და ფერიც გაულიავდა. ალბათ დიდიხნის მკვდარი იყო და სხეულში მხოლოდ მკვდარი ნივთიერებები უშფოთავდა.

ერთი წითელარმიელი დაყუნცულიყო და თავის საზარდულს დასცქეროდა, საიდანაც მუქი სისხლი წნევით მომღინარე ღვინოსავით მოჩქეფდა; წითელარმიელს სახე უფითრდებოდა, მიწაზე ხელებდაყრდნობილი წამოდგომას ცდილობდა და სისხლს ენის ბორძიკით ემუდარებოდა:

-შეჩერდი, შე ძაღლო, ცორემ დაგუძლურდები!

მაგრამ სისხლი ისე სჭელდებოდა, რომ მისი გემოც კი შეიგრძნობოდა, მერე

შავად იწყო დენა და მიწლად შეწყდა; წითელარმიელი გულადმა გაიშოტა.

-ოჰ, რა მოვიწყინე, გვერდით არავინა მყავს!- თქვა ხმადაბლა ისე გულწრფელად, როცა პასუხს არ ელიან.

დვანოვი წითელარმიელს მიუახლოვდა.

-თვალები დამახუჭინე! ფიქრიანად სთხოვა მან დვანოვს, გამომშრალ თვალებს არ ახამხამებდა, ისე იცქირებოდა, ქუთუთოებს ... ვადაც არ არხევდა.

-რა გემართება? - ჰკითხა საშამ და სირცხვილმა გული შეუძრა.

-მჭრის...- განუმარტა წითელარმიელმა და კბილი კბილს დააჭირა, რომ თვალები დაეხუჭა. მაგრამ თვალები კი არ ეხუჭებოდა, არამედ უბაცდებოდა, ებინდებოდა, მღვრიე მინერალად ექცეოდა.მის მკვდარ თვალებში ცხადად გაირბინა ღრუბლიანი ცის ანარეკლმა- თითქოს ბუნება ადამიანში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც სიცოცხლე წინ აღარ ელობებოდა. წითელარმიელი ბუნებას სიკვდილით შეუთავსდა, რათა ტანჯვას გარიდებოდა.

სადგურ რაზგულიაის დვანოვმა განზე ჩაუარა, რათა იქ შესამოწმებლად არ შეეჩერებინათ, და უკაცრიელ სივრცეში მიიმალა, იქ სადაც ადამიანები ისე ცხოვრობენ, რომ შემწეობას არსაით მოელიან.

რკინიგზის ჯიხურები დვანოვს მუდამ იზიდავდა მდუმარე ბინადართა გამო - ფიქრობდა, გზის განმარტოებული გუშაგები მშვიდნი და გონიერნი არიანო. დვანოვი საგზაო სახლებში წყლის დასალევად შედიოდა, ღატაკ ბავშვებს ხედავდა, რომელნიც სათამაშოებით კი არა, მხოლოდ საკუთარი წარმოსახვით ერთობოდნენ; შეეძლო, სამუდამოდ მათთან დარჩენილიყო და მათი ბედ- იღბალი გაეზიარებინა.

მან ღამე ჯიხურში გაათია, ოღონდ ოთახში კი არა, წინ კარში, რადგან ოთახში ქალი მშობიარობდა და მთელ ღამეს ხმამაღლა გმინავდა. მის ქმარს ძილი არ ეკარებოდა და დაბორიალებდა, დვანოვს გადააბიჯებდა ხოლმე, და თავისთვის გაოცებული ამბობდა:

-რა დროს ეს იყო... რა დროს ეს იყო....

იგი შიშობდა, რომ მისი ახალშობილი რევოლუციის უბედურებაში მალე დაიღუპებოდა. ოთხი წლის ბიჭს დედის ხმამაღალ ვაი-ვიშზე ელვიძებოდა, წყალს სვამდა, მოსაშარდად გადიოდა და ყველაფერს გარეშე მაყურებელივით უცქეროდა,- შეიმეცნებდა, მაგრამ არ ამართლებდა. დვანოვს უეცრად რული მოერია და მაშინდა გამოელვიძა, როცა დილის შუქი გაკრთა და სევდიანი, გამბული წვიმა სახურავზე რბილად აშრიალდა.

ოთახიდან კმაყოფილი სახლის პატრონი გამოვიდა და პირდაპირ თქვა:

-ბიჭი დაიბადა!

-ეს ძალიან კარგია, - უთხრა მას საშამ და საგებელიდან წამოდგა,- ადამიანი იქნება!

ახალშობილის მამა განაწყენდა:

-ჰო, ძროხების მეოვალყურე იქნება - ადამიანები მრავლადა ვართ!

დვანოვი წყიმაში გავიდა , რათა კვლავ გზას გასდგომოდა. ოთხი წლის ბიჭი ფანჯარასთან იჯდა და მინაზე თითით ჯღაბნიდა, თავისი ცხოვრებისგან განსხვავებულ რაღაცას წარმოსახავდა . საშამ ბიჭს

გამოსამშვიდობებლად ხელი ორჯერ დაუქნია, მაგრამ მას შეეშინდა და ფანჯრიდან ჩახტა; ისე რომ დვანოვს იგი მერე აღარ დაუნახავს და ველარც ველარასოდეს ნახავდა.

-ნახვამდის!- უთხრა დვანოვმა სახლსა და იმ ალაგს, სადაც ლამე გათენია, და ლისკისკენ გასწია.

ერთი ვერსის შემდეგ გზად ბოხჩიანი ყოჩალი დედაბერი შემოხვდა.

-უკვე გააჩინა!- უთხრა დედაბერს დვანოვმა, რათა მას აღარ ეჩქარა.

-გააჩინა?!- უმალვე გაიკვირვა დედებერმა, - მაშ დღენაკლული ყოფილა, ჩემო კარგო! აი, ხათაბალა! ღმერთმა ამქვეყნად ვინ მოავლინა?

- ბიჭი, - უპასუხა კმაყოფილმა საშამ, თითქოს მომხდარ ამბავში რაიმე წილი თავადაც ედო.

-ბიჭი! მაშ მშობლების უმადური გაიზრდება! - დაასკვნა დედაბერმა.-ოჰ, რა საფანჯველია ბავშვის გაჩენა, ჩემო კეთილო. რა იქნებოდა, ამ ქვეყნად ერთ მამაკაცს მაინც რომ ემშობიარა, მაშინ ცოლისა და სიდედრის წინაშე თავს მოიდრეკდა!...

დედაბერმა უმალვე დვანოვისთვის უსარგებლო ხანგრძლივი საუბარი წამოიწყო, მაგრამ საშამ შეაწყვეტინა:

-აბა, ბებია, მშვიდობით! არც მე და არც შენ არ ვიმშობიარებთ- სადავო არაფერი გვაქვს!

-მშვიდობით, გეთაყვა! დედა გახსოვდეს - უმადური ნუ იქნები!

დვანოვმა აღუთქვა, მშობლების პატივისმცემელი ვიქნებიო, და თავისი მადლიერებით დედაბერი გაახარა.

საშა მაშინ შინ მისვლას დიდხანს მოუნდა. ღრუბლიანი დღის ბინდისფერი ხევდით მოცულ სივრცეში მიაბიჯებდა და შემოდგომისებურად დანალელიანებულ გარემოს გასცქეროდა. ცაზე მზე ღრუბელთა სამოსელს დროდადრო შემოიძარცვავდა, ბალახს, ქვიშას, უსიცოცხლო თიხას შუქში გააჯეჯდა და საკუთარ ვრცხობებს გაუცნობიერებლად უზიარებდა. დვანოვს მოსწონდა მზის ამგვარი მდუმარე შეგობრობა და შუქით მიწის გახალისება.

ლისკიში მატარებელში ჩაჯდა, რომლითაც მეზღვაურები და ჩინელები ცარიცინისკენ მიემგზავრებოდნენ. მეზღვაურებმა მატარებელი ერთხანს შეაყოვნეს, რათა სამარხვო წვნიანის გამო გულმოსულებს საკვები პუნქტის კომენდატის მიბეგვა მოესწროთ, რის შემდეგაც ეშელონი გზას მშვიდად გაუდგა. რუსი მეზღვაურებისგან დაწუნებული თევზის წვნიანი ჩინელებმა მთლიანად მოიროვეს, მერე წვნიანის ვედროების კედლებზე შერჩენილი ცხიმიანი სითხე პურის ნატეხებით მოამშრალეს და მეზღვაურებს სიკვდილის რაობაზე შეკითხვის პასუხად უთხრეს: „ჩვენ სიკვდილი გვყვარს! ძალიან გვყვარს.“ ამის შემდეგ გამძლარი ჩინელები დასაძინებლად დაწვნენ. ღამით კი ფიქრებისგან ძილგამკრთალმა მეზღვაურმა კონცოვმა შაშხანის ლულა კარის ღრიჭოში გაყო და ლიანდაგის ჩაყოლებაზე რკინიგზელთა საბინადროების განათებულ ფანჯრებსა და სასიგნალო შუქებს სროლა აუჯეხა; კონცოვი შიშობდა, ხალხის დაცვისთვის თავგამოდებულს, იმათი გულისთვის მუქთა სიკვდილი მომიწევსო, ამიტომ მისი ხელით დაზარალებულთა მიმართ

მოვალეობის გრძნობას წინასწარ იძენდა. ხროლის მერე სურვილაღსრულებულმა კონცოვმა მყისვე დაიძინა და ოთხასი ვერსი ძილში გალია. საშამ კი ვაგონი მის გაღვიძებამდე დიდი ხნით ადრე, მეორე დღეს, დილით დატოვა.

დვანოვმა თავისი ეზოს კუტიკარი შეაღო და წინა კართან მდგარი ბებერი ხის დანახვით გაიხარა. დაჩეხილ-დასახიჩრებულ ხეში ნაჯახს აჭედებდნენ, როცა შეშას აპობდნენ და შეისვენებდნენ ხოლმე; მაგრამ ხე ჯერ [illegible] იყო, სნეულ ტოტებზე ფოთოლთა სიმწვანეს მაინც ინარჩუნებდა.

საშა, მოხვედი? - ჰკითხა ზახარ პავლოვიჩმა. კარგია, რომ მოხვედი, თორემ მარტოდმარტო ვარ დარჩენილი, ლამით უშენოდ ძილის ხალისი არა მქონდა, ვიწექი და სულ გიჟურადებდი, ან ეხლა მოვა, ან ეხლა - მეთქი. კარს არ ვკეტავდი, რომ პირდაპირ შეშოსულიყავი.

შინ დაბრუნებულ საშას პირველ დღეებში სხეული ეთოშებოდა. ერთთავად ლუმელზე იწვა და თბებოდა, ხოლო ზახარ პავლოვიჩი ქვემოთ მჯდომარე თვლემდა.

საშა, იქნებ რამე გინდა? - დროდადრო ეკითხებოდა საშას ზახარ პავლოვიჩი.

-არა, არაფერი მინდა - უპასუხებდა საშა.

-იქნებ რამე შეგეჭამა.

მალე დვანოვი ისე ცუდად შეიქნა, ზახარ პავლოვიჩის შეკითხვების გაგონება აღარ შეეძლო; ვერც იმას ხედავდა, ლუმელთან მჯდარი მამობილი ლამლამობით წინდებს რომ უთბობდა და თავჩაკიდებული ტიროდა. დვანოვს ტიფი შეეყარა, რამდენჯერმე შეაქცია, სნეულის სხეულს რვა თვის განმავლობაში არ მოსცილებია, მერე კი ფილტვების ანთებაც დაერთო. საშა გონმიხდილი იწვა, საკუთარ არსებობას ვეღარ. შეიგრძნობდა, მხოლოდ ხანდახან, ზამთრის ღამეებში, ორთქლმავლის საყვირის კივილი ჩაესმოდა და იხსენებდა, ეს რა ხმა იყო. სნეულის წადილგამოცლილ გონებამდე ზოგჯერ არტილერიის შორეული გრიალი აღწევდა, მერე კვლავ მხურვალება შემოეგზნებოდა და ზღუდედ ქცეულ საკუთარ სხეულში აღძრული ხმაური ყველაფერს ფარავდა. ცნობიერება მცირე ხნით როცა დაუბრუნდებოდა, გამოცარიელებული და გამოფიტული იწვა, მხოლოდ საკუთარ კანს შეიგრძნობდა და ქვეშაგებს ეკვროდა, რადგან ეჩვენებოდა, შეიძლება, ისე გავფრინდეს, როგორც ობობის გამხმარი, მხუბუქი გვამი დაფრინავსო.

პასექის დადგომამდე ზახარ პავლოვიჩმა შვილობილს კუბო გაუმზადა - მკიდრი, საუცხოო, ქიმურებითა და ქანჩებით გაწყობილი კუბო - ოსტატი - მამისგან შვილისათვის მიძღვნილი უკანასკნელი საჩუქარი. ზახარ პავლოვიჩს უნდოდა, საშა ამ კუბოთი ცოცხალი თუ არა, მთელი მაინც შემოენახა მოსაგონებლად და სასიყვარულოდ. აპირებდა, ყოველ ათ წელიწადში საფლავიდან ამოვთხრი, რათა კვლავ ვიხილო და თავი მასთან ერთად ვიგრძნოო.

დვანოვი სახლიდან გარეთ ზაფხულის დამდეგს გავიდა; ჰაერი წყალივით მძიმე, მზე აგიზგიზებული ცეცხლივით მოყიანე და მთელი სამყარო თავისი ღონემიხდილი სხეულისთვის სიცოცხლითა და სიმძაფრით დამათრობელი ეჩვენა. სიცოცხლე დვანოვის წინაშე კვლავ გაბრწყინდა, სხეული დაეასაგრა და გონებას აღმაფრენა დაუფლა.

მესრის იქიდან საშას ნაცნობი გოგონა - სონია მანდროვა გამოსცქეროდა. ვერ მიმხვდარიყო, საშა რატომ არ მოკვდა, როცა კუბო უკვე გამზადებული ჰქონდათ.

-არ მომკვდარხარ? - ჰკითხა მან დვანოვს.

არა, - უთხრა საშამ. -შენც ცოცხალი ხარ?

-მეც ცოცხალი ვარ. ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ. ახლა კარგადა ხარ?

-კარგადა ვარ. შენ?

-მეც კარგადა ვარ. ასე გამხდარი რატომა ხარ? სიკვდილი შემოგიჯდა და არ შეუშვი?

- გინდოდა, რომ მოვმკვდარიყავი?- ჰკითხა საშამ.

-არ ვიცი, - უპასუხა სონიამ. - ხალხი ბევრია, ზოგი კვდება, ზოგი რჩება.

დვანოვმა სონია თავის ეზოში გადაიპატიჟა; ფეხშიშველი სონია მესერზე გადმოვიდა და საშას ხელით შეეხო, რადგან ზამთრის განმავლობაში გადაეწყებული ჰყავდა. დვანოვი მოუყვა, ავადმყოფობისას რა ეზმანებოდა და სიზმართა წყვდიადი როგორ ასევდიანებდა: ხალხი არსად ჩანდა, ჰოდა, ახლა შეიტყო, რომ ადამიანები ამქვეყნად ცოტანი არიან; როცა ომის ქარცეცხლში გახვეულ ველზე მიდიოდა, იქაც სახლები აქა-იქ ხვდებოდა.

-მე უნებურად გითხარი, არ ვიცი- მეთქი, - უთხრა საშას სონიამ. -თუ მოკვდებოდი, დიდხანს ვიტირებდი. დაე, შორს წასულიყავი, სამაგიეროდ, ვიფიქრებდი, მთელი და ცოცხალია- მეთქი...

საშამ გოგონას გაოცებით შეხედა. სონია იმ წელიწადში გაზრდილიყო, თუმცა ცოტას ჭამდა; თმა გამუქებოდა, სხეულს კრძალულება შეეძინა, და მის წინაშე საშამ დაიმორცხვა.

- შენ ხომ არც იცი, საშა, მე ახლა კურსებზე ვსწავლობ!..

-იქ რას გასწავლიან?

- ყველაფერს, რაც არ ვიცით . ერთი მასწავლებელი გვეუბნება,თქვენ აშმორებული ცომი ხართ, მე კი თქვენგან ტკბილი ღვეზელი უნდა გამოვაცხო. რაც უნდა, ისა თქვას, სამგიეროდ, მისგან პოლიტიკას ვსწავლობთ. ხომ მართალია?

-განა შენ აშმორებული ცომი ხარ?

-ჰო. მერე კი ალარ ვიქნები და ალარც სხვები იქნებიან, რადგან მე ბავშვების მასწავლებელი გავხდები და ისინი პატარაობიდანვე დაიწყებენ დაჭკვიანებას, მაშინ იმათ „აშმორებულ ცომს“ ველარავინ დაუძახებს და ვერ გაანაწყენებს.

დვანოვი სონიას ერთ ხელზე შეეხო,რომ ისევ მისჩვეოდა, სონიამ კი მეორე ხელიც მისცა.

-ასე უკეთ გამოჯანმრთელდები, - უთხრა მან დვანოვს. - შენ ციცი ხარ, მე კი მხურვალე. არა გრძნობ?

-სონია, სალამოს ჩვენსა მოდი - სთხოვა საშამ. მარტობა მომბეზრდა.

სალამოთი სონია საშასთან მივიდა . საშა რალაცას უხატავდა, სონია კი ასწავლიდა, უკეთ როგორ დაეხატა. ზახარ პავლოვიჩმა კუბო გარეთ მალულად გაიტანა და ღუმელში შესაკეთებლად დაჩეხა. „ახლა ბავშვის

სარწეველა უნდა გავაკეთო,- ფიქრობდა იგი.- ისეთი რესორის რკინა სად ვიშოვო, ცოტა რბილი რომ იყოს? ..ჩვენ ხომ არა გვაქვს- იქ ორთქლმავალის რესორებია. იქნებ საშას სონიასგან ბავშვები ეყოლოს, მე კი მათ მოეუვლი. სონია მალე წამოიზრდება- დაე, ამანაც იცოცხლოს, ესეც ხომ ლამაზია".

სონია წავიდა თუ არა დვანოვი დანაღვლიანების შიშით მაშინვე ლოგინში ჩაწვა, რათა დილამდე სძინებოდა, მერე ახალი ფლეგმა და ღამე არ დამახსოვრებოდა. მაგრამ იწვა და ღამეს გახელილი თვალებით ხედავდა; მის არსებაში მომძლავრებულ, მლელვარე სიცოცხლეს რული არ ეკარებოდა. დვანოვს თვალწინ წარმოუდგა წყვდიადით მოცული ტუნდრა, სადაც ლედამიწისთბილი მხარეებიდან გარეკილი ხალხი ბინადრობდა. ამ ხალხს მომცრო რკინიგზა გაეყვანა, რათა დაკარგული კლიმატის სანაცვლო სახლების ასაშენებლად ხე-ტყე მოეზიდა. დვანოვმა თავი მემანქანედ წარმოიდგინა. ვითომ იმ ხე-ტყის საზიდ რკინიგზაზე მსახურობდა,რომლითაც ახალი ქალაქების ასაშენებელი მორები გადაჰქონდათ; მემანქანის მთელ საქმიანობას წარმოსახვით ასრულებდა -მატარებელი უკაცრიელ გადასავლელებზე გადაჰყავდა, სადგურებში წყალს იღებდა, ქარბუქს საყვირის სტვენით მიაპობდა, ამუხრუჭებდა, თანაშემწეს ელაპარაკებოდა და, ბოლოს, ყინულოვანი ოკეანის სანაპიროზე მდებარე ბოლო სადგურთან ჩაიძინა. სიზმრად ნახა მწირი ნიადაგიდან ამოზრდილი უზარმაზარი ხეები, ამ ხეთა ირგვლივ გადაშლილი ოდნავ მოტორტმანე ჰაეროვანი სივრცე და შორეთისკენ უდრტვინველად მიმავალი უკაცრიელი გზა.დვანოვი ყოველივეს შურით უცქეროდა- სურდა, ხეები, ჰაერი და გზა მოეტაცა და საკუთარ არსებაში მოეთავსებინა, რათა მათი შეწევნით სიკვდილისგან თავი ეხსნა. დვანოვს რაღაცის გახსენება კიდევ უნდოდა, მაგრამ ეს მცდელობა მოგონებათა აღძვრაზე ძნელი აღმოჩნდა და მისი აზრი ისე გაქრა სიზმარში ცნობიერების გარდატეხისგან, როგორც ადგილიდან დაძრულ ბორბალს ჩიტი მოსწყდება ხოლმე.

ღამით ქარი ამოვარდა და მთელი ქალაქი გათოშა. მრავალ სახლში სიცივემ დაისადგურა; გაყინული ბავშვები თავს იმით შველოდნენ, რომ ტიფიან, ხურვებაშემოგზნებულ დედებს მიუწვებოდნენ და თბებოდნენ. გუბერნიის აღმასკომის თავმჯდომარის შუმილინის ცოლსაც ტიფი სჭირდა, ორი შვილი აქეთ- იქით ამოსწოლოდა, ჩამთბარებს ეძინათ. თავად შუმილინს მაგიდაზე ანთებული პრიმუსი ედგა, რადგან ლამპა არა ჰქონდა, ხოლო ელექტროშუქი ჩაქრა; ამიტომ ქარის ძრავის ნახაზს პრიმუსისი შუქზე აგებდა. ამ ძრავას გუთანი თოკით უნდა გაეწია და მიწა პურის დასათესად მოეხნა. გუბერნიაში ცხენები გამოილია და მანამდე ვერ მოიცდიდნენ, სანამ ცხენები კვლავ მომრავლდებოდნენ, წამოიზრდებოდნენ და გამწეე ძალად იქცეოდნენ, - მაშასადამე, მეცნიერული საშუალებანი უნდა გამოენახათ.

შუმილინმა ნახაზი დაასრულა, მერე აუცილებელი ნივთების უქონელი საბჭოთა ქვეყნის საყოველთაო სიღატაკის შესაბამისად დივანზე გაუხდელი დაწვა, მოკუნტულმა პალტო წაიხურა და თვინიერად დაიძინა.

დილით შუმილინი მიხვდა, გუბერნიაში მასებმა ალბათ რაიმე მოიფიქრეს, იქნებ შემთხვევით სადმე სოციალიზმიც კი გამოუვიდათ, იმიტომ რომ

ხალხს მეტი გასაქანი არა აქვს, უბედურების შიშსა და სიღატაკის მოძალებას მხოლოდ ერთობითა და შემჭიდროებით უნდა სძლიოსო. ცოლი ქმარს ტიფისგან გამოხუნებული, გამოთეთრებული თვალებით უცქეროდა და შუმილინი ისევ პალტოს ქვეშ შეიმალა.

- მალე უნდა დავიწყოთ, -ჩურჩულებდა საკუთარი თავის დასამშვიდებლად, - რაც შეიძლება, მალე უნდა დავიწყოთ, თორემ ცოლი მომიკვდება.

ბავშვებსაც გამოელვიძათ, მაგრამ ობილი ლოგინი არ ეთმობოდათ და ცდილობდნენ, ისევ დაეძინათ, რათა ჭამა არ მოხდომებოდათ.

შუმილინი წასასვლელად უხმაუროდ გაემზადა და სამსახურისკენ გაემართა. ცოლს შეჰპირდა, შინ მალე დაბრუნდებიო; ამას ყოველდღე შეჰპირდებოდა ხოლმე, მაგრამ ყოველთვის ღამით მოდიოდა.

გუბერნიის აღმასკომთან ვიღაც ხალხი მიდიოდა. ტანსაცმელი თიხით ჰქონდათ მოსვრილი, თითქოს ღარტაფებში მდებარე სოფლებში უცხოვრიათ, ახლა კი შორ გზას გასდგომიან, ისე რომ ტანსაცმელი არ გაუსუფთავებიათო.

-საით გაგიწევიათ, - ჰკითხა შუმილინმა ლასლასით მიმავლებს.

-ჩვენა? - თქვა ერთმა ბერიკაცმა, ცხენებზე იმედდაკარგულს დადაბლება რომ დაეწყო. - საითაც მოგვეპრიანება, იქით წავალთ. ვიცლით, სანამ სადმე არ გაგვაჩერებენ. ახლა პირუკულმა რომ შეგვაბრუნო, უკუნ წავალთ.

-მაშ სჯობია, პირდაპირ წახვიდეთ, - უთხრა მათ შუმილინმა; კაბინეტში როცა შეეიდა, ერთ სამეცნიერო წიგნში ამოკითხული ადგილი გაახსენდა, სიჩქარისაგან მიზიდულების ძალა, სხეულისა და სიცოცხლის წონა კლებულობსო. მაშასადამე, ამიტომაცაა, რომ ადამიანები ცდილობენ, იმოძრაონ, როცა უბედურება ეწვევათ. რუსი ყარიბები და მლოცველები გამუდმებით სწორედ ამიტომ დახეტიალობდნენ, რომ ხეტიალისას ხალხის მწუხარე სულის სიმძიმეს განაბნევდნენ. გუბალმასკომის ფანჯრიდან შიშველი, დაუთესავი ველები მოჩანდა; ხანდახან იქ ეული კაცი გამოჩნდებოდა, ნიკაპს ყავარჯენზე დაყრდნობდა და ქალაქს დაკვირვებით აცქერდებოდა, მერე კი სადღაც ხევში ჩადიოდა, სადაც ბინდით მოცულ ქოხში ცხოვრობდა და რაღაცის იმედით სულდგმულობდა.

შუმილინმა გუბკომის მდივანს ტელეფონით უთხრა, რაც აწუხებდა: ველებსა და ქალაქში ხალხი მიდი-მოდის, რაღაცას ფიქრობს, რაღაც სურს, ჩვენ კი იმათ ოთახიდან ვხელმძღვანელობთ; იქნებ დროა, გუბერნიაში ეთიკური, მეცნიერი ჭაბუკი გავგზავნოთ, დაე, მიიხედ- მოიხედოს, ნახოს ცხოვრების სოციალისტური ელემენტები ხომ არ არის სადმე: მასებსაც ხომ თავიანთი სურვილები აქვთ. ისინი თავისით როგორღაც ცხოვრობენ, მით უმეტეს, რომ დახმარებას ჯერ არ მისჩვევიან; საჭიროა, გაჭირვებას შუა წერტილი ვუპოვოთ და უმალვე დავცხოთ - დახანება არ შეგვიძლიაო!

-რახან ასეა, გააგზავნე! - დაეთანხმა მდივანი. - მე შესაფერ კაცს მოგიძებნი, ხოლო შენ მითითებებით აღჭურვე.

-დღესვე გამოძებნე, - სთხოვა შუმილინმა. - გამოიძებნე და მივლინებით შინ გამომიგზავნე.

მდივანმა განკარგულების შესრულება დაქვემდებარებულ დაწესებულებას

დაავალა და დაივიწყა; საორგანიზაციო განყოფილების მოსამსახურე მდივნის ბრძანების შესრულებას გუბერნიის კომიტეტის აპარატში ველარავის დააკისრებდა, რადგან დაქვემდებარებული არავინ ჰყავდა და ამიტომ მოსაზრებას თვითონ შეუდგა, გუბერნიის დასათვალიერებლად ვინ გაეგზავნა. აღარავინ იყო - ყველა კომუნისტი უკვე მოქმედებდა; აღრიცხვაზე მხოლოდ ვიღაც დვანოვი ჰყავდათ, რომელიც ნოვოხოპერსკიდან გამოეძახათ ქალაქის წყალსადენის შესაკეთებლად, მაგრამ მის პირად საქმეს ავადმყოფობის საბუთი ჰქონდა დართული. „ამას გავგზავნი, თუ არ მომკვდარა", - გადაწყვიტა კანტორის მოსამსახურემ და გუბკომის მდივანთან შევიდა, რომ დვანოვის თაობაზე მოეხსენებინა.

-იგი პარტიის გამოჩენილი წევრი არ არის, - თქვა კანტორის მოსამსახურემ- ჩვენთან თავის გამოსაჩენი საქმე არ იყო. აი, დიდი საქმეები როცა გვექნება, ამხანაგო მდივანო, მაშინ კი ხალხი თავს გამოიჩენს.

-კარგი,-უპასუხა მდივანმა. - დაე, ბიჭებმა საქმეები გამოიგონონ და ამ საქმეთა კეთებით იზარდონ.

საღამოთი დვანოვმა ქაღალდი მიიღო, რომ გუბალმასკომის თავმჯდომარესთან დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო, რათა მასებს შორის სოციალიზმის მოსალოდნელ თვითჩასახვაზე ესაუბრა. დვანოვი ადგა და წავიდა; სიარულს გადაჩვეულ ფეხებს ძლივს მიათრევდა; სონია კურსებიდან ბრუნდებოდა, ხელში რვეული და ძირხვენის ფოთოლი ეჭირა. ძირხვენის ფოთოლი იმიტომ მოწყვიტა, რომ ქვედა მხარე თეთრი ჰქონდა, ღამღამობით ქარი ამოატრიალებდა და მთვარე ანათებდა. სონია ამ ძირხვენას ფანჯრიდან გასცქეროდა ხოლმე, როცა სიჯეილე არ ასვენებდა და თვალზე ძილი არ ეკარებოდა. ჰოდა, ახლა იმ ხრიოკ ადგილას შეიარა და ფოთოლი მოწყვიტა. შინ უკვე ბევრი მცენარე ჰქონდა, ყველაზე მეტი კი ნეგოები მოეტანა, ჯარისკაცების საფლავებზე რომ ხარობდა.

-საშა -უთხრა დვანოვს სონიამ, - ჩვენ მალე სოფლებში წაგვიყვანენ, ბავშვებს წერა-კითხვა უნდა ვასწავლოთ. მე კი ყვავილების მაღაზიაში მინდა მუშაობა.

საშამ უთხრა:

-ყვავილები ისედაც თითქმის ყველას უყვარს, სხვის შვილებს კი იშვიათად თუ ვინმე შეიყვარებს, მათზე მხოლოდ მშობლების შესტკივათ გული.

სონიას ბევრი რამის გააზრება არ შეეძლო, მისი გული ჯერ ცხოვრების შეგრძნებებით იყო აღსავსილი, რაც სწორად ფიქრს უბრკოლებდა, ამიტომ საშას განაწყენებული დაშორდა.

შუმილინი სად ცხოვრობდა, დვანოვმა ზუსტად არ იცოდა. თავდაპირველად დაახლოებით იმ ეზოში შევიდა, სადაც მისი ვარაუდით შუმილინს უნდა ეცხოვრა, ეზოში ძელური იდგა, სადაც მეეზოვე იმყოფებოდა; უკვე დაბინდდა და მეეზოვე ცოლთან ერთად ფიცარნაგზე დასაძინებლად დაწვა. სუფთა სუფრაზე შემთხვევით მოსული სტუმრისთვის პური დაეტოვებინათ. დვანოვი ძელურში ისე შევიდა, როგორც სოფელში. შიგნით ჩალის და რძის სუნი იდგა, გულმოდგინებისა და სიმაძღრის ის სითბო შეიგრძნობოდა, რამაც წარმოშვა მთელი მოსახლეობა რუსული სოფლისა. ბინის პატრონი მეეზოვეც

ცოლს ალბათ თავისი ეზო- ყურის საზრუნავზე ეჩურჩულებოდა.

მეეზოვე მაშინ ეზოს სანიტრად ირიცხებოდა, რათა მისი ლირსება არ დამცირებულიყო. დვანოვმა სთხოვა, შუმილინის ბინა მიმასწავლეო. სანიტარმა თექის ჩექმები ჩაიცვა და საცვლებზე მაზარა მოიხურა.

-წავალ, მთავრობის გულისთვის გავითოშები, - უთხრა მან ცოლს. შენ კი, ბოლია,ჯერ ნუ დაიძინებ.

შუმილინი ამ დროს სნეულ ცოლს გვერდით მისჯდომოდა, ხელში თეფში ეჭირა და აზელილ კარტოფილს აჭმევდა. ქალი საჭმელს უღონოდ ლეჭავდა და ცალი ხელით დედის სხეულთან შეუჭეულ სამი წლის ვაჟს ეფერებოდა .

დვანოვმა უთხრა, რაც სჭირდებოდა.

- მოიცადე, ცოლის ჭმევას მოვრჩები, - სთხოვა შუმილინმა და, როცა ჭმევა მოამთავრა, მერეღა უთხრა:- აი, თავადაც ხედავ, ამხანაგო დვანოვო, რა გვესაჭიროება: დღისით ვმსახურობ, სალამოთი კი ცოლს ჩემი ხელით ვაჭმევ ჩვენთის აუცილებელია, რამენაირად სხვაგვარი ცხოვრება ვისწავლოთ...

-ასეთ ცხოვრებასაც არა უშავს,- უპასუხა დვანოვმა, - როცა ავად ყოფილი და ზახარ პავლოვიჩი თავისი ხელით მაჭმევდა, ეს ძალიან მიყვარდა.

-რა გიყვარდა? - ვერ მიხვდა შუმილინი.

- როცა სხვები თავისი ხელით გაჭმევენ.

-თუ კი გინდა, გიყვარდეს, - დვანოვის მითქვამი ვერ გაიაზრა, ისე უპასუხა შუმილინმა. მერე თავისი წადილი გაუზიარა: - მინდა , რომ გუბერნია ფეხით შემოიარო და თვალი მოავლო, ხალხი იქ როგორ ცხოვრობს; ლატაკებმა ალბათ თავისით მოიყარეს თავი და სოციალურად მოეწყვნენ.

- ჩვენ აქ ვმსახურობთ, - გულისტკივილით ამბობდა შუმილინი, - ხოლო მასები ცხოვრობენ, - მე ვშიშობ, ამხანაგო დვანოვო, რომ კომუნიზმი იქ უფრო მალე დამყარდება - იმათ ხომ ამხანაგობის გარდა საშველი არსაითა აქვთ. კარგი იქნება, რომ წახვიდე და იქაურობა მოინახულო.

დვანოვს ათასნაირი ხალხი გაახსენდა. თვალწინ დაუდგა ვენებზე მოხეტიალენი, ფრონტისპირა ცარიელ შენობებში მძინარენი; იფიქრა, ადამიანებმა შესაძლოა, მართლაც მოიყარეს თავი სადმე, ქარისა და სახელმწიფოსგან მოფარებულ ალაგას და თავიანთი მეგობრობით კმაყოფილნი ცხოვრობენო. მან შუმილინს ალუთქვა, რომ მოსახლეობის თვითმოქმედებაში კომუნიზმს მოიებნიდა.

-სონია, - გადასძახა მეორე დილით დვანოვმა სონიას მესრის იქით, - მე მივდივარ, ნახვამდის!

ქალიშვილმა მესრის იქიდან გადმოიხედა. იგი ეზოში პირს იბანდა.

-საშა, მეც მივდივარ . კლუშა შინ მაინც არ მაჩერებს და, მირჩევნია, სოფელში ჩემთვის ვიცხოვრო.

დვანოვმა იცოდა, რომ სონია ნაცნობთან, დეიდა კლუშასთან ცხოვრობდა, მშობლები არ ჰყავდა, მაგრამ სოფელში მარტოდმარტო მაინც სად უნდა წასულიყო? თურმე სონია და მისი ამხანაგები კურსებიდან ვადამდე გამოუშვიათ, იმიტომ რომ სოფლად თავს იყრიდა წერა კითხვის უცოდინართა ბანდები და იქ მასწავლებლებს წითელი არმიის ნაწილების თანაბრად გზავნიდნენ.

-მე და შენ ახლა ერთმანეთს რევოლუციის შემდეგ ვნახავთ, - უთხრა სონიას დვანოვმა.

- უსათუოდ ვნახავთ, - დაუდასტურა სონიამ.- შენ ლოყაზე [illegible] ხოლო მე შუბლზე გაკოცებ. ნიშანი მაქვს, რომ ხალხი ერთ- [illegible] ასე ემშვიდობება, მე კი სხვას ვერავის გამოვემშვიდობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვანოვმა სონიას ტუჩები ლოყაზე შეახო და თვითონ [illegible] სონიას მშრალ ბაგეთა შეხება იგრძნო; სონია გვერდზე შეტრიალდა და მესერს გაწამებულად, კრძალულად დაუწყო ხელის სმა.

დვანოვს უნდოდა, სონია ენუგეშებინა, მაგრამ მისკენ მხოლოდ დაიხარა და მჭკნარი ბალახის სურნელება შეიგრძნო, ქალიშვილის თმას რომ უდიოდა. ამ დროს სონია შემოტრიალდა და კვლავ გამოცოცხლდა.

ზახარ პავლოვიჩი კარის ზღურბლზე იდგა, ხელში რკინის დაუმთავრებელი ჩემოდანი ეჭირა და თვალებს არ ახამხამებდა, რომ ცრემლები არ დაგუბებოდა.

დვანოვი გუბერნიაში სამაზრო გზებსა და თემშარებს მიუყვებოდა. ცდილობდა, დახახლებულ ადგილებს არ მოსცილებოდა, ამიტომ მდინარეთა ხეობებსა და ხევებში უსდებოდა სიარული. წყალგამყოფზე როცა გავიდოდა, ვერც ერთ სოფელს ველარ ჩედავდა, ღუმლის მილიდან კვამლი არსად ამოდიოდა და ამ მაღალ ველებზე პური აქა- იქა თუ ეთესა; აქ უცხო ბალახი ხარობდა და გაბარდულ შამბნარში თავს აფარებდნენ და ხაზრდოობდნენ ფრინველები და მწერები.

წყალგამყოფიდან რუსეთი დაუსახლებელი ეჩვენებოდა. სამაგიეროდ, ღარტაფების სიღრმეში და წყალმცირე ფშანების ნაპირებზე ყველგან სოფლები იყო ჩარიგებული, - აშკარად ჩანდა, რომ ხალხი წყლის კვალდაკვალ სახლდებოდა; ისინი წყალსატევთა ტალვეებად ქცეულიყვნენ. თავდაპირველად დვანოვმა გუბერნიაში ეერაფერი შეამჩნია, იქაურობა მწირი წარმოსახვის ზმანებასავით ეროფეროვანი ეჩვენა. მაგრამ ერთ ხალამოს, როცა თავშესაფარი ვერსად ნახა, ღამის გასათევი ალაგი მხოლოდ წყალგამყოფის თხემზე თბილ შამბნარში ჰპოვა.

დვანოვი დაწვა და ტანქვეშ ნიადაგი თითებით მოჩიჩქნა. მიწა საკმაოდ ნოყიერი აღმოჩნდა, მაგრამ ნახნავები არსად ჩანდა, ამიტომ საშამ გაიფიქრა, ალბათ აქ ცხენები არ ეყოლებათო, და დაძინა. გამთენიისას სხვა სხეულის სიმძიმე იგრძნო, გამოიღვიძა და რევოლვერი ამოიღო.

-ნუ გეშინია- უთხრა მას ზვიადან დაწოლილმა კაცმა, - მე ძილში გავითოშე, მერე კი ვნახე, რომ აქ იწექი. მოდი, ახლა გასათბობად ერთმანეთს ხელები მოვხვიოთ და დავიძინოთ.

დვანოვმა ხელები მოხვია და ორივენი გათბნენ. დილით კი იმ კაცს იმგვარადვე ხელებმოხვეულმა ჩურჩულით ჰკითხა:

-აქ რატომ არა ხნავენ? მიწა ხომ შავია! ცხენები არა ჰყავთ?

- მოიცა, - წვეთს წვეთისგან ჩახლეჩილი ხმით უპასუხა გამთბარმა მოხეტიალემ. - კი გეტყოდი, მაგრამ უჭმელობისგან ტვინი ალარ მიტოკავს. ადრე ადამიანები იყვნენ, ახლა მათგან მარტო ჰირებიღა დარჩა. მიხვდი თუ არა, რას გეუბნები?

-ვერ მიეხვდი. რა, მერე? -დაიბნა დვანოვი.- მთელ ღამეს ჩემ გვერდით იბეღოდი და ახლა გამიანწყენდი?

მოხეტიალე წამოდგა.

-გუშინ საღამო იყო, სუბიექტი ადამიანი! კაცის მწყალობელ მზის მოძრაობას ასდევს, საღამოთი გაამში ჩაუჯდება, ხოლო დილით გარეთ გამოდის. მე საღამოთი ვითოშებოდი, დილით კი არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვანოვმა ჯიბეში ხელი მოიფათურა, ნაყარ ნუყარიდან ცოტა პურის გული ამოქექა და მოხეტიალეს გაუწოდა.

- ჭამე, - უთხრა მწყრალად, -ეგ ტვინი თუნდაც მთლად მუცლად გაქცევია, მე კი რის გაგებაც მინდა, უშენოდაც შევიტყობ.

შუადღისას დვანოვმა მდინარისპირა ხრამში შორეული სოფელი იპოვა და სოფსაბჭოში მყოფთ უთხრა, იქვენს ველებზე მოსკოველი ახალმოშენეების ჩამოსახლებას აპირებენო.

-მერე რა, ჩამოსახლონ,- დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარე.- იქ ხომ მაინც ვერ გაძლებენ, სასმელი წყალი არსად არის, თანაც იქაურობა შორსაა.იმ მიწებს ჩვენ თვითონ ოდითგან არ გაგვარებივართ... იქ წყალი რომ იყოს, საკუთარ სისხლს ამოგაწოვინებდით და იმ ნახევენ მიწას კი ბარაქიანობას არ მოვაკლებდით.

დვანოვი კვლავ გზას გაუდგა. ახლა გუბერნიის უფრო შორეულ ადგილებში მიაბიჯებდა და არ იცოდა , სად შეჩერდებოდა. იგი ფიქრობდა იმ დროზე, როცა წყალი მშრალ, მაღლობ წყალგამყოფებზე აელვარდებოდა,ეს უკვე სოციალიზმი იქნებოდა. მალე მის წინაშე რომელიღაც ძველი, დიდი ხნის ამოშშრალი მდინარის ვიწრო ხეობა გადაიშალა. ხეობა დაბა პეტრეპავლოვკას- მცირე სარწყულებელთან თავმოყრილ ხარბ ეზო-ყურეთა უზარმაზარ ხროვას დაეკავებინა.

პეტრეპავლოვკის ქუჩაზე დვანოვმა ოდესღაც მყინვარებისგან მოტანილი ლოდები დაინახა. ქვა-ლოდები ახლა ძელური სახლების წინ ეწყო და ზედ ბერიკაცები სხდებოდნენ ხოლმე.

ეს ლოდები დვანოვმა მერე გაიხსენა, როცა პეტროპავლოვკის სოფსაბჭოში იჯდა. იქ იმიტომ შეეიდა, რომ უკვე საღამოვდებოდა და ღამის გასათევი უნდა მოეთხოვა, თანაც შუმილინთან გასაგზავნი წერილი დაეწერა. დვანოვმა არ იცოდა, წერილი როგორ დაეწყო და შუმილინს პირდაპირ შეატყობინა, ბუნებას შემოქმედების განსაკუთრებული უნარი არ გააჩნია, მიზანს მხოლოდ მოთმინებით აღწევს: ფინეთიდან წამოსულმა, მყინვარის ენაზე მოქცეულმა ლოდმა ნაღვლისმომგვრელ უსასრულო დროის მანძილზე მრავალი გელი გადმოიარა და პეტროპავლოვკაში მოღოღდა. ველებზე გაბნეული მცირეოდენი ხრამებიდან და ნიადაგის სიღრმიდან წყალი მაღლობი ვაკებისკენ უნდა მიეგმართოთ. რათა იქ განახლებული ცხოვრება დაეფუძნოთ. ეს უფრო მცირე ხანში მოგვარდება, ვიდრე ფინეთიდან ლოდის ჩამოთრევას სჭირდებოდაო.

სანამ დვანოვი წერდა, მის მაგიდასთან იდგა და რაღაცას ელოდა ქალაც ბლეხი, ჟინიანი სახე და ფსიქიკური შერყეულობის მადასტურებელი, საკუთარი ხელით შეკრეჭილი მოკლე წვერი რომ ჰქონდა.

-სულ რაღაცას ცდილობთ! - უთხრა დვანოვს ამ კაცმა, დარწმუნებულმა, რომ ამქვეყნად საყოველთაო ცდომილება ბატონობდა.

-ვცდილობთ! - მიუხვდა დვანოვი. - თვალი ხომ უნდა გაგახილოთ და ველზე გაგიყვანოთ.

გლეხმა წყერი ეჭიანად მოიფხანა.

ეს ვინა ბრძანებულხარ! მაშასადამე, ახლა ყველაზე ბევრი ხალხი გამოჩენილა! უთქვენოდ ვერ მივხვდებოდით, ხომ იცი, კუჭი როგორ გაეიძლოთ!

-ვერა, ვერ მიხვდებოდით!- გულგრილად ამოიოხრა დვანოვმა.

ჰეი , შერეკილო, გასწი აქედან! - დაუყვირა საბჭოს თამჯდომარემ გლეხს მეორე მაგიდიდან. შენ ხომ ღმერთი ხარ, ჩვენთან რა გესაქმება .

იურმე ამ კაცს თავი ღმერთად მიაჩნდა და ყველაფერი იცოდა. საკუთარი რწმენის გამოისობით ხვნა-თესვა მიატოვა და უშუალოდ ნიადაგით ხაზრდოობდა. ამბობდა, რახან პური ნიადაგიდან წარმოიშობა, მაშ ნიადაგში ყუათიანობა დამოუკიდებლადაც არსებობს, მხოლოდ კუჭი უნდა მიაჩვიოთ. ეგონათ, რომ მოკვდებოდა, მაგრამ იგი ცოცხლობდა და კბილებში ჩარჩენილ თიხას ყველას თვალწინ იჩიჩქნიდა. ამის გამო ცოტათი პატივსა სცემდნენ.

როცა საბჭოს მდივანმა დვანოვი გარეთ გაიყვანა, რომ ღამის გასათევ ალაგზე გაეგზავნა, ღმერთი ზღურბლთან იდგა და ოთოშებოდა.

-ღმერთო, - უთხრა მას მდივანმა, - ეს ამხანაგი კუზია პოგანკინიანთას ძიიყვანე. უთხარი, საბჭოდან გამოგიგზავნეს, ახლა თქვენი ოიგია- თქო.

დვანოვი ღმერთს გაჰყვა.

წინ ჭარმაგი გლეხი შემოხვდათ.

-გამარჯობა, ნიკანორიჩ, - უთხრა მან ღმერთს, -დროა, ლენინი გახდე, გეყოფა ღმერთობა.

მაგრამ ღმერთმა მოითმინა და არაფერი უპასუხა, ოღონდ, ცოტა მანძილი რომ გაიარეს, მაშინღა ამოიოხრა:

ეს რა სახელმწიფოა!

-რაო, -ჰკითხა დვანოვმა, - ღმერთი არ იგუეს?

- არა, - გულღიად აღიარა ღმერთმა, - თვალებით გხედავენ, ხელებით გეხებიან და არ სჯერათ, მზეს კი აღიარებენ, თუმცა პირადად არ მიჰკარებიან. მამ, დაე სვედა- ნალველმა გული ძირიძირობამდე დაუღრღნათ.

პოგანკინის ძელურ ქოხთან ღმერთმა დვანოვს თავი მიანება და წასასვლელად შეტრიალდა, ისე, რომ არც გამომშვიდობებია.

დვანოვმა შეაჩერა:

-მოიცა, ახლა რას აპირებ, რა უნდა ქნა?

ღმერთმა ჰირქუშად გახედა ხოფლის ხივრცეს, სადაც თავს ეულად გრძნობდა.

-ერთ ღამეს მიწების ჩამორთმევას გამოუაცხადებ, ჰოდა , მაშინ ხომ შეშინდებიან და მირწმუნებენ.

ღმერთმა სული განაბა და ერთ წუთს დუმდა.

- მეორე ღამეს კი მიწებს უკანვე დაუბრუნებ და ბოლშევიკების სახელი

და დიდება მე დამრჩება.

დვანოვმა ღმერთს თვალი გააყოლა; მის მზერაში ოდნავი გაკიცხვაც არ გამოსჭვიეოდა. ღმერთი უგზო-უკვლოდ მიაბიჯებდა - უქუდო პიჯაკისამარა და ფეხშიშველი, საზრდოდ თიხა ჰქონდა, ხოლო იმედად - ოცნება.

პოგანკინი დვანოვს ალერსიანად არ დახვედრია- სილატაკისგან გული ჰქონდა შელონებული. მისი შვილები შიმშილობის წლებში დაბერებულიყვნენ და უფროსებივით ძხოლოდ ლუკმა-პურის შოვნაზე ფიქრობდნენ. ოთახში ორი გოგონა მოჩანდა. ისინი უკვე დედაკაცებს დამგვანებოდნენ: დედის გრძელი ქვედა კაბები და კოფთები ეცვათ, თმაში სამაგრები გაერჭოთ და ლაქლაქებდნენ. უცნაურ სანახავნი იყვნენ ეს პატარა, ჭკვიანი, შეწუხებული ქალები, რომელნიც საკსებით გონიერულად მოქმედებდნენ, მაგრამ გამრავლების გრძნობა ჯერ არ ჰქონდათ. ეს ნაკლულება გოგონებს დვანოვის თვალში გულდამამძიმებელ სირცხვილის აღმძვრელ არსებებად აქცევდა.

როცა დაბინდდა, თორმეტი წლის ვარიამ კარტოფილის ნაფცქვენებისა და ერთი კოვზი ფქვილის ბურღულით კერძი მარჯვედ მოამზადა.

- მამილო, მოდი, ვივახშმოთ! -მამას მოუხმო ვარიამ.- დედილო, ეზოში ბიჭებს გასძახე: იქ რას ითოშებიან, ეგ ეშმაკის კერძები!

დვანოვს გული დაემდურა: ვარია ახლავე ასეთი რომ იყო, მერე და მერე რანაირი შეიქნებოდა?

- შენ კი პირი მიაბრუნე, - უთხრა დვანოვს ვარიამ: - ყველას სამყოფი საჭმელი არა გვაქვს, სარჩენი საკუთარიც ბევრი გვყავს.

ვარიამ თმა შუბლიდან უკან გადაიწია, მერე კოფთა და ქვედა კაბა გაისწორა, თითქოს რაიმე სასირცხვო უნდა დეფარა.

ოთახში ორი ბიჭი შემოვიდა- ცინგლიანები, შიმშილს მიჩვეულები, მაგრამ მაინც ბავშვურად უდარდელები.მათ არ იცოდნენ რევოლუცია რომ ხდებოდა, და კარტოფილის ნაფცქვენები სამუდამო საზრდო ეგონათ.

-რამდენჯერ გიბრძანეთ, შინ ადრე მოდით-მეთქი! - დაჰყვირა ძმებს ვარიამ. - უჰ, თქვე შეუსმენლებო! ახლავე გაიძრეთ ტანსაცმელი- გაიგეთ, რომ არსად იშოვება!

ბიჭებმა გაქუცული ტყაპუჭები გაიძრეს , მაგრამ ტყაპუჭების ქვეშ არც შარვლები ეცვათ და არც პერანგები. ამიტომ მაგიდასთან მიდგმულ სკამზე შიშვლები აბობღდნენ და ზედ დაყუნცდნენ. ეტყობა, ტანსაცმლის ამგვარად გაფრთხილებას ბავშვები დამ მიაჩვია. ვარიამ ორივე ტყაპუჭის ძველა ერთ ალაგას დააწყო და კოვზების ჩამორიგებას შეუდგა.

- მამიკოს თვალი ადევნეთ- კოვზი პირში მამაზე ადრე არ იკრათ! ძმებს ჭამის რიგი დაუწესა ვარიამ, თვითონ კი კუთხეში ჩამოჯდა და სახე ხელისგულს დააყრდნო: დიასახლისები ხომ ბოლოს ჭამენ.

ბიჭები მამას გაფაციცებით შესცქეროდნენ. როგორც კი იგი ჯამიდან კოვზს ამოილებდა, თავიანთ კოვზებს უმალ იქით გააქანებდნენ, საჭმელს პირში იკრავდნენ და მყისვე გადასანსლავდნენ. მერე ცარიელ კოვზებს კვლავ მოიმარჯვებდნენ და ისევ მამას დაუდარაჯდებოდნენ.

- მე თქვენ გიჩვენებთ, მე თქვენ გიჩვენებთ! -ემუქრებოდა ვარია ძმებს, როცა ისინი შეეცდებოდნენ, კოვზები ჯამში მამასთან ერთად ჩაეყოთ.

ვარკა, მამა მარტო სქელ წვენს იღებს- უთხარი, არ ქნას! -უთხრა დას ერთმა ბიჭმა, ვარიასგან სამარცილიანობის ურყევობა რომ ჰქონდა ჩანერგილი.

ვარიას რიდი იეთ პოგანკინსაც ჰქონდა, ამიტომ კოვზით თხელი წვნიანის ამოღება დაიწყო.

ფანჯრის მიღმა, დედამიწისაგან განსხვავებულ ცაზე, თვალსა წარმტაცი ვარსკვლავები ძალას იკრებნენ. დვანოვმა პოლარული ვარსკვლავი იპოვა და გაიფიქრა, ამ ვარსკვლავს საკუთარი არსებობის თმენა ალბათ რამდენ ხანს მოუწევს; მეც ხომ ამქვეყნად ყოფნას კიდევ დიდხანს უნდა გავუძლოო.

-ხვალ ბანდიტები ალბათ კიდევ მოგვიხტებიან!- ლუკმის ღეჭვით თქვა პოგანკინმა და ერთ ბიჭს შუბლზე კოვზი გაუტყაპუნა: მან ჯამიდან კარტოფილის ნაჭერი ამოიღო.

-რატომ ბანდიტები? შეჭყობა მოინდომა დვანოვმა.

-ცა ვარსკვლავებით მოიჭედა- გზა თანდათან დაჯდება! აქაურობა როგორც კი ატალახდება, მაშინვე მშვიდობა მყარდება, გზა აშრება თუ არა, უმალ ომი იწყება!

პოგანკინმა კოვზი დადო და დაბოყინება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა.

-ეხლა მოხოხნეთ! - ნება დართო მამამ შვილებს.

ბიჭები ჯამში ჩარჩენილ საჭმელს დააცხრნენ.

- ასეთი ჭამა-სმის გამო, მთელი წელია, არ დამიბოყინებია!-სერიოზულად აუწყა დვანოვს პოგანკინმა.- უწინ კი ისადილებდი და მერე საღამოს ლოცვამდე იმდენს აბოყინებდი, საკუთარი დედ-მამის მოსახსენებელი გეოქმეკინებოდა!ბოყინსაც ლაზათი ჰქონდა!

ხვალინდელი დილის მომლოდინე დვანოვი დასაძინებლად ტახტზე მოკალათდა. ხვალ რკინიგზისკენ გაემართებოდა, რათა შინ დაბრუნებულიყო.

- თქვენი ცხოვრება ალბათ მოსაწყენია, არა? - ჰკითხა პოგანკინს დასაძინებლად უკვე ჩაწყნარებულმა დვანოვმა.

პოგანკინი დაეჭიანსმა:

- აბა, რამ უნდა გაგვამხიარულოს! სოფლად ყველგან მოწყენილობაა. ზედმეტი ხალხი იმიტომაც ჩნდება, რომ მოწყენილობაა. ქალს რომელი ჭკვაიმყოფელი დაუწყებს წვალებას, სხვა საქმე თუ ექნება?

-თქვენც ადექით და ზემოთა პოხიერ მიწებზე გადასახლდით! მოისაზრა დვანოვმა.- იქ შეძლებულად იცხოვრებდით და ამის გამო მხიარულადაც იქნებოდით.

პოგანკინი ჩაფიქრდა.

-რანაირად? ამოდენა ხროვის პატრონს სადმე წაესვლება? ბიჭებო, გარეთ გადით, ბუშტები დაცალეთ და დაიძინეთ.

-მაშ რას იზამთ? - არ ეშვებოდა დვანოვი. - იმ მიწებს თუ არ მიეპატრონებით, უკანვე წაგართმევენ.

-რანაირად? განკარგულება გამოუშვეს?

- გამოუშვეს, - უთხრა დვანოვმა პოგანკინს- საუკეთესო მიწა უქმად რატომ ეგდოს? მიწის გამო მთელი რევოლუცია მოხდა , მიწები თქვენ მოგეცათ, თქვენ კი თითქმის არაფერი მოგყავთ. ახლა ამ მიწებს ჩამოსულ ახალმოშენეებს

დაურიგებენ ისინი იქაურობას ერთიანად გაავსებენ... ჭეს ამოთხრიან , მშრალ ვაკეზე ხუტორებს გააშენებენ- ჰოდა მიწაც ნაყოფიერი შეიქნება.თქვენ კი იმ ველზე მხოლოდ სტუმრად დაიარებით...

პოგანკინი ძალზე შეფიქრიანდა. დვანოვმა შიშნეულობა შეამჩნია.

- მიწა იქ მართლაც რომ ძალიან კარგია! -თავისი საკუთრება ხსენებულ ადგილებს შეშურდა პოგანკინს.- რასაც გინდა მოიყვან. საბჭოთა ხელისუფლება მიწას ხუთუ გულმოდგინებისთვის არგუნებს?

-რა თქმა უნდა. - სიბნელეში გაიღიმა დვანოვმა. -ახალმოშენებიც ხომ თქვენნაირი გლეხები იქნებიან. მაგრამ რადგანაც მიწის მოვლა- პატრონობა უკეთ შეუძლიათ, ამ მიწებსაც იმათ დაურიგებენ. საბჭოთა ხელისუფლებას მოსავალი უყვარს.

- ეგ კი ნაღდად ასეა, - თქვა დამწუხრებულმა პოგანკინმა - მაშინ ხომ მოსავლის განაწილება გაუადვილდება!

-განაწილებას მალე აკრძალავენ, - უცებ მოჭორა დვანოვმა. - როგორც კი ომი ჩანავლდება, აღარც განაწილება იქნება.

- გლეხებიც ამასვე ამბობენ, - დაეთანხმა პოგონკინი. - ასეთ გაუსაძლის სატანჯველს, აბა, ვინ მოითმენს! ამგვარი რამ არც ერთ სახელმწიფოში არ შეიძლება, რომ იყოს... იქნებ მართლა მალლობ ველზე გადასახლება გვიჯობდეს?

- რა თქმა უნდა, გიჯობთ, გადასახლდეთ, - შეაგულიანა დვანოვმა,- ათიოდე კაცი მოგროვდით და დაიძარით...

ამის მერე პოგანკინი ეარიასა და სნეულ ცოლს გადასახლებაზე დიდხანს ელაპარაკებოდა - დვანოვმა მათ გულში იმედი ჩაუნერგა.

დილით დვანოვმა სოფსაბჭოში ფეტვის ბურღულის ფაფა ჭამა და ღმერთი კვლავ ნახა. ღმერთმა ფაფაზე უარი თქვა: რაში გამომადგება, თუნდაც შევჭამო, სამუდამოდ მაინც ვერ გავძლებიო.

საბჭომ დვანოვს საზიდრის მიცემაზე უარი უთხრა და ღმერთმა დაბა კავერინოსკენ მიმავალი გზა მიასწავლა, საიდანაც რკინიგზამდე ოცი ვერსი რჩებოდა.

- გამიხსენე ხოლმე, - უთხრა ღმერთმა დვანოვს და მზერა დაუსვდიანდა. - აი, ჩვენ ერთმანეთს სამუდამოდ ვშორდებით და ეს როგორი ნაღველის მომგვრელია, ვერავინ გაიგებს. ორი კაცი გავითოვდებით!მაგრამ გახსოვდეს, რომ ერთი კაცი მეორის შეგობრობით იზრდება, ხოლო მე მზრდის მარტოოდენ თიხა ჩემი სულისა.

- ღმერთი ამიტომაც ხარ? - ჰკითხა დვანოვმა.

ღმერთი დვანოვს მწუხარედ უცქეროდა როგორც კაცს, ვინც ფაქტი არ ირწმუნა. დვანოვმა დაასკვნა,რომ ეს ღმერთი ჭკვიანი იყო, მაგრამ პირუკუ ცხოვრობდა. თუმცალა, რუსი ხომ ორმხრივი მოქმედების მქონეა: შეუძლია, ასეც იცხოვროს და პირუკუც, თანაც ორივე შემთხვევაში უვნებელი დარჩეს.

მერე გაბმული წვიმა დაიწყო და დვანოვი მაღლობზე გამავალ გზას საღამო ხანსლა დაადგა. ქვემოთ ველის წყნარი მდინარის დაბინდული ხეობა გაწოლილიყო. თუმცალა, ჩ ნ , რომ მდინარე სულს ლაფავდა: ხევის ნარიყით

იყო ამოვსებული, რის გამოც სიგრძივ ისე არ მიემართებოდა, რადმენადაც განგან მიიწევდა და ჭაობდებოდა. ჭაობებს უკვე ლამის სიბნელე გადაჰფარებოდა. თევზები ფსკერზე ჩაშეებულიყვნენ, ფრინველები ბუდეებში შეფუფულიყვნენ, მწერები ჩამკვდარ-გახევებული ისლის ღრიჭოებში განაბულიყვნენ. ცოცხალი არსებანი სითბოსა და მზის ამაფორიაქებელ სხივოსნობას ეტრფოდნენ; მათი საზეიმო ზრუნვა -ზუზუნი დაბალ სოროებში შეიმალა, ძოიბლუნა და ჩურჩულად მინელდა.

მაგრამ დვანოვს ჰაერიდან დღის მადიდებელი სიმღერის იდუმალი სტროფები ჩაესმოდა და სურდა, ამ სტროფთა სიტყვები აღედგინა. იგი განმეორებული, გარემომცველ თანაგრძნობაზე გამრავლებული სიცოცხლის მლელვარებას შეიცნობდა. თუმცაღა, სიმღერის სტროფებს სუსტი ქარი ძენძავდა და სივრცეში განაბნევდა, სადაც ამ ხმებს ბუნების მჭუნვარე ძალებს უერთებდა და თიხასავით ამუნჯებდა. დვანოვს ჩაესმოდა მოძრაობის ხმა, რაც მის გრძნობა- გონებას არ ესადაგებოდა.

ამ შუქჩამცხრალ, დადრეკილ სამყაროში დვანოვი საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. მას გაშლილ ადგილას მარტომყოფს უყვარდა საუბარი, მაგრამ მის ნათქვამს ვინმე თუ გაიგონებდა, ისე დაიმორცხვებდა, როგორც შეყვარებული დაიმორცხვებს, როცა საყვარელთან სიბნელეში ტრფობით გართულს წაასწრებენ. მსრბოლავ გრძნობას აზრად მარტოოდენ სიტყვები გარდაქმნის; ფიქრს მიცემული კაცი ამიტომაც საუბრობს, მაგრამ საკუთარ თავთან საუბარი ხელოვნებაა, სხვა ადამიანებთან საუბარი კი თავის შექცევა.

-ამის გამოა, ადამიანი საზოგადოებისკენ, თავშესაქცევისკენ რომ მიისწრაფის როგორც წყალი თავქვეზე მიექანება, - დაასრულა დვანოვმა.

მან თავი სანახევროდ შეატრიალა და ხილული სამყაროს ნახევარს თვალი მოავლო, მერე კვლავ ალაპარაკდა, რათა ფიქრს მისცემოდა:

- ბუნება მაინც საქმიანი რამეა. ეს შენაქები ბორცვები და წყაროები მარტოოდენ ველის პოეზია არ გახლავთ. მათი მადლით შეიძლება დაარწყულო ნიადაგი, ძროხები და ადამიანები. ბორცვები და წყაროები შემოსავლიანი შეიქნება, რაც უმჯობესია. ადამიანებს მიწა და წყალი ასაზრდოებს, ხოლო მე მათთან ცხოვრება მომიწევს.

მერე დვანოვს დაღლილობა მოეძალა და მთელ სხეულში მოწყენილობა იგრძნო.დაქანცულობის სევდა შიგნეულს უფიტავდა, სხეულის ძალები ერთურთს შეუთანხმებელი, გონებისმიერი ფანტაზიის სინოტივეს მოკლებული ჰქონდა.

სოფელ კავერინოს კვამლთა კვალდაკვალ გზა ხრამის ზემოთ წარიმართა . ხრამში ჰაერი წყვდიადად ჩაინისლა. იქ ჩარიგებულიყო მდუმარე ჭყანტობები, სადაც, შესაძლოა, თავს აფარებდნენ ფიქრთა ერთფეროვნების მოსაპოვებლად ცხოვრების მრავალფეროვნებას განრიდებული უცნაური ადამიანები.

პეტროპავლოვკელ თავისუფლების ღმერთს გუბერნიის გასაყარზე თავისი მსგავსი ცოცხალი არსებანი ჰყავდა.

ხრამის ჩიღრმიდან დაღლილი ცხენის ქშენა მოისმა. ჭყანტობებს ვიღაც მხედრები მოუყვებოდნენ და მათი ცხენები თიხაში ეფლობოდნენ.

მხედართა რაზმის წინა რიგში ვიღაცამ ახალგაზრდული მედგარი ხმით

სიმღერა წამოიწყო, მაგრამ სიმღერის სიტყვები და ჰანგი შორეული მხრისა ჩანდა.

შორეულ დარჩენილი
წყალგაღმა ჩამკვდარა,
ხიზმრად მოვლენილი
მტრის ხვედრი გამხდარა...

ცხენებმა სიარული გამართულად იწყეს. რაზმმა სხვა სიმღერა სხვა ჰანგზე გუნდურად შემოსძახა და მოწინავე მომღერლის ხმა დაფარა:

დამწიფდი, ვაშლო,
მზის სხივთა მადლით,
მოგცელავს საბჭო
ურიცი და ნამგლით...

ეული მომღერალი რაზმთან ხმაშეუწყობლად განაგრძობდა:

აქ ჩემი სული, ჩემი მახვილი
და იქ კი ჩემი ბედნიერება...

რაზმმა სტროფის ბოლო მიხამღერით დაფარა:
ოჰ, ვაშლო, ვაშლო,
აგაგორებენ...
ულუფად გაქცევენ,
აგაშმორებენ..
ხის ტოტზე იზრდები,
გაკებავს ხის მკერდი,
საბჭო კი ჩაგიბარებს
ნომრითა და ბეჭდით...

მხედრებმა ერთხმად დაუსტვინეს და სიმღერა თავგამეტებით დაასრულეს:

ოჰ, ვაშლო, ვაშლო,
ნუ დაუხრი თავს
ნურც მეფეს,ნურც საბჭოს,
არამედ მიელ ხალხს.

სიმღერა ჩაცხრა. დვანოვი შეჩერდა, სრამში მომავლებით დაინტერესდა.

- ჰეი, ზემოთურო! - ამოსძახა დვანოვს რაზმიდან ვიღაცამ. - ჩამოდი უუფროსო ხალხთან!

დვანოვს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

- მალე ჩამოდი!- ბუბუნა ხმით ამოსძახა ალბათ იმან, ვინც რაზმისგან განცალკევებით მდეროდა, - ან არადა ნახევრამდე დაითვალე და სამიზნოზე დასკუპდი!

დვანოვმა გაიფიქრა, ამგვარ ყოფას სონია ძნელად თუ გადაურჩებაო, და გადაწყვიტა, თავს არ გაფრთხილებოდა:

-თქვენ თვითონ ამოდით ზემოთ, - აქ სიმშრალეა! ხრამში ცხენებს რას ხოცავთ, კულაკების გვარდიავ!

რაზმი ქვემოთ შეჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ნიკიტოკ, ჩამოაყირავე! - კვლავ გაისმა ბუბუნა ხმა.

ნიკიტამ შაშხანა შემართა, მაგრამ ჯერ ღმერთის ხარჯზე ტანჯული სული განიტვირთა:

-იესო ქრისტეს ყვერპარკისკენ, ღვთისმშობლის ნეკნისკენ და მთელი ქრისტიანული მოდგმისკენ -ცეცხლი!

დვანოვმა დაინახა. როგორ იელვა დაძაგრულმა უხმო ცეცხლმა. საშა ხრამის კიდიდან ჩაგორდა და ფსკერისკენ ისე დაექანა, თითქოს ფეხზე რკინის კეტი შეშოჰკრეს და ძირს დაანარცხეს. დვანოვს ცნობიერების სიცხადე არ დაუკარგავს, თავის ტრიალისას ხან ერთ ყურს შეახებდა მიწას, ხან მეორეს, და ნიადაგის ბინადართა საშინელ ხმაურს ისმენდა. დვანოვმა იცოდა, რომ მარჯვენა ფეხში იყო დაჭრილი- ხორცში რკინის ჩიტი ჩაფრენოდა და შიგ მჩხვლეტავ ფრთებს უფხაჭუნებდა

ხრამში დვანოვი ცხენის თბილ ფეხს ჩაეჭიდა და ამ ფეხის სიახლოვეს შიშის შეგრძნება გაუქრა, ფეხი დალლილობისგან ოდნავ თრთოდა, ოფლის, გზათა ბალახისა და სიცოცხლის სიმშვიდის სურნელება ასდიოდა.

-ნიკიტოკ, ამქვეყნიური ცეცხლისგან დააზღვიე! ტანსაცმელი შენ დაგრჩება.

დვანოვმა ეს გაიგონა. იგი ცხენის ფეხს ორივე ხელით ჩაეჭიდა და ეს ფეხი იქცა კეთილსურნელების მფრქვეველ ცოცხალ სხეულად იმ არსებისა, ვისაც დვანოვი არ იცნობდა და ვერც გაიცნობდა, მაგრამ ახლა, უცაბედად, მისთვის საჭირო შეიქნა. დვანოვი მიხვდა თმათა საიდუმლოს, გული ყელში მოებჯინა, ყველაფრისგან განთავისუფლებულმა თავდაყიწყებისგან შეჰყვირა და უმალ შვებისმომგვრელი, კმაყოფილების მომნიჭებელი სიმშვიდე იგრძნო. ბუნებამ დვანოვისგან მიიღო ის, რისთვისაც იგი დედამ ცნობა მიხდილობისას შვა: თესლი გამრავლებისა, რათა ახალი ადამიანები ოჯახებად იქცნენ. მიედინებოდა სიკვდილის წინა ჟამი და დვანოვი ცდუნებისას სონიას ერთიანად დაეუფლა, თავისი დროის გასრულებისას, როცა ნიადაგსა და ცხენს ეხვეოდა, დვანოვმა პირველად შეიგრძნო სიცოცხლის მოყოყინე ვნება. იგი უეცრად განაცვიფრა აზრის არარაობამ უკვდავების ფრინველის წინაშე, მას გაცრეცილი, მთრთოლარე ფრთით რომ შეეხო.

ნიკიტა დვანოვთან მიეიდა და შუბლი ხელით მოუსინჯა: თბილია ისევ, თუ არაო. ნიკიტას დიდი და მხურვალე ხელი ჰქონდა. დვანოვს არ უნდოდა, რომ ეს ხელი მალე მოსცილებოდა და ზედ თავისი მოალერსე ხელისგული დააფარა, მაგრამ იცოდა, ნიკიტა რას ამოწმებდა, და ამიტომ მიეხმარა:

- ტყვია თავში დამახალე, ნიკიტა, კეფა სწრაფად გამიხლიჩე!

ნიკიტა თავის ხელს არა ჰგავდა- დვანოვმა ეს უმალ იაზრა, - მან საძაგელი წვრილი ხმით დაიყვირა, მის ხელში ცხოველმყოფელ სიმშვიდეს რომ არ შეესატყვისებოდა:

-ისევ ცოცხალი ხარ? კი არ გაგხლეჩ, დაგარღვევ: ერთბაშად რატომ უნდა

მოკვდე - რაო, ადამიანი არა ხარ? - იწვალი და იტანჯე - ნელა-ნელა უფრო კარგად მოკვდები!

ბელადის ცხენის ფეხები მოახლოვდა. ბუბუნა ხმამ ნიკიტა სწრაფად ჩაარეცა:

-არაშანდაე, თუ ადამიანის აბუჩად აგდებას არ მოეშვები, სამარეში თვითონ შენ ჩაგაბრძანებ. გითხარი, ხელი მოუთავე და ტანსაცმელი შენ დაგრჩება- მეორე რამდენჯერ მითქვამს, რაზმი ბანდა კი არ არის, ასარჩია!

-მშობელი სიცოცხლისა, თავისუფლებისა და წესრიგისა! -თქვა მიწაზე განრთხულმა დვანოვმა. - რაგვარი ხართ?

ბელადმა გაიცინა:

- განა შენთვის ახლა სულ ერთი არ არის? მრაჩინსკი გახლავართ!

დვანოვს სიკვდილი გადაავიწყდა. მას წაკითხული ჰქონდა მრაჩინსკის „თანამედროვე აგასფერის თავგადასავალი". ნუთუ, ის წიგნი ამ მხედრის დაწერილი ხომ არ იყო?

- თქვენ მწერალი ხართ! თქვენი წიგნი წაკითხული მაქვს. ჩემთვის კი ახლა სულ ერთია, მაგრამ წიგნი მომეწონა.

-თვითონ გაიხადეთ ტანისამოსი! მე რატომ უნდა ვიწვალო მკვდარს როგორ გადავაბრუნებ! -ცდა მობეზრდა ნიკიტას- ტანსაცმელი წელში გამოყვანილი აქვს, შეშიეხვა და მე რალა სარგებელი მექნება?

დვანოვი ტანსაცმლის გახდას თვითონ შეუდგა, რათა ნიკიტა არ ეზარალებინა: ტანისამოსის დაუზიანებლად მკვდარს მართლაც ვერ გა ამიშვლებ. მარჯვენა ფეხი გაეფეშიკა და არ ემორჩილებოდა, მაგრამ ალარ სტკიოდა. ნიკიტამ ეს შეამჩნია და ამხანაგურად მიეხმარა.

-ტკივა ამ ალაგას მოგახვედრე?- ჰკითხა მან დვანოვს და ფეხზე ხელი ფრთხილად მოჰკიდა.

-ამ ალაგას,- უპასუხა დვანოვმა.

- არა გიშავს ძვალი მთელია, ჭრილობას კი ქონი გადაეფარება და პირს შეიკრავს.ჯერ ახალგაზრდა ხარ. მშობლები თუ დაგრჩება?

-დამრჩება, - უპასუხა დვანოვმა.

- დაე, დარჩნენ, - თქვა ნიკიტამ. -იდარდებენ და დაგვიწყებენ. მშობლებს ახლა დარდის გარდა რალა რჩებათ! კომუნისტი ხარ?

-კომუნისტი ვარ.

-ნება შენია. ბატონობა ყველას უნდა.

ბელადი თვალყურს მდუმარედ ადევნებდა. დანარჩენი ანარქისტები ცხენებს მოსართავებს უსწორებდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ, დვანოვსა და ნიკიტას ყურადღებას არ აქცევდნენ. ხრამს ზემოთ სალამოს უკანსკნელი შუქი ჩაქრა და მორიგი ღამე ჩამოდგა. დვანოვი წუხდა, რომ მის წინაშე სონიას ჩატება ალარ გამეორდებოდა, ხოლო ხვა რამ, რაც თავის სიცოცხლეში ეხილა, ალარ ახსენდებოდა.

- მაშ ჩემი წიგნი მოგეწონათ?-ჰკითხა დვანოვს ბელადმა.

დვანოვს ლაბადა და შარვალი უკვე გახდილი ჰქონდა.ნიკიტამ ნადავლი უმალვე თავის ტომარაში ჩატენა.

- ხომ უკვე გითხარით, მოგეწონა- მეოქი, - დაუდასტურა დვანოვმა და ფეხზე

დაიხედა, სადაც ჭრილობა უხურდა.

-თავად იქვენ წიგნის იდეას თუ თანაუგრძნობთ? შინაარსი/ გახსოვთ თუ არა? - ნაეძია ბელადი. - იქ ერთი კაცია, მარტოდმარტო რომ ცხოვრობს ზედ ჰორიზონტის ხაზზე.

-არა, - უთხრა დვანოვმა. - რა იდეაა იქ, დამავიწყდა. ეარქვენ მას, გასაგიერთ, კარგად არის შეთხზული. ასეთი რამ ხდება. იქ ადამიანს იქვენ ეხე შეაქებინებთ, როგორც მაიძულა რობინზონს: ყველაფერს პირველმა აღიქვამდით და საკითხავად კარგი გამოვიდა.

განცვიფრებული და ყურადღებაგამახვილებული ბელადი უნაგირზე წამოიმართა:

-ეს საინტერესოა... ნიკიტინ, კომუნისტს ლიმანის ხუტორამდე გაეგოლებთ.იქ კი მთლიანად შენს ხელში იქნება.

-ძერე ტანსაცმელი? - გასაწყენდა ნიკიტა.

დვანოვმა ნიკიტა თმით დააშოშმინა, რომ დაჭყაბულდა, სანამ მოძგლავ, შიშველი ვიქნებით. ბელადს ხაწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და ეს იკმარა, რომ ნიკიტა გააფრთხილა:

-იცოდე, ქარში არ წამიხდინო! ეს ბოლშევიკი ინტელიგენტია-იშვიათი ტიპი.

რაზმი დაიძრა. დვანოვი ნიკიტას ცხენს უზანგზე ჩაეჭიდა და შეეცადა, მხოლოდ მარცხენა ფეხზე ეკლო. მარჯვენა ფეხი თავისით არა სტკიოდა, მაგრამ თუ მიწაზე დაბიჯებდა, სატყვიარი თავს ისევ აჩსენებდა-ჭრილობის შიგნით რკინის ფხებს გრძნობდა.

ხრამი ველის ხიტრმისკენ ეიწროვდებოდა და ალმა ძიეშარიუებოდა. დაძეი ქარმა დაბერილა. შიშველი დვანოვი ცალ ფეხზე ბეჯითად მიხტოდა და ეს ათბობდა.

ნიკიტა დვანოვის საცვლებს უნაგირზე ხაგულდაგულოდ სინჯავდა.

-ჩაუფხია ამ ეშმაკის კერძს! - გულმოუხვლელად თქვა ნიკიტამ. - გიყურებთ და მეკვირის. თითქოს ჰატარა ბალღები იყოთ! ხუფთა არც ერთი არ გამოდგა. ყველანი ძაშინათუ ჩაისვრით ხოლმე, თუნდაც წინასწარ ეუხიაღგილში გაგგზავნოთ... მარტო ერთი აღმოჩნდა ნამდვილი ვაჟკაცი, თემის კომისარი. მითხრა, მეხრილე, შე ტიალო, მშვიდობით, ქარტიავ და შეიღებოთ. იმას ხაცვლები ხუფთა დარჩა. ნაღდი ვაჟკაცი იყო!

დვანოვმა ის ნაღდი ბოლშევიკი წარმოიდგინა და ნიკიტას უთხრა:

-ალბ თქვენც დაგხვრეტენ ტანსაცმლიანად და ხაცვლებიანად. ჩვენ მკვდრების ნაქონი ტანსაცმლით არ ვიმოხებით.

ნიკიტას არა სწყენია:

-შენ იხტუნე, იხტუნე! გაიგე? ლაყბობის დრო ჯერ არ დგებოდა. მე, ძმაო, ნიფხავს არ წავახდენ, წვეთს ვერ გამოიმალენ.

-მე ყურებს არ დაგიწყებ, -დაამშვიდა დვანოვმა ნიკიტა.- თუნდაც შეგაშინოთ, არ დაგძრახავ.

-არც მე გძრახავ, -დააშოშმინა ნიკიტამ. - ეს ჩვეულებრივი ამბავია. მე ქონება მეხანება.

ლიმანის ხუტორს ორი საათის შემდეგ მიაღწიეს. სანამ ანარქისტები სახლების პატრონებთან იყვნენ სალაპარაკოდ შეხულნი, დვანოვი ქარში კანკალებდა და მკერდით ცხენს ეკვროდა, რათა გამთბარიყო. მერე ცხენების დაბინავება დაიწყეს, დვანოვი დატოვეს და გადაავიწყდათ. როცა ნიკიტამ ცხენი წაიყვანა, მას უთხრა:

-წადი, სადაც გინდა. ცალი ფეხით მაინც ვერსად გაიქცევი.

დვანოვმა მიმალვა დააპირა. მაგრამ ძალა ისე გამოლეოდა, რომ მიწაზე დაჯდა და სოფლის სიბნელეში ატირდა. ხუტორი ერთიანად ჩაწყნარდა, ბანდიტები დაბინავდნენ და დასაძინებლად დაწვნენ. დვანოვი ფარდულამდე მიხოხდა და ფეტვის ნამჯაში შეძვრა. მთელ ღამეს ისეთ სიზმრებს ხედავდა, კაცი ცხოვრებაზე უფრო ღრმად რომ განიცდის და ამიტომ არ ამახსოვრდება. გამოელვიძა გრძელი, დალეინებული ღამის სიმყუდროვეში, როცა ლეგენდის მიხედვით ბავშვები იზრდებიან. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, რადგან სიზმარში ტიროდა. გაახსენდა, ხვალ რომ უნდა მომკვდარიყო, და ნამჯას, როგორც ცოცხალ არსებას, ისე მოეხვია.

ამით ნანუგეშებმა ხელახლა დაიძინა. ნიკიტამ იგი დილით ძლივს იპოვა. ჯერ ეგონა, მკვდარიაო, რადგან ძილში დვანოვს მთელ სახეზე უძრავი ღიმილი ეფინა. ოღონდ ნიკიტას ეს მოეჩვენა, იმიტომ რომ დვანოვს გაულიმებელი თვალები დახუჭული ჰქონდა. ნიკიტამ ბუნდოვნად იცოდა, რომ ცოცხალ ადამიანს სახე მთლიანად არ ულიმის: ან ლაც, ან თვალები, ან ბაგეები, მუდამ ნაღვლიანი რჩება.

სონია მანდროვა სოფელ ვოლოშინოში საზიდრით ძოვიდა და სკოლაში მასწავლებლად იწყო ცხოვრება. მას აგრეთვე მშობიარეებთან ბებიაქალობის გასაწევად, სნეულების თავზე დასადგომად, ჭრილობათა სამკურნალოდაც ეძახდნენ. იგი ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც შეეძლო, უეურადღებოდ არავის ტოვებდა. ამ პატარა, ხრაშისპირა სოფელში იგი ყველას სჭირდებოდა, და სონიაც თავს ღირსეულად და ბედნიერად გრძნობდა იმით, რომ მოსახლეობას მწუხარებასა და სნეულებას უმსუბუქებდა, ნუგეშად ევლინებოდა. მაგრამ როცა ღამით მარტო რჩებოდა, დვანოვისგან წერილს ელოდა. ზახარ პავლოვიჩსა და ყველა ნაცნობს მისამართი დაუტოვა, რასაც მათ საშასიეის წერილის მიწერა და მისი ადგილსამყოფლის შეტყობინება არ დავიწყებოდათ. ზახარ პავლოვიჩმა აღუთქვა, რომ თხოვნას შეუსრულებდა, და დვანოვის ფოტოსურათი აჩუქა.

-სულ ერთია, - უთხრა მან სონიას, - ფოტოსურათს ჩემთანვე მოიტან, როცა მისი მეუღლე შეიქნები და ჩემს ოჯახში იცხოვრებ.

-მოვიტან, - დაეთანხმა სონია.

იგი სკოლის ფანჯრიდან ცას გაჰყურებდა და ღამის სიწყნარეში ვარსკვლავებს უთვალთვალებდა. იქ ისეთი მყუდროება სუფევდა, რომ გეგონებოდათ, ველზე მხოლოდ სიცარიელეა, სუნთქვისთვის ჰაერი არ იკმარებსო; ვარსკვლავები ძირს ამიტომაც ცვიოდნენ. სონია წერილზე ფიქრობდა,- შეძლებენ თუ არა, მინდვრებზე უხიფათოდ გამოატარონო; წერილი მისთვის სიცოცხლის მკვებავ იდეად იქცა. სონიას რაც არ უნდა

ეკეთებინა, ნიადაგ სჯეროდა, რომ წერილი საიდანღაც მისკენ მოემართებოდა და მარტოოდენ მისთვის ფარულად ინახავდა შემდგომი არსებობისა და მხიარული იმედის აუცილებლობას. ამიტომაც სონია უფრო მეტი ყირათიანობითა და გულმოდგინებით შრომობდა, რათა სოფლის მცხოვრებთა გასაჭირი შეემცირებინა, რადგან იცოდა, რომ წერილი ყველაფერს აუნაზღაურებდა.

მაგრამ მაშინ წერილებს უცხო ადამიანები კითხულობდნენ. ჯანოვის წერილი შუმილინს პეტროპავლოვკაშივე წაუკითხეს. თავდაპირველად ფოსტის მოხელემ წაიკითხა, შემდეგ მისმა ყველა ნაცნობმა, ვისაც კითხვა აინტერესებდა: მასწავლებელმა, დიაკვანმა, მედუქნის ქვრივმა, მეფსალმუნის ვაჟიშვილმა და კიდევ ვილაც- ვილაცებმა.ბიბლიოთეკები მაშინ არ მუშაობდა,წიგნები არ იყიდებოდა, ხოლო ადამიანები უბედურები იყვნენ და სულიერი ნუგეშისცემა ესაჭიროებოდათ.ამიტომ ფოსტის მოხელის ძელური ქოხი ბიბლიოთეკად იქცა. განსაკუთრებით საინტერესო წერილები ადრესატებს საერთოდ არ ეგზავნებოდა, იქვე რჩებოდა, რათა მრავალგზის წაეკითხათ და სიამოვნება არ მოკლებოდათ.

სახელმწიფო პაკეტებს ფოსტის მოხელე მაშინათვე განზე გადადებდა ხოლმე - მათი შინაარსი ყველამ წინასწარვე იცოდა. მკითხველები ყველაზე მეტად იმ წერილებით განისწავლებოდნენ, პეტროპავლოვკაში ტრანზიტით რომ გადიოდა: უცნობი ადამიანები სეუდიანად და საინტერესოდ წერდნენ.

წაკითხულ წერილებს ფოსტის მოხელე ბადაგით აწებებდა და მარშრუტის მიხედვით აგზავნიდა.

სონიამ ეს ჯერ არ იცოდა, თორემ გზას ფეხით გაუყვებოდა და ყველა სოფლის ფოსტას შემოივლიდა. კუთხეში მდგარ ღუმლის იქით ხვრინვა გაისმოდა. იქ სკოლის დარაჯს ეძინა. იგი სკოლაში ხელფასის გულისთვის კი არ მუშაობდა, არამედ იმისთვის, რომ სკოლის ქონება სამუდამოდ შენახულიყო. უნდოდა, რომ ბავშვებს სკოლაში არ ეელოთ: ისინი მაგიდებს ჩიჩქნიდნენ და კედლებს თხუპნიდნენ. დარაჯი ფიქრობდა, ჩემი მზრუნველობის გარეშე მასწავლებელი მოკვდება, სკოლის ქონებას კი გლეხები თავიანთ ეზო ყურეში გაზიდავენო. სონია უფრო გულმშვიდად იძინებდა, რაკიღა მახლობლად სულიერი ეგულებოდა და მისი ხმა ჩაესმოდა. იგი ქვეშსაფენზე ფეხებს შეიწმენდდა და სიცივისაგან თეთრად მბზინავ ლოგინში ფრთხილად ჩაწვებოდა. საღლაც, ველის წყვდიადისკენ პირდაღრეჩილი ერთგული ძაღლები ყეფდნენ.

სონია მოიკუნტა, რათა საკუთარი სხეული ეგრძნო და ჩამთბარს დაეძინა. შავი თმა ბალიშზე იდუმალად გაეშალა, ბაგეები გაეპო და სიზმრებს მისცებდა. ხედავდა, შავი ჭრილობები სხეულზე როგორ აჩნდებოდა; გამოელვიძა და ჯერ კიდევ გონებამიბნედილმა ტანი ხელით სწრაფად მოიხინჯა.

სკოლის კარზე ჯოხის უხეში ბრაგუნი გაისმოდა. ნამძინარევი დარაჯი შკვმ წამომდგარიყო და წინკარში რაზასა და ურდულს აჩხაკუნებდა, თანაც გარეთ მდგარ მოუსვენარ კაცს ებუზღუნებოდა:

- მათრახის ტარის ხათქუნს არ მოეშვები? აქ ქალი ისვენებს, ფიცარი კი დუიმიანია! ჰა, რა გინდა?

-აქ რა დაწესებულებაა? - მოისმა მშვიდი ხმა გარედან.

- სასწავლებელია, - უპასუხა დარაჯმა- შენ ფუნდუკი ხომ არ გგონია?

-ესე იგი, აქ მხოლოდ მასწავლებელი ცხოვრობს?

-თანამდებობრივად აქ ეკუთვნის ცხოვრება და მაშ სად უნდა ცხოვრობდეს? გაიკვირვა დარაჯმა.- მასწავლებელი შენ რაშია [illegible] რა გგონია, იმასთან ფეხს მიგადგმევინებ? ერთი ამ თავხედს დამიძახე!

-გვაჩვენე მასწავლებელი...

- თუ მოისურვებს, მაშინ გაჩვენებ.

- ვინ არის მანდ, შემოუშვი!- გამოსძახა სონიამ თავისი ოთახიდან და წინკარში შემოირბინა.

ცხენიდან ორნი ჩამოხტნენ მრაჩინსკი და დვანოვი.

სონიამ მათ შეხედა და უკან დაიხია. მის წინაშე საშა იდგა. წვერგაუპარსავი, ჭუჭყიანი და ნაღვლიანი.

მრაჩინსკი სოფია ალექსანდროვნას ქედმაღლურად უცქეროდა: მისი საწყალობელი სხეული იმის ღირსად არ მიაჩნდა, რომ თავი შეეწუხებინა და ყურადღება მიექცია.

-თქვენთან ერთად კიდევ არის ვინმე? - ჰკითხა საშას სონიამ, ბედნიერებას ჯერ ვერა გრძნობდა. - საშა, თქვენს ამხანაგებს დაუძახეთ, მაქარი მაქვს და ჩაის დაგალევინებთ.

დვანოვმა გარეთ მყოფებს მაღლიდან გასძახა და უკანვე დაბრუნდა. მოვიდა ნიკიტა და მასთან ერთად კიდევ ერთი კაცი - ტანმორჩილი და გამხდარი, უგულისყუროდ მომზირალი თვალების მქონე ; თუმცა მან ქალი ზღურბლიდანვე დაინახა და მის მიმართ ლტოლვა უმალვე იგრძნო, ოღონდ მისი დაუფლების სურვილი კი არა, დათრგუნული ქალური სისუსტის დაცვის წადილი აღეძრა. ეს კაცი სტეპან კოპეონკინი გახლდათ.

კოპეონკინი ყველას მიესალმა. დაძაბულმა თავი ღირსეულად დაჭარა და სონიას კოწახურის კანფეტი შესთავაზა, ორ თვეს ჯიბით რომ ატარებდა და არ იცოდა, ვისთვის მიეცა.

-ნიკიტა, - გაისმა კოპეონკინის გაწელილი, მუქარის გამომხატველი ხმა.- სამზარეულოში წყალი ააღულე, ეს ოპერაცია პეტრუშასთან ერთად ჩაატარე. შენს საგანძურში თაფლი გამოჩხრიკე- შენ ხომ მძარცველი ხარ და ყველანაირ ჩარახურას ხვეტავ. ზურგში როცა ვიქნებით, გაგასამართლებ, შე ქვემძრომო!

-რა იცით, დარაჯს პეტრუშა რომ ჰქვია? - მოკრძალებითა და გაკვირვებით ჰკითხა კოპეონკინს სონიამ.

კოპეონკინი გულწრფელი პატივისცემით წამოდგა.

-მე იგი, ამხანაგო, ბუშინსკის მამულში პირადად დავაპატიმრე, რადგან რეოლუციურ მასებს წინააღმდეგობას უწევდა, როცა ისინი წყეულ ქონებას ანადგურებდნენ.

დვანოვმა სტუმრებისგან შეშინებულ სონიას განუმარტა:

-იცი, ეს ვინ არის? ველის ბოლშევიკთა მეთაურია. ამან სიკვდილისაგან მიხსნა, როცა ეს კაცი, - დვანოვმა მრაჩინსკიზე მიუთითა,- მოკვლას მიპირებდა. იგი ანარქიას ქადაგებს, თავად კი იმის ეშინია, რომ მე სიცოცხლე განვაგრძო.

დვანოვი იცინოდა, წარსულის გამო განაწყენება არ ეტყობოდა.

- ამისთანა ვიგინდარის არსებობას პირველ ბრძოლამდე მოვითმენ, - განაცხადა კოპიონკინმა მრაჩინსკის თაობაზე. - წარმოგიდგენიათ, საშა დვანოვი შიშველი და დაჭრილი დამხვდა ერთ ხუტორში, სადაც ეს ბეკეტი თავის რაზმთან ერთად ქათმებს იპარავდა! ამათ თურმე ხელისუფლების უქონლობა სწადიათ! რაო? შევეკითხე მე-ანარქიაო, მიპასუხეს; ჭირსაც წაულია ამათი თავი! ყველანი ხელისუფლების გარეშე იქნებიან, ესენი კი შაშხანებით შეიარაღებულნი იელიან! რა უაზრობაა! მე ხუთი კაცი მყავდა, ამათ ოცდაათი, მაგრამ მაინც დაეიმორჩილე. ესენი ხომ მეომრები კი არა, ორლობის ქურდები არიან! ტყვეებად ეს და ნიკიტა წამოვიყვანე, ხოლო დანარჩენებს პატიოსანი სიტყვა ჩამოვართვი, რომ შრომის მოყვარეობას უერთგულებდნენ, და გავათავისუფლე. ახლა შევხედავ, ბანდიტებსაც ისევე გულადად შეუტევს, როგორც საშას, თუ უფრო ნაკლებად. აი, მაშინ კი გადავწყვეტ, რა მივუმატო და რა გამოვუქვითო.

მრაჩინსკი ნაფოტით ფრჩხილებს ისუფთავებდა. თავი მორიდებულად ეჭირა, როგორც უსამართლოდ დამარცხებულს.

-ამხანაგ კოპიონკინის ლაშქრის დანარჩენი წევრები სადღა არიან? - ჰკითხა დვანოვს სონიამ.

-კოპიონკინმა ყველანი ორი დღით ცოლებთან გაუშვა. მიაჩნია, რომ სამხედრო მოქმედებაში დამარცხებას ცოლებთან ჯარისკაცების განშორება იწვევს და უნდა, ოჯახიანთა არმია შექმნას.

ნიკიტამ თაფლი ლუდის ბოთლით მოიტანა, დარაჯმა კი საბოვარი აადუღა. თაფლს ნავთის სუნი უდიოდა, მაგრამ მაინც მთლიანად შეჭამეს.

- მექანიკოსო მამაძაღლო! - გაუბრაზდა კოპიონკინი ნიკიტას. - თაფლს როცა იპარავ, ბოთლში რატომ ასხამ? უფრო მეტს ხომ დააქცევდი! ქოთანი კერსად იშოვე?

უცაბედად კოპიონკინს შთაგონება დაეუფლა და მთლად შეიცვალა, ჩაის ფინჯანი მაღლა ასწია და ყველას მიმართა:

-ამხანაგებო! მოდი, დასასრულ შევსვათ იმის აღსანიშნავად, რომ ძალა მოვიკრიბოთ მთელს დედამიწაზე ყველა ბავშვის დასაცავად; შევსვათ მშვენიერი ქალიშვილის როზა ლუქსემბურგის მოსაგონარი! ვფიცავ, რომ ჩემი ხელი როზა ლუქსემბურგის საფლავზე დააცხედრებს ყველა მის მკვლელსა და მტანჯველს!

-დიდებულია! - თქვა მრაჩინსკიმ.

-ყველას დავასამარებთ! - კვერი დაუკრა ნიკიტამ და ფინჯანიდან ჩაი ლამბაქზე დაასხა. - ქალების დაჭრა არაფრის დიდებით არ შეიძლება.

სონია შეშინებული იჯდა.

ჩაი გამოცლია. კოპიონკინმა ფინჯანი პირქვე გადაატრიალა და თითი დაუკაკუნა. ამ დროს მრაჩინსკი შეამჩნია, გაახსენდა, რომ არ მოსწონდა, და უთხრა:

-მეგობარო, ჯერ სამზარეულოში წადი, ერთი საათის შემდეგ კი ცხენებს წყალი დაალევინე, პეტრუშკა! - გასძახა დარაჯს კოპიონკინმა. - ამათ უყარაულე! შენც იქ წადი, - მიუბრუნდა ნიკიტას. - ადულებული

წყალი მთლიანად ნუ გამოწრეტე, შესაძლოა, კიდევ დაგჭირდეს. თავი ცხელ ქვეყანაში ხომ არა გგონია?

ნიკიტამ წყალი ერთბაშად გადაყლაპა და წყურვილი გაუქრა. კოპეინკინი პირმოლრეტილი ჩაფიქრდა. მისი საერთაშორისო სახე ახლა აღარ გრძნობებს არ გამოხატავდა, ამას გარდა, შეეძლებოდა, წარმოგვედგინათ კოპეინკინის წარმომავლობა- მოჯამაგირეთა [illegible] თუ პროფესორთაგან- მისი სახის ნაკვთების პიროვნული ნიშნები რევოლუციას უკვე წაეშალა. მის მზერას აღფრთოვანება ელვის უსწრაფესად ეფეთქებოდა და თავდაჯერებულს შეეძლო, მთელი ქვეყნიერების უძრავი ქონება ერთიანად გადაებუგა, რათა ადამიანს მხოლოდ ამხანაგის გალმერთება შეძლებოდა.

მაგრამ მოგონებანი კოპეინკინს კვლავ სახეშეუძვრელს ხდიდა. ხონიას ხანდახან შეუნელავდა ხოლმე და როზა ლუქსემბურგის სიყვარული უფრო ემატებოდა: ორიეულ შავი თმა და შესაბრალისი სხეული ჰქონდა; კოპეინკინი ამას ხედავდა და მისი სიყვარული მოგონებათა გზას მიუყვებოდა.

როზა ლუქსემბურგის მიმართ აღძრულმა გრძნობებმა კოპეინკინი ისე აალელვა რომ დასვენებული თვალები მწუხარების ცრემლებით აევსო. დაუცხრომლად ლაბიჯებდა და თავისი სასძლოს მკვლელობის გამო ბურჟუაზიას, ბანდიტებს, ინგლისსა და გერმანიას ემუქრებოდა.

-ჩემი სიყვარული ახლა საცოდავ გულში კი არა, ხმალსა და შაშხანაზე ელვარებს! წარმოთქვა კოპეინკინმა და ხმალი აშიშვლა. - როზას, ლატაკებისა და ქალების მტრებს შამბნარივით მოვცელავ!

ნიკიტა მოვიდა და ქითინით რძე მოიტანა.კოპეინკინი ხმალს იქნევდა.

-ჩვენ დღიური სასოვაგე არ გაგვაჩნია, ეს კიდევ გაფრენილ ბუზებს აფრთხობს!-წყნარად, მაგრამ უკმაყოფილოდ გამოთქვა საყვედური ნიკიტამ, მერე კოპეინკინს ხმამაღლა მოახსენა: - ამხანაგო კოპეინკინო, სადილად წენიანი კერძი მოვიტანე. აქაურ მეწისქვილეს გუშინ ცხვარი დაუკლავს -ნება მიმეცი, საშხედრო წილი გამოვართვა: ჩვენ ხომ სალაშქრო ნორმა გვერგება.

-გვერგება? -ჰკითხა კოპეინკინმა. - მაშინ სამი კაცის კუოვნილი საშხედრო ულუფა გამოართვი, მაგრამ ბეზმენით აწონე! ნორმაზე მეტი არ წამოიღო!

- მაშინ კონტრრევოლუცია იქნება! - დაუდასტურა ნიკიტამ სამართლიანობის გამოძახტელი ხმით. ეიცი სახაზინო ნორმა როგორიცაა: ძვალს არ წამოვიღებ.

-მოხახლეობა არ გაალვიძო, საჭმელი ხვალ წამოიღე, - უთხრა მას კოპეინკინმა.

-ამხანაგო კოპეინკინო, ხვალ გადამალავენ, -განჭვრიტა ნიკიტამ, მაგრამ ხორცის გამოსართმევად მაინც არ წავიდა, რადგან კოპეინკინს ბევრი მსჯელობა არ უყვარდა და შეეძლო , უეცრად ამოქმედებულიყო.

შავმ გვიანი ქამი იდგა. კოპეინკინმა ხონიას თავი დაუკრა, ძილი ნებისა უსურვა, და ოთხივენი დასაძინებლად პეტროშასთან სამზარეულოში გადაეცალნენ. ხუთი კაცი ნამჯაზე მწკრივად დაწვა, დვანოვს სახე ძილმა მალე გაუფერმკრთალა; მან კოპეინკინს თავი მუცელზე დაადო და გაილურსა, ხოლო ფორმის ტანსაცმელში გამოწყობილმა კოპეინკინმა ხმალიც კი არ შემოიხსნა, დვანოვს ხელი დასაცავად შემოაჭდო და ასე დაიძინა.

ნიკიტამ შეიცადა, სანამ ყველა დაიძინებდა, მერე ადგა და კოპიონკინს დაეცქერდა.

-ნახე, როგორ ფშვინავს ეს უშმაკის კერძი! გულკეთილი კი არის!

იგი გარეთ გავიდა ეზო ყურის მოსაჩხრეკად, რათა დილის საუზმისთვის სადმე ქათამი დაეჭირა. დვანოვი მოუსვენრად აწრიალდა, ძილში მოეჩვენა,რომ გული უჩერდებოდა, შეშინებული წამოჯდა იატაკზე და გამოფხიზლდა.

-სოციალიზმი სადღა არის? -გაახსენდა დვანოვს და თავისი საძიებელი საგნის საპოვნელად ოთახში ჩაწოლილ წყვდიადს ჩააშტერდა; წარმოიდგინა, რომ უკვე ნაპოვი ჰქონდა, მაგრამ უცხო ადამიანთა შორის მძინარეს დაეკარგა. შეშინდა, ამის გამო დამსჯიანო, გარეთ თავშიშველი, წინდების ამარა გავიდა, სახიფათო, უტყვ ლამეს თვალი ჰკიდა, სოფელი გადაირბინა შორეთისკენ გაექანა.

ასე გარბოდა ნაცრისფერ, სინათლეშეპარულ მიწაზე , სანამ ალიონი და ველის ვაგზალზე მდგარი ორთქლმავლის კვამლი არ დაინახა. იქ განრიგით გასამგზავრებელი მატარებელი წასვლის წინ ჩამომდგარიყო.

დვანოვი ბაქანზე გავიდა, ბრბოს გონსმოუსვლელად შეერია და ვიწროობაში ლამის გაიგუდა. მის უკან გამგზავრებისთვის ძალზე მოწადინებული კაცი აღმოჩნდა. ბრბოს ისე მიაპობდა,რომ ხახუნისგან ტანსაცმელი სხეულზე ასკდებოდა. ვინც მის წინ იყვნენ მათ შორის დვანოვიც, - უნებურად სატვირთო ვაგონის საშუალებაზე მოექცნენ. ის კაცი იძულებული შეიქნა, წინ მყოფნი ვაგონზე ავრეკა, რათა თვითონაც იქ მოხვედრილიყო. ახლა კი წარმატებით გახარებული იცინოდა და ბაქნის კედელზე გაკრულ პატარა პლაკატს ხმამაღლა კითხულობდა:

„საბჭოთა ტრანსპორტი ისტორიის ორთქლმავლისთვის განკუთვნილი გზაა“

მკითხველი პლაკატს სავსებით ეთანხმებოდა: თვალწინ კარგი ორთქლმავალი დაუდგა, წინ ვარსკვლავი რომ ჰქონდა დამაგრებული და რელსებზე ცარიელი მიემართებოდა, ვინ იცის, საით; იაფფასიან რამეს ისტორიის ორთქლმავლებით კი არა, გაცვეთილი ორთქლმავლებით ეზიდებიან; ამ მატარებლით მიმავლებს ეს პლაკატი არ შეეხებოდა.

დვანოვმა თვალები დახუჭა, რათა ყოველგვარ სახილველს გამიჯნოდა და გაუაზრებლად განეცადა, რაც წინანდელ გზაზე დაკარგა, ანდა რის დანახვაც დაავიწყდა.

ორი დღის შემდეგ გაახსენდა, რისთვის არსებობდა და სადაც იყო გაგზავნილი. მაგრამ ადამიანის არსებაში ჩასახლებული პატარა მაყურებელი- იგი არც მოქმედებს, არც იტანჯება - ნიადაგ გულშეუძვრელი და გუნება უცვლელია. მისი ვალია, იყოს მაყურებელი და მოწმე, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში ხმის უფლებას მოკლებულია და არავინ უწყის, ეულად რისთვის არსებობს. ადამიანის ცნობიერების ეს კუნჭული დღისით და ღამით განათებულია, როგორც შვეიცრის ოთახი დიდ სახლში. ეს ფხიზელი შვეიცარი ადამიანის სადარბაზო შესასვლელში დღისით. და ღამით ზის, თავისი სახლის ყველა ბინადარს იცნობს; მაგრამ თავის საქმეებზე შვეიცართან არც ერთი მობინადრე არ ბჭობს. მობინადრენი შედიან და გადიან, ხოლო მაყურებელი- შვეიცარი მათ თვალს აღევნებს. იმის გამო, რომ ყველაფერს გაცნობილია,

მაგრამ უძლურია, ზოგჯერ სევდიანი ჩანს, მაგრამ ყოველთვის თავაზიანია, განმარტოებულია, ხოლო ბინა სხვა სახლში აქვს. ხანმარი თუ გაჩნდა, შვეიცარი მეხანძრეებს ურეკავს და მერე რა მოხდება, გარედან ადევნებს თვალს.

სანამ დვანოვი ცნობამიხდილი მიუყვებოდა გზას ფეხით თუ მატარებლით, მის არსებაში მყოფი მაყურებელი ყველაფერს ხედავდა, თუმცა არც ერთხელ არ გაუფრთხილებია და არ დახმარებია. დვანოვის ეჭვიანელურად არსებობდა, მაგრამ დვანოვი არ ყოფილა.

ეგზემპლარი

იგი ადამიანის თითქოსდა მკვდარი ძმა იყო: ყოველივე ადამიანური ჰქონდა, მაგრამ რალაც მცირე, ოღონდ მთავარი, არ გააჩნდა. ადამიანს იგი არასოდეს არ ახსოვს, მაგრამ ყოველთვის ენდობა ისევე, როგორც ბინადარი შინიდან როცა გადის და იქ ცოლს ტოვებს, შვეიცარზე არასოდეს არ ეჭვიანობს.

მგზავრობის პირველი საათი დვანოვმა მდუმარედ გაატარა. სადაც არის ადამიანთა მასა, იქ ბელადიც უმალვე გაჩნდება. მასას ბელადის შემწეობით თავისი ფუჭი იმედების დაზღვევა სწადია, ხოლო ბელადი მასიდან ყოველივე აუცილებელს მოიპოვებს. ვაგონის სამუხრუჭე ბაქანმა , სადაც ოცეოდე კაცი მოთავსდა, თავის ბელადად ის კაცი აღიარა, ვინც ბაქანზე ყველანი არეკა, რათა თავადაც ასულიყო.ბელადმა თვითონ არაფერი იცოდა, მაგრამ იქ მყოფებს ყველაფერს აუწყებდა. ამიტომ ხალხს მისი სჯეროდა - სურდათ სადმე თითო ფუთი ფქვილი ემოვათ, ჰოდა, უნდოდათ, წინასწარ სცოდნოდათ, იშოვიდნენ თუ არა, რათა ძალა შეერჩინოდათ, რომ სატანჯველისთვის გაეძლოთ. ბელადი ამბობდა, ფქვილს ყველანი უსათუოდ იშოვით და რამეზე გადაცვლითთ. ხალხს ეუბნებოდა, მე იქ უკვე ნამყოფი ვარ, სადაც თქვენ მიდიხართ,იმ მდიდარი დაბის ამბავი ვიცი, იქაური გლეხები ქათმის ხორცსა და ხორბლის ფქვილის ფუნთუშებს ჭამენ, მერე ხატობა უნდა იღღესასწაულონ და ყველა მეტომრეს აუცილებლად გაუმასპინძლდებიანო.

-ქოხებში ისე ციხილა,როგორც აბანოში,- აიმედებდა ბელადი მგზავრებს, - ცხვრის ქონით გამოძღები, დაწვები დაიძინებ. იქ როცა ვიყავი, ყოველი დილა თითო კათხა ბურახსა ვსვამდი, ამიტომაც შიგნეულობაში ახლა ერთი ჭიაც არა მყავს. სადილობისას ბორშის ჭამით გაიხვითქები, მერე კიდევ ხორცის ყლაპვას შეუდგები, მერე ფაფას დააყოლებ,ახლა ბლინებს - იქამდე ჭამ, სანამ ყბები კანკალს არ დაგიწყებს. მუცელს კი საჭმლით უკვე ისე ამოიტენავ, რომ ნაჭამი მალლა არ ამოგვიდეს, და ერთბაშად ძილი მოგერევა. კარგად მეყოლეთ!

მგზავრები ბელადს გაუსაძლისი სიხარულის მოახლოებით შეშინებულნი უსმენდნენ.

-ღმერთო ჩემო, ნუთუ ძველი დრო როდისმე დაგვიბრუნდება?- იკითხა ნეტარებამორეულმა გამხდარმა ბერიკაცმა. საჭმლის ნაკლებობას ისე მტანჯველად , ისე მძაფრად განიცდიდა, როგორც ქალი მომაკვდავ შვილთან განშორებას განიცდის. -არა, რაც იყო, იმას ველარასოდეს მოვესწრებით!...ოჰ, ახლა ერთი ჭიქა გადამაკვრევინა და მეფეს ყველა ცოდვას შევუნდობდი!

-რაო, შამილი, ნუთუ ასე გენატრება? - ჰკითხა ბელადმა ბერიკაცს.

-ნულარ მკითხავ, ჩემო კარგო!რალა არ დამილევია? ლაქიცა ვცადე,

პოლიტურაც, ადეკალონში დიდი ძალი ფული გადავიხადე. მაგრამ სულ ამაოდ: ფელს ჩაგლადრავს, გულს კი არ ეკარება! ხომ გახსოვთ, რა არაფი იყო ხოლმე, ის ფულელი - სანიტარულად დამზადებული! გამჭვირვალე, ღვთიური ჰაერივით კამკამა - ერთი ბეწო არაფერი ერია, არც სუნი ჰქონდა, ქალის ცრემლი გეგონებოდა. ახლა რა ბოთლი იყო: კოხტა, აარლიყით დამშვენებულ-ჩირთლა სანაქებო! ის გრაშს გადაკრავდი და უმალვე მოგეჩვენებოდა [illegible] და ენერგია დამყარდაო. ეჰ, რა ცხოვრება გვქონდა!

ჯული მსმენელმა გულწრფელი სინანულით ამოიოხრა იმის გამო, რომ ის სიკეთე შეუჩერებლივ წაუიდა, მინდვრები დილის ცას გაენათებინა, მწუხარე გარემო, ხალელიანი ველები სულში შემოჭრას ლამობდნენ, მაგრამ სულის ბეჭე დახურული ხვდებოდათ, და მათი სახება მიმავალი მატარებლის უკან რჩებოდა, თვალთაგან იკარგებოდა.

ადამიანები იმ მიეწყებულ დილას წუხილითა და ოცნებებით გულსავსენი მიემგზავრებოდნენ და გერ ამჩნევდნენ,რომ მათ შორის მყოფ ერთ ახალგაზრდა კაცს ფეხზე მდგომარეს ემინა. თან არც ბარგი ჰქონდა, არც ტომარა: ჰურის ჩასაწყობად ალბათ სხვა რაიმე ჰქონდა წამოღებული ანდა უბრალოდ იმალებოდა, ბელადს ჩვეულებისამებრ უნდოდა მისთვის საბუთები შეემოწმებინა; ჰოდა, შეეკითხა, სად მიდიხარო. დვანოვს არ ეძინა და უპასუხა, ბირველ სადგურამდე მივდიგარო.

-შენი გაჩერება ახლა იქნება, -აუწყა ბელადმა, - მოკლე მანძილის გულისთვის ადგილი ტყუილად დაიკავე, იქამდე ფეხითაც მიხვიდოდი.

ოუმცა უკვე დღე იყო, სადგურს ნავთის ფარანი ანათებდა, ხოლო ფარნის ქვეშ სადგურის უფროსის მორიგე თანაშემწე იდგა. მგზავრებმა ჩაიდნებს ხელი წამოაელეს და მატარებლიდან ჩაცვივდნენ; ორთქლმავლის ყოველი შერხვა აფრთხობდათ, რადგან შიშობდნენ, აქ სამუდამოდ არ დავრჩეთო, თუმცალა, შეეძლოთ, თაეიანთი საქმე აუჩქარებლად მოეთავებინათ, იმიტომ რომ მატარებელი იმ სადგურზე ერთ დღეს და კიდევ ერთ ღამეს დარჩა.

დვანოვმა მთელი დღე რკინიგზის ახლოს თვლემაში გაატარა, დასაძინებლად კი სადგურის გვერდით ხალვათ ძველურ ქოხში შეკიდა, სადაც ღამის გასათევ ადგილს ყველას აძლევდნენ და მცირე საფასურს ახდევინებდნენ. ღამის ხათეეი ქოხის იატაკზე ხალხი იარუსებად იწვა. მთელ ოთახს კარგამოლებული გახურებული ღუმელი ანათებდა. ღუმელთან შაუწვერა გლეხი იჯდა და ცეცხლსა ჰყურობდა. ხვნეშისა და ხვრინვისგან ისეთი ხმაური იდგა, თითქოს აქ კი არ ეძინათ, არამედ მუშაობდნენ. მაშინდელ აფორიაქებულ ცხოვრებაში ძილიც შრომას უტოლდებოდა. ფიცრის ტიხარს იქით მეორე ოთახი იყო- უფრო პატარა და უფრო ბნელი. იქ რუსული ღუმელი იდგა. ღუმელზე მხოლოდ ორი მღვიძარე შიშველი კაცი იჯდა, ტანსაცმლის შეკეთებით რომ იყვნენ გართულნი. დვანოვს გაუხარდა, ღუმელზე ხალვათობა რომ იყო და ზედ აკიდა. შიშველმა კაცებმა განზე გაიწიეს. მაგრამ ღუმელი ისეთი გახურებული აღმოჩნდა, ზედ კარტოფილის შეწვა შეიძლებოდა.

-ყმაწვილო კაცო, აქ ვერ დაიძინებთ, - უთხრა დვანოვს ერთმა შიშველმა კაცმა. - ამ ადგილას მარტო ტილების გამოწვა შეიძლება.

დვანოვი მაინც დაწვა. მოეჩვენა, რომ ვილაცასთან ერთად იყო.

ერთდროულად ლამის გასათევ ქოხსაც ხედავდა და საკუთარ თავსაც - ღუმელზე მწოლიარემ გვერდზე გაიწია, რომ თანამგზავრისთვის ადგილი დაეთმო, მერე ამ თანამგზავრს მოეხვია და ბურანში წავიდა.

შიშველი კაცები ტანსაცმლის შეკეთებას მორჩნენ და ერთმა თქვა:

- უკვე გვიანია, ამ ყმაწვილს უკვე სძინავს.

ორივენი ღუმლიდან იატაკზე ჩავიდნენ, რათა მძინარეთა შორის ჩასაწოლი ადგილი მოეძებნათ. შავწვერა გლეხს ცეცხლი ჩაუქრა; იგი წამოდგა, ხელები გაშალა, გაიზმორა და თქვა:

- ეჰ, ამ ნაღველს რა გაუძლებს! - მერე გარეთ გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

ქოხში თანდათან აცივდა. ხაიდანლაც კატა გამოძვრა და მწოლიარეებს ზედ გადაუარა, მიაბიჯებდა და მძინარეთა გაწეწილ წვერს არხეინი თათებით ეხებოდა.

ვილაცა ვერ მიხვდა, ეს კატა რომ იყო, და ნამძინარევმა თქვა:

- გაიარე, გოგონი, თავადაც მშივრები ვართ.

უეცრად ვილაც სახეშეშუპებული ჭაბუკი, წვერი აქა-იქ ბლუჯა-ბლუჯად რომ ამოსვლოდა, იატაკზე ერთბაშად წამოჯდა.

- დედა, დედილო! მომიჭერი, შე ბებერო კუდიანო! მომიჭერი-მეთქი, რას გუბნები... ქვაბი ზედ ჩამოარქვი!

კატამ წელი აიგრიხა და ჭაბუკს მიაჩერდა, რადგან მისგან ხიფათს მოელოდა.

მეზობელ მოხუცს თუმცა ეძინა, ხიბერისგან გონება ძილშიაც უმუშავებდა.

- დაწექი, დაწექი, დამთხვეულო, - თქვა მან. - ხალხში ხარ, რისა გეშინია? დაიძინე, ღმერთი გიშველის!

გონებადაბინდული ჭაბუკი კვლავ დაწვა.

ლამეული ვარსკვლავიანი ცა დღისგან შემორჩენილ უკანასკნელ სითბოს დედამიწიდან იწოვდა, ალიონის წინ ჰაერის ზეაღსვლა იწყებოდა. ფანჯრებიდან ნამიანი ბალახი მოჩანდა, ისე სახეშეცვლილი, თითქოს მთვარის ველთა კოროშები ყოფილიყო. შორს დაუცხრომლად გუგუნებდა რომელიღაც სასწრაფო მატარებელი, გუნებადამძიმებულ სივრცეთა შორის რომ მოშწყვდეულიყო და ამონათხარის ყრუ ჭრილში კივილით მიექანებოდა.

ვილაცამ ძილში მჭახე ხმით რაღაც ამოიძახა. დვანოვი ამ ხმაზე გამოფხიზლდა და ზანდუკი გაახსენდა, რომლითაც სონიასთვის ფუნთუშები მიჰქონდა; იმ ზანდუკში უამრავი ყუათიანი ფუნთუშა ეწყო, მაგრამ ახლა ზანდუკი ღუმელზე არ აღმოჩნდა, ამიტომ დვანოვი იატაკზე ფრთხილად ჩავიდა და ზანდუკის ძებნას დაბლა შეუდგა. იმის შიშით, ზანდუკი არ დაკარგოო, ერთიანად კანკალებდა, მთელი სულიერი ძალა ზანდუკზე დარდად ექცა. დვანოვი ოთხზე დადგა და მძინარეებს ხელით სინჯვა დაუწყო, იქნებ ზანდუკი ქვეშ ამოიდეს და მიმალავენო. მძინარეები გვერდს რომ შეიცვლიდნენ, მათ ქვეშ მხოლოდ ცარიელი იატაკი გამოჩნდებოდა ხოლმე. ზანდუკი არსად ჩანდა. დანაკარგის გამო თავზარდაცემული დვანოვი გულდამდეულრული ატირდა; კვლავ მძინარეთა შორის დაჩოჩავდა და ჩანთებს უსინჯავდა, ღუმელშიც კი შეიხედა. მძინარეთაგან ბევრს ფეხები

დაჩქლეფილა, ზოგსაც ფეხსაცმლის ლანჩით სახე ჩამოალადრა, ზოგიც თავისი ადგილიდან მთლად გადაათრია. შვიდნი გამოფხიზლდნენ და წამოჯდნენ.

-რა ჯანდაბას დაეძებ? - ხმადაბლა, მაგრამ გამძვინვარებით ჰკითხა კეთილსახიერმა ვლუხმა - აქ რა გაქვს დათვალილი, შე ჯოჯოხეთის მაშხალა?

სტეპან, მაგას თქვენს ჩექმა ჩასთხლიშე. შენთან უფრო ახლოსაა! - მეზობელი შეაგულიანა სხვა კაცმა, ქუდჩამოფხატულს რომ ... აგური ამოედო.

-ჩემი ზანდუკი არ გინახავთ? - მიმართა დვანოვმა იმათ, ვინც მას ემუქრებოდა. - კლიტით მქონდა დაკეტილი, გუშინ მოვიტანე, ახლა კი აღარსად ჩანს.

თვალისჩინნაკლულმა, მაგრამ მაინც გონებაფხიზელმა ვლუხმა მოაფათურა, თავისი ჩანთა მოსინჯა და დვანოვს უთხრა:

- კაი გაქექილი ვინმე ხარ! ზანდუკი! მერედა, სადა გქონდა? გუშინ ხელცარიელი შემოხვედი: მე თვალხილული ვიჯექი. ახლა კი ზანდუკი მოინდომე, არა!...

-სტეპან, ერთხელ მაინც წაუთაქე, შენ ჩემზე უფრო ზორბა ტორი გაქვს! - სთხოვა ისევ მეზობელს ქუდჩამოფხატულმა ვლუხმა.- პატივი დამდე, გეთაყვა; ყველა მოქალაქე გააღვიძა ამ მხეცმა! ახლა ხვალამდე თვალებდაჭყეტილები უნდა ვისხდეთ.

დვანოვი დაბნეული იდგა მათ შორის და შემწეობას მოელოდა.

მეორე ოთახიდან, რუსული ლუმლიდან, ვიღაცის მომძლავრებული ხმა გაისმა:

-ახლავე გარეთ გააგდეთ ეგ მაწანწალა! თორემ ავდგები და ყველას დაგერევით, საბჭოთა ადამიანს ლამით მაინც მიეცით მოსვენება.

-მაგასთან ამდენი ლაპარაკი რა საჭიროა! - შესძახა კარებთან მწოლიარე შუბლმაღალმა ახალგაზრდამ და ფეხზე წამოხტა, დვანოვი იღლიაში წაქცეული ბოძივით ამოიღო და გარეთ გაათრია.

-ემანდ იქნებ გაგრილდე! - თქვა ახალგაზრდამ, თბილ ქოხში შევიდა და კარი მიიჯახუნა.

დვანოვი ქუჩას გაუყვა. ვარსკვლავთა კრებული მის თავს ზემოთ სადარაჯოზე იდგა. მათ შუქს ცა სამყაროს მილმა მხარეს ოდნავ გაენათებინა, ხოლო ქვემოთ კამკამა სიგრილე განფენილიყო.

დვანოვი დაბიდან გავიდა თუ არა, გაქცევა დააპირა, მაგრამ წაიქცა. ფეხის ჭრილობა გადაავიწყდა, იქიდან კი ხახლი და სქელი სითხე განუწყვეტლად სდიოდა; ღია ჭრილობიდან სხეულისა და ცნობიერების ძალა მიედინებოდა და დვანოვს თვლემა ერეოდა. ახლა მიხვდა, რომ სიხუსტე ეუფლებოდა, გუბის წყლით ჭრილობა მოიბანა, სახვევი გადააბრუნა, ფეხი ხელახლა შეიხვია და გზა ფრთხილად განაგრძო. წინ ახალი, უკეთესი დღე იწყებოდა; აღმოსავლეთიდან აღმაკალი შუქი თეთრი ფრინველების დამფრთხალ გუნდს მიაგავდა, მაღლა, ზეცისკენ ბობოქარი სიჩქარით რომ მიისწრაფოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ია პარანდოვსკი

თარგმნა ელდარ ბიბიაშვილმა

სიტყვის ალქიმია

ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო

ჟოპენჰაუერის ქალალდებში ერთი, სიგრძეზე ხაზით გაყოფილი, ფურცელია. პირველ ნახევარზე წერია: „ფრანკფურტი", მეორეზე - „მანჰაიმი" და იქვე დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ორივე ქალაქის ღირსებები და ნაკლოვანებები. შოპენჰაუერს არ უნდოდა, შემთხვევის მონა გამხდარიყო და ყოველ ნაბიჯზე უსიამოვნო მოულოდნელობას გადაჰყროდა, ამიტომ მოაზროვნე ადამიანისათვის დამახასიათებელი სიფრთხილით წინასწარ ასწონ-დასწონა ყველაფერი, გაარკვია, რა დასჭირდებოდა მუშაობისა და გართობისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ დაიდო საბოლოო ბინა მაინის ფრანკფურტში. ასეთივე ყურადღებითა და სიფრთხილით მოეკიდა საცხოვრებელი ბინის შერჩევას. მის მაგალითს გონებრივი შრომის ყოველმა მუშაკმა უნდა მიბაძოს, თუკი არჩევანის შესაძლებლობა მიეცემა.

მწერლები, განსაკუთრებით პოეტები, ჩვეულებრივ, მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, თქმულებათა მიხედვით, ჰომეროსი მოხეტიალე რაფსოდი იყო, ხელთ გრძელი არგანი ეჭირა და ქვეყანას უვლიდა. არქილოქეს ოქროს მაძიებლად და მეომრად გვიხატავენ, ალკეოსს - მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლად და სამშობლოდან გაძევებულ ყარიბად. ამ სამი მწერლით დაიწყო პოეზიის უძველესი ეპოქის ყარიბთა და მოგზაურთა სია. ამ სიას ყოველ მომდევნო საუკუნეში ახალი სახელები ემატებოდა.

გამუდმებით მოგზაურობდნენ დანტე, მოლიერი და შექსპირი; გამუდმებით იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს შელლი და მიცკევიჩი. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ბაირონის ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობანი და რემბოს თავგადასავალი აფრიკაში.

ერთი სიტყვით, მწერლისათვის ერთობ დამახასიათებელია მოგზაურობა და ხეტიალი. ერთ ალბერ სამუსზე, რომელმაც მრავალი წელი იმუშავა სახელმწიფო ხაზინის მოხელედ, ანი ისეთი პოეტი მოდის, სიბერემდე რომ ვერსად დამკვიდრდნენ, ანდა ვერლენის მსგავსად, სიბერეშიც ვერ ჰპოვეს საბოლოო ნაესაყუდელი. იმ ეპოქებში, როცა პოეტური შთაგონება მდიდარი მესვეურის ჭირვეულობას უნდა დამორჩილებოდა, პოეტი ნიადაგ გამზადებული უნდა ყოფილიყო ასაყრელად. მაგრამ იგი სხვისი ხელის შემყურეც რომ არ ყოფილიყო,

---

ჯიგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე" №1

რაიმე ახირება, მოულოდნელად მოვლენილი დაუძლეველი სურვილი ადგილის შეცვლისა, ფათერაკებისაკენ ლტოლვა თუ სიახლისადმი სწრაფვა აიძულებდა, დაეტოვებინა თავისი ადგილსამყოფელი. ამიტომ არის, რომ მსოფლიოს ყოველ კუთხეში შეხვდებით მემორიალური დაფებით დამშვენებულ სახლებს. ეს ის სახლებია, რომლებშიც პოეტებს თვიანთი ცხოვრების რომელიღაც პერიოდი გაუტარებიათ.

მწერლის წინაშე ყოველთვის იდგა კითხვა, სოფელში ეცხოვრა თუ ქალაქში. ეს კითხვა ლონდონის, ნიუ-იორკის, ან პარიზის გიგანტ ქალაქებად გადაქცევას არ დაუყენებია. შეიძლება იგი გაამწვავა ქალაქის ტრანსპორტის გაზრდამ, მოტორების ხმაურმა, ჰაერის გაჭუჭყიანებამ ბენზინის გამონაბოლქვითა და ფაბრიკა-ქარხნების კვამლით. ქალაქი ყოველთვის ეჯავრებოდათ მგრძნობიარე ნერვების მქონე შემოქმედებს. ხმაურიანსა და ჩახუთულ ათენს, მოფუსფუსე ხალხით გადავსებულ ალექსანდრიასა და თითქმის მილიონიან რომს არაფრით არა სჯობდა შუა საუკუნეების ქალაქები, რომლებიც დღეს ესოდენ ლამაზ ფერებში გვაქვს წარმოდგენილი. ან კი რა უნდა ჰქონოდა მოსაწონი გალავნით შემოზღუდულსა და ხალხით გამოტენილ ბინძურ ქალაქს, რომელიც სიმყრალისა და გადამდებ სნეულებათა ბუდედ იყო ქცეული. ამქვეყნიურ ამაოებათაგან განრიდებულ ხალხს, ეს ქალაქები ახსენებდნენ, რომ სამოთხეს გალავანი არა ჰქონდა შემოვლებული და აყვავებულ ხეებს შორის ქუჩები კი არა, ბილიკები გადიოდა. შემოქმედები ბუნებისაკენ მიიელტოდნენ. პლატონმა თავისი აკადემია აკადემიის ჭალაში დააფუძნა, ეპიკურემ ათენის განაპირას შეიძინა ბაღი. ის მწერლებიც კი, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ბიბლიოთეკებითა და არქივებით ესარგებლათ, ცდილობდნენ, ქალაქის განაპირა ქუჩაზე დაედოთ ბინა, ხოლო ვისაც წარმოსახვის უნარი ჰქონდა და ბიბლიოთეკებისა და არქივების დახმარება არა სჭირდებოდა, წყნარსა და განმარტოებულ ადგილზე სახლდებოდა.

უამრავმა შემოქმედმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი სახელი საცხოვრებლად ამორჩეულ ადგილს. კოლონისაგან დღეს თითქმის აღარაფერია დარჩენილი, მაგრამ სახელი არ დაკარგულა, რადგან იქ სოფოკლეს აჩრდილი გვეგულება. ტივოლიში, რომაულ ტიბურის ნანგრევებს შორის, ჰორაციუსის ნაკვალევია. პეტრარკამ ვოკლიუზის მუხებქვეშ დატოვა ლაურაზე ნანახი სიზმრები. სელვაპიანა კი იმით ამაყობს, რომ სიბერისაგან მიხრწნილმა პოეტმა მის მიდამოებში ჰპოვა ახალი შემოქმედებითი აღმაფრენის წყარო. პოლონეთის ლიტერატურის კარიბჭესთან დამათრობელ სურნელებას აფრქვევენ იან კოხანოვსკის ცაცხვები, რომლებიც ჩერნოლესკის მიწით არიან გამოზრდილი. პოლონეთის ლიტერატურა სხვა ქვეყნების ლიტერატურაზე უფრო სოფლურია. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ქალაქში არც კი შემოუხედავს, თუ კარისკაცთა და სამღვდელოების მიერ შექმნილ ლიტერატურას არ მივიღებთ მხედველობაში. მღვდლებსა და კარისკაცებს კი (მაგ. იან სკარგას) ქალაქში ცხოვრებას სამსახურებრივი მოვალეობები აიძულებდა. კუნტუშებსა და ჟუპანებს შორის იშვიათად თუ გაიელვებდა ქალაქური სამოსი. ვითარება მხოლოდ XIX საუკუნეში იცვლება, მაგრამ წინაპართა ტრადიციები მაინც უცვლელი რჩება - პოლონური ლიტერატურა კვლავ მგზნებარენ უმღერის ბუნებას. ამიტომ შეიქმნა მყუდრო ზაკოპანეს, კასპროვიჩის სახლის, „ხარენდის“, ჟერომსკის „ხალუპის“ და მისივე კონსტანტინში მდებარე ვილის კულტი. „სოფელი ღმერთმა შექმნა, ქალაქი კი სატანამ“, - წერდა ჟერომსკი. პოლონელმა ხალხმა სენკევიჩის დაჯილდოება მოინდომა და შესთავაზა, ან ქვის სახლს მოგცემთ

ვარშავაში, ან მიწის ნაკვეთს ქალაქგარეთ. მწერალმა ობლენგორეკი არჩია ქალაქს. ტოლსტოიმ უკვდავყო იასნაია პოლიანა.

სანამ მწერალი ახალგაზრდაა, ქალაქს ვერ ეშვება, რადგან ქალაქი სულიერად ავითარებს და შემოქმედებით სტიმულს აძლევს. გარდა ამისა, ქალაქი ეფერი აგძელოფილებს პატიმოყვარეობას, რომელიც მწერალთა [illegible]ების განუყრელი თანამგზავრია. ხოტბა-დიდება და ჯილდოები სოფლის [illegible] ეარეულენელ-ს [illegible] ეარეულენელ-ს [illegible] ეარეულენელ-ს

უნარი შესწევს, სულ გამოეთიშოს გარემოს, ყურადღება არ მიაქციოს ხმაურსა და აურზაურს, წერის ყაზარმაში, კანცელარიაში, ხადგურზე, რედაქციაში. გოტიემ „კაპიტან ფრაკასის" რამდენიმე თავი სტამბაში, საბეჭდი მანქანებისგან თხელი ტიხრით გამოყოფილ ოთახში დაწერა. ზოგი ძოეტის რითმას ეურაფეს ალებდა კაფეების ხმაური. ბერნანოსი საკუთარი აზრების ქარიშხალში, აჩქარებდა კაფეში გამეფებულ ყაყანსა და ალიაქოთს. მე თვითმხილველისაგან ვიცი, რომ სენგვიჩი კმიციციის თავგადასავალს ზაკოპანეს საკონდიტროში თხზავდა.

მაგრამ ეს ერთეული და გამონაკლისი შემთხვევებია. მწერალი თავისი ბუნებით კაბინეტის მუშაკია. მას ოთხი კედლის შემოსაზღვრული საკუთარი კუთხე სჭირდება. დაე, ეს კუთხე სხვენზე იყო და სამტრედეხაეთ ვიწრო სარკმელი ჰქონდეს, მწერალს მყარი მაგიდა და ისეთი სკამი უნდა, რომელიც მის სიმძიმეს გაუძლებს. ამასთან, თუ იგი თაეგადაკლული ასკეტი არ არის, მარტო ამით ვერ დაკმაყოფილდება. ჩემი აზრით, დიოგენე თავის კასრს მხოლოდ სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტისათვის იყენებდა და არა აზრების პაპირუსზე გადასატანად. ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალი ეირჯინია ვულფი ესოდენ რომ არ დაინტერესებულიყო მწერლის სამუშაო ადგილის საკითხით, აქ მხოლოდ მისი უბრალო აღწერით დაკმაყოფილდებოდით. ვირჯინია ვულფის პატარა წიგნი, რომელსაც საფუძველად დაედო ლექციების ციკლი „საკუთარი ოთახი", დიდი ხერხოზულობით იხილავს ამ, ერთი შეხედვით, არც თუ ისე მნიშვნელოვან საკითხს. როდესაც იმ მცირერიცხოვან ქალებს ჩამოთვლის, რომელთაც მოახერხეს ლიტერატურაში შეღწევა, არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, თუ როგორ ეღობებოდა მათ წინ ლიტერატურის კარიბჭესთან დარაჯად მდგომი ცრურწმენები და ჩვეულებები. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღწევდა მწერალი ქალი ისეთ დამოუკიდებლობას, რომ საკუთარი სამუშაო ადგილი მოეძოებინა ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი მწერლობა აღიარებული, ან თუნდაც შეწყნარებული ყოფილიყო საზოგადოების მიერ. ქალს ეს პატიოსანი სახელის დაკარგვის ფასად უჯდებოდა. „შექსპირის ნიჭისა და უნარის მქონე მწერალ ქალს მე-16 საუკუნეში ისეთ დღეში ჩააგდებდნენ, რომ ან თავს მოაკლეკვინებდნენ, ან ჯადოქრად მონათლავდნენ და აიძულებდნენ, სადმე მიყრუებულ სოფელში დაემთავრებინა სიცოცხლე", - წერს ვირჯინია ვულფი. ქალმა ლიტერატურულ ცხოვრებაში მხოლოდ მე 19 საუკუნეში შეაბიჯა და გაბედა, მოეთხოვა ყველა უფლება, რაც მანამდე მხოლოდ მამაკაცების პრივილეგია იყო. წინათ კი, თუ ვინმე გაბედავდა წერას, ჯვინ ინტენსიეთ უნდა მოქცეულიყო - მორცხვად დაეფარებინა ხელი ნაწერზე, როცა ოთახში ვინმე შემოვიდოდა. ჯეინი ჩოდა, მამაკაცებმა შაკვი რამდენიმე ათასი წელიწადია მოიპოვეს წერის უფლება და პოეტს მხოლოდ პირველყოფილ საზოგადოებაში თუ მოუხდებოდა მტკიცება, რომ მისთვის მყუდრო ადგილი იყო საჭირო ჩასაფიქრებლად და ყურადღების მოსაკრებადო.

არსებობს ფრიად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც შექმნილია ბნელსა და ვიწრო ოთახებში, იმ ყბადაღებულ სხვენებში, სადაც უამრავი ტალანტის ნიჭი იფურჩქნებოდა ან ჭკნებოდა. არსებობს ნაწარმოებები, შექმნილი ხმაურიან ოთახებში, სადაც უამრავ, თავიანთი საქმით გართული ადამიანებს შორის მყოფი მწერალი მოუთმენლად ელოდებოდა წყნარი წუთების დადგომას. ასეთი აუტანელი პირობები აშკარად ტოვებს კვალს ნაწარმოებებზე. ზოგჯერ კომპოზიციით, ზოგჯერ კი სჭილით მიხვდებით, თუ სად ქმნიდა მწერალი თავის ნაწარმოებს - ფართო და ნათელ, თუ ვიწრო და უსინათლო ოთახში.

მწერალი მრავალნაირია, მაგრამ ორი ძირითადი ტიპის გამოყოფა მაინც შეიძლება: ერთი, რომლისთვისაც მწერლური შრომა ჩვეულება და სასიცოცხლო მოთხოვნილებაა და ამ შრომას სისტემატურად, დღეღამის გარკვეულ მონაკვეთში ეწევა. ასეთი მწერლები მისდევენ აპელესის პრინციპს - არცერთი დღე ხაზის გარეშე (ეს გამოთქმა ზოლას თავის კაბინეტში, ბუხრის თავზე ჰქონდა გაკრული). ანტონი ტროლოპი ყოველდღე კეთილსინდისიერად წერდა სიტყვების [illegible] წარდაგენილ რაოდენობას (ეს კეთილსინდისიერება ფოსტის მოხელეობის მუშაობით გამოიმუშავა). მეტერლინკი ყოველდღიურად ეროსა და იმავე დროს ჯდებოდა საწერად და ერთი ფრაზაც რომ ვერ დაეწერა სადილობამდე არა დგებოდა. ამ ტიპის მწერლებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ მოხერხებულ სამუშაო ოდგილზე.

მწერლის სამუშაო ოთახი აუცილებლად კეთილმოწყობილი უნდა იყოს. გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი გემოვნებაც და ახირებულობაც. მწერლის მატერიალურ მდგომარეობას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მას შეიძლება უჭირდეს, მაგრამ მომჯირნეობის, მონდომებისა და ხიჯიუტის დახმარებით თავისი კაბინეტი ხასიათლეს დაამსგავსოს, ან ტოლსტოიეთი მდიდარი იყოს და მასავით ხაზგასმული ხისადგით მოიწყოს სამუშაო ოთახი. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერლებს დიდად არ უყვართ კაბინეტის სამშვენისებითა და ზიზილ-პიპილოებით მორთვა. გოეთემ თავისი სახლი მუზეუმივით გაავსო ძვირფასი ნივთებით, მაგრამ სამუშაო ოთახი სენაკივით სადა ჰქონდა, რომ ყურადღება არ დაეფანტოდა. ხშვანაირად ხდება, როცა მწერალს რაიმ ახირება ან ეთნი აქვს. ნორვეგიელ გეიმბობს: „საკუთარი ხელით მოვხატე ჩემი ოთახის კედლები ნიუ-იორკში, მოვრთე რუხი ტონის ბარელიეფებით. ბარელიეფებზე გამოსახული იყო სცენები ძველი და ახალი ისტორიის თემებზე. ამას დაეუმატე ანტიკური პერიოდის გამოჩენილ პიროვნებათა მედალიონები, ოღონდ ისინი ჩემს მეგობრებსა და ნაცნობებს დავამსგავსე, მაგალითად, სოკრატე ავგუსტ ცეშკოვსკის წააგავდა, პლატონი - ჩემს მეორე მეგობარს, ალექსანდრე მაკედონელი - მესამეს, ხოლო კი ჩემს ერთ-ერთ მეგობარ ქალს“.

მწერალი, თუ შესაძლებლობა აქვს, თავის გემოვნებას აქსოვს სამუშაო ოთახის ავეჯით გაწყობაში. ისევე გემოვნება მჟღავნდება განათებასა და კედლების ფერის შერჩევაში. თუ შეუძლია იმასაც გაითვალისწინებს, როგორი ხელი უნდა მოსწანდეს ფანჯრიდან. სწორედ რომ შესაფერისი იყო მონტენის კოშკი საკუთარ თავთან სახაუბროდ და ამ კოშკში დაიწერა კიდეც მისი „ცდები“! განა შეეძლო ვიქტორ ჰიუგოს უკეთესი სამუშაო კაბინეტი ენატრა, ვიდრე გერნსში ოკეანეზე გადამზირალი შემინული ფანარი, ეგრეთწოდებული „მედუზის ტივი“ იყო? ალისტერ რობდენამბრში გამოწყობილი „ზღვის მუშაკების“ ავტორი პიუპიტრთან იდგა, ოკეანის უსაზღვრო სივრცეს გასცქეროდა და თვითონაც სანიშნი შუქურასავით მოსწანდა გვერდზე ჩავლილი ხომალდების გემბანიდან. აქ დაწერა მან „საუკუნეთა ლეგენდა“, „კაცი, რომელიც იცინის“, „ქუჩებისა და ტყეების სიმღერები“ და ეპოპეა ზღვის ადამიანებზე, სადაც ყოველი ფრაზა ზღვის ნიავის მარილიანი სუნთქვით არის გაჟღენთილი.

ერთ-ერთი სახეობის საკარძელს ვოლტერის სახელი შეარქვეს. იგი ფართო, მოხერხებული და სასიამოვნო ჩასაჯდომია. მოხუც ქალებს ძალიან უყვართ ასეთი საკარძლები, ჩასხდებიან შიგ და ქსოვენ, კრიალოსანს მარცვლავენ, ან თუნუმენ. ვოლტერი ლოგინში მწოლიარეც ისე მუყაითად მუშაობდა, რომ საწერ მაგიდასთან

შეგდილმ ბევრ მწერალს აჯობებდა, ამიტომ გულმშვიდად შეეძლო, ასეთი საკარძლით ესარგებლა - იცოდა, თავისი მოუსვენარი სული არსად არ დაანებებდა ძალს. მაგრამ სხვა მწერლები იშვიათად ბაძავენ ვოლტერს სკამის შერჩევაში. ისინი ერიდებიან მეტისმეტად რბილსა და მოხერხებულ საკარძლებს, რომლებშიც ასე ძალიან შეგვარს ჩაბუდება სიზანტესა და სიზარმაცეს. საოცრად მეფეთი და შრომისმოყვარე კასპროვიჩი ამჯობინებდა ზაკოპანეში გაკეთებულ ხეზურგიან სკამებს და ძალზე აქებდა მათ. შემოქმედებისათვის აუცილებელია პირობების რაღაც მინიმუმი. საწყალი ვილიე დე ლილ ადანი კი ერთხელ იძულებული გახდა იატაკზე დამჯდარიყო საწერად, რადგან ავეჯი საჯარო ვაჭრობით გაეყიდეს. ეს ფაქტი პოეტის ჭეშმარიტი გმირობის მაგალითად გამოდგება, მაგრამ მიბაძვა არავის მიხცემს ხელს.

იშვიათად ხდება, რომ კაბინეტის მოწყობაში შემთხვევითობის ბელი ერიოს. დაკვირვებული კაცი სამუშაო ოთახზე თვალის ერთი გადავლებით ამოიკითხავს მწერლის ბიოგრაფიის რამდენიმე ნაწყვეტს. მწერალს ყოველივის შეაქვს თავის კაბინეტში რაღაც ნაწილი იმ სამყაროდან, საიდანაც მისი შემოქმედება იღებს სათავეს. მარაო და მაქმანები მიგვანიშნებს, რომ მწერლის ოცნება ვიღაც ქალს დასტრიალებს თავს, პალმა ტროპიკულ პეიზაჟს ცვლის, გლეხის ტანსაცმელში გამოწყობილი ფიგურით ვხვდებით, რომ მწერალს შორეული სოფლის მოგონებები უტრიალებს თავში. ყველაზე მეტი საგანი იმ მწერლის მაგიდაზეა დახორებული, რომელიც ისტორიულ თემაზე მუშაობს. მას სურს ეს ნივთები ნიადაგ თვალწინ ჰქონდეს, დროდადრო ხელით შეეხოს მათ, რადგან ისინი იმ ეპოქის ნაკეალევია, რომელიც თავის ნაწარმოებებში უნდა ასახოს. ამ ნივთების ფორმა, მოხაზულობა და ორნამენტი მწერალს წარსულთან აახლოებს, ისინი რაღაც შეუცნობელ, სასიამოვნო და მომაჯადოებელ სურნელებას აფრქვევენ ირგვლივ. ფრანსმა „ანა დარკის" წერის დროს უამრავი ძველი ნივთი შემოილაგა ირგვლივ. წიგნის დამთავრების შემდეგ კი ისე შეჯავრდა ყველა, რომ ნაცნობებს ესვენებოდა, ეს ხარა-ხურა მომაშორებოთ. მარმარილოს ერთ პატარა ნატეხს კი, საიდანაც მომხიბლავი გრაციით ამოზიდულიყო ქალის ტანი, ვერაფრით ვერ შეელია. ეს ქანდაკება იმ ადამიანის ფეტიში იყო, რომელიც ერთნაირად ეთაყვანებოდა ქალსა და ანტიკურ ხელოვნებას.

გონკური მიიღო სიცოცხლე იაპონური ხელოვნების თაყვანისმცემელი იყო. ამ ხელოვნების ნიმუშები მარტო მის კაბინეტში კი არა, მთელ სახლში ჰქონდა დახვავებული.

კაბინეტში არსებული ნივთებით ადვილად შეიძლება მიხვდე, თუ რაზე მუშაობს მწერალი. მეტერლინკის საწერ მაგიდაზე თაფლიანი ფეფუში იდგა ფუტკრების მიხატვებლად. მაგი ზუზუნის აკომპანიმენტით იქმნებოდა „ფუტკრების ცხოვრება". კაბინეტი ზოგჯერ გამოფენად გადაიქცევა ხოლმე. ამ გამოფენაზე ეშზპონირებულია მწერლის ინტელექტუალური ინტერესები. ოუსმანსის ერთი გვერდიც რომ არ ჰქონოდა წაკითხული, დაკვირვებული კაცი მწერლის კაბინეტში შესვლისთანავე მიხვდებოდა, თუ რა მსოფლმხედველობისა და სტილის შემოქმედთან ჰქონდა საქმე. მთავარი გმირი მისი რომანისა „პირიქით", მწერლის მრავალწლიანი ფიქრისა და განსჯის ნაყოფი, არისტოკრატი დეზ ესენტი, ალისფერი აბრეშუმით გაწყობილ, ჰოლანდიელ ოსტატთა გრავიურებითა და ტილოებით, ძველებურ ძვირფას ყდებში ჩასმულ იშვიათი წიგნებით, სპილოს ძვლის, ბრინჯაოს ნივთებითა და შუასაუკუნეების ნაქარგებით სავსე კაბინეტში

დაიბადა, იუნგმა თავისი ქუფრი „ლამეები" ადამიანის თავის ქალაზე დამაგრებული სანთლის შუქზე დაწერა.

მაგიდა ან ბიური ზოგჯერ უფრო ინტიმურ საიდუმლოებებს გათქვამს ხოლმე: კაცი ერთი შეხედვით მიხვდება, აქ ნაყოფიერების ღმერთს დაუბერტყია კალთა თუ გვალვას გადაუხმია ყველაფერი. გადაშლილი ან ფურცლებგაფანტული წიგნი, ამომშრალი სამელნე, ქაღალდებში ჩარჭობილი კალმისტარი, ან ... ფანქარი თვალსაჩინოდ მოწმობს მწერლის უნაყოფობას. ასევე ადვილი შესამჩნევია ამ უდაბნოზე დროდადრო გადავლილი გრიგალის ნაკვალევი: აქა-იქ მიყრილ-მოყრილი ათასნაირი თემატიკის წიგნი, სხვადასხვანაირი ჟურნალები და გაზეთები, დაქექილი უბის წიგნაკები, ეს ქაოსი ნაყოფიერი მუშაობის კი არა, ამაო ძიების, ტანჯვის, წუხილისა და საკუთარი თავით უკმაყოფილების შედეგია. ასეთ წუთებში ყველაზე პედანტური ადამიანიც კი ვერ შეძლებს წესრიგის დაცვას.

არსებობს მწერლის ორი ტიპი - ერთს შეუძლია დაიცვას წესრიგი თავის სამუშაო ოთახში, მეორეს არა, საოცარი ის არის, რომ ორივე ტიპის მწერალს ერთნაირად უყვარს წესრიგი. ყველაზე გონებადაფანტული შემოქმედიც კი ცდილობს, დაიცვას წესრიგი ან ოცნებობს ამაზე. მაგრამ ის, ვინც არ იცის, როგორ მოაწყოს თავისი სამუშაო ადგილი, ვერაფრით ვერ დაამყარებს წესრიგს საწერ მაგიდაზე. ის თითქოს დანავსულია, თითქოს რალაც ბოროტი ძალები უშლიან ხელს, თორემ აი, სულ ერთი საათის წინ მიალაგა მაგიდა და ახლა იმდენი წიგნია დახვავებული ზედ, რომ დასაწერი ადგილიც აღარ დარჩენილა! ადრე იქნება თუ გვიან, მწერალი თავს დამარცხებულად სცნობს, შეურიგდება ამ ქაოსს და შეეცდება, ისე დაკვირვებით გაიკვლიოს მასში გზა, თითქოს ნაცნობი ტყიდან აპირებდეს გამოსვლას. ამ ტყეში მხოლოდ მან იცის უჩინარი ბილიკები და გზაწვრილები, სხვა ვერავინ გამოადგება მეგზურად და არც არავის მისცემს უფლებას ამ ბილიკების ნაცვლად ფართო გზა გაიყვანოს ტყის ნაპირისაკენ.

„ხელოვნება უწესრიგობაა", - ამბობდა ერთი პოეტის მსახური, მაგრამ პოეტებზე, დრამატურგებზე და ჩვეულებრივ რომანისტებზე ეს არ ითქმის, რადგან ისინი უფრო წარმოსახვით წერენ და მათ მაგიდებზე მეტწილად წესრიგი სუფევს, ზემოხსენებული ძირითადად ფილოსოფოსებსა და ისტორიული რომანების ავტორებს ეხებათ. მათ ქაღალდისა და კალმის გარდა მთელი არქივი უნდა ედოთ მაგიდაზე.

რა თქმა უნდა, ეს კანონი არ არის. ზოგჯერ იმ პოეტის საწერი მაგიდა, რომელმაც ეს - ეს არის წერტილი დაუსვა ლირიკული ლექსის უკანასკნელ სტრიქონს, ისე გამოიყურება, თითქოს ზედ ისტორიის ქარიშხალს გადაევლოს, ხოლო მაგიდა, რომელიც ხისხლისმღვრელი ომებისა და პოლიტიკური ინტრიგების ასპარეზი იყო, ისეთ იდეალურ წესრიგშია, თითქოს მწერალი მშვიდად ფიქრობდა რაღაც უბრალო საკითხზე. ჟიულ რომენს ტურის მახლობლად საკუთარი სახლკარი და ბაღული ჰქონდა. ერთხელ სტუმრად ვეწვიე და კაბინეტში რომ შევედი, დიდად გაოცებული დავრჩი - საწერი მაგიდა ისეთი მოკრიალებული იყო, თითქოს ამ წუთში შემოუტანიათ ოთახშიო. ძნელი გასაგებია, როგორ ეტეოდა ამ მაგიდაზე რომენის „კეთილი ნების ადამიანების" აურაცხელი პერსონაჟი. როგორ და, ავტორს ისინი, საკუთარ გონებაში ჰყავდა დაბინავებული. სენკევიჩიც ასევე იდუმალად ატარებდა თან თავისი გმირების ათასეულებს ევროპის გზებზე და მხოლოდ მაშინ გამოუშვებდა ღრის სინათლეზე, როცა სასტუმროს ნომრის მაგიდას მიუჯდებოდა სამუშაოდ.

უფრო გასაოცარია, რომ მწერლის მუშაობის მანერა ხშირად არ შეესაბამება

ამაკე მწერლის ინდივიდუალობას, აღბეჭდილს თავის მიერ შექმნილ ნაწარმოებებში. მშფოთვარე, დინამიური ტემპერამენტი მშვენივრად უთავსდება პედანტიზმს, ხოლო უზადო კლასიკოსს შეუძლია შეაცბუნოს ყველაზე მოუწესრიგებელი რომანტიკოსი სამუშაო კაბინეტში გამეფებული ქაოსითა და არეულობით. ვიქტორ ჰიუგო პაწია, მოყანყალებულ ბიუროზე მუშაობდა. ეს ბიურო მხოლოდ მადამ დე სევინისათვის გასაგზავნი ბარათების დასაწერად თუ გამოდგებოდა და ჭეშმარიტად ამოუხსნელი საიდუმლოა, როგორ არ გააბრტყელეს ეს სათამაშო „განწირულთა“ და „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ მრავალრიცხოვანმა და შმაგმა პერსონაჟებმა, ან თვითონ გოლიათ ავტორს როგორ არ შემოემსხვრა ხელში. გასაოცარი ახირება ჰქონდა დიუგერნუას - ლაქით დაფარულ ლაპლაპა მაგიდაზე წერდა. „ვერ გამიგია, როგორ შეიძლება წერა გუბურის ზედაპირზე“, - კითხულობდა კოლეტი.

შუა საუკუნეებისა და რენესანსის პერიოდის საფლავის ქვებზე, მოხატული ხელნაწერების თავფურცლებზე და ხეზე შესრულებულ გრავიურებზე ვხედავთ თავისი სიხადავით მომხიბვლელ ოთახებში მომუშავე მწერლებს. აი, მარცინ ბელსკი ნათელ, ორფანჯრიან ოთახში, ერთი ფანჯრის რაფას ქოთანში ჩარგული ყვავილები ამშვენებს. ოთახში გრძელი, ალბათ მუხის, მაგიდა და უზურგო, ოთხკუთხა სკამი დგას. მაგიდისა და სკამის ლამაზი ჩუქურთმები ზაკოპანური ავეჯის ჩუქურთმებს მიაგავს. „ქალთა სეიმის“ ავტორის სამუშაო სკამზე ბალიში დევს. ფანჯრებზე სიცივის დასაჭერად ფარდებია ჩამოფარებული. ფანჯარასა და ფანჯარას შორის თაროა სულ ათეული წიგნით. მაგიდაზე კალმებით სავსე ჭიქა დგას. ბელსკი მაგიდასთან ზის და წერს. სკამზე გიტარაა მიყუდებული.

გიტარა ამ სურათზე შემთხვევით არ არის მიხატული. მწერლების ოთახში ხშირად შეხვდებით მუსიკალურ ინსტრუმენტებს. შოპენჰაუერს როსინის ნაჩუქარი ფლეიტა ეკიდა კედელზე. ფილოსოფოსი ყოველდღე უკრავდა მასზე. რომენ როლანს როიალი ედგა კაბინეტში. ხშირად მწერალი საწერ მაგიდას ტოვებდა და როიალს მიუჯდებოდა ხოლმე. როიალი საწერი მაგიდის მახლობლად უდგას იეაშკევიჩსაც, რომელსაც ერთნაირად უყვარს მუსიკა და ლიტერატურა. მუსიკისათვის შეწირული წუთები ახალნებს დაქანცულ გონებას და ერთმანეთთან არიგებს ტვინში ან ქაღალდზე წაჩხუბებულ სიტყვებს. მელოდიამ მწერალს შეიძლება უკარნახოს ტონი, შეუქმნას სათანადო განწყობილება და კიდევ მეტი, შემოქმედებითი აღმაფრენობის სტიმულადაც კი იქცეს. (ამის მაგალითია მიცკევიჩის „იმპროვიზაციები“). „ტრაგედიაზე (იგულისხმება „უოლეხი“) მუშაობის დროს ხშირად ვდგები მაგიდიდან, ფორტეპიანოსთან მივდივარ და სწორედ იმ ადგილს ვუკრავ, რათა წარსულის გახსენებამ სევდით აღავსოს ჩემი ფიურცლები“, - წერდა სლოვაცკი დედამისს.

მაგრამ ბევრ მწერალს მუსიკა თავის დაუძინებელ მტრად მიაჩნია: საკმარისია, მეზობელი ოთახიდან მუსიკის ხმა მოესმას, რომ კალამი უვარდება ხელიდან. იგი სიტყვას სიტყვაზე ვერ აბამს და ზოგჯერ მთელი დღის განმავლობაში ველარ უბრუნდება სამუშაოს. სუსტი ნერვების მქონე მწერლები განსაკუთრებით დააზარალა რადიოს გამოგონებამ. ვინმე ბარბაროსი მსმენელი მთელი ხმით აალრიალებს თავის მიმღებს და მწერალს ჯოჯოხეთურ სატანჯველში ჩააგდებს: სამუშაოდ განწყობილი შემოქმედი საუკეთესო საათებს კარგავს.

ლიტერატურის ისტორია აღნიშნავს, აგრეთვე, კალმის მეგობრობას გამომსახველობითი ხელოვნების იარაღებთან. ფანქარი, ყალამი და ნახშირი

ხშირად ათავისუფლებს მწერალს იმ ტანჯვისაგან, რომელიც უნაყოფობის პერიოდს სდევს თან, პერიოდს, როცა სიტყვა უარს აბრუნებს მორჩილებაზე. ათასობით ხელნაწერია აჭრელებული ჩანახატებით. ისინი თითქოს ფანტაზიის ასაგები შენობის ხარაჩოები, ან, თუ გსურავთ, ამ შენობის გეგმებია. აქ ადგილდება ადამიანთა სილუეტები, ზოგჯერ ყვავილი ან ფოთოლი, რომელიც წამის შემდეგ მეტაფორად ჩაეხლართება დაუმთავრებელ ფრაზას. არა ერთხელ [illegible], რომ პოეტს თავისი ცხოვრების გარკვეულ მომენტში ყოფილი დაუწყია, ქალისათვის მიეცა უპირატესობა, თუ ფუნჯისათვის. ასეთი არჩევანის წინაშე იდგნენ გოეთე და იბსენი. ეს უკანასკნელი ცოლმა დაიყოლია, თავი დაეხებინა ხატვისათვის. „ედვარდს ორი დიდი დამსახურება აქვს, - წერდა იბსენის შვილი, - მან იცნინა ნორვეგიელები საშუალო მხატვრისაგან და მისცა მათ გენიალური დრამატურგი". ბევრი მწერალი მხოლოდ თავისი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იღებდა ყალამს ხელში და სულ არ ცდილობდა, მხატვრობით მოეხვეჭა სახელი. ამის მაგალითად შეიძლება, ჟერომსკი დავასახელოთ. ზოგს კი მხატვრობა თავის მეორე პროფესიად მიაჩნდა. ნორეიდი, მაგალითად, პოეტიც იყო, მხატვარიც და მოქანდაკეც. მოქანდაკე იყო მისი მეგობარი პოეტი ლენარტოვიჩიც, რომლის ერთ ერთი სკულპტურული ნამუშევარი კალიშის კოსტელშია დაცული.

მწერლის კაბინეტში თითქოს აუცილებლად უნდა იყოს წიგნები, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება-არიან მწერლები, რომლებიც წიგნებს ერიდებიან. მათი ნაწილი წიგნის დაუძინებელი მტერია, ნაწილი კი თავდადებული მიჯნური, მრავალი საშუალო მწერალი წერს ეგრეთწოდებულ გასართობ რომანებს ან პოპულარულ პიესებს, რომლებზეც ჩვეულებრივ ამბობენ, კარგი გაკეთებულიაო, მაგრამ ეს რომანები და პიესები, როგორც წესი, მოკლებულია ყოველგვარ ინტელექტუალობას, მათი ავტორები ტრაბახობენ, ჩვენი ერთადერთი წიგნი თავად ცხოვრებაა, თუმცა მათი უმრავლესობა ცხოვრებას კაფეში, სამეკიტნოში ან სამორინოში ატარებს. ამ მწერლებს სჯერა, რომ წიგნები ფრთებს უკეცავს მათ ფანტაზიას და უბიძგებს სტანდარტებისა და შტამპებისაკენ. მოდი ნუ შევეკამათებით - რალაცით ხომ უნდა ახსნან, რომ წიგნის ხელში აღებისთანავე საშინელი მოწყენილობა ეუფლებათ.

წიგნების დაგროვებას საშუშაო ოთახში ის მწერლებიც უფრთხიან, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ კითხვა, მართლაც, რა ადვილია, წამიერ ცდუნებას აჰყვეს, კალამი გვერდზე გადასდოს და ყდაში ჩასმულ ნარკოტიკს მიეძალოს. არც გაეშტყუნება, რადგან მწერალს ყოველთვის იზიდავდა მახვილგონიერთა და გენიოსთა საზოგადოება, მის ახლომახლო კი ასეთი საზოგადოება არ არსებობს, ანატოლ ფრანსის სიზარმაცე განკურნებასა და თავის გამართლებას წიგნების ჩანჩქერში განბანვით ლამობდა (მწერლის კაბინეტის ოთხივე კედელი იატაკიდან ჭერამდე დაფარული იყო „ინ-ოქტავო", „ინ-კვარტო" და „ინ-ფოლიო" ზომის წიგნებით). ვარშავაში დღესაც ყვებიან, რომ ცოლი რეიმონტს ხელიდან გლეჯდა წიგნებს, წერას გაცდენინო. ჩემი აზრით, ეს ქალი ძალიან აშავებდა. ალბათ არ იცოდა, რა ძლიერ სტიმულატორად შეიძლება იქცეს წიგნი, როცა საკუთარი აზრი მოგისუსტდება და იძულებული ხარ, დამხმარე ეძებო. საიდუმლო არ არის, რომ მწერალი მიუღლოდნელი შეხვედრისას შეიცნობს ხოლმე მშვენიერებას. ხხვისი ნაწერის წაკითხვა მას ზოგჯერ ისეთ რამეს დაანახვებს, რომელსაც თავისით ვერასოდეს შენიშნავდა.

ყველაზე დიდმა ოსტატმაც შეიძლება რაიმე ისწავლოს სხვისგან. ისინი არა

მარტო თავიანთ ტოლებს დაესესხებიან ხოლმე აზრებსა და გამომსახველობით საშუალებებს, არამედ გაცილებით დაბალი დონის კოლეგებსაც. რიგა საძიებელი მელოდიის აკორდებს ეძებენ, სულიერად მონათესავე ავტორის წიგნის კითხვას იწყებენ. თუმცა ამას კითხვას ვერც კი უწოდებ - მწერალი ისე შეეხიბრება ამ წიგნს, რომ იმ გვერდის შინაარსსაც ვერ მოგვება, რომლის ფრაზებს სულ ერთი საათის წინ ალტაცებაში მოჰყავდა. ზოგჯერ კი მწერალი მისთვის ზულიერად ნავსებით უცხო ნაწარმოებს მიმართავს, ნაწარმოებს, რომლის ავტორის სტილი, კომპოზიცია და მსოფლმხედველობა ზიზღსა ჰგვრის. ამასაც თავისებური სარგებლობა მოაქვს მისთვის: ამგვრი დისონანსი საბრძოლველად აღაგზნებს, კითხვა ორთაბრძოლად იქცევა და ამ ორთაბრძოლაში უფრო აშკარად გაიაზრებს საკუთარ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს, შემდეგ კი ახალი შემართებით მიუჯდება საწერ მაგიდას. სომერსეტ მოემი ჯერ „კანდიდს“ გადაიკითხავდა და მერე დაიწყებდა ხოლმე ახალი ნაწარმოების წერას. „მისი კითხვის დროს თითქოს ბრწყინვალების, მახვილგონიერებისა და სინატიფის ჩანჩქერი დამდიოდა თავზე“, - წერს მოემი თავის მოგონებებში.

ის, ვინც ოვითონ თხზავს წიგნებს, ბოლოს მათი ტრფიალი ხდება. იშვიათად მოიძებნება მწერალი, რომელსაც საკუთარი ბიბლიოთეკა არ დარჩენოდეს. ამ ბიბლიოთეკას, ჩვეულებრივ, საამწუხარო ხვედრი ერგება ხოლმე: თუ მწერლის ანდერძით უფრო დიდ კოლექციას არ შეუერთდა, გულგრილი და ხარბი მემკვიდრეების ლუკმა ხდება. ძვირფას და ნასახსოვრებ წიგნებს ან სხვენში დაყრიან, ან საჯარო ვაჭრობით გაჰყიდიან, ან ბუკინისტების დუქანში უკრავენ თავს. წიგნები იღუპება, რადგან ახალმა პატრონებმა მათი ფასი არ იციან. ლიტერატურის მკვლევარები დიდი წვალებით, თითო-თითოდ იგდებენ ხელში ამ წიგნებს და გულისფანცქალით ეძებენ ნაზგასმულ ადგილებს და აშიაზე მიწერილ შენიშვნებს-აზრების იმ ნაწყვეტებს, რომლებიც ზოგჯერ სულ ახლებურად აშუქებენ მწერლის შემოქმედებას. ცნობილია პეტრარკის ბიბლიოთეკის ბედი. იგი პოეტის გარდაცვალების წელს /1374/ ყველაზე დიდი იყო ევროპაში. შემდგომ წლებში, ომებისა და ლაშქრობების დროს, ბიბლიოთეკა იტალიისა და საფრანგეთის ქალაქებში დადიოდა ჯარებთან ერთად. იგი ხან ერთი მეფის ნადავლი იყო, ხან მეორესი. პიერ დე ნოლიაკმა შეადგინა მისი კატალოგი და ხათითაოდ გადაფურცლა ამ დიდი ჰუმანისტის ყველა წიგნი (იგი ამიებზე მინაწერებს იკვლევდა). მსგავსი სამუშაო ჩაატარა დაულლელმა და იღბლიანმა ბირკენმაიერმა და დაადგინა კოპერნიკის წიგნების შეძენისა და წაკითხვის თარიღები. ბონერომ, სენტ-ბევზე დაწერილი მონოგრაფიის ავტორმა, უფრო მეტი შეძლო: გადაქექა პარიზის ბიბლიოთეკის არქივები, შეადგინა იმ წიგნების სია, რომელთაც სენტ-ბევი ბიბლიოთეკებში კითხულობდა და აღადგინა მწერლის სამუშაო კალენდარი თითქმის ერთი დღის სიზუსტით.

მაგრამ მწერლის ნამდვილი სახელოსნო იქ არის, სადაც მისი სამუშაო იარაღებია. მწერლის კაბინეტს მხოლოდ დღეს შეიძლება „სახელოსნო“ ვუწოდოთ. წინა თაობების წარმომადგენლები ალბათ აღშფოთდებოდნენ ამ სახელწოდების გაგონებაზე, რადგან ეს სიტყვა ხელოსნების სამუშაო ადგილს აღნიშნავდა, და შეგ თავით კი არა, ხელით მუშაობდნენ. ამ ორი კატეგორიის მუშაკთა შორის კი მტრობისა და ზიზღის კედელი იყო აღმართული. ისტორიის ყველა პერიოდში ენა წარმოადგენს საზოგადოების გრძნობებისა და ცრურწმენების უტყუარ მემატიანეს. ამჟამად ცნება „სახელოსნომ“ კეთილშობილური ელფერი მიიღო. საოცარი

მხოლოდ ის არის, რომ ეს ისეთ ეპოქაში მოხდა, რიცა ხულ უფრო და უფრო ცოტა საგანი მზადდება ხელით. მწერლის შრომა, საყოველთაო მექანიზაციის ფონზე, ეკუთვნის იმ მცირერიცხოვან კეთილშობილურ ხელობათა კატეგორიას, რომელსაც აუცილებლად სჭირდება საკუთარი სახელოსნო.

წარმოების იარაღები, რომლებითაც ამ სახელოსნოში მუშაობენ, დიდ ძალას ემსახურება, მაგრამ ეს იარაღები იმითაც იმსახურებს პატივისცემის სანგრძლივი და პოეტური ისტორია აქვთ. ეს ისტორია მეტაფორების დახუნძლულია. ერთ-ერთი უმშვენიერესთაგანი მათ შორის „სტილია", სიტყვა-ღეროზი, სიტყვა-ძოწოდება, სიტყვის ოსტატთა ცვლის სიმბოლო. იგი უბრალო წარმოშობისაა. ეს სიტყვა ბერძნულია და თავდაპირველად ჯოხს, ხიდის და ბოძს ეწოდება. ოპატოვის რაიონში ცვლის ტარს დღესაც სტილს, ხოლო პოლონეთის ზოგიერთ მხარეში სტილისკს უწოდებენ. რომელია ჯარი სტილების, ანუ წვერწამახულ ხარების შემოავლებდა ხოლმე თავის ბანაკს, შემდგომში ეს სიტყვა წვერწამახულ ჯოხს, ძვალს ან მეტალს ეწოდა, რომლითაც რომაელები წერდნენ გახანთლულ დაფაზე. ჩემს კოლექციაში, რომელიც ფაშისტებმა გაანადგურეს, კაპრზე ნაპოვნი ძვლის სტილი მქონდა. იგი ნეკის სიგრძე, წვრილი და ბრიალა იყო. ერთი წვერი წამახული ჰქონდა, მეორე- იტალიური ფიჭვის გირჩივით ბლაგვი. ხშირად მიმკითხავია, ნეტა ვინ იყო ამის პატრონი-მეთქი? კინმე სწავლული თუ სეფექალი? (ტიბერიუსს სწავლულები ჰყავდა შემოკრებილი, რომლებიც ძოხუცს თავიანთი უსარგებლო ერუდიციით ართობდნენ). მე უფრო სეფექალი ძინდოდა ყოფილიყო. ითქოს ვხედავდი კიდეც მას, ვხედავდი, როგორ დაუდია წინ გახანთლული დაფა, ჩემი სტილი კი ტუჩებზე მიუფარებია და ჰერკულანუმის ფრესკაზე გამოსახულ საფოსავით ჩაფიქრებულა. ზუსტად ასეთივე სტილი შეიძლებოდა ჰქონოდა საფოს, რადგან იგი პოეტების საყვარელი საწარმოო იარაღი გახლდათ იმ დროს. ამ იარაღთან არის დაკავშირებული ჰორაციუსის მოხდენილი ორაზროვანი გამოთქმა: - ხშირ ხშირად გადაატრიალე სტილი.

სტილი და ლერწმის წვერწამახული ღერო, რომელსაც მელანში ავრობდნენ, ემსახურებოდა ლიტერატურას მის ყველაზე ნაყოფიერ ჰერიოდში. შემდეგ ბატის ფრთის ერა დადგა და კაპიტოლიუმის ფრინველი დიდების ახალ საფეხურზე ავიდა. ამ საფეხურზე მასთან ერთად აღმოჩნდნენ წერო, გედი, იხვი, ყვავი და შეკარდენი. ზოგი ფრთის ჯიმსუბუქით შეკვილა ბატს დიდებაში, ზოგი კი ფრთის ფერით. ვინაც ხელში ცისარტყელის დაჭერა უნდოდა, ფარშევანგის ფრთით წერდა. სტილი მხოლოდ ძველ მეტაფორებს შემორჩა. სტანისლავ ჰერაკლიუმ ლუბომირსკის შაბლონად მიაჩნდა სტილის მეტაფორული მნიშვნელობით ხმარება. იგი წერდა: „დღეს უფრო სწორი იქნებოდა სტილისათვის კალამი გვეწოდებინა და გვეთქვა: ეს კარგი კალმით არის დაწერილი, ან ეს კარგი კალმის წიგნია, რადგან ახლა ხალხი სტილის მაგივრად კალმით წერს". ლუბომირსკის სურვილი არ შეუსრულდა და კაცობრიობა კვლავ ძველი მეტაფორის ერთგული დარჩა, ოღონდ ახალიც, „მახვილი კალამი", მიუმატა. როცა მახვილ კალამზე ლაპარაკობდნენ, მაშინვე დანით წვერწათლილი ჯოხი წარმოსადგენად თვალწინ. ახე თლიდა კალამს ბებიაჩემი და მერე თავის საწერ ბიუროზე ადგომ ლამპის საქვეშედან აყრიდა ქვიშას მელანშეუშრობელ ქაღალდს. ნორვიდი წერდა: „ჰოი, კალამო! შენ ხარ ჩემთვის ერთა ანგელოზის..." ეს მაღალფარდოვანი მიმართვა ბატის ფრთის იმ ჩვეულებრივ კალამს ეკუთვნოდა, რომელიც საკვდილამდე არ მოუშორებია ხელიდან არც თეოფილ ნორვიდს და არც ვიქტორ ჰიუგოს („ოგი ქარიგეთი სწრაფია და შეხიეთ

ძლიერი"). ეს კალამი ანატოლ ფრანსმა მოიტანა ჩვენს ეპოქამდე: მის საწერ მაგიდაზე, ბუშულერში, რომელზეც 1924 წლიდან არაფერი გადაუადგილებიათ, ბატის ფრთის კალმებით სავსე ჭიქა დგას. ფრანსს არასოდეს უხმარია სხვანაირი კალამი. დღეს, ფოლადის კალამიც კი, ოდესღაც პროგრესის სიმბოლოდ რომ ითვლებოდა,არ მიგვაჩნია საუკეთესო საწარმოო იარაღად და [illegible] ჩვენთაგანი ცდილობს, ოქროს კალამი შეიძინოს, წინათ კი ოქროს კალამ[illegible] ინტერესერულ საძყაროში მწერლის უმაღლესი ჯილდო იყო. მწერლები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თავიანთი წარმოების იარაღების ზომას, წონას და ფორმას. მათგან მოითხოვდნენ სიმტკიცეს, მორჩილებასა და მოხერხებულობას. ცუდ კალამს შეეძლო გაეფუჭებინა მწერლის მთელი სამუშაო დღე, დაეკარგვინებინა მუშაობის ხალისი, დაერღვია აზრის თანაბარი მდინარება. განგებ მხოლოდ მარსელ შვობი ეძებდა გაფუჭებულ კალმებს და, როცა წერა უძნელდებოდა, შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა. პეტერ ალტენბერგი კი ისეთ ხოტბას ასხამდა ფირმა „კუნის" მიერ გამოშვებულ ლურჯი ფოლადის კალმებს № 221-ს, შეიძლებოდა გეფიქრა, ფირმა რეკლამისათვის გასამრჯელოს აძლევსო.

ბეჭდვის გამოგონებამდე თითქმის ყველა ავტორი ცდილობდა, ლამაზი ხელით დაეწერა თავისი ნაწარმოები. დღეს კი იშვიათ გამონაკლისია რიგს უნდა მივაკუთვნოთ არნოლდ ბენეტის, ანდრე ჟუარესისა და პლატონის მთარგმნელის ვლადისლავ ვიტკევიჩის დიდი მონდომებით შესრულებული უზადო სილამაზის, ზოგჯერ სხვადასხვა ფერის ასოებით დაწერილი ხელნაწერები. გვხვდება ჭეშმარიტად გასაოცარი ნაწერებიც — სემიუელ პეპსის შრიფტი, ან თუნდაც ლეონარდო და ვინჩის წერილი, რომლის წაკითხვა მხოლოდ სარკით შეიძლება, რადგან ასოები შებრუნებულია.ზოგს თვითონ წერის პროცესი, თითოეული ასოს მოხაზვა განაცდევინებს სიამოვნებას. ამას მოწმობს მწერალთა აღსარებანი: ბევრ მათგანს უამბნია, რომ რამდენჯერმე გადაუწერიათ თავიანთი ნაწარმოები უდიდესი მონდომებით. ბევრს ძველებური საწერი მოწყობილობა უყვარს. „კალმის მელანში ჩაწების პროცესი დიდებული რამ არის, - წერდა დეკავი, - მწერალი ვერ ახერხებს აზრის სწრაფად გადატანას ქაღალდზე და ამის წყალობით არაერთი სისულელე რჩება გამოუმზეურებული. „ბერნანდ შოუ სრულიად საპირისპირო თვალსაზრისს ადგა და ხშირად იყენებდა სტენოგრაფიას, რათა აზრს დასწეოდა.

საწერი იარაღების შეცვლა შემოქმედებითი პროცესის საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული ფსიქოლოგიის შეცვლას იწვევდა. დიდი მტკიცება არ უნდა, რომ ამ პროცესისადმი ერთნაირი ფსიქოლოგიური მიდგომა არ ექნებოდა იმას, ვინც საჭრეთელით კვეთდა ასოებს და ვინც წვრილი ფუნჯით ხატავდა იეროგლიფებს. აღარაფერს ვამბობ ძველ ბაბილონელებზე, რომლებიც თიხის ფიროფიტებზე აჭდევდნენ თავიანთ სოლებს.

მუზეუმებში დაცულია კალმები და სამელნეები, რომლებიც გამოჩენილი ადამიანების კუთვნილება იყო. მათ ჩანგრძლივი ხმარების გულისამაჩუყებელი კვალი აჩნიათ. ეს კვალი ზოგჯერ თვალნათლივ გვიჩვენებს ამ კალმებისა და სამელნეების მფლობელთა მიდრეკილებებს, ცრურწმენებსა და სისუსტეებს. ფანჭრების კი ვერსად ნახავთ, თუმცა ზოგი მწერალი მხოლოდ ფანჭრით მუშაობდა. ასევე, არც ერთ მუზეუმში არა დგას საბეჭდი მანქანა, ალბათ იმიტომ, რომ მათ სულ ახლახან შეაღწიეს მწერლის სახელოსნოში და ჯერჯერობით ამ აპარატზე არც ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები არ შექმნილა. თუმცა საბეჭდ მანქანას

მეტწილად ხელნაწერიდან ასლის გადასალებად ხმარობენ, მაგრამ ბოლო ხანებში იმატა იმ მწერალთა რიცხვმა, რომლებიც პირდაპირ მანქანაზე ქმნიან ორიგინალს. პრისტლი უკვე ოცდაათი წელია, რაც მანქანაზე ოხზავს და დიდადაც ხარებს მას. „საბეჭდი მანქანა ადამიანს გარკვეულ დისტანციაზე აჩერებს და საშუალებას აძლევს კრიტიკული თვალით შეხედოს დაბეჭდილს", - წერს პრისტლი. დავუშვათ, რომ ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ საბეჭდი მანქანა ყველაზე ექვთესად - მაინც გრაფომანებსა და მათ მონათესავე მაღალი ნაყოფიერების მქონე პოეტებს ემსახურება, იმათ, ვისთვისაც უცხოა ეჭვისა და ყოყმანის გრძნობა. ერთ-ერთმა ამგვარმა არსებამ, მწერალმა ქალმა ტაილორ კოლდუელმა, დიდ წარმატებას მიაღწია წიგნების „ცხობაში". იგი გულახდილად ამბობს: „მე პროფესიონალის ხიჩქარით ვბეჭდავ მანქანაზე, ისე ვბეჭდავ, რომ არც კი ვჩერდები ჩასაფიქრებლად. საკმარისი თავისუფალი დრო რომ მქონდეს, სულ ორ თვეში დავწერდი სქელტანიან რომანს". უფრო მეტი სიცხადისათვის დავსძენ, რომ ამ ბანოვანმა დაწერა რომანი რიშელიეს ეპოქის საფრანგეთის ცხოვრებიდან ისე, რომ არც საფრანგეთს იცნობდა და არც ევრიპას. „არც არის საჭირო, - ირწმუნებოდა იგი, - ბუფალოში ხომ შესანიშნავი ბიბლიოთეკაა".

ალბათ ვერავინ იფიქრებს, რომ მწერალს მუშაობისას მაკრატელიც სჭირდება, მაგრამ იგი არ დაიწყებია კალიმახის საფლავის ქვის ამომკვეთელს (კალიმახი დასაფლავებულია კრაკოვის წმინდა სამების ეკლესიაში). მაკრატელს დღესაც შენიშნავთ მრავალი მწერლის სამუშაო მაგიდაზე. იგი უფრო ხშირად მუშაობის ბოლო სტადიაში ჩნდება - როცა მწერალი დამთავრებულ ხელნაწერს ან კორექტურას კითხულობს. მაკრატლით ჯერიან გვერდებს და ტექსტის მთელი მონაკვეთები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლებს ხოლმე. ხანდახან ისეც ხდება, რომ თავის დასასრული დასაწყისში გადმოდის. ამგვარად, მაკრატლისა და წებოს საშუალებით იქმნება თავისი სიმსუბუქითა და ბუნებრიობით მომაჯადოებელი საინტერესო სიუჟეტები.

ძალზე მნიშვნელოვანია ქაღალდის საკითხი. ქაღალდი ლიტერატურაში ძალზე გვიან, მხოლოდ შუა საუკუნეების ბოლოს შემოვიდა და მთელი რევოლუცია მოახდინა. ჯერ ომი გადაიხადა წინამორბედთან პერგამენტთან და თავისი ხიიაფით დაამარცხა. პერგამენტს ცხოველის ტყავისაგან ამზადებდნენ და სიმცირის გამო ძვირი ჯდებოდა. ამიტომ იძულებულნი ხდებოდნენ, ძველი ნაწერი ამოეფხიკათ და პერგამენტზე ახალი ტექსტი დაეწერათ. ასეთ პერგამენტებს პალიმფსესტები ეწოდებოდა. ხვეული აზრების განადგურების ბარბაროსული წესი კულტურის დაქვეითების ერთ-ერთი ილუსტრაციაა, რაც თან მოჰყვა ანტიკური სამყაროს დაცემას: პერგამენტზე თავდაპირველად დაწერილი აზრი ხომ ხშირად შეუდარებლად უკეთესი იყო, ვიდრე ნადავლ ადგილზე დაწერილი. პერგამენტს დიდი დავიდარაბა უნდოდა - გასწორება, გასუფთავება, ცარცით გაპრიალება, მაგრამ, როცა ყველაფერი მოთავდებოდა, პერგამენტზე წერა ერთი სიამოვნება გახლდათ. არც კი შეიძლებოდა მისი შედარება ქაღალდთან, რომელიც იმდროს ძალიან ხორკლიანი იყო. ქაღალდი პერგამენტთან შედარებით იაფი ღირდა, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი ფასი ედო. კოხანოვსკი ფურცელში 25 გროშს აძლევდა ოქროთი. შეიცვალა მწერლის მუშაობის პირობებიც. პერგამენტის ეპოქაში მწერლის წინ აკინძული წიგნი იდო. მწერალს მსუბუქი, უხმო კალმით გამოჰყავდა ლამაზი ასოები პრიალა პერგამენტზე, თანაც ადგილის მომჭირნეობისათვის ხიტყვებს და გამოთქმებს აქარაგმებდა. შუა საუკუნეებში კი ხორკლიანი ქაღალდის

ზედაპირზე ბატის ფრთის კალამი აწრიპინდა.

უკვე დიდი ხანია, რაც ქალალდის წარმოებას იხევე შეუძლია დააკმაყოფილოს მწერლების მოთხოვნილება და გემოვნება, როგორც წარსულში პაპირუსის დამამზადებელი ხახელოსნოები აკმაყოფილებდნენ. მწერალს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ფორმატის, სიმკვრივის, ფერისა და სისქის ქალალდი. მწერალი თავისი ნებით მხოლოდ მაშინ ცვლის ქალალდის ფორმატს, [illegible] როცა თვითონაც იცვლება. დაკვირვებული კაცი ხელნაწერზე თვალის ერთი გადაგლებით გამოიცნობს ავტორის ფსიქიკურ თავისებურებებს, შემოქმედებით მეთოდს და ზოგჯერ სტილსაც. გახეთში დიდხანს ნამუშევარი მწერალი წვრილ სვეტებად წერს. ფართო ტილოების შემქმნელი პატარა ფორმატის ფურცლებზე არ დაიწყებს წერას, ისინი უფრო დახვეწილი მეტაფორების მოტრფიალე პოეტების შეეფერებათ. ერთი მწერალი გაოცებით აღნიშნავს თავის დღიურში, რომ უჯრედი ქალალდი ფატალურად მოქმედებს მასზე „სულიერ წონასწორობას მირღვევს და აზრებს მიფანტავსო". გვხვდება უცნაური მიდრეკილებებიც: მწერალს დაუძლეველი სურვილი ეზნდება, ელეგია ფაქტურის უკანა გვერდზე დაწეროს, ან რომანის შესაბამისად შემოსავალ-გასავლის დეფარი გამოიყენოს.

მნიშვნელობა აქვს ქალალდის ფერსაც. ზოგჯერ ხელნაწერების ქალალდის ფერის ცვლილების მიხედვით შესაძლებელი ხდება მწერლის შემოქმედებითი მერყეობების დადგენა. ოეთრი ქალალდი ერთობ მიმზიდველი რამ არის. ოეთრი ქალალდი იმ გზის დასაწყისია, რომელსაც უცნობ სამყაროში შევყავართ და ამ გზაზე ისე გვიპირს პირველი ნაბიჯის გადადგმა, თითქოს ჩვენ წინაშე სპეტაკი თოვლით დაფარული ველი იყოს.

რუსი თავის „აღსარებაში" გვიამბობს, როგორ დაწერა „ახალი ელიფსის" პირველი ორი ნაწილი: „ეს ორი ნაწილი შევქმენი და ხუფთად გადავწერე ზამთარში. მუშაობა ენითგამოუთქმელ სიამოვნებას მგვრიდა. ეწერდი უმშვენიერეს მოოქროვილ ქალალდზე, შელანს ლაჟვარდისა და ვერცხლის ფხვნილებით ვაშრობდი, რეფელებს კი ცისფერი ბაფთებით ვკიბავდი. „მოხუცი გოეთე კი სამ დღეს მოუნდა „ძარიენბადის ელეგიის" გადაწერას. დღეს ეს შუასაუკუნეობრივი კალიგრაფიით გადაწერილი პატარა წიგნი ვაიმარში, გოეთესა და შილერის არქივში ინახება დამნახველთა აღტაცებას იწვევს. ახლა ყდაზე ცისფერი ტილო აქვს კადაგრული, მაგრამ თავდაპირველად გოეთემ, რუსის მზგავსათ საკუთარი ხელით აკინძა იგი აბრეშუმის ზონარებით და წითელი ტარხიკონის ყდაში ჩასვა ლამაზად აკინძულს და მოოქროვილი ამბებით დამშვენებულ ხელნაწერებს ზოგიერთი თანამედროვე მწერლის კაბინეტშიც ნახავთ. ისინი თითქოს წინასწარ მოუმზადებია მწერალს თავისი ავტოგრაფების კოლექციის გასალამაზებლად.

მაგრამ ყველა მწერალი ასეთი ბუკეთი და წინდახედული არ გახლავთ. ანატოლ ფრანსი ყველაფერზე წერდა, რადგან წინასწარ აღარ ეზიზღებოდა იმარაგება ქალალდს. ეგი თოფლ ნაწლს გადაატრიალებდა ხოლმე ქალალდის ძებნაში, მოახლეს ეხვეწებოდა, სადმე ძიძოეთ, წერდა მოხარვეზ და საეთხეტო ბარათებზე და ქვითრებზე. ერთხელ ფირმამ, რომლისაგანაც ანატოლ ფრანსმა ავეჯი იყიდა, შეახსენა, ანგარიშის გასწორების დრო დადგა. ფრანსი ამაოდ შეეცადა დაერწმუნებინა ფირმა თქვენი არაფერი მმართებსო და მხოლოდ მადამ დე კაიავემ, რომელმაც კარგად იცოდა თავისი მეგობრის ჩვეულებები, გაარკვია საქმე „ეროვნულ ბიბლიოთეკაში" წავიდა, მწერლის ხელნაწერები გადასინჯა და ქვითარი იპოვა. ქვითრის უკანა გვერდზე რომანის ნაწყვეტი იყო დაწერილი!

ფრანსის ესოდენ გულმოუსვლელი ხელნაწერები ახლა ხაუერდის, ტყავისა და სპილოს ძვლის ყდებშია ჩასმული და ისეთი შთამბეჭდავი და მონუმენტურია, რომ საეკლესიო წიგნები გეგონებათ. მალარმე ქაღალდს პოეტის ერთადერთ საწერ მასალად არ თვლიდა და ლექსებს მარაოებზე, ტკბილეულის კოლოფებზე, ჩაიდნებზე, სარკეებზე, ქილებზე და ცხვირსახოცებზე წერდა. იგი თითქოს ცდილობდა, და ამას მისი თაყვანისმცემლებიც ამბობდნენ, [illegible] ლექსები ცხოვრებაში ჩაექსოვა.

ზოგჯერ მწერალს არ უხდება ზრუნვა, რომ მისი საწერი მაგიდა მოხერხებული და ლამაზი იყოს. ასე მაშინ ხდება, როცა მაგიდა საერთოდ არა აქვს. ასეთ დღეში იყვნენ, მაგალითად, ვილიე დე ლილ-ადანი, რომელსაც ავეჯი გაუყიდეს, და თადეუშ რიტნერი. როდესაც იგი ერთი ბინიდან მეორეში გადავიდა, მაგიდად წიგნების შეკვრა გამოიყენა და ფანქრით დაწერა დრამის ეპიზოდი. პატიმრობაში, ციხეში, გადასახლებაში ისიც კი, ვინც მთელი სიცოცხლე ზარმაცობდა, პირველსავე ხელში მოხვედრილ მასალას ეცემა ხოლმე და წერას იწყებს. ოსკარ უაილდმაც თავისი „De pro-Fundis“ ციხის უხეშ ქაღალდს ანდო. ციმბირში გადასახლებულმა სერიოშეესკიმ თავისი პირველი წიგნი გაზეთის ნაგლეჯებზე დაწერა საკუთარი ხელით დამზადებული მელნითა და კალმით. ბენვენუტო ჩელინიმ თავისი ერთადერთი პოემა ციხის საკნის კარიდან აჩეჩილი წყერწამახული ნაფოტით დაწერა., მელნად კი დანაყილი აგური იხმარა.

არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი იმ მწერლებს, რომლებიც მუდმივად ან დროდადრო სხვის დახმარებას მიმართავდნენ წერის დროს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი რიცხვი დიდი არ არის. კარნახი უკვე ძველ სამყაროში იყო ცნობილი. ციცერონი მრავალგზის ახსენებს მას თავის წერილებში. ხშირად კარნახობდა კეისარიც. ზოგს ფიზიკური ნაკლი ან ავადმყოფობა აიძულებდა კარნახს-მილტონს, მაგალითად, სიბრმავე, კონრადს-რევმატიზმის შეტევები. ჩემი თვალით მინახავს, როგორ დადიოდა ოთახში უელსი და კარნახობდა რომანის ერთერთ თავს მდივან ქალს, რომლის მოქნილ თითებს სწრაფად გადაჰქონდა ქაღალდზე აღწერილობები, დიალოგები და ფსიქოლოგიური კომენტარები. ჩემი აზრით, ეს მეთოდი საკმაოდ საწვალებელი და ნაკლებად საიმედოა და იან სნიადეცკი მართალი იყო, როცა კოლონტაიზე ამბობდა: - „კოლონტაის სტილი ალაგ-ალაგ ცოტა არ იყოს, გაჭიანურებულია, რადგან თვითონ კი არა წერს, არამედ კარნახობს“. ასეთი მუშაობისას აზრი უფრო თავისუფლად მოედინება და წარმოსახვაც უფრო თავისუფლად შლის ფრთებს იმ დროს, როცა საკუთარი კალამი იმავე აზრს აღვირით უჭერს თავს და მხოლოდ მაშინ აძლევს თავისუფლებას, ყველაფერს რომ გაზომავს და აწონ-დაწონის.

ყველაზე უსიამოვნო და აუტანელი კი ის არის, რომ მწერლის გვერდით სხვა პიროვნებაა. მუშაობის დროს მთავარია სიჩუმე და ყურადღების კონცენტრაცია, ამ მომენტში ყველაფერი კეთილი ჯადოქრის-მარტოობის მოწყალებაზეა დამოკიდებული. მარტოობა სრულყოფის დერიტაა. იგი ფხიზლობდა „ღვთაებრივი კომედიის“ ტერცინების დაბადების დროს და მისი წყალობით ერთ ღამეში შეიქმნა „იმპროვიზაცია“. მას უნდა უმადლოდეს ჰორაციუსი თავისი სტრიქონების უზადო სინატიფეს. ხოლო გოეთე „ფაუსტის“ მეორე ნაწილის ხილვებს. იგი უხვეწდა სმენას ფლობერს ახალი ფრანგული პროზის რიტმების შესაქმნელად და ავსებდა დიკენსის ოთახს აურაცხელი უკვდავი პერსონაჟით. ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებაც“ ხომ სულის მონოლოგია, მარტოობის დროს წრმოთქმული!

მარტოობა ასხამს ფროების მწერლის აზრს, აძლევს მას სიმწიფეს და სიტყვის ყვავილობის ჟამიც მარტოობისას დგება. ზოგ საკუჭნაოში მიყრილ-მოყრილ ძონძებსა და ხარახურას შორის შეიძლება შემთხვევით ძვირფასი ნივთი აღმოჩნდეს, მაგრამ ნებისმიერი მწერლის შემოქმედების საკუჭნაოში კი აუცილებლად იპოვით მომცრო, მაგრამ ძვირფასეულობით სავსე ზარდახშას. ეს ზარდახშა მარტოობის ნაჩუქარია. მარტოობის გარეშე [illegible] ჩაიფერფლება, ტალანტი კი დილის ნამივით აორთქლდება. მოუსმინეთ, რა გულითად მადლობას უძღვნის მიცკევიჩი მარტოობას:

ცხოვრებისეულ ხვატით გვემულს, ო, მარტოობავ,
შენი უძირო, ციცი წყარო მომენატრება
და ვილტები შენსკენ-ნეტარებით, აღფრთოვანებით
შენს გამჭვირვალე სიწმინდეში რომ ჩავიძირო!

ძნელია იპოვო ჭეშმარიტად სრულყოფილი ნაწარმოები, რომელიც თავიდან ბოლომდე ცხოვრების ორომტრიალსა და ალიაქოთში იყოს შექმნილი. უღიადეს საღონურ გმირს ღონ ჟუანს, ეენერას მონასა და მსახურს, რაინდსა და დაშნების წკრიალის თაყვანისმცემელს, შემოქმედების ჭია რომ შესჩენოდა, იმ წამსვე დაანებებდა თავს ყველაფერს და ოთხ კედელს შორის გამოიკეტებოდა. „პოეტმა, რომელსაც სურს, ნამდვილად ფასეული რამ შექმნას, ხელი უნდა აიღოს მეგობრებთან დროსტარებაზე, უარი თქვას ქალაქური ცხოვრების სიამოვნებებზე და მოვალეობებზეც კი და, როგორც თვითონ პოეტები ამბობენ, წავიდნენ ტყეებსა და ჭალებში, ანუ განმარტოვდნენ“ - ამბობდა ცოტა არ იყოს დამცინავად, აპერი ტაციტუსის იმ დიალოგში, რომელიც ორატორებს შეეხებოდა.

ყოველი მწერალი თავისი მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად მარტოედება. ბალზაკი ღამღამობით მუშაობდა, უოლტერ სკოტი განთიადისას დგებოდა და საუზმემდე, სანამ ოჯახის წევრები ადგებოდნენ, თაეაულებლად მუშაობდა. ვისაც თავის იმედი არა ჰქონდა, რაიმე უცნაურ ხერხს მიმართავდა. ვიქტორ ჰიუგომ, მაგალითად, ნახევარი თავი გადაიხოტრა და ნახევარი წვერი მოიპარსა, რომ ორი კვირა ვერ გამოსულიყო სახლიდან. შემოქმედებითი ექსტაზი მწერალს ავიწყებს ყოველგვარ სურვილსა და ჩვეულებას. თავგადაკლული მოჯირითეს ცხენი აღარ ახსენდება, მონადირეს უქრება თოფის ხელში აღების სურვილი, ტრუბადური სატრფოზე აღარ ფიქრობს. მთელი ქვეყანა ერთი ვიწრო ოთახით იფარგლება, სადაც სუფთა ჰაერი მხოლოდ დროდადრო, ღამღამობით შეაღწევს, როცა მუშაობით გაბრუებული მწერალი ფანჯარას გააღებს ხოლმე.

სიმშვიდე და სიჩუმე უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისათვის, რომ მწერალმა ნაყოფიერად იმუშაოს. ზოგი მწერალი საშინელი სისასტიკით იბრძვის სიმშვიდის დასამყარებლად. ჯარლეილი კვირაობით ტანჯავდა თავის წყნარ მეუღლეს უმძრახობით. კვინტილიანეს ეგონა, რომ ეს პრობლემა, რიტორიკის მსგავსად, წესებსა და ნორმებს ექვემდებარებოდა. იგი ურჩევდა მწერლებს მორიდებოდნენ სოფელში მუშაობას, რადგან, მისი აზრით, ყურადღების მოკრება შეუძლებელია ქარის შრიალსა და ჩიტების ჟღურტულში. მწერალმა ღამღამობით უნდა იმუშაოს ფანჯრებდაკეტილ ოთახში, ერთადერთი ლამპრის შუქზე, ან კიდევ უკეთესი იქნება, თუ დემოსთენესავით სარდაფში ჩაიკეტებაო. შოპენჰაუერმა ნაკვეთი დაწერა ქუჩის ხმაურის შესახებ. ამ ნარკვევის მრისხანე ტონი გვიჩვენებს, თუ როგორ აღიზიანებდა მწერალს ქალაქის ქუჩიდან შემოსული აურზაური. პრუსტი ავადმყოფი იყო, სამუშაოდ განსაკუთრებული პირობები სჭირდებოდა და, რადგან

შეძლებაც მოსდევდა, შეიქმნა კიდეც: ჰაუსმანის ბულვარზე მდებარე პრუსტის კაბინეტის კედლებს კორპის ხის პანელები ჰქონდა აკრული და ყოველი წვრილმანი იყო გათვალისწინებული, რომ მწერალს სიჩუმე და მუშაობის იდეალური პირობები ჰქონოდა, მაგრამ იგი დღე მაინც ვერ მუშაობდა ხმაურის შიშით. თუ დროებით სხვაგან გამგზავრება მოუხდებოდა, სასტუმროში მიმიჯნავე ოთახებსაც ქირაობდა, რომ მეზობლების ხმაურს არ შეენუხებინა. ასეთ პირობებს ალბათ ყველა მწერალი ინატრებდა.

საწერად დამჯდარი მწერალი იმ მოვარეულს მიაგავს, რომელიც სახლის ლავგარდანზე სეირნობს და, ქვევიდან ხმაური რომ შემოესმას, აუცილებლად მიწას დაენარცხება. სხვისი სიტყვა, თუნდაც უძვირფასესი ადამიანის ბაგეებითა და უნაზესი ხმით წარმოთქმული, ხანჯალივით ერჭობა მწერალს გულში. ანაზდად ყოველივე ინგრევა და პარტახდება. პოეტური ხილვიდან ნაელი და ნაცარიღა რჩება. ნალვერდალზე ცეცხლის გაჩაღებას დიდი დრო სჭირდება, ის პოეტური სახე კი, რომელიც უკვე იკვეთებოდა ძველი კოცონის ცეცხლის ალში და მხოლოდ სიტყვიერ სამოსში გამოწყობას ელოდა, სამუდამოდ ქრება. მწერლის სამყაროში ასეთი გამანადგურებელი შეჭრის ამბავს მოგვითხრობს კონდარი თავის „მოგონებებში" (გენერლის ქალიშვილის თავგადასავალი).

შემოქმედებით საათს არაფერი აქვს საერთო ასტრონომიულთან. იგი დაუყოფელი და განუმეორებელია. შეუძლებელია გამოვაკლოთ ერთი ჩარექი და შემდეგ, სხვა დროს, შევავსოთ. ეს საათი ბედნიერი შემთხვევითობაა, ჭეშმარიტად ხელსაყრელ ვითარებათა და მოწყალე ბედის მიერ მწერლისადმი მიძღვნილი არმაღანია, და თუ შეწყდა, ან გაიყო, აღარასოდეს დაბრუნდება უკან. მისი სამუშაო სხვა საათმა უნდა შეასრულოს, მაგრამ ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, რას მოგვიტანდა ის წინა, დაკარგული საათი. წარმოვიდგინოთ რას დაეკარგავდით, რომ ის შემოქმედებითი საათი, როცა „ძიადის" იმპროვიზაციები იქმნებოდა, ერთ-ერთ იმ მრავალრიცხოვან ხელისშემშლელ გარემოებას გაეწყვიტა, რომლებიც ეგზომ ხშირად უწამლავენ მწერალს ცხოვრებას! ვინ გაბედავს მტკიცებას, რომ მიცკევიჩს მეორე დღესაც ეწვეოდა ასეთი მთაგონება? მწერლის ცხოვრებაში უამრავი ასეთი წამია დასამარებული, უამრავი სახე და ჩანაფიქრია გაფერმკრთალებული და გამქრალი. ამაში, ნაწილობრივ, თვით მწერალს მიუძღვის ბრალი, მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც მწერლის ირგვლივ მყოფი ხალხია. მწერალი მაშინ არის დამნაშავე, როცა უყურადღებობისა თუ გონებაგაფანტულობის მიზეზით ხელიდან გაუშვებს შემოქმედებითი აღმავლობის წუთებს. მაგრამ არც ამას, არც ცუდ ჯანმრთელობასა და ნერვიულ დეპრესიას, არ მოაქვს იმდენი უბედურება მწერლისათვის, რამდენიც გარე სამყაროს - აბეზარს, უხეშს და შეუბრალებელს.

ყოველი, თუნდაც საშუალოზე დაბალი მწერალი, ბუნებით განდეგილია. მეტერლინკმა თავისი შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი წლები ხენ-ვანდრილის ძველ, მიტოვებულ სააბატოში გაატარა. ბეჩესბანის მონასტერში გატარებულმა დღეებმა იულიუშ სლოვაცკის პოემა „ანგელოსები" შეაქმნევინა და, თუ რომანში ან პოემაში ბერის სახე გვხვდება, თუ ლექსის ეფერაში მონასტრის კედლების გუგუნი გვესმის, ავტორის სახელმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს: ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, როგორი ცხოვრებაც არ უნდა გაევლო და რა მსოფლმხედველობაც არ უნდა ჰქონოდა, იმ წუთებში, როცა ამ ნაწარმოებს ქმნიდა, მართლაც ბერი და იმათი სულიერი ძმა იყო, რომელთა სახეც ღრმად ჩაებეჭდა გულში და გაულვიძა იმ შინაგანი განმარტოებული ცხოვრების წყურვილი, რომლის მოკვლა ესოდენ

ძნელია გაუთავებელი ფუსფუსითა და საზრუნავით სავსე ქვეყანაზე.

შთაგონება

„შთაგონება“ მოდიდან გამოვიდა და თუ ვინმეს მაინტერესებელია, ამ სიტყვას ან ირონიულ კონტექსტში სვამს, ან მექანიკურად ხმარობს ჯაცვეთილ გამოთქმას, ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ძველ, შაბლონურ მეტაფორას. ამ გამოთქმას უბრალო ადამიანები ხშირად მწერლების დასაცინად ხმარობენ. ამით ისინი ცდილობენ დაფარონ ის შეშფოთება, რომელსაც მათში ესოდენ უცნაური არსება - მწერალი - იწვევს. მოქანდაკენიც გულგრილნი არ არიან ამ ცნების მიმართ: ისინი ხშირად ვერ უძლებენ ცდუნებას და ძეგლს ფრთოსანი მუზით ამკობენ. იგი ან თავზე დაფარფატებს პოეტს, ან ყურში ჩასჩურჩულებს რაღაცას.

მაგრამ შთაგონებას თავისი გაზაფხულიც ჰქონდა, რომელიც საუკუნეობით გრძელდებოდა. ამ ცნებით გამოიხატებოდა სიტყვის ხელოვნების ღვთაებრივი წარმომავლობა და მასზე საკუთარი მითოლოგიაც კი შეიქმნა. ბერძნების ლექსიკონში იგი სულის ისეთ მდგომარეობას ასახავდა, რომელიც ახსნასა და განმარტებას არ ექვემდებარება და ისეთი სიტყვების მეზობლად იხმარებოდა, როგორიც არის „მანია“ და „სიშლეგე“. ამ სიტყვას ხშირად იყენებდნენ „ექსტაზისა“ და „ენთუზიაზმის“ სინონიმად. ეს უკანასკნელი, თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით აღნიშნავდა იმ ადამიანის მდგომარეობას, რომელშიც „ღვთის სულია დავანებული“. დიონისეს გულში ჩაბუდებული შთაგონება მის ძოწისფერ წამოსასხამში ატანდა. სწორედ იქ შენიშნა იგი ფრიდრიხ ნიცშემ და შთაგონების სამუდამო მონად იქცა. რელიგიები იცვლებოდნენ, მაგრამ შთაგონება კვლავ არსებობდა, ოღონდ მფარველს იცვლიდა.

ხალხი შთაგონებას უმადლოდა პოეტის წინასწარმეტყველურ მისიას, შთაგონებისა სწამდათ თვითონ პოეტებს და მათი შემოქმედების ყველაზე ფხიზელ მკვლევარებსაც.

ლიტერატურის ისტორიკოსები ხშირად უდარებდნენ ერთმანეთს სპონტანურ, სტიქიურ, ანუ შთაგონებით შექმნილ პოეზიას, იმ პოეზიას, რომელსაც ხელოვნურს, ფხიზელი მუყაითი შრომით შექმნილს უწოდებენ და ამ უკანასკნელის დასახასიათებლად მეტაფორულად ამბობენ, „ასეთ პოეზიას ოფლის სუნი უდისო“.

მართლაც, სტიქიურ პოეზიას მინდვრების, ტყეების, ქარიშხლისა და ელვის სუნი ასდიოდა, ხელოვნურს კი ჩახუთული ოთახისა. შთაგონება ყველაზე დიდ პატივში რომანტიზმის ეპოქაში აღმოჩნდა. აქამდე არასოდეს არ ულაპარაკიათ მასზე ამდენი. ახლა ლექსებშიც ამკობდნენ და პროზაშიც. იმ ეპოქის ლიტერატურის მკვლევართა ნაშრომებში, ყოველ გვერდზე შეხვდებით ამ სიტყვას. ასევე მეორდება იგი ყველა წერილში და ალბათ ყოველი საუბრის დროსაც არაერთხელ იხსენიებოდა. პოეტი-რომანტიკოსი თავს შეურაცხყოფილად ჩათვლიდა, ვინმეს რომ ეთქვა, შთაგონებას მოკლებული ხარო. სლოვაცკი იმ წლებში, როცა მისი შემოქმედება მისტიციზმის ტყვეობაში იყო, აშკარად აცხადებდა, ანგელოზების კარნახით ვწერო. ამავეს ამტკიცებდა სვედენბორგი, როდესაც თავისი მისტიკური კოსმოგრაფიის შექმნის შესახებ წერდა და უილიამ ბლეიკი, როცა ამბობდა, მე მხოლოდ ზებუნებრივ ძალთა უბრალო მდივანი ვარ, ლექსებს ისინი მკარნახობენო.

ამ გადაჭარბებულმა ქება-დიდებამ მომდევნო ეპოქაში ბოლო მოუღო

შთაგონებას. მის წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგა ფლობერი, შთაგონებას ერთხულოვნად დასცინიდნენ რეალიზმისა და ნატურალიზმის დროს, არაფრად აგდებდნენ პარნასელები და ბოლოს იგი საბოლოოდ შერცხვენილი აღმოჩნდა. მაგრამ დიდხანს ნამსახური სიტყვა მთლიანად არ კვდება. მისი შინაარსიდან შეიძლება რაიმე ზოგჯერ ძალზე მნიშვნელოვანი გადარჩეს, [illegible] განიცადოს და კვლავ გააგრძელოს სიცოცხლე. ფრიდრიხ შილერმა [illegible] თუ შეიძლება ასე ითქვას, შთაგონების ეპოქაში ცხოვრობდა და თეთრნაც შთაგონების პატივისმცემელი იყო, მას ლამაზი განმარტება, „სულის მოულოდნელი საჩუქარი", მისცა. როგორც სხვა პოეტური გამოთქმები, ხიხუხტით არც ეს ჩამოუვარდება მეცნიერულ ტერმინებს და აღნიშნავს იმ წამებს, მოულოდნელს, ხანმოკლესა და ელვასავით თვალისმომჭრელს, რომელთაც თან მოაქვთ ჩანაფიქრი, გადაწყვეტილება, სტრიქონი, პერსონაჟის ხასიათის რაიმე დამახასიათებელი ნიუანსი ან ნაწარმოების მოვლენათა მსვლელობის ეზა. სულის ასეთ მოულოდნელ წყალობას, ჩვეულებრივ, რაიმე უფრო ხაშირად უმნიშვნელო სტიმული იწვევს. პოპულარულია ანეკდოტი, თითქოს მწერალს მხოლოდ თვალწარმტაცი ბუნების წიაღში ეწვევა ხოლმე შთაგონება. ამას ისე ჯიუტად ამტკიცებენ, როგორც ის, შკვმ საუკუნე-ნახევარია მხატვრები ნაპოლეონს თეთრ ცხენზე მჯდომს ხატავენ, თუმცა ამ საკითხის უბადლო მცოდნემ ფრედერიკ მასონმა დაამტკიცა, რომ იმპერატორი ყოველთვის ერიდებოდა თეთრ ცხენზე აძხედრებას.

ეს მოკრძალებული სტიმული თავის ძალას მწერლის ფსიქოლოგიური თავისებურებებისაგან იღებს. მისი აღძრისათვის საჭიროა, აგრეთვე, ვითარების მკვეთრი შეცვლა. მწუხარებიდან სიხარულზე უეცარი გადასვლა, შეგრძნების ორგანოებზე ზემოქმედება (სინათლის, ფერის, ხმის, ხუნის) უცნაურად შეძრავს ხოლმე ადამიანის სულს და მაშინ, გულაჩუყების, ეგზალტაციის, დიდი მწუხარების, მწველი ტკივილის, შინაგანი ხიმშვიდის ან ნეტარების წამში ცნობიერების ზედაპირზე ამოტივტივდება სადღაც, მის სიღრმეში, ფარულად მოიწყვებული აზრი. ამ აზრმა ოდესღაც გაუელვა მწერალს გონებაში, მაშინ მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ იგი მალულად ცხოვრობდა, და ზოგჯერ თვეობითა და წლობით არ ამყლაკუნებდა თავს. მწერალს ათასობით პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი, მირიად შთაბეჭდილებებს იღებდა, ამ აზრის ჩანასახი კი მთელი ამ ხნის განმავლობაში მწერლის ფსიქიკური ცხოვრების ულრან ტყეებში იყო მიმალული, რაღაც იდუმალი წვენებით საზრდოობდა და ნელ-ნელა იზრდებოდა.

გონების ზარდახშაში გროვდება ჩვეულებრივი და ამაღლებული შთაბეჭდილებები, უმნიშვნელო და დიდად მნიშვნელოვანი ცნობები, საუბრისა და წაკითხულის ნაწყვეტები, შემთხვევით თვალმოკრული სახეები, თვალები, ხელები; აქვე ლაგდება სიზმრები, ოცნებები, ალტაცებები - ერთი სიტყვით, მოვლენათა აურაცხელი რაოდენობა და ყოველ მათგანს შეუძლია გამოკვეთოს და გაზარდოს ამ, გონებაში ოდესღაც გაელვებული, აზრის ემბრიონი. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა მწერალს სულ დავიწყებული აქვს ამ აზრის არსებობა, იგი ანაზღად გამოდის დღის სინათლეზე და მწერალი ხედავს, რომ ეს დიდი ხნის ნანატრი და უკვდავი მხატვრული სახეა. ყოველივე ეს ეიცრად ხდება. ჩვენთვის უცნობი მიზეზით მთავრდება აზრის ხანგრძლივი, ქვეცნობიერი ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც თავისი ძალითა და შემართებით ბუნების სტიქიური ძალების მოქმედებას წააგავს და ისეთივეთ უბასრა. ჰაიდნმა იმ მელოდიის „გაგონებაზე", რომელიც შემდგომში

თავის „ხამყაროს შექმნაში“ ხინათლის დაბადების გამოსახატავად გამოიყენა, ალტაცებით წამოიძახა, ეს მე არ შემიქმნია, ზეცამ მიწყალობაო.

შთაგონება ერთნაირად ეწვევა მწერალს და ფილოსოფოსს, მხატვარსა და მეცნიერს... აქ ნიუტონის ვაშლის გაცვეთილი ისტორიის საკვლევად სჯობს გაცილებით ნაკლებად ცნობილი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი მაგალითი მოვიტანოთ დიდი მათემატიკოსის ანრი პუანკარეს ცხოვრებიდან. პუანკარე მრავალი თვის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა რომელიღაც ფორმულის გამოყვანას. ბოლოს, როცა მიზანს ვერ მიაღწია, სულ დაიეიწყა იგი და რაღაც სხვა საკითხს ჩაუღრმავდა. კარგა ხანი გავიდა. და აი, ერთხელ, დილით, პუანკარე გველნაკბენივით წამოხტა საწოლიდან, ბიუროსთან მივიდა და ისე დაუფიქრებლად დაწერა ის ფორმულა, თითქოს დაფიდან იწერდა. ასევე მოულოდნელად უნათდება მწერალს გონება და იგი ხვდება, როგორ გახსნას დრამის, რომანისა თუ ნოველის კვანძი; ამ წამიერი გაელვების დროს იკვეთება პერსონაჟთა ხასიათები და წყდება მათი მომავალი, იქმნება დიდი ხნის განმავლობაში ამაოდ ნაძებნი სტრიქონები, ჟან მორეასს ღამით, ქუჩაში ეწვია შთაგონება, ფარნის ქვეშ გაჩერდა და აკანკალებული ხელებით დაწერა ლექსი პაპიროსის ყუთზე. გოეთე „მარადიული ურიის“ შესავალში გვიამბობს, შუადამისას გიჟივით წამოვვარდი საწოლიდან, რადგან შეცრად ცვეცხლივით შემომენთო ამ იდუმალი არსების შექების სურვილიო. ეს შემთხვევა, ალბათ, გამონაკლისი არ იყო: პოეტი წლობით აჭარებდა გონებაში ბალადის ტონსა და განწყობილებას და ბოლოს ეს ყოველივე ლექსად გადმოიღვარა. აი, როგორ ამოაკრებს გოეთე თავის თხრობას იმდამინდელი განცდების შესახებ: „ჩვენ ვუკეთებთ შეშას კოცონს და მხოლოდ იმას ვცდილობთ, შეშა ხმელი იყოს, ხოლო როცა დადგენილი საათი დაჰკრავს, კოცონი, ჩვენდა გასაოცრად, თვითონვე ავიზგიზდება“.

ბედის მიერ ნაბოძები მოულოდნელი საჩუქარი სხვადასხვანაირია: ხანმოკლე გაელვებიდან დაწყებული, რომელიც მხოლოდ ერთ აზრს, ან ხაზს აშუქებს, ხანგრძლივი მზიანი დღით დამთავრებული, რომლის განმავლობაში მწერალი აღმოჩენის ავტორი ხდება. ამ „მზიან დღეს“ ცნობიერების ზედაპირზე ამოდის მის სიღრმეში დამარხული განძეულობის დიდი ნაწილი და მთლიანად შეძრავს მწერლის ბუნებას. ეს პროცესი შეიძლება იმ ტექტონიკურ ძვრებს შევადაროთ, რომლის დროსაც ოკეანის სიღრმიდან ახალი კუნძულები ამოიზრდება და შემდგომში მცენარეულობის, ცხოველებისა და ადამიანების ახალ სამშობლოდ იქცევა. რაპალოსაკენ მიმავალი ნიცშეს ცნობიერება მოულოდნელად დაიპყრო საკუთარმა ზარათუსტრამ და საშინლად გააოგნა ფილოსოფოსი. როცა ნიცშე ამ დღეს იგონებდა, წერდა: „იწყება ხილვა, ეს ნიშნავს, რომ უეცრად ადამიანი თვალნათლივ, მკაფიოდ ხედავს რაღაცას, რაც ძირისძირობამდე შესძრავს მის სულსა და გულს. აზრი ელვასავით ანათებს გონებას, ადამიანი განიცდის აღტაცებას და კარგავს ძალაუფლებას საკუთარ თავზე. ყველაფერი მისი ნების გარეშე ხდება და ამავე დროს ადამიანი მთლიანად გამსჭვალულია სულიერი თავისუფლების გრძნობით“.

სულში შეჭრილი ეს მოულოდნელი ქარიშხალი ქანცს აცლის ადამიანს. მიცკევიჩს გული წაუვიდა „იმპროვიზაციის“ დაწერის შემდეგ. ასეთსავე დღეში ჩავარდა დეკარტი 1619 წლის 10 ნოემბერს. ამ თარიღს დეკარტი თავის დაბადების დღეზე ნაკლებ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რადგან იმ დღეს მის წინაშე მთელი თავისი ბრწყინვალებით წარსდგა ის ცნობილი იდეა. ამ წამებს წინ უძღოდა

საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და შინაგანი გარინდების მდგომარეობა, რომელიც შემდეგ უძლიერესმა აღგზნებამ შეცვალა. დეკარტის ბიოგრაფი ბაიე გვამცნობს: „იგი საშინლად დასუსტდა, ლამის ტვინის ანთება დაემართა, გონება კი აგზნებული ჰქონდა და სიზმრებითა და ზმანებებით ტანჯავდა დეკარტს". ბოლოს მუხლებზე დაეცა, ღვთისმშობელს შეევედრა, მფარველობა გაეწია მისი ნაფიქრალისა და აღთქმა დასდო, ღვთისმშობლის პატივსაცემად წმინდა ადგილებს მოინახულებდა. გზაში გადატანილმა ერთმა სამახსოვრო ღამემ მთლიანად განსაზღვრა მთელი შემდგომი ხელიერი ცხოვრება მთავარეების ისეთი დიდი მოწინააღმდეგისა, როგორიც პოლ ვალერი იყო.

მიცკევიჩის ბიოგრაფიიდან ცნობილია მის იმპროვიზაციებთან დაკავშირებული საოცარი ფაქტები: „იმპროვიზაციის დროს პოეტს გამომეტყველება ეცვლებოდა, ფითრდებოდა და საშინლად ატანდა თავს ძალას, რომ ლექსს შეუჩერებლად ედინა და მსმენელები დაძაბული და მონუსხული ჰყოლოდა. მას ეხმარებოდა ფლეიტის ნაზი ხმა - პოეტის შინაგანი მუსიკალური ინსტრუმენტი თითქოს ფლეიტას უწყობდა ხმას. მსგავსი მოვლენებია ცნობილი სხვა პოეტების ცხოვრებიდან, გულცივი მედიკოსები კი ამაში, ხშირად ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ეპილეფსიის ნიშნებს ხედავენ. იპროვიზაცია იზიდავდა პოეტებს. იგი განსაკუთრებულ ნიჭად ითვლებოდა, ვიდრე მაღალი საზოგადოების თავშესაქცევად, თუ ისეთ სერიოზულ ხუმრობად არ გადაიქცა, როგორიც პატივცემული დეოტიმას იმპროვიზაციები იყო.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას: არსებობს ახლო ნათესაობა ამაღლებულსა და გასართობ იმპროვიზაციებს შორის. მათ ერთმანეთთან ანათესავებს აუცილებლობის სტიმული. აუცილებლობით გამოწვეული შთაგონება უძველესი დროიდან არის ცნობილი ორატორებისათვის. მათი ქცევა საჯარო გამოსვლის დროს ძალიან წააგავს პოეტ-იმპროვიზატორთა ქცევას, რადგან ორივენი, პოეტებიც და ორატორებიც უფსკრულის პირას დგანან და ცდილობენ, წონასწორობა შეინარჩუნონ. ეს უფსკრული ის უამრავი თვალია, რომლებიც პოეტსა თუ ორატორს მისჩერებია. პირველივე წარმოთქმულ სიტყვას იკაროსის ფრთებივით აჰყავს მაღლა პოეტი ან ორატორი. ამ სიმაღლიდან ჩამოვარდნა დალუპვას უქადის მათ. ამ სიმაღლის შენარჩუნება მხოლოდ ხელიერი ძლიერების ან თავშეკავებულობისა და გამოცდილების წყალობით ხერხდება.

ამ სახის შთაგონებას მწერლები არ იცნობდნენ იმ ეპოქებში, როცა შეიძლებოდა ყურადღება არ მიექციათ ვადებისათვის, როცა მწერალს არავინ აჩქარებდა. გამონაკლისს მხოლოდ დრამატურგი პოეტები წარმოადგენდნენ, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ მრავალი გარემოებისათვის. ჩვენს დროში (ვგულისხმობ უკანასკნელ საუკუნე-ნახევარს), მწერლის საქმიანობაში კეთილი ჯადოქრის თუ მოწყალე დემონის როლს აუცილებლობა თამაშობს. ხელშეკრულებით დადგენილი ვადა, სტამბაში ასაწყობად გადაცემული ხელნაწერის ნაწილი, რომანის ბეჭდვა ჟურნალის რამდენიმე ნომერში და სხვა ამგვარი გარემოებები მწერლის მოვლემარე ენერგიის გამომაფხიზლებელ მძლავრ სტიმულად იქცევა და მწერალიც მონუსხულივით ემორჩილება ამ უეცრად მოვლენილ შემართებას. ჩვეულებრივ, მწერლები ხშირად წუწუნებენ, ეს გადაუდებელი საქმეები ქანცს გვაცლიან და მუშაობაში ხელს გვიშლიანო, მაგრამ ისინი სწორედ ამ გადაუდებელ საქმეებს უნდა უმადლოდნენ საუკეთესოდ დაწერილ გვერდებს, საუცხოოდ გასინჯულ კვანძებს და ზოგჯერ დახვეწილ სტილსაც კი. ამის

დასასაბუთებლად შეიძლება სენტ-ბევის მაგალითი გამოდგეს: იგი იძულებული იყო ყოველდღიურად ჩაებარებინა გაზეთის რედაქციისათვის ფელეტონი და ამიტომ ფრაზის ძველმოდური ზიზილ-პიპილებით შემკობის დრო აღარ რჩებოდა.

თუმცა სენტ-ბეი რომანტიკოსების ხანაში აღიზარდა, ძველებურ ამაღლებულ შთაგონებას პატივს არა სცემდა, რადგან ასეთი შთაგონება მე-19 საუკუნის შუა წლებისათვის საბოლოოდ იყო კომპრომენტირებული. აი, რას ამბობს სტენდალი შთაგონების შესახებ: „წერა მხოლოდ 1806 წელს დავიწყე, როცა ვიგრძენი, რომ ჩემს ბუნებაში გენიოსი იფარებოდა. 1795 წელს ჩემი ლიტერატურული გეგმები ეინმე საზრიანი კაცისათვის რომ გამენდო და იმას ერჩია, „ყოველდღიურად ორ-ორი საათი წერე და იმაზე ნუ ფიქრობ გენიალური ხარ თუ არაო“, ათ წელიწადს აღარ დავკარგავდი რაღაც სულელური შთაგონების ცდაში“. სტენდალმა შეძლო დაკარგული დროის ანაზღაურება. სისტემატური მუშაობით ორ თვეზე ნაკლებ დროში დაწერა „პარმის სავანე“. ფლობერი ამ ხანში ალბათ ერთ თავსაც ვერ დაწერდა, მაგრამ სამაგიეროდ ის ჭეშმარიტება, რომელსაც ასე გვიან ჩასწვდა სტენდალი, ფლობერისათვის თავისი შემოქმედების დასაწყისშივე იყო ცნობილი. იმ რომანტიზმით გაჟღენთილ ეპოქაში ისეთი გააფრთებით არავინ ებრძოდა შთაგონებას, როგორც ფლობერი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც დიდად რომანტიული პიროვნება იყო. მას შთაგონება თაღლითების მოგონილად მიაჩნდა და თვლიდა, რომ იგი შემოქმედებითი აზრის მკვლელია: „ყოველდღიურად ერთსა და იმავე საათზე უნდა დაჯდე სამუშაოდ, აი, ეს არის შთაგონება“, - ირწმუნებოდა მწერალი.

მაგრამ სხვა მოწმეებსაც მოვუსმინოთ: „შთაგონება ყოველდღიური მუშაობის განუყრელი მეგობარია. ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული ცნება ერთმანეთს არ გამორიცხავს. აზროვნებას ერთგვარი ციური მექანიკა მართავს და ამის აღიარებისა კი არ უნდა გერცხვენოდეს, არამედ უნდა შეეისწავლოთ, ისევე როგორც ექიმები შეისწავლიან სხეულის მექანიკას“. ვინ ამბობს ამას? ვინ და, ბოჰემის წარმომადგენელი, - დაწყევლილი პოეტი, სულის შრიალის მესაიდუმლე, განწყობილების მიჯნური და ამავე დროს ლექსის მუყაითი მჩარხავი, პოეტური სიტყვის ჩელინი[1] - ბოდლერი დაუთოქოს იმისათვის, რომ გაურკვეველი არაფერი დარჩეს და ფრთებმოკვეცილ გენიოსს ყველა გზა გადაუჭრას გასასხლტომად, ბოდლერი დასძენს: „შთაგონება დამოკიდებულია რეგულარულსა და ყუათიან კვებაზე“. ეს ხუმრობით არ არის ნათქვამი: ფრანგებს ასეთი ხუმრობა არ უყვართ. ისინი არასდროს არ ბაძავდნენ იმ პეპელას, რომელიც მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობს და კუჭი არც კი აქვს.

დღეს იმ შედარებით ახალ ტრადიციას ვაგრძელებთ, რომელმაც ძველებური შთაგონება სხვა ღმერთებზე - შრომაზე, მუყაითობაზე და ნებისყოფაზე გაცვალა. დღეს წარმოუდგენელია დიდი შემოქმედი ძლიერი ნებისყოფის გარეშე. მაგრამ ნუთუ ეს ჭეშმარიტება მართლა ასე ახალია? დანტეს სიტყვები, რომლებიც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული მომდევნო თავს, სულ საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

1. ბენვენუტო ჩელინი (1500-1571) - აღორძინების ეპოქის მოქანდაკე და ოქრომჭედელი.

მ უ შ ა ო ბ ა

ბუმბულის ლეიბზე ნებივრობით დიდებას ვერ მოიპოვებ.

დანტე.

„როცა თმას ვიკარცხნი, ან წვერს ვიპარსავ, ყოველთვის ან ფიქრობ, ან ვწერ, ან ვინმეს ვაკითხებ, ან მდივანს ვკარნახობ. ასევე ვიქცევი ჭამის დროსაც და მაშინაც, როცა ცხენით ვსეირნობ. გაგიკვირდება, რომ გითხრა: ხშირად სწორედ ცხენით სეირნობისას მიმუშავია და შინ დაბრუნებისას უკვე დამთავრებული მქონია სიმღერა. სოფელში, ქეიფის დროსაც კალამი მიჭირავს ხელში და მხოლოდ მაშინ გადაეცემ ფურცელზე, როცა ვინმე საპატიო სტუმარი მომიყვანეს შორიდან. შინ ყველა მაგიდაზე საწერი მოწყობილობა მიდგია. ზოგჯერ, ლამე რომ გამელვიძება, სიბნელეში ხელის ცეცებით ვპოულობ კალამს და სანამ აზრი არ გამქრალა, ვიწერ, დილას კი ძლივს ვარჩევ ბნელში დაწერილს. აი, როგორ ვცხოვრობ და როგორ ვმუშაობ...“

ამას გვიამბობს „ახალი დროების პირველი ლიტერატორი“ პეტრარკა. ასე ცხოვრობდა და ასე შეუსვენებლად მუშაობდა იგი ვოკლიუზში განმარტოების პერიოდში.

აი, ხმა მეორე სენაკიდან, ხმა კრუასელან ხუთი საუკუნის შემდეგ. ფლობერს „მადამ ბოვარის“ ნაწვალები ხელნაწერი გვერდზე გადაუდვია და წერილს წერს: „არ ვიცი, რატომ და, საშინელ ხასიათზე ვარ. იქნება ამაში ჩემს რომანს მიუძღვის ბრალი. ვწვალობ, მაგრამ წინ ვერ მივდივარ. ქვა რომ მეკოდა, ალბათ, ასე არ გაეწელდებოდი. ხანდახან ისეთ დღეში ვარ, რომ ლამის ავტირდე. აქ ზეადამიანური ნებისყოფაა საჭირო, მე კი ადამიანი ვარ“. მდგომარეობა არც ორი თვის შემდეგ გამოსწორებულა. „ძალიან დარდიანი, დალლილი და თავგზადაბნეული ვარ. მთელი ოთხი საათი ვიმუშავე და ერთი კარგი ფრაზაც ვერ შევადგინე. დღეს რამდენიმე ასეული წინადადება დავწერე, მაგრამ ყველა წავშალე - არცერთი არ ვარგოდა. რა საშინელი სამუშაოა! ო, ხელოვნებავ, ხელოვნებავ! ეს რა საშინელი ქიმერა ხარ. როგორ გაიკრეკინებ სულსა და გულს და რისთვის? მთლად შეშლილი უნდა იყოს ადამიანი, ასეთ სატანჯველში რომ ჩაიგდოს თავი!..“

აი, მთლიანი სურათი: „გუშინწინის წინ დილის ხუთ საათზე დავწექი და სამზე ავდექი. ორშაბათიდან ყველა სამუშაო გვერდზე გადავდე და მთელი კვირა „ბოვარიზე“ ვწვალობდი. საშინლად ვიტანჯები, რადგან წინ ვერ მივდივარ. უკვე ბალამდე მივედი, მომავალ ორშაბათს ბალის აღწერას დავიწყებ და იმედია, საქმე უფრო უკეთესად წავა. ჩვენი ბოლო შეხვედრიდან მხოლოდ ოცდახუთი გვერდი გადავათეთრე, ექვს კვირაში ოცდახუთი გვერდი! იმდენი რამ გადავაადგილე, შევცვალე და გადავკეთე, რომ უკვე აღარ ვიცი, კარგი გამოვიდა თუ ცუდი, მაგრამ მაინც მგონია, რომ არა უშავს. შენ მწერ, გული გამიტყდა და ხალისი დამეკარგაო. მე უარეს დღეში ვარ. ზოგჯერ ისე გამომეცლება ძალა, რომ თვითონვე მიკვირს, რატომ არ ჩავიქნევ ხელს ყველაფერზე. საოცარია, რატომ ტვინი არ მიდულდება. ჩემი ცხოვრება ტანჯვაა, მოკლებული ვარ ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებას და ჩემი გიჟური სიჯიუტე რომ არა, წერას თავს დავანებებდი. ხანდახან ამ სიჯიუტესაც ეცლება ქანცი და აწუწუნდება, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არა ყრის. ჩემს სამუშაოზე გიჟურადა ვარ შეყვარებული და ისეთ სიმხურვალეს ვგრძნობ, თითქოს განდეგილის ჯალო მეცვას შიშველ ტანზე. ხშირად ისე გამოვიფიტები, რომ საჭირო სიტყვას ველარ ვპოულობ. უამრავ ფურცელს დავჯღაბნი და მერე ვხვდები,

რომ არც ერთი ხეირიანი ფრაზა არ დამიწერია. მაშინ ტახტზე მივეგდები და კარგა ხანს ვწევარ გამოშტერებული და დამწუხრებული. ამ დროს საკუთარი თავი შეჯავრება და გამბობ, გიჟი რომ არ ვიყო, ამ ქიმერებს დეკნას არ დაუწყებდი-მეოქი. მაგრამ გადის ცოტა ხანი და გული კვლავ ლაღად ამიძგერდება. გასულ ოთხშაბათს საწერი მაგიდიდან ავდექი და ცხვირსახოცს დავუწყე ძებნა: სახეზე ღვარად ჩამოშდიოდა ცრემლები. წერის დროს უცებ საოცარმა სიამემ დამიარა ტანში, გული ამიჩუყა იმ აზრმაც, რომელიც მაშინ მომივიდა თავში, ფრაზამაც, რომლითაც ეს აზრი გამოვხატე და იმ ფაქტმაც, რომ ამ აზრს სიტყვიერი ფორმა ვუპოვე. ყოველ შემთხვევაში, მე ესა მგონია იმ ცრემლების მიზეზი, თუმცა, შესაძლებელია ყველაფერი ნერვების ბრალი იყო. არსებობს იმდენად ამაღლებული აღტაცება, რომ მისთვის არაფერს არ ნიშნავს წმინდა ემოციური ელემენტები. ეს აღტაცება თავისი მორალური სილამაზით ყველაფერზე აღმატებულია. ხანდახან, როცა ბედი გამიღიმებს, სწორედ ამგვარ სულიერ მდგომარეობას ვაღწევ და მაშინ აღტაცების ჟრუანტელი მთელ სხეულში დამივლის ხოლმე, სული კი ისე მაღლდება სხეულზე, დიდება არაფრად მიღირს, ბედნიერება კი ზედმეტი მგონია...“

ვოკლიუზიდან და კრუასედან მოდენილი ხმების პატრონები მატერიალურად უზრუნველყოფილი მწერლები იყვნენ და თავიანთ დროს ისე იყენებდნენ, როგორც მოეხასიათებოდათ. მწერლობა მათთვის არავის დაუძალებია, ნებაყოფლობით დაიდეს ქედზე ეს მძიმე უღელი, რადგან სრულყოფილების მწვერვალთა დაპყრობის წყურვილი ახრჩობდათ. პირველისათვის ეს თავისი საუკუნის კულტურის წინამძღოლად გახდომას ნიშნავდა, მეორისათვის - ახალი პროზის შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად ორივემ უარი თქვა ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე.

ასე მხოლოდ ეს ორი მწერალი როდი მუშაობდა. ლაიბნიცს შეეძლო სამი დღე და ღამე არ ამდგარიყო საწერი მაგიდიდან, რეიმონტმა „გლეხების“ პირველი ტომის დამთავრებისას სამი დღე და ღამე იმუშავა შეუსვენებლივ და ავადაც კი გახდა. გოეთეს მიერ განვლილი ცხოვრების გზა ყველას ბედნიერი ჰგონია, მაგრამ თვითონ ეკერმანთან საუბარში, ამბობდა, ყველაფერი რომ შეეჯამო, რამდენიმე კვირა მექნება დახარჯული გართობასა და სიამოვნებაზე, დანარჩენი დრო მუშაობამ წაიღოო. ვის არ გაუგონია, რა თავგადაკლული მუშაობდა ბალზაკი ღამღამობით? როგორი უნდა ყოფილიყო კრაშევსკის სამუშაო დღე? მან ხომ 50 წლის განმავლობაში 500 ნაწარმოები დაწერა, შეაგროვა და გამოსცა ისტორიული მასალა, ეწეოდა ვრცელ მიმოწერას და რედაქტორობდა ჟურნალებს. რამდენი დრო დარჩებოდა საკუთარი ცხოვრებისათვის ლოპე დე ვეგას, თუ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ორი ათას პიესას ითვლის?

ზოგი მწერალი სულ რამდენიმე წიგნის დაწერას ასწრებს სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ამ წიგნების დასაწერად დახარჯული შრომის სრული ბალანსის გამოსაყვანად წიგნების რაოდენობა რამდენჯერმე უნდა გავამრავლოთ, რადგან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის დრო, რომელიც დასჭირდა ჩანაწერების გაკეთებას, ცალკეული ნაწილების გადაკეთებასა და ხელახლა დაწერას. ცნობილია, რომ ავტორი ზოგჯერ რამდენჯერმე გადაწერს ხოლმე თავის ნაწარმოებს (სენკევიჩი თურმე ერთი შეცდომის გულისათვის მთელ გვერდს ხელახლა გადაწერდა). ზოგმა ამ გადაწერის წყალობით ზეპირადაც კი იცის თავისი ნაწარმოები. ჟიულენ ბენდამ მითხრა, ყოველი ჩემი წიგნი ექვს-ექვსჯერა მაქვს გადაწერილიო. ეს დროის საშინელი ფლანგვაა, მაგრამ მწერლებს მოიმჭირნეობას ვერ ვურჩევთ და რომ ვურჩიოთ, არა

მგონია, დაგვიჯერონ. შემოქმედების კაპიტალი მომჭირნეობით არ იზრდება. მწერალმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როდის იმუშაოს, როდის დაისვენოს და როდის გაერთოს. „გარწმუნებთ, რომ „კრისტოფის" ყოველმა ტომმა ბევრი ჭეღარა მომიმატა თმაში, რადგან სულისა და გულს მიმფლითებდა ის გაჭირვებები, რომლებიც ჩემმა გმირმა გადაიტანა. მე ადვილად ვერ ვუმკურნალებდი ამ გაჭირვებას, რადგან ჩემი გმირივით ძლიერი ორგანიზმი არა მაქვს", - წერდა რომენ როლანი.

რომენ ფერნანდეზი გვიამბობს: „ერთხელ ღამით, როცა ქალაქს გერმანელთა თვითმფრინავები ბომბავდნენ, ჩემთან პრუსტი შემოვარდა და მკითხა, როგორ გამოითქმება იტალიურად senza rigore - სიმკაცრის გარეშე. მას ის-ის იყო გამოეყენებინა ეს გამოთქმა ერთ-ერთ ფრაზაში და უნდოდა დარწმუნებულიყო, კარგად ესადაგებოდა თუ არა მისი ბგერითი ყლერადობა ფრაზის რიტმს. ამ ორი სიტყვის გულისათვის მან შეწყვიტა მუშაობა და დასუსტებულმა და უღონომ ბომბების გრიალში გამოიარა ნახევარი პარიზი, რომ ჩემთან მოსულიყო". თუ სლოვაცკის პოემას „ბენევსკის" დაკვირვებით არ წაიკითხავთ, ალბათ ყურადღებას არ მივაქცევთ სევდიან სტრიქონებს,. რომლებიც მიგვანიშნებს, რომ პოეტის სიცოცხლის წუთები უკვე დათვლილი იყო:

გჯეროდეთ... ვეტო დაეადე სიტყვებს,
ცრუ, მტყუან სიტყვებს... ლექსს ასე ვჭედდა
მე, სნეულ პოეტს, ეს მიჯობს, ვიდრე
ამაო ბრძოლა ულმობელ ჭლექთან...

მწერლის აღსარებას, თუ რა ხდება შემოქმედების დროს, ჩვეულებრივ, სევდისა და ნაღვლის ელფერი გადაჰკრავს: თითქოს ბრძოლის გრიალი, დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესა და მოთქმა გვესმის, შემდეგ კი სამარისებური მდუმარება დაისადგურებს ირგვლივ: რა მოხდა? ნუთუ დამარცხდა მწერალი? არა, გაიმარჯვა, მაგრამ დააეწყდათ დაფისა და ნაღარის დაკვრა გამარჯვების აღსანიშნავად.

შემოქმედების პროცესს თან ახლავს ყოველისმომცველი ბედნიერების წამები, ეს წამები მაშინ დგება, როცა თავი, აბზაცი ან თუნდაც ერთი ფრაზა დამთავრდება და მწერალი გრძნობს, რომ ეს ფრაზა სრულყოფილია. მაშინ იგი კმაყოფილებით ამოიხვნეშებს, რადგან ხანგრძლივმა და ბეჯითმა შრომამ ნაყოფი გამოიყო. მწერლის წარმოსახვამ, სიტყვის ფლობისა და მათი ურთიერთდაკავშირების უნარმა შეძლეს, დაეხსნათ მწერლის სული უკუნეთიდან, ახრის იმ გაუვალი ჯურღმულებიდან, სადაც იგი იტანჯებოდა და ამაოდ ცდილობდა დღის სინათლეზე გამოხვლას. უეცრად ბნელეთი ქრება და ნათელ ჰორიზონტზე სასწაულივით ჩნდება ნაწარმოების კაშკაშა, ცხადი და ხელშესახები სახე, ეპიზოდი ან ფრაგმენტი, რომელიც უკვე სრულქმნილია. მწერალი იმ მთამხელელივით არის აღტაცებული, რომელმაც ეს-ეს არის დაიპყრო ახალი მწვერვალი და სულ დააეწყდა გადატანილი ხიფათი და დაღლილობა.

ეიფორიას, როცა იგი მუდმივად თან სდევს შემოქმედებით პროცესს, საგმაოდ ალმაცერად აფასებენ. აი ნაწყვეტი ვაისენჰოფის „ლიტერატურული მოგონებებიდან". ეს ნაწყვეტი აქ მომაქვს იმის საჩვენებლად, თუ რა სიამოვნებას იწვევს მწერალში წერის პროცესი, მაგრამ არ დავმალავ, რომ ამ აღსარების სტილი რაღაც ეჭვებსაც მიღვიძებს (მაგალითად, „ძაფი, რომელსაც მიზნისაკენ მიეკვალართ"). აი, რას წერს ვაისენჰოფი: „ცხოვრებაში განცდილ სიამოვნებათაგან, ყველაზე მეტად სრულყოფილი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნისაგან

მიღებულ სიამოვნებას ვაფასებ. მართლაც, რა შეედრება იმ სიხარულს, როცა საყვარელი თემა თითქოსდა თვითონ ნახულობს სათანადო სიტყვიერ ფორმას, როცა სიტყვათა, გამოთქმათა და სტილისტურ ხერხთა გუნდი მორჩილად მოიჰყრაფის შენკენ და მხოლოდ ისღა დაგრჩენია, რომ ყველაზე საუკეთესონი ამოარჩიო და მათგან ის ძაფი დაართა, რომელსაც [illegible] მიზნისაკენ მიგყავართ. ამ დროს დგება წამი, როცა გრძნობ, რომ სრულ[illegible]ეარე, ეს კეთილშობილური და ნეტარი განცდა ექსტაზს წააგავს, იგი გულს გიჩუყებს და თვალთაგან ცრემლს გადენს".

თუ მწერლები იმაზე უფრო იშვიათად ჩივიან და წუწუნებენ, ვიდრე მოსალოდნელი იყო, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მათი უმეტესობა ამჯობინებს თავი შეიკავოს აღსარებისაგან, მხოლოდ შემთხვევით წამოცდენილი სიტყვა გვაცნობს მათ წამებას. მწერლები სიამაყის, მოკრძალებულობის ან სხვა რამ მიზეზის გამო არ ამხელენ თავიანთ საიდუმლოს. იმ ეპოქაში, როცა ითვლებოდა, რომ პოეტს შთაგონება აწერინებს ლექსს, ისინი, რა თქმა უნდა, ამჯობინებდნენ ხმა არ ამოეღოთ მუშაობაში გათენებულ ღამეებზე, მაგრამ თუ მათ ტემპერამენტსა და შემოქმედების ხასიათს ჩავუკვირდებით და ხელნაწერებსა და არქივს გადავქექავთ, მივხვდებით, თუ რა ქარიშხალი ბობოქრობდა ამ ვითომდა თავშეკავებული და მშვიდი პოეტების გულში.

რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი მწერალი ყოველდღიურად იბრძოლეს, აქეთ-იქით აწყდებოდეს და ჯაფით ქანცს იწყვეტდეს.

ზოგჯერ ძალზე ნაყოფიერი მწერლებიც კი არ იკლავენ თავს მუშაობით. ჰერბერტ სპენსერი დღეში ორ საათზე მეტს არ შრომობდა, არნოლდ ბენეტმაც ასეთივე განრიგი შეიმუშავა და არასდროს არ არღვეოდა. როგორც კი ორი საათი გავიდოდა, კალამს მაგიდაზე დებდა, ისე, რომ დაწყებულ ფრაზასაც არ დაამთავრებდა. ეორე სანდი ყოველდღიურად საღამოს თერთმეტ საათამდე წერდა და თუ თერთმეტის ნახევარზე რომანს დაამთავრებდა, ახალს იწყებდა, თითქოს ერთი წინდის დაკემსვა დაამთავრა და მეორე დაიწყოო. ადვილი წარმოსადგენია, რა თვალით შეხედავდა მიუსე ეორე სანდის მუშაობის სტილს, როცა მწერალი ქალის სიყვარული გაუნელდა და თვალები აეხილა. მიუსე ხომ კალმის დასახვაზე ზიზღით კანკალებდა.

დალოცვილია ის მწერალი, რომელსაც შრომის დისციპლინა აქვს. რამდენი ენერგია იზოგება, როცა ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს დაჯდები სამუშაოდ! სულერთია დილა იქნება, შუადღე, საღამო თუ სულაც ღამე. ჰოლ კალერი, მაგალითად, დილის ოთხ საათზე იღვიძებდა და მაშინვე იწყებდა მუშაობას, ლამარტინი ხუთზე, ბეკერს ღამით უყვარს წერა, რადგან მხოლოდ ამ დროს უმშვიდდებათ დღის განმავლობაში აწეწილი ნერვები. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ღამით მუშაობა ჩვენს ეპოქაში დაიწყეს. წინათაც ძალიან ბევრ მწერალს უყვარდა ღამით წერა. არისტოტელე ამ სწავლულ მოკითხა მამამთავრად შეიძლება მივიჩნიოთ, სიცოცხლით სავსე პლატონი კი იმათ მფარველად, ვინც დღისით ეწეოა შემოქმედებით შრომას. ბიუფონი, გოეთე, უოლტერ სკოტი, ვიქტორ ჰიუგო, ბოდლერი, ფლობერი ჩინოვნიკის პუნქტუალობით მიუსხდებოდნენ ხოლმე სამუშაო მაგიდას. ეს სია რომ გავაგრძელოთ, მასში გამოჩენილ მწერალთა უმეტესობა მოხვდებოდა, მაგრამ თავიდან თითქმის არც ერთი არ იქცეოდა ასე პუნქტუალურად. შრომის დისციპლინა თანდათან უმუშავდება მწერალს და საბოლოოდ განუმტკიცდება შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში, მაშინ, როცა რწმუნდება, რომ შედეგები ბედნიერი შემთხვევის კი არა,

მოთმინებისა და სიბეჯითის წყალობაა. ყოველი დიდი ჩაწარმოები უამრავი სიძნელის გადალახვის ფასად იქმნება. კი მაგრამ, როგორ მოიქცეს მწერალი, თუ შემოქმედებისათვის განკუთვნილ საათებში არც ერთი აზრი არ მოსდის თავში, თუ არც ძალა აქვს მუშაობისა და არც სურვილი? „უნდა იჯდეს", - ამბობს მეტერლინკი. მართლაც, თვითონ ყოველთვის უჯდა საწერ მაგიდას, სამ-სამი საათი ყოველ დილას, თუნდაც არაფერი გაეკეთებინა, თუნდაც მთელი საღამო საფრანგეთის წვეაში გაეტარებინა. „მე კი, - შეეძლო გულში ეთქვა თეოფილ გოტიეს, - ვჯდები საწერ მაგიდასთან, ვიღებ სუფთა ფურცელს და ვწერ პირველ ფრაზას. ჩემი ფრაზების იმედი მაქვს - ვიცი, რომ არც ერთი არ მიღალატებს და პირველს მეორე, მესამე... მეასე მოჰყვება".

გვხვდება განსაკუთრებული ტემპერამენტის მწერლები: შეშტეები და ეიფორული. ისინი შადრევანივით აფრქვევენ სიტყვებს, მაგრამ, როცა თავიანთ ხელნაწერს გადაიკითხავენ, ცუდ გუნებაზე დგებიან. თუ ასე არ მოხდა, თუ მწერალს თვითკრიტიკის უნარი არა აქვს, ადრე იქნება თუ გვიან კარგი მწერლის სახელს უნდა გამოეთხოვოს. არ უნდა გვეგონოს, რომ მწერლები, რომლებიც მუდამ დლეღამის გარკვეულ მონაკვეთში მუშაობენ, ჩინოვნიკებივით იქცევიან, დახედავენ საათს, მიხურავენ ფანჯარას, არ მოუსმენენ დაგვიანებულ მომსვლელებს და საქმეებს, პრესპაპიესა და მკლავზე წამოსაცმელ შალითებს უჯრებში ჩაკეტავენ. მწერალი, რაც უნდა ქარაფშუტა იყოს, თავის კლიენტს - სიტყვას, სახეს თუ პერსონაჟს - უარს არ ეტყვის მილებაზე, სულ ერთია, დილას ეწვევა იგი, შუადღისას თუ შუაღამისას. იგი, რა თქმა უნდა თავს არ დაანებებს მუშაობას, თუ საქმე კარგად მიდის, მაგრამ არც მაშინ დააგდებს კალამს, როცა წინ რაიმე დაბრკოლება გადაელობება. ამ დროს მწერალი ცოტა ხნით შეისვენებს და კვლავ საწერ მაგიდას მიუჯდება, ყველა სხვა საქმეს გადადებს, შინ ჩაიკეტება, სინათლეს ჩააქრობს, მერე კვლავ აანთებს, ღამეს გატეხს, განთიადზე აღგება, წლობით შემუშავებულ დღის რეჟიმს დაარღვევს, ოღონდ ეს მოულოდნელი დაბრკოლება გადალახოს, კრიზისს თავი დააღწიოს, შემდეგ კი კვლავ ძველ, შეჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდება.

მუშაობის მეთოდი იმდენია, რამდენი მწერალიც არსებობს ამ ქვეყნად და, ალბათ, ძნელად მოიძებნება ორი ზუსტად ერთნაირი მეთოდით მომუშავე მწერალი (რა თქმა უნდა, ძალიან უნიჭოებს არ ვგულისხმობ), მაგრამ მთავარი მეთოდი კი არა, თვითონ ნამუშევარი, მასში ჩაქსოვილი შემოქმედებითი ენერგიაა. მასზე კი მკითხველი, ჩვეულებრივ, არც კი ფიქრობს. ცუდია, რომ ამაზე არც ის ახალგაზრდა მწერლები ფიქრობენ, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ მხატვრული შემოქმედების გზას დაადგნენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს გზა ია-ვარდით არის მოფენილი, მაგრამ მალე უცრუვდებათ იმედი. მაშინ სუსტები იარაღს ყრიან, ძლიერები კი გაიხსენებენ, რომ ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია და გზას აგრძელებენ. ახალგაზრდა მოპასანმა ერთხელ ფლობერის მუშაობას უყურა და ეს სანახაობა მისთვის ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი გამოდგა. მან დაინახა, რომ სახეგაჭარხლებულ მწერალს ისე მიეცემებინა კუშტად მზირალი თვალები ხელნაწერისათვის, თითქოს საფარში ჩამჯდარი მოხადირე ნადირის გამოჩენას ელოდებაო. იგი ისეთი ყურადღებით ათვალიერებდა ფითოეულ ასოს, რომ გეგონებოდათ, მათ ფორმასა და მოხაზულობას იკვლევსო. შემდეგ კალამი აიღო ხელში და ნელა, ძალიან ნელა დაიწყო წერა. დროდადრო შეჩერდებოდა, დაწერილს ხაზს გადაუსვამდა და ახალ სიტყვას წერდა, მერე ისევ წაშლიდა და ისევ მიაწერდა სხვა სიტყვას თავზე, ქვეშ, აშიაზე... თან ისე ხვნეშოდა, თითქოს

კუნძულს ამობდა ცულით. სახეზე ძარღვები ამოჯდომოდა და იგრძნობოდა, რომ მთელი ტანი, ყველა კუნთი დაჭიმული ჰქონდა - ბებერი ლომი სამკვდროსასიცოცხლოდ ებრძოდა აზრსა და სიტყვას! აქ აღწერილი სანახაობა უკვე შემოქმედების ფსიქოლოგიას კი არა, ფიზიოლოგიას განეკუთვნება. შემოქმედების ფსიქოლოგიაზე შეიძლება ვრცელი და მეტად საინტერესო ტრაქტატი დაიწეროს, მაგრამ იგი ჩვენი წიგნის ჩარჩოებში ვერ ჩაეტევა. მიუხედავად ამისა, აქ ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვთქვათ იმ გარემოებებზე, რომლებიც ზოგჯერ, ნამდვილად, უდიდეს გავლენას ახდენს შემოქმედებით პროცესზე.

შრომის ნაყოფიერება ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული, გარდა შრომის ნაყოფიერებისა, ჯანმრთელობაზე დამოკიდებულია აგრეთვე მწერლის ტემპერამენტი, მიდრეკილებანი და შეხედულებები. მწერლის ფიზიკური მდგომარეობა ზოგჯერ მთელი ნაწარმოებების კონცეფციას აყალიბებს, ზოგჯერ კი თავისებურ ჟღერადობასა და აზრს აძლევს ცალკეულ თავებს, გვერდებს, ფრაზებს, სახეებსა და მეტაფორებს: მწერლები ძალზე უხალისოდ აღიარებენ, რომ ეს თავისებურებანი მათი ორგანიზმის ერთობ პროზაული ფუნქციების ნაყოფია. მაგრამ წერილებში, ან მეგობრებთან გულახდილ საუბრებში ზოგჯერ გამოტყდებიან და მოაქვთ საოცარი მაგალითები, თუ როგორ ხდება შემოქმედებითი ძალების აფეთქება, ან დამუხრუჭება ისეთი ფაქტორების გავლენით, როგორიცაა სიცივე, სითბო, შიმშილი, ან მსუყე ტრაპეზის შედეგად მოვლენილი სასიამოვნო განწყობილება. ისინი ზოგჯერ წყევლა-კრულვას უთვლიან სნეულებებს, რომლებმაც არ მისცეს შემოქმედებითი მუშაობის საშუალება, ზოგჯერ კი, პირიქით, ქებას ასხამენ მათ. „ხალხი ამბობს, რომ მე ავადა ვარ, მაგრამ ამ ავადმყოფობის წყალობა ხომ არ არის გონების ის უმშვენიერესი ქმნილებები, რომლებიც მკითხველს ატყვევებს სიღრმითა და გამჭვირვალობით; იქნებ ეს ქმნილებები სწორედ სნეული აზრის პირმშოა, იქნებ სხვა ფსიქიკური ფუნქციები ანიჭებს მათ სიძლიერესა და სიფაქიზეს?“ ამბობს ედგარ ალან პოს ნოველის, „ელეონორას“, ერთ-ერთი პერსონაჟი. ამ ნოველის ავტორს მე-19 საუკუნის აყვავებულსა და ჯანღონით სავსე ამერიკაში მცხოვრებ ედგარ ალან პოს თავი იმით მოსწონდა, რომ ორქიდეასავით სათუთი იყო. ჩეხოვმა მოთხრობაში „შავი ბერი“ გვიჩვენა ფიზიკურად სუსტი, ჭლექით დაავადებული ადამიანის სულიერი სიძლიერე. ამ გმირის პროტოტიპი ნამდვილად თვითონ ჩეხოვი იყო. ავადმყოფობას ქებას ასხამდა გერმანელი რომანტიკოსი ნოვალისიც.

მწერალთა სნეულებანი არა ერთხელ ყოფილა მეცნიერების კვლევის საგანი. ისინი გულმოდგინედ და ერთგვარი ხალისითაც კი იძიებდნენ, თუ რა გავლენას ახდენდა ეპილეფსია ფლობერისა და დოსტოევსკის, ჭლექი - სლოვაცკის, აგორაფობია პრუსის, ან სიფილისი ვისპიანსკის შემოქმედებაზე. მკვლევარები ცდილობდნენ რაიმე პათოლოგიური ნიშან-თვისება ეპოვათ იმ მწერლებისთვისაც, რომლებიც სრულიად ჯანმრთელად იყვნენ მიჩნეული. თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია კრეჩმერის წიგნმა. ამ წიგნის ავტორმა ისეთი ეტიკეტები მიაწება „გენიალურ ადამიანებს“, რომ ღამის ეჭვქვეშ დადგა მათი გონებრივი სისალის საკითხი. თანამედროვე მედიცინას იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში სულ რამდენიმე დღეში იქნება შესაძლებელი ნებისმიერი სნეულებისაგან განკურნება. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, კაცობრიობის გენია ან მიწის პირიდან აღიგვება, ან ჯანმრთელსა და სულიერად ყოველმხრივ მოწესრიგებულ ადამიანებში გადაინაცვლებს.

მწერალი ყოველდღიურ ცხოვრებაში იოლად ვერ ინარჩუნებს სულიერ წონასწორობას. სინამდვილეს საკუთარი გონების მიერ შექმნილი არარეალური ქიმერებითა და მოჩვენებებით აღსავსე სამყაროს ნისლი ბურავს. ერთხელ ბალზაკმა დას უთხრა, „იცი, ვისა თხოულობს ფელიქს დე ვანდენესი? მადმუაზელ დე გრანვილს! მეტად მომგებიანი ქორწინებაა, რადგან გრანვილების ოჯახი ძალზე მდიდარია, მიუხედავად იმისა, რომ მადმუაზელ დე ბელფეი დიდ ხარჯს აწყობს". ყველა, ვინც ამ საუბარს მოისმენდა, იფიქრებდა, მწერალი [illegible]ებზე, მეზობლებზე ან ნაცნობებზე ლაპარაკობსო, სინამდვილეში კი საუბარი იმ რომანის პერსონაჟებზე იყო, რომელსაც ბალზაკი იმ დროს წერდა. აი, ნამდვილი პოეტი! მისთვის გამოგონილი სამყარო იმ სამყაროს ტოლფასი იყო, რომელსაც რეალურს უწოდებენ და რომლის შემეცნებასაც უკვე რამდენიმე ათასი წელია ამაოდ ცდილობენ ფილოსოფოსები. უფრო სწორი იქნება, თუ კიტყვით, რომ მისთვის ეს გამოგონილი სამყარო რეალურზე უფრო რეალური იყო. ერთხელ მეგობარი ვილაცის ავადმყოფობის ამბავს უყვებოდა. ბალზაკი ძალისძალად უსმენდა. ბოლოს ველარ მოითმინა და შეაწყვეტინა: „ავადმყოფა, მოდი სინამდვილეს დავუბრუნდეთ - ეჭვი გრანდეზე ვისაუბროთო. მისი რომანის გმირი, ეჭვი გრანდე, მწერლისათვის იმ ხალხზე უფრო რეალური იყო, რომელთა შორისაც ცხოვრობდა და რომელთანაც ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა.

ამგვარი ამბები ალამაზებენ მწერლების ბიოგრაფიას, მაგრამ ხასიათის ის თავისებურებანი, რომელთა საფუძველზე იქმნებოდა მსგავსი მოგონებები, მწერლის სიცოცხლეში აღიზიანებდა მის ირგვლივ მყოფებს. ალბათ არ არსებობს მწერალი, რომელსაც არ ახასიათებს რაიმე უცნაურობა. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ადამიანია მოდგმისათვის უცხო არ არის ამგვარი გადახვევა საერთო ნორმებიდან. მაგრამ მწერლები იმით გამოირჩევიან უბრალო ადამიანებისაგან, რომ თავიანთ უცნაურობებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და ძალზე სწყინთ, როცა ხალხი ვერ უგებს და პატივს არა სცემს მათ ახირებებს და ჭირვეულობებს. ბალზაკი ღამღამობით მუშაობდა და ისეთ დღეში აგდებდა თავის მახლობლებს, რომ მისი ერთ-ერთი მდივანი ჭკუაზე შეირყა. კანტი თავის ირგვლივ ვერ იტანდა ცოლიანებს და როგორც კი გაიგო, რომ მისმა ძველმა და ერთგულმა მსახურმა ლამპემ ცოლი შეირთო, მაშინვე დაითხოვა.

მწერალმა ყოველნაირ საქმეში შეიძლება გამოაცალინოს თავისი უცნაურობა და ახირებულობა: სახლის და ბინის არჩევაში, ჩაცმულობაში, ჭამაში, ქესტებში, ლაპარაკის მანერაში. ფართოსაყელოიან ხალათს დღესაც სლოვაკის ხალათს უწოდებენ. სლოვაკიმ იგი ბაირონისაგან გადაიღო. ამ უკანასკნელმა კი ასეთი საყელო იმ ჟაბოსაგან გადააკეთა, რომელსაც შექსპირისდროინდელ პორტრეტებზე ვხედავთ. აპოლინერი ლითონისღილებიან რუხ-მოლურჯო ჟილეტს ატარებდა და ირწმუნებოდა, ეს ჰოლანდიელთა ჰანზის წევრების ფორმააო, მაგრამ იმას კი აღარ განმარტავდა, თუ რატომ იცვამდა ჰანზის ფორმას. პიერ ლოტი საწერ მაგიდას აღმოსავლურ ტანსაცმელში გამოწყობილი უჯდა, რობერ დე მონტესკიე კი, გონკურებთან რომ მიდიოდა, აბრეშუმის იაპონურ ჟილეტს იცვამდა, რადგან გონკურებს ყველაფერი იაპონური უყვარდათ. უაილდი, სანამ მოდის კანონმდებელი გახდებოდა, მოკლე შარვლით და ხავერდის ბერეტით დასეირნობდა, პიჯაკის ღილკილოში კი შროშანი ან მზესუმზირის ყვავილი ეკეთა. მისი თვალსაზრისით ასე უნდა სცმოდა ჭეშმარიტ პოეტს დედოფალ ვიქტორიას უღიმღამო და მოსაწყენ ეპოქაში. ოდესღაც პოეტები მართლაც გამოირჩეოდნენ ჩაცმულობით. ძველ დროში

შუბლზე ბაფთა ჰქონდათ გადახვეული, შუა საუკუნეებში მწერლის განმასხვავებელი ნიშანი ქამარზე ჩამოკიდებული სამელნე და ბატის ფრთის კალმების კონა გახლდათ. თუმცა ეს მთლად საიმედო ნიშანი არ იყო მწერლის გამოსაცნობად. შეიძლებოდა მწერალი მოხეტიალე ბაკალავრი, ან გადამწერი ჰგონებოდათ. წინათ პოეტს აუცილებლად გრძელი თმა უნდა ჰქონოდა. ზოგი ცდილობდა მოკლე ჭკუა გრძელი თმით დაეფარა. თმამოშვებულ პოეტებს ყველა ლამის კაფეში ნახავდით. ბოჰემა სრულიადაც არ გახლავთ მარტო მე-19 საუკუნის პირმშო. „ბევრი პოეტი თავს არ იწუხებს ფრჩხილების მოქნითა და წვერის გაპარსვით. ისინი ცდილობენ, განმარტოვდნენ... არ უყვართ აბანოში სიარული", - წერდა ჰორაციუსი. თუ ყოველივე ამას არყის ბოთლსა და კარგა დიდ კეტს დავუმატებთ, ვარშავის ბოჰემის წარმომადგენლის ზმორსკის პორტრეტს მივიღებთ. ფანტოფარფლებიანი , ფანტასტური შლაპა და პელერინა ამშვენებდა „ახალგაზრდა პოლონეთის" წევრებსა და მის ეპიგონებს. შლაპაცა და პელერინაც პირველი მსოფლიო ომის ქარიშხალმა წაიღო. დღეს ბოჰემა უკვე ლეგენდად და გადმონაშთად იქცა, მაგრამ ბოჰემის სილუეტი იმდენად შთამბეჭდავია და მისი წარმომადგენლები ისე ძვირფასნი არიან ლიტერატურული ცხოვრებისათვის, რომ უახლოეს მომავალში კვლავ გაჩოჩნდებიან რაიმე ახალი ფანტასტური თავსაბურველით დამშვენებულნი.

ასეთი ექსტრავაგანტურობა ყოველთვის ორიგინალობის სურვილით არ არის გამოწვეული. ადამიანს, რომელიც წარმოდგენებით ცხოვრობს, მიღრეკილება აქვს მის ფანტაზიაში დაბუდებულ პერსონაჟებს დაემსგავსოს. ამიტომ, საერთოდ მიღებული ნორმების ნაცვლად თავის ფანტაზიას ემორჩილება. იგი ჯიუტად უგულებელყოფს ქცევის წესებს, მოდას, თავისი წრის ენას და ყოველგვარ პირობითობას - ცუდსაც და კარგსაც. ასე იქცევიან ბოჰემის წარმომადგენლებიც და მისი მოწინააღმდეგეებიც - ხელოვნებაში არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლები, მაგალითად ბაირონი ან უაილდი. ისინი თავიანთ მიერ გამოგონილ ორიგინალურსა და მომხიბვლელ სამყაროში ცხოვრობენ და ამ სამყაროს ერთფეროვან, მოსაწყენ სინამდვილეს უპირისპირებენ. ამ პროტესტს შეიძლება რევოლუციური სულიც ჩაბერონ. ამ სულით იყო გაჟღენთილი ლოზუნგი: „თავზარი დაეცეთ ბურჟუებს". ეს ლოზუნგი მე-19 საუკუნის შუაწლების - ბურჟუაზიის აყვავების ეპოქის - ყველაზე უფრო პოპულარული დევიზი იყო. გოტიემ სერთუკებსა და ქაბურა ქუდებს ზურგი აქცია და ხაგერდის შავ ქურთუკსა და ყვითელი ტყავის ფეხსაცმელებს ატარებდა, მოშვებულ თმებს კი არანაირი ქუდით არ იფარავდა. სამაგიეროდ ქოლგას არ იშორებდა - როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, გაშლილი ქოლგა ეჭირა ხელში. ერთხელ მეწამული ატლასისაგან უცნაური თარგის ჟილეტი შეაკერინა. ეს ჟილეტი მხოლოდ ერთხელ ჩაიცვა და თეატრში წავიდა, მაგრამ ამის შემდეგ პროვინციულ მეშჩანებში გავრცელდა ლეგენდა, რომ გოტიეს ყველგან და ყოველთვის მეწამული ჟილეტი ეცვა, ახალგაზრდა ლიტერატორებმა კი ეს ჟილეტი ყოველგვარი მესჩანური რუტინის წინააღმდეგ გაბართული ბრძოლის ბაირაღად აქციეს. იქნებ იფიქროთ, რომ ყოველივე ამას არავითარი შინაგანი კავშირი არა აქვს შემოქმედებასთან? ასე თუ იფიქრებთ, ძალიან შემცდარი იქნებით! „ძალიან გვიყვარს წითელი ფერი, - ამბობს გოტიე, ეს კეთილშობილი ფერი - ძოწის, სისხლის, ცხოვრების, სინათლისა და

1. ლიტერატურულ-მხატვრული მიმდინარეობა პოლონეთში მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე.

ხითბის ფერი". ეს ფერი მას მხნეობასა და გამბედაობას უმატებდა, მისი წყალობით ჯოტიე რენესანსის ეპოქის მამაც ადამიანად თვლიდა თავს. გონკურებსაც ასევე უყვარდათ ღია, ცინცხალი ფერები.

მწერალი ყოველთვის ფეტიშისტია - სწამს, რომ ზოგ ნივთს, ფერსა თუ ხმას განსაკუთრებული ძალა აქვს. წლები რომ გავა, მისი კაბინეტი, ფეხსაცმელი და თვითონ მწერალიც ფეტიშების კოლექციად გადაიქცევა ხოლმე. ამ ფეტიშებს ძალუძთ გამოუძახონ სულებს, ჩააყენონ ქარიშხალი და გაანათონ უკუნი სიბნელე. მუზეუმებსა და მწერლის ნივთების აღწერილობებში ამ ფეტიშების მხოლოდ მცირე ნაწილი სვლება. უმეტესობა შეუნიშნავი რჩება და იღუპება. ნიჟარებს, კენჭებს, სიძველისაგან გაშავებულ წაბლებს, გამხმარ ტოტებს, ბახარზე ნაყიდ მდარე ნახატებს, რკინისგზის ბილეთებს მწერლის გარდაცვალების შემდეგ სანაგვე ყუთში გადაუძახებენ ხოლმე. არა და, ვინ იცის, რამდენ რამეზე აუხილეს თვალები მწერალს და როგორ შეატრიალებინეს ნაწარმოების ფაბულა ამ თითქოსდა უმნიშვნელო ნივთებმა. ისინი დაკვირვებულ მკვლევარს ძალიან ეხმარება მწერლის მსატვრული მოტივების ამოცნობასა და გაანალიზებაში. კრაშევსკიმ ჟურადღება მიაქცია ნორვიდის ფეტიშებს და მიხვდა, თუ რა დანიშნულება ჰქონდა მათ. „თავიხი ალბომიდან მწერალი იღებს სურათს და საწოლის პირდაპირ კედელზე ჩამოკიდებულ ჩარჩოში სვამს, - გვიამბობს კრაშევსკი, - ეს სურათი რაღაცას აგონებს და ახლა მას ამ მოგონებით უნდა იცხოვროს. სურათი რამდენიმე კვირა ჰკიდია კედელზე, საწოლის პირდაპირ, ხანდახან რამდენიმე თვეც. შემდეგ კი პატრონი ახალ სურათს სვამს ჩარჩოში. სხვა ჩარჩოში გამხმარი ფოთლებია ჩადებული - ეს ფოთლები ვიღაცის ცხოვრების ნაკვალევია". მაინც რა დიდი მნიშვნელობა აქვს შპალერის ფერს, კედელზე ჩამოკიდებულ სურათს, ოთახის განათებას! ჰოფმანის სამუშაო ოთახს შავი შპალერი ჰქონდა გაკრული, ლამპას კი ხან თეთრ, ხან მწვანე, ხან კი ცისფერ აბაჟურს უკეთებდა. ზოგჯერ მწერალი ისეთ ადგილს ირჩევს სამუშაოდ, სადაც თითქოს ყველაფერი ხელს უნდა უშლიდეს, მაგრამ სხვა ბინაში გადასვლისას, შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად, კვლავ ისეთივე მოუხერხებელ პირობებს იქმნის. ამის მიზეზის ძიება უნაყოფო იქნება. მას ფესვები მწერლის შორეულ, უკვე დავიწყებულ შემოქმედებით ცხოვრებაში აქვს გადგმული და მრავალი ცრურწმენითაა დაფარული. მწერალი რომ ამ ჩვეულ, თითქოსდა მოუხერხებელ გარემოს მოეწყვიტოთ, მუშაობას ვერარ შეძლებს. დიდი მნიშვნელობა აქვს წელიწადის დროს. ხლოვაკი ყველაზე დიდ მოსავალს შემოდგომობით იმკიდა; შილერი გაზაფხულის ნიავის დაქროლისთანავე ასხამდა ხორცს ყველა იმ ჩანაფიქრს, რომლებზედაც ამაოდ წვალობდა მთელი ზამთრის განმავლობაში. პლინიუს უმცროსს ზღვის დანახვისას ემატებოდა შემოქმედებითი ენერგია. უკიდეგანო ოკეანის ხილვას, შეიძლება, არავითარი სტიმული არ მიეცა დიუმელისათვის, სამაგიეროდ იგი საოცრად აღაგზნებდა ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებით ფანტაზიას. შორეულ ეკლესიაში ჩამორეკილი ზარები, ქარის შრიალი, ნვიმის წვეთების მოსოტონური ხმა, თოვლით დაფარული თვალუწვდენელი და უკიაცრიელი მინდორი, ნორჩი არყის ხის ფოთლების ჩურჩული, წყლის შროშანის ახალგაშლილი ბუტკო, წლების განმავლობაში გაუსსნელი კოლოფიდან ამოსული სურნელი, ყავაში ჩამბალი ბისკვიტის გემო და სხვა მრავალი ყოველდღიური შემთხვევა მწერლისათვის ზოგჯერ უზარმაზარ, ძომაჯადოებულ მოვლენად იქცევა. ვინ დათვლის, რამდენი ასეთი შემთხვევა დარჩა მწერალს შეუნიშნავი, რამდენი ახალი ელოდება!

მოპასანი დაფიქრებია ამ საკითხს: „ადამიანის ბუნების იშვიათი და ალბათ ხაშიში თავისებურება ის გახლავთ, რომ მისი ეპიდერმა და ყველა ორგანო ერთობ მგრძნობიარეა. მათი საშუალებით უმცირესი ფიზიკური შეგრძნებები იძენენ თვისებებს, რომელთაც ძალუძთ სულით ხორცამდე შეძრან ადამიანი. ჰაერის ტემპერატურას, მიწის სუნს ან ამინდის შეცვლას შეუძლია გააშიაროს ან დაასვენოს ადამიანი. ზოგჯერ ვერ ბედავ თეატრში წასვლას, რადგან ბრბოსთან შეხვედრა უცნაურად გაფორიაქებს, ვერ ბედავ სამეჯლისოდ ადგილზე შესვლას, რადგან წყვილების მხიარული ცეკვა შენში აღშფოთებას იწვევს თავისი ბანალურობით. ამ დროს საშინელი უგუნებობა და სევდა გეუფლება, მზადა ხარ იტირო, ან უმიზეზოდ იცინო. ავეჯის განლაგება, შპალერის ფერი თუ ოთახის განათება ხშირად იწვევს გუნების შეცვლას. ფიზიკური შეგრძნებების თავისებური კომბინაციების წყალობით სუსტი ნერვული სისტემის მქონე ადამიანები საოცრად დიდ ხიამოვნებას იღებენ... რა არის ეს, ბედნიერება თუ უბედურება? არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ, თუ ნერვული სისტემის მგრძნობიარობა დაქვეითებული გვაქვს, თუ მას არ შეუძლია ტკივილი მოგვაყენოს, ან აღგვაგზნოს, არც მძაფრი ემოციები გვექნება და არც ცოცხალი და ხატოვანი შთაბეჭდილებები".

მოპასანი ამ სტრიქონების წერისას გულისხმობდა თავის თავს და თავის მსგავს ზემგრძნობიარე ბუნების მქონე ადამიანებს, მაგრამ ყოველ შემოქმედს, თვით იმასაც, ვისი ფსიქიკური ჯანმრთელობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, აქვს ისეთი მიდრეკილებები და ანტიპათიები, რომელთაც ვერავითარ ახსნას ვერ მოვუძებნით. ოლიმპიელი გოეთე ნივრის სუნს, სათვალიან ადამიანსა და ძაღლებს ვერ იტანდა. როცა იმ თეატრის სცენაზე, რომლის დირექტორიც თვითონ იყო, ჰერცოგის ბრძანებით ძაღლი გამოიყვანეს, გოეთემ თაკი დაანება სამსახურს.

ანტიპათიებსა და იდიოსინკრეზიაზე უფრო ხშირად გვხვდება სიმპათიები და გატაცებები, რომელთა წარმოშობაც ასევე იდუმალებით არის მოსილი. ზოგჯერ მწერალი ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რაიმე საგანს, რომ ამის მიზეზის ახსნა ყოველად შეუძლებელია.

როცა მწერალი რწმუნდება, რომ რომელიმე გარემო შემოქმედებით სტიმულს უღვიძებს, უამისოდ მუშაობა აღარ შეუძლია. თუ სხვაგან მოუხდა წასვლა, დარდობს და თვალწინ სულ წინანდელი გარემო უდგას. ძველი გარემოს დავიწყებას და ახალთან შეჩვევას ხანდახან ერთობ დიდი დრო სჭირდება. ნაყოფიერი, ტემპერამენტიანი, შემოქმედებითი სუბსტანციით აღსავსე და მიზანსწრაფული მწერლები ახერხებენ, თავი დააღწიონ კაპრიზების ტყვეობას, სუსტი, აზრების მცირე მარაგის მქონე, ნაკლებად მგრძნობიარე და ფანტაზიას მოკლებული ხალხი, ისეთი მწერლები, რომელთაც არასოდეს არ ეწვევათ სტუმრად შემოქმედებითი ექსტაზი, ვერასოდეს ახერხებენ თავის დახსნას ზემოხსენებული კაპრიზებისაგან. ისინი იმ მცენარეებს ჰგვანან, რომელთაც მხოლოდ სათბურში ძალუძთ აყვავება. თუმცა ამგვარი მწერლების მთლიანად უგულებელყოფა არ შეიძლება - მათ შორის ექსცენტრიულ არარაობათა გარდა ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებიც არიან.

წინათ, მწერალთა შორის, იშვიათად გვხვდებოდნენ ახირებული და მანჭია ადამიანები. შუა საუკუნეებში თითქმის ყველა მწერალი სახელიერო წოდებას მკუთვნოდა, ეს წოდება კი გარკვეულ დისციპლინას ემორჩილებოდა. აღორძინების ეპოქაში და მომდევნო პერიოდში წიგნებს მხედართმთავრები, პოლიტიკური მოღვაწეები და სამეფო კარის დიდებულები წერდნენ. ისინი ცხოვრების

ორომტრიალში იყვნენ ჩაბმულნი და იმის დრო არა ჰქონდათ, რომ ლამეები ეთენებინათ ხელნაწერზე - საჭირო სიტყვა, მეტაფორა, თუ გამოთქმა ხეირნობის, ან სერობის დროს უნდა მოეფიქრებინათ. მე-18 საუკუნიდან პროფესიონალი მწერლები მომრავლდნენ და ისე ჩაეფლნენ თავიანთ საქმეში, რომ სხვა ალარაფრისათვის ალარ რჩებოდათ დრო. „გეფიცები, აი, უკვე ორი წელია, რაც არც ერთი სურათი არ მინახავს და არც ერთი მუსიკალური ფრაზა არ მომესმენია. უფრო მეტიც - იმის საშუალებაც არ მომეცა, რომ ერთხელ-ორ-ჯერ დინჯად მესაუბრა ვინმესთან!“ შესჩიოდა კონრადი გოლზუორთის (ამ დროს კონრადი რომანს წერდა და ცდილობდა ყველაფერს განრიდებოდა).

როცა მწერალი შეუსვენებელი შრომისაგან გადაიქანცება, ძალის მოსაკრებ საშუალებებს დაუწყებს ძებნას. ჯერჯერობით არ არის დაწერილი გამოკვლევა, სადაც ჩამოთვლილი იქნებოდა ყველა ის აღმგზნები საშუალება, რომელთაც ლიტერატორები მიმართავენ ძალ-ღონის მოსაკრებად. ნეტავი რას გვიჩვენებდა ამგვარ გამოკვლევაში მოტანილი სტატისტიკური მასალა: შეიძლება, დაედგინა, რომ პოეტთა უმეტესობა სასმელის მტერი , ან იქნებ დაედასტურებინა თითქმის საყოველთაოდ მიღებული აზრი, რომ პოეტი და ღვინის ბოთლი განუყრელი მეგობრები არიან. კოხანოვსკი სრული სერიოზულობით კითხულობდა: „ფხიზელი პოეტი გაგიგონიათ? ასეთი პოეტი ხომ კარგ ლექსს ვერ დაწერს“. კოხანოვსკის ორი ათასზე მეტი წლით დაასწრო ამავე აზრის გამოთქმა ათენელმა კომედიოგრაფმა კრატინემ. კომედიაში, რომლის სათაურია „ბოთლი“, კრატინემ გამოსახა თავისი თავი მეუღლითა და საყვარლითურთ. მეუღლის სახელია კომედია, საყვარლისა კი მეთე, ანუ ლოთობა.

ღვინო ცინცხლებს ისვრის ეგვიპტელ მგოსანთა სტრიქონებიდან. ღვინის კისკისი ისმის ბაბილონური ლურსმულ დამწერლობით მოღწეული ლექსებიდან. ქებათა ქება პირთამდეა მოყრილი ყურძნის მათრობელა წვენით, ხოლო შორს, აღმოსავლეთში ჩინელი სილენი - ლი ტაი-ბო ნავიდან მთვრალი გადაეშვება ხუანხეს ტალღებში და მთვარის დაჭერას ლამობს. ბერძნულ პოეზიას საუკუნეთა მანძილზე გასდევს დიონისეს სული და ანაკრეონტის მხიარული სიმღერა, ანაკრეონტისა, რომელსაც გადმოცემის თანახმად ჭაჭა გაეჩხირა სასულეში, თორემ ოთხმოცი წლის სიცოცხლეს არ დასჯერდებოდა. ამ საუკუნეებს ამშვენებს ევრიპიდეს მიერ დახატული ბახუსის ტრფიალ ქალთა ძოწის მოსასხამები და არისტოფანეს უნაზესი ლირიკა, რომელშიც კვამლით შებოლილ თხიერის სუნს დილის ნამის ციმციმი ენაცვლება. შემდგომში ბახუსმა რომშიც შეაღწია და ახლა უკვე ლუკრეციუსი ეწაფება მაგარი, შუშხუნა სასმელით სავსე ბრინჯაოს ორთომელას, ჰორაციუსი კი აღორძინების ეპოქის ხალხთან გადადის ალავერდს კამკამა სტრიქონებით პირთამდე სავსე თასით, შემდეგ თავის მაგიდასთან იწვევს რონსარს, ხოლო კოხანოვსკისთან ერთად „მოხატული კათხით“ ქეიფობს. ტრაქტატში „ღვინო პოეტთა ცხოვრებაში“ გვხვდება ფრიად „გაბუნდოვანებული“ გვერდები ყველა ეპოქის „დაწყეველილ პოეტებზე“, რომლებიც ალექსანდრიელი ეპოქიდან მოყოლებული („წვიმა და ღამე, ღამე და ღვინო“. წერდა ერთი იმდროინდელი პოეტი) მიისწრაფოდნენ პირქუში დიდების მწვერვალებისკენ. საამისოდ კი მათ ან „მაგების ნანგრევები“ უნდა გადაელახათ ირანელ პოეტ ჰაფეზივით, რომელიც ცოდვის ნაჟურივით ურევდა ღვინოს თავის ყაზალებში, ან ვიიონივით სამიკიტნოებში უნდა ეთენებინათ ღამეები და ბოჰემურად გაეტარებინათ მთელი ცხოვრება სარდაფებსა თუ მანსარდებში. ღვინო ფრთებს ასხამს პოეტს,

გონებას უსპეტაკებს და ახალისებს. ყოველივე ეს კი ნაწარმოებს მატებს ჰარმონიას, სიმწყობრეს და მიმზიდველობას. ღვინოს დიდი სიკეთე მოაქვს ლიტერატურისათვის, ზარალი კი უმნიშვნელოა, რადგან თვით ხელიდან წასული ლოთებიც კი განიცდიან ღვინის კეთილისმყოფელ გავლენას, მის მაცოცხლებელ ძალას. მარტო საწყალ ერაზმუს როტერდამელს არ გაუმართლა ბედმა - რატომღაც დაიჩემა სნეულ თირკმელებს ღვინო მომირჩენსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერის დროს დალეული ერთი ჭიქა კარგი ღვინო ფანტავს გონებაზე გადაფარებულ ნისლს, აღაგზნებს წარმოდგენას, ფრთებს ასხამს აზრს; ზედიზედ ჩნდება მეტაფორები, ღვივდება ფართოდ განტოტებული, მოულოდნელი ასოციაციები. მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ჩესტერტონი ან რომენ როლანი; რომელმაც ბურგუნდული ღვინის წყალობით კელავ შეძლო წლების განმავლობაში კაცობრიობის დამოძღვრით მინავლული ჭაბუკური ცეცხლის აგზნება და „კოლა ბრიუნიონი" შექმნა.

როცა ანატოლ ფრანსი გაზეთ „დროებაში" გასაგზავნ ყოველკვირეული ფელეტონის დასაწერად მიუჯდებოდა მაგიდას, ღვინიან გრაფინს დაიდგამდა და დროდადრო მოსვამდა ხოლმე, რადგან ფელეტონის წერა დიდად არ ეხალისებოდა. ერთხელ შეეშალა და კონიაკით სავსე გრაფინი გადმოიღო ბუფეტიდან. სანამ წერას დაიწყებდა, ერთი ჭიქა ოქროსფერი სითხე გადაჰკრა და ძალზე შეშფოთდა, ვაი თუ დავთვრე და ფელეტონი ვეღარ დავწეროო. მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო. ანატოლ ფრანსმა წერა დაიწყო. კალამი ელვის სისწრაფით მიჰქროდა ქაღალდზე. ერთ საათში ფელეტონი მზად იყო. სტამბიდან შიკრიკი ბიჭი მოვიდა და წაიღო, მწერალი კი წამოწვა და დაიძინა. მეორე დღეს, როცა ანატოლ ფრანსი რედაქციაში მივიდა, უთხრეს, მთავარ რედაქტორს, ებრარს, თქვენი ნახვა უნდაო. კარზე რომ აკაკუნებდა, დარწმუნებული იყო სამსახურიდან გამაგდებსო, რედაქტორმა კი ხელფასი მოუმატა. ეს იმ აღმაფრენის ჯილდო იყო, რომელიც ფელეტონის წერის დროს ეწვია. ასეთი გზნებით დაწერილ ფელეტონს მისგან არ მოელოდნენ.

შესაძლებელია, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა კონიაკმა კეთილი სამსახური გაუწია ლიტერატურას. საერთოდ, ვონიაკსა და არაყს ბევრი უბედურება მოუტანია მისთვის. რამდენი ტალანტი ჩამხრჩვალა არყის ჭიქაში! პშიბიშევსკის სკოლის მიმდევრებისათვის ლოთობა ერთ-ერთი ძირითადი მცნება იყო (ოღონდ ქრისტესი კი არა - ეშმაკისა). ლოთობა მიჩნეული იყო დიდებისაკენ მიმავალი გზის ერთადერთ ეტიკად. სნობები და გრაფომანები არყის საშუალებით ცდილობდნენ ლიტერატურაში დამკვიდრებას. ყველას, ვინც პშიბიშევსკის მისი სიცოცხლის ბოლო წლებში გაიცნობდა, ვინც თვალს მოჰკრავდა ამ საცოლავ, თითქოსდა დოსტოევსკის რომანების ფურცლებიდან გადმოსულ ხელებაკანკალებულ ლოთს, სიყვარულსა და შეგობრობას რომ ეფიცებოდა უცნობს და ნაცნობს, საკოცნელად მიიწევდა და სიტყვებს თავს ვერ უყრიდა, ვინც მის წიგნს „მწუხარების სამეფოს" წაიკითხავდა, რომელიც პშიბიშევსკიმ თავისი ცხოვრების იმ ნაღვლიან პერიოდში დაწერა, როცა მიხვდა, რომ მოწიფულობის წლები დაუნანებლად გააყოლა არყის ოხშივარს, უკლებლივ ყველას, ვინც კი ამ დროს ნახავდა ამ უაზრო ფრაზებით აღსავსე, ზერელად დაწერილი წიგნის ავტორს, შეეძლო ეთქვა, გზასაცდენილი ელვარე ტალანტის დალუპვის მოწმე გავხდიო. მე-19 საუკუნის ყოველი ქვეყნის ლიტერატურას მრავალი ამგვარი ლოთი ჰყავდა შეხიზნული. ისინი ამ ეპოქის დარდი და უბედურება იყვნენ: უთავბოლო და უსარგებლო იდეებს ავრცელებდნენ,

ყალბ გრძნობებს უმღერდნენ, დაცემულობის განწყობილებას სთესავდნენ ირგვლივ და ძარღვსა და ნიათს აცლიდნენ სტილსა და ენას. გამონაკლისად მხოლოდ ვერლენი შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც თუმცა ყოველდღე იწამლავდა თავს აბსენტით, მაგრამ სიკვდილამდე ინარჩუნებდა ზეგარდმო ბოძებულ ნიჭს.

არაყში, ჩვეულებრივი ლოთების გარდა, ისეთი ტალანტებიც ვძებენ ხსნას, რომლებიც ან უკვე მთლიანად დაიცალნენ შემოქმედებითი ენერგიისგან ან იგრძნეს, რომ ძველებურად ველარ ეწევიან მწერლობის მძიმე ტვირთს. ასევე ცალსახაა, რომ ისინი თავს იტყუებენ: არყის დახმარებით ჯერ არავის შეუქმნია რაიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ალკოჰოლს მეტწილად დეპრესიის, სასოწარკვეთილების დროს ან მაშინ ეტანებიან, როცა საზოგადოების ცხოვრების რიტმი მოდუნებულია და ლიტერატურა ერთ ადგილზე იტკეპნება. ასეთი იყო მე-19 საუკუნის ორმოციანი წლები- ვარშავის ბოჰემის აყვავების პერიოდი. უნდა შევნიშნოთ, რომ ის პოეტები, რომლებსაც გერბად არყის ჭიქა აქვთ არჩეული, ცდილობენ იგი გრაალის ჯადოსნურ თასად წარმოგვიდგინონ. ჰშიბიშევსკი თავის ნაწარმოებში „ჩემი თანამედროვეები" ალკოჰოლს მისტიურ ძალას ანიჭებს. ვარშავის ბოჰემა თავის ლოთობას ქურუმთა წამოსასხამში ხვევდა - ამტკიცებდა, რომ მთვრალს ნათელმხილველობის უნარი უჩნდება, რომ მთვრალი სამყაროს უდიდეს საიდუმლოთა შეცნობის ნიჭს იძენს.

ასეთები იყვნენ დაწყეველილი პოეტები. ამ სახელწოდებამ ძალიან მოიკიდა ფეხი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის ტიტულადაც კი იქცა. პოეტს ისე არაფერი უხვეჭდა სახელს, როგორც საეჭვო საქციელი, პოლიციასთან კონფლიქტი და საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმების უგულებელყოფა. ვისაც ბედი არ უმტკუნებდა და ავარის სახელს ვერ მოიპოვებდა, უკიდურესი საშუალებისათვის უნდა მიემართა - არყით გალეშილიყო და თხრილებში ეგორავა. ერთი თვით მოხვედრა საავადმყოფოში ან სანატორიუმში კი უდიდესი ჯილდოს ტოლფასი იყო. მწერლებში ნარკომანებიც არიან. ჯერ ცნობისმოყვარეობის გამო გაუსინჯავენ გემოს მორფს, კოკაინს, ოპიუმს თუ პეიოტლს, შემდეგ ეჩვევიან და ნარკოტიკები უკვე აუცილებელია გუნების გამოსაკეთებლად, ეგზალტაციისათვის, პოეტური ხილვების სამყაროში შესახვლელად, ლექსისათვის ელვარების და ფერადოვნების მოსაძალებლად. თუმცა ნარკომანთა სიაში ბოდლერიც და კვინსიც ჩაწერეს, ახლა კი ოლდოუს ჰაქსლი გამოდის პეიოტლის ალკალოიდის მესკალინის პროპაგანდისტად და ამტკიცებს, რომ მესკალინი უებრო საშუალებაა ახალი პოეტური ხილვების სამყაროში შესაღწევად, ახალი იდეების წარმოსაქმნელად და ახალი ჰორიზონტების დასაპყრობად, მაგრამ, ჩვენი აზრით ამ მოშხამულ იმქვეყნიური სამყაროსაკენ ყველაზე ხშირად ან სუსტი პიროვნებები მიისწრაფიან - ისინი, ვისაც ნათელი აზროვნების უნარი არ შესწევთ, ნერვული სისტემა შერყეული აქვთ, წარმოსახვის უნარი კი დაშრეტილი, ან დეკადენტური სულიერი წყობის ადამიანები, რომლებიც მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, კაცობრიობის უკანასკნელი თაობა ვართო. წარმოუდგენელია, ნარკომანთა შორის სოფოკლეს, შექსპირის ან გოეთეს მსგავსი მწერლები ვიპოვოთ - ამგვარი ბუნების ადამიანები ყალბი და ნაძალადევი ხილვების გულისათვის თავს არ გაიბრუებენ. ასეთ მწერლებს ნათელი გონება ყველაფერზე ძვირად ულირთ, რადგან მისი წიაღიდან ამოაქვთ ყოველივე, რაც კი საუკეთესოა მათ შემოქმედებაში. სინამდვილეს ისე დიდად აფასებენ და ისე შეჰხარიან, რომ ძილის საათებს დაკარგულად თვლიან.

ძნელია ისეთი მწერლის პოვნა, რომელსაც უცნაურობები და თავისებურებები არა ჰქონდეს. შილერს მუშაობისას ცივ წყალში ედგა ფეხები, ბალზაკი თურმე ხანდახან ფეხშიშველა დგებოდა ქვის ფილაქანზე და ისე წერდა; ბაირონი ლაუდანუმს ხმარობდა, პრუსი მძაფრსუნთან სუნამოებს ყნოსავდა, ბალზაკი - ხუმბულს, რომელიღაც მწერალი კი დამპალ ვაშლს. იბსენი სასმელთან მწყრალად არ იყო, თანაც მუშაობის დროს ვადასაყრელ ქალალდებსა და [illegible] ანგუწებდა. რუსო მცხუნვარე მზეს უშვერდა თავს - ასე გონება უფრო კარგად მუშაობსო, ბოსიუე კი ამავე მიზანს იმით აღწევდა, რომ ცივ ოთახში ჯდებოდა სამუშაოდ, თავს კი თბილად იფუთნიდა. ყოველ მათგანს ინსტინქტმა უკარნახა ამგვარი ქცევა. ფიზიოლოგების აზრით, ყველა ზემოხსენებული ხერხი სისხლის მიწოლას იწვევს თავში, რაც აუცილებელია შემოქმედებითი მუშაობის დროს. თუ ეს მართლაც ასეა, ყველაზე კარგი ხერხისათვის ძილტონს მიუგნია: იგი დაბალ ტახტზე იწვა, თავი კი თითქმის იატაკამდე ჰქონდა გადმოკიდებული და ისე კარნახობდა თავის ლექსებს.

ყავა კოპტმა ბერებმა აღმოაჩინეს. გარკვეულ პერიოდში მათ ორმოცი საათის განმავლობაში შეუსვენებლად უნდა ელოცათ და თან ძილის ლაშქართან ებრძოლათ. ეს ბრძოლა მეტწილად ბერების დამარცხებით მთავრდებოდა, ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა შენიშნა, თხები, რომელიღაც ბუჩქს რომ გადასძოვდნენ, უჩვეულო სიმკვირცხლეს იჩენდნენ. ბერებმა დაიწყეს ამ უცნობი ბუჩქის ნაყოფის მოგროვება. ჯერ უმს ლეჭავდნენ, შემდეგ მოხალულს, ბოლოს ნაყენის დამზადებაც ისწავლეს. არაბებს სახაციოლოდ არ ჰყოფნით ეს ლეგენდა. ყავის სამშობლოდ ახინი იემენს თვლიან. თავიდან ისლამი მკაცრად დევნიდა ყავას, შემდგომში დევნას უკლეს, ბოლოს კი ყავამ ფანატიკური მიმდევრები გაიჩინა. ყავამ ევროპაში საკმაოდ გვიან შეაღწია. ვენის მახლობლად, თურქეთის ჯარის ბანაკში, პოლონეთის მეფის იან სობესკის ჯარისკაცმა, ვინმე კულჩიცკიმ რამდენიმე ტომარა ყავა იპოვა და ვენაში ყავახანა გახსნა. ეს პირველი ყავახანა იყო ევროპაში. ვენაში დღესაც აღნიშნავენ ამ თარიღს. პოლონეთის შლიახტას კი ყავა არ მოეწონა. პოლონურ ლიტერატურაში ყავას პირველად ანჯეი მორშტინი ახსენებს. იგი ასეთი ლექსით „ამკობს“ ამ სასმელს:

> მახსოვს, მალტაზე ვსვამდით უცნობ დასალევს რასმე
> ფაშა მუსტაფას, ფაშა-ალის საყვარელ სასმელს,
> რაც მხოლოდ თურქის გემოვნების თუ არის, თორემ
> ჭიქას არ დასვრის ქრისტიანი იმისთვის - სწორედ!...
> ურჯულოებში გასავალი დიდი აქვს ყავას,
> ჩვენ კი რას ვაქნევთ, შეგვერგება, ღმერთმანი, ავად!..

მხოლოდ ასი წლის შემდეგ გამოვიდა წიგნი, რომელშიც აღწერილი იყო, თუ როგორ ეხმარათ „თურქული ამბროზია“. მალე ჩარტორისკი წერს კომედიას „ყავა“, უკვე მუშაობს „კაფე - ჰაუზები“ და იოჰან სებასტიან ბახი კანტატას უძღვნის ყავას. ნამდვილად ღირს იმის წაკითხვა, რასაც მე-18 საუკუნის მწერლები დიდრო, რუსო, მარმონტელი, ლესაჟი და გრიმი წერდნენ ყავაზე. ისინი კაფე „რეჟანსის“ მუდმივი მუშტრები იყვნენ. ამ კაფეს, რომელიც დღესაც არსებობს, მრავალი თაობის ლიტერატორთათვის გაუწევია მასპინძლობა. როგორც კი ქაფქაფა ყავით სავსე პირველი ფინჯნები გაჩნდა მწერლების მაგიდაზე, დაიწყო ამ საოცარი სასმელის ქება-დიდება. მოგვიანებით მიშლემ ყავის მიერ მოხდენილ დიად გადატრიალებას შეასხა ხოტბა: „ყავამ ბოლო მოუღო იმ სამარცხვინო ტრაქტირებს, სადაც ლუდოვიკო XIV მეფობის დროს ახალგაზრდებს მეძავი ქალები ჩაჰყავდათ ღვინის

კასრებით სავსე სარდაფებში და თავაწყვეტილ ღრეობებს აწყობდნენ. ყავის გამოჩენის შემდეგ კი ღამღამობით უკვე კანტიკუნტად ისმოდა მთვრალების ღრიანცელი და ალარც იმდენი ნასვამი ცვიოდა თხრილებში. სან-დომინგოდან შემოტანილი მაგარი ყავა კიდევ უფრო აგზნებდა ბიუფონის, დიდროსა და დალამბერის ისედაც მხურვალე სულებს. ამ შავი სასმელის წყალობით უკვე ჩნდებოდნენ ის ნაპერწკლები, რომელთაც 89 წლის კოცონი ააგიზგიზეს“.

ასეთსავე ყავას სვამდნენ საფრანგეთის რევოლუციის თაყვანისმცემლები ძველ ევროპაში. ვაიმარში, შილერის სახლის დამთვალიერებლებს უჩვენებენ ფინჯანს, რომლითაც პოეტი „ბედნიერი არაბეთის მოძღვნილ საოცარ სასმელს“ მიირთმევდა. ბალზაკს ყავის გარეშე წერა არ შეეძლო. მის სტილში იგრძნობა ამ სასმელისეული ცეცხლი და გზნება. ბალზაკზე ამბობენ, ორმოცდაათი ათასმა ფინჯანმა ყავამ აცოცხლა და ორმოცდაათი ათასმა ფინჯანმა ყავამ მოკლა. მე მგონი, ეს ციფრი საკმაოდ შემცირებულია. ორი საუკუნის განმავლობაში ყავა ევროპაში მოშინაურდა და მის ძველ დიდებას პენწი მოაკლდა, მაგრამ თავისი სანაქებო თვისებები კვლავ შერჩა. ყავას ღვინოც კი ვერ უწევს მეტოქეობას. იგი ზღუდით არ მიჯნავს აზრსა და სინამდვილეს, არ აზიანებს წარმოსახვისა და შეგრძნებების მექანიზმს. იგი თავისუფლებას არ გვართმევს და ამავე დროს ძალას და გამბედაობას გვმატებს. ყავის ზემოქმედებით აზრს თითქოს ფრთები ესხმება, იგი თითქოს ბორკილებისაგან თავისუფლდება. ყავა მუსრს აკლებს დაღლილობას და მის ამალას -- აპათიას და ეჭვს, შიშსა და გაუბედაობას, ზოგზე ასევე მოქმედებს ჩაი.

ჩაი ევროპაში ოსტ-ინდოეთის კომპანიის გემით ჩამოიტანეს 1610 წელს და სულ რაღაც 50-60 წლის განმავლობაში მან მთელი კონტინენტი დაიპყრო. ჯონსონ ადისონმა და რიჩარდ სტილმა იზრუნეს მისათვის, რომ ჩაის სახელი და დიდება მოეხვეჭა ინგლისის ლიტერატურულ წრეებში. ჩარლზ ლემბი ნამდვილი ჩინელივით აღმერთებდა ამ სასმელს. თვითონ ჩინეთის პოეზიაში კი ჩაი უკვე მე 8 საუკუნეში შეეიდა და მას შემდეგ პოეტური შთაგონების ერთ-ერთი საუკეთესო წყაროდ იქცა. ჩინელებისა და იაპონელებისათვის ჩაი ჩვეულებრივი სასმელი არ არის; იგი სიმბოლოა, რომლის გარშემო იქმნება ადათები და ტრადიციები, ჩაი გავლენას ახდენს ეთიკასა და ესთეტიკაზე. პოეტმა ლი-იუმ სამტომიანი ნაწარმოები შექმნა, რომელსაც „ჩაის წმინდა წიგნი“ უწოდა. ეს ჩაის მომზადებისა და სმის წესების სრული კოდექსია და იმავე ჰარმონიულობასა და კანონებზე არის ნაფუძნებული, რომელიც სამყაროშია გამეფებული. ყავამ და ჩაიმ ერთმანეთში გაიყვეს მსოფლიო: ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი და რუსეთი ჩაის სამფლობელოა, დასავლეთში კი მხოლოდ ინგლისი დარჩა ჩაის ერთგული. ხოლო ყავა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის, დასავლეთ ევროპის, ორივე ამერიკისა და აზიის და აფრიკის მუსლიმანური ნაწილის მეუფედ და ბატონ-პატრონად იქცა.

აი, უკვე საუკუნე-ნახევარია, რაც თამბაქო მწვრილის გაუყრელ თანამგზავრად იქცა. ამან საბაბი მისცა ერთ პურიტან კრიტიკოსს, ეჭვი გამოეთქვა, ეს ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ გენიოსების რიცხვი თანდათან იკლებსო. მის ბრალდებებში ალორძინდა ის წყევლა-კრულვა და ლანძღვა-გინება, რომლებიც თამბაქოს დაატეხეს 200 წლის წინათ და რომელთა პირველი ნიშნები მე-16 საუკუნის ბოლოს - თამბაქოს ევროპაში შემოტანის დროს გამოჩნდა. მას ანათემას უთვლიდნენ პაპები, მქადაგებლები იმათ, ვინც „მყრალ ეშმაკისეულ ბალახს“ ეჭაჭებოდა, ემუქრებოდნენ, ჯოჯოხეთში ლორიეთი გამოგიყვანენ თამბაქოს ბოლშიო. მეფეებისა და პარლამენტების ბრძანებულებებით მკაცრად იკრძალებოდა თამბაქოს

წევა და დამნაშავეების სასჯელი ედებოდათ. ჩიბუხის მოწევა ან თუთუნის ყნოსვა შეიძლებოდა ძალიან ძვირად დასჯდომოდა კაცს.

მაშინდელი შეხედულებებით, ზღვისიქითა მცენარე, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურას არ უქადდა რაიმე სიკეთეს, აი, ასე ლანძღავდა არაგი თამბაქოს 1636 წელს კრაკოვში გამოცემულ ჰოემაში, რომლის სათაურია „თამბაქოსა და არაგის დავა“:

ხარ გადამდები უღმეროო სენი,
თუ რამ კაცს სჭირდეს, სჭირს მხოლოდ შენით,
ცდუნება, როგორც ობობას ქსელი,
გაგიბამს ირგვლივ და...საცდურს ელი!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ზიმოროვიჩმა კი თამბაქოს ბოლი ჯალათს შეადარა:

თამბაქოს კვამლში ვინც იხრჩობა, ისე ხუთავენ,
თითქოს ყელში სწვდათ ავისმქნელი სულთამხუთავი...

თამბაქო მე-19 საუკუნეშიც ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა მწერლებში. გოეთე ვერ იტანდა თამბაქოს მწეველებს, ბალზაკი საშინლად აგინებდა თამბაქოს. მაშინდელი თამბაქო მართლაც იმსახურებდა ამდენ ლანძღვა-გინებას, განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი „ადგილობრივი“ თამბაქო, რომლებიც უფალმა უწყის რა ჯიშის იყო და როგორი დამუშავებული. მწერლები კი აიძულებდნენ თავიანთ პერსონაჟებს ამ საზიზღრობით მოეწამლათ თავი. ეს პერსონაჟები, ჩვეულებრივ, საზოგადოების ძველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ - გადამდგარი ჯარისკაცები, მეგრეკები, მეჯინიბეები. თვითონ მწერლები კი კონტრაბანდისტებს უკავშირდებოდნენ, რომ კარგი თამბაქო ეშოვათ. მიცკევიჩს ჩიბუხის გარეშე გაძღება არ შეეძლო და მეგობრებს ეხვეწებოდა, თურქული თამბაქო მაშოვნინეთო.

როცა გუსტავ ფლობერი კრუასეში ფაშასავით აბოლებდა ჩიბუხს, ყორე სანდი ნოანში მთელ ოლქს აოცებდა თავისი სიგარით. ასე აქცევს ემანსიპირებულმა ქალებმა თამბაქო თავიანთი დამოუკიდებლობის კიდევ ერთ სიმბოლოდ. ამავე მიზნით ეწეოდა სიგარას ჩვენი ემიხოვსკაია. რომელი მწერალი ყნოსავდა თამბაქოს? მრცხვენია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არ ვიცი. იქნებ სტანისლავის ეპოქის პოეტები, რადგან მეფე სტანისლავი გულუხვად ასაჩუქრებდა დიდებულებს ისეთი სათუთუნეებით, როგორც „პან თადეუშში“ პოდკომორის მამამისმა დაუტოვა მეუკეიდრეობით; შეიძლება ალექსანდრე ფრედროც, ნაპოლეონის ძველი ჯარისკაცი, - ამგვარი ხალხი დიდად აფასებდა საყნოს თუთუნს.

უკვე დიდი ხანია, აღარ კამათობენ და დავობენ თამბაქოს შესახებ. ახლა თითქმის ყველა მწერლის კაბინეტი თამბაქოს ბოლით არის სავსე. ფოტოგრაფიის, კინოფილმების, კარიკატურების საშუალებით ფართოდ გავრცელდა სურათები, რომლებშიც მწერალს ან ჩიბუხი აქვს კბილებში გაჩრილი, ან სალოკი და შუა თითებით ლამაზად უჭირავს სიგარეტი. ორივე, ჩიბუხიც და სიგარეტიც სამწერლო იკონოგრაფიის აუცილებელი ატრიბუტია. ფრანგების მიერ გადაღებულ ფოტოებში მწერალს ტუჩების კუთხით შუამდე მოწეული სიგარეტი უჭირავს. სიგარეტს წვრილად ახდის ბოლი და მწერალი იძულებულია თვალები მოჭუტოს. ამიტომ სახეს ირონიული ან ნაღვლიანი ელფი ეძლევა. სურათის გადაღება ასეთ პოზაში თავგადაკლულ მწეველებს უყვართ. ზოგიერთ მათგანზე ლეგენდები დადის. მაგალითად პოლ ვალერის კაბინეტიდან თამბაქოს ისეთი ბოლი გამოდიოდა, რომ ზოგჯერ მსახურებს შეშინებიათ, ხანძარი ხომ არ გაჩნდაო. ლეონ-პოლ ფარგი კი უსიგარეტოდ არავის უნახავს.

თამბაქოს სამეფოში ორი ძლიერი დინასტია ებრძვის ერთმანეთს პირველობის მოსაპოვებლად: თურქული და ვირჯინიული. პირველმა ანგლოსაქსური სამყარო დაიპყრო, მეორემ ევროპის კონტინენტი და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო. მარტო ფრანგები არ უწევენ ანგარიშს რეალურ ვითარებას, ყოველნაირად ამტკიცებენ თავიანთ tabak noir -შავ თამბაქოს, და თავიანთ „კაპორელებზე" უკეთესი არაფერი ჰგონიათ. კურტელინს ძალიან ეჯავრებოდა მოგზაურობა, მაგრამ [illegible] ძალა დაატანა და ლონდონში წავიდა, რომ ინგლისელების იუმორს გაცნობოდა. იქ ერთ თვეს აპირებდა დარჩენას, დილით უთენია გაემგზავრა ინგლისში, მაგრამ საღამოს უკვე თავის კაფეში იჯდა და დომინოს თამაშობდა. „საშინელი ქალაქია, - უთხრა კურტელინმა ასეთი სწრაფი დაბრუნებით გაოცებულ მეგობრებს, - წარმოგიდგენიათ, ლონდონში „კაპორელის" შოვნა შეუძლებელია!" აი, ამიტომ ვერ გაეცინა კურტელინი ინგლისურ იუმორს, რომლითაც თავისი კომედიების გადახალისებას აპირებდა.

თამბაქო მწერლების ცხოვრების ერთ-ერთ უძლიერეს დემონად იქცა. ვინც ერთხელ მოუხარა ქედი მას, ერთი სტრიქონის დაწერაც არ შეუძლია გაუბოლებლად და როგორც ყველა დემონი, თამბაქოც შეუმჩნევლად გვიგდებს ხელთ და ჩვენი აზრების ბატონ-პატრონი ხდება. ვერავინ იტყვის, რომ სწორედ თამბაქოს ლურჯ ბოლში არ იპოვა ის საჭირო სიტყვა, რომელსაც ამაოდ ელოდა, როცა სუფთა ჰაერით სუნთქავდა.

მაგრამ ყველაზე ძლიერი ნარკოტიკი მაინც მიმზიდველი თემა, აბობოქრებული აზრი და ცხოველი წარმოსახვაა. ეს შემოქმედებითი აღტკინების უმაღლესი საფეხურია. ამ დროს შემოქმედი თითქოს მიწისქვეშეთიდან მზის დამაბრმავებელ შუქზე ამოდის და სამყარო, თითქოსდა შექმნილი მხოლოდ მოულოდნელობისაგან და ამავე დროს ესოდენ ნაცნობი, თითქოს იმთავითვე საგანგებოდ მისთვის დაარსებული, მხოლოდ იმას ელოდა, რომ მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმდგარიყო მწერლის თვალთა წინაშე.

ს ი ტ ყ ვ ა

სიტყვა დიდი იდუმალი რამ არის. მეტყველების უნარი და მისი ბგერებისა და წესების პოტენციური სიმდიდრე ყველა რელიგიას იმ ზეგარდმო მოვლენილ წყალობად მიაჩნდა, რომელიც ადამიანს სიცოცხლესთან ერთად ებოძა. მრავალი ერი თვლიდა თავს პირველად ამეტყველებული ხალხის შთამომავლად და ყოველ მათგანს საკუთარი, ზოგჯერ ფრიად გულუბრყვილო და მიამიტური საბუთი მოჰქონდა ამის დასამტკიცებლად. ერთ-ერთი ასეთი საბუთი მოაქვს ჰეროდოტეს, როდესაც უპატრონოდ, თავისით გაზრდილი ბავშვების ამბავს მოგვითხრობს. ებრაული ენა საუკუნეთა მანძილზე ბოროტად სარგებლობდა მოსეს წიგნების ავტორიტეტით და თავს აბეზღებდა სხვა ხალხებს იმ აზრს, თითქოსდა სწორედ ებრაულად წარმოითქვა პირველი სიტყვები სამყაროს შექმნის ჟამს და სწორედ ებრაულად დაარქვა პირველმა ადამიანმა სახელები ყოველივე არსებულს. „ხოლო სახელი, დარქმეული ადამის მიერ ყოველივე არსებულისათვის, არის მისი სწორი სახელი". ჩვენ უკვე დიდი ხანია მივეჩვიეთ, რომ ყოველი მოვლენა განვითარებაში უნდა განვიხილოთ. ასობით მიამიტური თუ ღრმააზროვანი ჰიპოთეზა იქმნებოდა ენის წარმოშობის საიდუმლოს ასახსნელად. ხანი გამოხდებოდა და ირკვეოდა, რომ

ეს ღრმააზროვანი ჰიპოთეზებიც მიამიტური ყოფილა. ფიქრობდნენ, რომ ენა ინსტინქტის პირმშოა, რომ იგი შეიძლებოდა წამოქმნილიყო ბუნების ხმების მიბაძვით ან წამოშობილიყო შორისდებულებისა და ონომატოპეიისაგან. ამაოა ამ კითხვის პასუხის ძიება იმ მდუმარე წყვდიადში, სადაც მხოლოდ აქა-იქ თუ წააწყდები ეოლიტებს - ქვებს, კაცობრიობის გარიჟრაჟის დროს მცხოვრებ ადამიანებს რომ დაუმუშავებიათ. მკვლევარები დაძაბული, მტანჯველი ყურადღებით აკვირდებოდნენ იმდროინდელი ადამიანის თავის ქალას და ეძებდნენ იმ ადგილს, სადაც შეიძლებოდა მოთავსებული ყოფილიყო მეტყველების ცენტრი, სწავლობდნენ იმ ადამიანის პირს, სადაც პირველი ბგერები დაიბადა. როგორ ჟღერდა ეს პირველი ბგერები? ამაზე ვერავინ გვიპასუხებს. იქნებ ჩვილის მიერ წარმოთქმულ ბგერებს წააგავდა, ბგერებს, რომლითაც იგი ეხმიანება გარე სამყაროს, იქნებ ისინი ცალკეული ხმოვნები იყვნენ, უმარტივესი რეაქციების შედეგად წამოთქმული ხმოვნები. ასეთი ბგერები დღესაც გვესმის, როდესაც ადამიანი ბაძავს ცხოველთა ხმებს ან ბუნების ხმიანობას და უძველეს დროში მცხოვრები ადამიანივით ამოძრავებს თავის ხორხს, ენასა და ტუჩებს - ორგანოებს, რომლებიც გამუდმებით აუმჯობესებენ და ხვეწენ მეტყველებას. ჩემთვის საკვლევია გასაგებია იმ მწერლების მოუთმენლობა, რომლებიც საკუთარ ფანტაზიას პირველქმნილ ქაოსანაში, ქვის ხანაში გადაჰყავს. ისინი ველარ ელოდებიან მეცნიერულ აღმოჩენებს და თვითონვე ფრთხილად და მოკრძალებით ცდილობენ შექმნან ადამიანთა მეტყველების პირველი, დღემდე უცნობი ბგერები. გასაგებია, რადგან მე თვითონაც მიჭირს დაველოდო ახალ აღმოჩენებს. მაგრამ არც ის მომწონს, მომწონს კი არა, მეზიზღება კიდეც, როცა ზოგიერთი უბადრუკი ფანტაზიორი პირველად ამეტყველებულ ადამიანთა სიტყვებს, ზოგჯერ კი მთელ ფრაზებსაც შემოგვთავაზებს და საბუთად „ეზოტერულ ტრადიციას" მოიშველიებს ხოლმე. მეზიზღება იმიტომ, რომ ასეთი მასხარაობით სიტყვის აკვანთან დაგანებულ საზეიმო სიჩუმეს არღვევენ.

ზოგი მკვლევარი ცდილობს მეტყველების იდუმალი ტევრის მცირე ნაწილი მაინც გააშუქოს და ფრთხილად და გაუბედავად გვაწვდის ქვის ხანის დროინდელ რამდენიმე მარცვალს. ამგვარ მარცვლებს განეკუთვნება: „ხამ" თუ „კამ" ძირი, რომელიც ქვას აღნიშნავდა. თუ ეს მართლაც ასეა, ხსენებული ძირი ჩვენი მეტყველების საგანძურის ყველაზე ძვირფას ქვად უნდა მივიჩნიოთ; როდესაც ხვენტოკშის ბნელ ქვაფენილზე მივაბიჯებთ, ეს სიტყვა თითქოსდა ჩვენს ნაბიჯებს ეხმიანება. მაგრამ თვით ეს სიტყვაც,თუ მეტყველების ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, უფრო გვიანდელი პერიოდის წარმონაქმნია, იმ პერიოდისა, როდესაც სიტყვები უკვე საგნებს აღნიშნავდა. თავდაპირველად კი სიტყვა მხოლოდ შიმშილის, შიშის, სიამოვნების გამოსახატავად გამოიყენებოდა. ჩემი აზრით, იმ რამდენიმე ათეული ქიმიური ელემენტის აღმოჩენა, რომელთაგანაც შედგება მთელი სამყარო, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ბგერათა ასევე მცირე რაოდენობა იყო საკმარისი მეტყველების სამყაროს შესაქმნელად. ვაგლახ, რომ არ ძალგვიძს, დავშალოთ ეს ბგერითი მატერია ცალკეულ ელემენტებად, ისე როგორც რთული ნივთიერებები დაშალეს - არ ძალგვიძს დავშალოთ ყოველი სიტყვა, ყოველი ფორმა. ასეთი ელემენტების ცხრილს ათასი მენდელეევი ვერ შეადგენს. როგორც თანამედროვე მეცნიერება გვიჩვენებს, ენათა რაოდენობა ძალზე დიდია. ამდენი ენის არსებობას ისიც ვერ წარმოიდგენს, ვისაც დიდხანს უფიქრია და უმსჯელია ბაბილონის გოდოლის დანგრევაზე. ენებში შეუწყვეტელი ღრიანცელია, ისინი სავსენი არიან შემზარავი, ავის მოძახწავებელი ბგერებით. ზოგში სიტყვების ნაცვლად ბუზღუნი,

ლრუტუნი თუ წკლაპუნი ისმის, ხოლო როდესაც რადიოში ანამიტურ ლაპარაკს უსმენ, გგონია ამ ყუთში თოჯინები და სათამაშოები ჩაუყრიათ და ისინი ალაპარაკებულანო. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ უკვე საბოლოოდ არის გამოყენებული ყველა ბგერა, რომლის წარმოქმნა შეუძლია ხორხის, ენის, სასის, კბილებისა და ტუჩების ორკესტრს, რომ თითქოს და გამოყენებულია ყველანაირი ფშვინვა, როგორიც კი შეიძლება ამოცდეს ადამიანის ყელს.

გარაუდის დაშვება დიდი შეცდომაა: მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, ადამიანთა მეტყველების ფონეტიკური წყობა ძირითადად ერთნაირია. მხოლოდ ჰეროდოტეს შეეძლო ემტკიცებინა, გმოქვაბულში მცხოვრებ ეთიოპელთა ენა „ღამურების ჟღურტულს“ წააგავსო. საინტერესოა, ვინ მოუსმინა ღამურების ჟღურტულს? არც ერთ ენას არ შეუძლია ფონს გავიდეს ორი ელემენტის - თანხმოვნებისა და ხმოვნების გარეშე. ვერცერთმა ტომმა ვერ მოახერხა, შეექმნა ისეთი ენა, რომელშიც მხოლოდ თანხმოვნები იქნებოდა, ზოგიერთი კი თანხმოვანთა მცირე რიცხვით დაკმაყოფილდა. პოლონელებს ორ დუჟინამდე თანხმოვანი სჭირდებათ სალაპარაკოდ, სხვა რომელიმე ხალხს - ამის ნახევარი. არსებობს ისეთი ენაც, სადაც თანხმოვანთა რიცხვი შვიდს არ აღემატება, მაგრამ იგი არც სიმდიდრით დაიწუნება და არც კეთილხმოვნობით. დეკარტი, ალბათ, არ მიიღებდა ამ დებულებას. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ გონება თანაბრად არის განაწილებული კაცობრიობაში და, ამიტომ, ან არ დაიჯერებდა ასეთი ენების არსებობას, ან მიიჩნევდა, რომ ისინი უპასუხისმგებლო ხალხმა გამოიგონა თავშესაქცევად. მაგრამ, თუ მაინც მივიღებთ დეკარტის დებულებას და არ ჩაუთელით, რომ გონება ყველა ქვეყანაში თანაბრად არის განაწილებული, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომდა ყველგან მოქმედებს და ყველაფერს მართავს პლატონისა და არისტოტელეს მიერ დადგენილი ლოგიკური კანონები. შეიძლება არ იცოდე პოლონური ენის ფლექსიები და სინტაქსის წესები, მაგრამ იაზროვნო და ილაპარაკო. პოლონური, თავისი გრამატიკის წყალობით, მსოფლიოს ენების უმცირესობას ეკუთვნის, რადგან არსებობს ენები, სადაც არ არის სქესი, ბრუნვები, სახელის რიცხვი, ზმნის დროები და ასპექტები, ენები, სადაც არსებით სახელსა და ზმნასაც კი არ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან. მეორე მხრივ, არსებობს ენები, რომლებშიც, ჩვენი ენისაგან განსხვავებით, გვაქვს სულიერი და უსულო სახელების სქესი. აფრიკაში მცხოვრებ მასაის ტომის ენაში კი სხვადასხვა სქესი აქვს დიდი და ძლიერი და პატარა და სუსტი საგნის აღმნიშვნელ სახელს. იქნებ ასეთი დაყოფა უფრო ლოგიკურია, ვიდრე საგნების აღნიშვნა ჩვენეული, ესოდენ ჭირვეული, საშუალო სქესით. ინდიელებს, ენათმეცნიერება რომ სცოდნოდათ, უფლება ექნებოდათ ეთქვათ, ინდოევროპულ ენებს სიზუსტე აკლიაო. ჩვენთვის საკმარისია ვიხმაროთ ნაცვალსახელი „ჩვენ“, ინდიელებს კი აქვთ საგანგებო ნაცვალსახელები ისეთი კომბინაციებისათვის, როგორიც არის: „მე და შენ“, „მე და თქვენ“, „მე და თქვენ ორნი“, „მე და ის“, „მე და ისინი“, „ჩვენ ორნი და შენ“ და ასე შემდეგ. უბრალო ფრაზას „კაცმა მოკლა კურდღელი“ პონკას ტომის ინდიელი ასეთ მსატვრულ ფორმას მისცემდა. „კაცმა მან, რომელიც მარტო იყო, ცოცხალი გახლდათ და ფეხზემდგომი იყო, ესროლა ისარი და განზრახ მოკლა კურდღელი იგი, მარტო მყოფი, ჩამჯდარი და ცოცხალი“. ასეთ წყობას მოითხოვს მათი გრამატიკა, ხოლო უცნაური განსაზღვრებები „ფეხზე მდგომი“ და „ჩამჯდარი“ არის მხოლოდ ჩვენი ქვემდებარე და პირდაპირი დამატება, ერთი სახელობით და მეორე ბრალდებით ბრუნვაში ჩაყენებული.

აქა-იქ მთლიანად ან ნაწილობრივ შემორჩა ორობითი რიცხვი - dialis. ბერძნული ენის ის მასწავლებლები, რომლებიც სხვებთან შედარებით ლიბერალები იყვნენ, უფლებას გვაძლევდნენ ყურადღება არ მიგვექცია ამ გრამატიკული კატეგორიისათვის. ახლა ძნელია მივხვდეთ, თუ რა პრაქტიკული აუცილებლობა მოითხოვდა ამ რიცხვის შემოღებას. ერთი ლინგვისტი [illegible] ნაღშფოთებით ლაპარაკობდა ორობით რიცხვზე და ამტკიცებდა, რომ [illegible] სტაცილებით უკეთესი იქნებოდა რიცხვი, რომელიც მთელსა და ნაწილს გაარჩევდა ერთმანეთისგან. მაგრამ აქ ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ. ენა უფლებას გვაძლევს გავამარტივოთ იგი, როგორც მაგალითად, ინგლისური, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე დაკარგა თავისი გრამატიკული ფორმების უმეტესობა, მაგრამ არ შეიძლება ენის გამდიდრება ახალი უღლების ან ახალი ბრუნვის შემოღებით. ეს იმ უხსოვარი დროის პრივილეგია იყო, როდესაც ყველაფრის - ღმერთების, რელიგიის, ჩვეულებების და აგრეთვე ენის კანონების შექმნა შეიძლებოდა.

სიტყვებში, გრამატიკულ ფორმებში და სინტაქსში ანივთებს თავის სახეს ხალხის სული; გაქვავებულ ქვიშაზე უკვე დიდი ხნის წინათ ამომშრალი ზღვის ტალღების კვალის მსგავსად შემორჩენია ენებს მისწრაფებანი, სურვილები, სიძულვილი, რწმენები, ცრურწმენები და პირველყოფილი ცოდნა სამყაროსა და ადამიანის შესახებ. სწორედ იმ პერიოდში, როცა მითები იქმნებოდა, მიეკუთვნა მამრობითი და მდედრობითი სქესი ზეცას, ვარსკვლავებს, დედამიწას, მდინარეებსა და უსულო საგნებს და ახლა იმ პრინციპების დადგენა, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ისინი, ვინც სხვადასხვა სქესს აკუთვნებდა ამ საგნებს, ისევე შეუძლებელია, როგორც სიტყვის წარმოშობის საიდუმლოს ამოხსნა. ბერძნებს ყველაზე მეტად ის აოცებდა, რომ ეგვიპტელები ზეცას ქალად მიიჩნევდნენ, დედამიწას კი კაცად. ხანგრძლივი და ძნელი გადასახლებების, შემოსევებისა და დაპყრობების პერიოდში ენები უცხო ელემენტებს ითვისებდნენ. პირობების შეცვლასთან ერთად იცვლება ჩვეულებები. ენაზე მოქმედებდა კლიმატი, ნიადაგი, ცხოვრების წესი. მახვილი, ფშვინვიერება და მეტყველების სხვა თავისებურებანი დამოკიდებული იყო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შერევაზე.

ხალხები და კულტურები ისპობოდნენ და ზოგჯერ სულ ორიოდე სიტყვას ტოვებდნენ ამ ქვეყნად. სუმბულმა და პიტნამ თავიანთი პირველი მომყვანების - იმ მებაღეების ერთგულება შეინარჩუნეს, რომლებიც ეგეოსის ეპოქაში ცხოვრობდნენ და ეს სახელები დაანათლეს.

სიტყვა იმთავითვე ადამიანთა მოქმედების იარაღი და ამავე დროს რაღაც იდუმალი რამ იყო, ისეთი რამ, რაც ფაქიზად მოპყრობას მოითხოვდა. ყოველთვის არსებობდა წმინდა და საწყევარი სიტყვები, რომელთა წარმოთქმა აკრძალული იყო. გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფს, გარკვეული ხელობის ადამიანებს არ ჰქონდათ ამ სიტყვების წარმოთქმის უფლება. კარიბელებთან იქამდე მივიდა საქმე, რომ კარიბულად ლაპარაკის ნება მხოლოდ მამაკაცებს აქვთ მინიჭებული. ქალები სხვა ენას - არავაკულს ხმარობენ.

სიტყვის მაგიური ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია წარმოდგენის, სახის გამოწვევა ადამიანის გონებაში. იგი ხუთი გრძნობის საშუალებით აღქმული საგნის უხილავი წარმომადგენელია. სიტყვის მაგიურ ძახილზე ჩნდებიან შორეული, ან სულაც არარსებული ადამიანები და ნივთები, ახლობელნი, ან ნამდვილად არსებულნი კი ჭეშმარიტად რეალურად იქცევიან, როგორც კი მათ სახელს ვახსენებთ ხოლმე. ადამი მხოლოდ მაშინ გახდა ღვთის მიერ ბოძებული სამყაროს

მბრძანებელი, როდესაც თითოეულ ნივთს საკუთარი სახელი დაარქვა. სანამ არ გავიგებთ რა ჰქვია მცენარეს, მწერსა თუ ფრინველს, ჩვენთვის იგი მხოლოდ მცენარეთა, მწერთა თუ ფრინველთა სამყაროს გაურკვეველ ნაწილაკად დარჩება. მხოლოდ თანამედროვე მდაბიორთა მწირ და ქარაფშუტულ ჟარგონში არსებული უსახო ნაცვალსახელი „ეს“ შველის მათ მიანიშნონ ერთმანეთს ესა თუ ის საგანი. მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ უსახელო ნივთებს შორის და მშვიდად უწოდონ ყველანაირი ჯიშის ხეს, ბუჩქსა და მარცვლეულს „ხე“, „ბუჩქი“ თუ „მარცვლეული“. ნამდვილი ხალხი კი ვერ იტანს სინამდვილიდან მოწყვეტილ საგნებს, ამიტომ იგი ხეებში კი არ ცხოვრობს, არამედ მუხებში, წიფლებში, არყებში, ხოლო მარცვლეულს ან ჭვავი უნდა ერქვას ან ხორბალი. გუთანი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება და ყოველი მათგანი კეთილი სულის სახელივით ჟღერს.

ჩვენ არაფერი ვიცით კაცობრიობის მეტყველების სასაკეების შესახებ. არ ვიცით, როდის და როგორ წარმოიშვა ენა: აღელვებისა თუ სიხარულის წამოძახილებიდან, ფრინველთა და ცხოველთა ხმიანობის მიბაძვიდან, თუ იმ ცალკეული მარცვლებიდან, რომლებიც როგორღაც ხსნიდნენ ობიექტური სამყაროს ამა თუ იმ მოვლენას. არ ვიცით, როგორ დასძლია ენამ თავისი უმწეობა შამანების, მკითხავების, ტომთა ბელადებისა და ბრძენების დახმარებით; არ ვიცით როდის შეასხა მას ფრთები პირველმა სიმღერამ. როდესაც გაოცებით ვათვალიერებთ კლდეებზე შემორჩენილი პალეოლითისდროინდელ მხატვრობის ნიმუშებს და წარმოვიდგენთ, რომ დახელოვნებული ოსტატები მაშხალებით ოდნავ განათებული გამოქვაბულების კედლებს მომონტაჟებისა და კამეჩების გამოსახულებებით აფერადებდნენ, როდესაც ჩავუკვირდებით ამ გამოქვაბულების განლაგებასა და მოწყობილობას და შევნიშნავთ, რომ ისინი ძალზე გვაგონებენ ყოველი მხრიდან შემოზღუდულ სამლოცველოებს, შეუძლებელია „სიტყვა“ არ გავიხსენოთ, შეუძლებელია დავუშვათ, რომ ყოველივე, რაც აქ ხდებოდა, როგორღაც დაკავშირებული არ ყოფილიყო „სიტყვასთან“. ეჭვი არ არის, რომ ამ გამოქვაბულებს ესმოდათ ფიცი, მოწოდებანი, ლოცვები და სიმღერები.

არის იმავე ეპოქაში შექმნილი სხვაგვარი ნახატებიც, რომლებზედაც ადამიანთა ფიგურებს ვხედავთ. ისინი ზოგჯერ მოძრაობაში არიან გამოსახულნი, ზოგჯერ ჟესტებით ანიშნებენ ერთმანეთს რაღაცას, ზოგჯერ კი უცნაურ პოზაში დგანან. არც ეს ფიგურები შეიძლებოდა დაეხატა მუნჯ ან უაზროდ მოლუღლუღე არსებებს. სიტყვის მაგიის სათავე, მაგიისა, რომელიც საგნის ხატებას ქმნიდა, სწორედ სადღაც ამ დროს არის საძიებელი: საკუთარი განცდების მსმენელებამდე მიტანის ხელოვნება, მათში შიშის გრძნობის, ცრემლებისა და სიცილის გამოწვევის უნარი თავს იჩენდა ომისა თუ ნადირობის დროს თავს გადახდილი სხვადასხვაგვარი ფათერაკების გადმოცემისა, სიზმრების მოყოლისა და მოლანდებების აღწერის დროს. ამ სიტყვას თან ჟესტებიც ახლდა ხოლმე. ტანის მოძრაობა, პანტომიმა ავსებდა სიტყვებისა და ფრაზების ნაკლებობას. ისეც ხდებოდა, რომ მთხრობელს განცდილის გახსენება და მსმენელთა აღტაცება აღაგზნებდა და მაშინ იგი ახალ ბგერით ფორმებს იგონებდა ან ძველების შერწყმით ბგერათა ჯერ გაუგონარ ბრწყინვალე შეხამებას ქმნიდა. ხშირად ფანტაზიის ჯადოსნური გაელვების მეოხებით, რაც ხშირად სჩვევია ბერძნულ მითოლოგიას, მუზების დედად მნემოზინა-მეხსიერება არის მიჩნეული. მეხსიერება უდიდესი შემოქმედია და წამიერ, წარმავალ და განუმეორებელ მოვლენათა წიაღში საცხოვრებლად

განწირულ ადამიანს იგი დაბადებისთანავე უწყალობა ლედაბუნებამ. საოცარ რამეს სჩადიოდა ხელი, რომელიც კაჟის ნატეხით ცხოველის კონტურებს კვეთდა კლდეზე, საოცარ რამეს სჩადიოდა ჟანგმიწით გაწითლებული თითები, ამ კონტურებს ფერადებით რომ ავსებდა: ისინი ცხოვრების ასლს ტოვებდნენ კლდეზე. ისინი უკვდავებას ანიჭებდნენ ადამიანთა იმ უტყვ მეგობრებს, რომელთაც გადაშენება ეწერათ. პირველყოფილი ადამიანი - ნეოლითის ეპოქის „მხატვარი" - იმასვე აკეთებდა, რასაც ახლა მისი შორეული მემკვიდრე, სიტყვის, ფორმისა თუ ფერების ოსტატი აკეთებს: სიცოცხლეს უნარჩუნებდა იმას, ვინც სასიკვდილოდ იყო განწირული - ერთიცა და მეორეც ცხოვრების მეხსიერების მსახურად უნდა ჩაითვალოს. სიტყვის მეშვეობით ადამიანი დაეუფლა დროსა და სივრცეს. სიტყვით გამოჰყოფდა იგი საგნებს მოელენათა ქაოსიდან, აძლევდა ფორმასა და ელფერს, იახლოვებდა, იშორებდა და ზომავდა მათ. სიტყვაში აღბეჭდილია მოვლენები, წუთები, საათები, წლები, აწმყო, წარსული და მყობადი დროები, მაგრამ თვითონ სიტყვა წამიერი ხმიანობა იყო მხოლოდ. იგი წარმოთქმისთანავე ქრებოდა და, თუ უკან უნდოდათ დაებრუნებინათ, ხელახლა უნდა ეთქვათ. თუ ადამიანის ბაგე მდუმარების ბეჭედს არ აიხსნიდა, სიტყვას ვერ დააბრუნებდა არყოფნის სამყაროდან. იგი არ არსებობდა მოლაპარაკე ადამიანის გარეშე. ერთადერთი სივრცე, რომლის გადალახვა შეეძლო სიტყვას, ადამიანის ხმის მიწვდენის საზღვრებით იყო შემოფარგლული. ამ საზღვრების მიღმა იგი რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

წარმოთქმული სიტყვიდან დაწერილ სიტყვაზე გადასვლა კაცობრიობის ისტორიის ახალ ერად იქცა. სიტყვის-უფორმო და უხილავი ბგერის - მოხელთებამდე ხალხმა ისწავლა საგნებისა და მოვლენების აღბეჭდვა და შენარჩუნება გამოსახულებების მეშვეობით. სწორედ წარმავლის სამუდამოდ შენარჩუნების მისტერიაა ასახული კლდეებზე შემორჩენილ ფერწერაში. მაგრამ იმ გამოქვაბულებში კიდევ სხვაგვარი მისტერია ხდებოდა, რომლის საიდუმლოებას დღემდე ვერ ჩავწვდომივართ: აზრის, გარკვეული რელიგიური თუ მაგიური იდეის, გამოხატვისა და სამუდამოდ შენარჩუნების მისტერია. იმ აზრისა და იდეისა, რომელიც შინაარსს, სიცოცხლესა და ზებუნებრივ ძალას აძლევდა გამოქვაბულთა კედლებზე გამოსახულ ნახატებს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ არსებობდა სხვა სახის ნახატებიც, მათ დღემდე ვერ მოაღწიეს, რადგან ისეთ მასალაზე იყო დახატული, როგორიცაა ფოთოლი, ხე ან ძვალი. ამ ნახატის დანიშნულება სიტყვის შორეულ მანძილზე გადაცემა გახლდათ. „სკვითებმა -, გვიამბობს ჰეროდოტე, - მეფე დარიოსს გაუგზავნეს „წერილი", რომელზედაც ეხატა ჩიტი, თაგვი, ბაყაყი და ხუთი ისარი. ეს ნიშნავდა: თუ სპარსელებს არ ძალუძთ ჩიტივით იფრინონ ჰაერში, თაგვივით დაიმალონ მიწაში, ბაყაყივით გადაცურონ ჭაობი, სკვითები მათ ისრებით განგმირავენო". ზოგიერთი პირველყოფილი ტომი დღესაც იყენებს ამგვარ შარადებს ცნობების გადასაცემად. ხმარობენ სხვა საშუალებებსაც, მაგალითად, კვანძებგამოსკვნილ ზონარს ან ჭდეებიან ჯოხს.

ყველა ეს აღმოჩენა და გამოგონება, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში და სხვადასხვა ეპოქაში იყენებდნენ, გამოხატავდა კაცობრიობის ჯიუტ მისწრაფებას, შეექმნათ ისეთი რამ, რაც სამუდამოდ შეუნარჩუნებდა სიცოცხლეს აზრს და გასაგებს გახდიდა იმ სიმბოლოებს, რომლებითაც აზრი იყო გამოხატული. ზოგიერთმა უძველესმა კულტურამ - შუმერულმა, ეგვიპტურმა, ეგეოსურმა და ჩინურმა შექმნა საკუთარი დამწერლობა. ამას წინ უძღოდა ცდებისა და ძიებების

გრძელი გზა, რომელმაც ნახატებიდან ასოებამდე მიიყვანა ეს ხალხები. ცალ-ცალკე მიდიოდნენ ზემოხსენებული ხალხები ამ გზაზე? უზიარებდნენ თუ არა ერთმანეთს გამოცდილებას? სხვა უფრო ძველი, ჩვენთვის დღემდე უცნობი ხალხებისაგან ხომ არ ისწავლეს დამწერლობა? აი, კითხვები, რომლებიც აღელვებს მკვლევარებს და აცხოველებს ჩვენს ცნობისმოყვარეობას. იქნებ სულ მალე გახდეს შესაძლებელი ამ ამოცანების ამოხსნა: დედამიწას ხომ ჯერ არ გაუმხელია ჩვენთვის ყველა საიდუმლო. მეხსიერება - ღვთაებრივი მნემოზინა - თავს ადგას ყველანაირი იეროგლიფების აკვანს. იეროგლიფები იყო ნიშანთა სისტემა, რომელიც იწერებოდა ფერადებით, იხატებოდა ან იკვეთებოდა რაიმე მასალაზე. ისინი გამოსახავდნენ ადამიანებს, ცხოველებს, საგნებს, ქებას ასხამდნენ ღმერთებს, ჰყვებოდნენ ამბებს. გამოსახულება იქცეოდა იდეოგრამად, ესე იგი, წარმოადგენდა არა მხოლოდ მასზე აღბეჭდილ საგანს, არამედ მასთან დაკავშირებულ ცნებებს: „ვარსკვლავს" საკუთრივ ვარსკვლავის გარდა შეეძლო ჰქონოდა „ცის" ან „ღმერთის" მნიშვნელობა. გარდა ამისა ამ იდეოგრამით შეიძლებოდა გამოხატულიყო ზედსართავი „მაღალი" ან ზმნისართი „მაღლა". ასევე რამდენიმე ცნებას იტევდა იდეოგრამა „ფეხი". იგი იხმარებოდა ზმნების-„სიარულის", „დგომის", „სირბილის", „მოტანის" აღსანიშნავად. ეს საკმარისი იყო სახოტბო წარწერების, ლოცვებისა და დაწყევლისათვის და ეს ნაწერები დაახლოებით ისევე აღიქმებოდა როგორც შუასაუკუნეების ტაძრებში ხეზე თუ ქვაზე ამოჭრილი ჩუქურთმები; ამ ჩუქურთმების „ამოსაკითხად" ადამიანი ტრადიციით გადმოცემულ ცოდნას საკუთარ ფანტაზიას ამატებდა ხოლმე.

დამწერლობას დღევანდელი სახე არ ექნებოდა, პირამიდების, სამლოცველოების, პაგოდების, წმინდა გამოქვაბულების ჩრდილიდან ღია ცის ქვეშ რომ არ გამოსულიყო და მის გაუმჯობესებაზე თვითონ ცხოვრებას არ ეზრუნა. ცხოვრების ენერგიული ჩარევის წყალობით იეროგლიფებმა მალე დაკარგა ხელოვნურად შექმნილი სიროფელე და დაიწყო გამარტივება: მათ შორდებოდა ზედმეტი ნაწილები და რჩებოდა მხოლოდ ძირითადი მოხაზულობა და ორიოდე ხაზი, ან რგოლი. იმ ვაჭართა და გადამწერთა ხელი, რომლებიც საქონლის სიას ადგენდნენ, ან სხვა საქმიან ჩანაწერებს აკეთებდნენ, აცოცხლებდა ღვლარჭნილ და გაყინულ სიმბოლოებს. გამოსახულებას ნიშნები - ხოლები, ხაზები - ცვლიდა. ახლა ისინი ცნებებს კი არა, ბგერებს აღნიშნავდნენ და მალე მარცვლებად ან ასოებად იქცნენ.

ეს მთელი გადატრიალება იყო! უფორმო და უხილავი ბგერა, რომელსაც ადგილიც კი არ ჰქონდა სივრცეში, ხოლო დროში მანამ არსებობდა, სანამ მისი ჟღერა ისმოდა, ახლა სამუდამოდ მიჯაჭვული აღმოჩნდა თიხის ფირფიტაზე ან პაპირუსის გრაგნილზე და საკმარისი იყო ვინმე კითხვის მცოდნის თვალი მოხვედროდა, რომ კვლავ და კვლავ ახმიანებულიყო. ეს უდიადესი მოვლენა იყო კაცობრიობის კულტურის ისტორიაში. გონებრივად უფრო ადრე მომოწიფებულმა ხალხმა სხვებზე ადრე შექმნა დამწერლობა, ასეულობით სხვა ხალხს კი ათასი წლობით მოუხდა დაცდა. ასე დაემართათ, მაგალითად, კანადაში მცხოვრებ ინდიელებს, რომელთაც ძველთაგანვე საუცხოოდ განვითარებული ენა ჰქონდათ, მაგრამ დამწერლობას მხოლოდ 1841 წელს ეღირსნენ. ამ წელს მისიონერმა ჯეიმს ევანსმა გამოუგონა მათ მარცვლოვანი დამწერლობის მეტად მახვილგონივრული სისტემა, რომლითაც კანადელი ინდიელები დღესაც სარგებლობენ. სიტყვამ შორეულ საბოლოოდ დაიმორჩილა დრო. თავისი საზეიმო მსვლელობისას სიტყვა

შეუცნობელი მომავლისაკენ მიუძღოდა ხალხს, მეფეებს, ისტორიას და თვით ღმერთებსაც კი. იგი აცოცხლებდა მიცვალებულებს, რომელთა ძვლებიც კი არ იყო დარჩენილი ამ ქვეყნად, გვახსენებდა იმ ადამიანებს, რომლებიც გარდაცვალებიდან ორი-სამი წლის შემდეგ მეზობლებსაც აღარ გაახსენდებოდათ. დამწერლობა სასწაულებს ახდენდა - თიხის ნატეხს ისე აამღერებდა, თითქოს შიგ იმ გოგონას სული იყო გამომწყვდეული, ოდესღაც ყანაში რომ გარბოდა და ბაგეებიდან ყაყაჩოსავით წყდებოდა ეს სიმღერა. აი, უკვე ორასი წელია, რაც ხალხი მიწაში იქექება და ლამობს, ამოთხაროს ადამიანთა მეტყველების ნაგლეჯები. ასობით სწავლული მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობს ამოიკითხოს და შეიცნოს სიტყვები, როლებიც დიდი ხნის წინათ გამქრალი ქვეყნების ამბებს მოგვითხრობენ. ისინი წარმოუდგენელ შედეგებს აღწევენ: განა მხოლოდ შიფრავენ წერილობით ძეგლებს - აღადგენენ კიდეც იმ ენის მთელ სისტემას, რომელზედაც ეს ძეგლებია დაწერილი, აღგენენ ოდესღაც ცოცხალი ენის ლექსიკონებს და გრამატიკას. მკედარი და დამარხული სიტყვები ხელახლა იბადებიან, მწკრივში ეწყობიან და მატიანედ, ლოცვებად, ჰიმებად, კანონთა კოდექსებად ყოველდღიურ სალაპარაკო ფრაზებად გარდაიქმნებიან.

ასე ალაპარაკდნენ ბაბილონური თიხის ფირფიტები, ეგვიპტური პაპირუსები და კედლები, ხმა მოგვაწვდინეს მაიელებმა და აცტეკებმა, თავიანთი ფირფიტების წყალობით ხეთები გაიცნო ისტორიამ, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა ამ ხალხის არსებობაზე და ისინი შევიდნენ ენათა ინდოევროპულ ოჯახში, სადაც სულ არ ელოდნენ მათ გამოჩენას. სულ ახლახან გაგვაოგნა პილოსურმა ფირფიტებმა, რომელთაც აქაველთა ხმები დაგვიბრუნეს, იმ აქაველთა, უკვე ჰომეროსისთვის ლეგენდარულ ხალხად რომ იყო ქცეული. ამ ხმებში ისეთი სახელები შემოგვესმა, რომელთა გაგონებაზე ვერც კი ვიოცნებებდით: აქილევსი, ჰექტორი! ზოგი კი მოთმინებით უცდის თავის ენის ამცრელს - მაგალითად, ეგეოსური დამწერლობა და ეტრუსკების ენა. ჯადოსნურ სიტყვათა დიადი საიდუმლო ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ამოხსნილი. ქვეყნად დამწერლობის მრავალი სისტემა არსებობს. ერთნი მარცხნიდან მარჯვნივ წერენ, მეორენი მარჯვნიდან მარცხნივ. არ ვიცი სადმე შემორჩა თუ არა ის წესი, რომელიც ჩვენთვის ძველი საბერძნეთის ძეგლებიდან გახდა ცნობილი. ეს არის ბუსტროფედონური დამწერლობა. ამ დამწერლობაში სტრიქონები ისე მისდევს ერთმანეთს, როგორც გუთნის კვალი მიწის ხვნის დროს - სტრიქონის ბოლოდან უკან მოდიან. სადღაც კიდევ წერენ ზევიდან ქვევით, მაგრამ მე მგონი არ არსებობს დამწერლობა, სადაც სტრიქონი ქვევიდან იწყება. არაბული დამწერლობა ქაღალდზე დაყრილ წვრილად დაფშვნილ თამბაქოს წააგავს, ინდური - ახალტოტებამოყრილ ჭალას, ჩინური - მხატვრის ფანტაზიის აღმაფრენის დროს შექმნილ ორნამენტებს. პოლონური დამწერლობა ბერძნულისაგან არის წარმოქმნილი, ბერძნული თავის მხრივ ფინიკიურს დაესესხა ასოების მოხაზულობას, მაგრამ მხოლოდ რომაელებმა მისცეს მას მკაფიო, უბრალო ფორმა.

ეს ოცდახუთიოდე ნიშანი მრავალი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ენის სიტყვებს ახმიანებს. ლათინური ანბანი ზუსტად არც ერთი მათგანის ბგერებს არ გადმოსცემს, ამიტომ ისინი შეზღუდულნი არიან უამრავი პირობებითა და კონვენციებით და, თუ გინდა, ბგერები სათანადოდ ჟღერდეს, ეს პირობები და კონვენციები ანბანის შესწავლისთანავე უნდა აითვისო. ეს კი მხოლოდ მაშინ ხერხდება, როცა მოცემული ენა ცოცხალია. ენის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი მუნჯი ასოების ასალაპარაკებლად უნდა ვიმკითხაოთ და საკუთარი ფონეტიკა

გამოვიგონოთ. ჰომეროსის ერთი და იგივე სტრიქონი წარმოთქმული ინგლისელის, ფრანგის, გერმანელის, პოლონელისა და თვით თანამედროვე ბერძნის მიერ ისე განსხვავებულად იჟღერებს, თითქოს სხვადასხვა ენაზე იყოს დაწერილი. მიუხედავად ამისა, ათეული საუკუნეების მანძილზე, როცა ამბობდნენ „გაიწკრიალეს ისრებმა“, ყველას ესმოდა სწრაფად მიმავალი აპოლონის ეტრატში ჩალაგებული ისრების წკრიალი, ხედავნენ თვითონ ღმერთს, ხედავდნენ ქმის მოლუშულ სახეს. აი, ეს გახლავთ დამწერლობის სასწაული. იგი სამუდამოდ ინახავს ბგერას, სახეს, მოძრაობას.

დამწერლობის მეშვეობით ვეცნობით ენის ისტორიის წიგნის მხოლოდ ბოლო თავებს. ვეება ტომის წინა ფურცლები კი დაუწერელია და შედარებითი ენათმეცნიერების წამრიდგენებისა და მიხვედრილობათა ასპარეზად არის ქცეული. ენათა უსიერ ტყეში მაინც შეიძლება თვალი მიეადევნოთ იმას, რომ სიტყვა უთვალავი საუკუნის მანძილზე ერთსა და იმავე, ყოველ შემთხვევაში, მსგავს გზას გადიოდა. ეს მეორდებოდა ყოველთვის, როდესაც ტომი იყოფოდა ან როდესაც ენათა ახალი ოჯახი წარმოიქმნებოდა. ჩვენ არიელთა ოჯახს ვეკუთვნით. იქ, სადაც არიული წინარე ენა წარმოიქმნა (ვინ იცის, იქნებ, ეს ადგილი თანამედროვე პოლონეთის ცის ქვეშ მდებარეობდა), ღობეშემოვლებულ ეზოებში ჩამდგარ ქოხებში მცხოვრები ხალხი იმ წინარე არიულ ენაზე ლაპარაკობდა, რომლის აღდგენას ახე თავგამოდებით ვესწრაფვით ახლა და, როცა ამ ენის თუნდაც ერთ ბგერას გამოვგლეჯთ წარსულს, გული სიხარულით აგვიძგერდება ხოლმე.

თუ ალექსანდრე ბრიუკნერის „პოლონური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონს“ გადაათვალიერებთ, ყოველ გვერდზე შეგხვდებათ სლავთა საერთო წინაპრების მიერ მემკვიდრეობით გადმოცემული სიტყვა. ეს სიტყვები ჩვენგან ოცი საუკუნით დაშორებულ ეპოქას განეკუთვნება, ეპოქას, როცა სლავი ტომები გაუყოფელნი იყვნენ. ზოგიერთი მათგანი ახლაც ძველებურად წარმოითქმის. ჩვენი ყოველდღიური სალაპარაკო ენის მეოთხედი ნაწილი სწორედ ამ სიტყვებისაგან შედგება. მათი დახმარებით შეგვიძლია აღვწეროთ გარემო, ამინდი, შეურნეობა, ადამიანის სხეული, ხეები, ბალახები, ყვავილები, ტყის ბინადარი ცხოველები და ფრინველები, საჭმელი, შრომის იარაღები, განვასხვავოთ ახლობელი და შორეული ნათესავები, სახელი დავარქვათ ადამიანთა ურთიერთობას თემში და ტომში ომისა და მშვიდობის დროს, აღვნიშნოთ ხასიათის თავისებურება, გავათავისთავადოთ საზოგადოებრივი ჯგუფები, კანონები, მმართველობის ფორმები, და ბოლოს, მათ შეუძლიათ ფრთები შეასხან აზრს რამდენიმე ათეულ, რეალური ცხოვრებიდან მოწყვეტილი ცნების დახმარებით და გადააფრინონ იგი რწმენის იმ მუდმივ სამყაროში, სადაც შეუცვლელად ბატონობენ ძველთაძველი და უკვდავი სიტყვები: ღმერთი, ეშმაკი, ცოდვა, დანაშაული, სასჯელი, სამოთხე, ჯოჯოხეთი, სასწაული. აღსანიშნავია, რომ სლავ ტომთა ერთობის პერიოდიდან ჩვენამდე უცვლელად მოვიდა სიტყვათა მაწარმოებელი ელემენტები: ძირები, წინდებულები, სუფიქსები, რომელთა მეოხებით დღეს სულ ახალსა და ახალ სიტყვებს ვქმნით.

ეს სიტყვები ლიტერატურის საშენი მასალაა - კეთილშობილი და ამავე დროს უბრალო და მარტივი. სიტყვის იდუმალებით მოსილ სიდიადეს ვერც ის ქვა, ხე და ლითონი შეედრება, რომელთაც ხუროთმოძღვრები და მოქანდაკენი ხმარობენ, ვერც მხატვართა საღებავები და ვერც მუსიკოსის შემოქმედებითი მასალა-საკრავების მიერ გამოცემული ბგერები. ამასთანავე, სიტყვა სამუშაო იარაღია და სრულიად ჩვეულებრივი საქმეების მოსაგვარებლადაც იხმარება. ერთი და იმავე

სიტყვებისაგან შეიძლება შევთხზათ ლოცვაც და უხამსი სიმღერაც. სიტყვებით შეგვეძლია მოვატყუოთ და გავთათხოთ ვინმე. სიტყვები ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან, მუყაითად შრომობენ მინდორში, დაფუსფუსებენ სამზარეულოში. ლიტერატურა ყოველთვის ცდილობდა გათავისუფლებულიყო უფრო გაცვეთილი და მდაბიო სიტყვებისაგან და საერთო ენის წიაღში შეექმნა საკუთარი, ქვეთესლობილური და ამაღლებული ენა.

მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა დროს სიტყვის ოსტატები შეადგენდნენ განსაკუთრებულ კასტას, რომელსაც საკუთარი ადათები და პრივილეგიები ჰქონდა. ისინი სალაპარაკო ენისაგან განსხვავებული ენით სარგებლობდნენ და ეს ენა საგანგებოდ უნდა შეგვსწავლათ. სწორედ ასეთ ვითარებაში შეიქმნა სანსკრიტი-ლოცვებისა და პოეზიის დახვეწილი ენა. ლოცვა და პოეზია ერთი და იმავე რიგის მოვლენა იყო, რადგან პოეტი გარკვეული თავლსაზრისით ქურუმიც იყო და მისი შემოქმედება რელიგიასთან იყო დაკავშირებული. ეს შემოქმედება ზოგჯერ მაგიაშიც იდებდა წილს და მაშინ პოეტი ჯადოსნად გარდაიქმნებოდა და ლექსები წარმოუდგენელ ძალას იძენდნენ ხოლმე. ძველი ბერძნული ლირიკის ზოგ სახეობაში სამუდამოდ არის აღბეჭდილი მათი რელიგიური წარმოშობის კვალი.

ჰომეროსის, ანუ ეპოსის ენა განსაკუთრებული, ფრიად ხოცარი შენადნობია და მას არც ერთი ბერძნული ტომი არ ფლობდა თავის სალაპარაკო ენად. ჰომეროსის ენაში წამყვან ელემენტს წარმოადგენს ლექსის ზომა - დაქტილი, იგი ამ ენის სრულუფლებიანი მბრძანებელია - თავის ნებაზე აბრუნებს სახელებს და აუღლებს ზმნებს, თავის ნებაზე ათამაშებს სინტაქსს, სიტყვებსა და ორთოგრაფიას. ამ ენაში არსებითი და ზედსართაული სახელები რიცხვსა და სქესს დაქტილური ჭირვეული ლექსის მოთხოვნათა შესაბამისად იცვლიან. ერთი და იგივე საგანი შეიძლება მრავლობითი რიცხვიდან მხოლობითში გადაბარგდეს და თავზე გადაახტეს სამივე სქესს. ასევე შეიძლება გიჟურ ფერხულში ჩაებას ყველა გრამატიკული დრო და კილო. იმ ძველი პოეტური ტრადიციის არსებობას, რომლის წიაღიდანაც აღმოცენდა ჰომეროსი, თვალნათლივ ადასტურებს სწორედ ეს, მრავალი თაობების მანძილზე შექმნილი, „დაქტილური ვერსიფიკაცია". კარგა ხნით ადრე, ვიდრე გერმანელი ფილოლოგების გამოკვლევები დაასაბუთებდნენ ამ დებულებას, საზრიანმა პიკო დელლა მირანდოლამ გამოიცნო ჰომეროსის ლექსის ლიტერატურული ხასიათი.

ასეთი „თეოლოგიის" დაწერა დღესაც შეიძლება. მას შეეძლება მოიცვას პოეზიის ყველა ეპოქა და მაშინ, ალბათ, გამოირკვეოდა, რამდენად მტკიცედ მიჰყვებოდა პოეზია უძველეს ტრადიციებს. ახლაც იმდენ „საკურთხეველსა" და „პალადიუმში" ლაპარაკობენ განსხვავებულ ენაზე, ისე თავისებურად აფასებენ პოეზიას, ისეთ უჩვეულო ცნებებს იყენებენ ამისათვის, რომ კაცი იფიქრებს, მხოლოდ ძველი პოეტური კასტები და სიტყვის საიდუმლოს ამოცნობის ხლოვნების ძველებური მეთოდებლა გვაკლიაო. „საღმრთო" ენის მთავარი მასალა ცხოვრების მიერ უარყოფილი ძველი სიტყვები და ძველი ფორმებია. ეს აიხსნება ყოველგვარი კულტის კონსერვატორული ხასიათით და, აგრეთვე, იმით, რომ ჩვენ ინსტინქტურად მოგვწონს ყოველგვარი ძველი და ეამგადასული: შუმერული ენა-ბაბილონში, ლათინური - კათოლიკურ ეკლესიაში, საეკლესიო სლავური - მართლმადიდებლურში, დახავსებული ბერძნული - ბერძენ ორთოდოქსებში რელიგიური ტრადიციებისა და ძველი სიტყვებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მიმზიდველობის წყალობით იხანგრძლივებენ სიცოცხლეს.

რომის დაცემამდე ლოცვებს იმპერიისდროინდელ ენაზე აღავლენდნენ, შუასაუკუნეების მენესტრელები წინა თაობებისაგან ნაანდერძევ ძველებურ სიმღერას მღეროდნენ და ჩვენ ახლა იმ მენესტრელებზე უკეთ გვესმის ამ სიმღერის შინაარსი. არც ერთ ინგლისელს არ მოუგია თავში თანამედროვე ენის ნორმების მიხედვით გამართოს ბიბლიის კანონიკური თარგმანი. თანამედროვე სალაპარაკო ენით თარგმნილი ფსალმუნი წმინდა წიგნის პაროდიას დაემსგავსებოდა, ასეთი რამ ემართებოდა პოეტურ ენას: ზოგიერთ ეპოქაში იგი ლიტურგიასავით გაუგებრად და ზეიმურად ჟღერდა და მთლიანად არასოდეს მოუშორებია ეს ტრადიციით გადმოცემული ხასიათი. ა. მიცკევიჩის "პოლონელი ხალხისა და პოლონელთა მწირობის წიგნებისა" და ი.სლოვაცკის „ანგელოზების" გამოთქმებსა და ფრაზებს ბიბლიური სურნელი ასდის, რადგან ამ წიგნების შინა არსს სწორედ ასეთი სტილი ესადაგება. ასეთი მაგალითები კიდევ მრავლად შეიძლება მოვიტანოთ. მწერლები დღეს მეტწილად „ისტორიული კოლორიტის" შესაქმნელად მიმართავენ ენის არქაიზაციას, მაგრამ ძველ სიტყვებსა და ხმარებიდან გამოსულ ფორმებს საოცარი ემოციური ძალა აქვთ და ამიტომ ისინი მარად შეინარჩუნებენ თავისებურ ხიბლსა და სილამაზეს. მწერალთა ჯგუფების „ახალგაზრდა პოლონეთის" მიერ შემოღებული არქაული, მეტწილად ისეთივე ყალბი არქაული სიტყვები, როგორიც ეს ტაძრები, რაინდები და ბომონები იყვნენ, დღეს მხოლოდ ღიმილს გვგვრის, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ჩვენი დღევანდელი ენა არაერთხელ გააცინებს მომავალ თაობას, რადგან ნებისმიერი ენის ნებისმიერ პერიოდს ახასიათებს მრავალგვარი უცნაურობა და შეუსაბამობა. დარწმუნებული ვარ, დღევანდელ ენაში კიდევ უფრო მძლავრად მოიკიდა ფეხი ამ მოვლენამ. ლიტერატურული ენა არც მკვდარი უნდა იყოს, არც არქაული, არც ჰომეროსის ენასავით ხელოვნური და, მით უმეტეს, არც მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს სალაპარაკო ენისაგან. მარტო ორთოგრაფიითა და პუნქტუაციით კი არა, თვით სინტაქსით, კილოების, ბრუნვების, დროების, სიტყვათა რიგის ხმარებით, ერთი სიტყვით, მთელი მტკიცედ დადგენილი სისტემის მეოხებით დაწერილი სიტყვა განსხვავდება წარმოთქმული სიტყვისაგან, რადგან ამ უკანასკნელს არა აქვს შეცდომებისა და უზუსტობების გასწორების დრო. მეტად დიდი განსხვავებაა საუბრისას წარმოთქმულ ფრაზასა და თუნდაც ყველაზე უფრო რეალისტური რომანის დიალოგს შორის. გარდა ამისა, ლიტერატურული ენა ერთგვარია, სალაპარაკო კი მრავალგვარი. ყოველ სოფელში თავიანთებურად ლაპარაკობენ, ერთი და იმავე ენის კილოკავები და დიალექტები იმდენად განსხვავებულია, რომ ხალხი ერთმანეთს ვერც კი აგებინებს ხოლმე ნათქვამს: ასეა, მაგალითად, საქმე იტალიური და გერმანული ენის დიალექტებში.

ლიტერატურა ცდილობს ყველასათვის გასაგები და მისალები ენა შეიმუშაოს. ბერძნები დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ ცდებს და რამდენიმე ლიტერატურული ენით სარგებლობდნენ: საფო და ალკეოსი ეოლიურად წერდნენ, ჰეროდოტე - იონიურად, ლირიკოსები ხშირად მიმართავდნენ დორიულ დიალექტს და ბოლოს, თუკიდიდემ, პლატონმა, ქსენოფონტემ, დიდმა ტრაგიკოსებმა და დიდმა კომედიოგრაფებმა შეძლეს, რომ უპირატესობა ატიკურ დიალექტს მოეპოვებინა. სწორედ ამ დიალექტიდან შეიქმნა შემდგომში ერთიანი სალიტერატურო ენა - ეგრეთ წოდებული კოინე. მსგავსი სიძნელეები თანამედროვე საბერძნეთშიც არსებობს: ერთნი ემხრობიან „წმინდა", ტრადიციულ ენას, „კათარევუსა" რომ ეწოდება. იგი ძალიან ჰგავს ძველბერძნულს და ძალზე დაშორებულია თანამედროვე სალაპარაკო ენისაგან. მეორენი იბრძვიან თანამედროვე ენის გასაბატონებლად. ამ

ბრძოლაში ბოლოს თანამედროვე სამეტყველო-სალიტერატურო ენა - დიმოტიკი ამოვიდა გამარჯვებული. ზოგიერთ ისეთ ქვეყანაშიც კი, რომლებშიც საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურული ნაწარმოებია შექმნილი, მაგალითად, ნორვეგიაში, დიალექტები კვლავ ებრძვიან ერთმანეთს პოზიციებისათვის. იუგოსლავიის მაკედონიაშიაც მიმდინარეობს ბრძოლა ახალი „ლიტერატურული ოლქების" დასაუფლებლად, იქ, ისევე, როგორც ძველად, ცხარედ დავობენ ამაზე თუ რომელი ენა უნდა იქცეს ქვეყნის საერთო სალიტერატურო ენად.

თუ არ ვცდები, ინდოეთში ჯერ აქამდეც არ მისულა საქმე: იქ ლიტერატურული ცხოვრება უშუალოდ გაუნაწილებიათ ერთმანეთში სულ სხვადასხვაგვარ ენებს - ჰინდის, მარატხის, ორიას, ტულუგუს, ურდუს და არც მხცოვან სანსკრიტს დაუყრია ჯერ ფარ-ხმალი.

ყველა ხალხის ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა აუცილებელი ხდება იმის გადაწყვეტა, რომელი კილოკავი იქნას არჩეული საერთო ლიტერატურულ ენად. ეს საქმე შეიძლება გადაწყვიტოს რომელიმე ოლქის პოლიტიკურმა წონამ. რომმა ასე მოახვია თავს თავისი ენა ლათინურ ლიტერატურას, ამ ლიტერატურას კი ის ადამიანები ქმნიდნენ, რომლებიც რომში არ იყვნენ დაბადებულნი და აღზრდილნი. ასევე შეუძლია გადაწყვიტოს ეს საკითხი დიდმა შემოქმედმა: ასე გახდა დანტე იტალიის ლიტერატურული ენის შემქმნელი. მისი ბავშვობის წლებში არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ ფლორენციული დიალექტი დასჯაბნიდა იტალიის სხვა დიალექტებს. დამწერლობაში იგი სხვებზე გვიან გამოჩნდა, მაგრამ როცა დანტემ, შემდგომში კი პეტრარკამ და ბოკაჩომ აირჩიეს თაეიანთ სამწერლო ენად, საკითხი გადაწყდა: იმ დროს არც თუ ყველაზე დიდი და ცნობილი ქალაქი იტალიის სალიტერატურო ენის სამშობლოდ იქცა. პოლონურ სალიტერატურო ენას არა აქვს ასეთი ძველი და ბრწყინვალე დასაწყისი. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამორკვეული, თუ როგორ წარმოიშვა იგი პოლონური დიალექტებიდან. მასში სჭარბობს ველიკოპოლონური დიალექტის ელემენტები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ სალიტერატურო ენაში არ შეინიშნება მაზურენი[1], თუმცა ამგვარი წარმოთქმა საყოველთაოდ იყო გავრცელებული იმ ტერიტორიებზე, სადაც წარმოიქმნა პოლონური დამწერლობის უძველესი ძეგლები. შესაძლებელია, აქ როლი ითამაშა ველიკოპოლონური სამეფო კარის დიდებულთა გავლენამ, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ეს გავლენა ძლიერი აღმოჩნდა, იმდენად ძლიერი, რომ დაიმორჩილა კრაკოვი, სადაც მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული მაზურეზაციას და ამავე დროს უკვე კარგა ხანია დედაქალაქი იყო. შესაძლებელია პოლონური სალიტერატურო ენის ფონეტიკაზე გავლენა იქონია ჩეხურმა ენამაც. ეს გავლენა დიდი იყო პოლონური დამწერლობის შექმნის მომდევნო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და დიდად შეუწყო ხელი დღევანდელი სალიტერატურო ენის ფონეტიკის ჩამოყალიბებას. და ბოლოს, შეიძლება დავუშვათ, რომ მაზურეზაცია ნაგვიანევი მოვლენაა და უკვე ჩამოყალიბებულმა სალიტერატურო ენამ არ მიიღო. თუ ეს უკანასკნელი ვარაუდი გაიმარჯვებს, ძნელი დასამტკიცებელი არ იქნება, რომ პოლონურ სალიტერატურო ენას საფუძველი დაუდო „მალოპოლონურმა" დიალექტმა. დღევანდელი და მაშინდელი ენის ბგერითი ელფერი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ახლა ხშირად

1. ფონეტიკური მოვლენა, რომლის არსი ის არის, რომ ბგერები, რომლებიც სალიტერატურო ენაში გამოითქმოდა როგორც ჩ, ჯ, შ და ჟ. ხოლო დიალექტში - ც, ძ, ს და ზ.

გვიხდება სმენის დაძაბვა, რომ ორთოგრაფიული ნიშნების წიაღიდან იმდროინდელი ბგერების ყოლერადობა მოვისმინოთ. ამ ნიშნების შემმნელთა გამომგონებლობის უნარი ჩვენს აღტაცებასა და გაოცებას ამსახურებს. წერის დროს ყველაზე მეტ დაბნეულობას შევიწროებული და ცხვირისმიერი ხმოვნები ბნევს და, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულ სფეროებში [illegible] გამოთქვამენ ამ ხმოვნებს, ვერ ვიტყვით, რომ მათი ყოლერადობა რამდენიმე საუკუნის წინათაც ზუსტად ასეთივე იყო. თუმცაღა, განსხვავება დიდი არ არის და ნებისმიერი უძველესი პოლონური ტექსტის გაგება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ჩვენ, პოლონელებს, არ მოგვეპოვება ჩვენი ისტორიის პირველი ექვსი საუკუნის წერილობითი ძეგლები. ის, რაც ახლა ძალიან გაგვიხარებდა გულს, მანამდე დაიღუპა, ვიდრე პოლონელები წერას ისწავლიდნენ - მე მსჯელობაში მაქვს ის ხალხური სიმღერები, რომლებიც ჯერ კიდევ წარმართობის დროიდან მივიღეთ მემკვიდრეობით. მათი გამოძახილი ახლაც შემორჩენილია ზეპირი გამოთქმაში. ეს გამოთქმები ჯერ კიდევ ადრეული შემოდგომის აბლაბუდებივით დაფარფატებენ პოლონეთის მინდვრების თავზე და სიამოვნებით გვიძგერებენ გულს. ნამდვილ ლიტერატურას კი კარგა ხანს ველოდით. ველოდით და მოუთმენლად დაეკურებდით ისტორიის საათს, რომელიც საუკუნეების სვლას ითვლიდა. აქ ჩვენ რომაელთა მდგომარეობაში აღმოვჩნდით; რომაელებმა განვლეს მეფეთა პერიოდი, დაიპყრეს ეტრუსკები, დააარსეს რესპუბლიკა, დაიმორჩილეს მთელი იტალია, შექმნეს ძლიერი სახელმწიფო და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს ლათინურ ენაზე აღზრდილი ბერძნისაგან თავიანთი პირველი წიგნი - „ოდისეას" თარგმანი. ჩვენი ლიტერატურაც თარგმანებიდან ამოიზარდა. ძალიან ცუდია, როდესაც ხალხი ვერ ერევა საკუთარ თემას - ჰიმნს, გმირულ სიმღერას, ისტორიულ ანალებს, მაგრამ თარგმანსაც ჰქონდა თავისი დადებითი მხარე: აუცილებელი იყო მშობლიური ენის ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინათ, რათა სრულყოფილად გადმოეტანათ ასეთი დიადი ნაწარმოების აზრები და გამოთქმები, როგორიც არის ფსალმუნი, იობი და წინასწარმეტყველთა წიგნები. საუკუნეთა მიღმიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთადერთი მთარგმნელის - კაპელან ანჯეი იაშოვიცელის სახელმა მოაღწია. მან მე-15 საუკუნის შუა ხანებში ბიბლია უთარგმნა დედოფალ ზოფის („დედოფალ ზოფის ბიბლია"). მახვილი კალამი ჰქონდა მამა ანჯეის. მარტივად, ნათლად და ლამაზად თარგმნიდა ფრაზებს, გადმოჰქონდა ტექსტის აზრი და თავს არ იზღუდავდა ლათინური სინტაქსით. იგი ადვილად ერეოდა „ვულგატის" იმ რთულ ადგილებს, რომლებიც შემდგომში ცუდ დღეში აგდებდნენ იაკობ ვუიკს. ანჯეი იაშოვიცელი, რომლის ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცით, შეტანილი უნდა იქნას ჩვენი ლიტერატურის ფუძემდებელთა სიაში.

ო, რა გაჭირვებით იქმნებოდა ეს ლიტერატურა გულუბრყვილო ლექსებისაგან და უმწეო პროზისაგან! სიტყვის ფრთებს ძალა არ ჰყოფნიდათ ზეცაში ასაფრენლად. აზრი ტლანქად დააბოტებდა მშობლიური მიწის პატარა ნაგლეჯზე. რეიმ აზრს სივრცე მოუპოვა, მაგრამ მიწას ვერ ააცილა. რეი მაგარი, ჯანიანი, ხახლხავსე კაცი იყო. მას ჭვავის ყურნელება ასდიოდა. იგი პირველი პოლონელი მწერალი გახლდათ, რომელსაც პირველივე ფრაზით გამოარჩევდით სხვებისგან, რადგან ქვეყნობილ წინადადებებს ვერ იტანდა და თავისი მძიმე ხელით მოუთმენლად ამსხვრევდა მარტივ წინადადებებად. რეი თავისებური მწერალი გახლდათ, მაგრამ ამ თავისებურებას სახელს ვერ მოუძებნით. არა და, მისი ოსბულებების კითხვისას კისკასი მწერლური სიოს ქროლვას გრძნობთ, მისი შემოქმედება ყოველთვის მხნე,

მკვირცხლი და ამოუწურავია. მწერალი მზად არის ასჯერ გაიმეოროს ერთი და იგივე, დაუქანცავად ტრიალებს მორევში,რომელიც სულ ორი ათასი სიტყვისაგან შედგება, მაგრამ მას საკმარისია ჭეშმარიტების ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის. რეი მკვიდრად და სამუდამოდ დაფუძნდა პოლონურ ლიტერატურაში და მრავალი მემკვიდრეც დატოვა, თუმცა მათ ერთი შეხედვით ვერც კი იცნობს კაცი. რეის შთამომავალია ყველა მთხრობელი და მოსაუბრე, კალმის ყველა სარმატი, კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი თვითნასწავლი მწერლების ლეგიონთა ყველა წევრი - ისინი, ვინც მზად არიან სხვებს ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტება ასწავლონ, ყველა ის უდარდელი, თავის თავში დაჯერებული, კეთილი მწერალი, ვინც გაშლილ სუფრაზე მოურიდებლად იკავებს ხოლმე საუკეთესო ადგილს, ერთი სიტყვით, ყველა, ვინც იტანჯება შემოქმედებითი პროცესით, ვინც თავისუფლად დაცურავს სიტყვის მდინარის ზედაპირზე და ვერც კი ამჩნევს მის სიღრმეში მოტრიალე სახიფათო მორევებს.

და აი, მოულოდნელად გამოჩნდა ის, რომელიც ლექსის შეთხზვამდე წონიდა ყოველ მარცვალს, ყურადღებით უსმენდა მის ხმიანობას, არ დაწერდა არც ერთ სიტყვას, სანამ უკეთესის პოვნის იმედს არ გადაიწყვეტდა, მტკიცედ უჭერდა თავს ეჭვის ტაიჭს, რომელიც მუდამ გზიდან გადახვევას ცდილობს ხოლმე, არ ჰყვებოდა მაცდურ ხმას და კარს უხშობდა გონებაში აბობოქრებულ წარმოდგენათა ჭარტეხილს, რათა რაც შეიძლება ღრმად ჩაეყვინთა სიტყვის უძირო მდინარეში. პოლონეთში პირველად მან მიაპყრო მზერა ჩვენი ენის ჯერ კიდევ უცნობსა და უდაბურ ლანდშაფტს. ეს იყო იან კოხანოვსკი, პოლონური სიტყვის პირველი მხატვარი, რომელმაც ამ უდაბნოში შექმნა თავისი პოეზიის რენესანსული წალკოტი და, რომელსაც, სამწუხაროდ, დიდხანს მოუხდა თავისი ხელოვნების გამგრძელებლის ლოდინი. რითმის მთხზველთა თაობები, რომელსაც კეთილი განზრახვები ამოძრავებდა, ამჯობინებდა რეის ჩასდგომოდა კვალში, რადგან მისმა უზრუნველმა ხითამამემ და მოუქნელმა სიმხიარულემ რამდენიმე საუკუნის მანძილზე დაასვა თავისი წარუშლელი დაღი პოლონური ლიტერატურის სახეს. ოსპალინსკი, პატოცკი, კახოვსკი, პასეკი, ალბათ, ზრდილობიანად აუვლიდნენ გვერდს იმ მაგიდას, რომელსაც კოხანოვსკი, გურციკი და სკარგა უსხდნენ და რეის მაგიდასთან დაიკავებდნენ ადგილს.

გურნიცკის „დიდებულში" არის ენის პრობლემისადმი მიძღვნილი რამდენიმე გვერდი. კითხულობ და გიკვირს: თუ იმ რამდენიმე ნაკლებმნიშვნელოვან დეტალს გამოაკლებ, რომლებზედაც თანამედროვე ენათმეცნიერებას სხვაგვარი შეხედულება აქვს, გურნიცკის შეხედულება ენაზე ჭეშმარიტად გაოცებს მსჯელობის სიზუსტით, სიცხადითა და დაბეჯითებით. პოლონურ ენაზე ხელმეორედ რომ დაიწეროს ასეთი რამ, ავტორმა გვერდი უნდა აუაროს იმ ორი საუკუნის მანძილზე გაბატონებულ სულელურ ნაწარმოებებს, რომელთა გვირგვინი იყო ბენედიქტ ხმელევსკის „ახალი ათენი" - ეპოქის ყველაზე უგვანო ნაწარმოები. იგი მთლიანად განზე დგას მსოფლიო კულტურის მონაპოვართაგან და გონებრივი სილატაკის ლაფშია ამოსვრილი.ჩვენი უბედურება სწორედ ის იყო, რომ მნიშვნელოვანი ნაწარმოებები იშვიათად იწერებოდა. პროზა პოეზიაზე უფრო მეტად იყო ჩამორჩენილი. ოჟეხოვსკის საოცრად ძალდაუტანებელ სტილს გურნიცკის დახვეწილ პროზას, სკარგას გაქანებას მეტკვიდრე არ უჩნდებოდა. მე-18 საუკუნის ბოლოს პროზას, მოულოდნელად, მრავალრიცხოვანი ამოცანა გაუჩნდა გადასაწყვეტი: აქამდე ლათინურით გადიოდნენ ფონს, ახლა კი სასწრაფოდ უნდა

შექმნილიყო მეცნიერული და საკანცელარიო ენა. არ შეიძლება აღტაცებული არ დარჩე ფიზიკის, მათემატიკის, ეკონომიკის და ქიმიის დარგებში შექმნილი პირველი ნაშრომების ავტორებით - ისინი სჭედდნენ პოლონურ მეცნიერულ ტერმინოლოგიას და სალაპარაკო ენის სტილს ნათელი ცნებების ზუსტად ამოჭრილ ყალიბში ასხამდნენ.აღტაცებას იწვევენ აგრეთვე კანცელარიის ის უცნობი გადაწერლები, რომლებიც ცხრაპირ ოფლს იღენდნენ წესდებების, დეკრეტების, განკარგულებებისა და სხვა ათასნაირი საკანცელარიო საბუთების შექმნისას. მაგრამ ყველაზე ძძიმე ტვირთი მე-19 საუკუნეს დააწვა მხრებზე: მას უნდა შეევსო და დაემთავრებინა ყოველივე, რაც წინა თაობებს გამორჩა ყურადღებიდან და მე-19 საუკუნეში ისეთი რამ მოხდა, რასაც სხვა ხალხების ლიტერატურაში არ ჰქონია ადგილი: ეს საუკუნე მალალი ზღუდით გამოეყო წინა საუკუნეების ლიტერატურას. იმ ზღუდის მიღმა საშწოფის ატესტატის მიღების შემდეგ არავინ გადაიხედავს ხოლმე. სხვანაირად არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან მხოლოდ მე-19 საუკუნემ მოგვცა პირველი ჭეშმარიტი გენიოსები, შექმნა დრამა, რომანი, ესე, ხოლო ლირიკა არნახულ სიმაღლეზე აიყვანა და სრულყო მისი ისეთი არქაული სახეობაც კი, როგორიცაა სონეტი. მე-19 საუკუნემ გააფაროლა გრძნობების სფერო, ფრთები შეასხა აზრს, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მიწას ვერ ასცილებოდა და, ბოლოს, გადაახალისა ენა, გაამდიდრა ლექსიკა და მოქნილი და მუსიკალური გახადა სინტაქსი. ყველა, ვინც დღეს პოლონურად წერს, თითქმის არაფერს ესესხულობს რომანტიზმის ეპოქამდელი ავტორებისაგან. მათ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიმართავენ ხოლმე, მაგალითად, ისტორიული რომანების წერისას ამ ავტორებს არქაიზმებს დაესესხებიან ხოლმე ეპოქის კოლორიტის გადმოსაცემად.

გაგრძელება იქნება

ლუციუს ანეუს სენეკა

ლათინურიდან

თარგმნა ნ ა თ ე ლ ა ს ო ხ ა ძ ე მ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიცოცხლის
მსწრაფლწარმავლობისათვის[1]

1,1 ადამიანთა უმრავლესობა, პავლინუს,[2] უმოწყალობას ყველის ბუნებას, რადგან ოდენ წუთით მოვდივართ ქვეყნად და ჩვენთვის დასაზღვრული დროის მონაკვეთი ისე სწრაფად, ისე მალიად წარხდება, რომ კაცთა უმრავლესობა სიცოცხლისათვის მზადებისას მიიცვლება. ამ, როგორც ფიქრობენ, საყოველთაო ბოროტებას არა მხოლოდ უჩინონი და უმეცარნი განიცდიან, არამედ იგი სახელგანთქმულ კაცთა დრტვინვასაც იწვევს. ამიტომაა თქვა უდიდესმა ექიმთა შორის: „სიცოცხლე ხანმოკლეა, ხელოვნება მარადიული". ამის გამო დასცდენია არისტოტელეს ბრძენკაცისათვის სრულიად შეუფერებელი სამდურავი ბუნების კვლევისას: „მან ნადირთ იმოდენა სიცოცხლე მიანიჭა, რომ ისინი ხუთ ან ათ თაობას ზრდიან, ადამიანს კი, ეგზომ დიდსა და ესოდენ მრავალს, ასეთი ნაადრევი აღსასრული დაუდგინია".

არ არის მცირე საჩვენო ჟამი, მაგრამ, ვაი, რომ ცუდუბრალოდ და ამაოდ ვფლანგავთ. სიცოცხლე, თუ მას გონივრულად დავაბანდებთ, საკმაოდ გრძელია და საკმარისიც დიად საქმეთა აღსასრულებლად. ჩვენ კი, როდესაც იგი ჩვენივ უზოგველობითა და უთავბოლობით შემოგვადნება, როცა უკეთურ საქმეთათვის სრულიად გავცემთ, მაშინღა ვამჩნევთ უკანასკნელი აუცილებლობით შეიწრებულნი მიქცევის მისას; ჩვენს ხელთ რომ იყო, არ ვაფასებდით.

ასეა: მოკლე სიცოცხლე კი არ მოგვენიჭა, მას ჩვენ ვაკნინებთ; უზოგველნი ვართ და არა ლატაკუპოვარნი. უზარმაზარი და მეფური ქონება უგუნური პატრონის ხელში უმალ გაიფლანგება, მცირედ დავლას კი მომჭირნე კაცი გააასკეცებს. წუთისოფელიც ასევეა - გონიერ მოკვდავს ბევრს სთავაზობს.

2,1 მაშ რად ვუჩივით ნეტავ ბუნებას? იგი უხვია და მწყალობელი. სიცოცხლე, თუკი მისი მოხმარება იცი, გრძელია. მაგრამ ერთი დაუოკებელ სიხარბეს შეუპყრია, მეორე-უსარგებლო საქმეებზე გულმოდგინე ფუსფუსს, მესამე მემოვრალეობს, სხვას მცონარობით მიხდია ლონე, ზოგს პატივმოყვარეობის ჭია შესჩენია და მუდამ სხვათა აზრების ტყვეა; ზოგსაც მოგების სურვილი და ვაჭრობის ყინი ეზიდება უცხო ზღვებისა და ქვეყნებისაკენ, ხოლო ზოგიერთი სამხედრო სამსახურს ესწრაფვის და გამუდმებით ფიქრობს იმ განსაცდელზე, ხან სხვას რომ ემუქრება და ხანაც თავად მას. არიან ისეთებიც, რომელთაც წარჩინებულთათვის ფუჭი თავდადება ნებაყოფლობით მონობაში ხდის სულს. მრავალს მოსვენებას უკარგავს სხვათა ბედნიერება და საკუთარი საზრუნავი. ძალიან ბევრი სულაც უმიზნობითაა გაღიზიანებული, მუდამ მერყეობს, ყოყმანობს და ახალ-ახალ საქმეებს ეძებს. ზოგს არარა აქვს მოსაწონი და საოცნებო, ამიტომ ბურანსა და ძილღვიძილში ეგებება სიკვდილს. ასე რომ, მეხსიერებით ვეთანხმები ერთი დიდი პოეტის ნათქვამს, ქურუმივით რომ ილაღადა ჭეშმარიტება: სიცოცხლის მხოლოდ მცირე ნაწილს ვცხოვრობთო კაცნი. დანარჩენი ხანგრძლიობა ცხოვრება კი აღარ არის, უბრალოდ დროა.

ადამიანებს ყოველი მხრიდან გარს

ეკვრიან და ავიწროებენ მანკიერებანი, არ ანებებენ მათ თავის აღებასა და სიმართლისათვის თვალის გასწორებას, პირიქით, ქვე ეზიდებიან და უფრო ღრმად ფლავენ თავიანთ საწუხარში. კაცნი ვერასოდეს ვერ ახერხებენ საკუთარ თავთან დაბრუნებას და თუ ოდესმე სიმშვიდის ჟამი დაუდგებათ, მოჩვენებითი იქნება ისიც: ღია ზღვაში ხომ ქარიშხლის შემდეგაც ბობოქრობენ ზვირთები, არც ადამიანს მოასვენებს ოდესმე ვნება.

არ იფიქრო მხოლოდ მათზე ელაპარაკობდე, ეისი მძიმე ხვედრიც უეჭველია. შეხედე იმათ, ბედნიერთ რომ უწოდებს ხალხი. მათ ხომ საკუთარი კეთილდღეობა აშთობთ. რამდენს ამძიმებს სიმდიდრე, რამდენ უშრობს სისხლს ნაკლებმეტყველებისა და სხვა უნაართა გასაწაფი ყოველდღიური ვარჯიში, რამდენი გასავათებულა განუწყვეტელ სიამოვნებათაგან, რამდენს დაუთმია თავისუფლება გარსშემოჯარულ კლიენტთა გამო. ერთი სიტყვით, ყველა ჩამოიარე-მდაბიორიდან უპირველეს მოქალაქემდე და დაინახავ, რომ ერთი დამცველს ეძებს, მეორე კი იცავს; ეს თუ მსჯავრდებულია, ის დამცველია, სხვა - მოსამართლე. საკუთარ თავს არავინ შეეწევა, ყველა სხვისთვის იღვწის. იმათ შესახებაც იკითხე, ვის სახელებსაც ზეპირად სწავლობენ. ამ ხალხს ურთიერთისგან ისღა განასხვავებს, რომ ეს იმის შემწეა, ის ამისა და არავინ -საკუთარი თავისა.

ასეთ ვითარებაში მეტისმეტი სისულელეა მავანთა აღშფოთება, როცა ისინი უგულისყურობას ყველრიან წარჩინებულთ - ჩემს მისაღებად დრო არ ჰქონდათ. განა სასაცილო არ არის, რომ კაცი, რომელიც ვერასოდეს იცლის თავისთვის, სხვათა ქედმაღლობის გამო ბედავდეს ჩივილს?! დიდკაცმა შენ, რომელიც ყოველთვის შენ ხარ, მართალია, ბედიდური მზერით, მაგრამ ეროხელ მაინც შემოგხედა, პიტივი დაგდო მოესმინა შენთვის და ადგილიც მიგიჩინა თავის გვერდით. შენ კი არასოდეს ჩაგითვლია საჭიროდ შეგეხედა და მოგესმინა შენივ თავისთვის. ამიტომ არა გაქვს ამგვარი თავაზიანობის გაკიცხვის ნება და თუ მაინც ასერიგად მოიქცეოდი, ცხადყოფდი მხოლოდ, რომ სხვასთან ყოფნა კი არ გსურდა, საკუთარ თავთან არ შეგეძლო მეტად დარჩენა.

3,I ყველა საქვეყნოდ ცნობილ ბრძენკაცს ერობაშად რომ მოსურვებოდა ერთ საკითხში ყოფილიყო [illegible] ერთგული, მათ ყოველთვის გააოცებდა კაცის გონების ესოდენი დიბინდვა და შეზღუდულობა: ადამიანები ხომ საკუთარი შამფულის ახლოს უცბოს არ გააჭაჭანებენ და თუ საზღვრის გამო მცირე რამ დავა წარმოიშვა, მაშინვე ქვებისა და იარაღისკენ გაურბით ხელი. იმას კი არას დაგიდევენ, მათ ცხოვრებაში თუ შეიჭრა ვინმე გარეშე; პირიქით, თავადვე წამოუძღვებიან ხოლმე ერთადერთი ჭეშმარიტად ღირებული საუნჯის მომავალ მფლობელთ. არავინაა ქვეყნად ისეთი, თავისი ფულის სხვებისათვის მიცემა რომ სურდეს, სიცოცხლეს კი ყველა უშურველად უნაწილებს მტერს და მოყვარეს. ადამიანები მოშჭირნეობენ, როცა ქონების დაგროვებას მოინდომებენ, ხოლო როდესაც დროის ზოგვას ეხება საქმე, აქ მეტისმეტად ხელგაშლილნი არიან უკვე. არადა, ერთადერთი დროა, რომლის ხარჯვისას სიძუნწე ღირსებად ითვლება.

მოდით, ხანდაზმულთა კრებულიდან ერთ-ერთი უხუცესი შევაჩეროთ და გავესაუბროთ: „როგორც ვხედავთ, ადამიანური ყოფის ზღვრულ ასაკამდე მიწევნულხარ. ასი და კიდევ უფრო მეტი წელი გიმძიმებს სხეულს. ჰოდა, ახლა შეაჯამე შენი ცხოვრება. დაითვალე, შენთვის ბოძებული დროიდან რამდენი წაგართვა მევახშემ, სატრფომ, პატრონმა,[9] კლიენტმა, რამდენი - ცოლთან კინკლაობამ, მონათა დასჯამ, ხანაც ქალაქში საქმეებზე უთავბოლო სირბილმა; დაუმატე ამას შრავალი ავადმყოფობა, მუდამ[10] ჩვენივ დაუდევრობით რომ გვჭირს ხოლმე, ფუჭად გაფლანგული დროც მიათვალე და დაინახავ, რომ იმდენი წელი არ გიცხოვრია, რამდენისაც ხარ.

გაიხსენე, როდის დაგიცავს შენი გადაწყვეტილება ბოლომდე მტკიცედ ან რა ცოტა დღეები გაგიტარებია შენივ სურვილის თანახმად, როდის ჰქონია შენს სახეს ბუნებრივი იერი ან როდის ყოფილა შენი სული უშფოთველი და აუმღვრეველი. ყველაფერი გაიხსენე, რაც

კი შენი ხანგრძლივი არსებობის დროს ვიკეთებია. რა ბევრმა გაძარცვა შენი სიცოცხლე ისე, რომ არც კი შეგიმჩნევია, თუ რის კარგავდი; რამდენი დრო წაგართვა ამაო განცდამ, ბრიყვულმა აღტაცებამ, დაუოკებელმა ვნებამ და მიმზიდველმა ნაცხობობამ. რა ცოტაღა დაგრჩა კუთვნილიდან! გაიხსენე ყველაფერი და მიხვდები, რომ ნაადრევად კვდები".

რაა ამგვარი ყოფის მიზეზი? თქვენ ისე ცხოვრობთ, თითქოს სიკვდილს არ აპირებდეთ და ეეღარ ამჩნევთ თქვენს წარმავლობას; ვერც იმას ხვდებით, რამდენი დღე ჩაბარდა წარსულს. თუ ბევრი დრო გაქვთ, ქარს ატანთ მაშინ, როდესაც, შესაძლოა, სწორედ ის დღე, ვიღაცას ან რაღაცას ასე მშვიდად რომ უძღვენით, უკანასკნელი აღმოჩნდეს თქვენთვის. ყოველივე ისე გაშინებთ, ვითარცა მოკვდავთ, ყველაფერი კი უკვდავებივით გსურთ.

ბევრისაგან გაიგონებ ამგვარ ნათქვამს: „ორმოცდაათი წლის შემდეგ მიხდა მოღვაწეობას განვერიდო. სამოცი წლისა ხომ ყოველგვარ ვალდებულებათაგან თავისუფალი ვიქნებიო".[11] კი მაგრამ, ვის იქნება ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლის თავდები? ყველაფრის შენი სურ-ვილისამებრ ქმნას ვინ დაგანებებს? არა გრცხვენია, რომ მხოლოდ სიცოცხლის დამლევს იგულვებ საშენოდ და სწორედ ის დრო გინდა მოახმარო ფიქრსა და განსჯას,[12] რომელიც ყოველივე სხვისათვის უსარ-გებლოა? რა გვიანაა ცხოვრების დაწყება მაშინ,როდესაც მიწურვილია სიცოცხლის ჟამი. წარმავლობის რა უგუნური დავიწყებაა გონივრულ განზ-რახვათა ორმოცდაათი ან სამოცი წლისათვის გადადება და ცხოვრების დაწყების სურვილი იმ ასაკში, რომელსაც ცოტამ თუ მიაღწია.

4.1 ცნობილია, რომ ძლიერნიც ამა სოფლისანი მოცალეობით ცხოვრების სურვილს გამოთქვამენ ზოგჯერ, ხოტბას ასხამენ და შეჰხარიან ამგვარი ყოფის ყველა სიკეთეს. ბევრი მათგანი, თუ ეს უმტკივნეულოდ მიხერხდებოდა, სიამოვნებით დათმობდა კიდეც თავის მაღალ თანამდებობას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამგვარი ხალხის ბედნიერება, თუ მათ გარედან არ აღელვებთ ან აწუხებთ რამე, ყალბია და მოჩვენებითი.

ღვთაებრივი ავგუსტუსი, რომელსაც სხვაზე მეტი პატივი მიაგეს ღმერთებმა, ნიადაგ სიმშვიდეს ესწრაფვოდა და სახელმწიფოს საქმეთაგან თავისუფალყოფას ნატრობდა. ყოველ საუბარში იგი, ბოლოს და ბოლოს, უბრუნდებოდა იმედიან აზრს, რომ ერთხელაც იქნებოდა და მოიცლიდა.და ეს თუმც ფუჭი, მაგრამ მაინც ტკბილი ოცნება -ოდესმე მაინც ყოფილიყო თავის უფალი - მის მძიმე შრომას გასაძლისს ხდიდა. სენატისადმი გაგზავნილ წერილში იგი რწმენას გამოთქვამდა, რომ მისი გადადგომა არ იქნებოდა ღირსებას ნოკლებული და არც მის უწინდელ დიდებას მიაყენებდა ჩრდილს. სწორედ ამ წერილში ვპოვე მე ეს სიტყვები: „ეგებ ყველაფერი უკეთ მოგვარდეს, ვიდრე გახმიზრახავს, მაგრამ ჩემთვის ესოდენ სასურველი დროისკენ სწრაფვამ იქამდე მიმიყვანა, თანაც ამ საქმის აღსრულებით მოგვრილი სიხარული ისე იგ-ეიანებს, რომ აწ ოდენ სიტყვათა სიტკბოებაც კი მანიჭებს მცირეოდენ კმაყოფილებას". იგი ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა მოცალეობას, რომ თუმც არ შეეძლო ასე ეცხოვრა, მაინც გონებით შეჰხაროდა წინასწარ. კაცი, რომელიც ხედავდა, რომ ყველაფერი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული; რომელიც ადამიანებისა და ხალხების ბედ-ილბალს განაგებდა, უდიდესი სიხარულით ფიქრობდა დღეზე, როცა მაღალი თანამდებობისაგან თავის დაღწევას შესძლებდა.

მან კარგად უწყოდა, რამდენი ოფლი მოითხოვა მისგან თითოეულმა წარ-მატებამ, რითაც ასერიგად გაიბრწყინა ბევრ ქვეყანაში, რამდენ ფარულ მღელვარებას მალავდა ყოველი მათგანი. ჯერ თანამოქალაქეთაგან, შემდეგ მოკავშირეებისაგან და, ბოლოს, ნათესა-ვებისაგან იძულებულმა იარაღს მოჰკიდა ხელი და სისხლი ღვარა ზღვასა და ხმელზე;[13] ომით მოვლო მაკედონია, სიცილია,ეგვიპტე, სირია, მცირე აზია,[14] თითქმის ყველა ზღვისპირა ქვეყანა და რომაელთა ხოცვით დაღლილი ჯარები გარეომებისაკენ მიმართა. სანამ იგი ალპებს

აწყნარებდა და სახელმწიფოს სიმშვიდის დაშრღვევ მტრებს იმორჩილებდა, სანამ საზღვრებს აფართოებდა რაინის, ევფრატისა და დუნაის გადალმა, ლედაქალაქში მის წინააღმდეგ უკვე სანჯლებს ღესავდნენ მურენა,ციპიო, ლენიდუსი, ეგნატიუსი და სხვები. იგი ვერა და ვერ გაექცა მათ მზაკვრობას. უკვე წლებისაგან მოხრილ მოხუცს შიშის ზარს სცემდნენ საკუთარი ქალიშვილი და მასთან კანონიერად თუ უკანონოდ დაკავშირებული წარჩინებული ყმაწვილ-კაცები,[15] განსაკუთრებით კი ამ ქალისა და ანტონიუსის ურთიერთობა აშინებდა. ეს ბეწვუკები[16] მან თავისი სხეულის ნაწილებთან ერთად მოიკვეთა, მაგრამ მათ ადგილზე სხვები ამოდიოდნენ, მსგავსად იმ სხეულისა, რომელსაც სისხლის სიჭარბის გამო ახლა სხვაგან ამოხეთქავს ხოლმე ნარქი. ამიტომ ძიელტვოდა იგი მოცალეობის, მასზე ფიქრსა და ოცნებაში ნელდებოდა მისი წუხილი. ასეთი იყო აურეული კაცისა, რომელსაც სურვილების აღსრულების ძალა შესწევდა.

5,1 მარკუს ციცერონი, დევნილი ნაწილობრივ აშკარა მტერთაგან, ნაწილობრივ საეჭვო მეგობართაგან, როგორებიც იყვნენ კატილინა, კლოდიუსი, პომპეუსი და კრასუსი, მაშინ, როდესაც რესპუბლიკასთან ერთად საფრთხეში იყო და მისი გადარჩენა სურდა, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერებისას მღელვარე და უბედურების ვერდამთმენი განზე გადგა, ხშირად წყვეტდა სწორედ თავის კონსულატს, იდრე არც თუ უსაფუძვლოდ, მაგრამ უზომოდ რომ აქებდა. რა უნუგეშო სიტყვებს ამბობს იგი ატიკუსისთვის მიწერილ წერილში, როცა პომპეუსი-მამა უკვე დამარცხებული იყო, ესპანეთში კი მისი შვილი აღადგენდა განადგურებულ აბზედრო ძლიერებას. „შენ მეკითხები," ამბობს იგი, „თუ რას ვაკეთებ მე აქ? ეიმყოფები ჩემს ტუსკულანუმში ნაბევრად თავისუფალი". შემდეგ იგი სხვა ამბებსაც დაურთავს - წუხს განვლილი ცხოვრების გამო, ჩივის ახლანდელზე და სასოწარკვეთილი ელის მომავალს.

ციცერონი თავის თავს ნახევრადთავისუფალს უწოდებს. ბერკელესს ვფიცავ, ბრძენი ვერასოდეს დაარქმევს უფრო მოკრძალებულ სახელს. ვერასოდეს იქნება ნახევრადთავისუფალი, ყოველთვის ხელშეუხები და სრული თავისუფლების მფლობელი, ლალი, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და ყველა სხვაზე აღმატებული. რა შეიძლება იდგეს იმაზე მაღლა, ვინც ზეციერებზე მაღლა დგას?

6,1 ლივიუს დრუზუსი ენერგიული და ფიცხი კაცი იყო. როდესაც მან ახალი კანონები შეიმოიღო და გრაკხუსის მაგვარი მღელვარება გამოიწვია, იტალიის მთელმა მოსახლეობამ დაუჭირა მხარი, მაგრამ შემდეგ თავად ვეღარ შეძლო საკმეთა კეთილად დაგვირგვინება, რომელთაც, რაკი ერთხელ მიეცათ ბიძგი, უკვე ვეღარც დააჩქარებდა და ვეღარც შეაფერხებდა. ახლა ისღა რჩებოდა, თავისი დასაბამითვე შფოთიანი ცხოვრება დაეწყვეტა და ელიარებინა, რომ არც თავისი ბავშვობისას ყოფილა მოცალე და თავისუფალი. ჯერ კიდევ ერასრულ-წლოვანმა და პრეტექსტით[17] მოსილმა მოზამართლეთა წინაშე მსჯავრდებულის დაცვა გაბედა და სახელიც მოიხვეჭა ფორუმზე. თანაც ყოველივე ეს იმგვარი წარმატებით განახორციელა, რომ შემდეგში, როგორც ცნობილია, ზოგიერთი განაჩენის გამოტანისას მისი აზრი გადამწყვეტი იყო. რას უქადდა მას ეს ნაადრევი პატივმოყვარეობა? განა არ უნდა სცოდნოდა, რომ ამგვარი უმწიფარი გამბედაობა საშინელ უბედურებად ექცეოდა მასაც და სახელმწიფოსაც? სწორედ რომ ნაგვიანევი იყო უდროობის გამო შეჭირვება კაცისა, რომელიც ყმაწვილკაცობაშივე შფოთის ამტეხად და ტვირთად მოევლინა ფორუმს. მისი აღსასრულის გამო ბევრს კამაოობენ. ზოგი ამბობდა, თითქოს მას თავი მოეკლას. აზუსტებდნენ კიდეც- მუცელში მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალაო. სხვებს ეჭვი შეეპარნდათ მის ნებაყოფლობით აღსასრულში, მაგრამ ყველას დროულად მიაჩნდა იგი.

აქ აღარ ჩამოვთვლი იმათ, სხვების თვალში ბედნიერნი რომ ჩანან, სინამდვილეში კი თავადვე სძულთ თავიანთი ნაღვაწი და ნამოქმედარი. მხოლოდ ჩივილით, ცხადია, მათ ვერც სხვისა და ვერც საკუთარ თავს ვერ უსაშველეს, რადგან საკმარისია გული

მოიოხონ და ძველი ჩვევები კვლავინდებურად წამოჰყოფენ თავს.

ათასწლიანი სიცოცხლეც რომ გეძლეოდეთ, ჰერკულესს ვფიცავ, უმცირეს წამამდე შეამცირებდით. მანკიერებანი ხომ დაუნდობლად შთანთქავენ ასწლეულებს. თქვენთვის ბოძებული დრო, ბუნებრივი განვითარების საწინააღმდეგოდ, კიდეც რომ გაგეგრძელებიათ თქვენივე გონებით, მაინც მალე გაგიფრინდებოდათ, რადგან არ ეჭიდებით მას, არ აფერხებთ და არც კი ცდილობთ დააყოვნოთ საგანთა შორის უსწრაფესი, პირიქით, ისე დაუღევრად უშვებთ ხელიდან, თითქოს ზედმეტი ან ადვილად მოსახელოებელი რამ იყოს.

7,1 პირველ რიგში ეს იმათ ეხება, ვინც მხოლოდ ღვინის სმასა და ავხორცობაში ფლანგავს დროს. არავინაა მათზე მეტად მოყივნებული. სხვები თუ ფუჭი დიდების აზრით არიან შეპყრობილნი, მათ შეცდომას ერთგვარი ბრწყინვალება მაინც ახლავს. შენ შეგიძლია დამისახელო ხარბნი, გულფიცხნი ან უსაშველო შეღლისა და ომების გამჩაღებელნი, მაგრამ ისინი მაინც უფრო მაძიებლურად სცოდავენ, ხოლო ვინც ნაყროვანებასა და მრუშობას ეძლევა- სამარცხვინო სენით იტანჯება. თუ ერთხელ თვალს მიადევნებ მათ ცხოვრებას, ნახავ, რამდენ ხანს ახდომებენ ისინი ანგარიშს, რამდენს- მზაკვრობას, რამდენს- ძრწოლას, რამდენ ჩახს ეპირფერებიან სხვებს ან თავად იფერებენ სხვათა ლიქნასა და პირმოთნეობას, რამდენ დროს კარგავენ საკუთარ თუ სხვათა გასარიგებლად, რამდენ დროს უთმობენ ქეიფს, რომელიც უკვე თითქმის მოვალეობად ეჭცათ. დაუკვირდი ყოველივე ამას და შიხვდები, რომ მათ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს არც დარდი და არც სიხარული.

საყოველთაოდ აღიარებული აზრია, რომ საქმეებში ჩაფლულ კაცს არაფრის გაკეთება არ შეუძლია წარმატებით. „ჭეშმარიტ ყველაფერსაც“ და თავისუფალი ხელოვნებანიც* მიუღწეველია მისთვის, რადგანაც დაბნეული გონება ვერაფერს ითვისებს ღრმად და ყველაფერს განარიდებს, როგორც ძალად თავსმოხვეულს რასმე. ყველაზე ნაკლებ კი საქმიან კაცს ცხოვრება ძალუძს, არა არის რა შესასწავლად უფრო საძნელო. სხვა ხელოვნებათა მასწავლებლებს ყველგან მრავლადაა. ზშირად პატარა ბავშვებიც კი ისე გაწაფულნი არიან ზოგიერთ მათგანში, რომ თვითონვე შეძლებდნენ სხვათა სწავლებას, ცხოვრება კი მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ისწავლო და ალბათ, კიდეც მეტად გაგაკვირვებს ის, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა ისწავლო სიკვდილი.[18] მრავალი გამოჩენილი კაცი,მას შემდეგ, რაც გადალახავდა ყველა სიძნელესა და წინააღმდეგობას, უარს ამბობდა სიმდიდრეზეც, თანამდებობაზეც, სიამოვნებაზეც და ღრმა სიბერემდე მხოლოდ იმის ცდაში იყო, როგორმე ცხოვრება შეეცნო. მიუხედავად ამისა, ბევრ მათგანს სიკვდილის წინ ულიარებია, რომ არ ცნობია იგი. მით უფრო არაფერი გაეგებოდათ ცხოვრებისა სხვებს.

მერწმუნე, ღირსეული და ადამიანურ ვნებებზე ამაღლებული კაცი არასოდეს აძლევს სხვებს თავისი დროის ხელყოფის ნებას. მისი ცხოვრება სწორედ იმიტომაა ხანგრძლივი, რომ ყოველი წუთი მხოლოდ მისთვის იხარჯებოდა. არც ერთი წამი არ რჩებოდა უსარგებლოდ და ნოუხმარებლად,არც სხვაზე ყოფილა დამოკიდებული, რადგან არაფერი უბოვია ისეთი,თავის კუთვნილ დროზე გაცვლის ღირსად რომ ჩათვლიდა, იმ დროზე, რომელსაც ყოველთვის მეტისმეტი გულმოდგინებით დარაჯობდა. ამიტომაც ეყო იგი ყველაფრისათვის. იმისთვის კი, ვის სიცოცხლესაც სხვა ადამიანები ბარცვავენ,დრო არასოდეს იქნება საკმარისი.

არ იფიქრო, რომ ისინი ერთ შშვენიერ დღეს არ შეამჩნევენ თავიანთ დანაკარგს. ყოველ შემთხვევაში, წარმატების სიმძიმით ქედდადრეკილთა უმეტესობა ხშირად წუწუნებს კლიენტებს შორის, სასამართლო პროცესზე ან სხვა მნიშვნელოვან დაბრკოლებათა გადალახვისას და მათგან ზოგჯერ ამგვარ წამოძახილსაც მოისმენ - სიცოცხლის ნება

* თავისუფალ მეცნიერებებად ან ხელოვნებებად იწოდებოდნენ: პოეტიკა, რიტორიკა, ისტორია, გრამატიკა და ფილოსოფია.

არ მაქვსო! კი მაგრამ, ვინ ართმევს მათ სიცოცხლის უფლებას? ყველა, ვინც ცდილობს დამცველად აგიყვანოს, იცოდე, შენს თავს გართმევს. დათვალე, რამდენი დრო წარგტაცა ყოველმა მსჯავრდებულმა, რამდენი - თანამდებობის მაძიებელმა, რამდენი შთამომავალთა დამარხვით განცვაწყვეტილმა დედაბერმა, რამდენი მან, ვინც თავს იაკადმყოფებს ხოლმე მემკვიდრეობის მოსურნეთა სიხარბის გასალიზიანებლად, რამდენი იმ ყოველისშემძლე მეგობარმა, რომელიც უფრო თავის იარაღად გთვლის, ვიდრე მეგობრად. იანგარიშე, გადათვალე შენი ცხოვრების დღენი და ღაირიხავ, რა ცოტა დაგრჩება თავად შენ - მხოლოდ ის, რაც გარეშეთ არ დასჭირვებიათ.

როგორც კი ხელთ იგდებს მავანი სასურველ თანამდებობას, მაშინვე გადადგომაზე იწყებს ოცნებას და ამბობ-როდის მიიწურება ეს წელიწადი. მავანი თამაშების მოწყობაზე ზრუნავს და ბედნიერია, რომ სწორედ მას ხვდა წილად ეს დავალება, თანაც ბუზღუნებს- ნეტავ როდის ჩათავდებათ ყველაფერი. მთელს ფორუმზე ძლივს მოიხელთებენ მავანს დამცველად. ისიც ყურე-კუნჭულს უზარმაზარი ბრბოთი ავსებს, რათა მისი მოსმენა შეძლონ, თანაც კითხულობს- ნეტავ როდის შევასვენებ სასამართლო საქმეთაგანი. ყოველი მოგანი გამალებით მიაქანებს თავის ცხოვრებას, მომავლისკენ უჭირავს თვალი, აწმყო კი ეზიზღება.

სამაგიეროდ ის, ვინც ყოველ წამს თავისი ეს საჭიროებისათვის იყენებს, ვინც ყოველ დღეს ისე ანაწილებს, თითქოს მისი ცხოვრება იყოს,[19] არც ხვალინდელ დღეს შეეფოფინებს და ეშინია მისი იქნებ კიდევ ახალ სიამოვნებას მოგვანიჭებს მომავალში რომელიმე საათი? მაგრამ განა უკვე ყველაფერი ცნობილი არაა? ყველაფერი ხომ საკმაოდაა გაცდილი! ღაე, ბედისწერამ სურვილისამებრ განაგოს დანარჩენი-სიცოცხლეს აღარაფერი ემუქრება. ასეთს შეიძლება დაუმატო კიდევ რაიმე, წართმევით კი ველარაფერს წაართმევ. თანაც ისე დაუმატო, როგორც მაძღარს მცირედი ლუკმა. ისიც აიღებს, თუმც შეეძლო აღარც აეღო.

ჭაღარა თმისა და ნაოჭთა გამო ნუ იფიქრებ ვინმეზე - დიდხანს უცხოვრიაო. მას დიდხანს კი არ უცხოვრია, ის დიდხანს იყო.განა სისულელე არ იქნებოდა გეფიქრა, რომ მავანი შორეულ მოგზაურობაში იყო მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ნავსადგურში დაატყდ[illegible] ქარიშხალი; მრისხანე [illegible] მიახალეს მისი ხომალდი, მერე კი წრეში ატრიალეს იმავე გზებით ატარეს? ძას ბევრი კი არ უმოგზაურია, არაშედ ბევრი იხეტიალა.

8,1 მუდამ მოაცებს, როცა ვხედავ, როგორ ითბოვს ერთი კაცი მეორისგან დროს და ის მეორეც უყოყმანოდ უძღვნის მას მთხოვნელს. ასეთ შემთხვევაში მათი ყურადღება იმ საგანს დასტრიალებს, რამაც დრო მოითხოვა, საკუთარ თავს კი არც ერთი მათგანი არ უკვირდება - თითქოს არაფერს ითხოვდნენ, თითქოს არაფერს გასცემდნენ. ყველაზე ძვირფასი საგნით თამაშობენ, მაგრამ ვერ გრძნობენ რას ჩადიან, რადგანაც ესხეულია იგი და უბილავი. ამიტომაც არად აგდებენ, ვითარცა რასმე ურგებს და უხმარს.

წლიურ გასაშრჯელისა და ფულად საჩუქრებს ადამიანები უდიდესი სიამოვნებით მიითვლიან ხოლმე; გარჯას, ძალონეს და მონდომებას არ იშურებენ სააშისოდ, დროს კი არ აფასებენ და ისე უდიერად ეკიდებიან, თითქოს სულაც არა ღირდეს რა. მაგრამ აბა ავადმყოფობის ჟამს ინახულე ეს „ხელგაშლილნი", როცა კარს მიადგებათ სიკვდილის საფრთხე. მაშინ ნახავ, როგორ ეხვევიან მუხლებზე ექიმებს, ანდა როგორ მიაქვთ მსვერპლად მთელი თავიანთი მონაგები სასიკვდილო განაჩენით შეურვებულთ. ასე წინააღმდეგობრივია მათი გრძნობები.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო წარსულის მსგავსად ადამიანთა მომავალიც საცნაურ გვეყო, ალბათ, ძრწოლა შეიპყრობდა მათ, ვისაც მცირედი ექნებოდა წინ დარჩენილი. ო, რა მომჭირნედ დაიწყებდნენ მაშინ ცხოვრებას. როცა ზუსტად იცი, თუ რამდენი წელი გაქვს კიდევ, ადვილია სხვებისთვისაც გაიღო ცოტა, მაგრამ გადამეტებული გულისხმიერება გმართებს მაშინ, როცა არ იცი როდის დადგება აღსასრულის დღე.

ნუ იფიქრებ, თითქოს ამ ხალხმა არ იცოდეს, რა ძვირფას საგანთან აქვს

საქმე. ძვირფას, საყვარელ ადამიანს ისინი სწორედ თავიანთი წლების ნაწილის ჩუქებას პირდებიან. უძღვნიან, მაგრამ არც კი უფიქრდებიან. იმგვარად გასცემენ, რომ საკუთარ თავს ძარცვავენ მხოლოდ, სხვებს კი ვერარას მატებენ. დაფარულიდან გასცემენ და ზარალიც ამიტომაა გასაძლისი, რომ ღანაკლისი უხილავია.

ვერავინ გიზღავს დაკარგულ წლებს, ვერც საკუთარ თავს დაგიბრუნებს ვინმე. სიცოცხლე ისე გასრულდება, როგორც დაიწყო; არც მხარს იცვლის და არც სრბოლას შეახელებს. წავა, უჩუმრად გაიპარება. ვერც მეფის ბრძანებითა და ხალხის სურვილით გახანგრძლივდება. ისევე ირბენს, პირველსავე დღეს რომ მირბოდა, არც გზას შეშლის და არც შეყოვნდება. რა გელის? ახლა საქმეებით ხარ გართული, სიცოცხლე კი ჩქარობს. ამასობაში სიკვდილიც გამოგეცხადება და მისთვის, გინდა თუ არა, აუცილებლად მოგიწევს მოცლა.

9,1 ვინ შეიძლება იყოს მასზე უფრო უგუნური, ვინც თავისი გამჭრიახობით თავმომწონეობს?! ბეტისმეტად მოუცლელნი არიან ისინი და უკეთ ცხოვრების სურვილით სიცოცხლეს ანიავებენ. სამომავლო საქნელ-საკეთებელს ბევრად ადრე გაიზრახავენ, სიცოცხლის ყველაზე დიდი წანაგები კი სწორედ საქმეთა გადადებაა, რაც თანისთანობით გვაცლის ხელიდან დღეებს, აწიხდელს წარგვტაცებს და მომავალს გვპირდება. ყველაზე დიდი დაბრკოლება ცხოვრებაში მოლოდინია, რომელიც შეფრფინვით ელის ხვალიხდელ დღეს, დღევანდელს კი აბაოდ ფლანგავს. შენ განაწესებ ბედისწერის განსაწესებელს, იმას კი, რაც ხელთ გიპყრია - ქარს ატან. საითაა მიმართული ეგ შენი მზერა,ანდა რაღას ეპოტინები? მთელი მომავალი ბუნდოვანია და გაურკვეველი, ჰოდა, ახლავ იცხოვრე!

აი, რას აბბოზს ღმერთის[20] ძიერ შთაგონებული დიდი პოეტი, ვითარ მღერის ღვთაებრივ ბაგით მაკურნებელ ჰანგს:

„სწორედ სიცოცხლის რჩეული დღენი
გაურბით მოკვდავთ სხვაზე უადრეს...“

„რად იყოვნებ“,-გვეუბნება აშით,- „რად გვიანდები? სიცოცხლე გაგექცევა, მაგრად თუ არ მოეჭიდები“. თუმცა იგი მაინც წავა,გაფრინდება, რაც არ უნდა ლონე იბმარო. ისე რომ, დროს სისწრაფეს შენც სისწრაფით უნდა ებრძოლო; მთის ჩქერალსაც ხომ მეყსეულად უნდა წარსტაცო წყალი, [illegible] ხანში, შესაძლოა, დენაც [illegible] პოეტი ჩვენი ცხოვრების საუკეთესო დღეზე ლაპარაკობს და არა საუკეთესო ხანაზე. ამითაც გმობს იგი გაუთავებელ ზოზინს და ზლაზვნას. მაშ, რად წარმოიდგენ ხოლმე ასეთიგი უშფოთველობით შენი სიცოცხლის წლებსა და თვეებს უსასრულო, გრძელზე გრძელ რიგად (დრო კი ისევ ისე მიჰქრის, მაინც მიფრინავს), ნუთუ ამით შენს სიხარბეს იკმაყოფილებ? გახსოვდეს, პოეტი დღეზე გესაუბრება, მის მედინობასა და სიმარდეზე.

განა საეჭვოა, რომ ყოველთვის ადრეული და საუკეთესო დღე გაურბის საბრალო მოკვდავთ, განსაკუთრებით კი ბეტისმეტად ლასაქმებულებს? მათ სიბერეშიც ბავშვური ზნე აქვთ, რადგან წინასწარ არაფრისთვის უზრუნიათ, არფრისთვის მომზადებულან. ისე უეცრად დაბერდნენ, რომ უკან მოხედვაც ვერ მოასწრეს. სიბერე კი ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდა ყოველდღიურად და ვერ ამჩნევდნენ. როგორც საუბარი, კითხვა ან ღრმა ფიქრი შეიყოლიებს ხოლმე მოგზაურებს და მგზავრობის ბოლომდე ვერ ხვდებიან, გვერდიგვერდ რომ უვლიათ თურმე; ასევე ჩვენი ცხოვრების გზაც, რომელსაც ძილშიც და ღვიძილშიც გაძალებით მივუყვებით, ბეტისმეტად საქმიანი ხალხისათვის მხოლოდ მოგზაურობის დასასრულს გამოჩნდება.

10,1 მე რომ ჩემი მოსაზრება ცალკეულ პუნქტად და არგუმენტებად დაშენიაწევრებინა, ბევრი რამ ისეთი წარმოჩნდებოდა, რითაც ადვილად დავამტკიცებდი - ყველაზე ხანმოკლე ფრიად მეცადინე ხალხის ცხოვრებაა სწორედ.ფაბიანუსი, არა თანამედროვე „კითედრის ფილოსოფოსი“, არამედ ჭეშმარიტი და ძველთაგანი, მუდამ ღალადებდა - ვნებებს ძალა უნდა დაუბრისპირო და არა სიტყვათა სინატიფეო, მსუბუქი ჭორილობებით კი არ უნდა გაკენწლო, მძაფრად უნდა შეეტეოო. იგი კიცხავდა სოფისტურ ღვლარჭნილებს,[21]

რადგან არ ეგების ვნებათა გაღიზიანება, პირიქით, მათი ძირფესვიანად ამოკვეთა ხამს. თუმც ხალხიც უნდა განისწავლოს; ყველამ უნდა საკნაურ ყოს თვისი შეცდომა. უსარგებლოა მარტოდენ დრტვინვა.

ცხოვრება სამ დროდ განიყოფება: რაიც იყო, რაიც არის, რაიც იქნება. დრო, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, წამიერია; რომელიც წინ გველოდება- არაკეთილსაიმედო. სარწმუნო და უტყუარი ისაა მხოლოდ, რაც გვიცხოვრია. მასზე მეუფების ნება ბედისწერასაც დაჰკარგვია და ვერა ძალა უკან ვეღარ შემოაქცევს. სწორედ ამ დროს უგულებელყოფენ ფუჭ საქმეთათვის თავდადებულნი, წარსულისკენ ზისახედად ვერ მოუცლიათ, მაგრამ თუ მაინც მონახავენ საამისოდ დროს, მოგონება მათთვის მუდამ უსიამოა, რადგან თან სინანულიც ახლავს ხოლმე ამ მოგონებას.

ამიტომ ისინი თავიანთ ფიქრებს გულნაკლულად მიმართავენ ცხოვრების იმ მონაკვეთისკენ, რომელიც ცუდად გაუტარებიათ; ვეღარ ბედავენ გაიხსენონ ის შეცდომები, წუთიერი სიხარულით მოხიბლულებს რომ ვერ შეუტყვიათ და რომლებიც ასეთი სიცხადით წარმოჩნდებიან ხელახალი დაფიქრებისას. მარტოდენ იგი მიბრუნდება წარსულისკენ უდიდესი სიამოვნებით, ვინაც ყოველივე წესისამებრ განაგო და საკუთარი ყველაზე უტყუარი საბართლით განაჩინა. მას კი, ვინც პატივმოყვარეობით შეპყრობილი ბევრს ესწრაფვოდა, ვისაც ქედმაღალს - უგონოდ სძულდა, ვინც სისასტიკით იმარჯვებდა და ვერაგულად გამოძალავდა, ხარბად იტაცებდა და უთაებოლოდ ხარჯავდა, უნდა ეშინოდეს თავისი მოგონებებისა. წარსული ჩვენი დროის ყველაზე წმინდა და კურთხეული ნაწილია. ყველა ადამიანურ შემთხვევითობაზე აღაღლებული და ბედისწერის განმავლობას განრიდებული, მას ვერ შეაშფოთებს ვერც სიდუხჭირე, ვერც შიში, ვერც ავადმყოფობათა შემოტევანი. შეუძლებელია მისი აფორიქება ან ვინმესთვის გამოტაცება. იგი მუდმივი და საიმედო საკუთრებაა. აწმყო თითოეროლა დღისაგან შედგება, ისინიც მსწრაფლ განქარდებიან.წარსულის ნებისმიერ დღეს კი, როცა მოისურვებ, მაშინ მიუბრუნდები, რათა შეხვ სურვილისამებრ დაუკვირდე და კვლავ განიცადო. საქმიან ხალხს საამისოდ ვერ მოუცლია.

აუმღვრეველ და მშვიდ გონებას ძალუძს თავისი ცხოვრების ნებისმიერი ნაწილი განიხილოს და მიმოიხილოს. მოუცლელთა აზრი კი, თითქოს მძიმე უღლის ქვეშ იყოს ქედდადრეკილი, უკან ვეღარ შემოიქცევა. ამიტომაც მათი ცხოვრება უფსკრულს ემსგავსება და ეძირო ჭურჭელსავით გამოუსადეგარია - ჩაყარე მასში რამდენიც გსურს, შიგთავსს მაინც ვერ დაიჭერს, ვერ შეაკავებს. დროც ასევეა. თავისადრეკს რომ ეერსად პოვებს, მიიღევა, ჩაიწრიტება. და განა სულერთი არ არის, რამდენი დრო აქვს ბოძებული მავანს, თუ არ ეცდება დროებით მაინც მის შეფერებას? დაბნეული და დაუდეგარი გონების წყალობით ისაველება დრო.

აწმყო მოკლეყამიერია, მალემსრბოლი, იმდენად სწრაფი, რომ, ზოგიეროის აზრით,არც კი არსებობს, რადგან მარად მეფინია, სულ მოძრაობს, სულ სადღაც მიიჩქარის. ჯერ არ დამდგარა და უკვე იწურება; ისევე ვერ ითმენს შეყოვნებას, როგორც საშყარო ან ცეცხი სხეულები, რომლებიც თავიანთი ბარადიული მოძრაობისას განუწყვეტლივ იცვლიან ადგილს. საკმეებით გადატვირთულს მხოლოდ აწმყო ეკუთვნის. ისიც ისეთი მარდია, რომ ვერაკაცი ვერ მოიხელთებს. აკი გაურბის კიდეც მათ, ვისი ყურადღებაც ბევრზე ბევრ საგანს წარუტაცია.

11,1 ბოლოს და ბოლოს გსურს შეიტყო რაოდენ მსწრაფლწარმავალია მათი სიცოცხლე? ნახე, ვითარ უთქვამთ გული მრავალყამიერობისათვის. მიხრწნილებას მიღწეული ბერიკაცები თავიანთ ლოცვებში მცირეოდენ წელთა შემატებას ევედრებიან ღმერთებს და ახალგაზრდობას ჩემულობენ. სიცრუით გულს აამებენ და თანაც, ტყუილისმთქმელნი, იმგვარ კმაყოფილებას განიცდიან, თითქოს თავად ბედისწერა გაეცურებინოთ. ხოლო როდესაც სნეულებანი შეახსენებენ მათ მოკვდავობას, ისე შიშნეულად

განუტევებენ სულს, თითქოს კი არ მიდიოდნენ ცხოვრებიდან,არამედ ძალისძალად იდევნებოდნენ.[23] გონარეულნი ეგებებიან სიკვდილის მაცნეს, ზარდაცემულები გოდებენ და როგორც კი თავს დააღწევენ ავადმყოფობას, მაშინვე მოცალეობით ცხოვრებას იწყებენ; შემდეგლა უფიქრდებიან მოხვეჭილ-მონაგების, ფუჭი მცდელობისა და მღვაწეობის ამაოებას.

ხოლო ვინც ყოველგვარ საქმიანობას განრიდებული სიმშვიდით ცხოვრობს, რად არ იქნება მისი სიცოცხლე დღეგრძელი? მას ხომ თავისი სიცოცხლიდან არავისთვის არაფერი გადაურიცხავს, არაფერი უბნევია წადმა-უკუღმა, არც არა დაუთმია შემთხვევისათვის, არც დაუდეგრობითა და ხელგაშლილობით დაუკარგავს რამ, არც რა ჰქონია ზედმეტი. ასეთ შემთხვევაში სიცოცხლე, როგორც იტყვიან ხოლმე, მთლიანად სარგებელში ითვლება. ამიტომ რაც არ უნდა მოკლე იყოს, მაინც საკმარისი აღმოჩნდება ბრძენკაცისათვის, რომელიც, როცა უკანასკნელი დღე დაუდგება, უყოყმანოდ და მტკიცე ნაბიჯით მიეშურება სიკვდილისაკენ.

12,1 იკითხავ ალბათ, ვის ვეძახი მე საქმიან ხალხს. არ იფიქრო მარტო იმათ[24] ვგულისხმობდე, რომელთაც, სანამ ძაღლებს არ მიუქსევ, ვერ გააგდებ ბაზილიკიდან. ან იმათ, ვისაც ხშირად საკუთარი კლიენტების ბრწყინვალე ბრბოში და ხანაც უბადრუკ ნაცნობებში გარეულს ნახავ, ანდა მათ, ვისაც მოვალეობა სახლიდან გამოიხმობს ხოლმე სხვათა კარებზე საკაკუნებლად, ან ვისაც სამარცხვინო შემოსავლის გამო, რომელიც ადრე თუ გვიან უეჭველად იარად ექცევა, მოსვენებას უკარგავს პრეტორის შუბი.[25]

ზოგიერთისათვის მოცალეობის ჟამიც ათასგვარი საქმითაა გადატვირთული. თავიანთ აგარაკებზე ან საკუთარ სარეცელზე მარტოობას თავმიცემულნი, რაც არ უნდა განერიდონ ყველას და ყოველს, ისინი თვითვე იმძიმებენ სულსა და სხეულს. მათ ცხოვრებას მშვიდს ვერ უწოდებ, იგი ფუჭი საქმიანობა უფროა. მას ეძახი შენ მწოცალეს, რომელიც კორინთულ ბრინჯაოს, ვიეთთა სისულელის წყალობით ასე ძვირაფლირებული რომ გახდა, მეტისმეტი სიმარჯვით ადნობს და თავისი დროის უდიდეს ნაწილს ლითონის დაჟანგულ ფირფიტებს ახმარს? ან იქნებ მას, რომელიც საჭიდაო მოედანზე ზია[27] (რა სამარცხვინოა, რომ ალარც კი განვიცდით რომაელთა მანკიერებებს)და თავგამოდებით გულმოდგინეობს მორკინალ ჭაბუკებს? იქნებ იმას, ვინც ასაკისა და ფერის მიხედვით აწყვილებს სიცხით ბოხილ საკუთარ მონებს? ან მას, რომელიც ახალგაზრდა ათლეტებს მფარველობს?

იქნებ ისინი არიან მოცალენი, საათობით რომ სხედან დალაქთან წუხანდელი წამონაზარდის მოსაპუტად? ან ისინი, რომელნიც თმის თითოეული ბეწვის გამო თათბირს მართავენ და სასწაფოდ იწესრიგებენ აწეწილ კულულებს, ხოლო თუ თმა უკვე შეთხელებული აქვთ, შუბლზე იგროვებენ ყოველი მხრიდან? როგორ მრისხახებენ ისინი, როცა ოდნავ გულგრილობას შენიშნავენ დალაქს, თითქოს კაცს ჭრიდეს იგი და არა თმას! როგორ აფეთქდებიან, თუ ცოტა ზედმეტად შემოაკვეცეს ფაფარს, ან თუ რომელიმე ბუწუნს შესაფერის ადგილს არ მიუჩენენ, თუ ლამაზად არ დაუხუჭუჭებენ! რომელი მათგანი არ ამჯობინებდა საკუთარი ვარცხნილობის აშლას რესპუბლიკის არეულობას? რომელს არ ააღელვებდა ჯანმრთელობაზე მეტად საკუთარი აღკაზნულობა? რომელი არ აღიარებდა სილამაზის უპირატესობას ღირსების წინაშე? და გახა შესაძლოა მოცალე უწოდო მას, ვინც სარკესა და სავარცხელსაა გადაყოლილი?

ანდა იმათზე ვთქვათ, რომელნიც სიმღერების თხზვით, მოსმენითა და შესწავლით არიან გართულნი და მანამდე არ ისვენებენ, სანამ ბგერას, რომელსაც ბუნებას საუკეთესო და მარტივი ყღერადობა მიანიჭა, უხეირო მელოდიურ ღვლარჭნილებად არ მოაქცევენ. ისინი გამუდმებით ათამაშებენ თითებს - ამგვარად გამოხატავენ შინაგანად განცდილი სიმღერის რიტმს და მაშინაც ღიღინებენ თავისთვის ჩუმად, როცა დიდმნიშვნელოვან ან საგალალო საქმეთათვის არიან მიხმობილნი. მათაც არა აქვთ მოცალეობა. ისინიც ფუჭად საქმიანობენ.

ჰერკულესს ვფიცავ, ვერც მათი ნადიმების თავისუფალ დროდ მიჩნევა

შეეძელი, რადგან ვხედავ, თუ ვითარი ჩუუხარებით გასცემენ ვერცხლს, ვითარი ენინთ შეპყრობილნი უწევენ ტუნიკას თავიანთ გარყვნილ ბიჭებს, ან ვითარი მღელვარებით მოელიან შემწვარი ტახის გამოტანას.[28] მათ ერთ ნიშანზე მიმორბიან და განსაკვიფრებელი სიმარდით შლიან სუფრას ცქაფი ბიჭები, მარჯვედ ჭრიან შინაურ ფრინველს მცირე ნაჭრებად, მერე კი, საბრალონი, თავგამოდებით წშენდენ გალეშილთა ამონათხევს. ამგვარი საშუალებებით მიელტვიან ისინი დახვეწილი და ნებიერი კაცების სახელს, მათი ცხოვრების ყოველი კუნჭული კი უკეღმართ და მახინჯ ჩვენებს ისე მოუცავს რომ ვეღარც ჭამენ და ვეღარც სვამენ გაუბრანჭავად.

ვერც მათ მიათელი მოცალეობით მცხოვრებთა რიცხვს, რომლებსაც სავარძლებითა თუ ტახტრევარებით[29] დააბრძანებენ აქეთ და იქით; რომლებიც დანიშნულ დროს ისე ზუსტად ცხადდებიან სასეირნოდ, თითქოს არ შეიძლებოდეს მისი გაცდენა; ვერც მათ, რომელთაც სხვები შეახსენებენ ხოლმე - როდის უნდა დაიძინონ, როდის იკურაონ და როდის ჭამონ. სულიერი ძალების მეტისმეტი განებივრებისა და მოდუნების გამო ისინი ისე სუსტდებიან, რომ დამოუკიდებლად ვეღარ ხვდებიან შიათ თუ არა!

ერთხელ ყური მოვკარი, თუ როგორ იკითხა ამ დარდიმანდთაგან ერთმა (თუ შეიძლება, საერთოდ, დარდიმანდობა ეწოდოს ადამიანური ცხოვრებისა და ჩვენების უგულებელყოფას), როცა იგი ხელით ამოიყვანეს აბაზანიდან და სავარძელში ჩასვეს: „უკვე ვზივარ?" როგორ გგონია, ამ კაცს, რომელმაც არ იცის ზის თუ არა, ეცოდინება - ცხოვრობს თუ არა, ხედავს თუ არა, აქვს თუ არა მოცალეობა? გამიჭირდებოდა თქმა, როდისაა იგი უფრო საცოდავი - როცა ნამდვილად არ იცის, თუ როცა თავს იკატუნებს, რომ არ იცის. თუმცა ეს ხალხი ხშირად მართლა გულმავიწყია, მაგრამ ბევრჯერ უბრალოდ,ასე აჩვენებს თავს სხვებს. მათ ართობს კიდეც ზოგიერთი მანკიერება, ვითარცა დასტური და სახე მათი ბედნიერებისა. ჩანს, მხოლოდ მდაბიო და ბეჩავმა ხალხმა იცის, რასაც აკეთებს . მოდი[30] ახლა და იფიქრე, ბევრი რამ მიმების მოჭორილიაო მხოლოდ, აღვირახსნილობის გასაკიცხად გამოხაგონი. ლმერთებსა ვფიცავ, ისინი გვერდს უფრო უვლიან მრავალს, ვიდრე თხზავენ.გაუგონარ ბიწიერებათა აღწერა ისე იმატა მხოლოდ [illegible] ნაშთით გამორჩეულ ჩვენს საუკუნეში, რომ მიმებს უკვე გულგრილობაც კი შეიძლება დაეწამოთ.

მაშ ასე, არსებობს კაცი, რომელიც კეთილდღეობის წყალობით ისე დავრდომილა, რომ სხვას უნდა დაეკითხოს - ზის თუ არა! არა, ის არ არის მოცალედ მცხოვრები. მოცალედ მხოლოდ იგი ცხოვრობს, ვისაც გაცნობიერებული აქვს თავისი მოცალეობა. ამ ნახევრად ცოცხალს კი საკუთარი სხეულის მდგომარეობის შესაგრძნობად სხვისი დახმარება სჭირდება[31] და როგორღა შესძლებს, თუნდაც დროის უმცირესი მონაკვეთის მანძილზე. იყოს თავის ცხოვრების ბატონ - პატრონი?!

13,1 შორს წაგვიყვანდა სათითაოდ ჩამოთვლა მათი,ვისი ცხოვრებაც კოჭების გორებაში, ბურთის თამაშსა და მზეზე სხეულის გარუჯვაზე ზრუნვაში გადის. არც ისინი არიან მოცალენი, რომელნიც გარჯითა და დაგვით ეწევიან სიამოვნებას. საქმე ისაა, რომ მათგან, ვინც მთელ თავის დროს ფუჭი მეცნიერებების გულმოდგინედ შესწავლას უთმობს, არავის მოუვა აზრად ეჭვი შეიტანოს საკუთარი შრომის ამაოებასა და უნაყოფობაში. რომაელებს შორისაც არსებობს უკვე საკმაოდ დიდი ჯგუფი ასეთებისა.

იყო ერთი ამგვარი ბერძნული ავადმყოფობა - ყველაფრის გამოძიების სურვილი. იკლვევდნენ, მაგალითად, რამდენი მენიჩბე ჰყავდა ოდისევსს, „ილიადა" დაიწერა უწინ თუ „ოდისეა", ორივე ერთმა აეტორმა შექმნა თუ არა, და კიდევ სხვა მსგავს საკითხებს, რომელნიც, სანამ დაფარულნი არიან, ვერაფერს ჯმატებენ ჩვენს „იდუმალ ცნობიერებას", ხოლო როდესაც საზეიმოზე გამოვიტანთ, აბეზარ კირკიტად უფრო წარმოგვაჩენენ, ვინემ მეცნიერად.

და აი, რომაელებმაც იწყეს აზრს მოკლებული სიბეჯითით უსარგებლო

საქმეთა კვლევა.[33] ამასწინათ ერთი კაცის მოხსენება მოვისმინე იმის შესახებ, თუ რომაელ სარდალთაგან რომელმა რა მოიმოქმედა პირველად: საზღვაო ბრძოლაში პირველი გამარჯვება დუილიუსს მოუპოვებია, ხოლო კურიუს დენტატუსს ტრიუმფისას პირველს გაუტარებია სპილოები. თუმცა ამგვარი საქმენი შორს არიან ჭეშმარიტი სხელოვნებისაგან, ისინი ჯერაც სამოქალაქო წარმატებათა ნიშუშებად ითვლებიან. მათი ცოდნა, მართალია, ვერარას გვარგებს, მაგრამ მაინც გვიზიდავს ფუჭი დიდების გრწყინვალებით. თავი უნდა ვანებოთ იმის ძიებასაც, თუ პირველად ვინ ურჩია რომაელებს ხომალდებში ჩასხდომა (ეს იყო კლავდიუსი, რომელსაც სწორედ ამ შემთხვევის გამო ეწოდა კაუდექსი, რადგან მჭიდროდ შეკრულ ფიცრებს ძველები კაუდექსს ეძახდნენ. შემდგომში საზოგადოებრივ კანონთა დაფებსაც კოდექსები დაარქვეს, ხოლო გემებს, რომელთაც ტეიროი დააყენეთ მდინარე ტიბრზე, ახლაც ოდინდელი ჩვეულებისამებრ, კოდეკარიებს უწოდებენ).

თუმცა, შესაძლოა, არც ის იყოს სულ უმნიშვნელო, რომ პირველად ვალერიუს კორვინუსმა დაიპყრო მესანა და ვალერიუსთა გვარში პირველს მას ეწოდა „მესანა" დაპყრობილი ქალაქის სახელის მიხედვით, მოგვიანებით კი ხალხმა ასოები შეცვალა და ამიტომ „მესალა" დაერქვა.

განა ვის შეშვენის იმაზე სჯა და მჭობა, რომ პირველად სულამ აუშვა ლაშქები ცირკში, (მაშინ როცა, ჩვეულებრივ, დაბმულებს აჩვენებდნენ), მერე კი მათ დასახოცად მეფე ბოკუსმა მოისარნი გამოგზავნა?! მაგრამ ამასაც თავი ვანებოთ. ნუთუ რაიმე კეთილ მიზანს ემსახურება ცოდნა იმისა, რომ პირველად პომპეუსმა გამოიყვანა ცირკში დაახლოებით თვრამეტი სპილოს წინააღმდეგ საბრძოლველად? სახელმწიფოს პირველი მოქალაქე და (როგორც თქმულება გადმოგვცემს) ძველი დროის სახელოვან მოღვაწეთაგან უჩვეულო სიკეთით გამორჩეული კაცი საინტერესო სანახაობად მიიჩნევდა ადამიანთა შოკვდინების ამ ახლებურ საშუალებას. „სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებიან ერთურთს? ცოტაა. ნაკუწ-ნაკუწ იფლითებიან? ესეც ცოტაა. მხეცთა უზარმაზარმა ჯგრომ უნდა გათელოს ისინი"!- ასე მსჯელობდა დიდი მხედართმთავარი.

უკეთესი იქნებოდა, თუ ერთვარ საქმეებს სულაც დავივიწყებდით,[34] რათა შემდეგ ვინმე მძლავრის ყურადღებაც არ მიხედულიყო და მასაც არ შეშურებოდა ამ ამაოდამიანური საქციელისა. ო, რარიგ გვიბნელებს გონებას დიდი ბედნიერება! პომპეუსს ეგონა მაშინ, რომ ბუნების კანონებზე ამაღლდებოდა, თუკი სვეგამწარებულ ადამიანთა დუნდგის უცხო ქვეყნებიდან ჩამოყვანილ მხეცებს ათელვინებდა, თუკი ერთურთს შეაბრძოლებდა ასეთ სუსტ და ძლიერ არსებებს, თუკი რომაელი ხალხის თვალწინ ზღვად დალვრიდა სისხლს, შემდეგ კი ამავე ხალხს აიძულებდა უფრო მეტი სისხლი ეთხია. მოგვიანებით ეს კაცი, ალექსანდრიელთა ვერაგობით მოტყუებული, თვითონ[35] გახდება უმდაბლესი მონების მსხვერპლი და მაშინლა გულისხმა ყოფს საკუთარი მეტსახელის ყალბ ბრწყინვალებას.[36]

მაგრამ ახლა პირველსავე სიტყვასა მოვალ და მსგავსადვე წარმოვაჩენ ზოგიერთების ფუჭ მცდელობას. იგივე ავტორი ყვებოდა, რომ მეტელუსი ერთადერთი იყო რომაელთა შორის, რომელიც პუნებზე გამარჯვების შემდეგ სიცილიაში გადახდილი ტრიუმფის დროს თავისი ოთხთვალის წინ ეს ოც ნადავლ სპილოს მიერეკებოდა. რომაელთაგან უკანასკ-ნელად სულამ გაიფართოვა პომპერიუში,[37] რაც პროვინციების დაპყრობამდე, სანამ მხოლოდ იტალიური მიწები იყო გაერთიანებული, წარმოუდგენლად მიიჩნ-დათ წინაპრებს. იმის ცოდნა კი საეალდებულოა, ამტკიცებდა ზეგოხ-სენებული მკვლევარი, რომ ავენტინუსის ბორცვი მაშინ პომერიუმს მიღმა მდებარეობდა.[38] ამას, მისი აზრით, ადასტურებს შემდეგ ორ გარემოებათაგან ერთ-ერთი: ან ის ფაქტი, რომ რომიდან გასული ბლეზი იქ დასახლდა,[39] ან ის, რომ რემუსს აუსპიციუმის დროს ფრინველებმა ავი აუწყეს ამ ადგილზე[40] კიდევ მრავალ მსგავს საკითხთა დასახელება შეიძლება, რომელნიც ან აშკარად ყალბნი არიან, ან სიყალბეს მიმსგავსებულნი. მაგრამ როცა ეს „მეისტორიენი" თვითვე ამტკიცებენ,

ყოველივე კეთილსინდისიერად გაუწყეთო და თავსაც დებენ ნათქვამის ჭეშმარიტებაზე, ნეტავ ვისი სიცრუის მიჩქმალვას ცდილობენ ამით? ვის ვნებებს მოაშთობენ? ვის აქცევენ უფრო მაბალად, უფრო სამართლიანად ანდა უფრო კეთილშობილად? ზოგჯერ ამგვარი ეშვიც გაჭრიდა ჩვენს ფაბიანუსს -ეგების ჯობდეს კაცი სულაც არის იქმოდეს თუკი ასე დაიბრალეთ.

14.1 მხოლოდ მას შეიძლება ეწოდოს მოცალე, ვინც მთელი თავის დროს ფილოსოფიას უძღვნის. მხოლოდ ეს ადამიანები ცხოვრობენ ჭეშმარიტად, რადგან არა მარტო ზოგავენ თავიანთ დროს, არამედ მას მიუძღვნიან ყოველივე ყოფილს და ყოფადს. თუ რამ წელს მათ წინ ჩაუვლია, ყველა თვისად უჭცევიათ, ყველა დაუსაკუთრებიათ. და თუკი კეთილ საქმეთა მიმართ არ ვიქნებით მთლად უგრძნობელნი, შეგვეძლება ჩავთვალოთ, რომ ღირსსაცნობ მოძღვრებათა ყოველი სახელგანთქმული ფუძემდებელი ჩვენთვის შობილა, ჩვენთვის მოუმზადებია სიცოცხლის ლიბო; როცა უმშვენიერეს საგანთაკენ მივიმართებით, რომელნიც სხვათა და სხვათა ძალისხმევით სიბნელიდან სინათლეზე გამოტანილან, არც ერთი საუკუნე არ დაგვიშლის თავის წიაღში შეღწევას; თუ მოვისურვებთ სულის სიძლიერით გადავლახოთ ადამიანურ სისუსტეთა ზღვარი, აჰა, თვალწინ გვაქვს უკიდეგანო სივრცე დროისა, რომელშიაც შეგვიძლია ვიმოგზაუროთ.

ასე რომ, სოკრატესთან კამათიც ხელგვეწიფება, კარნეადეს ეჭვთა გაზიარებაც, ეპიკურესთან ერთად განმარტოებაც, სტოიკოსთაებრ კაცობრივი ბუნების ძლევაც და მასზე ამაღლებაც კინიკოსთა რიმბაძველობით. თუკი ბუნება ნებისმიერ საუკუნეს მიგვაახლოებს, რად არ უნდა მივაჭიროთ ჩვენი სული ამ მეღინი და წარმავალი ყოფიერებიდან მარადიულისა და უსასრულოსაკენ, რაც უკეთესთან, უაღრესთან დაგვაკავშირებს?!

ისინი, რომლებიც ვალდებულებათა გამო მიმოაწყდებიან, თავსაც აწყენენ და სხვათაც შეაჭირვებენ. როდესაც, უგუნურნი,[41] დაივლიან დღეცისმარე ნაცნობთა სახლებს, არც ერთი კარი არ დახვდებათ ფართოდ შეხსნილი, ხოლო, როცა გამორჩენის სურვილი უფრო შორეულ ბჭეს მიაყენებთ, ძნელად თუ ვინმე შეეგებოთ უზარმაზარ, ალასნაირ ვნება-საწუხარს თავმიცემულ ქალაქში. რაოდენთა ძილი, თავაშვებულობა ან სიუხეშე გამოაბრუნებს მათ. რაოდენნი გააწვალებენ ლოდინით, შემდეგ კი მოჩვენებითი ფაციფუცით გვერდს ჩაუვლიან. რაოდენნი აარიდებენ თავს კლიენტებით გაჭედილ ატრიუმში გავლას და საიდუმლო კარით გაიქცევიან, თითქოს სიცრუე უარზე ნაკლებ უკადრისი იყოს. რაოდენნი, წუხანდელი ნაშთვრალევნი და გამოუძინებელნი, დილაბინდზე მიატოვებენ საწოლს, რათა პატრონს დაელოდონ და მერე ქედმაღლური მთქნარება მიიღონ პასუხად მისგან, ვის სახელსაც ოდნავ გახსენილი ბაგეებით მეათასედ ჩურჩულებენ უკვე.

ჭეშმარიტ ვალს მხოლოდ ისინი აღასრულებენ, რომელთაც ძალუძთ გაამეღავნონ ზენონთან, პითაგორასთან, დემოკრიტესთან, არისტოტელესთან, თეოფრასტესთან და კიდევ სხვა დიდ და გამოჩენილ მეცნიერებთან ახლო ნაცნობობისა და ყოველდღიური ურთიერთობის სურვილი. ყოველი მათგანი გამონახავს დროს და მისულ სტუმარს ხელცარიელს არ გაუშვებს, ბედნიერებას მიანიჭებს და საუკეთესო მეგობრად გაიხდის. ყველა მოკვდავს შეუძლია ეწვიოს ბრძენკაცთ დღითა და ღამით.

15,1 მათგან არც ერთი სასიკვდილოდ არ წაგაქეზებს, მაგრამ იმას კი გასწავლის, როგორ უნდა აღესრულოს კაცური კაცი. მათგან არც ერთი არ წარგტაცებს წლებს, პირიქით, საკუთარსაც შეგმატებს და თუ რომელიმე მათგანს გამოელაპარაკები, გახსოვდეს, ეს შენს სიცოცხლეს არასოდეს დაემუქრება, არაფრით ავნებს. თუ მათგან ერთ-ერთს მეგობრად ჩათვლი, არც ეს მოგიტანს ზარალს და ზიანს, ხოლო თუკი რომელიმეს პატივს მიაგებ, ყველაფერს, რაც გსურს, მიიღებ მისგან. მათი ბრალი არ იქნება, იმას თუ ვერ შეისმენ, რაიც უნდა გაგეგო და გულისხმა ვეყო. ო, რა დიდი ბედნიერება, რა მშვიდი სიბერე მოელის კაცს,

ვინაც მათთან კავშირი შეჰკრა, რადგან მუდამ გვერდით ეყოლება ადამიანები, რომელთაც თამამად გაანდობს ყველა დიდსა და მცირე საფიქრალს, ყოველდღიურად ჰკითხავს რჩევას, წყენის გარეშე მოისმენს მართალ სიტყვას, ხოლო ქებას - ლიქნის გარეშე, მიბაძავს მათ და შეიქნება მათივე მსგავსი.

ხშირად ვამბობთ- მშობლების არჩევა შეუძლებელიაო, რადგან შემთხვევა გვიპდის მათ მშობლად. სინამდვილეში ძალგვიძს თავად განვაგოთ საკუთარი წარმოშობა-წარმომავლობა. წარჩინებულთა და გამოჩენებულთა მრავალი ოჯახი არსებობს. ჰოდა, გადაწყვიტე, რომლის წევრობა გსურს და მაშინვე მიიღებ არა მხოლოდ მათ გვარს, არამედ ქონებასაც - ისეთს, რომლის ძუნწად ფლობა არ ეგების. რაც მეტს გასცემ, უფრო მეტად მოიმატებს შენი სიმდიდრე. მარადისობისკენ მიმავალ გზას გიჩვენებენ ბრძენკაცნი, იმ მწვერვალზე აგიყვანენ, საიდანაც ჯერ არავინ ჩამოვარდნილა. ეს არის ერთადერთი საშუალება ჩვენი მოკედავი არსებობის უკვდავსაყოფად. მავანთა და მავანთა საღიდებლად აგებული ძეგლები თუ საზოგადოების გადაწყვეტილებით მინიჭებული წოდებანი მსწრაფლვე განქარდებიან, რადგან ქაში ანგრევს და ანადგურებს ყველას და ყოველს. ვინაც სიბრძნით განიწმინდა, ვერარა ავნებს. საუკუნენი ვერ მოსპობენ, ვერ წაშლიან მას და მის სახელს; ჩვენს შემდგომ მოსულნი და მათი მომდევნონიც უფრო დააფასებენ, რადგან შური ახლო-მყოფის მიმართ ჩნდება, მაშინ, როცა შორეულს ღიღად შესტრფიან.

ასე რომ, გონიერთა არსებობა მეტისმეტად გავრცობილია. მათ სიცოცხლეს, სხვებისაგან განსხვავებით, არა აქვს ზღვარი. მხოლოდ ბრძენკაცი არ ეპუება ადამიანთა მოდგმის კანონებს. საუკუნენი მას ისევე მორჩილებენ, ვითარცა ღმერთებს.დრომ განვლო?- ბრძენი იმახსოვრებს. აწმყოა?- მარჯვედ მოიხმარებს. მყოობადია?- წინასწარ განჭვრეტს. ყოველი დროის გაერთმთელება ახანგრძლივებს მის სიცოცხლეს.

16,1 ყველაზე ხანმოკლე და შფოთიანი მათი ცხოვრებაა, რომელთაც წარსული დაივიწყეს, აწმყო უარყვეს, მომავალს კი ძრწოლით ელიან. ძალიან გვიან, უკვე აღსასრულს მიწევნულნი, შეიცნობენ ეს საბრალონი, რომ უქმად გარჯილან და სინამდვილეში არა გაუკეთებიათ რა. იმას, რომ ზოგჯერ სიკვდილს უხმობენ, ნუ მიიჩნევ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის მტკიცე საბუთად. უგუნურებისა გამო იტანჯავენ თავს ათასგვარი ენებებით და რასაც გაინელტვიან, მასვე მიეახლებიან უნებლივ. ხშირად სიკვდილსაც ნატრობენ, რადგან შიში აქვთ მისი. ხეირც იმას ჩათვლი გრძელყამიერი ყოფის დასტურად, ასე უსასრულოდ რომ ეჩვენებათ დღე და სადილის მომლოდინენი მწუხარებენ საათთა ტაატის გამო. ხოლო მაშინ,როცა ყველა საქმეს თავს ანებებენ, მოცალეობა უსიამო ტვირთად ექცევათ ხოლმე და ალარ იციან რას მოახმარონ ამდენი დრო, რით მოკლან იგი. ამიტომაც გართობაში ეძიებენ ჩსნას, დანარჩენი წუთები კი ტანჯვით გადააქვთ. შესაძლებელი რომ იყოს,ჰერკულესს ვფიცავ, გლადიატორთა თამაშების ან რომელიმე სხვა სანახაობისა თუ განცხრომის მოლოდინში ისინი სიამოვნებით გადაახტებოდნენ დარჩენილ დღეებს.

იმ მოვლენის სულ მცირე ხნით გადადებაც კი, რომელსაც ასე მოუთმენლად ელიან, მეტისმეტად აცხოველებს მათ სულწასულობას. მაგრამ რა მსწრაფლწარმავალია დრო მაშინ, როცა ილხენენ, და რარიგ მოკლდება იგი უფრო მათივე ბრალით, რადგან მუდამ ეცვლებათ გატაცების საგანი. დღე არა მარტო უსასრულო რამაა მათთვის,არამედ საძულველიც, და პირიქით, რა ხანმოკლედ ეჩვენებათ ღამეები, რომელთაც მეძაღთა მკლავებსა და ღვინის სმაში ატარებენ. პოეტებიც იმიტომ არიან შლეგნი,[42] რომ თავიანთი გამონაგონით ადამიანთა მანკიერებებს ასაზრდოებენ. მათი გადმოცემით თანაყოფის სიტკბოებით მოხიბლულმა იუპიტერმა ღამე გააორკეცა-[43] განა ამით ენებებს არ აღგვიგზნებენ, როცა ბიწიერ ღმერთს[44] ნიშუმად გვისახავენ და მის ავადმყოფურ ყინს გამართლებას უძებნიან? განა შესძლებენ ეს ადამიანები მართლაც უმოკლესად არ ჩათვალონ ღამე, როცა ასე ძვირად ულირთ იგი? ღამის

მოლოდინში დღე გაურბით, გარიჟრაჟის შიშით მომლოდინეთ კი ღამეც ეკარგებათ.

17,1 მათ სიამოვნებასაც შიში ახლავს, ათასგვარი ელდა ანელებს და სწორედ მაშინ, როცა ნეტარებას არიან თავმიცემულნი, მოეძალებათ ხოლმე მტანჯველი ფიქრი -კიდევ რამდენხანს გაგრძელდება ყოველივეო? ამ გრძნობით შეურევებული მეფენი საკუთარ ძალმოსილებას დასტირიან, ვეღარც ბედნიერების სიამით ხარობენ, რამე თუ შიში აღსასრულისა, რომელიც ადრე თუ გვიან დადგება, გოხს აკარგვინებს საბრალოთ. ქედმაღალმა სპარსთა ხელმწიფემ, როდესაც თავისი ჯარი უკიდეგანო ველზე გახალგა და გაოცდა არა მისი რაოდენობით, არამედ სიდიადით, ცრემლები ღვარა, რადგან ასი წლის შემდეგ ამ ურიცხვ ჭაბუკთაგან ერთიც აღარ იქნებოდა ცოცხალი, თუმცა თავად იყო ამ მწუხარების მიზეზი და უბედურებას უქადდა მებრძოლთ. მალე ზოგს ზღვაზე, ზოგს ხმელეთზე ზოგსაც უკუჩცევის დროს დაღუპავდა და უმცირეს დროში მოაკვდინებდა ყველას, ვის გამოც ასი წლით ადრე მჭმუნვარებდა ზარდაცემული.

რატომაა, რომ ამ ადამიანთა სიხარულიც შიშნეულია? იმიტომ, რომ მტკიცე ლიბოს არ ემყარება და იგივე არარაობა, რომელიც შობს მას, საეჭვოს ხდის მის რაობასაც. მაშ როდისღაა ნეტარება სრულყოფილი, შეუმღვრეველი, - იფიქრებ შენ, თუ, ამ კაცთა აღიარებით, ის დროც კი უბედურია, ოდეს ზეკაცურ სიმაღლეებს მიწევნულნი მხიარულობენ?[16]

გახსოვდეს, ღირსსაცნობი კეთილდღეობანი უფრო მეტად გვაფორიაქებენ და ყველაზე ნაკლებ საიმედო სწორედ უხინჯო ბედნიერებაა. ერთი წარმატების მისაღწევად სხვა წარმატებაა საჭირო; აღთქმაც უკვე აღსრულებული აღთქმისათვის უნდა დაიდოს, რადგან ყოველი, რაც კი ვისმე მხოლოდ შემთხვევის გამო ჰრგებია, არამდგრადია და საეჭველი. რაიც გვამაღლებს, იგივე ქვე დაგვიზიდავს; ვერც ვერავის გაახალისებს ის, რაც დაკვნით ემუქრება. ამიტომ არა მხოლოდ უსაბრალოესი, არამედ უმოკლესიც უნდა იყოს მათი ცხოვრება, რომელთაც დიდის წვალებით მოუხვეჭავთ რამ და უფრო მეტი ტანჯვის ფასად შეუნარჩუნებიათ იგი. მავანნი წვითა და დაგვით აღწევენ სასურველს, მოპოვებულს შიშით ებღაუჭებიან და ამასობაში სრულიად ივიწყებენ დროს, რომელიც ერთ-ერთ უკან აღარ შემოიქცევა. ძველ სიქმეთა ადგილს ახალი საზრუნავნი იკავებენ, იმედი იმედს აღვივებს, ქედმაღლობა ქედმაღლობას. ბოლო არ უჩანს საწუხარ -სადარდებელს, მისი მიზეზი იცვლება მხოლოდ. თავს გვაბეზრებს ჩვენი თანამდებობა, სხვებისა კი გაცილებით მეტ დროს წარგვტაცებს; საკუთარი კანდიდატურის წამოსაყენებლად აღარ ვიწყვეტთ ქანცს, ახლა სხვათა ამოსარჩევად ვიღვწით; ჩამოვიცილეთ ბრალმდებლის უსიამო გრძნობა, შევიძინეთ კანონმდებლისა. უწინ თუ მოსამართლე იყო მავანი, ახლა გამომძიებელია. ზოგს სხვათა მამულების დაცვა-დარაჯობაში გაუტარებია ახალგაზრდობა, ახლა საკუთარ საქმეთ განაგებს. მარიუსმა თავი ანება სამხედრო სამსახურს, რადგან მოქანცა კონსულობამ. კვინტიუსმა დიქტატორის ტვირთის მოხსნა იჩქარა და იმ დროს იქნა უკან გახმობილი, როცა გუთნით მიწასა ხნავდა. სციპიონი პუნებთან საბრძოლველად ჯერ კიდევ ამგვარ საქმეთათვის სრულიად უმწიფარი წავიდა. მას, ჰანიბალისა და ანტიოქეს მძლეველს, თავისი კონსულატის სამკაულსა და ძმის მრჩეველს, თავად რომ არ დაეტოვებინა ასპარეზი, იუპიტერს გაუთანაბრებდნენ ალბათ. მამულის მხსნელს მრავალ უსიამოვნებას შეამთხვევენ მოქალაქეთა მღელვარებანი და ღმერთის სადარ პატივთა შემდეგ, რომელთაც ასე გაურბოდა ყმაწვილკაცობაში, მოხუცს სიამეს მოჰგვრის ოდენ სიამაყე თავისი ამირებული განდგომის გამო. მას ყოველთვის ჰქონდა მღელვარების მიზეზი - ზოგჯერ საამო და ზოგჯერ სამწუხარო. ერთი საქმიდან მეორისკენ უბიძგებდა მუდამ ცხოვრება. მოცალეობა მისთვის აუხდენელ ოცნებად დარჩა.

18,1 ამიტომ, ძვირფასო პავლინუს, განუდექ ბრბოს და განმარტოვდი მყუდრო ნავსაყუდელში, რის შემდგომაც შენი ასაკისათვის შეუფერებელი სიჩიუქით შეიცვლი გეზს. დაფიქრდი, რაოდენ

ტალღას აჰყოლიხარ, რაოდენი ჭარიშხალი დაგტეხია პირად ცხოვრებაში თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ათას ჭირვარამში წარმოჩენილა და უკვე მრავალ გზის გამოცდილა შენი შრომის მოყვარეობა. მაშ, მოცალეობის ყამსაც მოსიხჯე მისი ძალა. შენი ცხოვრების უდიდესი და, რაღა თქმა უნდა, საუკეთესო ნაწილი სახელმწიფოს უძღვენი უკვე.[47] ახლა მცირე დრო მაინც განაგე სურვილისამებრ.

მაგრამ, იცოდე, უსაყოფო და უქმი სიმშვიდისაკენ არ მოგიწოდებ. არც საიმისოდ წაგაქეზებ, რომ მრავალთა მსგავსად ძილსა და განცხრომაში ჩაახშო შენთვის მომადლებული ცხოველმყოფელი ხიჭი.არა, ამას არ ჰქვია მშვიდი ცხოვრება. გჯეროდეს,აწ უფრო დიადსა და სახელოვან საქმეებს მიეახლები, რაც გადასწონის შენს უწინდელ ნამოღვაწარს. ამ საქმეთა აღსრულებას კი აღუშფოთველი მარტოობა შეგაძლებინებს.

შიელი[48] მსოფლიოს ანგარიშებს შენ აწარმოებ და ამას ისე მშვიდად აკეთებ, როგორც სხვის საქმეს, ისე გულმოდგინედ, როგორც საკუთარს და ისე კეთილსინდისიერად, როგორც საზოგადოებრივს. შენ შესძელი კეთილგანწყობის მოპოვება იმ თანამდებობაზე, რომელზეც ძნელია სიძულვილს გაექცე. მაგრამ, ამის მიუხედავად, მერწმუნე, უმჯობესია საკუთარი ცხოვრება შეისწავლო, ვინემ სახელმწიფოს მარცვლეულის ავკარგიანობა. ჰოდა, ზურგი აქციე, მართალია, საპატიო, მაგრამ ნეტარი ცხოვრებისთვის არც თუ მაინცდამაინც შესაფერ საქმიანურს და ეგ მრავლისშემძლე სულიერი ენერგია ახლა სხვა საგანთაკენ მიმართე. გახსოვდეს, ბავშვობიდან იმიტომ კი არ ეწაფებოდი თავისუფალ მეცნიერებებს, რომ ათასობით საწყაო მარცვლეულის კარგად შენახვა გესწავლა, რაღაც უფრო დიადისა და ამაღლებულის მოლოდინი უნდა გქონოდა საკუთარი თავისაგან.

ბევრს შეუძლია მეურნეობის ყაირათიანად გაძღოლაცა და ენერგიული მუშაობაც. ტვირთის საზიდავად ხომ ზანტი სასაპალნე პირუტყვის გამოყენება სჯობს, ვიდრე წმინდა ჯიშის ცხენებისა. განა ვინმეს მოუვა აზრად, მძიმე საკიდრით დააბრკოლოს მათი თანდაყოლილი სიმარდე?! გარდა ამისა,ტვირთი, ვითარ გახსაცდელში იგდებ თავს,რაცა ამგვარ ტვირთს კისრულობ. შენ ხალხის კუჭთან გაქვს საქმე, დაჭმეულ ბრბოს კი ვერც გონივრული განსჯა-მსჯელობა, ვერც სამართლიანობით დაამშვიდებ და ვერც ხვეწნა-მუდარით შეაცვლევინებ აზრს.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, გაიუს კეისრის[49] სიკვდილის დღეებში (რომელსაც, თუკი მიცვალებულებს კიდევ აქვთ რაიმეს შეგრძნების უნარი, ალბათ, ყველაზე მეტად ის განარისხებდა, რომ თავად მოკვდა, რომელი ხალხი კი ცოცხალს დარჩა),სახელმწიფოს ჰქონდა მხოლოდ შვიდი, ან უკიდურეს შემთხვევაში, რვა დღის სამყოფი პროდუქტი. სანამ გაიუსი ხომალდებისაგან ხიდს აგებინებდა[50] და იმპერიის ძლიერებას ეთამაშებოდა, ისეთი უბედურება დატრიალდა, რომელიც ალყაში მოქცეულთათვისაც უმძიმესია უკიდურესად. შემცირდა სურსათი. უცხოელი მეფის[51] უგუნურსა და საბედისწეროდ ქედმაღლურ მიმბაძველობას მოჰყვა დაცემა, შიმშილი და გარდუვალი შედეგი შიმშილობისა-საყოველთაო განადგურება.[52]

წარმოიდგინე, რანაირი გუნებაგანწყობა ექნებოდათ ამ დროს იმათ, ვისაც სახელმწიფოს მარცვლეულზე უნდა ეზრუნა. საცოდავებს ისღა რჩებოდათ, მოთმინებით დახვედროდნენ ყოველ სატანჯველს - ქვებს, მახვილს, ცეცხლს და თვით გაიუსსაც.[53] გასაოცარი თვალთმაქცობით ფარავდნენ ისინი ღრმად ფესვებგადგმულ განსაცდელს და ამას, რა თქმა უნდა, გონების კარნახით ჩადიოდნენ. ვინმეს ხომ უნდა ემკურნალა ავადმყოფთათვის თუნდაც მით,რომ სნეულების ჰეშმარიტი მიზეზი დაეძალა. საკუთარი სატკივარის გამოძიებამ აკი მრავალი მიიყვანა სამარის პირთან.

19,1 მაშ, იმისკენ წარმართე აზრი, რაიც უფრო მშვიდია და უბიწოთო, უფრო დიადი! ნუ გგონია, განსხვავება არ იყოს თითქოს, რომელ საგანს მიუძღვნი ფიქრებს - მარცვლეულს, რომელიც მომწოდებელია სიცრუისა და დაუდევრობის მიუხედავად უდანაკარგოდ დაბინავდა ბეღელში, ამიტომ არ დანესტიანდება და არ ჩახურდება, არ

მოიკლებს ზომა-წონაში; თუ წმინდას და ამაღლებულს მიეახლები, დაფიქრდები ღვთის ნებასა და რაობაზე, ნაღვაწსა და იერსახეზე, ან იმაზე, თუ რა ბედი მოელის შენს სულს, ან ბუნება რას გვიქადის სხეულიდან განსვლის შემდგომ, რა აკლია ამ სამყაროს უმძიმეს ნაწილს მსუბუქთა შორის, რომელთაგან ცეცხლი უმსუბუქესია,[54] ანდა რისთვის იცვლებიან ძნათობები ცის კაბადონზე? ამას გარდა, სხვა საოცარ, განსაკრთომელ მოვლენებსაც დაუკვირდები.

ნუთუ არ გინდა განერიდო დუდამიწას და გონებით შეიმეცნო ეს ყველაფერი?! სწორედ ახლა, სანამ სისხლი ჩქეფს და მღელვარებს, ჯიქურ უნდა გაეშერო უკეთესისკენ! ამგვარ ყოფაში მიემთხვევი მრავალ ღირსსაცნობ მეცნიერებას, ზნეობრივი სრულქნილების სიყვარულს, რომელიც შემდეგ ხორცს შეისხამს შენს საქციელში; გარდა ამისა, დაიცავ ამაო ვნებებს, სიკვდილ-სიცოცხლის ხელოვნებას ეზიარები, მოიპოვებ სულის სიმშვიდეს.

20.1 ცუდი დღე ადგას საქმეებში დანთქმულ ყველა კაცს, მაგრამ მეტადრე საგალალო მისი ბედია, ვისაც არასდროს უკეთებია თავისი საქმე, ვინც მუდამ სხვისი ძილის კვალობაზე იძინებდა, სხვის სიარულს აყოლებდა თავის ნაბიჯებს, თვით სიყვარულს და სიძულვილსაც, ყველაზე მეტად თავისუფალთ გრძნობათა შორის, სხვას უთანხმებდა. როცა ამგვაროი ადამიანი მოისურვებს თვისი ცოდნის ხანგძლივობის გამოძიებას, უწინარესად მართებს ახსოვდეს - არსებობის უმცირესი ნაწილია საკუთრივ მისი.

ამიტომ, როცა პრეტექსტას დაინახავ, რომელიც მრავალს ეტარებია, ან ფირუზზე პატივდებულ სახელს მოიხმენ, ნუ შეგშურდება-ეს სიკვდილ ყოველ მათგანს სიცოცხლედ ეღირს . იმას, რომ ერთ[55] წელს მათი გვარით იხსენიებდნენ, სწირავენ ხშირად წელთა სიმრავლეს. ბევრმა თავისი ამპარტავნული მიზნის მიღწევამდე, ჯერ კიდევ პირველ სიძნელეებს შეეჯიდებულმა, დათმო სიცოცხლე, ზოგიერთი კი მხოლოდ მაწინ, როცა ათასი დამცირების წილ აისრულებს გულის საწადელს, მიხვდება, რომ ეპიტაფიისთვის გარჯილა ოდენ ბევრი მოხეცი ლრმა ძიძრწნილებაში, ყმაწვილის მსგავსად, ახალსა და იმედიან მიზნებს ისახავს, ამასობაში კი, დიდ და თამამ აზრებს გამოდევნებული, ძალდაბრეტილი განუტევებს სულს. ზიზღს იმსახურებს ის ბერიკაცი, რომელიც [illegible] ბროცესზე, სრულიად [illegible] გარჩევისას, უვიც მსმენელთა ხოტბის მომლოდინე გარდაიცვლება. გასაკვირია, ვისაც უწინ ცხოვრება ღლის და შერე საქმე, ვინაც სამსახურებრივ მოვალეობათა აღსრულებისას კვდება. გასაკვირია, ვისაც სული ამოხდება ანგარიშის დროს და ვისაც მწარედ დასცინებენ მეგზურები.

არ შემიძლია გვერდი ავუქცეო ძაგალითს, რომელიც სწორედ ახლა[56] მომაგონდა. გაიუს ტირანიუსი მეტისმეტად გულმოდგინე მოხუცი იყო. როცა ოთხმოცდაათს გადააბიჯა და გაიგეს კეისარმა თხოვნის გარეშე გაათავისუფლა პროკურორის თანამდებობიდან, ლოგინად ჩავარდა და ისე აქვითინდა გარსშემომდგარი ნათესაობა, თითქოს მიცვალებული ყოფილიყო. მთელი სახლეული გახიცდიდა ხანმოკლე ბატონის გადადგომას ღა მანამ არ შეუწყვეტიათ მოთქმა-გოდება სანამ იმავე თანამდებობაზე არ დააბრუნეს. გახა შემდეგაც ასე რიგად გაიხარებდნენ, მოხუცი რომ სიკვდილამდე ყოფილიყო დასაქმებული?

ბევრს აქვს ამგვარი მისწრაფება - სურს იმაზე მეტხანს იცოცხლოს, ვინემ ამის უნარი შესწევს. ხშირად თავგამოდებით ებრძვიან სხეულთა სიძაბუნეს და მხოლოდ იმიტომ მიიჩნევენ სიბერეს ძნელად, რომ მას საქმეთაგან განდგომა მოსდევს. წესით, ორმოცდაათი წლის შემდეგ ჯარისკაცებს აღარ იწვევენ საძველო სამსახურში, აღარც სენატში ირჩევენ სამოც წელს ზემოთ. ასე რომ, კანონი უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს ადამიანს, ვიდრე იგი საკუთარ თავს.

ასეა, სანამ ადამიანები სხვებს ძარცვავენ და თავადაც იძარცვებიან, სანამ ერთურთის სიმშვიდეს ხელყოფენ და ერთხაირად უბედურნი არიან მძარცველნიც და გაძარცვულებიც, სიცოცხლე გადის ფუჭად, უსიამოდ, სულიერი წვისა და ალმაფრენის გარეშე. ვერავინ ამჩნევს თავს

წარმოდგენილ სიკვდილის ამრღვევს, ყველა სიმბოლურად განიზრახავს. ოცნებობთ ახდენას თუ იმედების დაფრთიანებას, თუმცა ზოგი ამისათვის შეცდომებს, რაც დარჩება, მისი აზრით, სიცოცხლის შემდგომ - გრანდიოზულ ძვლთათვის, მათ სახელზე აგებულ საზოგადოებრივ სგგებობათათვის, სიმსხვერპლად კოცონთან მიტანილი შესაწირავისა და მდიდრული დასაფლავებისათვის[57] და მაინც, პურკულუსს ვფიცავ, ისინი უნდა დაიკრძალოთ ჩირაღდნებისა და სანთლების შუქზე.[58] რადგან ხანმოკლე იყო მათი ცხოვრება.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

1.ლუკიუს ანეუს სენეკას (ძვ.წ.4-ახ. წ. 65)კალამს, ქვეჩუქლიანეს ცხობით, მიეკუთვნის „სიტყვები(...), პოეტური ქმნილებები, ეპისტოლეები და დიალოგები". სენეკას სიტყვები ჩვენამდე არ შემორჩენილა. პოეტურ ქმნილებებს განეკუთვნება ეპიგრამები, ტრაგედიები და ერთი სატირა, ფილოსოფიურ თხზულებებს კი -„ეპისტოლეები ლუკილიუსისადმი", „საბუნებისმეტყველო საკითხები" და „დიალოგები".

სენეკას ნაწარმოებთა ცნობილ ძალიან ბელნიწერში ერთკორპუსად გაერთიანებული თორმეტი წიგნი სავრთო სათაურით „დიალოგები". ეს ნაწარმოებებია: „გონგებისათვის", „ბრძენკაცის სიმტკიცისათვის", „რისხვისათვის"(სამ წიგნად), „ბედნიერ ცხოვრებისათვის", „მოკალეობისათვის", „სულის სიმშვიდისათვის", „სიცოცხლის მსწრაფლწარმავლობისათვის", „ნუგეშისცემანი პოლიბიუსისადმი" და „ნუგეშისცემანი დედა ჰელვიასადმი". თხზულებათა ამგვარი ჯგუფთიანობა შეიძლება პირობითად მივიჩნიოთ, ვინაიდან მათ შორის ზუსტად ერთია („სულის სიმშვიდისათვის"). კლასიკური ფილოსოფიური დიალოგის სიმყარეში, სხვა შემთხვევაში სენეკა - ეუბნება დაატრიბის ფილოსოფიის და პოლიტიკის ფიქტიურ ადამიანებს.

ფილოსოფიურ-მორალური ტრაქტატი „სიცოცხლის მსწრაფლწარმავლობისათვის" მიეკუთვნება ფილოსოფიურ სარეკლამო ნაწარმოებებს, რომლის მიზანია მკითხველში ფილოსოფიისა და ბერძნული ცხოვრების [illegible] გიდეოლოგია. ნაწარმოები [illegible] ახ. წ. 48-49 წლებით.

ტრაქტატის ლეიტმოტივი - აქტიური პოლიტიკური საქმიანობისაგან გახდომის ქადაგებაა- კარგად გამობატავს სენეკას იმედგაცრუებულ განწყობასა და სულიერ მდგომარეობას. რვაწლიანი დევნილობიდან ახლად დაბრუნებული, ორმოცდაათს გადაცილებული პოეტი ფილოსოფოსი შეცდომად და სასულიერად თვლის მოღვაწეობას რომში და სურს ბოლოს ცხოვრებას („ოტიუმ") მიუძღვნას თავი, მაგრამ მის სურვილს წინ აღუდგება აგრიპინა,რომლისგანაც ივი დიდად დავალებული. და ეი, აგრიპინას შეეძდგომლობით გადასახლებიდან გამოძახებული სენეკა 50 წლისათვის უკვე ტიტულოვანი პრეტორია და ნერონის ალმზრდელადაც ინიშნება. საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობას არ გაუნელებია მისთვის ბერეტითი ცხოვრების დაუოკებელი სურვილი.

სიცოცხლის ხანმოკლეობის საკითხი არაერთხელ ყოფილა დამუშავებული ანტიკურ ლიტერატურაში. ბევრი მწერალი დაუფიქრებია დროის მსწრაფლწარმავლობის, ახალგაზრდობის წამიერობისა თუ ადამიანური არსებობის სასრულობის სტოელთა ფილოსოფიამ ამგვარ განწყობას საათნოების თავისებური დეფინიციით ეპასუხა და ივი ცოდნასთან გაიგივა, თანაც ეცადენ, ერთადერთ საკეთილ მიჩნიაბედნიერება, ეედაიმოსია, არავითარ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, არამედ მხოლოდ საათნოების განხორციელებასა და სიბრძნეზე. ეს შეარიტი საკეთე მხოლოდ სიბრძნეა- და ხელობრივი სრულქმნილება, მხოლოდ მის ახასიათებს სიმტკიცე და მარადიულობა. ესაა მოკვდავთათვის ბოძებული ერთადერთი უკვდავი რამ (შრ. ეპისტ. 98,9).

ᲪᲮᲝᲚᲔᲚᲘ და საყოველთაო

წარმავლობის გამო სიკვდილი მიჩნეულია ბუნების კანონად (საბუნებისმეტყველო საკითხები 6,32,12), რაც უნდა აღიაროს ბრძენმა.ამიტომ სხვაობა ხანმოკლე და ხანგრძლივ სიცოცხლეს შორის კარგავს თავის მნიშვნელობას (საბუნებისმეტყ. საკითხ. 6,32,9).ასე რომ, სტოელთა მიხედვით, სიცოცხლის ხანმოკლეობა სულაც არაა საეჭვალო. მაშ რა მიზანს ისახავს სენეკა ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებში?.

დიალოგში „სიცოცხლის მსწრაფლწარმავლობისათვის" სენეკა არ იზიარებს საყოველთაო ადამიანურ ჩივილსა და საყვედურს ბუნებისადმი სიცოცხლის ხანმოკლეობის გამო და ამის საწინააღმდეგოდ წამოაყენებს თეზას- სიცოცხლე მხოლოდ მაშინაა მოკლე, როცა არ იცვამ დროის გამოყენება. ესაა ამ მორალურ-ფილოსოფიური ტრაქტატის წამყვანი აზრი, რომელიც სხვადასხვაგვარად შეორდება, ილუსტრირებულია მრავალი მაგალითით, განმტკიცებულია ბევრი არგუმენტით და მთელ ნაწარმოებს გასდევს. თუმცა, ყოველივე ეს არ წარმოადგენს ერთადერთი მოტივის ნებისმიერად აღრეული ვარიაციების წყებას, არამედ დედააზრის გეგმაზომიერი განვითარებაა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ გვაახლოებს პროტრეპტიკულ მიზანს.

სენეკა ხშირად მიმართავს ანტითეზას და ერთმანეთს უპირისპირებს ცნებებს- „ოტიუმ" (მოცალეობა, მოცალებითი ცხოვრება, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ჰვრეტით ცხოვრებას უთანაბრდება) და „ოკუპატიო" (საქმიანობა). ნაწარმოების პირველი ნახევარი, ფაქტიურად, შეიცავს „ოკუპატი"-ს (საქმიანთა) არასწორი ცხოვრების აღწერას,რომელსაც ძუნწი მინიშნებებით უპირისპიდება „ოტიუმ"-ში ჰეშმარიტი ცხოვრება. ნაწარმოების მეორე ნახევარში „ოტიუმ" ხდება ცენტრალური ცნება. ჰეშმარიტი „ოტიუმ" გამიჯნულია არასწორად გაგებული მოცალეობისაგან და კონკრეტდება შთამბეჭდავი ღახასიათებით. საკონტრასტოდ სენეკა ყოველთვის უთითებს „ოკუპატი"-ს მარცხიან ცხოვრებაზე.

რაც შეეხება თხზულების სტრუქტურას, იგი შეიძლება წარმოდგენილ იქნას რიტორიკული სქემის სახით: „ექსორდიუმ" (შესავალი:1), „ნარატიო"(თხრობა, ნაწარმოების არსის წარმოდგენა: 2-9), „პროპოზიტიო"(ნაწარმოების მიზნის დაზუსტება,აქ: „დასაქმებულთა ცხოვრება უმოკლესია" 10,1), „არგუმენტატიო" (დასაბუთება: 10,2-17-მდე), „პერორატიო" (ეპილოგი: 18-20). „არგუმენტატიო" რიტორიკული ნიმუშის მიხედვით, ისევ შეიძლება დაიყოს პოზიტიურ და ნეგატიურ მტკიცებებად, ან როგორც ამას პ. გრიმალი გვთავაზობს, შინაარსობლივ კატეგორიებად (საჭიროსაპატიო).სენეკას ნაწარმოებთა ლიტერატურული ფორმაც მის მორალურ მიზანს ემსახურება: „დაე ჩვენმა სიტყვებმა მოიტანონ არა სიამოვნება, არამედ სარგებლობა"(ეპისტ.75,5).

2 ნაწარმოების ადრესატი, პავლინუსი, უნდა ყოფილიყო სენეკას ცოლის- პომპეია პაულინას- ნათესავი, ალბათ, მისი მამა. 48-55 წლებში პავლინუსი განაგებდა „პრეფექტურა ანონეს". მას რომის მარცვლეულით მომარაგების საქმე ებარა.

3 დასახელებულია ჰიპოკრატეს აფორიზმი.

4 აქ სენეკა კიცხავს ბუნების არისტოტელესეულ კრიტიკას. სტოელთა აზრით, ბუნება, რომელიც ღმერთის, გონისა და განგების იდენტურია, სამყაროში ყველაფერს უკეთესისკენ წარმართავს(იხ. დიოგენე ლაერტელი, წიგნი VII,135-136).ბუნების ბოროტების გამო დრტვინვას სენეკა უპირისპირებს სტოიცისტურ თეზას ბუნების სიკეთის შესახებ(აქვე:2,1). ციტატა, ფ.ბ. ვაიბლინგერის აზრით, მიეწერება არა არისტოტელეს, არამედ თეოფრასტეს. ცნობილია, რომ არისტოტელე ადამიანებს ხანგრძლივად მცხოვრებ არსებებად თვლიდა.

5 დედანშია სიტყვა „კოლოკარეტულ" („კოლოკარე" - დაბანდება). სენეკა აქ და სხვაგანაც ამ დიალოგში, იყენებს ისეთ სიტყვებსა და მეტაფორებს, რომელნიც მომდინარეობენ საქმიანი წრეების ენიდან. ეს ენა ახლობელია პავლინუსისთვის. სასიცოცხლო დრო აქ გაიგივებულია კაპიტალთან, რომელიც სარფიანად უნდა

დააბანდონ.

სენეკას ნაწარმოების ენაც მის ძირითად მიზანს ემსახურება. რადგანაც მას მკითხველის ფილოსოფიით დაინტერესება სურს, ამიტომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გაურბის ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას და ხშირად ხმარობს სიტყვებს ადრესატისათვის გასაგები საფინანსო ენიდან. მაგალითად, დაჯამება, ბალანსის გამოყვანა (3,2), გადარიცხვა (II,2), შემოსავალი, სარგებელი (II, 2) და სხვა.

6. არ არის ნათელი, თუ რომელ პოეტზეა საუბარი. ჩვეულებრივ, ამგვარი გამონათქვამით სენეკა იხსენიებს ჰომეროსს (იხ. ეპისტ. 63,2) ან ვერგილიუსს (იხ.აქვე, 9,2) მაგრამ ციტირებული წინადადება არ მომდინარეობს მათგან. ჰ. დალმანი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამ სიტყვების ავტორი სიმონიდეა. ჰ. ბაუმგარტენის აზრით კი, ციტატა უფრო ესადაგება მენანდრეს სალექსო სტრიქონს (ფრაგმენტი340). გამონათქვამი „მაქსიმუს პოეტარუმ" არ გამორიცხავს ამ ვარაუდს, რადგან სენეკა ზოგჯერ შეცდომით აკუთვნებს ციტატას ამა თუ იმ ავტორს (შდრ. საბუნებისმეტყვ. საკითხ. 4, 2, 2,სადაც ტიბულუსის ნაცვლად დასახელებულია ოვიდიუსი).

7. საკუთარი თავისაგან განსვლა, მისგან გაუცხოება და განცალკევება, საკუთარ თავთან არყოფნა- აი, აქვს საძებარი ადამიანთა უმრავლესობის არასწორი ცხოვრების მთავარი მიზეზი. ეს აზრი ემყარება სტოიკისტურ ე.წ. ოიკეოსის თეორიას. აქედან გამომდინარე ადამიანის, უპირველესი იმპულსი ეს არის სწრაფვა საკუთარი „მესკენ", რომელიც მხოლოდ მისად, მის კუთვნილად, მის საკუთრებად („ოიკეიონ") განიცდება. ამ იმპულსიდან გამომდინარეობს საკუთარი თავის სიყვარულიც, რაც თვითშენახვის ინსტინქტით გამოიხატება. ყოველი ცოცხალი არსი ესწრაფვის მისთვის სასარგებლოს და გაურბის საზიანოს. თავდაპირველად ადამიანი შეიცნობს თავის სხეულებრივ, მოგვიანებით კი, სულიერ და გონებრივ სტრუქტურასაც. ბოლოს და ბოლოს, წვდება ლოგოსს, რაციოს, ვინაიდან იგია მისი ჭეშმარიტი არსი. სწორედ აქაა ყველა იმ ღირსსაცნობი ცნების სათავე, რომლებიც განაპირობებს სწორ,ე. ი. გონივრულ, გონების თანახმად ცხოვრებას. კარგია ის, რაც გონების თანახმად ხდება, რასაც გონება სრულყოფს და განასრულებს(შდრ. დიოგენე ლაერტელი7,85; სენეკა, ეპისტ.121).

8. რომაელთათვის საქალდებულო იყო გავლენიან მოქალაქეთა სახელების ცოდნა, რათა შეძლებოდათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მისალმებოდნენ მათ. ამგვარი „თავაზიანობის" შედეგად ისინი, თანამდებობისათვის ბრძოლისას, წარჩინებულთა კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდნენ და მათგან მხარდაჭერას მოელოდნენ. ამიტომაც ჰყავდათ განსაკუთრებული მეხსიერებით გამორჩეული მონები, რომელთაც თავიანთი ბატონებისთვის წარჩინებულ პირთა სახელები უნდა შეეხსენებინათ.მათ ნომენკლატორებს უწოდებდნენ. ნომენკლატორის მოვალეობა იყო აგრეთვე სახლის ყველა მონის სახელის ცოდნა და ნადიმობისას შემოტანილ კერძთა სახელწოდების გამოცხადება.

9 დედანშია სიტყვა „რექს", რომელიც აქ აღნიშნავს პატრონს, მფარველს.

10. ავადმყოფობათა მიზეზად აქ სენეკა მეტისმეტად მდიდრულ ნადიმებს თვლის.

11. დედანშია სიტყვა „ოტიუმ". ეს სიტყვა, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნავს მხოლოდ სამსახურეობრივ საქმეთაგან, სახელდობრ, პოლიტიკური მოღვაწეობისაგან თავისუფალ დროს. მაშასადამე, დროს სამსახურისგან თავისუფალ საზეიმო დღეებში და პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ. ამასთან, თავისუფალი დროის შინაარსი მთლად გარკვეული არ არის - იგი შეიძლება შეივსოს უსაქმურობით, გართობით ან სულიერი მოღვაწეობით.

ციცერონის შემდგომ ამ სიტყვას ხმარობდნენ თავისუფალ დროს მოღვაწეობის განსაკუთრებული სახის აღსანიშნავად, კერძოდ, როცა ეს დრო ეთმობოდა მეცნიერულ და ფილოსოფიურ საქმიანობას. ამ გაგებით „ოტიუმ" იძენს პოლიტიკური მოღვაწეობის მსგავს მნიშვნელობას.

დიალოგში „სულის სიმშვიდისათვის", რომელიც შეთხზულია 59-60წლებში, სენეკა გვირჩევს თავი ეუძღვნათ „ოტიუმ"-ს, თუკი პოლიტიკურ ასპარეზზე დაგვაბრკოლებს რაიმე. დიალოგში „მოცალეობისათვის" ავტორი თავს იმართლებს იმის გამო, რომ 62 წელს თავი ანება პოლიტიკას, თანაც ამტკიცებს - სტოიკური მოძღვრების მიმდევარს შეუძლია მხოლოდ ჭვრეტითი ცხოვრებითაც იცხოვროსო.

ტერმინ „ოტიუმ"-ის ამბივალენტურობას ცხადყოფს დიალოგი „სიცოცხლის მსწრაფლწარმავლობისათვის". ფილოსოფოსისათვის განკუთვნილი ჭეშმარიტი „ოტიუმი"-ის გვერდით ვხვდებით ისეთ „ოტიუმ"-საც, რომელიც მხოლოდ მოჩვენებითად განსხვავდება „ნეგოტიუმ"- ისა (საქმიანობა) და „ოფიკიუმ"- ისაგან (სამსახური) და შევსებულია უაზრო აქტიურობით, ფუჭი საქმიანობით (12,2;12,4).

12. დედან"შია გამოთქმა „ბონე მენტი".იგი გულისხმობს არა მხოლოდ სალ აზროვნებასა და გონივრულ განსჯას, არამედ ზნეობრივ სრულქმნილებასაც.

13. სენეკა გულისხმობს გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსის სახელთან დაკავშირებულ შემდეგ ისტორიულ მოვლენებს: 1)სამოქალაქო ომებს: ბრძოლებს ანტონიუსის, ბრუტუსისა და კასიუსის, აგრეთვე ლუციუს ანტონიუსისა და ფულვიას წინააღმდეგ. 2)ომს მაკავშირებლებთან: ლეპიდუსის ჩამოშორებას და ომს ანტონიუსთან. 3)ომს ნათესავებთან: ანტონიუსი ძვ.წ. 40-32 წლებში იყო ოქტავიანეს სიძე -მისი დის, ოქტავიას, ქმარი. სექსტუს პომპეუსი, რომელიც ოქტავიანემ ძვ.წ. 36 წელს დაამარცხა სიცილიაში, იყო სკრიბონიას, მისი მეორე ცოლის ნათესავი.

14. იგულისხმება ოქტავიანე ავგუსტუსის ბრძოლები კეისრის მკვლელებთან:ჭ. ფილიპისთან ბრუტუსისა და კასიუსის დამარცხება (მაკედონია), სიცილიაში სექსტუს პომპეუსთან ბრძოლა და ანტონიუსთან ომები (ეგვიპტეში, სირიასა და მცირე აზიაში).

15. იულია, ავგუსტუსისა და სკრიბონიას ქალიშვილი, დაიბადა ძვ. წ. 40 წელს . კანონიერ ქმართა გარდა (მარცელუსი, აგრიპა, ტიბერიუსი) ჰყავდა უამრავი საყვარელი, რომელთა შორის იყო იულუს ანტონიუსიც, ტრიუმვირ ანტონიუსის ვაჟი. ძვ. წ. 2 წელს მან მოაწყო შეთქმულება ავგუსტუსის წინააღმდეგ. ავგუსტუსს ისევე აშინებდა იულიას კავშირი იულუსთან, როგორც ადრე კლეოპატრასი მარკუს ანტონიუსთან. იულია გაძევებულ იქნა რომიდან ძვ. წ. 2წელს, იულუს ანტონიუსმა კი თავი მოიკლა.

16. შდრ. სვეტონიუსი, ავგუსტუსი, თავი 65: ავგუსტუსმა სკრიბონიასგან შეძენილ ქალიშვილს იულიას და მის შვილებს- აგრიპასა(პოსტუმუსსა) და აგრეთვე იულიას, რომელნიც უზნეო ცხოვრებით დედას არ ჩამოუვარდებოდნენ, უწოდა ოთვისი სამი მეუწუკი და სამი კიბო.

17 პრეტექსტა არის ფართო მეწამული არშით შემკული ტოგა, რომელსაც ატარებდნენ წარჩინებული ოჯახთა ყმაწვილკაცები 17 წლამდე. იგი იყო აგრეთვე მაღალ მოხელეთა, ქურუმთა და მხედართმთავართა სამოსი.

18 ამავე აზრს სენეკა სხვადასხვა ვარიაციით გვთავაზობს(15,1;19,2). ფილოსოფია არა მხოლოდ მართებულ ცხოვრებას გვასწავლის, არამედ სიკვდილსაც. ფილოსოფოსობა სიკვდილის სწავლას ჰქვია (ციცერონი, ტუსკულ. საუბრ. 1,74).

19 იგივე აზრი აქვს გამოთქმული სენეკას სხვაგანაც: „ყოველი დღე ისე უნდა გაატარო, თითქოს იგი აბოლოებდეს დღეების წყებას. განასრულებდეს ჩვენი ცხოვრების დღეთა სათვალავს. ასე რომ, იჩქარე სიცოცხლე, ჩემო ლუცილიუს, და ყოველი დღე მთელ ცხოვრებად მიიჩნიე" (ეპისტ101,10).

20 პოეტი (ვერგილიუსი) მიჩნეულია ორაკულად, ღვთაებრივი სიბრძნის მაუწყებლად, რომლის ბაგითაც ღმერთი მეტყველებს (შდრ. აქვე,2,2). სენეკას აზრით, სიბრძნის აღმოჩენა შესაძლებელია მხატვრულ შემოქმედებაშიც -არა მხოლოდ ტრაგედიებში, არამედ ფარსშიც: „რამდენი პოეტი ღალადებს ფილოსოფოსთაგან უკვე თქმულ, ან ჯერაც სათქმელ სიბრძნეს. აღარაფერს ვამბობ ტრაგედიაზე, არც ჩვენს ტოგატა*ზე, რომელიც არაა სერიოზულობას

მოკლებული და ტრაგედია- კომედიის გასაყარზე ძევს, თვით მიმებშიც** კი უამრავი მჭერმეტყველური სტრიქონია"(ეპისტ8,8).

21. სოფისტიკის დასახასიათებლად სენეკა აქ იყენებს ციცერონის გამოთქმას - „კავილატიონეს" (ღვლარჭნილები). ფილოსოფიისა და სოფისტიკის განსხვავებაზე საუბრობს სენეკა 111 ეპისტოლეში (1-2): „შენ მკითხე, რა ჰქვიათ ლათინურად „სოფიზმებს". ბევრი ცდილობდა, რაიმე სახელი ეწოდებინა მათთვის, მაგრამ ვერც ეროის აზრი ვერ დამკვიდრდა. როგორც ჩანს, თვით საგანი იყო ჩვენთვის მიუღებელი და იმდენად უსარგებლო, რომ მისი სახელწოდებაც კი ერთგვარ წინააღმბას ქმნიდა. თავად მე ყველაზე უფრო შესაფერად ვთვლი მას, რომელსაც ციცერონი იყენებს: იგი მათ „ღვლარჭნილებს" უწოდებს, რადგანაც ის ვინც სოფიზმებითაა გატაცებული, მხოლოდ ეშმაკურად ხლართავს წვრილმან საკითხებს, თუმცა ამას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მისთვის- იგი არ ხდება არც უფრო გულადი, არც უფრო თავშეკავებული და არც უფრო ღირსეული. სამაგიეროდ ის, ვინც სულიერ სიჯანსაღისთვის მისდევს ფილოსოფიას, უზარმაზარ სულიერ ენერგიას, საკუთარი თავის რწმენასა და უძლეველობას იძენს; ჩვენც მით უფრო ამაღლებულად წარმოგვიდგება, რაც უფრო ვუახლოვდებით.

22. სტოიცისტური კონცეფციით, უმაღლესი მორალური ინსტანცია თვით ადამიანშია„მე" არის „კენსორ სეკრეტუს", რომლის განაჩენი გარეშეთა აზრზე აღმატებული და მნიშვნელოვანია. ტრაქტატში „რისხვისათვის" (3,36,3) სენეკა საუბრობს საკუთარი თავის ყოველდღიური გამოცდაზე. ამგვარი თვითშემოწმება უტყუარია, რადგან ღმერთი ადამიანშია, ჩვენშივეა დამკვიდრებული „წმინდა სული, ჩვენი შეცდომებისა თუ ღირსებების დარაჯი და მოყურეადე"(ეპისტ.41,2).

23 ბერძენმა უნდა [illegible] სიკვდილის გარდუვალობა და [illegible] ბყოს ის, რის ქმნას მაინც აიძულებენ. შდრ. ეპისტ. 54,7: „რა სიკვდილია წასვლა მაშინ, როცა გაგდებენ? თუმცა ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება ვაჟკაცად დარჩეგაგდებდნენ და თავი ისე გეჭიროს, შენივ სურვილით მიდიოდე თითქოს. ბრძენზე ვერასოდეს იტყვი -გაგდებულიაო. გაგდება ხომ იქიდან განდევნას ნიშნავ, საიდანაც არა სურთ წასვლა. ბრძენი კი არასოდეს აღუდგება წინ ბედისწერას და ამით მაღლდება აუცილებლობაზე, რადგანაც თავადაც ის სურს, რასაც აიძულებენ".

24 ბაზილიკა- რომის ფორუმზე კოლონათა ორი რიგით შემკული შესანიშნავი ნაგებობა, რომელშიც იყო დარბაზები სასამართლო სხდომებისა და საეკრო ოპერაციებისათვის.

25 პრეტორი- ძვ. წ. 367 წელს რომში დაწესებულ იქნა პრეტორის თანამდებობა, რომელიც ითვლებოდა კონსულის უმცროს კოლეგად და ევალებოდა მის მიერვე გამოცემული ე.წ.„პრეტორის ედიქტის" საფუძველზე სამოქალაქო სამართლის საქმეების წარმოება. საჯარო ვაჭრობისა და ტიუმვირთა სასამართლო პროცესების დროს მოსამართლის სიმბოლოდ მიჩნეული იყო შუბი. სენეკა აქ უნდა გულისხმობდეს მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პროცესების გზით მიღებულ უკანონო გასამრჯელოს.

26. კორინთულ ბრინჯაოს უწოდებდნენ სპილენძის, ოქროსა და ვერცხლის განსაკუთრებულ შენადნობს, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება იყო. კორინთული ბრინჯაოსაგან დამზადებულ ჭურჭელში მოყვარულები უამრავ ფულს იხდიდნენ.

27 ტექსტშია „ინ კერომატე". ბერძნული სიტყვა „კერომა" ნიშნავს მალამოს, საცხს, რომელსაც მოჭიდავენი შეიზელდნენ ხოლმე მოედანზე გასვლის წინ. მოგვიანებით, ამ სიტყვით აღნიშნავდნენ საჭიდაო მოედანსაც.

* ტოგატა - კომედია, რომლის სიუჟეტი აღებულია რომის ცხოვრებიდან, პერსონაჟებს კი ტოგა აცვიათ.

** მიმი- სახუმარო სცენური წარმოდგენა სტერეოტიპული ფიგურებით, რომელიც აერთიანებდა დიალოგს, სიმღერასა და ცეკვას, ხშირად ჰქონდა მორალიზებული შინაარსი. კეისრის დროს მიმი ლიტერატურულ ჟანრად ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, მის საფუძველზე, იტალიაში განვითარდა „ნიღბების კომედია".

28 სულას დროს ჩვეულებად დამკვიდრდა შემწვარი გარეული ტახის დაუჭრელად შემოტანა სუფრაზე (შდრ. პლინიუსი, ბუნების ისტორია 8,210). შემდეგ მთელ ტახს თუ გარეულ ფრინველს ამ საქმეში საგანგებოდ დახელოვნებული მონა ყველას თვალწინ ჭრიდა.ეს იყო სადილის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, როცა მონადიმეთა საზეიმო განწყობა კულმინაციას აღწევდა (შდრ. პეტრონიუსი 40).

29 ტახტრევანით სეირნობას სენეკა არაბუნებრივ ქცევად მიიჩნევს, რადგან „ბუნებამ იმისათვის გვიბოძა ფეხები, რათა თავად ვიაროთ და ვისეირნოთ"(იხ. ეპისტ. 55).

30 მიმი - მიმის მსახიობი. ერთერთ ეპისტოლეში ლუცილიუსისადმი (8.8) სენეკა აქებს მიმების ავტორს -პუბლილიუს სირუსს და მისი ზოგიერთი ლექსის ფილოსოფიურ სიღრმეს.

31 სტოელთა აზრით, საკუთარი სხეულის ფიზიკური მდგომარეობის შეგრძნების უნარი აქვთ ცხოველებსაც (იხ. სენეკა, ეპისტ.121,9).

32 ტექსტშია „ტაკიტამ კონსკიენტიამ". ფ.ბ.ვაიბლინგერი თვლის, რომ აქ არ იგულისხმება მორალური ცნება „სუფთა, მშვიდი (ან ფარული) სინდისი", არამედ ამ შემთხვევაში სიტყვა „კონსკიენტია" წარმოადგენს სტოიცისტური ტერმინის-„სინეიდესის"-ის თარგმანს, რაც საკუთარი თავის შეცნობას ნიშნავს(იხ. დიოგენე ლაერტელი7,85). ამგვარი შეცნობა ადამიანის გონივრული ცხოვრების პირობაა და მის მიერ თავისივე გონივ-რული სტრუქტურისა და ბუნების შეშეცნების იდენტურია. ამ ცოდნას, ასეთ ცნობიერებას სენეკა უწოდებს იდუმალს (მდუმარეს, ფარულს), რადგან იგი, მკვლევარი-ანტიკვრის ყველას დასანახად გამოფენილი ცოდნისაგან განსხვავებით, უხილავია.

33 სენეკა ბევრგან აღნიშნავს ფილოლოგიურ-ანტიკვარული შტუდიების უსარგებლობას(იხ. ეპისტ. 88,3-8;108,23-38).

34 აქ სენეკა აკრიტიკებს ყამთა აღმწერელთ.შდრ. საბუნებისმეტყველო საკითხები 3.

35 ძვ. წ. 48 წელს იულიუს კეისრისაგან დამარცხებული პომპეუსი ეგვიპტეში გაიქცა. ცამეტი წლის პტოლემეოს XIII-მ გადაწყვიტა კეისრისთვის ეამებინა და მოეკლა სახელოვანი მხედართმთავარი. საქმის აღსრულება დაევალათ პტოლემეოსის რეფერენდარს და მცველს - ლუციუს ეპატმიუსს. პომპეუსი მოკლულ[illegible]ნავში, მეუღლისა და ახლობლების[illegible]ნ. შდრ. პლუტარქე. პომპეუსი 77-79; ლუკანუსი 8,552;სენეკა არ ასახელებს მკვლელებს, მაგრამ ლაბარაკობს „ეგვიპტელ ჯალათებზე" და „თანამზრახველებზე" (იხ. ნუგე"ბისცემანი მარციასადმი 20,4).

36. პომპეუსის მეტსახელი იყო „მაგნიუს"(დიდი).

37. პომერიუმი - ქალაქის საკრალური საზღვარი. სენეკა თვლის, რომ რომაელთაგან უკანასკნელად სულამ გაიფართოვა პომერიუმი. სხვა ავტორები ასახელებენ კეისარს, ავგუსტუსს, კლავდიუსს.

38. ახ. წ. 49 წლის გაზაფხულზე, კლავდიუსის მიერ პომერიუმის გაფართოების შემდეგ, ავენტინუსის ბორცვი რომის საზღვრებში მოექცა.

39. პლებეების რომიდან გასვლა ფენათა შორის ბრძოლის პოლიტიკური გამოხატულება იყო.გადმოცემის თანახმად, ძვ.წ.494 და 449 წლებში პლებეები გადასახლებულან ავენტინუსსა და წმინდა მთაზე, ძვ. წ. 287 წელს კი იანიკულუმზე. ისტორიულად დადასტურებულია მხოლოდ ეს უკანასკნელი შემთხვევა.

40 აუსპიციუმი - ღმერთთა ნებასურვილის ამოცნობა ფრინველებზე დაკვირვებით. თქმულების მიხედვით, რომულუსი და რემუსი ვერ შეთანხმებულან, თუ რომელ ბორცვზე დაეარსებინათ ახალი ქალაქი - პალატინუსსა თუ ავენტინუსზე და ვისი სახელი ეწოდებინათ მისთვის. ძმები მათ შიერ ამორჩეულ ბორცვებთან დალოდებიან ფრინველებს. რემუსს გამოცხადებია ექვსი, რომულუსს კი თორმეტი ფრინველი. ასე რომ, რემუსს უნდა დაეთმო. აუსპიციუმის შედეგებს ავგურების ქურუმთა კოლეგია განმარტავდა.

41. სტოელთა აზრით, ყველა ადამიანი, ვინც არ ცხოვრობს გონების თანახმად, ე. ი.ყველა, ბრძენთა გარდა, შლეგია და უგუნური.

42. საყვედური, რომ პოეტები აღვივებენ ვნებებს, გვხვდება პოეტთა კრიტიკის პლატონისეულ ტრადიციაში (სახელმწიფო377-383; იხ. აგრეთვე, ციცერონი, კანონთათვის ,17,47). შდრ. სენეკა, ეპისტ.115, 12: „...აქ კიდევ ეს პოეტები თავიანთი ლექსებით: ისინი უფრო მეტად აღვივებენ ჩვენს ვნებებს. განადიდებენ სიმდიდრეს, ვითარცა ჩვენი ცხოვრების ერთადერთ სამკაულსა და სამშვენისს. მათ ჰგონიათ, რომ უკვდავ ღმერთებსაც კი არ შეუძლიათ რაიმე უკეთესის მოძღვნა და ფლობა".

43 სენეკა გულისხმობს იმ დამეს, რომელიც იუპიტერმა ალკმენესთან გაატარა. იხ. პლავტე, ამფიტრიონი; პროპერციუსი 2,22,25; ოვიდიუსი ტრფობანი 1,13,45.

44 ღმერთების ანთროპომორფულად წარმოდგენის წინააღმდეგ იღაშქრებდა ჯერ კიდევ ქსენოფანტე: „ჰომეროსისა და ჰესიოდეს ღმერთებს ახასიათებთ ყოველივე ის, რაც ადამიანთა შორის სამარცხვინოდ და გასაკიცხად ითვლება: ქურდობა, ცოლ-ქმრული ღალატი და სიცრუე".

45. იგულისხმება მეფე ქსერქსე. შდრ. ჰეროდოტე, ისტორია7,44-46: „როდესაც მოვიდნენ აბიდოსში, ქსერქსესმა მოისურვა მთელი ლაშქარი დაეთვალიერებინა... როდესაც დაინახა ხომალდებით დაფარული ►ელი ჰელესპონტი, ხოლო ნაპირები და აბიდოსელთა დაბლობები ავსებული ხალხით, მაშინ ქსერქსესმა თავისი თავი ჯერ ნეტარად ჩათვალა და მერე კი იტირა. ეს რომ მასმა ბიძამ არტაბანოსმა შეამჩნია... ჰკითხა: „მეფეო, რა რიგად განსხვავდება ერთმანეთისაგან შენი ახლანდელი ქცევა წინანდელისაგან, ჯერ იყო და ნეტარად მიიჩნიე შენი თავი და ახლა კი ტირი". ხოლო ქსერქსესმა მიუგო მას: „სინანულმა მომიცვა, როდესაც ვიფიქრე, თუ რა მოკლე არის ადამიანთა სიცოცხლე, თუ ამოდენა ხალხიდან ერთიც ალარ იქნება ცოცხალი მეასე წელს" (თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი).

46. სტოიკოსები სიხარულს სულის უგუნურ აღზევებად მიიჩნევენ. გამონათქვამით „სე ატოლუნტ" (აბალლება, აღზევება) სენეკა სიხარულის სტოიცისტურ დეფინიციაზე მიგვანიშნებს.

47.სენეკა ტრაქტატში „მოცალეობისათვის"(2) ლაპარაკობს მოცალეობითი ცხოვრების უფლებაზე, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის დასრულების შემდგომ. თუმცა, [illegible] სტოელთა მოძღვრებას არც ისინი ეწინააღმდეგებიან, რომლებიც იმთავითვე ჰვრეტსთი ცხოვრებით ცხოვრობენ.

48.პაელინუსს, როგორც სახელმწიფოს მარცელეულით მომარაგების საქმეთა მმართველს, ევალებოდა იმ პროვინციების ფულადი ობერაციების კონტროლი, რომლებიდანაც შემოჰქონდათ მარცვლეული.

49 საუბარია გაიუს კალიგულაზე, რომელიც გარდაიცვალა ახ. წ. 41 წელს.

50.ახ. წ. 39 წელს გაიუს კალიგულამ ხომალდებისაგან ხიდი აგებინა შრდ. სვეტონიუსი, კალიგულა, თავი 19: „...მან გამართა სრულიად ახალი, უცნაური და გაუგონარი წარმოდგენა: ბაიესა და პუტეოლის მიწაყრილს შორის, დაახლოებით სამ-ნახევარი მილის სიგრძეზე, გაადებინა ხიდი. ამისათვის ყოველი მხრიდან მოაგროვებინა სატვირთო ხომალდები, შემდეგ ორ რიგად ჩაამწკრივა ისინი და ზემოდან მიწა დააყრევინა იმე, რომ ყოველივე ამას აპიუსის გზის სახე მიეღო. ამ ხიდზე სეირნობდა იგი ორი დღის განმავლობაში. პირველ დღეს გაიარა მდიდრულად შეკაზმული ცხენით, თავზე მუხის ფოთლებისაგან დაწნული გვირგვინით, პატარა ფარით, გვერდზე მახვილით და ოქროქსოვილი მხედრული მოსასხამით. მეორე დღეს კი, მეეტლის სამოსში გამოწყობილმა, ხიდზე გადაატარა ეტლი, რომელშიც შებმული იყო დოღში გამარჯვებული ორი დიდებული ცხენი. წინ პართელების მძევალი, ახალგაზრდა დარიოსი მიუძღოდა, უკან კი პრეტორიანელთა რაზმი და მეგობართა ჯგუფი მოპყვებოდა".

51.ხომალდთა ხიდის აგებით კალიგულას ქსერქსესთან გაჯიბრება სურდა. შდრ. სვეტონიუსი, კალიგულა, თავი 19:„დარწმუნებული ვარ, ბევრი ფიქრობდა, გაიუსმა ამ ხიდის გადება ქსერქსესთან გასაჯიბრებლად მოიგონა. იმ ქსერქსესთან, რომელიც იმითაც კი იწვევდა

აღფრთოვანებას, რომ საკმაოდ ვიწრო ჰელესპონტზე გადო ხიდი".

52.სენეკა ერთმანეთთან აკავშირებს ორ სხვადასხვა დროს მოხდარ ამბავს- ხომალდთა ხიდის აგებას 39 წელს და 41 წლის შიმშილობას. როგორც ჩანს, რომაელთა ცნობიერებაში წარმოიშვა მიზეზობრივი კავშირი სატვირთო ხომალდების თავმოყრასა და მოგვიანებით წარმოქმნილ სურსათის ნაკლებობას შორის.

53. ითვლებოდა, რომ კალიგულას მარტო იერი და გამომეტყველებაც კი უდიდეს ტანჯვას აყენებდა ადმიანებს იხ. სენეკა, რისხვისათვის 3,19,1: „იგი საწამებლად იყენებდა ყოველგვარ საშინელ საშუალებას, თუკი რამ არსებობდა:საწამებელ სიმებს, ძვლების ჩრახნებს, ცხენებს, ცეცხლს და საკუთარ გარეგნობასაც".

54 სტოიკოსთა წარმოდგენით, საშყაროს ცენტრში მდებარეობს მიწა, ყველაზე მყარი და მძიმე ელემენტი. მას გარს აკრავს წყალი, რომლებიც ასევე მძიმეა. უფრო ზემოთ კი მსუბუქი ელემენტების სფეროებია- ჯერ ჰაერია და შემდეგ ყველა ელემენტზე უფრო მსუბუქი ცეცხლი. შდრ. დიოგენე ლაერტელი, წიგნი VII, 136-137.რ

55. რომაული წელთაღრიცხვა წარმოებდა კონსულების მიხედვით. ყოველწლიურად ირჩევდნენ ორ-ორ კონსულს და წელიც მათი სახელებით აღინიშნებოდა. იმპერიის ეპოქაში კონსულებმა დაკარგეს რეალური ძალაუფლება და ეს თანამდებობა ოდენ საპატიო ტიტულად დარჩა. კონსულთა არჩევის ვადა ოთხ თვემდე შემცირდა (ორი წლის მანძილზე მათ ყოველ [illegible] თვეში ირჩევდნენ). ასე რომ, ამ საპატიო თანამდებობის მიღება მრავალ კანდიდატს შეეძლო. მოგვიანებით, წელიწადს უკვე ერქმეოდა კონსულთა პირველი წყვილის სახელები, რომლებიც მათ მომდევნოებზე მეტი პატივითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

56. გაიუს ტირანიუსი- ეს უნდა იყოს ტაციტუსთან დასახელებული ტირანიუსი, რომელიც ახ. წ. 14-48 წლებში განაგებდა რომის მარცხენაეულით მომარაგების საქმეს (ტაციტუსი, ანალები I,7,2;II,31,I).

57. შდრ. ტაციტუსი, ანალები 15,64, სადაც საუბარია სენეკას გარდაცვალებისა და დაკრძალვის უბრალო ცერემონიალის შესახებ.

58. სენეკა თვლის, რომ ისინი, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა საქმეებით იყვნენ დატვირთულნი და, ფაქტიურად, არ უცხოვრიათ, გარდაცვლილი ბავშვებივით უნდა დაიკრძალონ. რომაელები ბავშვებს კრძალავდნენ ღამით, ჩირაღდნებისა და სანთლების შუქზე (შდრ. სენეკა, სულის სიმშვიდისათვის 11,7; ეპისტ. 122,10).

ჯ. ოშინსი

გერმანულიდან

თარგმნა ლაშა დადიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძენ-ბუდიზმი

რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ძენი, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას თუ რელიგიას? თუ ცხოვრების სტილს, რომლის საშუალებითაც უკეთილშობილეს ადამიანურ შესაძლებლობათა განხორციელება ხდება? ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა. გავრცელებულია აზრი, რომ ძენი ოთხივე ამ კატეგორიას მიეკუთვნება. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, - ძენი იყო და არის მძლავრი სპირიტუალური მოძრაობა, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს დეზილუზიონირებულ, იდეალისტურ სტუდენტთა ჯგუფებში და სხვა მშვიდობისმოყვარულ ნონკონ-ფორმისტებში.[1] ძენ-ბუდიზმი წარმოიშვა იაპონიაში. როგორც ძენის ოსტატები აცხადებენ, ძენის ფსიქოლოგია უნივერსალური ჭეშმარიტებისაა, რომელსაც შეიძლება ეზიაროს ნებისმიერი ადამიანი.

ნათელხილვა არის რელიგიური და ამასთანავე ფსიქოლოგიური განცდა. ძენის სპირიტუალურ ფსიქოლოგიასა და დასავლეთის ფსიქოლოგიებს შორის პარალელებისა და განსხვავებების ჩვენებას, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა აქვს (აქ ლაპარაკია უპირველეს ყოვლისა განვითარების - ანუ ტრანსპერსონალურ ფსიქოლოგიაზე, შემდეგ კი ორთოდოქსულ ფსიქოლოგიაზე), რათა იგი მისაწვდომი და გასაგები იყოს დასავლეთის შეძლებისდაგვარად მეტი ოდენობის მეცნიერულად განსწავლულ ადამიანთათვის, რადგან ახლავე რომ ვცადოთ ამ სრულიად განსხვავებულ დისციპლინათა სინთეზური დაკავშირება, ამით გამოვიწვევდით ტერმინოლოგიის უცნაურ არევას ლირიული და რელიგიური, ფსიქოლოგიური და მეცნიერული და ა.შ.

ჩვეულებრივი, დღევანდელი ადამიანი (აქ ნაგულისხმევია ადამიანი, ვისაც „ნათელხილვა" არ განუცდია) იბნევა, მერყეობს, ორჭოფობს, რადგან მისმა თანამედროვე მნიშვნელობებმა - რაციონალიზმმა, მატერიალიზმმა, მეცნიერებამ, დუალიზმმა და ინდივიდუალიზმმა - მიუხედავად მათი მიღწევებისა, საბიფათო ზღვარი გაავლეს ცნობიერსა და არაცნობიერს შორის. ეს დიქოტომია, როგორც ჩანს, მთავარი მიზეზია საერთოდ მთელი დასავლური ცივილიზაციის ახლანდელი ტრაგიკული კრიზისისა და განსაკუთრებით კი ახალგაზრდების უკმაყოფილებისა და მშფოთვარებისა იმ მდგომარეობის გამო, რომელშიც ისინი იმყოფებიან. რომ ამჟამად ჩვენი ცივილიზაცია კრიზისს

---

1. ნონკონფორმისტი - თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც არ ეთანხმება სხვადასხვა ოფიციალურ დაკანონებულ თვალსაზრის

განიცდის, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. საჭიროა აუცილებელი ზომების მიღება, რათა ცივილიზაციამ არ დაანგრიოს ის სამყარო, რომელიც მის მიერვეა შექმნილი.

ნათელხილვა

პრობლემის გადაჭრა ხდება უკეთილშობილეს ადამიანურ შესაძლებლობათა აქტივიზაციით, რაც ძენისა და „ნათელხილვის", აგრეთვე სხვა სისტემების მეთხებითაა შესაძლებელი. ძენ-ბუდიზმის მიზანია უფრო და უფრო ღრმა „ნათელხილვა", თვითგათავისუფლება (იაპონურად: სატორი). იგი ნიშნავს ინტუიციური წვდომით წარმოქმნილ საბრძნეს, პიროვნების გარდაქმნას და ცხოვრების ახალ სტილს, რომელიც მისგან გამომდინარეობს. ძენის არსი ძნელი ასახსნელია, უფრო ძნელია მისი რწმენა - თუ იგი უბუალოდ, პირადად არ არის განცდილი.

გამოერკვია თუ არა, ბუდამ წარმოთქვა: „სასწაული სასწაულზე!" „საერთოდ ბუდას მიხედვით ყოველი ცოცხალი არსება დაჯილდოებულია სიბრძნით და კეთილშობილებით; მაგრამ, რადგან ადამიანური გონება მაცდური აზროვნებით პერვერტირდება, ჩვეულებრივ ამას ადამიანები ვეღარ გრძნობენ". (კაპლეუ, 1967, გვ.28). - სხვა სიტყვებით, ბუდიზმის ფუძემდებელი მოძღვრება მოწმობს, რომ ნამდვილი მე, ანუ ჭეშმარიტი არსი (ღრმა არაცნობიერი) ყველა ადამიანშია მოცემული და იგი სრულყოფილია. ეს „ნამდვილი შენ არის კეთილშობილებათა - თანაგრძნობის, უანგარობის, ახლო ადამიანისადმი სიყვარულის, სამსახურის ვაწევის სურვილის, სიხალისის, სიმტკიცის, გონიერების საგანძური. ამიტომ, ბუდას მოძღვრების თანახმად ადამიანის უმაღლესი დანიშნულებაა შეიცნოს თავისი საკუთარი, ნამდვილი ბუნება, ნამდვილი „მე" და მის საფუძველზე ჩაწვდეს ყოფიერების ყოველი ფორმის პირველსახეს. როგორაა შესაძლებელი ამის მიღწევა? ძაძენში ვარჯიშით (ძენის მედიტაცია), რომლის დროსაც „გამორთულია" ჩვენი ცნობიერება, გათასუფლდება (ე.ი. ჩაირთვება) ინტუიციის - სული (არაცნობიერი) და იდენტიფიცირდება უნივერსალურ სულთან. „ნათელხილვის" დროს ინდივიდუუმი უბრუნდება თავის წარმოშობას (პირველსაწყისს), თავის საბოლოო სინამდვილეს, -სიცარიელეს, რომელიც ამის „მიუხედავად" მაინც ყოველივეს მოიცავს. „ნათელხილვით" მოგვრილი ნეტარება, უმაღლესი ბედნიერების განცდა ენით აღუწერელია. „ნათელხილვის", თვითგათავისუფლების მთელი განცდა გამოუთქმელია, აუხსნელია, რადგან იგი ძევს გონებისა და სიტყვების სფეროს მიღმა. იგი, ინდუქტიური მეთოდის ანუ სპონტანური განცდის შედეგია. „ნათელხილული", გათავისუფლებული ადამიანი ამ განსაცვიფრებელი, ძლევამოსილი განცდის შედეგად ახალ, ტრანსფორმირებულ პიროვნებად გვეცლინება. იწყება მისი ხასიათის და ქცევის გარდაქმნა, ძველი მნიშვნელობების, ფასეულობების შეცვლა. უნებლიეთ წარმოიქმნება ცხოვრების ახალი სტილი, რომელიც მისთვის ჩვეულებრივი ხდება. მისი ეგო მისდა უნებურად შემცირდა, რის წყალობითაც იგი იმსჭვალება ადამიანისადმი უანგაროდ სამსახურის სურვილით, გრძნობს გარკვეულობასიცხადეს ყველგან და ყველაფერში, შეიგრძნობს ჰარმონიას უნივერსუმთან, რაც მის გონებას მანამდე შეუძლებლად მიაჩნდა, და სპონტანურ სიხარულს, რომელსაც ვერაფერი შეედრება. „ნათელხილულ" პიროვნებას აქვს ისეთი განცდა, რომ პასუხი ეძლევა მანამდე საიდუმლოებით მოცულ ყველა შეკითხვას, იფანტება ყოველგვარი ეჭვი, შიში, ბრაზი, სიძულვილი და ეჭვიანობა. მეს ტრანსფორმაცია ბოლოს უღებს გაუცხოებას. იგი სძენს ჰარმონიულ იდენტურობის ახალ სახეს საკუთარ მესთან, სხვა ადამიანებთან, ბუნებასთან და უნივერსუმთან, აზრი ნათდება, ხდება ცხადი და დამაჯერებელი, რადგან იგი უკვე მუშაობს ინტუიციით რომელიც შერწყმულია უნივერსალურ კანონთან.

მრავალი ადამიანი თავისი საკუთარი უკეთილშობილესი შესაძლებლობების გახსნას უმაღლეს ბედნიერებად თვლის, რისი განცდაც კი

კაცობრიობას შეუძლია. კაპლეუ შემდეგნაირად აღწერს მის შედეგს: „მეს გარშემო ბრუნვა ბადებს სითბოს ნაკადს, ენერგიას და თანაგრძნობას, რომლის ფროსაც უყოფითი თვისებები, შიში და დამყოლობა-სირბილე, ხასიათის სიმსუბუქე და სხვ. შეუპოვრობად, გულადობად და თავდაჭერილობად იქცევა“ (1967, გვ.14). „ნათელხილვა“ ალბათ ძალიან ლამაზად ჟღერს იმისათვის, რომ ვირწმუნოთ მისი სიმართლე, მაგრამ ისტორიულად ცნობილი უთვალავი შემთხვევა ადასტურებს რომ იგი ნამდვილად არსებობს - თვითონ ბუდაა ამის საუკეთესო მაგალითი.

ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები აღწერენ ამ პროცესს, რომლის საშუალებითაც საკუთარ შესაძლებლობათა განხორციელება (გახსნა) ხდება, როგორც ცნობიერების სიმშვიდეს, (ეგოს აღგილსამყოფელი) და არაცნობიერის გაღვიძებას (საკუთარი მეს ადგილსამყოფელი). ამას მოჰყვება შეჭრა (კონტემპლაცია) არაცნობიერის უღრმეს „ინტეგრალის ფენაში“. ეს ჰუსტონს და მასტერსს ესმით, როგორც არაცნობიერის სფერო, რომელიც უნივერსალურია. ამ უღრმეს ფენაში ხდება რელიგიური განცდა.

ძენ-ბუდიზმი

ძენ-ბუდიზმი ამტკიცებს, რომ იგი არაფერს უმატებს ინდივიდუუმს. იგი მხოლოდ გზას უჩვენებს მას (მისი არსების უგულებელყოფილ ნაწილს, „მის არსებით სულს“, რომელიც ხშირად უჩინარად თვლემს), რათა გახსნას, კვლავ დაუბრუნდეს მას, კვლავ აღმოაჩინოს. ძენი არის გზა, გაეხდეთ ის, რაც უკვე ვართ. ეს გზა მოითხოვს ყოველდღიურ წვრთნას ძაძენში, ცხოვრებას ძენის საზოგადოებაში (სანგხა), დაკავშირებას სულიერ მოძღვართან (როში)რომელიც თვითონ „განათლებულია“, „ნათელმხილველი“, და ბუდას მოძღვრების შესწავლას როგორც ეს ბუდისტურ თხზულებებშია მოცემული. ძენ-ბუდიზმი სხეულისა და სულის გამუდმებული, შეუსვენებელი წვრთნაა. იგი მოითხოვს დიდ დაძაბვას და ამტანობას, გარდა ამისა აუცილებელია რწმენა ბუდას ნათელხილვისა, მისი მოძღვრებისა და რწმენა საკუთარი ნიჭისა და უნარშესაძლებლობისა, რომ მივაღწევთ ნათელხილვას. ძენ-ბუდიზმი — არ არის ეზოტერული მოძღვრება, არამედ ეგზოტერული: იგი უბრალო, უშუალო, პირდაპირი და პრაქტიკულია. ძენი ეხება, ასწავლის „აქ“-ს და „ახლა“-ს, წყვეტს ყოველდღიური ცხოვრების კონკრეტულ პრობლემებს იმგვარად, რომ ეს „იმგვარობა“ იმის მიღმა ძევს, რაში დარწმუნებაც სკეპტიკოსს ძალუძს. ფილიპ კაპლეუმ, ნიუ-იორკის „როჩესტერის ძენის ცენტრის“ დამფუძნებელმა და სულიერმა მოძღვარმა, განსაკუთრებით გამოჰყო ეს პუნქტი. მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება ამ ცენტრიდან, რომელიც ყველა სხვისათვისაცაა დამახასიათებელი - უდავოდ ისინი სხვა ცენტრებისთვისაც ტიპიურია.

ქალი ქმარს იყო გაყრილი. იგი გვიმხელს, რომ მას ათი წლის წინათ ასეთი ტრავმატული განცდა ნერვული კლინიკის პაციენტად აქცევდა, მაგრამ ახლა ძენ-ში მეცადინეობის წყალობით საქმე მეგობრული დაცილებით მთავრდება. ძაძენ-ში წვრთნა, როგორც იგი ამბობს, ამცირებს ეგო-ს და წარმოშობს გაგებას სხვათა მიმართ.

ექიმმა ერთ-ერთ პაციენტ ქალს გაუმხილა, რომ მას გულის დაავადება აქვს. საბედნიეროდ, ქალმა ეს მას შემდეგ შეიტყო, როცა ძენ-ში პირველი მეცადინეობა უკვე ჩატარებული ჰქონდა. ძაძენში წვრთნით მას დაძაბულობა მოეხსნა და ახლა თავისუფლად იტანს იმას, რაც ტრაგედიად შეიძლებოდა ქცეულიყო. ქალი ამბობს, რომ მისი ავადმყოფობა ახლა სტიმულია ვარჯიშებში დასახელოვნებლად.

ახალგაზრდა კაცი, შიშობდა ჩემს მეუღლეს მძიმე შშობიაობა ექნება და ცოლიც და ბავშვიც ერთად დამეღუპებაო. მან მიამბო, რომ საკუთარ სახლში ძაძენში ყოველდღიურმა წვრთნამ მას დიდი დახმარება გაუწია ძნელბედობის ჟამს. ძენ-ის საგარჯიშოები აღვიძებს ლატენტურ (გამოუმჟღავნებელი, ფარული) ძალას და მხნეობას, რომელიც ბუდას

1 ეგზოტერული ყველასათვის მისაწვდომი, გასაგები, პოპულარული.

მოძღვრების მიხედვით ყოველი მგრძნობელი არსებისთვისაა დამახასიათებელი.

ამ ცოტა ხნის წინ საკუთარ თავს ძალზე მნიშვნელოვანი რამ შევნიშნე. ეროკვირიანი ინტენსიური წვრთნის შემდეგ ძენის ცენტრში წასვლა ვერ მოვახერხე და ძაძენში ვარჯიში სახლში განვაგრძე. ჩვეულებისამებრ, ადგომისთანავე ერთ საათს ვვარჯიშობდი ხოლმე. ერთ დილას წვრთნა გამოვტოვე და მთელი დღე კალაპოტიდან ამოვვარდი. შემდეგ კვლავ შუყაითად განვაახლე წვრთნა და სადილის მომზადების დროს შევნიშნე, რომ კუნთები სასიამოვნოდ ელასტიური გამიხდა. წერის დროს ყურადღებას ადვილად ვიკრებდი, ნათლად ვაზროვნებდი. ვარჯიშებმა გუნება-განწყობილება გამომიკეთა და სხვათა მიმართ კეთილად განვეწყვე.

გარდა ამისა, ძაძენში ხანგრძლივი ვარჯიში ადამიანს საოცრად ენერგიულს ხდის. ჰაკუინი, მე-18 საუკუნის დიდი იაპონელი ძენმაისტერი (ძაძენში დახელოვნებული ასტატი) წერდა: „თუმცა სამოცდაათს გადავაბიჯე, ახლა ათჯერ უფრო ენერგიული ვარ, ვიდრე მაშინ, როცა ოცდაათი წლის ვიყავი... თავისუფლად შემიძლია შვიდი დღე-ღამის განმავლობაში თვალი არ მოვხუჭო ისე, რომ არავითარი დაღლა არ ვიგრძნო. მყავს ხუთასი სტუდენტი, 30-50 დღის განმავლობაში ზედიზედ ვატარებ ლექციებს ისე, რომ ოდნავადაც არ ვიღლები. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ეს იმ ძალის მეოხებით ხდება, თვითჭვრეტის მეთოდით რომ ვიძენ (ძაძენი)". (ჰაკუინი, 1971, გვ. 32).

სიტყვა ძენი არის „იაპონური სიტყვის zenna-ს შემოკლებული ფორმა, რომელიც თავის მხრივ სანსკრიტული სიტყვის dhyana-ს (ჩინურად Ch'an) პერიფრაზია და გამოხატავს კონცენტრაციისა და აბსორბციის პროცესს". (კაპლიუ. 1967, გვ.350).

ძენი ბუდიზმის სექტაა. სმიტი წერს; „რელიგიის მრავალ მკვლევარს მიაჩნია, რომ ძენი დღესდღეობით სპირიტუალიზმის ეწმინდესი ფორმაა შარეულ აღმოსავლეთში" (1958, გვ.133). ხოლო გოდარდი ამბობს: როგორც ჩანს, ძენ ბუდიზმმა ყველა სხვა სექტაზე უფრო უკეთ გაიაზრ-გაიცნობიერა ბუდა შაკიამუნის მოძღვრება და მისგან დამაჯერებელი ლოგიკური დასკვნები გააკეთა (1970, გვ.672). ძენი რომ გავიგოთ, აუცილებელია გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს ბუდაზე.

სიდდხარტა გაუტამა ანუ ბუდა.

ისტორიული სიდდხარტა გაუტამა, მოგვიანებით ბუდას სახელით რომ გახდა ცნობილი, დაიბადა ქრისტიანობამდე დაახლოებით 536 წელს, ჩრდილოეთ ინდოეთში. „მისი ისტორიზმი უდავოა და ეჭვმიუტანელი". სიდდხარტას მამა იყო დიდი სამთავროს მფლობელი. იგი თავის ვაჟს დიდ ფუფუნებაში ზრდიდა და თან გამუდმებით ზრუნავდა იმაზე, რომ მოზარდს არაფერი შეეტყო ამქვეყნიური სიღატაკე-გაჭირვების შესახებ.

ბუდას ყრმობაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მომენტი, როცა იგი, ერთ მშვენიერ დღეს აყვავებული ვაშლის ხის ძირას მჯდომი, მამამისს შეჰყურებდა, რომელიც ძვირფასად მორთულ-მოკაზმული გუთნით ის-ის იყო ცერემონიალურ ხვნას უნდა შესდგომოდა. ანაზდად სიდდხარტას სპონტანური განცდა დაეუფლა, რასაც ლამა გოვინდა „მისტიკურს" უწოდებს. ეს განცდა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ბუდაზე მრავალი წლის შემდეგ, მისი ცხოვრების უდიდეს კრიზისულ პერიოდშიც კი მოქმედებდა. ეს განცდა დაწვრილებით არ არის აღწერილი სუტრებში (სანსკრ. ძველი ინდური წმინდა, სადვთო წიგნები, ტრაქტატები), მაგრამ, როგორც ჩანს, მას არ შეუცვლია მისი ცხოვრება. უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს იყო მისი ინტუიციური გონის დროებითი გამოღვიძება და უნივერსალური ცნობიერების უნარის ხანმოკლე, სპონტანური განცდა.

სიდდხარტა, ეს სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილი, დაჯილდოებული იყო მაგნიტური მიზიდულობის ძალით და უბრწყინვალესი ტალანტით. იგი ნაზი, თითქმის ქალურად ნაზიც კი იყო. სიდდხარტა სამთავროს მემკვიდრედ

ითვლებოდა. როდესაც 25 წლის გახდა, თავისი მამის საუბედურო, ადამიანური ყოფის ისეთი პრობლემების კვლევას შეუდგა, როგორიცაა დაბადება და სიკვდილი, სიბერე და ავადმყოფობა. - „თუ შეიძლება, რომ ადამიანმა თავი დააღწიოს ყოველივე ამას?“ - იკითხა მან. სუდდხოდანას, მის მამას, არ შეეძლო, პასუხი გაეცა ამ კითხვაზე.

როდესაც სიდდხარტა 29 წლის შეიქნა, მან ხელი აიღო თავის ცოლზე, პატარა ვაჟზე, სიმდიდრესა და ფუფუნებით სავსე ცხოვრებაზე და ჭეშმარიტების საძებნელად გაუდგა გზას. მან გლახა, მათხოვარ ბერად იწყო ცხოვრება, რაც იმდროინდელ ინდოეთში სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

სიდდხარტა ტყეში წავიდა და ერთ ინდოელ ბრძენთან დაიწყო წვრთნა. მან შეისწავლა რაჯა-იოგა, ფილოსოფია და საკუთარ თავში ჩაღრმავების - „ნათელხილვის“ თეორია. შემდეგ განიცადა ცნობიერების მილმა არსებული სტადია, ანუ არაფრობის, სიცარიელის სფერო, ანუ ცნობიერების მე-7 საფეხური, რომლისთვისაც დამახასიათებელია სრული სიმშვიდე-სულიერი წონასწორობა, უნარი, მოახდინო კონცენტრაცია ერთ საგანზე, და დაუშრეტელი ენერგია, რომლის დროსაც ქრება ყოველგვარი ტკივილის გრძნობა. მაგრამ სიდდხარტა გრძნობდა, რომ ეს არ იყო ცნობიერების ის უმაღლესი მდგომარეობა, რომლის მიღწევაც მას სურდა. შემდეგ იგი შეუერთდა ხუთი ასკეტისაგან შემდგარ ჯგუფს ურეველას მახლობლად. აქ ექვსი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ახდენდა შედიტაციას, იცავდა უმკაცრეს ასკეტურ წესებს, რომლის დროსაც სასტიკად მარხულობდა და იწვრთნებოდა მაქსიმალური სიცხისა და სიცივის ატანაში, ახდენდა თვითგვემას. იმედოვნებდა, რომ სხეულის დათრგუნვით ჩასწვდებოდა „ჭეშმარიტ არსს“. შიმშილისაგან მთლად გამოფიტულმა უეცრად მეხსიერებაში კვლავ აღიდგინა ბავშვობის დროინდელი განცდა, ვაშლის ხის ძირას მჯდომს რომ დაეუფლა და საკუთარ თავს ჰკითხა: „არის ეს „ნათელხილვისკენ“, ნირვანასკენ მიმავალი გზა?“ მან დაასკვნა, რომ „გზა არც მკაცრი ასკეტიზმით და გრძნობადობით, არც ინტელექტური მეცადინეობით და საერთოდ არავითარი მცდელობა-მონდომებით არ მიიღწეოდა. სიდდხარტას ამასობაში 35 წელი შეუსრულდა; ეს ის ასაკია, რომელიც ინდოეთში განსაკუთრებულ სპირიტუალურ ცხოვრებისადმი ფაზად იყო მიჩნეული. ბუდა ლოტოსის ფოთლის იმ ღირსსახსოვარ ღამეს (508 წ. ქრისტიანობის დამკვიდრებამდე) იგი ფიკუსის ძირში დაჯდა და გადაწყვიტა, მანამდე არ ამდგარიყო, ვიდრე „ნათელხილვას“ არ მიაღწევდა. მოგვიანებით ამ ცნობილ ხეს ეწოდა ბო-ხე, ანუ „ნათელხილვის“ ხე...

იგი მთელი ღამის განმავლობაში შედიტაციას ახდენდა. ცნობილია, რომ ბუდამ კონცენტრაციის პირველი ოთხი საფეხური განვლო. შემდეგ თავისი აღრინდელი დაბადებები გაიხსენა; ჰქონდა იმ ადამიანთა ხილვები, რომლებიც ამქვეყნიური ყოფიერების ფორმიდან გაჭქრენ და თავიანთი ბოროტი და კეთილი ქმედებების მიხედვით კვლავ არსებობის სხვა ფორმებში ჩნდებოდნენ. აქედან დაასკვნა, რომ ძველი ინდური რელიგიური თვალსაზრისი - მოძღვრება კვლავ დაბადებისა და მიზეზებისა და შედეგის კანონი სინამდვილეზე ყოფილა დაფუძნებული. ახლა იგი გათავისუფლდა, აღარ იყო დამორჩილებულ-დაქვემდებარებული სიკვდილისა და კვლავდაბადების წრიული ბრუნვას. როდესაც ირიჟრაჟა, იგი უკვე ბუდა იყო, „ნათელხილული“ და ნათელმხილველი.

სანსკრიტში სიტყვა ბუდა ნიშნავს არა მხოლოდ იმას, ვინც ყოფიერების ჭეშმარიტ არსს ჩასწვდა, არამედ აგრეთვე თვითონ უკანასკნელ ჭეშმარიტებას, აბსოლუტურ სულს. იგი ორმოცდაცხრა დღე-ღამე ნეტარების, უმაღლესი ბედნიერების მდგომარეობაში იმყოფებოდა და მთლად გაჟღენთილი იყო ღრმა ჭეშმარიტებებით, თვითონ რომ აღმოაჩინა. ადამიანთა მიმართ თანაგრძნობამ მას გაუჩინა ძლიერი სურვილი, ეს ჭეშმარიტებანი სხვებისთვისაც გაეზიარებინა, მაგრამ შეყოყმანდა, რადგან ეშინოდა, არ დამიჯერებენო; მაგრამ ბოლოს ახლობლებს უამბო ყოველივე ამის

შესახებ. ორმოცდახუთი წლის განმავლობაში, ვიდრე ოთხმოცისა შესრულდებოდა, იგი დადიოდა ინდოეთში და ქადაგებდა დხარმას, რაც ამავე დროს მისი მოძღვრებისა და უნივერსალური კანონის ტოლფარდია. ამბობენ, სიდიდხარტე თანაგრძნობას, სათნოებას და ჩარიზმას ასხივებდაო. მან მოაქცია, ახალი რწმენა ჩაუნერგა თავის ოჯახს, ასევე სხვა ოჯახებს, რომელთა რიცხვი ისევე უთვალავია, როგორც ქვიშის მარცვლებისა მდინარე განგში. ბუდამ დააარსა ბერთა ორდენი. იგი არ გამხდარა წმინდანი, შაცხოვანი თუ ღმერთი, მაგრამ საუკეთესოთდაა აღიარებული კაცობრიობის უდიდეს სულიერ მასწავლებლად ჩვენს სამყაროში.

ბუდიზმის ისტორიული განვითარება

ბუდიზმის განვითარება ჯერ კიდევ არ ამოიწურება ბუდათი. ბუდა ამტკიცებდა, რომ წარსულში 27 ბუდა არსებობდა, რომლებიც მომავალშიც იარსებებდნენ. ბუდიზმი ემყარება წარსულში გაბატონებულ ინდურ რელიგიას - ბრაჰმანიზმს. იგი გამომდინარეობს მისგან და ითვისაგან, როგორც პროტესტანტიზმი კათოლიციზმისაგან. ახალგაზრდა ბუდას ახალი რელიგია იყო პროტესტი ინდიელების დახავსებული კასტური სისტემის, გაბატონებული ბრაჰმანიზმის სულიერი სიცარიელისა და მისი ზედგარგადასული რიტუალებისა და ცერემონიალების მიმართ. ბუდას მიზანი იყო ისეთი რელიგიის შექმნა და გავრცელება, რომელიც ყოველდღიური ცხოვრებაში ჰპოვებდა გამოყენებას. როგორც სულიერი წოდების არმქონე პირთა, ასევე ბერების მიერ. ამ ფაქტზე ძენ-ბუდიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. ბუდისტი არასასულიერო პირები მუდამ ჭარბობდნენ ბერებს. ბერების მიზანს ამ სამყაროსგან მოწყვეტა კი არ შეადგენს, არამედ ის, რომ დეხმარონ სხვებს, გახლნენ ნათელმხილველები.

დღეს ახალგაზრდა ამერიკელები პროტესტს აცხადებენ ტრადიციულ ფასეულობათა და ღირებულებათა სოციალურ ფთანასწორობათა და საერთოდ მატერიალიზმის მიმართ, რადგან თან არ გააჩნიათ საშუალება, რომლის გამოყენებაც დეხმარებოდათ ერთგვარი კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაში. დღეს, ისევე როგორც ბუდას დროს, ეს ნიშნავს, რომ ადამიანს [illegible] ქმედითი მეთოდი, რაითა „გამთავლეთ", გამოიკვლიოს ორაკულობიერში მაძინებული ღრმა შრეები, რომლებშიც „ჩაბალულია" ადამიანის მორალური, ეთიკური და სპირიტუალური ღირებულებანი, რომელთა მეშვეობით მას შეუძლია საკუთარი [illegible] მეს უნივერსუმთან იდენტიფიცირება.

ბუდას სიკვდილის შემდეგ ბუდიზმი ორ მთავარ შემადგენელ ნაწილად გაიყო: სამხრეთის თხერეველის, ანუ ჰინაიანას სკოლა, რომელიც გავრცელდა ცეილონში, ვიეტნამში, კამბოჯაში, ტაილანდში და ბირმაში და ჩრდილოეთის სკოლა, „მიხაიახა", რომელმაც ფეხი მოიკიდა ტიბეტში, მონღოლეთში, ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში.

მე-6 საუკუნეში ბოდჰიდხარმამ, ბუდიზმის 28-ე ინდოელმა პატრიარქმა, ბუდას მოძღვრება ჩინეთში გაავრცელა და შექმნა „ჩანის" სექტა. ბუდიზმს აქ შეერწყა ტაოიზმის ელემენტები და შემდგომში განვითარება ჰპოვა. მე-12 საუკუნეში ბერებმა აიზაიმ და დოგენმა ჩახი, რომელსაც ამჟამად ძენი ეწოდება, ჩინეთიდან თავიანთ სამშობლოში - იაპონიაში გაავრცელეს, სადაც იგი შეეხო 800 წელია დიდი პოპულარობით სარგებლობს. ორივე ქვეყანაში, ჩინეთსა და იაპონიაში ძენის წყალობით შეიქმნა ულამაზესი დონის მხატვრობა, პლასტიკა, არქიტექტურა და პოეზია, რომლებმაც საუკუნეთა განმავლობაში [illegible].

ბუდიზმზე ეხარმაზარი ლიტერატურა არსებობს. ბუდას მოძღვრებას ხალხი ზეპირად სწავლობდა, ხოლო მისი მოწაფეები ზეპირსიტყვიერად ავრცელებდნენ და გადასცემდნენ მას მომავალ თაობებს. 300-500 წლის შემდეგ ბუდას სიტყვები მისმა მიმდევრებმა ჩაიწერეს, რაც ქმნის 10 000 ბუდისტურ ტრაქტატს ანუ სუტრებს, რომლებიც სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი. თხერეველის სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ,

1. ჩარიზმა - ღმერთების წყალობა

რომ ეს უძველესი შრიფტები ავთენტიკურია. ხოლო რაც შეეხება გვიანდელი სანსკრიტის სუტრებს, მათ, როგორც მახაიანას მიმდევრები თვლიან, განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიეს. [1] კანონიკურ პალი-ლიტერატურას „სამ კალათას" უწოდებენ. მესამე „კალათა", ანუ „უკანასკნელი მოძღვრება", შეიცავს თხერევადისტების მიერ აღიარებული ძველი ბუდისტური ტრადიციების და მეტაფიზიკის ანალიზს. ძენიც თავისებურად განმარტავს სუტრებს - მის პრინციპებს გადმოგვცემს სხვადასხვა დროის შემოქმედთა მოძღვრების ფონზე. მახაიანას სუტრადან ძენ ბუდიზმმა ამოირჩია და განმარტა: „ლოტუსი სასწაულებრივი კანონისა (სადდხარმა-პუნდარიკა), ბუდას უკანასკნელი სიტყვა, რომელშიც იგი მახაიანას მოძღვრებას ღრმააზროვნად განიხილავს. ძენი ქებას ასხამს აგრეთვე ლანკავატარას - სუტრას არადუალიზმს, რომელიც ეხება არადუალიზმის და განუსხვავებლობის მოძღვრებას და მის განხორციელებას. გარდა ამისა, არსებობს სრულქმნილი სიბრძნის სუტრა, რომლის ერთ ნაწილს „ბრილიანტური სუტრა" ეწოდება. მის თემას შეადგენს ის, რომ სამყაროს ყველა ფენომენი და იდეა რელატიურს განეკუთვნება და ამიტომ არარეალურია. სიბრძნის სუტრას საფუძველს ქმნის სრულყოფილი სიბრძნის გული, რომელსაც ყოველდღიურად მღერიან ძენის მონასტრებსა და ცენტრებში. უმაღლესი სუტრა ახდენს ბუდას მიერ უმაღლესი ჭეშმარიტების შეცნობის ინტერპრეტაციას. სუტრაში „რწმენის გამოღვიძება" მოცემულია ბუდიზმის საფუძვლები.

მაგრამ ძენში აქცენტი აღებულია უპირატესად არა სუტრებზე, არამედ ძენის პრინციპების პრაქტიკაზე, შეთვისებასა და გამოყენებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩანმა და ძენმა კლასიკური ლიტერატურა შექმნეს. მათ რიცხს ეკუთვნის ინგლისურ ენაზე გამოსული ნაწარმოები - „ჭეშმარიტი კანონის თვალი", თარგმნილი იაპონელი ოსტატის დოგენის მიერ (1200-1253), რომელიც გამოსცა მასუნაგამ 1971 წელს. აღსანიშნავია და ძალზე საყურადღებოა აგრეთვე იაპონელი ძენის ოსტატის ჰაკუინის ლიტერატურული თხზულებანი (ჰაკუინი - 1686-1769). ეს თხზულებები ინგლისურად ითარგმნა 1971 წელს. აქ ლაბარაკია [illegible] წერილებზე დილეტანტებისა [illegible] მიმართ, რომლებიც ძენს მისდევენ. ჰაკუინის სტილი უაღრესად მკაფიო, ფერადოვანი და იუმორით აღსავსეა. თანამედროვე იაპონელი ოსტატის იასუტანის თხზულება „ძენის საფუძვლების (პრაქტიკის) შესავალი", თარგმნილია ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნებულია ფილიპ კაპლიოს მიერ 1967 წელს.

ბუდიზმის ფილოსოფია

სუტრების ცოდნა, დიალექტიკა და გაგება-გააზრება ბუდიზმის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიისა ძენის მიმდევრებისათვის მიზანი როდია, პირიქით, ის დაბრკოლებას უქმნის მოწაფეს სულიერ ბილიკზე სვლის დროს. აქ მთავარია პრაქტიკული წვრთნა ძაძენში და მისი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც დიდ მუყაითობასა და შეუპოვრობას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ საწინააღმდეგოს უჩიჩინებენ, დასავლეთში არიან დაინტერესებული სტუდენტები, რომლებიც დიდი სიამოვნებით შეისწავლიდნენ ძენ-ბუდიზმს, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი წარმოდგენა არა აქვთ მისი ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის საფუძვლებზე. ბუდიზმი ხშირად „აცხადებს", რომ ის საერთოდ არ არის ფილოსოფია. ცხადია, იგი არ არის „ჭეშმარიტების ძიება ლოგიკური დასკვნებით", როგორც განსაზღვრავენ ფილოსოფიას დასავლეთში. მაგრამ ბუდიზმი, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტების ძიებაა, ყოველი საგნის და მოვლენის ბოლო ჭეშმარიტებისა ანუ მისი პირველწყაროს, საწყისის მიგნება. ბევრი რამ მის ფილოსოფიაში ეფუძნება ისეთ წარმოდგენებს, რომელთა რეალურად მიჩნევა დასავლური თვალსაზრისით საბოლოო ანგარიშით შეუძლებელია, მაგრამ იგი ეყრდნობა აგრეთვე ისეთ აპრიორულ იდეებს, ემპირიული და

1. დიალექტი ინდოეთში.

ინტუიციური აღქმიდან რომ გამომდინარეობენ.

არის ბუდიზმის ფილოსოფია მისი ფსიქოლოგიის საფუძველი, თუ პირიქით? თუ თანაბრად იგსებენ და ასულდგმულებენ ერთმანეთს? გოვინდა ამტკიცებს, რომ ეს არის ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის მჭიდრო „წნული“, რომელიც ბუდიზმს სტაგნაციისაგან იცავს“ (1967, გვ. 37). ხოლო სუზუკი ამბობს, რომ „ძენის ცხება აუხსნელია... იგი შეცხობილ უნდა იქნეს უშუალო გამოცდის საფუძველზე...“ მაგრამ იგი არ უარყოფს, რომ აუცილებელია ძენის ცნების ახსნა; ძენს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფილოსოფია“ (1956, გვ.260).

რასაკვირველია, ძენის ფილოსოფია უმეტესწილად ბუდისტური ფილოსოფიაა. ამ აღმოსავლური დისციპლინის გაგებას ხელს წარუწყობს ის, თუ მას განვიხილავთ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ნაკვნიში აღმოსავლური სისტემებია ფინზე. მაშასადამე, ჯერ ფილოსოფია, შემდეგ კი ფსიქოლოგია. დასავლეთში ფილოსოფია მოიცავს საერთოდ ბუნ სასწავლო საგანს: მეტაფიზიკა (შემეცნების თეორია, კოსმოლოგია და ონტოლოგია), ეთიკა, ლოგიკა, პოლიტიკა და ეთიკა.

ბუდისტური ფილოსოფიის მეტაფიზიკას განეკუთვნება არა მხოლოდ ლოგიკური აზროვნებისგან გამომდინარე დასკვნები, არამედ აგრეთვე შემდეგი სფეროების ემპირიული შესწავლა: შემეცნება - მისი საზღვრები, მისი ქმედითობა და საწყისი - პირველწყარო; უნივერსუმი, როგორც წყობის სისტემა; ყოფიერების არსი.

ზოგიერთი თანამედროვე ფილოსოფოსის მსგავსად ბუდიც ფიქრობდა, რომ ფილოსოფიის უპირველეს მოვალეობას შეადგენს ის, რომ თვითონ იკვლიოს შემეცნების პროცესი. შემეცნების საკითხში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ფიქრეტრული განსხვავებაა.

დასავლური საქმიანობა 2500 წელიწადზე მეტია (საბერძნეთი, პლატონის დროიდან) ამტკიცებს, რომ გონება, გონი რომელიც ცნობიერებიდან გამომდინარეობს, ჭეშმარიტების ერთადერთი წყაროა. პლატონი ამბობდა, ინტუიცია ქალური პრინციპია და მას, არც მეტი, არც ნაკლები, სიბინძურეს, უკეთურობას ეწოდებდა. ჭეშმარიტება და სიბრძნე, ამტკიცებდა იგი, მხოლოდ ლოგიკური აზროვნებიდან გამომდინარე დასკვნებით მიიღწევაო.

მაგრამ ბუდამ ნათელხილვის დროს წვდა საგანთა და მოვლენათა არსის განჭვრეტა ინტუიციურ-ემოციურ-ემოციურ საფუძველზე. მან დაამტკიცა, რომ არსებობს უნივერსალური სული, განმსჯელი სული და ინტუიციური სული. მის სწამდა, რომ განმსჯელი სული (ინტელექტი) შეზღუდულია, რომ წემცნებული, აღქმული, რომელიც მისგან გამომდინარეობს, ერთთავად იცვლება და მუდმივი არ არის; ამიტომ გონება ვერ არის უტყუარი და საარწმუნო გზის მიჩვენებელი ჭეშმარიტების საბოვნ გზაზე. სამაგიეროდ, ინტუიციურ გონს შეუძლია გაიზიაროს, მონაწილეობა მიიღოს უნივერსალური გონის უნივერსალობაში, გარდა ამისა, იგი ცვალებადი და მუდმივია. ამიტომ მისთვის გამორიცხულია შეცდომა და წარმოადგენს უტყუარ გზის მიჩვენებელს აბსოლუტური ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე. მაშასადამე, არა გონი, არამედ ინტუიციაა, როგორც ბუდა ასკვნის, აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და სიბრძნის საწყისი და წყარო. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ, თუმცა ინტუიციის განადიდებდა, ბუდას ამასთანავე ეგბრწყინვალესი, შეუდარებელი ინტელექტი ჰქონდა. ბარტი ასკვნის, რომ „ბუდა იყო უებრო ფილოსოფიური ძალის მოაზროვნე, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ინტელექტის მქონე პიროვნება. მან გამოავლინა ანალიტიკური აზროვნების და წვდომის უნარი, რომლის მსგავსი არ იცის კაცობრიობამ... ბუდიზმი ერთადერთია მსოფლიოს დიდ რელიგიათა შორის, რომელიც შეგნებულად და ცხადად... გამომდინარეობს ცხოვრების პრობლემების სისტემატური ანალიზიდან და გვიჩვენებს მათი გადაწყვეტის გზებს“ (1955, გვ. 22). ბუდას დიალექტიკური საზრიანობა ნათლად ჩანს, მაგალითად, სერანგამას სუტრაში მანერა და წესი, თუ როგორ უსვამს იგი შეკითხვებს თავის საყვარელ მოწაფეს ანანდას, გვაგონებს სოკრატეს დიალექტიკას პლატონის დიალოგებში. მაგრამ თავისი უბარისიზარი ინტელექტუალური ტალანტის

მიუხედავად ბუდამ დაამტკიცა, რომ სამყაროსა და ადამიანის ბუნების ულრმეს საიდუმლოებებში ჩაწვდომა აბსტრაქტულ ფილოსოფიურ აზროვნებას არ ძალუძს." (გოვინდა, 1969, გვ. 36). აბხიდხამაში ბუდა ცნობიერებას სამ კატეგორიად ჰყოფს: „აზრები, მსჯელობა, რომელთაც არა გონი, არამედ ნებასურვილი წარმართავს და რომლებიც დაფუძნებულია გრძნობად შთაბეჭდილებებზე. მეორე კატეგორია ემყარება გონის არგუმენტებს... და მას მივყავართ შეცნიერული და ფილოსოფიური შემეცნებისაკენ. ...მესამე - უმაღლესი ცნობიერების შეცნობის უნარის მდგომარეობა არის ბოდხი - ანუ ნათელხილვა, რომელიც გონის მთავარი პრინციპის მეშვეობით მიიღწევა და მედიტაციაზე - ინტუიციურ ცნობიერებაზეა დამყარებული, რაც ნიშნავს შემმეცნებელი გონის იდენტურობას შემეცნებულ ობიექტთან: - ინტუიციური წვდომა არის... კოსმიური ცნობიერების განცდა, რომელშიც უსასრულობა მხოლოდ ცნებებამდე კი არ არის დაყვანილი, არამედ თვითონაც უშუალოდ აღიქმება კიდეც (ლამა გოვინდა, 1969, გვ.41-42)".

გონისა და ინტუიციის, როგორც შემეცნების ნამდვილი „შუამავლების" ანტითეტური (საპირისპირო, წინააღმდეგობრივი) გააზრების „ზრდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებობს აგრეთვე წინააღმდეგობრიობა უნივერსუმის არსის, საკაროს საფუძვლად ერთი საწყისის აღიარების და დუალიზმის საკითხში. ებრაულ-ქრისტიანული რელიგია აღიარებს დაპირისპირებულობის შემქმნელსა და ქმნილებას, აგრეთვე სხეულსა და სულს და კეთილსა და ბოროტს შორის. იგი დაპირისპირებულთა მუდმივ ბრძოლას უყურებს როგორც ადამიანთა მოდგმის ბუნებრივ ელემენტს. დუალიზმი დასავლური ცნებაა.

ბუდამ კი ნათელხილვის დროს იხილა ყოველგვარი ყოფის, ყოფიერების ერთიანობა, მთლიანობა, ადამიანის შეერთებულობა (ე.ი. ის, რომ ნაწილია) უნივერსუმისადმი, ყველა სხვა ადამიანისადმი და საგნისადმი, სხეულისა და სულის თანდაყოლილი, ბუნებრივი ერთობა, მთლიანობა, მან შეიგრძნო და დაინახა დროისა და [illegible]ულობის, სიცოცხლისა და [illegible], გონისა და ინტუიციის დაპირისპირებულობათა ერთიანობა. აქედან [illegible] მისი მოძღვრება იმის [illegible] ამქვეყნად უნივერსუმის ცალკეული შემადგენელი ნაწილია.

„ნათელხილვა" ნიშნავს „ისე დაინახო საგნები, როგორც სინამდვილეში არიან". იმ ლირსსახსოვარ ღამეს, ბოდ-ხის ძირში რომ იჯდა (ბო, ანუ - „ნათელხილვის ხე", ასე ეწოდა იმ ხეს), ბუდა ჩაწვდა უნივერსუმის არსს, იხილა, განიცადა აბსოლუტური ჭეშმარიტება. „ხილვა, განცდა აქ ნაგულისხმევია არა როგორც - პირდაპირი და უშუალო - გრძნობადი აღქმა, არამედ აგრეთვე როგორც წვდომის, ჩაღრმავების დონე".

მან ნახა , რომ უნივერსუმი ქაოსი კი არა, მწყობრი სისტემაა, რომელიც ისე, როგორც იგია „მოთვიქრებული", სრულყოფილია, თუმცა, ცხადია, ამას მხოლოდ ის ადამიანები აღიარებენ, რომლებმაც ნათელხილვა შეძლეს.

იგი ჩაწვდა აგრეთვე ყოფიერების არსს და მის სხვადასხვანაირ ფორმებს. ეს ნიშნავს, რომ მან იხილა ნირვანა, სამსარა და სუნიატა.

„ამბლია ნირვანას შემდეგნაირად განმარტავს: ეს არის შინაგანი სიმშვიდის და შინაგანი თავისუფლების უკვლელობა. ნირვანა... ნიშნავს აგრეთვე... დაბრუნებას ბუდას არსის თავდაპირველ საწყისიდან... აბსოლუტში... ფიზიკური სხეულის კვდომის შემდეგ" (1967,გვ 339, 340). ბუდამ იქვე: „ნირვანა უმაღლესი ნეტარებაა". სუზუკი წერს: „ძენი... განვითარდა „მაკიაამუნი ბუდას მიერ ნათელხილვის განცდის საფუძველზე. ყველაზე უფრო ნათლად სუნიატაში რომ არის დასურათხატებული; სუნიატა ნიშნავს სიცარიელეს... მასში ნაგულისხმევია არა ნეგატიური, არამედ რეალურ პოზიტიური... სუნიატა გარემოიცავს მთელ სამყაროს, და მაინც ყოველი საგანი სამყაროში არსებობს. სუნიატას მოძღვრება არც იმანენტზმია (იმანენტური - საგნის ან მოვლენის შინაგანად დამახასიათებელი, მისთვის ნიშანდობლივი, მისი ბუნებიდან

გამომდინარე) და არც ტრანსცენდენტიზმი... იგი ორივეა... წინააღმდეგობა, დაბირისპირებულობა თავს მხოლოდ მაშინ იჩენს, როცა სუბიექტში არ ეიმყოფებით... იგი უნდა განვიცადოთ და არა აზრობრივად, ცნების მიხაარსით გავიაზროთ. ძენის თანახმად, სუბიექტი რომ აღვიქვათ, საჭიროა ამ ორად გაყოფილი სამყაროს ფარგლები „გადავლახოთ" (1985, გვ.261).

ამიტომ ამბობს ბუდა, რომ გონი შეზღუდული, არასრული საშუალებაა ჭეშმარიტების მიღწევისა, ხოლო ინტუიცია ადამიანს ისეთ ცოდნას სძენს, რომლის სიტყვიერი გადმოცემა ძალიან ძნელია, რადგან იგი უნივერსალურ კანონს შეესატყვისება და მისი ტოლფარდია.

დასავლური ფილოსოფიის კვლევის სხვა სფეროებს წარმოადგენს ესთეტიკა და მშვენიერების იდეა. ეს სფეროები არ შეადგენს ბუდისტური რელიგიური ფილოსოფიის თეორიული კვლევის საგანს. მშვენიერება ეფრო შემოქმედებითი ენერგიის გამოლვიძების შედეგია საკუთარ „ჭეშმარიტ მეში", ანუ „ბუდას არსში", რაც ყველა ადამიანს მეტნაკლებად აქვს თანდაყოლილი. ლოგიკა (და იდეებთან დაკავშირებული საგზაოვნო მეთოდები) ბუდიზმის უშუალო საგანი არ არის. ლოგიკას იყენებენ და აღიარებენ როგორც სასარგებლო, საჭირო ინსტრუმენტს, მაგრამ მასთან ერთად გონი არ არის მიჩნეული საიმედო გზამკვლევად აბსოლუტის შეცნობის გზაზე. პოლიტიკაც არ არის ბუდიზმის კვლევის სფერო, თუმცა იდეალური საზოგადოება გააზრებულია როგორც კაცობრიობის უნივერსალური ნათელხილვის შესაძლო შედეგი. ეთიკა და იდეალური ყოფაქცევა კი ბუდას ინტენსიური შესწავლის საგანს შეადგენდა. ეთიკას მიეკუთვნება ათი მცნება - არა კაც ჰკლა, არ იცრუო, არ იქურდო და ა. შ. ბუდასთვის ეთიკას განეკუთვნება აგრეთვე განცდილ ჭეშმარიტებათა დადასტურება, რომლებიც გამოვლინდა მისი ნათელხილვის დროს ინტელექტისა და ლოგიკური არგუმენტირების შედეგების მეშვეობით. ეთიკა სწავლობს (აღმოსავლური თვალსაზრისით) ადამიანის ბუნებას და მის დანიშნულებას უნივერსუმში, მის ნათესაობას სულიერ თუ ანიმალურ არსებებთან, გონისა და მატერიის ურთიერთდამოკიდებულებას, აზრ-შეგრძნებებისა და სხეულის როლს.

ადამიანის ბუნება ჭეშმარიტი ინტუიცია ბიბლიოგრაფია

ბუდა თავის ნათელხილვის დროს ადამიანის არსს, ბუნებას ჩაწვდა. მან ინტუიციურად შეიცნო, რომ მისი საკუთარი „ჭეშმარიტი მე " არსებითად სრულყოფილი იყო, რომ ყოველ ადამიანს აქვს მიდრეკილება სრულყოფილებისადმი, ე.ი. აქვს შესაძლებლობები სრულყოფილების მიღწევისა, რომელიც მის განხორციელებას ელის.

ადამიანის ფუნქცია უნივერსუმში, ასკვნის ბუდა, გამოიხატება იმაში, რომ თავისი პირველადი, თავდაპირველი გონი, სხვადასხვა ცნებებისა და რელატიური სამყაროს ცდომილებების, ილუზიების მტვერით რომ დაიფარა, შეაჯანსოს, შეუზარდოს უნივერსალურ ცნობიერებას, ცნობიერების, აღქმის უნარს, ძაძენისა და ნათელხილვის მეშვეობით, და შემდეგ იცხოვროს თავდადების, სხვა ადამიანებისადმი უანგარო ზრუნვის, სიბრძნის და თანალმობის პრინციპით, რათა ბოლოს ხირვანას მიაღწიოს.

იდეალური ყოფა-ქცევა მოითხოვს ადა-მიანის გათავისუფლებას ეგოს, გონის და ჩვეულებრივი ყოველდღიური აზრებისაგან, რადგან უამისოდ ვერ „ჩაირთვება" ინტუიცია. ძენ-ბუდიზმი ამტკიცებს, რომ სხეული ჩვენი სულის მატერიალურ გამოვლინებას წარმოადგენს. ადამიანი მაღალ ინტელექტურ თუ დაბალ ანიმალურ ყოფიერებაში არის ის შემადგენელი ნაწილი უნივერსუმისა, რომელიც ავტომატურად გამომდინარეობს ყველა საგნის მოვლენის და არსების ერთიანობიდან, მთლიანობიდან. ეს გამორიცხავს მის მიერ ყოფილი მგრძნობელი ცოცხალი არსების შოკვდინებას ცხოველებისა და მწერების ჩათვლითაც კი. ამ პრინციპიდან გამომდინარე ბუდისტები ხორცს არ ჭამენ.

სიკვდილი, კვლავ დაბადება, კარმა

აღმოსავლეთში ფართოდ არის ცნობილი ბუდიზმისა და ძენის

ფილოსოფიის დებულებები სიკვდილის შემდგომდროინდელ სიცოცხლეზე, კარმაზე, კვლავდაბადებაზე და სიკვდილზე, რაც ნაწილობრივ წარმოიშვა ბუდას ინტუიციურად შეცნობილისა და განცდილის საფუძველზე მისი ნათელხილვის დროს. მან განმარტა, რომ ნათელხილვის დროს თავისი საკუთარი და სხვათა უაბრალო კვლავდაბადებანი ხახა; ყოველივე ეს იყო თითოეული ინდივიდუუმის წარსულ ქმედობათა, საქციელთა და აზრთა შედეგი. ამან დაარწმუნა იგი მაშინ უკვე არსებულ რწმენა-შეხედულებაში კვლავდაბადებისა და კარმის, მიზეზისა და შედეგის კანონების შესახებ. ლოგიკურმა არგუმენტაციამ ყოველივე სრულიად სარწმუნო გახადა.

ბუდიზმი ასწავლის, რომ არსებობს სიკვდილის შემდეგდროინდელი ცხოვრება, რის დასადასტურებლადაც იმოწმებს ფიზიკის ერთ-ერთ უძირითადეს კანონს - კანონს ენერგიის შენარჩუნების შესახებ. ეასუტანი წერს: ენერგია არასოდეს იკარგება, იგი მხოლოდ ფორმას იცვლის. მტკიცება იმისა , უზარმაზარი ძალა, რომელიც ადამიანებს ამოქმედებს და სხვადასხვა საქმეს აკეთებინებს, სიკვდილის მომენტში საბოლოოდ ქრებაო, იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ერთი ტალღა ოკეანეში სხვა ტალღას არ წარმოშობს (კაპლიო, 1967, გვ. 43). ბლოფელდი უფრო ავითარებს ამ აზრს : „ხასიათის თვისებები, ადამიანის პიროვნებას რომ ქმნიან ერთი სიცოცხლიდან მეორეზე გადადის... ამგვარად, ქრისტიანული ცრების „სულის" ბუდისტურ ექვივალენტი არის კონტინუუმი ყოველივე, რაც ხილვადია, (მატერია, ენერგია), იცვლება. მაგრამ არც რაიმეს წარმოქმნა არსებობს არაფრისაგან და არც ტოტალური მოსპობა...იგივე კანონები მოქმედებს იმისათვისაც რაც ხილული არ არის, რაზე დაკვირვებაც, რისი შემჩნევაც არ შეიძლება (1970, გვ.55-56).

კაპლიო ბიუთითებს, რომ „კვლავდაბადებაზე დისკუსია უაზრობაა, თუ კარმა არ გვესმის". ჩვენი წინანდელ ცხოვრებათა ყოველი წინასწარგანზრახული საქციელი, მოქმედება და თვით ყოველი გააზრებული გეგმა, ზრახვა, მიზანი გავლენას იხდენს ჩვენს ახლანდელ ცხოვრებაზე და რასაც ახლა [illegible] ეაკეთებთ და ვფიქრობთ, ის მომავალში ჩვენს მომავალ ცხოვრებათა ბუნებას განსაზღვრავს. კარმა არ არის ფატალიზმი, არსებობის, წინასწარ გახსაზღვრული ბედის გარდაუვალობის რწმენა - ბუდა ამ თვალსაზრისის სასტიკი წინააღმდეგი იყო. არსებობს კარმა, რომელიც უცვლელია, წინასწარ განსაზღვრულია, ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება (მაგ. კაცად რომ იბადება ადამიანი და არა ქალად), და არსებობს ცვალებადი კარმა (მაგ. საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება კონტროლი გავუწიოთ). შესაძლებელია საკუთარი ბედ-იღბლის გარკვეულწილად შეცვლა შეუბოვარი ქმედების მეოხებით.

იმქვეყნიური ცხოვრებისა და კვლავდაბადების რწმენას ლოგიკურად მივყავართ თეორიამდე, რომ სიკვდილი დროებითი მდგომარეობაა, მოვლენაა და ამიტომ არ უნდა გვეშინოდეს მისი, როგორც ტრაგიკული დასასრულის. იგი გარდაუვალია, ბუნებრივი, გადასავლელი მდგომარეობაა. „სიცოცხლე და სიკვდილი წარმოადგენს ერთნაირ, თანაბარ ციკლურ უწყვეტობას, რაც ბუნების ყოველგვარ მოვლენაში შეინიშნება"(კაპლიო, 1971, გვ. XVII).

მოკლედ რომ ვთქვათ, ძენის ფილოსოფია თვლის, რომ არსებობს ენერგიის გადატანა და კვლავდაბადება თითოეულისა ცალ-ცალკე კარმასთან შესაბამისად. ამიტომ ორივე, სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთში გადადიან, ერთმანეთს ენაცვლებიან. ეს მიზეზობრიობის კანონი ასტიმულირებს ზნეობრივ და სულიერ ცხოვრებას. მხოლოდ სრულ ნათელხილვას ძალუძს განასრულოს ამქვეყნად სიკვდილისა და მეორედ დაბადების „გადაბმულობა".

ადამიანის ტანჯვა და მისი მძიმე, უსიამოვნო ყოფა.

სიკვდილზე მცდარი წარმოდგენის

1. კარმ: - ადამიანის ბედის დამოკიდებულება მის საქციელთაგან.

2. კონტინუუმი - რაიმე უწყვეტი.

გარდა ბუდამ გამოიკვლია აგრეთვე ადამიანის ძნელი, მტანჯველი, უსიამოვნო ყოფის სხვა გამომწვევი მიზეზებიც. რატომ არიან ადამიანები უბედურნი? მან ამ შეკითხვის პასუხები მოგვცა თავის ფილოსოფიაში ტანჯვის შესახებ, ახსნა მისი მიზეზები და გვიჩვენა მისგან გათავისუფლების გზები.

ბუდამ თავისი „ნათელხილვის" შემდეგ წარმოთქმულ პირველ სიტყვაშივე განმარტა, რომ იგი თავის ნათელმხილველობაში არ იყო დარწმუნებული მანამდე, ვიდრე მისთვის სრულიად ცხადი არ გახდა „ოთხი კეთილშობილური ჭეშმარიტება". „კეთილშობილური რვაჯერადი ბილიკი და შუათანა გზა". მაგრამ ეს ძირითადი ცნებები ბუდიზმის ტხერევადას სკოლას პირდაპირ არ გადაუტანია მაჰაიანაში. სუცუკი ამბობს, „ესენი ძენ-ბუდიზმს არ მიეკუთვნებიანო". ხოლო ჰიუსტონ სმიტი ამტკიცებს, ეს ცნებები წარმოადგენს საფუძვლებს, საიდანაც ბუდას ყველა მოძღვრება წარმოსდგებაო. ამაზე მოკლედ: ბუდამ (გოდარდი, 1970, გვ.22) უჩვენა, რასაც ეს „ოთხი კეთილშობილური ჭეშმარიტება" მოწმობდა: 1).სიცოცხლე უმეტესწილად ტანჯვაა; 2).ტანჯვა გამოწვეულია მისწრაფებით, მოთხოვნილებით ყალბი საგნებისადმი; 3).ტანჯვის დაძლევის გზა ამ მისწრაფების ამოძირკვის გზაა. 4). მოთხოვნილების, მისწრაფების ამოსაძირკვად საჭიროა მივყვეთ „რვაჯერად კეთილშობილურ ბილიკს", რაც ნიშნავს: სწორი გაგება, მისწრაფება, საუბარი-მეტყველება, ყოფა-ქცევა, სწორი ცხოვრების წესი, შეუპოვარი მცდელობა, ყურადღება და კონცენტრაცია.

„არანათელხილული" ადამიანის ტანჯვის მიზეზები, როგორც ბუდა ამბობდა, უპირველეს ყოვლისა იყო: 1). სიკვდილი; 2). ავადმყოფობა და ხანშესულობა - ასაკი; 3). დარდები, უსიამოვნო ფიქრები, სასოწარკვეთილება და ტკივილები; 4). შშობიარობა; 5). უუნარობა, შეისრულოს სურვილები. ბუდას მიხედვით ჩვეულებრივი ადამიანის ყველაზე დიდი სურვილი შემდეგში გამოიხატება: არ იყოს დამორჩილებული, დამოკიდებული სიკვდილის, ავადმყოფობის და ხანშესულობისადმი შიშს, დარდებს და ტკივილებს, არ იყოს იძულებული უარი თქვას სურვილების შესრულებაზე და ბედნიერებაზე; ჩვენი დასავლური ღირებულება - ფასეულობათა სისტემის შესაბამისად დღეს ადამიანებს ჩვეულებისამებრ სურთ ლხენა-სიამე, სიმდიდრე, ძალაუფლება, სახელი, წარმატებები, ანდა მარადიული სიყვარული და გატაცება, მარადიული ახალგაზრდობა და სიყვარული, ზოგჯერ კი ცოდნის შეძენაც.

სავსებით ცხადია, რომ სიმდიდრე ადვილად იფლანგება, იკარგება ანდა შეიძლება მოიპარონ; ძალაუფლება კორუმპირდება (კორუფცია-მოსყიდვა) ანდა ადვილად იკარგება და ისპობა. სახელი, დიდება, უპირველეს ყოვლისა კი სიყვარული, გატაცებანი, ახალგაზრდობა და სილამაზე არამუდმივი, ცვალებადი და წარმავალია. ცოდნა- თვით მეცნიერული ცოდნაც არამყარია, იცვლება შეხედულებები, იდეები; პოლიტიკური იდეოლოგიები დაუსრულებლად ისპობა; ამგვარი მიზნები არამყარი, ხანმოკლეა, რელატიურ სამყაროში მათი განხორციელება პირობით ხასიათს ატარებს. ადამიანის სწრაფვა იმისადმი, რაც წარმავალია, დროებითია და მისი დამოკიდებულება მისადმი ადამიანის ტანჯვის ერთ-ერთი მიზეზთაგანია.ამის საწინააღმდეგოდ, უნივერსალური კანონი უპირობო და მარადიულია. მასთან შერწყმას, ერთიანობას, მარადიული შემოიქვს ახლანდელში; ეს ნიშნავს რომ იგი ანიჭებს მუდმივ, უწყვეტ სიხარულს. მაგრამ რატომ არ შესწევს ძალა ადამიანს იყოს ბედნიერი არსებულ პირობებში? რადგან იგი მათთან უმაღლეს ბედნიერებას მოელის, რისი მინიჭებაც მხოლოდ მუდმივს, უცვლელს შეუძლია. სმიტი საკუთარი სურვილების შესრულებისათვის ეგოისტურ სწრაფვაში ტანჯვის გამომწვევ კიდევ სხვა მიზეზს ხედავს. ეგოცენტრიზმი აიძულებს ადამიანს მიისწრაფოდეს პირადი იდენტურობისაკენ. „ნათელხილვა", გათავისუფლება კი ინდივიდუუმს სძენს იდენტურობის ახალ სახეს - ერთის შეერთებისა, შერწყმისა მთლიანობასთან და „უნივერსალური ცხოვრების უზარმაზარ სივრცესთან".

ტანჯვის პრობლემების გადაწყვეტა

სიკვდილი, ავადმყოფობა, ხანშესულობა - ასაკი, ზრუნვა-დარდები, ტკივილი, სასოწარკვეთილება და უუნარობა იმისა, მუდმივი ბედნიერება მოვიპოვოთ წარმავალი, არამუდმივი საგნებისა და მოვლენების ბეთხებით, წარმოადგენს ჩვენი ტანჯვის მიზეზს. ჩანს, ზემოჩამოთვლილი განცდები - ცხოვრების კანონებია, რომელთა შეცვლაც შეუძლებელია. გოვინდა ასე განმარტავს ამ პრობლემას: „ტანჯვის სიმპტომების ანალიზი ნათელყოფს, რომ ყოველ მათგანში ჩვენი სურვილ-მისწრაფება ყოფიერების კანონებს ეწინააღმდეგება, უპირისპირდება, და რადგან ჩვენ ძალა არ შეგვწევს, შევცვალოთ ეს კანონები, ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, ჩვენი სურვილ-მისწრაფების, მოთხოვნილების შეცვლაა" (1969,გვ.53).

მოთხოვნილების, სურვილ-მისწრაფების ეს გარდაქმნა ძაძენში წვრთნით და ნათელხილვის მიღწევით ხორციელდება. ნათელხილული ადამიანი აღარ ესწრაფვის სიმდიდრეს, სიყვარულ-დიდებას და ძალაუფლებას. მას აღარ ახასიათებს ეგოიზმი, მიზნად არ ისახავს უმიზნო გართობა-სიამოვნებას, ახალგაზრდობის და სილამაზის გახანგრძლივებას, ცოდნას, რაციონალური მეთოდებით რომ მიიღწევა. მას აღარ ეშინია ასაკის, ავადმყოფობის, სიკვდილის და გაჭირვება-სიღატაკის. მისი სიხარული გამოიხატება მის ახალგაღვიძებულ, ახალაღმოჩენილ ბუდას არსში, მის იდენტურობაში უნივერსალურ ცნობიერებასთან, ჰარმონიაში გარშემო მყოფ ხალხთან, და მის მოთხოვნილებაში - თავდადებით, უანგაროდ ემსახუროს მათ. იგი უნივერსუმში უცხოდ აღარ გრძნობს თავს.

სხვა სიტყვებით: ბუდას თანახმად, რეალიტეტი სამყაროში ადამიანურ ტანჯვათა და თვითცდომილებათა მთავარი მიზეზი ის არის, რომ ხალხი როგორლაც ჩამოშორდა, მოწყდა თავის საკუთარ „არსებით მეს" და უნივერსუმის კანონებს.მაშასადამე, რადგან ჩვეულებრივ, სურვილები ადამიანის ტანჯვის განმაპირობებელი მთავარი მიზეზია, ტანჯვა ასე უნდა მოვსპოთ: ჩვენი სურვილები, მოთხოვნილება არამუდმივის, წარმავალისადმი იმით ამოვძირკვოთ, რომ მოთხოვნილება გავალვიძოთ მუდმივის, უნივერსალურის მიმართ.

ძენი განმარტავს, მას შემდეგ, რაც ინდივიდი ნათელხილვას შეიცნობს, მიაღწევს, იგი ბუნებრივად, დაუძაბავად მიჰყვება „კეთილშობილურ რვაჯერად ბილიკს" და „შუა გზას", თუნდაც მასზე მანამდე არაფერი სმენოდეს. „შუა გზა" არის შუალედი უზრუნველ ცხოვრებასა და ასკეტიზმს, სრულ უმოქმედობასა და ღიმ მუშაობა- ქმედობას, ნებაყოფლობითობას და ბრმა შეძთხვევას შორის.

ზოგი სკეპტიკოსი ინტელექტუალური ადამიანი ღრმა კმაყოფილებას გრძნობს ძენ-ბუდიზმის თეორიის გაცნობით. მაგრამ ზოგიერთი მათგანი, ვისაც ძენის უპირატესობა-ღირსებების უშუალო გაცნობა სურს, როდი მიიჩნევს აუცილებლობად, რომ აღიაროს და ჩაწვდეს მის ფილოსოფიას. ძენის ოსტატები ასწავლიან ყოველივეს, რაც აუცილებელია ძაძენში ჩანგრძლივი დროით წვრთნისათვის, უპირველეს ყოვლისა კი ბუდასეულ ნათელხილვას და შესაძლებლობას, ირწმუნონ საკუთარი ნათელხილვა.

მოწაფეები მუდამ ეკითხებოდნენ ბუდას, უკვდავია თუ არა ადამიანის სული, არსებობს თუ არა ღმერთი, ცოცხლობს თუ არა ადამიანი სიკვდილის შემდეგ. იგი უარს ამბობდა ეპასუხა ასეთ შეკითხვებზე და მსგავს სპეკულაციებს უსარგებლოდ თვლიდა. მაგას სჯობსო, ამბობდა იგი, მედიტაციაში წვრთნა გაეგრძელო. მაგრამ ინდურ დიალექტზე შექმნილ „უდანაში" იგი დაასკვნის: „არსებობს დაუბადებელი, წარმოუქმნელი, წარმოუშობელი, ფორმამიუცემელი...

ასე რომ არ იყოს... „წასვლა" (ან „მოსვლა") დაბადებულის, წარმოქმნილის, წარმოშობილის, ჩამოყალიბებულის, სამყაროდან შეუძლებელი იქნებოდა" (გოდარდი, 1970, გვ. 32).

ბუდიზმის ფილოსოფია იმით არის ემპირიული, რომ მისი ძირითადი ცნებები

გამოცდილებაზე, გრძნობად აღქმაზეა დამყარებული, თუმცა აქ გარკვეულ როლს თამაშობენ აგრეთვე დაკვირვება და ლოგიკა. თუ ფილოსოფიის მიზანი იმაში გამოიხატება, შეიმეცნოს ერთიანი, ერთიანობა სხვადასხვაობაში, და თუ რელიგიის მიზანია, რომ ადამიანი ნათელხილული გახდეს და უნივერსალურ ცნობიერებას შეერწყას, ეზიაროს, რომელშიც ყველა დაბირისპირებულობა - მატერია და სული, ჩვენი მე და სხვები, სუბიექტი და ობიექტი, კეთილი და ბოროტი, გონი და ინტუიცია ურთიერთთანხმობაში არიან, მაშინ ბუდისტური რელიგიის ფილოსოფიაზე შეიძლება ითქვას, რომ მან მთლიანად მიაღწია დასახულ მიზანს.

ცნობიერება, აღქმა

ძენ-ბუდიზმის ფილოსოფიის შერწყმა ფსიქოლოგიასთან განსაკუთრებით ნათლად ვლინდება მაშინ, როცა ახლოს ვეცნობით ცნობიერების, აღქმის შესწავლის საკითხებს. რას მიიჩნევს ძენი ადამიანური ცნობიერების დედააზრად? ძენის გამოცდილებამ ცხადყო, რომ „ადამიანური ცნობიერება აბსოლუტური, ჭეშმარიტი ცნობიერებისგან წარმოსდგება და მისგან - ცარიელი სამყაროსაგან, სიცარიელისაგან არ განსხვავდება. ინდივიდუუმის სიცოცხლე გადაწნულია უფორმო „მესთან". ადამიანის ცხოვრება ოკეანის ტალღასავითაა; ვარეგნულად იგი თითქოს ოკეანეს გამოეყოფა, მაგრამ, ზღვაში წარმოქმნილი, უკანვე ბრუნდება და კვლავ ზღვას ერწყმის, რათა შემდეგ ახალი დაბადებისას კვლავ ამოტიეტივდეს მისგან" (კაბლიო,1971,გვ. 327).

ძენი და დასავლური ფსიქოლოგია

შესაძლოა ძენის სპირიტუალური ფსიქოლოგია ახსნილ იქნას მისი პარალელების გავლებით დასავლურ ფსიქოლოგიასთან - სახელდობრ მისი (ძენის) შედარებით არაცნობიერის ტრანსპერსონალურ ფსიქოლოგიასთან, შემდეგ კი ცნობიერების ორთოდოქსულ ფსიქოლოგიასთან. ძენის თანახმად ცნობიერებასა და ქცევა-მოქმედებაზე გავლენას ახდენს არაცნობიერის სხვადასხვა შრეების გამოღვიძება. იუნგის თეორიის მიხედვით ცნობიერება არაცნობიერისაგან წარმოსდგება. შემდეგ თავებში მოცემულია ძენის, იუნგის და ასევე ჰიუსტონისა და მასტერსის შეხედულებანი არაცნობიერის შესახებ. ჰიუსტონის და მასტერსის აღმოჩენები მიჩნეულია მეცნიერული კვლევის ორიენტირად და მასთან კავშირში განხილულია სხვა სისტემები, რომელთაგან თითოეული მაგალითს აშუქებს და იმოწმებს მეორეს.

სამივე დისციპლინამ დაამუშავა და შემოიღო ტექნიკა და სისტემები ინდუცირებული (გარე მიზეზებით გამოწვეული) ნათელხილვისათვის. სამივე გვაძლევს მასალას ფსიქოლოგიური პროცესებისა და მათი შედეგების პრობლემებზე. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ისეთ ცნობილ ტრანსპერსონალურ ფსიქოლოგებსაც, როგორებიცაა უილიამ ჯეიმსი, რ. მ. ბუკი და მასლოვი; თუმცა მათ უპირატესად ყურადღება გაამახვილეს შეღეგებზე და არა ადამიანურ შესაძლებლობათა აქტივიზაციის პროცესზე. მათ გამოიკვლიეს სპონტანური და არა გარკვეული ტექნიკის საფუძველზე მიღწეული ნათელხილვა. ამ ორ ასპექტს შორის მუდამ უნდა ვხედავდეთ განსხვავებას, თუ გვინდა გაუგებრობა ავიცილოთ თავიდან. ჩვენ აქ უპირატესად ტექნიკურ მხარეზე გვაქვს ლაპარაკი.

სამივე - ძენის, იუნგის და ჰიუსტონის სისტემებში თითქმის მსგავსადაა აღწერილი ნათელხილვის მიზანი, ფსიქოლოგიური პროცესი და პიროვნების ტრანსფორმაცია; ხოლო მეთოდები და ტექნიკა, ტერმინოლოგია და გვიანდელი ინტერპრეტაციები ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავებული შეხედულებები აქვთ ცნობიერების მდგომარეობაზეც. დასავლეთისაგან განსხვავებით ძენთან ცნობიერება მხოლოდ გონიდან არ გამომდინარეობს. იაპონიაში ეს სიტყვა (ცნობიერება) ნიშნავს აგრეთვე - „გულს", „გონს", „ფსიხეს", ან „სულს"... გონი ნიშნავს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ძენის გამოცდილების მიხედვით გონი

„ტოტალური შეცნობიადობაა". (კაპლიო, 1967,გვ.338).

ბუდიზმი და ინდუიზმი ითვალისწინებენ აგრეთვე, რომ იოგი ცნობიერების სხვა ცენტრებისა და ენერგიის ფიზიკური ცენტრების არსებობასაც აბუტკიცებს. გოვინდა მათ უწოდებს ცენტრებს, რომლებშიც კოსმოსური და ფსიქიკური ენერგიები ფიზიკურში გადადიან, თანაბიმდევრულად კელავ ფსიქიკურ ძალებად რომ იქცევიან.

ცნობიერების სახეები და საფეხურები

ბუდიზმი განასხვავებს ცნობიერების რვა საფეხურს. პირველი ექვსი გრძნობადი აღქმაა - ხედვა, სმენა, ყნოსვა, გემოს გასინჯვა, შეხება და აზროვნება (ინტელექტი). მეშვიდე არის გონი, რომელიც ორი ასპექტით ხასიათდება: უფრო ქვედა, რომელიც გრძნობად სამყაროს აღიქვამს და უფრო მაღალი, რომელიც ინტუიციით ნათდება. გონი ასრულებს გადამცემის როლს გრძნობათა აღქმიდან მერვე საფეხურზე, რომელიც არაცნობიერის, ეხიერსალური ცნობიერების სფეროა. პირველი ექვსი სახე გახეკუთვნება გონის, სუბიექტის და ობიექტის დამოკიდებულების სფეროს და აქედან გამომდინარე დაკავშირებულია დაბადებასა და სიკვდილთან. მეშვიდე და მერვე საფეხური მოიცავს ცნობიერისა და არაცნობიერის სფეროს და როდესაც მიღწეულია მერვე ცნობიერების მდგომარეობა, აღარ არსებობს სომატური[1] დაბადება და სომატური სიკვდილი.

ძაძენი და სატორი ფსიქიკური და სპირიტუალური პროცესებია, რომლებიც არაცნობიერის სხვადასხვა საფეხურზე ხდება. იასუტანის მიხედვით ძენი ქვეცნობიერს ანუ არაცნობიერს გამოცდილების ორ მთავარ საფეხურად ჰყოფს - მაკიად და ნათელხილვად. მაკიო მოიცავს წარმოდგენებს, ზმანებებს, ფანტაზიებს და საშინელ ურჩხულებს (ზოგ შემთხვევაში), რომლებიც შესაძლოა ძაძენში მოგვევლინონ.

ემპირიული არგუმენტების საფუძველზე, რომლებიც აგრეთვე დაკვირვებებსა და ექსპერიმენტებსაც ემყარება, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მაკიოს ფენომენები პირველ სამ საფეხურზე ვლინდება, ხოლო ნათელხილვა მეოთხე და წმიდან საფეხურებზე ხორციელდება. არაცნობიერის ოთხი საფეხური ძენ-ბუდიზმში შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: 1). ზმანებათა ნაკადი (მოზღვავება); 2). ნევროზი; 3). ისტორიული და სიმბოლური ზმანებანი; 4). ნათელხილვა, რომელიც იშვიათ შემთხვევაში ნირვანაშიც გადადის.

ზმანებათა ნაკადი (მოზღვავება)

როდესაც არაცნობიერის პირველი საფეხური აქტიურდება, ხშირად შეხსიერებიდან ამოტივტივდება უთვალავი, გარეგნულად თითქოსდა უმნიშვნელო ზმანებანი. ამის დასადასტურებლად მოვიტან მაგალითს პირადი განცდის საფუძველზე: ამ ცოტა ხნის წინათ, ძაძენში ინტენსიური ვარჯიშის დროს ზედიზედ თორმეტი საათის განმავლობაში, დილის ხუთი საათიდან საღამოს 5 საათამდე ვხედავდი სასწაულებრივ, უმშვენიერეს ფერადოვან ზმანებებს, უსასრულო ფილმივით რომ გრძელდებოდა ჩემს წინ ასვეტილ შიშველ კედელზე. მაი დაიპყრეს მთელი ჩემი გონება, რის შედეგადაც ჩემი მხედველობის არიდან გაქრა სამედიტაციო დარბაზი და მოსწავლეები, რომლებიც ძაძენში ვარჯიშობდნენ. ჩემ თვალწინ ასახებოდა და ქრებოდა ვარდისფერი აბრეშუმის ქსოვილების, (ქამხა) მწვანე, მოსურათხატებული ხალიჩის, ციხე-კოშკების, ბუდის ოქროს ჭანდაკებების, ბუდის ბიუსტის (ჩემი მასწავლებლის სახე რომ ჰქონდა), მარიამის (ყრმა ქრისტე რომ ეკავა ხელში), მსახიობებით სავსე ხეტის, მწვანე ჯუნგლების (სადაც მაიმუნები როკავდნენ) ხატებანი - ყოველივე ეს გარკვეული იყო პროექტორის სხივის მცირე, მკრთალ ნათელში.

1. სომატური - სხეულთან (და არა ფსიქიკასთან, გონთან) დაკავშირებული სხეულებრივი, მატერიალური.

უჩარმაჩარი, გამოგნებული, თეთრი ემალისაგან გაკეთებული გვიმრის ფოთოლი, ვერცხლისფრად რომ ციმციმებდა, ამეთვისტოთი იყო ინკრუსტირებული. სხეულს ჩოცილებული ვეებერთელა ხელი ველური ქესტიკულაციებს აკეთებდა, შავდებოდა, შემდეგ კი თითოეული თითი ანაზდად ოქროსფრად აუელვარდებოდა ხოლმე. ეს ზღაბრებიანი გინუწყვეტლივ მითამაშებდნენ თვალწინ - რადაც საოცრება ხდებოდა. ეიხილე იგრეთვე პატარა მითიური დრაკონი,რომელმაც ეროხაის ბოლიდ გამოგნა, რადგან ოვი არ ჰგავდა იმას, რაც მანამდე უკვე შენახა, რასაც ახლა ეახსენებდი. მოგვიანებით მისი მნიშვნელობა პიუსტონთან და მასტერსთან შევიცანი.

გონების ამგვარი სულისკვეთება და ირაციონალურში „შექვრეტა" ღრმა, სულის შემძვრელი განცდაა, რამაც ჩემს სხეულს კონვულსიები მოჰგვარა და გულამოსკვნით მატირა რამდენიმე საათის განმავლობაში. ამას შედეგად მოჰ-ყვა დაქანცულობა. მაგრამ აშასთანავე მხიარული განწყობილებაც.

ნევროზი

ილუტანი დაეინებით ურჩევდა დამწყებთ, ვანეცადათ სხვადასხვა ზმანებანი, ფანტაზიები და წინასწარმეტყველებანი ანდა განზრახ შეშფოთებულიყვნენ ხოლმე საშინელებებით, რომლებიც შესაძლოა ამოტივტივდეს არაცნობიერში. მაკითხ ასეთ მდგომარეობაში დაყოვნებამ შესაძლოა დააბრკოლოს შემდგომი წინსვლა. მაგრამ წვრთნა ეფრო მეტი შეუპოვრობით უნდა განვაგრძოთ, რადგან დამტკიცდა, რომ ინტენსიური ძაძენი აჭრობს ნერვიულ მოვლენებს. შეგირდი ეკლავ ისიგრძეგანებს ბაეშვობისდროინდელ ესიამოვნო ამბებს, ანალიზსაც კი უკეთებს მას და ბოლოს ახსნასაც პოულობს. ზოგჯერ მძიმე ნევროზი ფსიქოთერაპიულ მკურნალობას საჭიროებს.

ნათელხილვის მიღწევამდე კარგა ხნით ადრე ძაძენში ვარჯიში ცხოვრებისეულ კრიტიკულ „მომენტში" დახმარებას გაუწევს შეგირდს. მაგალითისათვის : 24 წლის ქალი შობა ღამეს სახლში დაბრუნდა. მამამისმა, რომელთანაც ქალს მუდამ შეხლა-შემოხლა ჰქონდა, წინა ღამეს ბლომად გადაჰკრა. უეცრად მან თავისი ქალიშვილი ტუალეტთან მიიწყვდია, ყელში ხელი წაავლო და გაცოფებულმა ლრიალი დაიწყო, რატომ ცხოვრობ მამაკაცთან, რომელიც შენთან კანონიერ ქორწინებაში არ იმყოფებაო. მანამდე ქალი ზიზღსა და შიშს გრძნობდა მამის მიმართ და ერთთავად უხეშად პასუხობდა ხოლმე. თავისდა გასაკვირად, ქალს უეცრად ძალზე შეებრალა მამა, მშვიდად შეეპასუხა მას და შესაძლო უბედურებაც თავიდან იქნა აცილებული. ამ ქალმა მიაგნო, ძაძენში წვრთნამ განმავითარა ჩვენი, მშვიდად შევხვდე უსიამოვნებებს, რადგან მან (ძაძენმა) სხვისადმი თანაგრძნობა და საკუთარი თავის სიმტკიცე შემძინა. ძენის ცენტრი მრავალ ასეთ ცნობას გვაწვდის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ ურთიერთობათა შესახებ ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს შორის, როცა მათ ნევროზული ანდა სხვა სახის მოშლილობა აწუხებდათ.

როჩესტერის ძენის ცენტრის ახალგაზრდა წევრები თავიანთ სულიერ მასწავლებელს და თვით ძენის დაწესებულებასაც კი უნებურად მშობელი მამის მაგივრ თვლიან. გრძნობის ასეთი „გადატანა" მათ ათავისუფლებს თავიანთი მამისადმი ემოციური დამოკიდებულებისაგან. მრავალი მათგანი ქორწინდება ძენში წვრთნის დროს და ხშირად მშობლის სახეება მეუღლეზე გადააქვთ. ასეთი „გადატანა" კარგად არის ცნობილი აგრეთვე ფროიდის და იუნგის ფსიქოლოგიისათვის.

იუნგმა დაადგინა, რომ ყველა რელიგიას თერაპიული ფუნქცია აქვს. ზოგ შემთხვევაში დასავლელი ძენის მასწავლებელი შეგირდს ურჩევს მიმართოს კომპენტენტურ ფსიქოთერაპევტს, განსაკუთრებით იმ იშვიათ გამონაკლისში, რელიგიური მიმართულება რომ ახასიათებთ.

დასავლეთის სამყაროში ფროიდის ფსიქოლოგიამ, როგორც ჩანს, ყველა რელიგიაში შეაღწია, როგორც ეს ქრისტიანულმა ეკლესიებმა ოც წელიწ-

ადზე მეტი ხნის წინათ დაადგინეს, როდესაც სამღვდელოება და ფსიქოანალიტიკოსები ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ. ფროიდის ქვლევის სფეროს უშუალოდ განეკუთვნებოდა ნევროზი ინდივიდუალურ არაცნობიერში, ანუ არაცნობიერის მეორე საფეხურში. ფროიდის მემკვიდრეებმა მოახდინეს მის შეხედულებათა მოდიფიკაცია. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გამოსულ წიგნში მან ნევროზი ბავშვობაში და ახალგაზრდობაში დათრგუნულ-შეკავებული სექსუალობით ახსნა.

როდესაც ფროიდის პაციენტები ტახტზე იწვნენ, ისინი არამარტო იხსენებდნენ თავიანთ ბავშვობას და ახალგაზრდობას, არამედ ძიდევ ერთხელ აღიდგენდნენ გონებაში მტკივნეულად წარსულ განცდებს, საკუთარ მშობლებთან და და-ძმასთან რომ აკავშირებდათ. იგი განმარტავდა ამ მოგონებებს, როგორც გასაღებს თავიანთი არაცნობიერის შინაარსის მნიშვნელობის ახსნისათვის.

თავისუფალი ასოციაციის მეთხებით არაცნობიერი ცნობიერებაში იქნა გასაგნებული. ფროიდი ამბობდა, რომ ვერბალიზაციისა და გაცნობიერებაგააზრების გზით შესაძლებელი იყო მწვავე ნევროზის განკურნება.

ფროიდის სისტემა მიზნად არ ისახავდა შინაგანი სპირიტუალური განვითარების გააქტიურებას, რომელიც უფრო სიღრმისეულ სფეროებში იღებს სათავეს. მიუხედავად ამისა, მან დასავლური საზოგადოების ყურადღება გაამახვილა ნევროზის არსებობაზე და საშიშროებაზე, რომლისგანაც თანამედროვე ახალგაზრდა უფრო დაუძლეველად შეპყრობილი ჩანს, ვიდრე მანამდე რომელიმე ამერიკული თაობა. მისი ფსიქოანალიზი ნათლად ხსნის მაკიოს იმ ფორმას, რომელიც ძაძენში წვრნის დროს მეორე ანდა ნევროზული საფეხურიდან გამომდინარეობს.

ფროიდის მიმდევრებმა მოახდინეს მისი სექსუალური თეორიების მოდიფიკაცია. ფლანდერს დუნბარი შემდეგნაირად განმარტავს დღეს უკვე გაკრცელებულ თვალსაზრისს ნევროზის მიზეზების შესახებ: „ფსიქოთერაპევტს ადარ უკვირს, როცა ირკვევა, რომ მის პაციენტებზე ბავშვობაშივე აიდეს ხელი მათმა მშობლებმა... მან დაადგინა, რომ უამრავი ფსიქოსომატური ავადმყოფობანი - ალერგიები, ციებ-ცხელება, ასთმა, ეგზემა- მშობელთა სიყვარულს მოკლებულ პირთა ხვედრია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ავადმყოფური მოვლენები ზედმეტი სიყვარულის მიხეზითაც ჩნდება. კანის ავადმყოფობას იწვევს პიროვნების სურვილ-მისწრაფებანი, მიდრეკილებანი და შიში იმისა, რომ მას იმედი გაუცრუვდა და ვერ მიაღწევს თავის საწადელს. ადამიანებს, რომელთაც ნევროზი აწუხებთ, ბავშვობაშივე სურვილ-მისწრაფებანი ამოძრავებდათ რაღაც მოვლენის მიმართ, მაგრამ ამას შემდეგ იმედის გაცრუება მოჰყვა".

თვალების ნაცვლად ამ დროს „ტირის" კანი. ბავშვთა ნევროზს ხშირად მშობელთა სიკვდილი, განშორება და კინკლაობა მოსდევს.

ისტორიული და სიმბოლური ზმანებანი

ამ დროს მოწაფეს მეხსიერებაში ამოუტივტივდება სურათები ისტორიიდან, რომლებიც მას სიმბოლურად წარმოუდგება. მაგალითად, ასე იხილა კაპლიომ ნათელხილვის დროს რომაელი ცენტურიონი (ლეგიონის ნაწილის, ერთ-ერთი სამხედრო ქვეგანაყოფის მეთაური), რომელთანაც მან - როგორც სიმამაცის სიმბოლოსთან - იდენტიფიკაცია მოახდინა, რამაც შემდგომში დიდი სარგებლობა მოუტანა.

არაცნობიერის ოთხი საფეხურის შინაარსი მაინცდამაინც ლოგიკური თანამიმდევრობით როდი ვლინდება. მაგალითად, მე, მეორე საფეხურს „გადავახტი" და პირველ საფეხურზე განხორციელებული გაძლიერებული მცდელობის შემდეგ პირდაპირ მესამე საფეხურში „შევიჭერი". მაშინ 35-ს გადაცილებული ვიყავი. ამ დროს დავინახე ბიბლიური დროის ეგვიპტელთა და ებრაელთა ილუსტრირებული პროექციები... ეგვიპტელები და ებრაელები, ზოლიანი ტანსაცმლით

შემოსილნი, უსასრულო რიგებად გარს შემორტყმოდნენ ჭას და რაღაცის მოლოდინში დაძაბულად შემომცქეროდნენ. მაგრამ რადგან უკვე თითქმის 5 საათი იყო, მალე ვახშმობის მაუწყებელი ზარის რეკვა გაისმა და გაქრა სცენა ჭასთან, რომლის ინტერპრეტირებაც მე ვერ შევძელი.

ძაძენში ხშირად ხდება, რომ როდესაც შესაძე საფეხური თავისუფლდება, რაღაც უჩვეულო ძალები იჩენენ ხოლმე თავს. საერთოდ ძენი და განსაკუთრებით კი როში კაბლიო ყურჩ-ევენ შეგირდებს, თავი მოარიდონ ასეთ ძალებს, ვიდრე ნათელხილვას მიაღწევენ და ზუსტად ეცოდინებათ როგორ და რისთვის გამოიყენებიან ისინი. მახიშდე კი ასეთი ძალები აღქმულ უნდა იქნას როგორც დაბრკოლება ნათელხილვის მიღწევის გზაზე, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ მან შეიძლება დააჩლუნგოს შეგირდის კრიტიკული თვითშეფასების უნარი. ამ შემთხვევაში ეგო მტერია. ბუდა შეგირდებს აფრთხილებდა, რომ არსებობს მაკის დამაბრკოლებელი სახეობა. იასუტანი ამბობს: „ძოწაფეს შეუძლია განავითაროს უნარი „შეიხედოს" მყარ სხეულებში. როდესაც აზრთა ტალღები, რომლებიც ცნობიერების მე-6 საფეხურის ზედაპირზე მატულობენ და კლებულობენ, ნაწილობრივ ცხრება, სპორადულად[1] წარმოიქმნება წარსულ განცდათა ნაშთები, რომლებიც ცნობიერების მე-7 და მე-8 საფეხურს არიან „შეფარებული"... და ადამიანს ანიჭებენ გამთლიანებული ჭეშმარიტების შეგრ-ძნებას... ასეთი ხედვა უოლოდ იმის ნიშანია, რომ შეგირდმა ძენის ერთ-ერთ გადამწყვეტ საფეხურს მიაღწია და თუ ძალები უკიდურესად დაძაბა, შეუძლია განიცადოს ყენშო, რომელიც ნათელხილვის ერთ-ერთი მკრთალად გამოხატული ფორმაა.

ვისუდხიმაგაში, რომელიც ბუდაგოზამ მედიტაციაზე და ცნობიერების მდგომარეობებზე დაწერილი საერთო მონაკვეთების საფუძველზე შეადგინა, აღწერილია ფსიქიკური ძალები, როგორიცაა, წინასწარჭვრეტა, ტელეპათია, წყლის ზედაპირზე სიარული და ა. შ. გოლემანი ბუდაგოზას განხილვის დასასრულს აკეთებს, რომ „დიანგლეტის მეცნიერება ამჟამად ვერ ჭგუობს, ვერ ეთანხმება ცნობიერების ... მდგომარეობების შესაძლებლობას". ... ძენში მოვარჯიშეს, ყოველივე ამის განმცდელს, არ შეუძლია არ განიცადოს ნათი (ამ წოვლენათა) შიშისმომგვრელობა (დროებით) და არაჩვეულებრივობა, მზარდი ინტერესი და გატაცება არ იგრძნოს გაათმაგებული სულიერი და ფიზიკური ძალებისადმი, ძაძენში ვარჯიში რომ ანიჭებს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ არის მეცხიერულად ახსნილი და განზოგადებული (ცხადია, დასავლეთში). ამას წინათ, ძაძენში შეიდდღიანი წვრთნის დროს საოცარი განცდა დამეუფლა. შესაძლოა დამახასიათებელიც იყოს, რომ ეს ფსიქიკური ძალა უშუალოდ რაიმე წინააღმდეგობის ან სიძნელეთა-ბინანიების შედეგად გაჩენილ ძალზე დრმა განცდას მოჰყვა. პირველი სამი დღის განმავლობაში ჩემი გონება რაღაც განუსჯელად ურჩობდა. როდესაც ძენის ცენტრში ვიჯექი, ისეთი გამომეტყველება შჭონდა, თითქოს მთელი ჩემი ყურადღება საკარჯიშოზე მქონდა გამახვილებული, თან გონებასთან შინაგან დიალოგს ვმართავდი: მთელი ჩემი ცხოვრება თავისუფლებისათვის ვიბრძოდი. რატომ ვაძლევ ვიღაც სხვას იმის უფლებას, რომ მითხრას, როდის უნდა ავდგე (დილის 4-ნახევარზე), როდის ვისაუზმო (ორსაათიანი სხდომის შემდეგ), როდის ვიბანაო, რაზე ვიფიქროს? ყოველივე ეს ერთ დროს იმის მიზეზი იყო, რომ მოზარდმა გოგონამ მშობლიური სახლი მივატოვე პროტესტის ნიშნად (მშობლების ნაუთაევები რჩევა-დარიგებების გამო.) ეს იყო მიზეზი იმისა, რომ წლების განმავლობაში ვუმხელდებოდი უჩინარ ზეგავლენას, რასაც საზოგადოება ახდენს ქალებზე მოდით, კონვენციებით და მორალით. რატომ გამოვავლინე ახლა ნებაყოფლობით სკოლის გოგონასავით ასეთი მორჩილება, თანაც იმ სასწავლებელთან დამოკიდებულებაში, სადაც კატეგორიულ მოთხოვნებს გიყენებენ? რა

1. სპორადული - გადანტული, რაც დროდადრო იჩენს (აჭა-იქ) თავს.

სულელი ვარ!

გოხების ასეთი პროტესტის მიუხედავად ადგილიდან არ ავმდგარვარ და ბოლოს ყურადღების მიკრებაც (კონცენტრაცია) შევძელი. თვალს არ ვაცილებდი დაბალ, თეთრ, შიდა გამყოფ კედელს, და ანაზდად დავინახე რამდენიმე ადამიანი - დედაჩემი (რომელიც ცოცხალი აღარ არის), ჩემი ძმა და ახალგაზრდა ქალი- ჩემი მეგობრული მოწიფაალმდეგე. ისინი ყველანი ნალვლიანი, საყვედურის გამომხატველი თვალებით შემომცქეროდნენ. ვიცოდი, რომ მათ ნამდვილ ცხოვრებაში სხვადასხვაგვარი (მართალია, ხშირად არა წინასწარგანზრახვით) წყენა მივაყენე. ანაზდად სიჩუმის ძალზე ძლიერი გრძნობა დამეუფლა და მონანიების ისეთმა ინტენსიურმა სურვილმა შემიპყრო, რომ სხეული ვეღარ დავიმორჩილე - სულ მთლად ავკანკალდი. სულის სიღრმიდან ქვითინი აღმოშხდა. ეს იყო განცდა ჩემი ეგოს ფესვების სულ ერთიანად მოძირკვისა, მთელი სიცოცხლის მახეილზე თანამდევი ილუზიის მსხვრევისა. გრძნობის ამ მოწოლამ (პაროქსიზმი) საათები გასტანა. ცენდოში თავდავიწყებული ვიჯექი, ყველასა და ყველაფრის მიმართ უგრძნობელი. ხუთი საათის შემდეგ ძენის ორი მწვრთნელი მოვიდა და ფეხზე წამომაყენეს. ჩემი სხეული ისეთი მძიმე იყო, ბოლო ფეხები ისე მსუბუქი, რომ სიარული ვეღარ შევძელი. მათ ზემოთ ამიყვანეს და საწოლზე დამაწვინეს. ერთსაათიანი შესვენების შემდეგ ცენდოში დავბრუნდი და ახალი რწმენით შევუდექი ვარჯიშს. როდესაც ოთახის დაბალ, ხის გამყოფ კედელს შევყურებდი, იგი უეცრად თითქოს საუცხოო, მოციმციმე სილურჯედ იქცა, რომლის ქვედა ნაპირი სახოლებით გაესაკროვნებულიყო; ბოლოს კი სქელ, ვერცხლოვან აირისებურ ყინულად იქცა. როცა ეს მეორე დღესაც განმეორდა, იგი აღვიქვი როგორც ფსიქიკური ძალა, რომელსაც რაღაც გამამხნევებელი კი ჰქონდა, მაგრამ ამაზეაც არ ღირდა, რომ მას ჩავბღაუჭებოდი, გამოვდევნებოდი. განცდა იმდენად დამაჯერებელი და სარწმუნო იყო, რომ სრულიადაც არ საჭიროებდა რაციონალურ შტაიცებას. გარდა ამისა, არავის, ვინც კი მონაწილეობას იღებს კონცენტრირებულ რელიგიურ ლონისძიებაში (სეანსში), ძენის ცენტრში სიზმრადაც არ მოუფიქრდებოდა, შეეწყვიტა ანდა შეეწყვეტინებინა წვრთნა ცენდოში მყოფი ლრმოცდაათი ასპირანტისათვის. მას მკაცრად გაიცხავდნენ, ანდა საერთოდ გააბანლურებდნენ სანგხადან.

მონანიების ეს განცდა მივმართე გოგონასადმი, რომელიც ჩემი მეგობრული ნეტოქე იყო. ანაზდად ჩვენ შორის გაქრა ყოველგვარი ლატენტური არაკეთილმოსურნეობა, ორ წელზე მეტ ხანს რომ გრძელდებოდა და შეიქმნა სოლიდური საფუძველი ჰეშმარიტი მეგობრობისათვის. ძაძეხი დამეხმარა იმაში, რის გაკეთებაც მარტოკამ ვერ შევძელი.

ნათელხილვის საფეხური

ძენში მეოთხე საფეხურის გააქტიურება ხშირად იწვევს რელიგიურ განცდას. ინდივიდუუმის სიღრმისეულ ქვეცნობიერს უჩნდება შეგრძნება, რომ იგი ენიჭება „ჰეშმარიტ ცნობიერებას", „უფორმო მეს".

ამის დამადასტურებელი თანამედროვე მაგალითის მოტანა შეიძლება ფილიპ კაპლიოს ნათელხილვის განცდიდან. მან ამის მიაღწია იაპონიის მონასტრებში გაცდილი და გადატანილი ხუთწლიანი შეუპოვარი მცდელობისა და შრომა-ჯაფის შედეგად. ერთ დღეს კაპლიომ პირადი საუბრის დროს იასუტანი-როშისთან - (მის სულიერ მასწავლებელთან) შენიშნა, რომ როში, დარბაზი... ანაზდად სადღესასწაულო სახოლების დამაბრმავებელ სხივებში გაქრა; თვითონ მე საუცხოო, ენით უთქმელმა აღფრთოვანებამ შემიპყრო... წუთიერად მარტო აღმოვჩნდი - სრულიად მარტო. შემდეგ როში შევნიშნე. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ანაზდად ორივეს სიცილი აგვიტყდა... მე შევძახე უფრო საკუთარ თავს, ვიდრე როშის: „ყოველივე ცხადია! უკვე ვიცი! იქ არაფერია, აბსოლუტურად არაფერი. მე ყველაფერი ვარ, და ყველაფერი არაფერია".

მოგვიანებით ძენის ოსტატმა კაპლიოს უთხრა: „თქვენი მოვალეობაა, ძენი დასავლეთს გააცნოთ".

ბუდისტურ, იაპონურ, ჩინურ და სანსკრიტულ ლიტერატურაში

ნათელხილვის პროცესის მრავალი აღწერა გვხვდება. როგორც ჩანს, არაცნობიერის ოთხი საფეხური, ძაძენში და სატორში (ცხადია, თავის ვარიაციებით) რომ უნდა გავიაროთ, ზედმიწევნით ზუსტად არის დიფერენცირებული: არსებობს საფეხური, რომელსაც თან ახლავს უმნიშვნელო ზმანებანი; ნეიროზის საფეხური, ისტორიულ პირთა ანდა გარკვეული მიზანმიმართულებით აღბეჭდილი ისტორიულ და სიმბოლურ ამბავთა საფეხური და ბოლოს ნათელხილვის საფეხური.

ZENI DA C. G. IUNGIS PSIXOLOGIA

ადასტურებს თუ უარყოფს ც. გ. იუნგის ანალიტიკური ფსიქოლოგია ძენ-ბუდიზმის წინამძღვრებს იმის შესახებ, რომ არაცნობიერის ოთხი საფეხური არსებობს? იუნგმა თქვა: „აღმოსავლთში... ამ მხრივ ფილოსოფიუ-რი თეორიები და მეთოდები ისე განვითარდა, რომ ისინი უბრალოდ შეუდარებლად აღემატებიან ყველა მსგავს დასავლურ თეორიულ საწყისებს" (ც.გ. იუნგი, თხზულებათა კრებული, XI ტომი, გვ. 599). აღმოსავლელთა მსგავსად იგიც იმ აზრის იყო, რომ უნივერსალური სული (გონი), თუმცა თვითონ უფორმოა, მაგრამ ყველა ფორმათა პირველწყაროა: როდესაც, აქედან გამომდინარე, ძენში მოვარჯიშეს მრავალი წლის ინტენსიური წვრთნისა და რაციონალური გონის შეუპოვარი გათავისუფლების შემდეგ თვითონ ბუნება პასუხს - ერთადერთ სწორ პასუხს გასცემს - მაშინ ყოველივე, რასაც სატორის შესახებ ამბობენ, გასაგები იქნება" (ც.გ. იუნგი, XI ტომი, გვ. 597). იუნგი გახასხვავებს არაცნობიერის ორ ძირითად სახეს: „პირადი" (ინდივიდუალური) არაცნობიერი (ნეიროზის ადგილსამყოფელი) და „კოლექტიურად" არაცნობიერი, რომელიც შეიცავს აგრეთვე ისტორიულ და სიმბოლურ ზმანებებს (ძენის მე-3 საფეხური) და ნათელხილვის რელიგიურ განცდას (ძენში მე-4 საფეხური).

იუნგი განმარტავს: პირადი არაცნობიერი შეიცავს, მეხსიერებიდან გამქრალ მოგონებებს, „განდევნილ" (განზრახ დავიწყებული) მტანჯველი უსიამოვნო წარმოდგენებს, სუბლიმინალურ შეგრძნებებს, ე.ი. გრძნობად რეცეფციებს, რომლებიც არ იყვნენ საკმარისად ძლიერი, რათა მიეღწიათ ცნობიერებამდე შიდა ფენებისათვის (იუნგი, VII ტომი, გვ. 71).

„ცხადია, ახალგაზრდებისათვის შეიძლება საკმარისიც აღმოჩნდეს წარსულის უსიამოვნო მოგონებათაგან გათავისუფლება (რადგან მათ წინაშე გადაშლილია მიმზიდველი, წარმტაცი მომავალი, რომელიც შესაძლებლობებითაა აღსავსე). ყოველივე სხვას „გააკეთებს" სიცოცხლისადმი სწრაფვა, სიცოცხლის წყურვილი" (ც.გ. იუნგი, ტომი მე-7, გვ. 65). „ახალგაზრდების ნეიროზი წარმოიქმნება, როგორც წესი, ძალაუფლებასთან და რეალობასთან, აგრეთვე დაუკმაყოფილებელ ინფანტილურ განწყობილებასთან შეჯახების შედეგად, რომელსაც მიზეზობრივად ნამდვილი ანდა წარმოსახვითი მშობლებისადმი არაინორმალური, ავადმყოფური დამოკიდებულება ახასიათებს" (ც.გ. იუნგი, მე-7 ტომი, გვ64). „თუ შევძლებთ, ახალგაზრდები წარსულისაგან გავათავისუფლოთ, დავინახავთ, რომ ისინი მშობლისადმი წარმოსახვითობას შესაბამის შემცვლელ პიროვნებებზე გადაიტანენ: დიდის ერთგულების, მოყვარულობის გრძნობა ახლა გადადის ქალზე (ცოლზე), ხოლო მამის ავტორიტეტი იცვლება პატივცემული მასწავლებლის ანდა უფროსის ავტორიტეტით„ (ც.გ. იუნგი, ტომი მე-7, გვ. 65).

საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ იუნგი აღჭურვილებდა ემუშავა თავის პაციენტებთან ღრმა სულიერი სფეროდან გაღვიძებულ, ვიდრე პიროვნულ ანდა ნეიროზულ სფეროში. იგი პაციენტთა სიზმრებს ხსნიდა როგორც ძალზე მნიშვნელოვან შეგზავნას „საკუთარ სამყაროში ნოგზაურობის" ყველა საფეხურზე...

იუნგის ფსიქოთერაპიის უმთავრესი მიზანია არაცნობიერის(ზოგადი და პირადი არაცნობიერის) შიდა, სიღრმისეული არსის, შრის გაძოღვიძება. მან თქვა: „პირადული, პიროვნული შრე მთავრდება უადრეულესი ინფანტილური[1]

1. ინფანტილიზმი - ფსიქიკური განვითარების შეჩერება ბავშვობის საფეხურზე.

გახსენებებით, მოგონებებით... ზოგადი არაცნობიერი კი პირიქით, შეიცავს პრეინფანტილურ დროს, ე.ი. წინაპართა ცხოვრების ნაშთებს..., რომელთა გაშიფვრებისას იღვიძებენ მითოლოგიური გამოსახულებანი, სურათები: არქეტიპები (პირველსახე, პირველადი ნიმუში, პროტოტიპი). ჩვენს წინაშე იხსნება სულიერი შინაგანი სამყარო, რომელზეც მანამდე წარმოდგენაც კი არ გვქონდა..." (ც.გ. იუნგი, მე-7 ტ. გვ. 33-34).

ჩემი ფსიქოლოგიური გამიცდილება მუდამ მარწმუნებდა, მუდამ მიჩვენებდა, რომ ფსიქიკიდან წარმოიქმნება ისეთი შინაარსები, რომლებიც უფრო სრულყოფილია ვიდრე შემეცნება. ისინი ხშირად შეიცავენ საფუძვლიან ანალიზს, წვდომა-ჩაღრმავებას და ცოდნას, რისი გამოვლენაც, წარმოქმნაც შემეცნებას არ ძალუძს. ჩვენ გვაქვს ყოველივე ამის გამომხატველი შესაფერისი სიტყვა: „ინტუიცია" (იუნგი, მე-9 ტომი, გვ.43). „პირიქით, შეძლებისდაგვარად უნდა დავეხმაროთ არაცნობიერს, მიაღწიოს ცნობიერებას, რათა იგი გაათავისუფლოს თავისი „გარინდებული" მდგომარეობიდან. ამისათვის ვიყენებ აგრეთვე აქტიური იმაჟინიზმის მეთოდს, რომელიც გამოიხატება ცნობიერების რელატიური გამორთვის, გამოთიშვის განსაკუთრებულ წვრთნაში, რათა ხელი შევუწყო არაცნობიერი ელემენტების გამოვლენა-განვითარებას" (იუნგი, მე-9 ტომი, გვ.579). იმ ადამიანებში, რომელთაც თვითგანთავისუფლებისათვის, ნათელხილვისათვის არ მიუღწევიათ, მუდმივი კონფლიქტია, წინააღმდეგობებია მათ სხეულსა და სულს, მე-სა და სხვებს, ინდივიდსა და უნივერსუმს, კეთილსა და ბოროტს, გონებასა და ინტუიციას შორის. ყოველი დაბირისპირება, წინააღმდეგობა მორიგებულია, შეთანხმებულია და შეუძლია გახდეს „მთლიანი ადამიანი".

იუნგის თხზულებათა კრებულის 18 ტომი ზემოთქმულის დამადასტურებელ მრავალ ცოცხალ მაგალითს შეიცავს. 50 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ასობით პაციენტთან ურთიერთობაში გამოჰყავდა მას თავისი დასკვნები. მრავალმა მისმა პაციენტმა სრულყო თავისი ინდივიდუუმი, გაითავისა რელიგიური განცდა და საკუთარი თვალებით იხილა სუბიექტური სინათლე, რომლის შეცნობილი ახსნა თვითონ იუნგმაც კი ვერ შეძლო. ეს დღემდე ვერავინ შეძლო. მაგ[illegible] რომ მის პაციენტთა [illegible] სრულად მხოლოდ მაშინ განიკურნა ნევროზისაგან, როცა მათ დიდი სპირიტუალური განცდა დაეუფლათ. სხვა სიტყვებით: როცა მათ ცხოვრებას აღარ წარმართავდა ნევროზული განცდები, ეგოისტური ცხობიერებით რომ იყო გაპირობებული. მის ნაცვლად წინა პლანზე იწევდა გამოღვიძებული ზოგადი არაცნობიერი, რომლის დროსაც ინტუიცია ჰარმონიულად თანამოქმედებდა ცნობიერებასთან უნივერსუმთან დამოკიდებულებაში. იუნგის არაცნობიერის სამი ფენა (შრე), ჰგავს ძენის მე-2, მე-3 და მე-4 ფენას. ანალიტიკოსის გარეშე, რომელმაც თვითგათავისუფლებას, ნათელჩილვას მიაღწია, არ არსებობს გათავისუფლებული, ნათელხილული პაციენტი. იუნგმა თავის ავტობიოგრაფიაში - „გახსენებები, ზმანებები, რეფლექსიები (თვითანალიზი)" აღწერა თავისი საკუთარი შეხვედრები არაცნობიერთან და ნათელხილვა. (1961).

დადგება დღე და, ალბათ, დასავლეთში ინტუიცია ისეთივე მნიშვნელოვნად იქნება მიჩნეული, როგორც გონი. მაგრამ როგორაა ეს შესაძლებელი ფსიქოლოგიაში? ძალზე ხომ არ ჰგავს ერთმანეთს სისტემები, რომელთა დახმარებითაც ძენი, იუნგი, ჰიუსტონი და მასტერსი უკეთილშობილესი ადამიანური შესაძლებლობების განხორციელებას ცდილობენ? ყველა ისინი გვთავაზობენ ადამიანური არაცნობიერის აქტივიზაციის ტექნიკას, რომელიც ადამიანური ფსიქოლოგიის მტკიცე კანონების მიხედვით „მუშაობს". აქ იგულისხმება ცნობიერის ჩახშობა და არაცნობიერის გამოღვიძება, ფიზიკური სამყაროსათვის ყურადღების მიუქცევლობა, მასზე ყურადღების, გონის გაუმახვილებლობა, ეგოს კვდომა, სუბიექტური სინათლის ხილვა, ინდივიდუალური ცნობიერების „შედნობა" უნივერსალურ ცნობიერებასთან (როგორც წესი, მოკლე, არა მუდმივი), ექსტაზი, ინტუიციური ჩაღრმავებანი, სიბრძნე,

იდენტურობა კოლობრიობასთან, და ანის საფუძველზე ბახიათის, ყოფიერების, მნიშვნელობათა და ცხოვრების სტილის ცრასსფორმაციაა.

სწორედ ეს არის თვითგათავისუფლების, ნათელხილვის ყველა სისტემის საბოლოო მიზანი, ძაშინაც, რაც შედეგები შესაძლოა კონტროლირებულიც იყოს. დასკვნა, შედეგები ყველა ამ სისტემაში შეიძლება გარკვეულწილად ერთმანეთს ჰგავდნენ, მაგრამ თვისებრივად, რიგითობით და ხანგრძლივობით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ. სინამდვილე შეიძლება წარმოდგენილ იქნას ექსპლიციტურად (ნათლად, გასაზღვრულად) და იმპლიციტურად (შინაგანად).

დამოკიდებულია თუ არა შედეგები საბოლოო მიზანზე, რაც თვითგათავისუფლებაში, ნათელხილვაში გამოიხატება.

ძენ-ბუდიზმის საბოლოო მიზანი (უინგისა, ჰიუსტონისა და მასტერსისაგან განსხვავებით) გამოიხატება არა ნათელხილვაში, თვითგათავისუფლებაში, არამედ სუფრეილ-მოთხოვნილებაში - საკუთარი ცხოვრება დაუქვემდებაროს, ამსახურეს ამ საყაროს ყველა მგრძნობელ არსებას. ძენისადმი მიძღვნილი ჩანაწერები აღასტურებენ ამას მონასტრებში ძცხოვრები ბერებისა და მონაზონების, აგრეთვე თვითონ ერისკაცების მაგალითზეც. როგორიცაა, მაგალითად, ცნობილი ვიმალაკირტი. არასასულიერო პირები, რომლებიც ძენის სავირჯიში ცენტრებში გადიან წვრთნას, დღეს ამბობენ იმეორებენ ხაუანსა და დიდად გასაკვირად, რომ ახლა ისეთი თავდადებით და ყანგაროებით ემსახურებიან სხვებს, რომ ადრე ეს უბრალოდ შეუძლებლად მიაჩნდათ. არის აგრეთვე ეამრავი ბიოგრაფია, გა ისეთი ადამიანები, რომელთაც სრულ თვითგათავისუფლებას, ნათელხილვას მიაღწიეს, მაგრამ უარს ამბობენ, აკრძალავენ ნირვანას მარადიულ ნეტარებას, რათა სხვებს დაეხმარონ თვითგათავისუფლებაში, ნათელხილვის მიღწევაში.

სხვა სისტემებში თვითგათავისუფლება შეიძლება სრულყოფილი ანდა ზედაპირული იყოს- ეს დამოკიდებულია თვითონ მედიტატორზე. ძენი სრულ თვითგათავისუფლებას, ნათელხილვას ეძიებს - ე.ი. ახლანდელის, ამქვეყნიურ ყოფიერებისა [illegible] მოძალებისაგან გასხვავებულ [illegible] ანის უმაღლესი ცნობიერების მდგომარეობა, რომლის შედეგიც აღარ არსებობს დაბადება და კვდომა. იუნგთან, მასტერსთან ეს სტადია არ მოიხსენიება.

ახლა წმერთნელის, ახალიტიკოსის თუ თანამგზავრის როლი ზეგავლენას შედეგზე? როგორც იუნგი, ასევე ჰიუსტონი მუდმივად გვერდით უდგანან და ეხმარებიან თავიანთ პაციენტებს. ძენი თვითმინდობის და ძალისხმევის მეთოდია. აქ მასწავლებელი ურყევად იცავს პრინციპს, რომ მოსწავლემ პირადი, ეგზისტენციალური გამოცდილებიდან უნდა ისწავლოს. ამიტომ ძენს უდავოდ აქვს საფუძველი ამტკიცოს, რომ მისი მკაცრი მეთოდებისა და თვითდახმარების პრინციპების გამოყენებით უფრო თვითმყოფადი, სრულყოფილი რელიგიური, თავდადებული და უანგარო ცხოვრების წესი, ინტენსიური თანალმობა, თანდაყოლილი სიბრძნის უფრო სრული გამოვლენა და ბოლოს თვითგათავისუფლება - ნეტარება მიიღწევა.

როგორც ჩანს, რაც თვითგათავისუფლებას, ნათელხილვას შეეხება, არაცნობიერის სფეროებში შეჭრის, შეღწევის, ფსიქოლოგიური ხელოვნებისა და მიღწეული შედეგების თვალსაზრისით (ხარისხზე რომ არაფერი ვთქვათ) ძენის, იუნგისა და მასტერსის სისტემებში მრავალი პარალელი არსებობს. განსხვავებულია ხერხები და მეთოდები, ტერმინოლოგია, მიღწეულის ხანგრძლივობა და მინაგანი, ინტუიციური წვდომა. ეს კია, საკუთარ დასავლელ მეცნიერს, რომელიც ეჭვის თვალით უყურებს აღმოსავლურ ძენ-ბუდიზმს, შეუძლია ,,ძაყოფილება და სიმშვიდე დაეუფლოს იმით, რომ ძენის ფსიქოლოგიაში შეხვდება იუნგის, ჰიუსტონის და მასტერსის შესაბამის მსგავს თვალსაზრისებს.

ძენი და ორთოდოქსული დასავლური ფსიქოლოგია

რას იკვლევს ძენის ფსიქოლოგია, მხოლოდ არაცნობიერს, თუ, რადგან ადამიანი მთლიანობაში აინტერესებს, ცნობიერსაც არ უგულებელყოფს და ორივე დაპირისპირებულობის პარმონიულ გაძთლიანებას ისახავს მიზნად? მოკლედ რა დამოკიდებულებაა ძენსა და დასავლური ცნობიერების ორთოდოქსულ ფსიქოლოგიას შორის?

მრავალი სახელმძღვანელო განმარტავს ფსიქოლოგიას,როგორც ცნობიერებისაგან წარმოქმნილ, მისგან გაპირობებულ ადამიანურ ქცევას, ამასთან, ჩვეულებრივ, მხედველობაში მიიღება სამეცნიერო ლაბორატორიებში ჩატარებული ექსპერიმენტები. დღეს კი ფსიქოლოგია გვევლინება ყველა იმ დისციპლინათა გვირგვინად, რომლებიც კავშირში არიან ადამიანური გონის ყველა ასპექტთან - ცნობიერთან და არაცნობიერთან, ნორმალურთან და პათოლოგიურთან. ეს ნიშნავს, რომ იგი იკვლევს და ეხება აგრეთვე ინტეგრირებულ ადამიანს.

ბუდა ამბობს, - „როდესაც რისიმე განსხვავების, გამორჩევის, გარკვევის სულს დაძლევთ, მაშინ თავიდან ავიცილებთ ცდომილებათა მიზეზს." ძაძენის (ძენში წერთნა) მიზანია განმსჯელი გონის, სულის იმმობილიზაცია. მაგრამ ეს აღის შებრკოლების ლოდი, დაუძლეველი განსხვავების მანიშნებელი ძენსა და ორთოდოქსულ ფსიქოლოგიას შორის? ბევრი დამაბნეველი, გაურკვეველი, რასაც ჩვენში ბუდიზმის „ენა" საერთოდ და განსაკუთრებით კი ძენი იწვევს, დაკავშირებულია მხოლოდ თვითგათავისუფლების, ნათელხილვის მოკლე მომენტთან და არა ნათელხილვის შემდეგდროინდელ, მომდევნო წლებთან. ცხადია, ჭეშმარიტებაა, რომ ნათელხილვის მოკლე მომენტის განმავლობაში ცნობიერება გამორთულია. ამ დროს იქ უზარმაზარი, ვეებერთელა არაფერია, სიცარიელე, რაც პარადოქსულად მაინც ყოველივეს შეიცავს. როცა ნათელხილვა, თვითგათავისუფლება ხდება, ადამიანს არა აქვს უნარი დაინახოს, იფიქროს, ილაბარაკოს, იაროს, ანდა იმ ძიებულნის მიმდინარეობისას რაიმე ქნელება განახორციელოს. მაგრამ ეკვე ნათელხილვის ცნობიერების მდგომარეობაში, [illegible] ლვთაებრივი, [illegible] მოჰყვება, მეტიტორი კვლავ იცნობიერებს თავის სხეულს, ნოთხოვნილებებს, საზოგადოებას და თავის დამოკიდებულებას მის მიმართ. განმსჯელი გონება, მართალია, კვლავ „ბრუნდება", მაგრამ უკვე ალარ დომინირებს.

ძენი ეუფლება გონების მთელ სფეროს; ამიტომ განმსჯელი ცნობიერება ნათელმხილველი კაცისა არ შეიძლება გააზრებულ იქნას როგორც თავისი ინტუიციური არაცნობიერისა და ფნიფერსალური სულისაგან (რომელთანაც იგი იდენტიფიცირდება) მოცილებული, მოწყვეტილი რამ. ნათელხილვის შემდეგ გონება ორივესთან თანხმობით „ბუშაობს". სამივე ინდივიდუუმში ინტეგრირდება.

აქ მოკლედ განვიხილავთ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მსგავსებასა და განსხვავებას ძენსა და ორთოდოქსულ ფსიქოლოგიას შორის, სახელდობრ კი ფსიქოლოგიური კვლევის სფეროს იმ ობიექტებს, რომლებიც ბის ბვეშოთ სათაყრების სახითაა მოცემული.

პიროვნება

ცნება - პიროვნება მეცხიერი ფსიქოლოგისათვის ნიშნავს დამახასიათებელ თვისებათა ერთობლიობას, რომლებიც ერთ ინდივიდუუმს მეორისგან განასხვავებს. მიიჩნევენ, რომ ეს თვისებები გაპირობებულია მემკვიდრეობით, თანდაყოლილი უნარით, კულტურული გარემომცველი სამყაროთი და ოჯახში ნასწავლობით (ნორგანი და კინგი).

პიროვნება ადამიანისა, რომელშიც ნათელხილვას მიაღწია, უდავოდ გაპირობებულია აგრეთვე თავისი ინდივიდუალური მემკვიდრეობით, მაგრამ აღიარებულია ისიც, რომ უფრო შთამბეჭდავია ის უნარ-შესაძლებლობები (მაგ.თანალმობა, უანგარობა-თავგანწირვა, სიყვარული), რომლებიც „ძევს" ყოველი

ადამიანის არაცნობიერში. ძაძენში წვრთნით შესაძლებელია „გამოვალვიძოთ“ სასურველნი და დავთრგუნოთ არასასურველნი ადამიანის დამახასიათებელ თვისებათაგან.

ძენ-ბუდიზმი ამტკიცებს, რომ ყოველ ადამიანშია შესაძლებლობა - ნაწილობრივად ან მთლიანად გამოავლინოს თავისი ლატენტური სპირიტუალური ძალები, უხარი.

ეისუდზიმაგაში აღნიშნულია ბუდას სიტყვები: „ნირვანა აშსხვრევს ეგოს დამღუპველ, მავნე მხარეებს: სიძულვილს, სიხარბეს, სხვადასხვა ცდუნებას - მაშინ როცა თხიანი (გარკვეული სახის ჩაღრმავება კონტინუუმში) მათ მხოლოდ „აყუჩებს“... და თხიანის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ქმედებათა გარკვეული სახეები კვლავ შესაძლებელი ხდება, როგორც კი შესაბამისი სიტუაცია შეიქმნება.“ თანდაყოლილი მონაცემები ძენშიც განსაზღვრავენ ნათელმხილველი ადამიანის პიროვნებას. უმაღლესი არაცნობიერისა და მისი ბუდასებრი ბუნების გააქტიურებით ხდება შემოქმედებითი უნარ-შესაძლებლობების გაღრმავება-განვითარება.

ნათელმხილველი ადამიანის პიროვნება შეიძლება (და შეიძლება არა) განსაზღვრული იყოს მისი განათლება-განვითარებით და იმით, რაც მან ოჯახში ისწავლა. რელიგიური ორიენტაციის აღმოსავლეთში ოჯახი და კულტურა შეიძლება სრულიად გადამწყვეტ ფაქტორებად მოგვეევლინონ. და პირიქით, თანამედროვე დასავლეთში, სადაც კულტურულ და ოჯახურ ფასეულობებს მატერიალიზმის , რაციონალიზმის და კონკურენციის ნიშანი აზის, ნათელმხილველ ადამიანს შეუძლია ასეთი ზეგავლენები უარყოს, უკუაგდოს. მას ურჩევნია მიუხდოს, მიეცეს სპირიტუალიზმისა და ინტუიციის სფეროს, იწვრთნას ძენის საზოგადოებაში და სანგხას „ოჯახში“. იმის განცდით, რომ საკუთარი ინტუიციური გონი უნივერსალური სულის ნაწილია, წარმოიქმნება უნივერსალური ადამიანი. იუნგმაც ღაღგინა, რომ არსებობს უნივერსალურობა არაცნობიერის ღრმა შრეებში. მისგან არის წარმოშობილი კაცობრიობის უსასრულო ოცნება უნივერსალურ ძმობაზე, მისგან გამომდინარეობს ყველა ბუდისტის, ძენ-ბუდისტის და სხვათა ოცნება.

ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ

დინამიკა, რომელიც პიროვნების ჩამოყალიბებას იმპულსებს ანიჭებს (ე.ი. დამახასიათებელ თვისებათა მოტივირებული ზეგავლენა პიროვნების სტრუქტურაზე), მთლიანად თვითგამოვლენებულ, ნათელხილულ ადამიანში უანგარობა-თავდადების გრძნობითაა განპირობებული; ორთოდოქსული ფსიქოლოგიის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ეს არის ეგოიზმი და სხვადასხვა ხიშარ-ოვისებათა სიჭარბე, რაც ძალუმად ახასიათებს ჩვეულებრივ ადამიანს. ჩვენი დასავლური ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ ეგო, აგრესია და კონკურენცია პროგრესის აუცილებელი წინაპირობებია. ყოველი ადამიანი, რომელმაც ნახა, თუ როგორ მიისწრაფის ძენის ჯგუფი საერთო მიზნისაკენ, რწმუნდება, რომ ერთობლივ მუშაობას და უანგარიშო-თავდადებას საოცარი შედეგების ბოტახა შეუძლია.

გრძნობიერების სფეროში ადვილად შეინიშნება განსხვავებანი და ანალოგიები ჩვეულებრივსა და ძენში მოვარჯიშე ადამიანებს შორის. ცხადია, ემოციები მრავალმხრივ ახიჭებენ იმპულსებს ადამიანს ცხოვრებაში. დღეს ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ „ემოციური რეაქციები სწავლითაა შეძენილი და ფსიქოთერაპიაში მათ მოდიფიცირებას ცდილობენ“ (ტარტი,1973).

ძენიც აგრეთვე ცდილობს არასასურველი ემოციების - იქნება ეს მეგკვიდრეობითი, შეძენილი თუ სხვა მხრივ კაპირობებული - შემცირებას და ლიკვიდირებას. როგორც ბუდიზმი ასწავლის, თავკერძოებას. სიძულვილს, ბოღმას, შიშს და სხვა, თავიანთი ფესვები აქვთ გადგმული თავის მოტყუებაში (ილუზია), ეგოს სურვილებში; რა დაუჯერებლადაც არ უნდა ეჩვენებოდეს თვითონ დამწყებს, ძაძენში ხანგრძლივი წვრთნისას თანდათანობით მცირდება არასასურველი ემოციები, რომლებიც

საბოლოოდ ქრება ნათელხილვის, თვითგათავისუფლების დროს. წინააღმდეგობები ქრება, თავის თავის სიყვარული იქცევა უანგარობად, სიძულვილი სიყვარულად - როგორც თავიანთ დიდად გასაკვირად აღიარებენ ხოლმე წინანდელი დაშწყებნი - თვით არაკეთილმოსურნეთა მიმართაც კი.

პარადოქსულობას ძენისა, რომელსაც პარადოქსები უყვარს, უნდა მიეკუთვნოს ის, რომ ძენის ოსტატები ზოგჯერ შეიძლება გააფთრებამ, გაშმაგებამ შეიპყროს. ამ შოკის წყალობით მოსწავლე თავის ბურუსით მოცული, გაურკვეველი ცნობიერების მდგომარეობიდან შეიძლება ერთბაშად ნათელხილვაში აღმოჩნდეს, „გადავარდეს". მუდმივით ძაძენით ქრება ყოველგვარი შიში, რადგან მოსწავლე გულდაჯერებით, მშვიდად გრძნობს თავს უნივერსუმში და მზად არის დაძლიოს ნებისმიერი სიძნელე. ვნებათა ღელვა, ტანჯვა-ტკივილები არ ქრება, მაგრამ დაძლეულია კი. ბუდისტურ ლიტერატურაში მრავლად მოიპოვება ემოციათა, შეგრძნებათა ტრანსფორმაციის მაგალითები. ძენის ცენტრში მოვარჯიშე მოსწავლეთათვის ეს უშუალოდ, პირადი განცდის საფუძველზე ხდება ცხადი. როგორც ეს უშუალო განცდა-გამოცდილებიდან ჩანს, ყველა ეს ფენომენი განეკუთვნება „ჭეშმარიტი მე-ს" და დხარმას უშინაგნეს, უსიღრმისეულეს ნატურას.

ფსიქოლოგებმა და ფსიქიატრებმა დაადგინეს, რომ ემოციები ფიზიკურ ცვლილებებს იწვევენ ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაში და მის ორ მთავარ განტოტვილებაში - პარასიმპატიკუსში და სიმპატიკუსში. „ქრონიკულ სულიერ განცდებს, ემოციებს შეუძლიათ გამოიწვიონ ფსიქომატური დაავადებები, როგორიცაა, მაღალი წნევა, კუჭის წყლული, ასთმა, კანის ავადმყოფობები და სხვა (მორგანი და კინგი, 1956, გვ.266).

სულის, გონების ზემოქმედება სხეულზე ცხადყოფს, თუ რატომ მიიჩნევენ ძაძენს ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და მასტიმულირებელ დისციპლინად.

მოტივაცია, მოთხოვნილებები, თამაში (ვარჯიში)

თვითგათავისუფლებული, ნათელმხილველი ადამიანის მიზანი სხვებთან შეჯიბრება და კონკურენცია [illegible] არამედ უფრო მაღალი [illegible] და ცნობიერების მდგომარეობის და პარმონიის მიღწევა. „არ უნდა ვილაპარაკოთ სხვათა ცოდვებზე და ავკაცობებზე". - ეს ერთ-ერთი მცნებაა ძენის წევრთათვის. პარვარდის ცხრილში ასე წერია: „თავისუფალი დრო სპორტს, თამაშებს და მეგობრებთან ურთიერთობას დაუთმეთ". ძენში თამაშის მთავარ მნიშვნელობას შემდეგნაირად განმარტავენ რეიკეიკი კიტა (იაპონიის პარლამენტის წევრი) და კიიჩი ნაგაია (ძენის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა დღევანდელ იაპონიაში) თავიანთ სამეცნიერო ნაშრომში: ალტრუიზმი ძენში: „როდესაც უტილიტარული აზროვნება... დაძლეულია, მაშინ ყოველი მოქმედება, სრულ თანხმობაშია უნივერსალურ კანონთან „დხარმა" და მაშინ თავს იჩენს სამადლიდ წოდებული ბუნებრივი, თავისუფალი კონცენტრაცია, რომლის მეოხებითაც ყოველგვარი საქმიანობა თამაშივით ადვილი და უბრალოა" (1954,გვ.135). სხვა სიტყვებით: განვითარების გარკვეულ სტადიაში ადამიანისათვის თვით მძიმე სამუშაოც კი თამაშივით იოლია, ხოლო შემოქმედებითი მუშაობა მით უფრო. ვინც ამას გამოსცდის, მისთვის ამგვარი ფენომენი მართლაც რომ საოცრების ტოლფარდია. იმას, რაც მძიმე სამუშაო უნდა ყოფილიყო, იგი (ეს ფენომენი) დაუჯერებელ მომჩიბველელობას, ჰაეროვნებას ანიჭებს. რამდენიმე საათის შემდეგ ადამიანი მსუბუქად, ბედნიერად, დხარმასთან შეთანხმებულად გრძნობს თავს, თითქოს ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულია და ყოველგვარი პრობლემა გადაჭრილიაო. ეს დიდებული, ნეტარი განცდა რამდენიმე საათი გრძელდება. არსებობს მოტივაციის მრავალი თეორია. ერთ-ერთი მათგანი ცხადყოფს, რომ ჩვენი პიროვნება ჩვენივე მოთხოვნილებებითაა მოტივირებული. აბრამ მასლოვს ეკუთვნის ასეთი თეორია. ეს

ორთოდოქსული ფსიქოლოგიისა და ფსიქოანალიზისაგან წარმომდგარი ფსიქოლოგია ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიური მიმართულების ერთ-ერთ მთავარ სტიმულატორად და პროპაგანდის საშუალებად იქცა ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავის თხზულებაში „მოტივაცია და პიროვნება" იგი ადგენს ძირითად ადამიანურ მოთხოვნილებათა რანგ-ლისტს: „1).ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი, 2)...უხიფათობა-უშიშროების, გარანტიის მოთხოვნილება, 3).საზოგადოებრივი ანუ ადამიანთაშორისი მოთხოვნილებანი, 4)....ყურადღების, თვითყურადღების, თვითპატივისცემის მოთხოვნილება, 5)....თვითგამოვლენისუფლების, ნათელხილვის მოთხოვნილება" (პეტერმანის მიხედვითაა ციტირებული, 1972,გვ.72). იგი მიიჩნევდა, რომ მაღალ მოთხოვნილებებს კაცი ჯეროვნად თავს ვერ გაართმევს, ვიდრე დაკმაყოფილებული არ იქნება უფრო დაბალი მოთხოვნილებები. ეს უდავოდ მრავალ ადამიანს ეხება. მაგრამ მონასტერში წვრთნის ანდა ძენის ცენტრში ინტენსიური ვარჯიშის დროს შესაძლოა ადამიანმა ხანგრძლივი დროის მანძილზე სრულიად საწინააღმდეგო განიცადოს. ადამიანის მოთხოვნილება, განახორციელოს თავისი რელიგიური მოთხოვნილებანი, შეიძლება ისეთი მწვავე, აუცილებელი გახდეს, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში სხვა მოთხოვნილებებზე (შიმშილზე, წყურვილზე, სექსუალურობაზე, ძილზე და სხვა) უფრო მაღლა დადგეს და მეტი მნიშვნელობა იქონიოს.

სწავლა

სწავლის სფეროში შედარება ორთოდოქსულ ფსიქოლოგიასა და სპირიტუალურ ფსიქოლოგიას შორის კიდევ უთრო გაურკვევლობასთანაა დაკავშირებული, ვიდრე სხვა ასპექტებში. არიან ძაძენი და ნათელხილვა სწავლის ფორმები? თუ მისი ფუნქცია მხოლოდ იმაში გამოიხატება (როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ ბუდისტები), რომ ადამიანური თავდაპირველი, საწყისი ბუნება გახსნას, მიაკვლიოს რომელიც მართალია, არსებობს, მაგრამ ინტელექტუალობის მტვრითაა დაფარული? რა იგულისხმება „შესწავლაში"? რატომ განსხვავდებიან ასე ძალიან საგნები ერთმანეთისაგან, [illegible] „შეისწავლება"? ეიხსნება ეს იმით, რომ სასწავლო პროცესები გონებისა და ტვინის სხვადასხვა სფეროებში მიმდინარეობს? სასწავლო პროცესი ცნობიერში ხდება თუ არაცნობიერის სფეროში? ვიდრე ამ საკითხებს მეცნიერება არ გაარკვევს, მანამდე ძნელი იქნება სასწავლო პროცესის მეცნიერული გააზრება ისე, როგორც ამას ძენი გულისხმობს. მეცნიერმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს სამი სასწავლო პროცესი: კლასიკური კონდიციონირება, ინსტრუმენტული კონდიციონირება და რეცეპტული სწავლა.

ინსტრუმენტული სწავლის პროცესში „მოსწავლე მოტივირებულია გარკვეული მიზნით, რასაც საერთოდ შედეგად მოჰ-ყვება ცოდნის წყურვილის გაძლიერება (აქტივიზაცია). ამგვარი აქტივიზაციის დროს წარმოიქმნება რეაქცია, რომელიც ხელს უწყობს დასახული მიზნის მიღწევას (მორგანი და კინგი, 1956,გვ.90). ეს რეაქცია „ინსტრუმენტულია", რადგან იგი სტიმულატორის როლს ასრულებს. სწავლის ინსტრუმენტულ პროცესში ძენში პრაქტიკულ განხორციელებას პოულობს ძაძენის საგარჯიშო, რომლის მიზანი ნათელხილვაა და რომელიც ზეგავლენას ახდენს სამადხის ცნობიერების მდგომარეობაზე, რაც ნათელხილვის მომაახლოვებელია. ეს რეაქცია მიზნის მიღწევის სტიმულატორია. ძაძენში გამოიყენება აგრეთვე მესამე პროცესი - რეცეპტული სწავლა. ამ კატეგორიაზე ფსიქოლოგები სხვადასხვა აზრისანი[illegible] ერთ-ერთი მათი თეორიული საწყისთაგანია ასოციაციის თეორია, რომელშიც გამოიყენება კოგნიტიური გეოგრაფიული რუკა.

გეშტალტფსიქოლოგები კი რეცეპტულ სწავლებას განიხილავენ როგორც ალქმის სფეროს გარდაქმნას, რომელიც რელატიურად მეყსეული ჩალრმავების, წვდომის მსგავსი მოვლენაა. ნათელხილვის მომენტი ისე უეცრად,მოულოდნელად

დგება, როგორც ინტუიციური წვდომა, ჩაღრმავება, რომელიც მას (ნათელხილვას) წინ უძღვის ან თანსდევს.

„ასეთი უეცარი, მეყსეული გადაწყვეტანი, მიგნებანი ახასიათებს ისეთ ორგანიზმებს, რომელთაც წინათ არ აკლდათ სწავლა და წვრთნა, რომელთაც ქმედითი აღქმის უნარი გააჩნიათ. ძენში უეცარი ნათელხილვის მიღწევას წინ უძღვის შეუპოვარი ვარჯიშები, რომლებიც წლების მანძილზე იხვეწებოდა“ (მორგანი და კინგი, 1956,გვ. 110-111).

მაგალითად, ნათელხილვის, თვითგათავისუფლებისადმი სწრაფვა-მოთხოვნილება ძალზე ძლიერი მოტივია ძაძენის რთული მეთოდის შესასწავლად. როგორც დასტურდება ძაძენის თვალსაზრისი უფრო სრულად ეთანხმება და ემთხვევა ფსიქოლოგების მიერ დამუშავებულ სწავლა-ათვისების მეთოდებს, ვიდრე სწავლის სამ თეორიას. იმის შინაარსი, რაც ძენით ისწავლება, საგრძნობლად განსხვავდება იმისგან, რაზეც ფსიქოლოგები ბჭობდნენ და დისკუსიებს მართავენ ხოლმე.

ამ ოთხი მეთოდის არსი შემდეგში გამოიხატება:

1. წვრთნის განაწილება.

ძენში უკვე დიდი ხანია დადასტურდა, რომ ძაძენში წვრთნის მოკლე პერიოდების სიწყნარის მოკლე პერიოდებით, ანდა მუშაობისას წარმოებული ძაძენით შენაცვლება სწავლის ინტენსივობას აპირობებს.

2. შედეგების, დასკვნების მიკვლევა.

მეცნიერ-ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ადამიანმა იდეალურ შემთხვევაში უშუალოდ ყოველი ცდის ჩატარების შემდეგ ზუსტად უნდა იცოდეს, თუ როგორ გაართვა თავი საქმეს, ამოცანას. ძაძენის დროს ხშირად ითქოს არაფერი ხდება ისეთი, რომლის მიხედვითაც კაცი მიღწეულ დონეს, განვლილ საფეხურს გაზომავდა და შეაფასებდა. მაგრამ ძაძენის დროს ასპირანტს (ე.ი. ვინც ძაძენში იწვრთნება) ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთი უპირატესობები ეძლევა, რომელთაც იგი შესაძლოა მათ მიზეზს - ძაძენს არ უკავშირებს.

3. კონტროვერსია - სწავლა კითხვის საშუალებით და სწავლა დეკლამაციის მეთხებით. ოთხი აღქმის წარმოქმნისა და სიტყვების მლერისას, რაც საუცხოოდ ზემოქმედებს შესაბამის მდგომარეობაზე, ძენ-ბუდიზმმა აღმოაჩინა, რომ აქტიური გამომეტყველებიდან კითხვა უფრო ეფექტურია, ვიდრე ბენეტონური კითხვა. ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც უფრო ადვილად სწავლობენ კითხვის საშუალებით, ვიდრე მოსმენით. მაგალითად, ბუდისტები ძენის ცენტრში მასწავლებლის წაკითხვას ამჯობინებენ სუტრების საკუთრივ კითხვას და კომენტარებს.

4. მთლიანი სწავლა, ვიდრე თანდათანობით სწავლა. ძენი აქ არჩევანს არ გვთავაზობს. წესია, რომ სწავლა ხორციელდება გამოცდილების საფუძველზე და არა თეორიულად. ეს იწვევს სწავლის განაწილებას იმ მეთოდის მიხედვით, რომელსაც თავიდან ზოგჯერ ეწინააღმდეგებიან ხოლმე მეცნიერები. ისინი ამჯობინებდნენ შეესწავლათ ძენის ზოგადი ფილოსოფია, ვიდრე ძაძენში შეუდგებოდნენ წვრთნას. ძაძენისა და სატირის საშუალებით ბოლოს ყოველივე ემპირიულად ცხადი, თვალნათლივი უნდა გახდეს. სწავლის დროს ტეისხო და დოკუსანი, ისევე როგორც სუტრების შტუდირება, მეორეხარისხოვან როლს თამაშობს.

ქავშირი გონსა და სხეულს შორის

ბიოლოგიური განხრის ფსიქოლოგია იკვლევს კავშირს სხეულსა, გონსა და განცდას შორის. მეცნიერული ექსპერიმენტების წყალობით მიკვლეულ იქნა უადრესად რიული ენთიერთდამოკიდებულებანი (კორელაცია) გონსა და სხეულს შორის (მაგალითად, ფსიქოსომატური დაავადებისას). ძაძენი ის დისციპლინაა, რომელიც იკვლევს სხეულსა და გონს, რომლის დროსაც ხდება ორივე მათგანის დახვეწა, სრულყოფა, რის მიზანიც „ბუდას ბილიკზე“ დაყენებაა. ძენ-ბუდისტების გამოცდილებამ ცხადყო, რომ ძაძენში ვარჯიშით თანდათანობით მსუბუქდება და ბოლოს კი საბოლოოდ იკურნება ფსიქოსომატური დაავადებანი და ნევროზები. გარდა ამისა, სხეულს

ენიჭება უმაგალითო ენერგია (ამის საუცხოო მაგალითს იაპონელი ძენ-ბუდისტი პაკუინი გვიჩვენებს). მიდუნებული, დაიშვიდებული (ნერვებგაწონასწორებული), მაგრამ გაძართული. წელმოუხრელი სხეული გონებას აფხიზლებს. როდესაც წვრთნის დროს დაღლილობა და უძილობა ცნობიერების გავლენას ასუსტებს, ეს ჩვენი ნამდვილი შინაგანი ბუნების გამოღვიძებას, აღდგენას უწყობს ხელს. სხეულისა და გონების ურთიერთმოქმედება ძალუმად იჩენს თავს ყველა შეცვლილ ცნობიერების მდგომარეობებში.

ფსიქოპათოლოგია

ორთოდოქსულმა ფსიქოლოგიამ, ფსიქოანალიზმმა და ფსიქიატრიამ მოგვცეს შესანიშნავი ანალიზი ისეთი პათოლოგიური მოვლენებისა, როგორებიცაა ნევროზი და ფსიქოზი. ძენ-ბუდიზმი გარკვეულწილად, უეჭველად დაეთანხმებოდა ბირველწყაროსა და ბუნების, არსის ანალიზებს ისეთი ნევროზული სიმპტომებისა, როგორებიცაა შიში, დაცვითი მექანიზმები, დეპრესია, სოციალური დამნაშავეობა, დარღვეული, არასწორი სექსუალური დამოკიდებულება, შეუწყობლობა-შეუთანხმებლობა ადამიანთან, სხვადასხვა სახის ვნება-ნანია და სხვა. მაგრამ ძაძენის ზეგავლენა ნევროზზე სულ სხვანაირია, ვიდრე ფსიქოანალიზისა. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ორთოდოქსული ფსიქოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოქმედ ეგოს და წინა პლანზე წამოსწევს პიროვნულ მეს. მედიტაცია კი პირიქით, აქცენტს აკეთებს და მიზნად ისახავს ეგოს მოსპობას და ტრანსცენდირებას (ვაიდე, 1973,გვ. 13). ძენის თანახმად, ძაძენში წვრთნის მეოხებით ადამიანი აძსუბუქებს, ამცირებს და ბოლოს მთლიანად ალევს ნევროზულ მდგომარეობებს. ძენის მიხედვით ადამიანი არა მხოლოდ უნდა თავისუფლდებოდეს ნევროზისაგან, არამედ მას აგრეთვე უნდა უაქტიურდებოდეს ჯერ კიდევ გამოუვლენი შინაგანი სულიერი შრეები და ბოლოს უერთდებოდეს და ერწყმოდეს უნივერსალურ ცნობიერებას. ისე ჩანს, თითქოს დასავლეთში ფართოდ გავრცელებულმა ნევროზმა გამოიწვია ის, რომ ამერიკაში შეამოწმონ და ეაიდგინონ, თუ რამდენად არიან ერთმანეთთან ერთიანებული ფსიქოანალიზი და ძენის [illegible] დაადგინა, რომ [illegible] ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო სრული ინდივიდუალიზაცია, ვიდრე რელიგიური განცდა დაეუფლებოდა.

თუმცა ვაიდე აშბობს, რომ „ადამიანებს შეუძლიათ განიხორციელონ ტრანსპერსონალური განცდა პათოლოგიური მდგომარეობის ყოველ ფაზაში... ადამიანს, რომელსაც „მისტიური გამოცდილება" აქვს, შესაძლოა ნევროზი ჰქონდეს... ტრანსპერსონალური განცდა, გამოცდილება ხშირად გადადის თავის მოტყუებაში, ილუზიაში... ფსიქოზის ყოველ საფეხურზე (ვაიდე, 1973, გვ.8). მაგრამ ვაიდე როდი ამტკიცებს, რომ პათოლოგიურ მდგომარეობაში შესაძლებელი იყოს სრული თვითგანთავისუფლება, ნათელხილვა. არაცნობიერის ლაბირინთისებური გზები - არის იგი ნორმალური თუ პათოლოგიური - დამახასიათებელია როგორც ფსიქოლოგიისათვის ასევე ძენ-ბუდიზმისათვის - ძენის მისწავლებელი გულდასმით შეამოწმებს ყოველ ადამიანს, ვინც ცდილობს გაბედს ბუდისტური კავშირის წევრი (აქვს თუ არა მას რაიმე ისეთი ფსიქოგენური დაავადება და ფსიქოზი, რომლის განსაკურნავად ძენ-ბუდიზმი მზად არ არის), და თუ ასეთი აღმოჩნდა, მას თავის წევრად არ მიიღებს. თუმცა ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი, რომელსაც ნერვული მოშლილობა, სულიერი დარღვევები აწუხებს და ამაოდ ცდილობს და შვება-სიმშვიდე ჰპოვოს ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღებით, ძალდატანებით, ან კიდევ ფსიქოანალიზის დახმარებით, ხსნას ძენისაგან ელოდეს. ისინი არა მხოლოდ ცდილობენ გათავისუფლდნენ ნევროზისაგან, არამედ სურთ აგრეთვე ეზიარონ სპირიტუალურ განცდებს.

ძენი, მართალია, ყველა სულიერ მდგომარეობას, რომელსაც „ნათელხილვა" არ სწვევია და არ განუცდია, მაკიოდ მიიჩნევს,მაგრამ არსებობს მაკიოს

სხვადასხვა სახეები. როდესაც ნეიროზული მოშლილობა სერიოზულია, ყოველ კომპეტენტურ ძენის მასწავლებელს შეუძლია ფსიქოთერაპიას მიმართოს. გააზრებული ძაძენი აქტიურებს ადამიანის ნევროტიკულ ფენებს, შრეებს. ამის შედეგად მას შეუძლია კვლავ განიცადოს ბავშვობის შთაბეჭდილებები და ძაძენის ანდა ნათელხილვის დროს მიხვდეს, აღმოაჩინოს, როგორ გაკეთდეს ეს.

ჩვენს საზოგადოებაში ჩვეულებრივი, ნათელხილვას, ჭეშმარიტებას არხაზიარები ადამიანი „ნორმალურად" ითვლება; ხოლო ნევროტიკი და ფსიქოტიკი და ზოგჯერ ნათელხილვას ნაზიარებიც „არანორმალურად". ძენისათვის ყველა ის ადამიანი, ვინც თვითგათავისუფლებას, ნათელხილვას არ ზიარებია, „არანორმალურად" ითვლება.

ნორმალური ადამიანი, გვმოძღვრავს ძენი, არის ის, ვინც განახორციელა, აღადგინა, შეიცნო თავისი თავდაპირველი ბუნება, არსი, პირველწყარო, ვინც გახდა ის, რისთვისაც დაიბადა – ბუნებრივი ქმნილება, არსება; მან არასწორი აღზრდა მიიღო, მაგრამ ინსტინქტურად ისწრაფვის იმისაკენ, რომ იცოცხლოს ტაო-სთან - უკანასკნელ ჭეშმარიტებასთან თანხმობით, მის შესაბამისად.

გრძნობადი და არაგრძნობადი აღქმა

„აღქმა კავშირშია, შეხამებულია უშუალო განცდა-გამოცდილების სამყაროსთან - სამყაროსთან, როგორც მას ადამიანი დაიხახავს. მოისმენს, შეიგრძნობს, შეიგსებაოს, განიცდის" (მოგენსენი და კინგი, 1956,გვ.367). ამ დეფინიციას გვთავაზობს ორთოდოქსული ფსიქოლოგია.

ძაძენს კი შეუძლია შეცვალოს გრძნობადი აღქმა. ძაძენის დროს ჩდება გრძნობადი შთაბეჭდილებების (რასაც მოსდევს კონცენტრაციის შესუსტება) შემცირება; მიუხედავად ამისა, მედიტაციის დროს შესაძლოა ეს შეგრძნებები კიდევ უფრო მძაფრად წარმოჩნდეს.

არისტოტელე ამბობდა, რომ ხელოვნების მთავარი დანიშნულებაა განწმენდა. მართლაც ძენის ასპირანტის გრძნობად რეაგციას შეიძლება ისეთი განმასპეტაკებელი ზეგავლენა მიეხიჭოს ხელოვნების ან ბუნების სილამაზით, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყოს სულიერი განვითარების ბილიკზე. მაგრამ რა პარადოქსულიც არ უნდა ეთქვათ, რაც უფრო იზრდება გრძნობადი შთაბეჭდილებები, მით უფრო მცირდება მათი მნიშვნელობა. ცნობიერების მდგომარეობის მერვე საფეხურზე „არც აღქმაა და არც არააღქმა". განვითარებულ ცნობიერების მდგომარეობებში შესაძლოა უნებურად იჩინოს თავი არაგრძნობადმა აღქმამ. ფაროოდ არის ცნობილი ტელეპატია, წინასწარგანჭვრეტა, წინასწარშეტყველება და სხვა უნარ-შესაძლებლობები.

ძენი ურჩევს ასპირანტებს არ გამოიყენონ, არ მიმართონ ამ საშუალებებს, რადგან ეს აფერხებს მათ სულიერ განვითარებას, რადგან ხდება კონცენტრაციის გადატანა სხვა, არაძირითად საგანზე. ზოგჯერ ზემოჩამოთვლილი უნარები შეიძლება გააჩნდეს აგრეთვე ყოველდ ჩვეულებრივ (ე.ი. ვინც ნათელხილვას არ ზიარებია) ხალხსაც.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ჩვეულებრივი ადამიანი სამყაროს თავისი შეგრძნებებით აღიქვამს და მის მიხედვით იქცევა. ხოლო ადამიანი, რომელმაც სრულად გაიაზრა საკუთარი თავი, იცილებს გრძნობად შთაბეჭდილებებს. იგი ინტუიციურად წვდება, აღიქვამს ჭეშმარიტებას, როგორც ერთადერთ ნამდვილ სამყაროს, ჰარმონიაშია მასთან და სცილდება არანამდვილი სამყაროს მოვლენებს. მისი მოქმედება, საქციელი, თუ ჩვენი ჩვეულებების მიხედვით გავსაზღვრავთ, უცნაურად მოგვეჩვენება.

საზოგადოებრივი კავშირ-დამოკიდებულებანი

ტრადიციული ფსიქოლოგია იკვლევს იმ თითქმის დაუძლეველ ზეგავლენას, რასაც ჩვეულებრივ ადამიანზე (ე.ი. ვინც ჯერ ნათელხილვას არ არის ნაზიარები) ახდენენ სხვადასხვა სოციალური დამოკიდებულებანი (იგულისხმება ადამიანის კავშირ-დამოკიდებულება ჭეშმარიტებისადმი,

მისნაირი, მისი მსგავსი ადამიანებისადმი, მასწავლებლებისადმი და სხვ.). ძენი გვასწავლის, რომ ადამიანის ყოფაქცევა, ინდივიდუალობა უნდა განისაზღვრებოდეს არა რომელიმე არასპირიტუალური ჯგუფის მნიშვნელობით თუ აუცილებლობა-ვალდებულებით, არამედ უპირატესწილად ადამიანის სრული პიროვნული ქმედითობით. ბუდა გვასწავლის, რომ ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიცაა სიყვარული და თანალმობა, სიბრძნე და უანგარობა, კაცობრიობას თანდაყოლილი აქვს.

აღმოსავლეთში არსებობს ნათელხილვის საყოველთაოდ აღიარებული ტრადიცია. დასავლურ კულტურაში ეს არ არსებობს. ამიტომ კრიტიკოსებისა და მეგობრების მიერ, რომელნიც ძენის ასპირანტის იდეალებისადმი გაგებას ვერ ავლენენ, ეს ტრადიცია ჯეროვნად და სიღრმისეულად ვერ ფასდება. მეგობრებს და ნათესავებს, რა ძალიანაც არ უნდა უყვარდეთ იგი (ასპირანტი), მისი ყურადღება წვრთნიდან სხვა რამეზე გადააქვთ. მაგრამ სანგხაში იგი ყოველთვის პოულობს სულიერ თანამზრახველებს. აშკარაა, რომ ახალგაზრდა თაობას უაღრესად დიდი მოთხოვნილება აქვს ბუნებრივი, უბრალო და სპირიტუალური ცხოვრებისადმი. მათ ურჩევნიათ დაემორჩილონ, მისდიონ კოსმოსისა და თავიანთი შინაგანი ბუნების კანონებს, ვიდრე ადამიანთა მიერ შექმნილ ხელოვნურ წესებს და ეგოზე დაფუძნებულ მსოფლმხედველობრივ მრწამსს.

სულიერი პროცესები

ძენს სწამს, რომ ცოდნის ჭეშმარიტების გზისკენ არა მხოლოდ ინტელექტს,არამედ უპირველეს ყოვლისა ინტუიციას მივყავართ. როდესაც არაცნობიერი გაიღვიძებს, იგი ცნობიერებას სურათების, გამოსახულებების „ენაზე ელაპარაკება". მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას, როგორც ჰორგანი და კინგი ამტკიცებენ (1956,გვ.197), არასოდეს განუცდია აიდეტური გამოსახულებების ძალა. მაგრამ ფსიქედელური დროებების მეოხებით ჰიუსტონის და მასტერსის ცდის პირებმა ამგვარ გამოსახულებათა ნამდვილი შტურმი განიცადეს. ძენში ინტენსიური წვრთნის დროს, ახდენს რა ღრმა კონცენტრაციას, ადამიანს შეუძლია „ნახოს" მრავალი სურათი, როგორც აიდეტური, ასევე [illegible] ადამე დაწოლის შემდეგ იგი შეიძლება დატანჯოს ჰიპნაგოგიურმა, ხოლო პირველივე გაღვიძებისას ჰიპნოპომპურმა გამოსახულებებმა. ამგვარად სურათ-გამოსახულებათა წარმოშობის წყარო, როგორც ჩანს, უცნობია.

თვითგათავისუფლების, ნათელხილვის ბილიკზე შეიძლება მრავალი სურათი წარმოჩნდეს, მოგვევლინოს, მაგრამ თვითონ ნათელხილვისას არსებობს მხოლოდ სრული სიცარიელე, დაცარიელება, ყოველგვარი სურათის გარეშე, მაგრამ ამასთან არსებობს ღრმა წვდომა, შეცნობა, რადგან ამ დროს ვიცით, რომ ვიცით.

განწყობა და გარემო შეცნობის, წვდომის მნიშვნელოვანი ფაქტორებია როგორც ორთოდოქსულ ფსიქოლოგიაში, ასევე ძენშიც, რადგან მათ შეუძლიათ (ჩვენგან დამოუკიდებლად) ზემოქმედება მოახდინონ აზროვნებაზე, ადამიანის აზრები და საქციელი წარმართონ განსაზღვრული მიმართულებით. სანგხაში და სპეციალურ ცენდოში (ძენის ცენტრი იაპონიაში) ასპირანტზე, რომელშიც იგი სხვა მონაწილეებთან ერთად ზის, ზემოქმედებას ახდენს მისი გარემო, წრე, აგრეთვე მისი სულიერი მასწავლებლის მუდამ თვალყურის მდევნელი, გამაძლიერებელი და აღმაფრთოვანებელი გავლენა. ძაძენის დროს ასპირანტი გამუდმებით ახდენს კონცენტრაციას საკარჯიშოზე, ცდილობს „დაიწყნაროს", გაიწონასწოროს აზროვნება, რათა გაბსნას, გამოაღვიძოს თავისი „ჭეშმარიტი მე", რომლის მეოხებითაც შეძლებს ჭეშმარიტების შეცნობას, წვდომას თავის არსებაში. ცხადია, კანონები, რომლის მიხედვითაც წარმოებს სააზროვნო პროცესი, ნათელხილვის შედეგაც ჰგავს იმ კანონებს, რომლებიც ფლობენ ჩვეულებრივ ადამიანებს, მაგრამ აქ ის განსხვავებაა, რომ მათზე (ამ კანონებზე) ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს უკვე

გამოლვიძებული, „გამოხსნილი“ არაცნობიერი. ძენის ფსიქოლოგია უფრო აზროვნების შინაარსს ეხება, იკელევს, ვიდრე საოზროვნო პროცესს. ძენის სტუდენტი, თუ ასპირანტი წვრთნისა და თვით სხვადასხვა საბის სამყაროს შესრულების დროსაც კი შეძლებისდაგვარად თავს არიდებს, გვერდს უქცევს აზროვნებას თავისი განმაზოგადებელი ცნებებით. ძაძენის დროს ცნებები თანდათანობით მცირდება და ნათელხილვის მომენტში საბოლოოდ ქრება. ნათელხილვის შემდეგ აზრობრივი, „ცნებური“ უნარი, ცხადია, თავისთავად კვლავ წინა პლანზეა, მაგრამ „ნათელხილვური განცდის“ შედეგად საგრძნობლად იცვლება. მაგალითად, თამამი ახალგაზრდა შეიძლება ამტკიცებდეს, რომ ყველა ქალი კაცზე ნაკლებია, ნაკლებად სრულფასოვანია, მაგრამ ძენში წვრთნის შემდეგ მიხვდება, რომ ყველა სულიერი არსება თანაბარია, იმდენად, რამდენადაც ყველა მათგანს თავისი ფარული ჭეშმარიტი ბუნება აქვს ძირიჭებული, მიუხედავად მათი სხვადასხვანაირი შესაძლებლობებისა.

შემოქმედებითი აზროვნება, აღნიშნავენ ფსიქოლოგები, „ჰგავს“ წვდომას, ჩაღრმავებას... „დეები სიმბოლოთა მრავალფეროვანი არაცნობიერი ტრანსფორმაციით, ახალი წყობით წარმოიქმნებიან ცნობიერებაში (მორგანი და კინგი, 1956,გვ.184). ამ თვალსაზრისს ძენი უეჭველად დაეთანხმება. ძაძენი და ნათელხილვა ასტიმულირებენ შემოქმედებით ენერგიას. მას შემდეგ, რაც ნათელხილვა მიიღწევა, სპონტანურად წარმოიქმნება ბრძნული თვალსაზრისები. ამ დროს წარმოიქმნება შეგრძნება, რომ ყოველივეს თავისი კუთვნილი ადგილი გახესაზღვრება. ეს ნაწილობრივ იმ გარემოებით აიხსნება, რომ ნათელხილული ადამიანი „ნაკად“ში შევიდა“, ე.ი. უნივერსალურ მდინარებას შეუერთდა.

ძენის თვალსაზრისით შემოქმედებითი აზროვნების გარკვეული ფორმა, შედეგად „ქვეთილი სიბრძნე რომ მოპყვება“, ფილოსოფოსთა განსჯის ნიღმა სფეროშია. ბუდა ლანკავატარას სუტრაში ცოდნის ოთხ კატეგორიას გადმოგვცემს: ჩვეულებრივი, რელატიური, სრულყოფილი და ტრანსცენდენტური ინტელექტი. „პირველი დამახასიათებელია ცხირი ადამიანებისათვის... იგი ექვემდებარება დაბადებას (ქმნადობას) და კვდომას. რელატიური ცოდნა დამახასიათებელია გონებისათვის, ორმელსაც ფილოსოფოსები იკელევენ. მას შეუძლია „ჩაიხედოს“ საგანთა და მოვლენათა ძრ'ვნელობა-არსში.სრულყოფილი ცოდნა ანუ თჩიანი, დამახასიათებელია ბოდჩისატვას სულისთვის, რომელიც ნათელყოფს, რომ ყოველივე სულის მოვლენაა და რომელიც თვითონ თავისუფალია ყოფნა-არყოფნისა და დაუბადებლობა (შეუქმნელობა)-ბოუსპობლობის დუალიზმისაგან. ტრანსცენდენტური ინტელექტი არის თვითგანთავისუფლების, ნათელხილვის შინაგანი მდგომარეობა. იგი ბორციელდება უეცრად და ინტუიციურად, როგორც ეს ცნობიერების უსიღრმესეულეს შრეში „შებრუნება“ მოხდება... იგი არ ექვემდებარება არც ქმნადობას და არც დანგრევას“ (გოდარდი, 1970,გვ.301-309).

წვდომის, შეცნობის პროცესი დასკვნის სახით შემდეგნაირად ხასიათდება: ძაძენის დროს ფიქრი, არგუმენტირება, პრობლემათა ლოგიკური გადაწყვეტა და სხვ. უკანა პლანზე იწევს და ნათელხილვის მომენტში სრულიად ქრება. მოგვიანებით ისინი კვლავ იჩენენ თავს, მაგრამ ნათელხილვის შემდეგ, ორმა არაცნობიერის გაღვიძების შედეგად უკვე სრულიად ტრანსფორმირებულია. ამიტომ შეცნობის, წვდომის პროცესები, რომლებიც როგორც ჩვეულებრივ, ასევე ნათელხილულ ადამიანებში ხდება, მონათესავეა, მაგრამ არა იდენტური. ძენ'ში მთავარია ცოდნა, რომელიც შეიძინება გამოცდილებით და ინტუიციით და არა გონებით. როგორც უკვე აღინიშნა, ნათელხილვისკენ მიმავალ ბილიკზე შეიძლება წარმოდგინდეს ახალი უნარები, ვიდრე განამდვილდება უმაღლესი შესაძლებლობები. ფსიქიკური ძალები და გრძნობადი აღქმა შეიძლება განხორციელდეს ჩვენდა უნებურად, ჩვენგან დამოუკიდებლად, თავისთავად. ზოგი მეცნიერისათვის, მაგალითად, დანიელ გოლემანისათვის სრულიად

გასაგები და ლოგიკურია, რომ მავანმა და მავანმა, ვინც ამგვარ უჩვეულო უნარ-შესაძლებლობებზე წაიკითხავს, ეს ნაკლებად სარწმუნოდ ჩათვალოს. მაგრამ, როცა ამის საკუთარ თავზე გამოცდიან, მაშინ სრულიად სარწმუნოდ აღიარებენ, რომ ცნობიერება ისეთ პოტენციალს აღწევს, რომლის მიმართაც ჩვენ, დასავლეთის ხალხი, სკეპტიკურად ვიყავით განწყობილი. მაგრამ ასეთი სიღრმისეული ცნობიერების მდგომარეობები უკვე კარგა ხანია (მთელი ასწლეულები) ცნობილია. ძენი დაჟინებით სთხოვს ასპირანტებს არ „მოეჭიდონ" მათ, რადგან ამან შესაძლოა გამოიწვიოს დიბრკოლებანი.

ამჟამად მეცნიერები ფსიქოლოგიურ ტესტებს (გამოცდა) უტარებენ ძენის აღსაზრდელებს და იოგებს, როდესაც ესენი ღრმა კონცენტრაციის ცნობიერების მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგალითად, კასამატსუმ და ჰირაიმ დაადგინეს, რომ ამ დროს ნიეთიერებათა ცვლა ნელდება. ვალიანტემ აღმოაჩინა (1970წელს), რომ ჟანგბადის ხმარებამ 20%-ით მოიკლო.

დატისა და სხვათა გამოთვლებმა (1969წ.) ცხადყო, რომ გულის მოქმედება 25%-ით შემცირდა, ხოლო კუნთების ძალა ნულამდე დავიდა. ამ აღმოჩენის შესახებ დანიელ გოლემანი წერს ჟურნალში - „ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია" (1971,გვ.5). იგი ასკვნის, რომ ეს გამოთვლები ნათელყოფენ სიმშვიდის, განძაბულობის უფრო მაღალ ხარისხს, ვიდრე ღრმა ძილის დროს აქვს ადგილი. სწორედ მასზეა დაფუძნებული მედიტაციისა და ძაძენის ცხოველმყოფელი ზეგავლენა.

შეცვლილი ცნობიერების მდგომარეობანი

ძენ-ბუდიზმის მიზანი ადამიანის ცნობიერების მდგომარეობათა შეცვლაა. ძაძენის ასპირანტი გრძნობს „ცხად,გარკვეულ ოვისებრივ ცვლილებას მის გრძნობის ფუნქციათა სტრუქტურაში". ამ დროს სიმძიმის ცენტრი ეგოდან საკუთარ პიროვნებაზე გადაინაცვლებს. მისი ცნობიერების სტრუქტურა ძაძენში და სატორში თვალშისაცემ ცვლილებას განიცდის. სატორის მოიაზლოებასთან ერთად ასპირანტი უფრო და უფრო ნაკლებად აღიქვამს თავის ფიზიკურ გარემოს. ამ დროს იგი გაიელის არაცნობიერის ოთახ საფეხურს. ნათელხილვის დროს იგი კარგავს ანუ არსებითად კარგავს ყოველგვარ ცნობიერებას. იგი შეერწყმის, იგივდება უნივერსალურ სულთან. ამის მიხედვით, უკვე შეცვლილ, ტრანსფორმირებულ ცნობიერების მდგომარეობაში ფუნქციონირებს მისი ცნობიერება ღრმა არაცნობიერთან ჰარმონიაში, და იგი გაჯერებულია ტრანსცენდენტული ცნობიერების უძლავრესი ძალით.

როგორ უყურებს ძენ-ბუდიზმი საფთიაქო საშუალებებს? იგი კრძალავს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღებას, რადგან იგი მიჩნეულია სხეულისა და სულისათვის მავნე ნივთიერებებად. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები ნებაყოფლობით რჩებიან ძენის ცენტრში, სადაც ყოველივე მკაცრ დისციპლინას ეკვემდებარება, ხოლო სავარჯიშოები მომჭანცველი და ხშირად მტკივნეულიცაა; რაში კაპლიო აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა თაობის ზოგი წარმომადგენელი ხშირად მართალია, ნარკოტიკების საშუალებით ცდილობს ნათელხილვის მიღწევის შესაძლებლობის მომენტალური, ზერელე შთაბეჭდილების შექმნას, მაგრამ მრავალგზის დამტკიცდა, რომ ძაძენი გაცილებით უფრო ეფექტური და თანაც უხიფათო გზით ახერხებს ამას.

ყოველივე ზემოთქმულს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ადამიანური ცნობიერების სტრუქტურა და ფუნქცია ჩვეულებრივ და ნათელხილულ ხალხთან გარკვეულწილად განსხვავებულიცაა და ამასთანავე მსგავსიც. მკვლევარისათვის გაცილებით უფრო მარტივი იქნებოდა, რომ ეს ორი სისტემა ძირეულად დაპირისპირებოდა ერთმანეთს. ამის ნაცვლად კი გამოდის, რომ (როგორც ამას ორ დაპირისპირებულ წყვილს ინს და იანგს შორის აქვს ადგილი) ეს ფსიქოლოგიები ზოგ სფეროში ერთმანეთს გადაკვეთავენ. შეუძლია წინააღმდეგობათა (რელიგიის და

მეცნიერების) მორიგების საკითხის გადაწყვეტა? ვერც დასავლეთის გონებამ და ვერც აღმოსავლეთის ინტუიციამ ცალ-ცალკე ვერ შეძლო სამყაროს პრობლემათა გადაჭრა. დასავლეთმა დააგროვა და განავითარა ლოგიკური აზროვნება, მეცნიერება, ტექნოლოგია და სიმდიდრე, მაგრამ ძალიან უჭირს სულიერად. აღმოსავლეთმა განავითარა, სრულყო ინტუიციური სიბრძნე, რელიგიური ცხოვრება, სპირიტუალური ძალების ფლობის ხელოვნება, მაგრამ აწუხებს სიღარიბე, ავადმყოფობა და უწიგნურობა. ნაციების და კულტურებს, ისევე როგორც ინდივიდუუმებს შეეძლოთ გაემთლიანებინათ, სრულყოფილი გაეხადათ თავიანთი არსებობა. ამისათვის დასავლეთი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს ნათელხილვაში, თვითგამოვისუფლებაში წვრთნას.

ძენისკენ მიმავალი გზა

რა დანიშნულება აქვს ძენის ბილიკს ნათელხილვისათვის? ძაძენი არის ნათელხილვისკენ მიმავალი ბილიკი. არსებობს ორი გზა ძენ-ბუდიზმის შესაცნობად: ინტელექტური, გონისმიერი და „უფრო მაღალი, უფრო მეტი, ვიდრე გონისმიერი", გამოცდილების გზა.

შეუძლია დასავლელ ადამიანს, რომელსაც ნათელხილვისათვის არ მიუღწევია, წაიკითხოს სუტრები და მისი კომენტარები და ძენი თავისი ინტელექტით გაიგოს? გამოცდილი მასწავლებლის ინტერპრეტაციის გარეშე მას ეს გაუჭირდება. ჩვეულებრივ ადამიანს ძენ-ბუდიზმის მოთხოვნები ფანტასტიურად მოეჩვენება, თუნდაც მისი არსი აუხსნან. მაგრამ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საშუალებით (მათი ურთიერთმიმართების საფუძველზე) ძენი შეიძლება გონისმიერადაც იქნას გაგებული. ჩვენს მეცნიერულად ორიენტირებულ კულტურაში მეცნიერულ ფსიქოლოგიას შეიძლება დიდი დარწმუნების ძალა ჰქონდეს, რადგან ამ შემთხვევაში ძენი მოგვევლინებოდა სპირიტუალურ ფსიქოლოგიად, რომელიც ადამიანური ფსიქიკის კანონებზეა დამყარებული. ამას ადასტურებს მრავალი პარალელი დასავლურ ფსიქოლოგიასთან, ფროიდთან, იუნგთან, ჰიუსტონთან და მასტერსთან. ინტელექტუალური გაგება ვერ ახერხებს ხასიათისა და ცხოვრებისეული საფუძვლების ტრანსფორმაციას. ამისათვის საჭიროა გაგება, [illegible] განცდა-გამოცდილებაზეა [illegible] ეს კი მხოლოდ ძენის მასწავლებლის დახმარებით და ძენში შეუპოვარი წვრთნითაა შესაძლებელი. ძენ-ბუდიზმი ამტკიცებს, რომ არავის ძალუძს ამ რელიგიური დისციპლინის სრული გაგება საკუთარი რელიგიურ-ინტუიციური გამოცდილების გარეშე, რადგან ნათელხილვა განიცდება გაგების, სიტყვების და ცნებების მიღმა სფეროში, თუმცა ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი ამტკიცებს, რომ ამ ინდივიდუალური განცდის მიღწევა ინტელექტითაც შეიძლება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ძენის შესაცნობად გამიზნული სწავლება ხორციელდება იქაურ ძენის ცენტრში ანდა უნივერსიტეტში, სადაც ასპირანტმა გარკვეული ხანი უნდა დაჰყოს. აქ მაძიებლებს უტარდებათ ლექციები, წინასწარი საუბრები, მათ უჩვენებენ ძაძენის მოკლე სავარჯიშოებს და სხვ. მომავალმა წევრმა შეუპოვრად უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, იზრუნოს ზნეობრივი სიწმინდისათვის, ირწმუნოს ბუდასეული და ბოლოს საკუთარი ნათელხილვის შესაძლებლობები. სტუდენტი, რომელიც შორს არ ცხოვრობს ძენის ცენტრისაგან, კვირაში ოთხ-ხუთჯერ უნდა დადიოდეს იქ, რათა ძაძენში ივარჯიშოს. მეცადინეობა დღეში ორ საათზე მეტხანს გრძელდება, კვირას კი ზოგჯერ თითქმის მთელი დღე - რვა საათის განმავლობაში.

ძაძენი

როგორია ძაძენში წვრთნის დროს ჯდომის სპეციფიკური მეთოდი? ცენდოში მოსწავლე ტრადიციულ სრულყოფილ ლოტოსის პოზაში ზის გადაჯვარედინებული ფეხებით, ნოხზე დაფენილ, მრგვალ, მაგარ ბალიშზე. სრულყოფილი ლოტოსის პოზაში ჯდომისას (როგორც ეს პირველ ნახატზე ჩანს) მარცხენა ტერფი დევს მარჯვენა ბარძაყზე, ხოლო მარჯვენა ტერფი მარცხენა ბარძაყზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი 1: ძენის მოწაფე კლასიკურ სრულყოფილ ლოტოსის პოზაში. მნიშვნელოვანია, რომ თავი, კისერი და ხერხემალი სწორ, ვერტიკალურ ხაზს ქმნიდნენ. საჯდომის ცოტაოდენ ასაწევად ხმარობენ მაგარ, რამდენიმე სანტიმეტრი სისქის ბალიშს.ნახატი2: ძენის მოწაფე სეიცას პოზაში, რომელიც იაპონიაში ჩვეულებისამებრ მედიტაციისათვის გამოიყენება. აქაც ხმარობენ მაგარ, მოკლე ბალიშს, რომელიც მნიშვნელოვნად განტვირთავს დაწოლას ტერფებსა და წვივებზე. როგორც სრულყოფილი ლოტოსის ჯდომისას, აქაც თავი, კისერი და ხერხემალი სწორ, ვერტიკალურ ხაზს უნდა ქმნიდეს. ეს პოზა უაღრესად მოსახერხებელია ხანგრძლივი, უმოძრაო ჯდომისათვის. ამან თავდაპირველად შეიძლება მწვავე ტკივილი გამოიწვიოს მუხლებსა და ზურგის არეში, მაგრამ სწორედ ეს ტკივილია ხელმე იმის სტიმულატორი, რომ ამ პოზას დავეუფლოთ. არსებობს აგრეთვე სხეულის სხვა მდგომარეობებიც (პოზები): ნახევრად ლოტოსის ჯდომა, რომლის დროსაც მარცხენა ტერფი ეყრდნობა მარჯვენა ბარძაყს; ჯდომის იაპონური სტილი საჯდომქვეშ მაგარი ბალიშით (ნახატი2); შეიძლება აგრეთვე სკამზე ჯდომა. რომლის დროსაც ბალიში ისე დევს საჯდომქვეშ, რომ სხეული და ფეხები დაახლოებით 95° ქმნიან. ეს კუთხე საჭიროა იმისათვის, რომ ხერხემალი გამართული იყოს.

მოწაფე უმზერს (რათა ყურადღება არ გაეფანტოს) ცარიელ კედელს. თვალები თითქმის დახუჭული აქვს. კუნთები მოდუნებული, განტვირთული აქვს, მაგრამ ხერხემალი მთელი ამ ხნის განმავლობაში გამართული უნდა იყოს. იგი მდუმარე ღირსეულებით ყოვნდება პოზაში და კლდესავით უძრავად უნდა იყოს გაჩერებული. არავითარ შემთხვევაში არა აქვს უფლება ყური ან ცხვირი მოიქაჩოს, ან სხვა მოძრაობა შეასრულოს. „სრული, სულის სიღრმისეული მდუმარება ოპტიმალურ წინაპირობებს ქმნის იმისათვის, რომ მოწაფე თავისი ბუნების ულრმეს შინაგან არსს ჩაწვდეს და ყოფიერების ჭეშმარიტი ბუნება განჭვრიტოს" (კაპლიო, 1967,გვ.9).

როდესაც ასპირანტი ძაძენში პირველ წვრთნას ატარებს, მას თავისი სული, გონება მღვრიე წყლის დაუწმენდელ გუბურად ეჩვენება; მაგრამ უმოძრაო, გაუნძრეველი ჯდომა შესაძლებელს ხდის დაიწმინდოს ყოველგვარი გონისმიერი ნალექი ისე, რომ ბოლოს თავისი უმოძრაობით, სიმშვიდით და კონცენტრაციით იგი საოცრად

განწმენდილად, გაწონასწორებულად გრძნობს თავს.

ძაძენის დროს სტუდენტმა როშის მითითებაზე შესუნთქვისა და ამოსუნთქვისას ათასამდე უნდა ითვალოს და შემდეგ კვლავ თავიდან დაიწყოს. ყველა ძენის სექტაში მასწავლებელი ბმარობს კოსაკუს, ხის ჯოხს, რომლითაც იგი ლოტოსის პოზაში მჯდომ მოწაფეს დროდადრო მხრებზე შეახებს. ამით სტიმულირდება აკუპუნქტურის ხაზები, რომლებიც ფსიქიკურ ენერგიას ჰარასკენ - უშუალოდ ჭიპქვეშა ადგილებში წარმართავს. ჰარა მიჩნეულია ფსიქიკური სასიცოცხლო ენერგიის წყაროდ და, როგორც ჩანს, გარკვეულ დამოკიდებულებაშია მზის წნულთან.

ჩვეულებრივ ჯდომითი პროცესი 35 წუთს გრძელდება, შემდეგ მასწავლებელი ზარს ჩამოკრავს და ხუთი წუთი ძაძენის მოძრაობებს, ე. წ. კინჰინს ეთმობა. შემდეგ მეცადინეობა გრძელდება და მოწაფეები კვლავ თავიანთ საგარჯიშოებზე ახდენენ კონცენტრაციას.

მეცადინეობიდან კარგა ხნის შემდეგ ძენის წევრები ჩვეულებისაებრ ისე ბედნიერად გრძნობენ თავს, რომ იცინიან და ტირიან, ერთმანეთს ეხვეევიან და კოცნიან. ისინი ფიზიკურად დაღლილები არიან, (ამიტომ მასწავლებელი მათ რამდენიმე დღეს დასვენებას ურჩევს), მაგრამ ამასთანავე აღსავსენი არიან ოორიკით - დინამიური ძალით, კონცენტრაციიდან რომ მომდინარეობს, როდესაც ყურადღება მოკრებილია და ერთ პუნქტზეა მიპყრობილი.

ცხადია, ძაძენის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ „ნათელხილვა" როდია.საჭიროა უფრო და უფრო ღრმა ნათელხილვის განცდა, რომლის დროსაც მკრქალდება დისკურსიული გონება და ადამიანში იღვიძებს ბუდას გონი, სული და მისი თანაგრძნობიანი გული.

ამ გამოღვიძების მიზანია გააღოს საფეხოებათა საგანძურის - თანაგრძნობის, სიყვარულის, თანადგომის (რაც ყველა ადამიანში თანდაყოლილია) კარები. ძენის ცენტრში, სადაც მე ვმეცადინეობ, ახალგაზრდები გააოცარ შემოქმედებით ენერგიას ავლენენ. ისინი ხატავენ, წერენ, ქმნიან მოდელებს, ჭრიან და კერავენ, თხზავენ ლექსებს, წერენ მუსიკას, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებებს, ღებავენ, გაყავთ ელექტროგაყვანილობა და სცემენ საკუთარ გაზეთს „ძენის ფურცლები".

ნათელხილვამდე კარგა ხნით ადრე ძაძენი თანდათანობით ცვლის ასპირანტების ცნობიერების მდგომარეობას, რასაც მოჰყვება მათი ხასიათის, ყოფა-ქცევის, ღირებულებათასესეულებათა აღქმის შეცვლა. ძაძენი დიდსულოვნებას და კეთილშობილებას სძენს ადამიანს. ძაძენის წევრები ყოველმხრივ ეხმარებიან ერთმანეთს ყოველდღიურ ცხოვრებაში (მაგ. ავადმყოფობის დროს და სხვა საჭირო შემთხვევაშიც. სანგხა ე.ი. ძენის წრე, ჯგუფი) ნამდვილად მზრუნველი, ერთმანეთის მოყვარული ოჯახია, სადაც გულითადი ატმოსფერო სუფევს. ძენის წევრები მონაწილეობას იღებენ ქორწილებში, პიკნიკებში და სხვა საზეიმო რიტუალებში. შობას, ბუდას დაბადებას, ნათელხილვას და სხვ. ერთად ზეიმობენ. ბუდას ოქროს ფიგურები, რომლებიც ძენის ცენტრებში საპატიო ადგილზე დგანან, ნათელხილვის, დხარმას სიმბოლოებად გვევლინება. გარდა ამისა ისინი წარმოადგენს ჰეშმარიტი ადამიანური ბირველარსის გამოჩატულებას. მათ წინაშე მუხლის მოყრა არ ნიშნავს წარმართული კერპის თაყვანისცემას, როგორც ამას უცოდინარი ხალხი ამტკიცებს.ეს თაყვანისცემა ღმერთს კი არ ეკუთვნის, არამედ უდიდეს სულიერ მასწავლებელს, სრულქმნილ ადამიანს და ასევე საკუთარ, ჰეშმარიტ შესაძლებლობათა პერსონიფიცირებას.

ბუდა თავის მოძღვრებას აღწერს როგორც ბორანს, რომელსაც ადამიანი ცხოვრების მდინარის მეორე ნაპირზე - ნათელხილვაში გადაჰყავს. თუ ადამიანი იქ ერთხელ მაინც მოხვდა, უკვე საფუძველი და მხნეობა ექნება, ტივი და თვითონ ბუდაც კი დაივიწყოს, რათა მარტომ, ინდივიდუალურად, თავისუფალმა და თვითდაჯერებულმა გააგრძელოს თავისი საქმე.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ძაძენის უმაღლესი მიზანი ნათელხილვაა (ანუ სრული ტრანსფორმაცია, თვითგათავისუფლება). მისი მეოხებით „ჭეშმარიტი, ნამდვილი მე" უნივერსალური სულის იდენტური ხდება. ადამიანი უბრუნდება თავის პირველსაწყისს, უკანასკნელ ჭეშმარიტებას, სიცარიელეს, სრულ სიცარიელეს, რომელიც ამასთანავე ყველაფერს შეიცავს. ადამიანი განიცდის ნეტარებას, რომელსაც ვერავითარი კალამი ვერ აღწერს, უვითარდება ინტუიციური წვდომა. იგი წვდება ყოველგვარი არსებულის არსს, შეერწყმება, უერთდება ყოველივეს და ყველაფერს, უნივერსუმს. „ძორიგებულია", ურთიერთშეთანხმებულია ისეთი წინააღმდეგობები, როგორებიცაა გონება და ინტუიცია, ინდივიდუუმი და უნივერსუმი, „მე- და სხვები, სიცოცხლე და სიკვდილი. „ნათელხილვის" ცნობიერების მდგომარეობიდან გამოვდივართ დაუჯერებლად, წარმოუდგენლად შეცვლილნი - უანგარონი, სხვა ადამიანთა მიმართ სიყვარულით აღსავსენი, თანაგრძნობნი, ძლიერნი, ბატონსანნი, შემოქმედებითნი, ბრძენნი, ეფექტურნარის მქონენი, რომ გადავჭრათ ყოველდღიური პრობლემები. ამ დროს ადამიანი განიცდის უნივერსალური ძმობის გრძნობას, რადგან ძენში არ აღიქმება განსხვავება რასის, ასაკის, სქესის და სოციალური სტატუსის მიხედვით. ამ დროს შეცნობილია ყოველი სხვა ადამიანის „ჭეშმარიტი, ნამდვილი ბუნება", თუნდაც იგი დაფარული იყოს. იქმნება ნათელი შეგრძნება იმისა, რომ ნათელხილული ადამიანი, შეიძლება მოგვევლინოს მომავლის ადამიანად, რომელიც, იმედია, დაგვიმკვიდრებს ოქროს ხანას, რომელზეც ამდენი ხანია ოცნებობს კაცობრიობა.

ავთანდილ ვართაგავა

ხატად ქცეული წიგნი

ქართველთა უწმინდესი და სალოცავი წიგნი - „საქართველოს სამოთხე“ - რომელიც მიხეილ საბინინმა ქრონოლოგიურად დაალაგა და 1882 წელს პეტერბურგში გამოსცა, დღემდე ჩვენი მკითხველისთვის თითქმის მიუწვდომელი იყო. არადა ეს წიგნი ხომ, როგორც ამას მისი სატიტულო ფურცელი გვაუწყებს, საქართველოს წმინდანთა ღვაწლთა და ვნებათა სრულ აღწერას წარმოადგენს.

ქართველთათვის ამ ჭეშმარიტად საღვთო წიგნში თავმოყრილი ტექსტები მანამდე ათასგან ყოფილა გაბნეულ-გაფანტული. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს მ. საბინინი თავის საკმაოდ ვრცელ წინასიტყვაობაში, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს იმ მძიმე შრომას, რაც ავტორს გაუწევია როგორც ტექსტების, ისე სამხატვრო საილუსტრაციო მასალათა მოძიების დროს.

„საქართველოს ეკლესიის დავრდომილებამ და სრულიად დამხობილებამ მისმან, - იწყებს წინასიტყვაობის ავტორი, - მაიძულა დიდის გულსმოდგინებით დაბეჭდვაი ამა წიგნისა, რომელსა უწოდე სახელად „საქართველოს სამოთხე“, წიგნისა ამის მეორე, არცა დაბეჭდილი, არცა ხელნაწერი არა სადა იპოების, ესრე ვრცელი და სრული, ვითარ ეს წიგნი...“

როგორც აღნიშნული ტექსტიდან ირკვევა, ამ წიგნზე მუშაობის სურვილი მ. საბინინს ჯერ კიდევ თბილისის კლასიკური გიმნაზიის მერხებიდან გასჩენია. აქვე შედგომია ამ „ფრიად ძნელსა და შეუძლებელსა საქმესა“. ამისათვის მოუხილავს ქართული ეკლესია-მონასტრები, მრავალი სიწმინდე მოულოცავს და ამასთან შეხვედრებიც ჰქონია არაერთ „პატიოსან“ ქართველთან, რომელთა წყალობით შედგომია აღნიშნულ კრებულზე მუშაობას. ამ „პატიოსან“ ქართველთ დიდი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს ავტორი, ამასთან არ ივიწყებს იმ პირთაც, საქმის წარმატებაში საგულდაგულოდ რომ უხშობდნენ კარს.

თავად განსაჯეთ დასახულ მიზნისაკენ მიმავალ გზათა სიძნელენი: „რაც ამ წიგნსა შინა არს დაბეჭდილი სხუა და სხუა ხელნაწერებსა შინა იპოებიან ცალ ცალკედ, არამედ ხრონოლოგიურად შევკრიბე პეტერბურღის საიმპერატორთა სამეცნიერო აკადემიის და საზოგადო საწიგნობელთა ხელნაწერთაგან... დარჩომილნი ბატონის შვილთაგან, - რომელნიმე მათგანი მერვე, მეცხრე, მეათე და ჩამომავალთა საუკუნეთა არიან, აგრეთვე პარიჟის სამეფო საწიგნობელისაგან -მოსკოვის დავით ბატონის შვილის და რუმიანცევის საწიგნობელთა ხელნაწერთა წიგნთაგან, რომელთაგან ამოვიღე და შეუცვლელად დაებეჭდე, რაც საჭირო იყო. ამ საწიგნობელთა შინა ვჰპოვე ხელ ნაწერნი არსენი კათალიკოსისა

იეალთოელისა, კათალიკოსისა ვასილისა, ბესარიონისა, ანტონ პირველისა და სხუათა..."

აქვე მიხეილ საბინინი ჩამოთვლის იმ თხზულებებსაც, რომლების არ ჰქონდათ „ხსენებულთა სანატრელთა წმიდათა მწერალთა", როგორიცაა მოთხრობა „ყოველად უბიწოისა და მარადის ქალწულისა დედოფლისა მარიამისა, მოთხრობა წმ. ანდრეა მოციქულისა, რაჲთუ მან სანატრელმან პირველად ჰქადაგა სიტყუა ღუთისა ქუეყანასა ჩუენსა. მოთხრობა წმ. გიორგისა" და სხეათა და სხვათა თხზულებანი.

რაც შეეხება დავით გარეჯელის , ანტონის, შიო მღვიმელისა და სხვა ღირსთა მამათა ცხოვრების ამსახველ მასალებს, ავტორს მოუძიებია „სხუა და სხუა ჰერთაგან იმერეთსა შინა", დანარჩენი კი, როგორც თავად წერს მადლიერების გრძნობით, უბოძა „ჰსძალმან ქრისტესმან და ზეცის მოქალაქემან მცხეთის სამთავრის დედათ მონასტრის წინამძღუარმან ნინამ".

მიხეილ საბინინი არ ასახელებს წინამძღვარ ნინას გვარს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი უნდა იყოს მცხეთის წმინდა ნინოს დედათა მონასტრის იღუმენია და სკოლის უფროსი ნინო ამილახვარი, რომლის მოღვაწეობის 25 წლისთავი სიეკარულიოთ აღუნიშნავს გაზეთ „ივერიას" 1890 წლის 14 სექტემბერს. კერძოდ, აქ გამოქვეყნებულ წერილში ილია ფერაძე აღნიშნავს: „მცხეთის მონასტრის გამგე და სკოლის უფროსი იღუმენია დიდად პატივცემული ქალბატონი ნინო სწორედ ცოცხალი მაგალითია შრომისა, მხნეობისა, მუყაითობისა, საქმისათუის თავდადებისა".

არანაკლები წვალებითა და გაჭირვებით მოუპოვებია მიხეილ საბინინს „საქართველოს სამოთხის" საილუსტრაციო მასალებიც, რომელთა რამდენიმე ნიმუშს ამ ნომერში ვთავაზობთ რელიგიის ისტორიისა და ქართული ხელოვნების მოყვარულთ.

ყური მივაპყროთ თავად ავტორს:

„მხატრობანი ზოგი ერთი გადმოვიღე წმ.სუეტის ცხოვლის კედლიდგან, ზოგნი მრავალმთის დანგრეულის მონასტრების კედლებიდგან, ზოგი მიბოძა კნიაზმან გრიგორი გრიგორის ძე გაგარინმან - და ზოგი ერთი დავით ბატონის შუილის ხელნაწერთაგან და სხვა. მრავალი მათგანი არ იყვნენ ისრედ აღსრულებულნი, ვითარ მოითხოვდა კლასიკური მხატვრობა, არამედ შემწეობითა სხუა და სხუა მხატვართა სამს. აკადემიისათა, სრულ ვჰყავ მხატვრობანი, რომელნიც აქა არიან. უწყის ღმერთმან და ჩემმან უკანასკნელმან ქამმან, რამეთუ დიდი ჭირი და იწროება ვნახე მე ამ წიგნის შედგენისა შინა და უმეტეს დაბეჭდვასა შინა, ვერ აღვრიცხავ ყოველთა, ვითარ კაცი შევძრწუნდი და ლამის სასოწარკვეთილებას არ მივეცი თავი ჩემი - არავინ მყუანდა ქართველთაგან შემწედ და გულ დამწველ, არამედ მრავალნი მტრად და მოძიძულეს ცუდათ", - წერს წინასიტყვაობის დასასრულს მიხეილ საბინინი, მაგრამ გულს მაინც არ იტეხს და მკითხველს თხოვს: „თუ წერილით რაიმე იცოდე მეტი ამისა, ღონის ძიებით და გულს მოდგინებით შეასრულე და მიუმატე, რათა არა წაიკოდეს ენა ჩუენი".

მხოლოდ ერის, ქართული ეკლესიისა და ხელოვნების დიდ მოამაგეს შეეძლო გაეწია ასეთი მონური და უმადური შრომა, რათა შორეულ პეტერბურგში ბოლოს და ბოლოს „საქართველოს სამოთხე" შეექმნა და სალოცავ ხატად ეანდერძებინა მადლიერი შთამომავლობისათვის.

ამ წმინდა წიგნში სულ 50 ტექსტია თავმოყრილი; ყოველი მათგანი

ცალკეულად ღვთისმშობლის მიძინების, ანდრია მოციქულის ქადაგების, წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს, აბურელ მამათა; წმინდა მოწამეთა: ევსტათე მცხეთელის, ანი ტფილელის, დავით და კონსტანტინე მხეიძეების, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, დავით აღმაშენებლის, აგრეთვე ქეთევან დედოფლის, ბიძინა, შალვა და ელიზბარის მოწამებრივი ცხოვრებისადმია მიძღვნილი.

ეს საუკუნეზე უხნესი და უწმინდესი წიგნი, „საქართველოს ხატეულზე", - რომელიც ბედის განგებით ახლა ჩემს მაგიდაზე დევს, ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ მის პირველსავე გვერდს თვით მიხეილ საბინინის აუტოგრაფი ამშვენებს.

დიახ, პეტერბურგის სახელოვნო აკადემიის კანდიდატის ივერიელ გობრონ (მიხაილ) პავლის ძე საბინინს მის მიერ რუდუნებით შედგენილი და გამოცემული წიგნი 1884 წელს უდიდესი მოკრძალებითა და თაყვანისცემით მიუძღვნია ვინმე ა. პაიჭაძისათვის, რომლის ინიციალი და გვარი საგანგებოთაა გამოყოფილი მუქი შელნითა და კალმის მსხვილი წვერით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უკვე მოგვიანებით უნდა იყოს შესრულებული სხვის მიერ,ამ შემთხვევაში პაიჭაძის ხელით, რადგან მისი გვარის ქვეშ თავად საბინინის გაკრული ხელის ანარეკლი ამოკრთის და ისიც სულ სხვა შელნითა და მოხაზულობით.

მაგრამ ახლა ეს როდია მთავარი: მთავარი ჩვენთვის თავად საბინინის აუტოგრაფი და ის წმინდა წიგნი გახლავთ, რომელიც ერთ დროს თვით მას სჭერია ხელთ და რომლითაც დღეს ნებისმიერი მორწმუნე ქართველი, ბიბლიოთეკა თუ მუზეუმი იამაყებს.

ღვთისმშობლის მიერ წმ. ნინოს წარვლენა საქადაგებლად

მ. საბინინის წიგნიდან — „საქართველოს ისტორია" 1882 ჯ.

699/101.

ლირსი მამა დავით გარეჯელი.

მ. საბინინის წიგნიდან — „საქართველოს სამოთხე" 1882 წ.

76132